

XIX-XX საუკუნეების ქართულ მწერალთა

ეპისტოლური მემკვიდრეობა

ტომი V

გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი IV)



გამომცემლობა „აწიარსალი“
თბილისი 2014

უაკ (UDC) 821.353.1-155+821.353.1-6

ე-726



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation



იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Iakob Gogebashvili Telavi State University

სამეცნიერო პროექტი „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“ (გრანტი FR/361/1-20/11) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე კრებულში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორთა კოლექტივს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The project „Academic Edition of XIX-XX cc. Georgian Writers' Epistolary Legacy“ (Grant FR/361/1-20/11) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

ტომის რედაქტორები:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ქეთევან გიგაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მარიამ წინიძე

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2014

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიას ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-185-9 (ყველა ტომისათვის)

ISBN 978-9941-22-372-3 (V ტომი)

შესავალი

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეულის V ტომით ვაგრძელებთ გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიურ გამოცემას, რომელიც მოიცავს 1853-1855 წლების წერილებს. მკითხველს შეეახსენებთ, რომ ეპისტოლური მემკვიდრეობის I ტომში შევიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის 4, სოლომონ დოდაშვილის 62 და ნიკოლოზ ბარათაშვილის 18 წერილი. გამოცემაში დათარიღდა სოლომონ დოდაშვილის 9 დაუთარიღებელი წერილი და დაზუსტდა ნიკოლოზ ბარათაშვილის 2 წერილის თარიღი.

მრავალტომეულის მომდევნო II-III-IV ტომები დაეთმო გრიგოლ ორბელიანის ბარათებს.

II და III ტომებში¹ დაიბეჭდა პოეტის წერილების I და II ნაწილი, რომელმაც მოიცვა 1832-1850 წლებში დაწერილი 191 წერილი. II ტომში გამოქვეყნდა 1832-1844 წლების წერილები. მათმა რაოდენობამ 82 შეადგინა. აქ შევიდა აკაკი განერელიას გრიგოლ ორბელიანის წერილების I ტომში² დაბეჭდილი 63 წერილი, რომელსაც დაემატა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში³ პირველი პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული 1 წერილი, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში⁴ (რომელიც სოლომონ ცაიშვილმა გამოსცა) ასევე პირველი პუბლი-

¹ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი III, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „საარი“, თბ., 2012.

² გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი პირველი, 1832-1850, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, კოტე გორდელაძის წინასიტყვაობით, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1936.

³ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, ს. ფირცხალავას გამოც., ტფ., 1922.

⁴ ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი I, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბ., 1947.

კაცის სახით გამოქვეყნებული 1 ნერილი, გამოუქვეყნებელი 12 რუსული და 5 ქართული ნერილი. ასე რომ, II ტომში პირველად გამოქვეყნდა 17 ნერილი. გამოცემაში დათარიღდა 74 ეპისტოლე.

III ტომში დაიბეჭდა გრიგოლ ორბელიანის 1845-1850 წლებში დანერილი 109 ნერილი. მათგან 4 რუსულია, ხოლო დანარჩენი – ქართული. ოთხივე რუსული ნერილისთვის ჩვენი გამოცემა პირველი პუბლიკაცია იყო. აქვე პირველად გამოქვეყნდა ილია ორბელიანისადმი გაგზავნილი 5 ნერილი. ასე რომ, III ტომში პირველად დაიბეჭდა 9 ნერილი. გამოცემაში დათარიღდა 20 ეპისტოლე.

III ტომში წარმოდგენილი ნერილების უმრავლესობა შესულია აკაკი განერელიას გრიგოლ ორბელიანის ნერილების I ტომში, სამი გამოქვეყნებულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში, ხოლო 1 – ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა 1922 წლის გამოცემაში.

IV ტომმა⁵ მოიცვა 1851-1852 წლების ნერილები, რომელთა რაოდენობამ 77 შეადგინა. მათგან 34 ბარათი რუსულია. ისინი ჩვენს გამოცემაში პირველად გამოქვეყნდა. აქვე პირველად დაიბეჭდა 3 ქართული ნერილი, რომლებიც დაუთარიღებელი იყო და დათარიღების შემდეგ 1851-1852 წლების ნერილების ქრონოლოგიურ რიგში მოთავსდა. ასე რომ, ჩვენი გამოცემა 37 ნერილისთვის პირველი პუბლიკაცია იყო. IV ტომში დათარიღდა 6 ბარათი. ნერილების უმრავლესობა გამოაქვეყნა აკაკი განერელიამ 1937 წელს გრიგოლ ორბელიანის ნერილების II ტომში,⁶ ხოლო 4 ნერილი შესულია ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომების I ტომში.

წინამდებარე V ტომი ეთმობა გრიგოლ ორბელიანის 1853-1855 წლების ნერილებს, რომელთა რაოდენობა 133-ს შეადგენს. ამათგან 38 ნერილი რუსულია, რომლებიც ჩვენს გამოცემაში პირველად ქვეყნდება. ასევე პირველად იბეჭდება 7 ქართული ნერილი. ესენია: სვიმონ შალიკაშვილისადმი №14, კონსტანტინე თარხნიშვი-

⁵ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი IV, გრიგოლ ორბელიანი (ნანილი III), ტომის რედაქტორები: ქეთევან გიგაშვილი, მარიამ ნინიძე, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2013.

⁶ გრიგოლ ორბელიანი, ნერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1937.

ლისადმი №4 და №5, ქეთევან ორბელიანისადმი №62 და №76, დიმიტრი ჯორჯაძისადმი №1 და №13. ამდენად, წინამდებარე ტომში პირველად ქვეყნდება 45 წერილი.

რუსული წერილები გამოცემაში დაბეჭდილია ძირითად ტექსტად, ხოლო ქართული თარგმანები მათ შემდეგაა წარმოდგენილი. ტექსტში ვარსკვლავებით აღნიშნულია ქართულ წერილებში ჩართული რუსული სიტყვები თუ ფრაზები და მათი თარგმანები მოცემულია წერილის ბოლოს. თარგმანებში მაქსიმალურად შენარჩუნდა ავტორის სტილი, მისი ქართული წერილებისათვის დამახასიათებელი ლექსიკა, მათ შორის, ცხადია, რუსიციზმებიც და პირთა და გეოგრაფიულ სახელთა დაწერილობებიც, მაგ., „ნაროჩნი“, „ზაპისკა“, „ოკრული“, „კნიაზი“, „ტურცია“, „დალისტანი“, „ჩაჩანი“ (ჩეჩნეთის მნიშვნელობით) და სხვა მრავალი.

წინამდებარე ტომში წარმოდგენილი ტექსტების აბსოლუტური უმრავლესობა ავტოგრაფის სახითაა ჩვენამდე მოღწეული. 5 წერილი ავტორიზებულია.

ტომი მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის კათედრაზე. უნივერსიტეტის თანამშრომელთა (ქეთევან გიგაშვილი, ნანა რჩეულიშვილი, არსენ ბერთლანი, გიორგი ჯავახიშვილი) გარდა, მის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის სექციის მეცნიერ-თანამშრომლები: მარიამ ნინიძე (სექციის ხელმძღვანელი, პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი და ტომის ერთ-ერთი რედაქტორი), ჯულიეტა გაბოძე, მაია არველაძე, ამავე ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი ქეთევან ნინიძე და საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები: ლია კიკნაძე, ეთერ ბერუაშვილი და ქეთევან ხითარიშვილი.

V ტომში წარმოდგენილი ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, პასპორტები, შენიშვნები, ლექსიკონი, შესავალი წერილი, „ტექსტისათვის“ და რუბრიკა „ადრესატის მისამართი“ დაურთო ქეთევან გიგაშვილმა; კომენტარები და დათარიღება ეკუთვნით მარიამ და ქეთევან ნინიძეებს, პირთა ანოტირებული საძიებელი – ნანა რჩეულიშ-

ვილს, მარიამ ნინიძესა და გიორგი ჯავახიშვილს, გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი – **ჯულიეტა გაბოძეს**.

ნინა ტომების ანოტირებული საძიებლები, რომელთა მომზადებაში წვლილი აქვთ შეტანილი აგრეთვე მარიამ ნინიძესა და ქეთევან გიგაშვილს, ავტომატურად გადმოვიდა ნინამდებარე ტომში.

წერილთა შედარებებსა და ხელნაწერთა აღწერილობებზე იმუშავეს **მაია არველაძემ**, ქეთევან გიგაშვილმა და ქეთევან ხითარიშვილმა; რუსული წერილები ავტოგრაფებიდან გადმოწერეს **ლია კიკნაძემ** და **ეთერ ბერუაშვილმა**, ქართულად თარგმნა **არსენ ბერთლანმა**, ხოლო კორექტურაზე იმუშავა **ნათელა ლუდუშაურმა**; ოპერატორის საქმიანობა შეასრულა **ვახტანგ ზურაშვილმა**.

ტომის მომზადებაში განეული დახმარებისათვის სამეცნიერო ჯგუფი მადლობას მოახსენებს ისტორიკოს **ავთანდილ უჯმაჯურიძეს**, რომლის პროფესიონალურმა რჩევებმა და საქმიანმა წინადადებებმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს გამოცემის ხარისხი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბატონი ავთანდილი ჩართული იყო IV ტომის მომზადების პროცესშიც.

მადლიერებას გამოვხატავთ აგრეთვე **მწერალ კობა არაბულის** მიმართ, რომელთანაც სალექსიკონო მასალაზე მუშაობის დროს ვთანამშრომლობდით.

V ტომის გამოცემით მთავრდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტი, რომლის მომდევნო ნაწილიც (XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემის VI-VII ტომები) ასევე რუსთაველის ფონდმა დააფინანსა (მისი განხორციელება სამეცნიერო ჯგუფმა მიმდინარე წლის აპრილიდან დაიწყო).

ვრცელი შესავალი წერილი იხ. ჩვენი გამოცემის II ტომში: „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა, ტომი II, გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი I), თბ., 2012, გვ. 3-12.



ქეთევან ორბელიანისადმი №53 (269)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! მიკვირს და მიკვირს, რომ ეს ოთხი თვეა არც ერთის ჩემის წერილის პასუხი არ მომსვლია თქუენგან. – ეხლაც პირდაპირ ვგზავნი ამას სილნალში, სადაცა მეგულებით, და არ ვიცი გიპოვნისთ თუ არა ეს წერილი? – არცა სანდრიკოს ამბავსა მწერთ; ადრესი მაინც გამომიგზავნეთ, რომ მე პირდაპირ იმას დაუწყო მიწერა. –

დიდი ხანია ველი კნიაზ არლუთინსკის მოსვლასა შურაში, რომ წამოვიდე ზაქათალისაკენ, და არ იქნა, არც ის მოვიდა, ვერც მე დავეხსნიე. – მაგრამკი ჩემი პეტრე გამოვგზავნე ჩემის ჯორ-აქლემებით და მწევრებით, და შევცქერი ყოველ დღეს გზასა, საიდამაც უნდა გამოჩნდეს კნიაზ არლუთინსკი.

თუ სილნალში იმყოფებით, მაშა მალმალ ნახავთ ბაბაღესა ცარსკის კალოდცაში,¹ სადაცა ვლადიკავკაზსავით დაინყებს ჳელმწიფობასა, მაგრამკი მოუცდება; მანდაური კრასავიცები დაჰსჩავგრენ. – სარდიონ დიდის სიყვარულით მომიკითხე; ეგრეთვე მაგის ცოლი; მგონია არც ერთი არ მიცნობენ. – სარდიონს უთხარით, რომ მაგისგან დანერილი ცისკარში² დიდის სიამოვნებით წავიკითხე; მაგრამ მაიმუნის ხასიათის აღწერაში, რა საჭიროა სახარების სიტყვები „რამეთუ, უკეთუ, მიერით“³ და სხვანი მკუდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრებენ დაბადებაში და ძველს წიგნებში, და ეხლა აღარ ჰხმარობს ხალხი. – ახლა ეგეც გაჯავრდება. –

პატარა ალექსანდრე, ესე იგი მანანას შვილი, აქამდის აქ იყო და ეს ორი კვირა იქნება რა წავიდა ჩაჩანში კნიაზ ბარიატინსკისთან. – სტავროპოლიდამ კატოს წიგნი მომივიდა და იმის ქმრისა; ორნივ, ღთწით⁴ კარგად არიან.

მშვიდობით ძალუავ, ღთწმან⁵ მალღრსოს ხილუა თქუენ[ი].

2^ბ იანვარს 1853 წელი.
თემირხანშურით.⁶

ილია ორბელიანისადმი №82 (270)

ჩემო საყვარელო ილიკო! მოგილოცავ ახალს წელიწადსა; ღმრთის¹ მრავალჯერ და უმრავლეს განგატარებინოს ბედნიერებით, მხიარულებით, შენის ცოლით და შთამომავლობით. – იმედი მქონდა საახალწლოდ მანდ მოსვლა, მაგრამ ახლა, მგონია, ძლივ სადიდმარხოდ ჩამოვიდე. – კნიაზ არლუთინსკისა ჯერაც არა ისმისრა; არ ვიცი აქამომდის როგორ დარჩა გზაზედ? ეს ათი დღეა რა გამიგზავნია ცხენოსანი ჯარი გზაზედ ადგილ-ადგილ იმის დასახვედრად და გამოსაცილებლად, და არიქნა! – არც იწერება რა დროს მოვა; მაგრამ მაინც ჩემი ჯორ-აქლებები, კუხნა-მწევრები, გავისტუმრე ზაქათალისაკენ პეტრეს ხელთმძღუანელობასქვეშე, და შევჰყურებ ყოველს დღესა ყიზლარის გზასა. –

მთიდამ ახალი არა ისმისრა, მისმეტი, რომ მითომ ერთი ცოლთაგანი შამილას გაუშვია, უწინდელი გიმრელი, და გამოუსტუმრებია აშილთასა, სადაცა თან გამოუტანებია საიდუმლოდ დასამალავად, მითომ, შვიდი ვირის საპალნე ხაზინა. – იმის მამას აქუს ცხონება, კურთხეულს დინგაუს, ნადირშაიმაც ეგოდენი წარმოგზავნა ხაზინა ინდოეთიდამ! – საკურველია, აქეთ მხარეს ჯერ თოვლი არსად მოჩანს არც მთაში, არც ბარში.

შურაში გავმართეთ თეატრი ასე კარგად, რომ ძალიან მოგწონება; ქალებიც თამაშობენ, და მეტადრე მადამ პალარუელსკაია² დიდად გამოჩენით; – კაცებში კნიაზ ბაგრატიონი და სემენოვი საუცხოვოდ ჰსთამაშობენ.

დიდი ხანია შენი წერილი აღარ მომსვლია; და რადგანაც აქედამ წავალ პირდაპირ ზაქათალასა, იქ მომწერე და გაგზავნე, ასე რომ ჩემს მისვლაშივე იქ დამხვდეს შენი წერილი. – სანდროს ამბავი არა ვიცირა, და არც იმის ადრესი,³ სად მივსწერო? ეს ოთხი თვეა ძალუა ქეთევანის წერილი არ მომსვლია. –

ძალუა ბარბარე დიდის სიყვარულით მომიკითხე და მიულოცე ახალი წელიწადი ჩემმაგიერ, ეგრეთვე ნინუცი ჩამიკოცნე. – მშვიდობით

შენი ძმა გრიგოლი

2^ა იანვარს 1853 წელს
თემირხანშურით.⁴

ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანისადმი №1 (271)

Закаталы

Любезный мой Сандро! Князь Аргутинский привез мне твоё письмо и передал некоторые подробности о тебе. Радуюсь душевно, что Петербургский климат не вредит тебе, и что ты духом бодр и весел. Так и должно: ты уже не ребёнок. Надеюсь ты вполне постигаешь всю важность цели, для которой ты отправлен в Пажский корпус, не для всякаго доступный. Учись и учись, мой Сандро, чтоб впоследствии истинно полезною службою Великому Государю, посвящением ему всей жизни отблагодарить за все отеческие попечения, за всё внимание Его Милости, которыя постоянно оказываются нашему Краю и исключительно нашей фамилии! Молись Богу, ты Христианин!

Будь благороден во всех твоих поступках, во всех твоих помышлениях и верь, что Бог и Государь не оставят тебя без покровительства.

Ты просил у маменьки 100 руб. я их тебе посылаю. Маменька твоя и все родные здоровы.

Я недавно возвратился из Т[емир] Х[ан] Шуры, где здал, по прежнему, начальство К^о Аргутинскому. Этот переезд и потом обозрение Лезгинской Милиции не давали мне до сих пор времени писать к тебе. Через несколько дней поеду в Тифлис, откуда также напишу к тебе. Александр, сын Мананы, был у меня летом в отряде, а зимой отправил его к Князю Барятинскому в Чечню.

Прощай, мой Сандро, пиши почаще ко мне в креп[ость] Закаталы. Да хранит тебя Господь Бог!

[1853 წლის თებერვლის II ნახევარი]

ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანისადმი №1 (271)

ზაქათალით

ჩემო საყუარელო სანდრო! კნიაზმან არლუთინსკიმ ჩამომიტანა შენი წერილი და ზოგიერთი რამ დამიზუსტა შენზედა. გულითა ვჰხარობ, რომ პეტერბურლის კლიმატი არა გვნებს, და რომ სულით მხნე ხარ და მხიარული. ეგრეც უნდა: შენ ბავშვი აღარა ხარ. იმედი მაქვს, სრულადა სწედები მთელს მნიშვნელობას მიზნისას, რისთვისაც ხარ წარგზავნილი პაჟთა კორპუსში, რომელიც ყველასთვის როდია ხელმისაწვდომი. ისწავლე და ისწავლე, ჩემო სანდრო, რათა შემდგომად მადლობა გადაუხადო დიდს ხელმწიფეს ჭეშმარიტად სასარგებლო მსახურებითა [და] მისთვის მთელის სიცოცხლის მიძღვნითა მამობრივი ზრუნვისათვის, მთელი მისი ყურადღებისათ-

ვის, რომელიც მუდმივად ეთმობა ჩუენს მხარესა და განსაკუთრებულად ჩუენს გუარსა! ევედრე უფალსა, შენ ქრისტიანი ხარ! იყავ კეთილშობილი შენს ყოველს ქმედებაში, ყოველს შენს ზრახვაში და გჯეროდეს, რომ უფალი და ხელმწიფე არ მიგატოვებენ მფარველობის გარეშე.

შენ დედიკოს სთხოვდი 100 რუბ. ამას მე გიგზავნი. შენი დედიკო და ყოველნი ნათესავნი ჯანმრთელად არიან.

მე ახლახანს დავბრუნდი თ[ემირ]ხ[ან]შურიდამ, სადაც უწინდებურად ხელმძღვანელობა გადავებარე კ^ბ არლუთინსკისა. ეს მგზავრობა და შემდეგ ლეკური მილიციის დათვალეიერება აქამომდე არ მაძლევდა დროს, მომენერა შენთვის. რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრები თბილისში, საილამაც აგრეთვე მოგწერ. ალექსანდრე, მანანას ვაჟი, ზაფხულში ჩემთან იყო რაზმში, ხოლო ზამთარში კნიაზ ბარიატინსკისთან გავგზავნე ჩაჩანში.

მშვიდობით, ჩემო სანდრო, მოიწერე უფრო ხშირად ზაქათალის სიმაგრეში]. დაე, გფარვიდეს უფალი ლ^თი!

[1853 წლის თებერვლის II ნახევარი]

ელისაბედ ორბელიანისადმი №1 (272)

ჩემო საყვარელო ძალუავ ელისაბედ!

მოველ ქალაქში მოიმედე, რომ შარშანდელსავით ერთად გავატარებდით აქ ზამთარსა, მაგრამ ჩემის უბედობისაგამო, ვერა გნახე. ვმადლობ ლ^თსა¹ რომ ბაბალესი და ალექსანდრეს ხილვა მაინც მელირსა. -

აქედამ მეც მალე ავიყრები და წავალ წინანდლისაკენ ზაქათალასა; - ვნახავ დაბერებულს წინოსა და ბევრსაც მოგიგონებთ. -

ვინძლო, ძალუაჯან, არ დამივიწყო, და ზოგჯერ მომწერდე და მაცნობებდე თქუენს ამბავსა; ხომ იცი ჩემი საკუთარი ძალუა ხარ სიყრმიტგან. -

მშვიდობით, ლ² თმან² მალირსოს ხილვა თქუენი მხიარუ-
ლებით.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

მარტის 5^ბ
1853 წელი
თბილისი³

[მეოთხე გვერდზე მისამართი წერია:]

ეს წიგნი ლ⁴ თით⁴ მიერთოს
კნეინას ელისაბედს ორბელიანისას
ანანური.⁵

სვიმონ ხალიკაშვილისადმი №14 (273)

ჩემს საყვარელს სვიმონს სიყუარულით მოვიკითხავ

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

ასტაფიევს, ბრუსილოვს, ახვერდოვს, ილიას და ესტა-
ტეს, და ლიპიანს, ცხვირმოგლეჯილს ალექსანდრეს სიყუარუ-
ლით მოვიკითხავ.

[3 აპრილს 1853 წელსა შურიდან.]

К: Воронцову 4 Априле:¹ 1853. Закаталы.

Возвратившись в Закаталы из поездки по Лезгинской кардонной линии, я имел счастье получить с нарочным письмом Вашей Светлости, в котором благоугодно было Вам сообщить мне радостное известие о драгоценном подарке портрета обожаемой княгини, пересланном ей Светлостью мне через Князя Меликова. Есть случай в жизни человека, когда у него нет слов для выражения глубочайшего чувства признательности. В таком положении теперь я, и только радуюсь, и только горжусь мыслию, что милостивое внимание Ея светлости отыскало меня даже в одном из пустынных мест Закавказья.

Известия, доставленные Вашей Светл[лостью] Князем Нико Эрстовым и Ясоном Чавчавадзе о намерении Шамиля пройти в Турцию, чрезвычайно важны, но трудно верить этим слухам. Хотя после блистательных дел наших войск в Чечне, Шамиль ясно видит, что его власть там потрясена, влияние потеряно, и даже дальнейшее пребывание своё в Дарго считает не совсем безопасным, и для того он высылает, незаметно для народа, понемногу часть из своего богатства в Карату; но всё трудно верить, чтоб он решился выехать в Турцию. Во-первых, для него ещё Дагестан не потерян, а главное, он очень богат и очень скуп. Он не расстанется с своим богатством; а со выюками трудно ему, почти невозможно пробраться чрез наши границы. Но еслибы это сбылось, мне кажется, было бы очень недурно: Дагестан силён только Шамилем! Вернее всего, Данийл Султан может выполнить это, потому что ему не много терять в горах, и давно подозревается в этом намерении. Во всяком случае, хотя горы ещё покрыты снегом, я разошлю теперь же лазутчиков, чтоб разведать повернее об этих слухах.

В записке Полицмейстера, приложенной к письму Вашей Светлости ко мне, упоминаются о Корнетах Дарвиш Ажи и Тавадь-Оглы, как о недоброжелательных к нашему Правительству. Первый из них управлял дере[вней] Катехом и в 1851 году бежал в горы за то, что Белаканцы передали ему 4^е пленных Горцев для отсылки в Закаталы, и ночью эти Горцы бежали. Он в прошлом году возвратился и Барон Врангель водворил его на прежнее жительство. Он и Тавадь-Оглы люди без силы и значенія здесь, и в числе податных услуг никто их не записывает, потому что все жители здешняго округа, исключая Офицеров, платят подать со времён К[нязя] Циціанова. Чтоже касается до продажи пороха, то имея в виду прошлогодные примеры, обращаю на это строжайшее вниманіе.

Недавно я осматривал новыя деревни, устраиваемыя по плану в Таначах; места очень красивыя и чрезвычайно плодородныя. Для прямаго сообщенія между деревнями открыты новыя, широкія дороги порубкою лесов; назначен над всеми Таначинскими деревнями Пристав. Хлебопашество, шолководство, садоводство, богатейшіе зимовки для скотоводства скоро оживит здесь народонаселеніе, и таким образом прежнее жилище разбойников делается источником богатства и благосостоянія для Джарских жителей.

Ея Светлости Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу моё глубочайшее уваженіе.

კ: ვორონცოვსა. აპრ: 4^{სა} 1853. ზაქათალით.

ზაქათალას დაბრუნებულს ლეკური საკორდონო ლინიიდამ, ბედნიერება მქონდა, ნაროჩნით მიმელო თქუენის ბრწყინვალების წერილი, რომელშიც თქუენის კეთილი ნებით გასურდათ გეცნობებინათ ჩემთვის სასიხარულო ამბავი სათაყვანებელი კნიაგინიას ძვირფასი პორტრეტის ჩუქების შესახებ, რომელიც მისი ბრწყინვალების მიერ გადმომეცა კნიაზ მელიქოვის ხელითა. ადამიანის ცხოვრებაში არის შემთხვევა, როცა მას არ გააჩნია სიტყვები უღრმესის მადლიერების გადმოსაცემად. ასეთ დღეში ვარ ახლა და მხოლოდ მიხარია და მხოლოდ ვამაყობ აზრით, რომ კავკასიის ერთს უკაცრიელს ალაგსაც კი მომაგნო მისი ბრწყინვალების მოწყალე ყურადღებამან.

კნიაზ ნიკო ერისთავისა და იასონ ჭავჭავაძის მიერ თქუენის ბრწყინვალებისათვის] მოწოდებული ამბავი შამილის განზრახვის შესახებ, გადავიდეს ტურციაში, უკიდურესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ძნელია დაუჯერო ამ ხმებსა. თუმცა ჩაჩანში ჩუენის ჯარების შესანიშნავი საქმეების შემდეგ შამილი ცხადად ხედავს, რომ მისი ძალაუფლება იქ შერყეულია, გავლენა დაკარგული აქვს და დარღობი თავის შემდგომს ყოფნასაც კი არ სთვლის უსაფრთხოდ და ამიტომ ის საკუთარი სიმდიდრის ნაწილს, ხალხისგან უჩუმრად, ცოტ-ცოტას გზავნის კარატაში; მაგრამ მაინც ძნელია დაჯერება იმისა, რომ მან გადანყვიტოს ტურციაში წასვლა. ჯერ ერთი, მისთვის დალისტანი ჯერ არ არის დაკარგული და, რაც მთავარია, ის ძალიან მდიდარია და ძალიან მომჭირნე. ის ვერ დასთმობს თავის სიმდიდრეს; ხოლო საპალნეებით მისთვის ძნელია, თითქმის შეუძლებელი, ჩუენს საზღვრებზედ გადასვლა. მაგრამ თუკი ეს მოხდებოდა, მე მგონია, საკმაოდ კარგი იქნებოდა: დალისტანი მხოლოდ შამილით არის ძლიერი! ყველაზე უკეთ დანიილ-სულთანს ძალუძს ამის ქმნა, რამეთუ მას ბევრი არაფერი აქვს მთაში დასაკარგი და დიდი ხანია, ეჭვიმითანილია ამ განზრახვაში. ყოველს შემთხვევაში, თუმც მთები თოვლითაა დაფარული, მე ახლავე გავგზავნი მსტოვრებსა, რათა უფრო დაზუსტებით გავარკვიო ამ ხმების შესახებ.

თქუენი ბრწყინვალების მიერ ჩემთვის გამოგზავნილ წერილზე დართულ პოლიცემისტრის ზაპისკაში მოიხსენიებიან კორნეტები

დარვიშ აჭი და თავად-ოლლი, როგორც ჩვენი მთავრობის მტრები. მათგან პირველი სოფ[ელ] კატეხს მართავდა და 1851 წელს იმის გამო გაიქცა მთაში, რომ ბელაქნელებმა მას 4 მთიელი ტყვე გადასცეს ზაქათალაში გადასაგზავნად და ღამით ეს მთიელები გაექცნენ. იგი შარშან დაბრუნდა და ბარონმა ვრანგელმა ის უწინდელს ალაგას დააბინავა. ის და თავად-ოლლი აქ ძალასა და გავლენას მოკლებული ხალხია. საგადასახადო მომსახურებაში მათ არავინ ანგარიშობს, რადგან ამ ოკრულის ყველა მცხოვრები, ოფიცრების გამოკლებით, გადასახადს იხდის კ[ნიაზ] ციციანოვის დროიდან მოყოლებული. რაც შეეხება დენტის გაყიდვას, შარშანდელი მაგალითების გათვალისწინებით, ამას გაძლიერებულ ყურადღებას ვაქცევ.

ამასწინათ მე ვათვალისწინებდი ახალ სოფლებს, რომლებიც გეგმის მიხედვით ეწყობა ტანაჩში; ადგილები ძალზედ ღამაზია და უაღრესად ნაყოფიერი. სოფლებს შორის პირდაპირი კავშირისთვის ტყვეების გაკაფვით გახსნილია ახალი, ფართო გზები; ტანაჩის ყველა სოფელში დანიშნულია პრისტავი. ხენა-თესვა, აბრეშუმის წარმოება, მებაღეობა, უმდიდრესი საზამთრო ალაგნი მესაქონლეობისთვის მალე გამოაცოცხლებს აქ მცხოვრებლებს და, ამგუარად, ყაჩაღთა ყოფილი საცხოვრებელი სიმდიდრისა და კეთილდღეობის ნყაროდ იქცევა ჭარელი მოსახლეობისათვის.

მის ბრწყინვალებას კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევანსა და ღრაძინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ქეთევან ორბელიანისადმი №54 (275)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მარტის 22^ლ მომივიდა მშვიდობიანად; იმ წერილში თამარ ინერება რომ თქვენ ყვავილი აგიჭრიათ. – მეტად გოლიათის აგებულებისა რომ ბძანდებით ნუ დაიშლით ძალათ ავათმყოფობასა. ერთხელ ხომ უნდა მოვკუდეთ და ბარემ ეხლავ წყალში გადავარდეთ! ეს არაფერი, თავი დავანებოთ!

აი მომირთმევეია სანდრიკოს წერილი, რომელიცა მომი-
ვიდა ამისწინად. – ლ^ა თით¹ კარგად არის და ფულიც მიუღია.

–
ძალუავ გთხოვ მაშინვე პირველს ფოშტაშივე გამომიგ-
ზავნო წყვილი ეპოლეტები, რომელიც უნდა იყოს დაშლილი
და მოკლე, რომ ჩემს მხრებს გამოადგეს. – ან თხუთმეტი,
ანუ თვრამეტი მანათი ფასი, და ხომ იცით ბლუჯუულად მოგ-
ცემთ. – ასეთს ბაღს ვაკეთებინებ, რომ ინდოეთში არ იქნება
ამისი მზგავსი. –

გიჟი ნიკო იყო ჩემთანა, თითქმის ორი კვირა დაჰყო და
დღეს წავიდა შინა. – დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ
სიყვარულით, ეგრეთვე პატარა ალექსანდრე ჩაჩანი. –

წელნაზი თამარ ჩამიკოცნე, ეგრეთვე სოფიკო.

მშვიდობით. თქუენი მორჩილი მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი

10^ბ აპრილს 1853 წელი.
ზაქათალით.²

მიხეილ ვორონცოვისადმი №26 (276)

11^ა Апрель: 1853 года К: Воронцову.¹

Вашей Свет^а имею честь доложить, что недавно один
из Почётных жителей Джурмутскаго общества был у меня
здесь с просьбою дозволить ему заниматься торговлем. Не
зная положительно мненія Вашей Светлости по этому
предмету, я, однакож, разрешил ему, как старому
знакомому, только один раз привести два вьюка бурок на
продажу. Он, между прочим, сообщил мне о Султане

следующее: Султан в прошлом году подозреваем был в намерении бежать к Русским и потому находился в немилости у Шамиля, который однакож вызвал его в Чеченскую экспедицию, и когда дела там окончились, то удержал его у себя в Дарго под разными предлогами, и потом по приказанию Шамиля перевезли туда же семейство его из Ириба. Найбом же, или лучше сказать, Мудиром, вместо Султана назначен племянник Кибита Магомы, по имени, если не ошибаюсь, Кизимагома.

Недавно опять отличились Белаканские охотники, под кинжалами которых пал ещё один из убийц Князя Эристова – Джарский беглец Симану и с ним два его товарища из Горцев. С нашей стороны убиты два из Белаканских жителей и ранены два.

Ревностное усердие и преданность к Правительству Белаканских жителей, которые в продолжении последних трёх лет постоянно отмечаются замечательною храбростью при встрече с хищническими партиями, достойны милостиваго вниманія Вашей Светлости.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу моё глубочайшее уваженіе.

მიხეილ ვორონცოვისადმი №26 (276)

1853 წლის აპრილის 11^{სა}. კ: ვორონცოვსა

პატივი მაქვს მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეობას, რომ ამას-წინათ აქ ჩემთან იმყოფებოდა ჭურმუტის საზოგადოების ერთ-ერთი პატივისცემი წევრი, რომელმაც მთხოვა, ვაჭრობის ნებართვა მიმეცა. გადაჭრით არ ვიცოდი თქვენის ბრწყინვალეობის აზრი ამ საკითხზედ და მე, ამის მიუხედავად, ნება დავრთე მას, როგორც ძველ

ნაცნობს, მხოლოდ ერთხელ ჩამოეტანა გასაყიდად ნაბდების ორი საპალნე. მან, სხუათაშორის, სულთანზედ მაცნობა შემდეგო: შარშან სულთანი ეჭვიმიტანილ იქნა რუსებთან გამოქცევის განზრახვაში და ამიტომ მას არცთუ დიდად სწყალობდა შამილი, რომელმაც მაინც უხმო მას ჩეჩნეთის ექსპედიციაში და, როცა იქ საქმეები დასრულდა, თავისთან დაიტოვა იგი დარღოში სხუადასხუა მიზეზითა და შემდეგ მისივე ბრძანებით ირიბიდამ იქვე გადაიყვანეს მისი ოჯახობა. ნაიბად კი, ან უფრო სწორედ, მურიდად, სულთნის ნაცვლად დანიშნულია ყიბიტ მაჰმადის ძმისშვილი, სახელად, თუ არ ვცდები, ყიზიმაჰმადი.

ამასწინათ ისევ გამოიჩინეს თავი ბელაქნელმა მონადირეებმა, რომელთა ხანჯლებითაც მოკვდა კნიაზ ერისთავის კიდევ ერთი მკვლელი – ჭარელი ყაჩალი სიმანაუ და მასთან ერთად მისი ორი მთიელი ამხანაგი. ჩუენის მხრიდამ მოკლულია ორი და დაჭრილია ორი ბელაქნელი.

მთვრობისადმი თავგამოდება და ერთგულება ბელაქნელთა, რომელნიც ბოლო სამის წლის მანძილზედ მუდმივად გამოიჩინვიან შესანიშნავი სიმამაცით მტაცებლურ პარტიებთან შეხვედრისას, ღირსია თქუენის ბრწყინვალეების მონყალე ყურადღებისა.

უნმიდეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიენასა და ღრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ილია ორბელიანისადმი №83 (277)

ჩემო საყვარელო ილიკო! შენი ფილიმონა მომივიდა უკრაგ-უგინებლად, მშვიდობიანად და იმავ საღამოზედკი მიიძინა და დღეს რომ ვჭკითხე, დაღალულობისაგან მეძინაო; და მეც დაუფუერე. – მთავარმართებელს მოველი კნეინითურთ და გადამდის ხვითქი მეტის ფაციფუცობით; რავჰქნა, მე მაგათი ჩვეულება და ჟინები არ ვიცვი; შუშხუნების პლანებში ვიყავ, გამკეთებელი ვერსად ვერ ვიშოვე; ამ წყეულს ზაქათალაშია-ცა¹ არა არისრა სრულებით იმისთანა ნუგბარი² კნეინის მისართმევად; და თუ მირჩევ, ორიოდ ყაჩალის თავებს მოვაჭ-

რევიზიები და მივართმევ. – ახრში მე რომ ვხედავ, ისევ შენმა ფილიმონმა უნდა კაცად გამომიყვანოს, და დღესვე დილით ადრიან დიდი მასლაათი მქონდა, და თუ დაიჯერება ამის სიტყვები, თითქმის შინაკაცი კნიაზ ვორანცოვისა ესა ყოფილა „помилюйте, как мне не – знать“² სულ ამას მეუბნება და მეც გოცებით ყურს ვუგდებ. – ახლა ამან იცოდეს და ამისმა სულმა, – თუსული აქუს – თუ მე პირშავად გამომიყვანა მთავარმართებელთანა.

არვიცი მოგწერე თუ არა, რომ ამასწინად ბელაქნელებმა მომართვეს სამი ყაჩალის თავი, რომელთაშორის იყო ერთი დიახ გამოჩენილის ვაჟკაცისა ჭარელისა, რომელიცა ერია ერისთვისშვილის მკვლელებში, სიმანაუ,³ რომელიცა ოც[დ]ათის კაცით ჩამოსულიყო და აპირებდა ალაზანში გასვლასა ქიზიყისაკენ; მოასწრეს ბელაქნელთა და კარგი ომიც მოუვიდათ, რომელშიაც ორი ბელაქნელი მოკუდა და ორი დაიჭრა.–

შევიტყე, მითომ ბარონ ვრანგელი მისდევს ბარიატინსკისა; რათა და რისთვის? ეგრეთვე ბებუთოვი თურმე შეუყენებიათ პეტერბურღში, ესეც რათა და რისთვის? – ვაჟო, პოლიტიკისასკი არას იწერებიდა? ძალუა ბარბარე ჩამიკოცნე; ეგრეთვე ნინუცა.

ჩემს საყვარელს ყაფლანს, ჩინებულს ყაფლანს მიულოცე მშვიდობით მოსვლა თავის სამშობლოს ოჯახში, რომელსაცა, ვურჩევ, რომ ეგვიერჩიოს ყველას დიამბეგობასა. – სულ მაგის პოდსუდობისა მეშინოდა, და ახლა მიხარია გულით, რომ განსაცდელს გადარჩენია.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

13^ა აპრილი 1853

ზაქათალით.⁴

² რას ბრძანებთ, როგორ არ ვიცნობ.

ჩემო ძმაო ილიკო! ღთ^{ის}1 შენეენითა, კარგად, ჩინებულად, დიდკაცურად, დავატარე მთავარმართებელი კნეინითურთ ელისუმდის და იქიდამ მულალნომდის. ყველგან დიდს მადლობას მიბძანებდა და მართლად ყველა რიგზე იყო: ხალხი, ჯარი, სახლები მომართულ-მოკმაზულ-გაბრწყინვებულნი, და ამასთანა თვთ მთავარმართებელიცა იყო დიდად მხიარულად; ნამალსაც აღარა ჰსვამდა, მადაც გაეხსნა და იყო მხიარულს გუნებაზედ; ზაკუსკები, სადილები ოჯახურად გაჭიმულები: ციდამ მფრინველნი, კავკასიიდან ყინული, ტყიდან ნადირნი, ზღვიდამ თევზნნნნი, მოდიოდენ და მოდიოდენ; სუფი და სჩი ევროპიისა, მწუადი ქართული, ფლავი ირანისა, ცივად ბატკანი ავარიისა, ნარინჯ ვათურიწ და სხუანი და სხუანი. – ახლა მანდ შეიტყობ დანარჩომსა, რასაცა არ ვამბობ გულმავინყობითა. – შენი დიდთავა გრანადერები ჩინებულად იყვნენ ვეება კაკლის ქვეშ დამწკრიებულნი და მართლად მოსანონნი; პატარა მალხაზიჩი წარუდგინე კნიაზსა² და კნეინას, და ძალიანაც უალერესეს; ეს ახარე ივანესა, ვიცი იამება. – ვეჩქარები წერასა, თავს მადგას გრიგოლ მუხრანსკი, აქეთ იქით ახვერდოვი, ბრუსილოვი ერთის საპალნე წიგნებითა. –

ერასტ სტეფანიჩმა მიიყვანა ჩემი არენდის საქმე იქამდის, რომ მანამ წარმადგენს კნიაზი, თავის სუმმიდამ მამცემს 1250 რუბლ: ყოველს წელსა, დააღმითქვა, რომ მალე წარგადგენო, მაგრამ ჳელმწიფე კი ჯავრობსო არენდის წარდგენაზედაო. – ამწლისა კი ეხლავე მომცა; მაგრამ ერთიანად მოცემა, ბლუჯეულობა სხუა არის.³ –

ძალუა ჩამიპროშტე და უთხარ რა არის მაგოდენი წუნუნითქო? როგორ დაგხვდა და ან ახლა როგორ არის, მომწერე; არა, თვთონ მომწეროს თავისის ხელითა. – წინუცას ვაკოცებ.

9^ა მაისს 1853.

ზაქათალით.⁴

შენს ზაპისკაში რაც ეწერა ყველა აღვასრულე.

რუბ. (მან.)

ქეთევან ორბელიანისადმი №55 (279)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! იაკინთეს ჩემმაგიერ უთხარით, რატომ აღარ გამომიგზავნა ზაქათალაში იმერელი აზნაურშვილი, რომელიცა მაჩვენა ქალაქში და მთხოვა მისი განწესება აქ სადმე სამსახურში? –

ძალუა ნინო, თამარ ნელნაზი, სოფიკო, მოსულან დედოფლისწყაროზედ ბაბალესთან, და ელიან მის ძეობასა. მეც მინდა ორის დლით იქ გასვლა, თუ საქმეებმა არ დამაბრკოლეს; ბევრსკი ვიჩახჩახებთ.

ჩვენი ივანე და ალექსანდრე ჩაჩნიდამ მოსულნი მანდ იმყოფებიან, თუ დედასავით სხუაგან ჰსცხოვრებენ? –

თქვენი სეხნია ქეთევან გულ-ტრედი დიდის სიყვარულით მომიკითხე.

სანდრიკოსი დიდხანია წერილი აღარ მომსვლია.

თქვენი ძმა პლატონ ხან ჩერქეზობს, ხან ტრანცუზობს, ხან ვეება ხანჯლით დაბძანდება, ხან ტრაკითა; ყოველს დღეს ამისი ფერისცვალებაა.

ჩემს საყვარელს სარდიონს თავის მეუღლით გულითადს მოკითხვას და პატივისცემას მოვახსენებ; მამათქვენს მარჯუენეს ვეამბორები. – ქაჩალი მაჩაბელი უფრო გაქაჩლდა.

29^ბ მაისს 1853

ზაქათალით¹

ილია ორბელიანისადმი №85 (280)

ჩემო საყვარელო ილიკო! ორი ფოშტა გავიდა და შენგან არა მივიღერა ამბავი, მაშინ როდესაც ალიოსმალო ხმალსა ჰლესავს ჩვენთვისა. თუ შენ გეზარება, ანუ არა გაქვს დრო, ეგ შენი სეკრეტარი ხომ მანდა გყავს, სახელად ბარბარე, დასვი და მოანერინე ჩემთანა. – აქ ამბობენ, მითომ ვინცავინ ჩვენნი¹ კონსულთაგანნი ყოფილან აზიის ტურციაში, სულ თბილისში მოსულან, – ეს მგონია ტყუილი იყოს, მაგრამ ახრ, მაშ მომწერე რა არის მართალიდა?

შენს ჩარჩოებსა² ვამზადებინებ ბელაქანშია. – ერთს პარკსა ფულებით გატენილსა გამოვუგზავნი ძალუა ბარბარესა, რომ თავის ვკუსზედ ლაზათიანად ჩემი ოთახები³ მომიმზადოს, მორთოს, მოკმაზოს, მოსარკე-ბროლიანოს, მოხავერდ-მუთაქ-ბალიშიანოს, და რასაცა იქს მე ადრევე ყაბული მაქუს. –

აქა მყავს დემანტოვიჩი, და აი რა ჰსთარგმნა სპარსულიდამ. მგონია საადი⁴ ჰსწერს, და მშვენიერი ჰაზრიც არის; და რა საკურველია სპარსულს ენაზედ დიახ მშვენიერი უნდა იყოს.

Меж двух обольстительницъ сердца – сижу;

На каждую съравною любовью гляжу;

Прелестъ вы обе, очей наслажденье!

Скажите, которой отдать предпочтенье?

Тебе-ли, что миром⁵ я назвал моим?

По воле Аллаха владея над ним;

Тебе-ли, что жизнью⁶ я назвал моею,

Блаженствуя сердцем и радуясь ею?..
Властителю Царство и Славу дарю!
Одна из вольшебниц сказала Царю:
„Что царство без жизни сказала другая,
Раскошно и страстно Царя обнимая!“
Тут Вечность – небесная дева души,
Сказала: и Миръ твой и жизнь хороши!
Но ведай и помни, что тленные обе,
Они не утешат властителя в гробе;
Тубе я с собою Безсмертье даю;
Оно лишь украсит Порфиру твою!*

ამ უამად სხუა მოსანერი არა გახლავსრა, მხოლოდ მის მეტი, რომ ჩემმაგიერ ბარბარეს შუბლზედ აკოცე; ნინუცა ჩამიკოცნე.⁷

შენი ძმა გრიგოლი

12^ლ ივნისს 1853
ზაქათალით⁸

* ვზივარ გულის ორ მაცდურს შუა;
ტოლფარდი ტრფობით ვუმზერ ორივეს;
მშვენება ხართ ორივენი, სიტკებო – მზერისთვის!
მარქვით, რომელს მოგარგოთ პირველობა:
შენ ხომ არა, ვისაც სამყარო გინოდე ჩემი,
ალაპის ნებით ვბატონობდი რა მასზე?
შენ ხომ არა, ვისაც სიცოცხლე ვუნოდე ჩემი,
გულით ვნეტარებდი რა და ვხარობდი მისით?..
მბრძანებელს სამეფოს ვჩუქნი და დიდებას!
მოახსენა მეფეს ჯადოქართაგან ერთ-ერთმა:
„რაა სამეფო უსიცოცხლოდ, ბრძანა მეორემ,
ეხვეოდა რა მეფეს ზვიადად, ვნებინად!“

აქ მარადისობამ, სულის ციურმა ქალწულმა,
პრქვა: სამყაროც კარგია შენი და სიცოცხლეცა!
მაგრამ უწყოდე და გახსოვდეს: წარმავალია ორივე;
ვერ დაამშვიდებენ ისინი მბრძანებლის კუბოს;
მე უკვდავებას გატან თან;
მხოლოდ ის შეამკობს მოსასხამს შენსას!

ქეთევან ორბელიანისადმი №56 (281)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდიხანია თქვენი ამბავი აღარა ვიცირა, და ეს მესამე კვირა არის, რა არცა ილიასაგან მომსვლია ამბავი; არ ვიციკი რა საქმეში ხართ, რომ ერთის წერილისათუსაც ვერ მოგიცლიათ?

ჩვენი ივანე და ალექსანდრე მოსულან დიდიხანია ჩაჩნიდამ, და მეც დიდიხანია რა ივანესა მოვსწერე წერილი, მაგრამ არც იმისგან მომივიდა პასუხი.

ამასწინად გთხოვეთ წერილითა, რომ იაკინთესათუს გეკითხათ, რატომ არ გამოგზავნა ის იმერელი აზნაურშვილი, რომელიცა მაჩვენა ჩემს ქალაქში ყოფნას, მგონია იაკინთესათუს არა გითქვამსრა. –

ყაფლანის ამბავსაც არასა მწერთ; ახა ლ~თო¹ ჩემო, მონერეთ და? –

სოლომონ ონიკოვისაგან ერევნიდამ ხომ არ დაგიბარებიათ მარმარილოს² ქვა? შემატყობინეთ.

სანდრიკოსი რა იცით, ისიც შემატყობინეთ.

რაც არ იცით, ისიც შემატყობინეთ. – ამასწინად მინდოდა დედოფლისწყაროზედ გასვლა ბაბალესთან, თამარის და ნინოს სანახავად, მაგრამ ვერ მოვიცალე, ჰარაი ბევრი გამოჩნდა.

სწორედ აქამდის რომ დავსწერე, დაიძახეს მდევარი, ღამისა მეთერთმეტე საათია; გამოვიდნენ სირბილით ჯარები, გაირბინეს ერთი ვერსტი, როდესაც მოიჭრა კაცი, რომ ტყუი-

ლიაო. – მეც დავბრუნდი და ესე შევასრულე ამით, რომ შუა
ღამეა, და მეძინება.

მშვიდობით, თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

18^{სპ} ივნისს 1853

ზაქათალით⁴

მისეილ ვორონცოვისადმი №27 (282)

К: Воронцову¹ 8^ლ июля 1853. Закаталы.

Вашей Светлости имею честь представить план Древней Церкви Гаварскаго поселенія, которая ныне по воле Вашей обновляется. Я опоздал представлением этого плана, потому что несколько раз вынужден был возвращать его назад для переделки.

При этом докладываю Вашей Светлости, что в Джаробелаканском округе до сих пор мирно, и только в прошлом месяце спокойствіе было нарушено нападеніем непріятельской партіи на сел: Сапунги, которая впрочем понесла значительный урон при преследованіи ея нашими войсками. Напротив, непріятель более тревожит левый фланг линіи, унося иногда добычу, но чаще бдительностью караульных грузинской дружины, расположенных на самых вершинах главнаго хребта Кавказа, возвращается уроном.

От сел[енія] Катех до вершины Месельдегера, где теперь строится укрепленіе, проложена на разстояніи 10^м вёрст, прекрасная дорога от 5^л до 7^л аршин ширины. Церкви в Кахе и Кохогане, надеюсь, окончатся до осени, к великой радости Энгелуйцев, даже не принявших ещё Святое Крещенію. В

Закаталах жары, можно сказать, ещё не наступали; дожди по временам освежают воздух, и здоровье в нижних чинах очень в удовлетворительном состоянii, но Август месяц, самый страшный для здоровья, ещё впереди.

Вашей светлости угодно было приказать мне прислать к Вам четыре больших кинжала, какіе назначены Милиціонерам Грузинской Дружины. Один из них Князь Шаховскій взял с собою, но остальные, по случаю поста Рамазана, задержаны были в работе до сих пор. Теперь же три кинжала имею честь переслать Вашей Светлости.

Оканчивая это письмо, я получил из горы Мисельдегера известіе, что рота Мингрельскаго Егерскаго полка, возвращаясь с фуражировки, имела сильную схватку с весьма значительною партією Горцев, которую опрокинули штыками в глубокой овраг, но к сожаленію в этом деле убит Маіор Дубровин ружейною пулею. Сегодня ожидаю подробное донесеніе об этом деле.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

მიხეილ შორენცოვისადმი №27 (282)

კ: ვორონცოვს. ივლისის 8^{სა} 1853. ზაქათალით.

პატივი მაქუს, თქუნს ბრწყინვალებას წარვუდგინო გეგმა გავარის დასახლების ძველი ეკლესიისა, რომელიც ამჟამად ახლდება თქუნის ნებისაებრ. მე დამავციანდა ამ გეგმის წარდგენა, რამეთუ იძულებული ვიყავ, რამდენიმეჯერ დამებრუნებინა იგი გადასაკეთებლად.

ამასთანავე, თქუნს ბრწყინვალებას ვამცნობ, რომ ჭარბელაქნის ოკრუღში აქამომდე სიმშვიდეა და მხოლოდ გასულს თვეში დაირღვა მშვიდობა, როს სოფელ საპუნგს დაეცა მონინაალმდეგის

პარტია, რომელმაც, უნდა ითქვას, მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა ჩვენის ჯარების მხრიდან დევნითა. პირიქით, ლინის მარცხენა ფლანგს უფრო აწუხებს მტერი, ხანდახან ნადავლის წაღებასაც ახერხებს, მაგრამ უფრო ხშირად დანაკარგით ბრუნდება კავკასიონის მთავარი უღელტეხილის ყველაზე მაღალ მწვერვალებზედ განლაგებული ქართველთა დრუჟინის ყარაულთა სიფხიზლის წყალობით.

სოფელ კატეხიდამ მესელდეურის მწვერვალამდე, სადაც ეხლა გამაგრება შენდება, 10 ვერსის მანძილზედ გაყვანილია 5-იდან 7 არშინამდე სიგანის მშვენიერი გზა. ეკლესიები კახსა და კახოვანში, ინგილოელთა სასიხარულოდ, რომელთაც ჯერაც არ მიუღიათ წმიდა ნათლობა, ვიმედოვნებ, შემოდგომამდე დასრულდება. შეიძლება ითქვას, ზაქათალაში სიცხეები ჯერ არ დამდგარა; წვიმები ჟამიჯამ აცოცხლებს ჰაერსა და დაბალჩინოსანთა ჯანმრთელობის მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია, თუმცა ჯანმრთელობისათვის ყველაზე საშიშელი აგვისტოს თვე ჯერ კიდევ წინა გვაქვს.

თქვენს ბრწყინვალეობას ჰსურდა ებრძანებინა ჩემთვის, გამოემეგზავნა ოთხი დიდი ხანჯალი, რომლებიც განკუთვნილია ქართული დრუჟინის მილიციელთათვის. იქიდან ერთ-ერთი კნიაზმა შახოვსკოიმ წამოიღო, მაგრამ, რამაზანის მარხვის გამო, დანარჩენი აქამომდე შეყოვნებული იყო საქმეში. ან კი პატივი მაქვს, სამი ხანჯალი გადმოუგზავნო თქვენს ბრწყინვალეობასა.

ამ წერილის დასრულებისას მე მესელდეურის მთიდან ცნობა მივიღე, რომ ფურაჟირებიდან დაბრუნებისას მეგრელების ეგერთა პოლკის ასეულს ძლიერი შეტაკება ჰქონდა მთიელთა მნიშვნელოვან პარტიასთან, რომელიც ხიშტებით უკუისროლეს ღრმა ხევში, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საქმეში თოფის ტყვიით მოკლულია მთავარი დუბროვინი. დღეს ველი დანვრილებით მოხსენებას ამ საქმეზედ.

უბრწყინვალეს კნიაგიანია ელიზავეტა ქსავერიევნას და ღრაძინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

23 յուլյ 1853. Կ: Воронцову.¹ Закаталы.

Воля Вашей Светлости относительно нападенія по временам нашими войсками на пограничныя непріятельскія деревни выполнена прекрасным распоряженіем полков[ника] К[нязя] Меликова и дружным своевременным содействіем К[нязя] Чолокаева; со стороны Тушетіи две дидойскія деревни Хвitraха, известныя своим крепким местоположеніем и храбростью жителей, совершенно уничтожены неотразимым натиском наших войск, между которыми в особенности отличились Милиціонеры Грузинской Дружины замечательною храбростью.

Подробное донесеніе Полков: К: Меликова усею представляется Вашей Светлости; я же с своей стороны приѣмлю смелость повергнуть почтительнейшую мою прозьбу о исходотайствованіи знамени Грузинской пешей Дружине, во вниманіе постоянно отличной ея службе и замечательной храбрости, оказываемыя в непрерывных делах противу Горцев. Всемилостейшая эта награда возбудит в Грузинской Дружине новыя силы, новое мужество, к перенесенію чрезвычайно тяжкой службы, занимая Кардонную линію почти на самом главном хребте Кавказа, или в дремучих, в пустынных лесах за Алазанских.

მიხეილ ვორონცოვისადმი №28 (283)

23 იელისი 1853. კ: ვორონცოვსა. ზაქათალით.

თქუენის ბრწყინვალეების ნება მტრის სასაზღვრო სოფლებზე ჩუენი ჯარების მხრიდან ჟამიჟამ თავდასხმებთან დაკავშირებით შესრულებულია პოლკოვ[ნიკ] კ[ნიაზ] მელიქოვის შესანიშნავი მართვითა და კ[ნიაზ] ჩოლოყაყევის დროული თანადგომით. თუშეთის მხრიდამ ხოტრახოს ორი დიდოური სოფელი, ცნობილი თავისი მიუდგომლობითა და მობინადრეთა სიმამაცით, მთლიანადაა განადგურებული ჩუენის ჯარების მოუგერიებელი ზენოლით, სადაც შესანიშნავი სიმამაცით განსაკუთრებულად გამოიჩინეს თავი ქართული დრუჟინის მილიციელებმა.

თქუენს ბრწყინვალეებას წარედგინება პოლკოვ: კ: მელიქოვის დაწვრილებითი მოხსენება; მე კი ჩემის მხრიდამ ვჰბედავ გაახლოთ ჩემი უმორჩილესი თხოვნა, რათა ვიშუამდგომლო დროშის გადაცემის თაობაზედ ქართული ქვეითი დრუჟინისათვის. ყურადსაღებია მისი მარად გამორჩეული მსახურება და შესანიშნავი სიმამაცე, რასაც ავლენს მუდმივ საქმიანობაში მთიელთა წინააღმდეგ. ეს ყოვლადუმონყალესი ჯილდო ქართულ დრუჟინაში გააღვიძებს ახალ ძალებს, სიმამაცეს უმძიმესი სამსახურის გადასატანად საკორდონო ლინიის დაკავებისას კავკასიონის უმთავრესს ქედზედ, ანდა უღრანს, უკაცრიელს ტყეებში ალაზნის იქით.

მიხეილ ვორონცოვისადმი №29 (284)

8 Августа 1853. Закаты. ¹ К: Воронцову.

Храбрые Мингрельцы славно от[о]мстили неприятеля за смерть своего Маюра Дубровина. Джурмутский Найб Бакрак Али разбит ими на голову. Это было 23 июня: Команда из 40 человек поднималась с вьюками провіанта из Катех к Мисельдегеру. Сильная неприятельская партія в числе 500

челов[ек] под предводительством Найба Бакрака внезапно остановила эту команду, но Поручик Барбашев с необыкновенным мужеством, невзирая на малочисленность своей команды, встретил Горцев метким ружейным выстрелом, и в тоже время 90 охотников, высланные из Мисельдегера навстречу команды, в веденіи Поручика Ищенко, как львы, бросились на непріятеля, который таким образом был поставлен между двух огней, и поражаемый с обеих сторон, понёс сильную потерю; вскоре прибежал и Маіор Вичей с двумя ротами и тем окончательно рассеял в беспорядке толпу непріятеля, который оставил на месте 14 тел. Не довольствуясь этим Подполк[овник] Критцкій спустил две роты в ущелье, по которому непріятель должен был проходить и, действительно, Горцы, накануне разбитые, вновь наткнулись на засаду и вновь понесли поражение, оставив и здесь 7 убитых, в числе которых считают лучших людей Джурмута. Множество оружия досталось в добычу нашим солдатам.

О несчастном случае разграбленія почты близъ Шамкора известно до сих пор, что эта шайка составлена была из беглецов Нухинских, Джарских, Енисельских и Казахских, атаманом которых был Магаррам, беглец из сел[енія] Сарляр. Путь обратнаго их следованія также известен. Князь Мухранскій деятельно занимается открытіем тех из жителей, которые, быть может, оказали какое-либо содействіе тем разбойникам. Но путь, по которой эта шайка спустилась из гор, ещё не совсем положительно известна. Правда, в первых числах Іюля Джарскіе Караульня дали мне знать вечером о спуске небольшой конной партіи с горы Гудурдага, но эта была ли та самая шайка, с точностью нельзя ещё сказать. На другое же утро несколько тысяч вооружённых жителей были посланы мною для обыска в Таначинскіе леса и тогда же сообщено Начальнику Алазанской линіи и по всем деревням округа. В Таначах никого

не нашли, но в Белаканах сделанная засада разбила партию хищников, гнавшую нескольких украденных быков и убили одного Горца великаго вора; вблизи Алмало также разбила партию хищников и убили одного Качага; на Керибаше также убили одного; и всё это случилось тотчас после распространившейся тревоги о спуске Конной партии; за Алазанию никакие следы не открыты нашими разведчиками и караульными. Таким образом, спокойствие опять восстановилось, как вдруг получаю по эстафете известие о разграблении почты. Тотчас же были приняты всевозможные меры к пресечению дорог, но, к несчастью, без успеха: Шайка грабителей уже прошла чрез гору Кумбаш.

Как я имел честь доложить Вашей Светлости, Князь Мухранский тщательно собирает все сведения об этой Шайке, разведывает, не имели ли грабители где-нибудь у жителей пристанища и не имеют ли здесь сообщенія? И всё, что окажется, со всею мелочною подробностью я буду иметь честь представить Вашей Светлости.

Светлейшей Княгине Елисавете Ксавериевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уважение.

მიხეილ შორონცოვისადმი №29 (284)

8 აგვისტო 1853 ზაქათალით. კ: ვორონცოვს.

გულადმა მეგრელებმა სასახელოდ იძიეს შური მტერზედ თავინთი მაიორის დუბროვინის სიკუდილისა გამო. ჯურმუთის ნაიბი ბაკრაკ ალი სრულად განადგურებულ იქნა მათ მიერ. ეს იყო 23^ა ივნისსა: 40-კაციანი რაზმი პროვიანტის საპალნეებით ადიოდა კატეხიდამ მესელდეღერისაკენ. მტრის 500-კაც[იანმა] ძლიერმა პარტიამ ნაიბ ბაკრაკის მეთაურობით უცაბედად შეაჩერა ეს რაზმი, მაგრამ პორუჩიკი ბარბამევი, თავისი კომანდის სიმცირის მიუხედა-

ვად, გასაოცარი სიმამაცით შეხვდა მთიელებს ზუსტი სათოფე სროლითა. ამავდროულად, რაზმის შესახვედრად მესელდელერიდამ გაგზავნილი 90 მონადირე, პორუჩიკ იშჩენკოს წინამძღოლობით, ვითარცა ლომი, ეძგერა მონინაალმდეგეს, რომელიც ამგვარად ორ ცეცხლს შუა იქნა ჩავარდნილი და, ორივე მხრიდამ განადგურებულმა, დიდი დანაკარგი განიცადა; მალევე გამოჩნდა მაიორი ვიჩეიცი ორი ასეულითა და ამით საბოლოოდ უწესრიგოდ გააფანტა მტრის ბრბო, რომელმაც ადგილზე დასტოვა 14 გვამი. ამას არდაჯერებულმა პოდპოლკ[ოვნიკმა] კრიტსკიმ ორი ასეული მიუშვა ხეობაში, რომელზედაც მონინაალმდეგეს უნდა გაეველო და, მართლაც, მთიელნი, წინა დღით განადგურებულნი, კვლავ გადაეყარნენ ჩასაფრებულთ და კვლავ განიცადეს მარცხი და აქაც დასტოვეს 7 მოკლული, რომელთაც მიაკუთვნებენ ჭურმუტის საუკეთესო ადამიანებსა. უამრავი იარაღი შერჩათ ჩვენს სალდათებს ნადავლად.

შამქორის მახლობლად ფოშტის გაქურდვის უბედურს შემთხვევაზედ აქამომდის ცნობილია, რომ ეს შაიკა შედგებოდა ნუხელ, ჭარელ, ენისლელ და ყაზახელ ყაჩაღთაგან, რომელთა ატამანიცი იყო მაჰარრამი, სოფ[ელ] სარლიარის ყაჩაღი. ცნობილია აგრეთვე მათი უკან წასასვლელი გზა. კნიაზი მუხრანსკი საგულდაგულოდაა დაკავებული იმ მობინადრეთა გამოვლენით, რომელთაც, შესაძლოა, რამენაირი ხელშეწყობა აღმოუჩინეს ამ ყაჩაღებსა. მაგრამ გზა, რომლითაც ეს შაიკა მთებიდამ დაეშვა, ჯერ კიდევ არაა კარგად ცნობილი. მართალია, ივლისის პირველს რიცხვებში ჭარელმა ყარაულებმა მაცნობეს მცირერიცხოვან ცხენოსანთა პარტიის გოდორდალის მთიდამ დაშვების შესახებ საღამოს, მაგრამ დანამდვილებით არ შეიძლება იმის თქმა, ეს სწორედ ის შაიკა იყო თუ არა. მომდევნო დილითვე რამდენიმე ათასი შეიარაღებული მობინადრე გავგზავნე ტანაჩის ტყეებში ჩხრეკისათვის და იმავდროულად შეტყობინება გავუგზავნე ალაზნის ლინიის ნაჩალნიკსა და ოკრულის ყველა სოფელსა. ტანაჩში ვერავინ იპოვეს, მაგრამ ბელაქანში მოწყობილმა ჩასაფრებამ გაანადგურა მტაცებელთა პარტია, რომელიც რამდენიმე მოპარულ ხარს მიერეკებოდა და მოჰკლეს ერთი მთიელი დიდი ქურდი; აღმალოს სიახლოვეს გაანადგურეს აგრეთვე მტაცებელთა პარტია და მოჰკლეს ერთი ყაჩაღი; ქერიბაშში ასევე მოკლეს ერთი; და ეს ყველაფერი მოხდა განგაშის გავრცელებისთანავე ცხენოსანთა პარტიის დაშვების შესახებ; ალაზნის გადაღმა ჩვენმა მზვერა-

ვებმა და ყარაულებმა ვერ მიაგნეს ვერანაირ კვალსა. ამგვარად, კვლავ აღსდგა სიმშვიდე, რომ უცებ მე ესტაფეგით ვიღებ ცნობას ფოშტის გაქურდვის შესახებ. იმავე წუთს მივიღეთ ყველა შესაძლო ზომა გზების გადასაკეთად, მაგრამ, საუბედუროდ, წარუმატებლად. მძარცველთა შიკამ უკვე გადალახა ყუმბაშის მთა.

როგორც თქვენის ბრწყინვალეებისთვის მქონდა პატივი მომეხსენებინა, კნიაზი მუხრანსკი ბეჯითად აგროვებს ყველა ცნობას ამ შიკაზედ, არკვევს, ხომ არ ჰქონდათ მძარცველთ სადგომი სადმე მოზინადრებთან და ხომ არ გააჩნიათ აქ კავშირი? და ყველაფერი, რაც გაირკვევა, პატივი მექნება, წვრილმანის სიზუსტით წარვუდგინო თქვენს ბრწყინვალეებასა.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიენასა და ღრაძინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ შორონცოვისადმი №30 (285)

22 Августа 1853 Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Намерение Шамиля вторгнуться в Джаробелаканский округ оправдывается более и более полученными мною известиями из гор, от Князя Аргутинского и Агалар бека. Приготовляюсь и я для его приёма; и хотя я вполне понимаю всю невыгоду от раздробления отряда, но пока не могу оставить без прикрытия некоторыя из главных деревень, расположенных у подошвы главных спусков, именно: Белакань, Мухахское ущелье и Елису с Кахом. Поэтому я расположил 1^й батал[ион] Тифлис[скаго] полка с 2^м горными орудиями в сел[еніи] Белакани, где 600 чел[овек] из Туземцев присоединятся к баталіону; в Мухахском ущелье под командою Полков[ника], К[нязя] Андроникова расположены 1^й бата[лион] Карабинерскаго полка, 2 роты Тиф[лисскаго] полка, 2^й горных

орудія и местной Милиціи до 1000 челов[ек]; между Элису и Кахом расположен 1^й бат[аліон] Гренадёров с 2^м горными орудіями и 300 челов[ек] Конницы; Собственно в Элису кроме 2^х рот Гарнизона выставлены 1000 чел[овек] из Туземцев; на горе Мисилдигере батал[іон] Мингрельцев с 2^м лёгкими орудіями; Джарцы выставили 500, Тальцы 600, Катех и Мацех по 300 для охраненія себя. Наконец я, составляя резерв всей линии, имею под рукою 2^а бат[аліона] пехот, 4^е орудія и 500 чел[овек] Кавалеріи. Отыскалось здесь заброшенное 3^хфунтовое орудіе; приготавливаю его также для действія ручными гранатами. Кроме того, чтоб придать Кавалеріи более силы в движеніях, я устраиваю Конную артиллерію из 2^х лёгких орудій, которых прислуга будет сидеть на подёмных артил[лерійских] лошадях; но для поддержанія этих лошадей я осмелился войти с представленіем к Вашей Светлости о производстве им продовольствія сухим фуражом, какое полагается для подёмных. Наконец в Шинском ущелье расположены 3^н роты, с которыми присоединился Нухинскій Уездный Начальник, К[нязь] Тарханов с весьма значительною Милиціею; и, как из отряда К[нязя] Аргутинскаго 2^а бат[аліона] вскоре займут позицію вблизи Лучека, то полагаю, что непріятель не решится, оставив их у себя в тылу, идти к сел[енію] Шину.

Я нахожусь в частых сношеніях с К[нязем] Аргут[инским], Агалар беком, Нухин[ским] Уезд[ным] Начальником и К[нязем] Меликовым. Жители округа возстают с большим единодушіем против Горцев. Нет сомненія, что с появленіем Шамиля вблизи нашей границы появятся и изменники из среды народа, но большинство взялось за оружіе против Шамиля.

Самая крайняя необходимость вынудила меня притянуть к себе 3^н батал[іона] Тиф[лисскаго] полка, чтоб тем составить резерв из 2^х батал[іонов]. 17^{го} числа три роты этаго баталі[она]

выступили из С[ела] Напараула и горы Похалистави, соединились с 4^ю ротой в се[ле] Кварели и на другой день вечером, т[о] е[сть] 18^{го} они были уже в Белаканах пролетев в 1 1/2 сутки: 9^{ая} рота из Напараула 104 вёрст, две другія из Похалистави 90 вёрст, и одна из Кварели более 70^м. Пример дивный, редкій в военной исторіи!

В сію минуту прибыл лазутчик из гор, который уверяет, что Шамиль был в Карате с 4^{мя} орудіями, но заболел там и возвратился в Дарго, приказав Найбам отложить вторженіе в здешній округ до Курбан байрама, и что он вверил Даніиль беку четыре Наибства.

Для вновь выставленной Грузинской Милиціи необходим отпуск казённаго провіанта, а для здешней – патронов.

მიხეილ შორონცოვისადმი №30 (285)

22 აგვისტო 1853 ზაქათალის ციხ:

კ: ვორონცოვსა.

კნიაზ არლუთინსკისა და ალალარ ბეგისგან მთებიდამ მიღებული ცნობებით უფრო და უფრო მართლდება ზრახვა შამილისა, შეიჭრას ქარბელაქნის ოკრუღში. ვემზადები კიდევაც მასთან შესახვედრად; და თუმც მესმის ოტრიადის დაშლის მთელი უსარგებლობა, მაგრამ ჯერ არ ძალმიძს დაცვის გარეშე დავტოვო მთის ძირებში განლაგებული ზოგიერთი მთავარი სოფელი, სახელდობრ: ბელაქანი, მუხახის ხეობა და ელისუ კახთან ერთადა. ამიტომ თბილსის] პოლკის 1 ბატალ[იონი] 2^ა სამთო ორუდიით განვათავსე სოფ[ელ] ბელაქანში, სადაც ადგილობრივი 600 კა[ცი] შეუერთდება ბატალიონსა; მუხახის ხეობაში პოლკოვ[ნიკ], კ[ნიაზ] ანდრონიკოვის მეთაურობით განლაგებულია კარაბინერთა პოლკის 1 ბატალ[იონი], თბილსის] პოლკის 2 როტა, 2 სამთო ორუდიე და ადგილობრივ მი-

ლიციელთა 1000 კაც[ამდინ]; ელისუსა და კახს შორის განლაგებულა გრენადერთა 1 ბატ[ალიონი] 2^ა სამთო ორუდიითა და ცხენოსანთა 300 კაცითა; თვით ელისუში, გარდა გარნიზონის 2 როტისა, ადგილობრივებიდამ გამოყვანილია 1000 კაც[ი]; მესელდელერის მთაზედ – მეგრელთა ბატალიონი 2^ა მსუბუქი ორუდიით; ჭარელებმა გამოიყვანეს 500, თალელებმა 600, კატეხმა და მაციხმა თავის დასაცავად 300-ები. ბოლოს, როცა მე მთელი ლინიის რეზერვს ვადგენ, ხელთ გამაჩნია ფეხოსანთა 2 ბატ[ალიონი], 4 ორუდიე და კავალერიის 500 კაც[ი]. აქ მოინახა მიგდებული 3-ფუნტიანი ორუდიე; მას ვამზადებ აგრეთვე ხელის გრანატებისთვის. გარდა ამისა, მოძრაობისას კავალერიისთვის მეტი ძალის მისაცემად ვადგენ ცხენოსანთა არტილერიას 2^ა მსუბუქი ორუდიით, რომელთა პრისლუგებიც შესხდებიან გამწვევ საარტილ[ერიო] ცხენებზედ; მაგრამ ამ ცხენების გასალონიერებლად გავბედე, თქუენის ბრწყინვალეების წინაშე შემოვსულიყავ წინადადებით მათთვის საკვების წარმოებაზედ მშრალი ფურაყისგან, როგორც საჭიროა გამწვევთათვის. დაბოლოს, შინის ხეობაში განლაგებულია 3 როტა, რომელსაც შეუერთდა ნუხის უეზდის ნაჩალნიკი, კ[ნიაზი] თარხანოვი ერთობ მნიშვნელოვანის მილიციითა; და როცა კ[ნიაზ] არლუთინსკის 2 ბატ[ალიონი] მალევე დაიკავებს პოზიციას ლუჩქთან, მაშინ, ვფიქრობ, მტერი ვერ გაბედავს, დასტოვოს ისინი თავის ზურგში და იაროს სოფ[ელ] შინისკენა.

მე ხშირი ურთიერთობა მაქვს კ[ნიაზ] არლუთინსკისთან, ალაღარ ბეგთან, ნუხის უეზ[დის] ნაჩალნიკთან და კ[ნიაზ] მელიქოვთანა. ოკრულის ბინადარნი დიდის ერთსულოვნებით მხედრდებიან მთიელთა წინააღმდეგ. ეჭვი არ არის, რომ ჩვენის საზღვრების მახლობლად, შამილის გამოჩენასთან ერთად, ხალხის წიალიდამ გამოჩნდნენ მოლაღატენიცა, მაგრამ უმრავლესობამ იარაღს მოჰკიდა ხელი შამილის წინააღმდეგ.

ყველაზე უკიდურესმა აუცილებლობამ მაიძულა, ჩემთან მომეზიდა თბ[ილისის] პოლკის 3 ბატალ[იონი], რათა მით შემედგინა რეზერვი 2^ა ბატალ[იონითა]. 17^ა რიცხვში ამ ბატალი[ონის] სამი ასეული გამოვიდა ს[ოფელ] ნაფარეულიდამ და ფოხალისთავის მთიდამ, სოფელ ყვარელში შეუერთდნენ მე-4 ასეულს და მომდევნოდლის საღამოს, ანუ 18^ა, ისინი უკვე ბელაქანში იყვნენ, 1½ დღელამეში გაიქროლეს: მე-9 როტამ 104 ვერსი ნაფარეულიდამ, ორმა

სხვამ 90 ვერსი ფოხალისთავიდამ და ერთმა 70^{ზე} მეტი ყვარლიდამა. საოცარი მაგალითია სამხედრო ისტორიაში, იშვიათი!

ამ წუთას მთებიდამ მოვიდა მსტოვარი, რომელიც ირწმუნება, რომ შამილი 4^ლ ორუდიით იყო კარატაში, მაგრამ იქ ავად შეიქნა და დარღოში დაბრუნდა, თან ნაიბებს უბრძანა, აქაურს ოკრულში შემოჭრა გადაედოთ ყურბან ბაირამამდინ და რომ მან დანილ ბეგს ჩააბარა ოთხი სანაიბო.

აუცილებელია ახლად გამოყვანილი ქართული მილიციისთვის სახაზინო პროვიანტის გაცემა, ხოლო აქაურისთვის – ვაზნებისა.

მიხეილ შორნცოვისადმი №31 (286)

28 Августа 1853 Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Из последняго донесенія моего от 25^{го} числа, Ваша Светлость, уже известны о деле против громадных сил Шамиля, происшедшем в Закатальском ущелье. Я должен был дать там битву, невзирая ни на изрытую местность, ни на число непріятеля, чтоб во-первых, остановить порывы Горцев в наступленіи их, а более того, чтоб ободрить упавшій дух жителей и разсеять их тревожный страх, внушенный появленіем Шамиля с огромным скопищем, покрывшим собою Горы Гонзогор и Динди. Эти причины заставили меня взять 3 ½ батал[іона] и броситься навстречу непріятеля, спустившемуся в Закатальское ущелье. Живо закипел бой, сильный, жаркій. И Боже мой, с каким воодушевленіем, с какою самоотверженностью дрались наши солдаты! Восхитительно было смотреть на их ничем невозмутимое спокойствіе, на стройность, на львиную храбрость, с которою они в решительные минуты

бросились в штыки, опракидывая громадные скопища Горцев. Четыре раза отбрасывали их до самой подошвы гор. Но Гонзогор, занятый Шамилем, такая крепкая позиция, которую я не решаюсь штурмовать: для того нужно прежде подняться 10 вёрст по лесистому, узкому хребту, а при моих средствах это было бы в высшей степени неблагоприятно. Я отошёл вечером назад и стал между крепостью и главной мечетью. И пользуясь бездействием Шамиля, я притянул к себе батал[ион] Тиф[лисскаго] полка из Белакань, и сегодня жду из Каха батал[ион] Гренадёр и 3^я роты с Шинскаго ущелья, в надежде, что Полковник Мищенко с 2^я батал[ионами] прибудет вскоре для защиты Г[орода] Нухи, потому что вся сила Шамиля обращена против Закатал, и нет опасности для Самурскаго округа, или же наконец сам К[нязь] Аргутинский перейдёт с целым отрядом. Жители, на которых рассчитывал Шамиль, до сих пор верны своему долгу более, чем я ожидал.

В настоящее время я беспокоюсь и опасюсь только насчёт новаго укрепления Мисилдигер, которое защищается двумя ротами Мингр[ельскаго] полка под командою Подпол[ковника] Крытскаго. Казачьи посты и разные мелкия команды, разбросанныя по хозяйственным хуторам за Алазанью, сняты и переведены в Города Нуху и Царские Колодцы, исключая Муганлинской станции, которая по своей важности я должен был удержать за собою, усилив 20 Казаками, 20 Грузинами, и к ним ещё должна присоединиться по распоряженію Тифлис[скаго] воен[наго] Губернатора Грузинская Милиция под командою К[нязя] Соломона Андроникова. Жду с нетерпением известій от К[нязя] Аргутинскаго.

Светлейшей Княгине и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

28 აგვისტო 1853 ზაქათალის ციხე:

კ: ვორონცოვსა.

25^ლ რიცხვის ჩემი ბოლო მოხსენებიდამ, თქუენო ბრწყინვალეზავ, უკვე ცნობილია ზაქათალის ხეობაში შამილის უზარმაზარ ძალთა წინააღმდეგ წარმოებული საქმის შესახებ. მე იქ უნდა მებრძოლა, მიუხედავად გადათხრილი მიდამოსი, მიუხედავად მტრის რიცხოვნობისა, რათა, ჯერ ერთი, შემეჩერებინა მთიელთა ალტყინება თავდასასხმელად და, უფრო მეტიც, რათა გამემხნევებინა ბინადართა დაცემული სულისკვეთება და განმეფანტა მშფოთვარე შიში, რომელიც მათ შთაენერგათ შამილის გამოჩენით უზარმაზარ ბრბოსთან ერთად, რომელმაც გონზოგორისა და დინდის მთები დაჰფარა. ამ მიზეზებმა მაიძულეს, ამეყვანა 3½ ბატალი[ონი] და ზაქათალის ხეობაში დაშვებულ მტერს თავს დაეხსმოდინ. უმაღლესად ჩაღდა ბრძოლა, ძალუმი, ფიცხელი. და, ლ^თო ჩემო, რაოდენის შთაგონებით, რაოდენის თავდადებით იბრძოდნენ ჩვენი სალდათები ალგაფრთოვანებდა ცქერა მათი ყოვლად აუღელვებელი სიმშვიდისა, სიმწყობრისა, ლომურის სიმამაცისა, როგორითაც გადამწყვეტს წუთებში იშიშვლეს მათ ხიშტები და უკუისროლეს მთიელთა ვეებერთელა ჯგრო. ოთხჯერ უკუაგდეს ისინი თვით მთების ძირებამდინ. მაგრამ შამილის მიერ დაკავებული გონზოგორი ისეთი მაგარი პოზიციაა, რომლის შტურმსაც მე ვერ ვჰბედავ: ამისთვის ჯერ 10 ვერსზედ არის საჭირო ასვლა ტყიანი, იწრო ქედითა, ჩემის ძალებით კი ეს იქნებოდა უკიდურესად არაკეთილგონივრული. მე სალამოს უკან დავიხიე და დავდექ ციხესიმაგრესა და მთავარ მეჩეთს შუა. ვისარგებლე შამილის უმოქმედობით და ბელაქნიდამ მოვიზიდეთ ბი[ლიისი] პოლკის ბატალი[ონი] და დღეს კახიდამ ველი გრენადერთა ბატალიონსა და 3^ს როტას შინის ხეობიდამ, იმ იმედით, რომ პოლკოვნიკი მიშჩენკო 2^ლ ბატალი[ონით] მალე ჩამოვა ქ[ალაქ] ნუხის დასაცავად, რადგან შამილის მთელი ძალა მიმართულია ზაქათალის წინააღმდეგ და არ არის საშიშროება სამურის ოკრულისთვის, ან ბოლოს და ბოლოს თვით კ[ნიაზი] არლუთინსკი გადავა მთელის ოტრიადითა. ბინადარნი, რომელთა იმედიც ჰქონდა შამილ-

სა, აქამომდის ერთგულნი არიან თავიანთი ვალისა უფრო მეტად, ვინემ ველოდი.

ამჟამად ველავ და ვშიშობ მხოლოდ მესელდეღერის ახალს გამაგრებაზედ, რომელიც მეგრ[ული] პოლკის ორი ასეულითაა დაცული პოდპოლკოვნიკ კრიტსკის მეთაურობითა. კაზაკთა პოსტები და მრავალგვარი მცირე კომანდები, რომელნიც მიმოფანტულნი არიან სამეურნეო ხუტორებში, ალაზნის გადაღმა, მოხსნილნი და გადაყვანილნი არიან ქალაქებში – ნუხსა და ცარსკი კოლოდცებში, მულანლოს სტანციის გამოკლებით, რომელიც თავისის მნიშვნელობის გამო უნდა შემენარჩუნებინა, გამემაგრებინა 20^ე კაზაკით, 220 ქართველით; თბილისის[ის] სამხ[ედრო] ლუბერნატორის განკარგულებით მას კიდევ უნდა შეუერთდეს ქართული მილიცია კ[ნიაზ] სოლომონ ანდრონიკოვის მეთაურობითა. მოუთმენლად ველი ამბებს კ[ნიაზ] არლუთინსკისაგან.

უბრწყინვალეს კნიაგინიასა და ღრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ შორონცოვისადმი №32 (287)

6^ლ Сент: 1853 Лагерь у Миселдигера.

К: Воронцову¹

Из донесеній моих, Ваша Светлость, усмотреть изволили, что после разбитія Данійлбека в Белаканах и изгнанія Казымагомы, Ирибскаго Найба из Мухахскаго ущелья, Шамиль 3^л числа оставил позицію на Гонзогоре и спустился в Капидирское ущелье, заняв войсками верхнюю часть дер[евни] Катех. Чтоб лишить возможности Шамилю вторгнуться на плоскость и в особенности в сел[еніе] Белакани, я сосредоточил 6 батал[іонов] с 9^л орудіями и стал между сел[еніями] Мацех и Катех. На другой день я двинулся против Шамиля; но он, не выждав моего нападенія, снялся с позиціи и поспешно отступил по дороге к Миселдегеру, где он и обложил наше укрепленіе,

преградив мне сильными завалами дорогу и заняв гору Джоржебал. Я стал на половине подъёма в ожидании соединения с Кн[язем] Аргутинским, который после чрезвычайных трудов успел вчера прибыть с частью отряда вблизи Гонзогора, и надеюсь, что соединение наше совершится сегодня. Я не решился идти с своим отрядом на освобождение укрепления по следующим причинам: дорога более 10 вёрст идёт по узкому, крутому подъёму, покрытому густым лесом; сильнейшія завалы преграждают путь; в тылу у меня осталось мусульманское народонаселение, которое спокойно только потому, что имею батал[іонов] отличнаго войска, с появлением котораго непріятель везде бежит; и если к несчастію случилась бы малейшая неудача, отряд поставлен был бы в самое критическое положение и в округе, который повинуется только нашей силе произошло бы всеобщее возстаніе. И потому я рассчитал дожидаться прибытія К[нзя] Аргутинскаго, чтоб соединёнными силами вернее и полнее разбить Шамиля; но между тем Гарнизон крепости четвёртый день без воды и мало имеет снарядов; непріятель очень близок к стенам укрепления.

К[нзя] Мамука с 200 конными Татарами и К[нзя] Кобулов 150 Грузинами прибыли ко мне.

Таково здесь положение дел в настоящую минуту, успешная развязка которых зависит от скорого соединения со мною К[нзя] Аргутинскаго. Если Господь Бог даст нам силы освободить укрепление, то Шамиль со стыдом возвратится в горы, преследуемый проклятіями взволнованнаго им народа.

Светлейшей Княгине и Графине Шуазель приношу моё глубочайшее уважение.

6^ბ სექტ:1853 ბანაკი მესელდელერთან.

კ: ვორონცოვსა

ჩემი მოხსენებებიდამ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ინებეთ შეგეტყვოთ, რომ დანიილბეგის ბელაქანში განადგურებისა და ყაზიმაგომის, ირიბის ნაიბის, მუხახის ხეობიდამ გაძევების შემდეგ, შამილმა 3^ბ რიცხვში დასტოვა პოზიცია გონზოგორზედ და დაეშვა ყაპისდარის ხეობაში, ჯარებით დაიკავა რა სოფ[ელ] კატეხის ზედა ნანილი. იმისათვის, რომ შამილს წართმეოდა საშუალება, შემოჭრილიყო ვაკეზედ და განსაკუთრებით სოფ[ელ] ბელაქანში, მე თავი მოვუყარე 6 ბატალიონს 9 ორუდიითა და დავდექ სოფ[ლებს] მაცხისა და კატეხს შუა. მომდევნო დღეს შამილის წინააღმდეგ დავიდარ; მაგრამ მან ვერ გაუძლო ჩემს თავდასხმას, მიატოვა პოზიცია და ჩქარ-ჩქარა დაიხია უკან მესელდელერის გზაზედ, სადაც მან ჩაკეტა კიდეც ჩვენი სიმაგრე, გადამიღობა გზა დიდი ხერგილებით და დაიკავა ჯორჯობალის მთა. მე დავდექ აღმართის შუანელში კნ[იაზ] არლუთინსკისთან შეერთების მოლოდინში, რომელმაც გუშინ ოტრიადის ნანილთან ერთად უკიდურესი სიძნელეების მერე მოასწრო ჩამოსვლა გონზოგორთან ახლოს და ვიმედოვნებ, რომ დღეს შევეუერთდებით ერთმანეთს. მე ჩემის რაზმით ვერ გავკბედე წავსულიყავ გამაგრების გასანთავისუფლებლად შემდეგი მიზეზებისა გამო: 10 ვერსზედ უფრო გრძელი გზა მიემართება იწრო, ხშირი ტყით დაფარულ, ციცაბო აღმართზედ; გზას გვიღობავს უდიდესი ხერგილები; ზურგში მე დამრჩა მუსლიმანური მოსახლეობა, რომელიც მშვიდად მხოლოდ იმიტომაა, რომ გამაჩნია შესანიშნავი ჯარი 6 ბატალიონით, რომლის გამოჩენაზედ მტერი სულ გარბის; და თუკი, საუბედუროდ, პატარა წარუმატებლობა იქნებოდა, რაზმი აღმოჩნდებოდა ყველაზედ კრიტიკულ მდგომარეობაში და ოლქში, რომელიც მხოლოდ ჩვენს ძალას ჰმორჩილებს, მოხდებოდა საყოველთაო აჯანყება. და ამიტომ გადავწყვიტე, კნ[იაზ] არლუთინსკის მოსვლას დაველოდო, რათა გაერთიანებულის ძალებით სრულად გავანადგუროთ შამილი; მაგრამ ამასობაში მეოთხე დღეა, ციხესიმაგრის გარ-

ნიზონი უწყლოდაა და ცოტა სნარიადები გააჩნია; მტერი ძალზედ ახლოსაა სიმაგრის კედლებთან.

კ[ნიაზი] მამუკა 200 ცხენოსანი თათრითა და კ[ნიაზი] ქობულოვი 150 ქართველით მოვიდნენ ჩემთან. ასეთია ამნუთისათვის საქმის ვითარება, რომლის წარმატებული დასასრული დამოკიდებულია კ[ნიაზ] არღუთინსკის ჩემთან დროულ შემოერთებაზედ. თუკი უფალი ღმერთი გვიბოძებს ძალას სიმაგრის გასანთავისუფლებლად, მაშინ შამილი შერცხვენილი დაბრუნდება მთებში, თავისი ალელკებული ხალხისგან კრულვადადევნებული.

უბრწყინვალეს კნიაგინიასა და ღრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ ვორონცოვისადმი №33 (288)

7^м Сентяб: 1853. К: Закаталы

К: Воронцову.¹

Благодареніе Богу! Мисельдегерское укрепленіе спасено непоколебимым мужеством его Гарнизона, и Шамиль бежал после сильнаго, но неудачнаго для него штурма, вчера в 8^м часов вечера. Таким образом, непріятель изгнан из края; округ покоен и Генерал-Адъютант К[нязь] Аргут[инскій] сегодня утром присоединился ко мне с частью своего отряда. Подробности же обо всём случившемся здесь, в округе во время вторженія Шамиля я буду иметь честь вскоре донести Вашей Светлости. Теперь же доложу, что в укрепленіи вся потеря заключается убитыми 6 нижних чинов и ранеными 2 офицера и 19 солдат.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

მიხეილ ვორონცოვისადმი №33 (288)

7^ა სექტემბ: 1853. ზაქათალის ც:
კ: ვორონცოვსა.

მადლობა ღ^თსა! მესელდეღერის გამაგრება იხსნა მისი გარნიზონის ურყევმა ვაჟკაცობამან და შამილი გაიქცა ძლიერის, მაგრამ მისთვის წარუმატებელი შტურმის შემდეგ გუშინ, სალამოს 8 საათზედ. ამგვარად, მტერი განდევნილია მხარიდამ; ოლქი მშვიდადაა და ლენერალ-ადიუტანტი კ[ნიაზი] არლუთ[ინსკი] დღეს დილით შემომიერთდა თავისის ოტრიადის ნაწილითა. აქ, ოკრუღში, შამილის შემოჭრის დროს მომხდარი ყოველი წვრილმანის შესახებ პატივი მექნება, მალე მოვახსენო თქვენს ბრწყინვალეებასა. ან კი მოვახსენებთ, რომ სიმაგრეში მთელ დანაკარგს შეადგენს მოკლული 6 დაბალჩინოსანი და დაჭრილი 2 ოფიცერი და 19 სალდათი.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ ვორონცოვისადმი №34 (289)

12 Сентяб: 1853 Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Письмо Вашей Светлости от 9^{го} числа я имел счастье получить чрез Адъютанта Вашего, К[нязя] Голицина. Милостивое внимание, которым угодно было Вашей Светлости осчастливить меня и вверенный мне отряд присылкою крестов, выше моих заслуг. Эти знаки отличия вечером же я возложил на достойнейшія при всеобщем восторге отряда.

В округе всё по-прежнему покойно; два баталіона оставлены мною для окончанія Мисельдегерскаго укрепления,

которые потом займуться расширением просеки от укрепления до сел[енія] Катех на расстоянии 10 вёрст.

Вместо 3^{го} батал[іона] Гренад[ёрского] полка, занятого теперь построикою Кодорской башни, завтра выступит из Закатал в Тифлис 1^й батал[іон] тогоже полка и взвод стрелков.

Шамиль чрез Джурмут направился к Ирибу и далее; а войска его распущены, которые понесли сильную потерю при неудачном штурме Мисельдегерскаго укрепления, вблизи котораго найдены 13 больших ям, наполненных убитыми мюридами, а кроме того – 75 брошенных в лесу; поэтому я полагаю потерю неприятеля более 200 челов[ек].

В представлении моём об отличившихся я осмеливаюсь просить по 4^е креста на роту, и столько же на сотню Казаков. Смею доложить Вашей Светлости, что нижняя чина своею непоколебимою храбростью и неимоверными трудами достойны этой Вашей милости.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уважение.

მისილ ვორონცოვისადმი №34 (289)

12 სექტემბ: 1853 ზაქათალის ც:

კ: ვორონცოვსა.

პატივი მქონდა, თქვენის ბრწყინვალეების 9 რიცხვის წიგნი მიმელო თქვენი ადიუტანტის, კ[ნიაზ] გოლიცინის მეშვეობითა. მონყალე ყურადღება, რომლითაც თქვენს ბრწყინვალებას სურდა ჩემი და ჩემთვის მობარებული რაზმის გაბედნიერება ჯვრების გამოგზავნით, ჩემს დამსახურებებზედ მალლაა. ქების ეს ნიშნები მე საღამოსვე მივართვი უღირსეულესთ რაზმის საერთო აღტაცების თანხლებითა.

ოკრულში კვლავინდებურად სიმშვიდეა; ჩემს მიერ მესელდე-
ლერის ციხის გასამაგრებლად დატოვებულია ორი ბატალიონი,
რომლებიც შემდგომ შეუდგებიან ნაკაფის გაფართოებას სიმაგრი-
დამ 10 ვერსის მანძილზედ სოფ[ელ] კატეხამდის.

გრენ[ადერთა] პოლკის მე-3 ბატალ[იონის] ნაცვლად, ახლა
ყადორის კოშკის მშენებლობით რომაა დაკავებული, ხვალ ზაქათა-
ლიდამ ტფილისს წამოვა იმავე პოლკის 1^{ლი} ბატალ[იონი] და მსრო-
ლელთა ოცეული.

შამილი ჭურმუტის გავლით გაემართა ირიბში და უფრო
იქით; მისი ჯარები კი გაშვებულია, რომელთაც დიდი დანაკარგი
განიცადეს მესელდელერის სიმაგრის წარუმატებელი შტურმისას,
რომლის მახლობლადაც ნაპოვნია 13 დიდი ორმო, სავსე დახოცილი
მიურიდებითა, ხოლო ამის გარდა 75 – ტყეში მიგდებული; ამიტომ
მტრის დანაკარგს ვვარაუდობ 200 კაც[ზედ] მეტსა.

ჩემს წარდგინებაში სანიმუშოთა შესახებ ვბედავ, ვითხოვო
ასეულზედ 4 ჯვარი და ამდენივე ას კაზაკზედ. ვბედავ, მოვახსენო
თქვენს ბრწყინვალეებას, რომ დაბალჩინოსნები ურყევის სიმამაცითა
და წარმოდგენელის შრომით იმსახურებენ თქვენს ამ მოწყალეება-
სა.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და
ლრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ქეთევან ორბელიანისადმი №56 (290)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

დიდხანია რა წერილი აღარ მომიწერია თქვენთვის არე-
ულობისაგამო ამა მხარესი; შენუმომიკვდები დღეს ძლივს
მოსვენებით ამოვისუნთქე და მივწექ ნებიერად დასაძინებ-
ლად. მტერი, ხალხის არეულობა, ომები, არ მაცლიდნენ წე-
რისათვის და ანუ რადროს წერა იყო და ვისა ჰსცალოდა. –
ახლა ისევ უწინდელეებრ აქაურობა დამშვიდდა, დაყუდდა,
ხმალი ჩაეგო ქარქაშში და ჩვენი ღონენა აღექსანდრეც მობ-

ძანდება დიდად გამარჯვებული, მითომ დედის გასახარებლად, და არვიციკი რა უნდა გაუხარდეს? –

თქვენი წიგნიც დიდი ხანია არმომსვლია; იქნება ფოშტამ ხვალ მომიტანოს; აქამდის ფოშტა დედოფლისწყაროს მოდიოდა და იქ დგებოდა, აქეთ აღარ უშვებდენ, და ამისგამო ეს მესამე ფოშტაა რა აღარ მოგსვლია, და ხვალკი ერთიანად მოვლენ. – სანდრიკოსი აღარა ვიცირა, როგორ არის და ან როგორ ჰსწავლობს. – ამ მომავალს ფოშტაში ფულსაც გაუგზავნი, მაგრამ ფულების ფანტვას თუ დააჩვიეთ, სრულებით ნახდება და ვერცა რასმე ისწავლის უგუნურის კოხტაობისა და მკვებარობის მეტსა. –

იაკინთე და სარდიონ სიყვარულით მომიკითხეთ; დიდი ჩვენი პლატონ ახლა ზაქათალის მოურავი ბძანდება და დიდად ძრანტობს. –

ჩემს საყვარელს დას თამარს წელნაზსა სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე სოფიკოსა. – დიდი ბიძია ალექსანდრე პატივისცემით და სიყვარულით მომიკითხეთ; რატომ მანდაურს ამბებს არა მწერს, მეტადრე ოსმალებისას? – რასა ჰშერება ჩემი თვალის ჩინი ყაფლან? – მშვიდობით

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

13^ა სექტემ: 1853.

ზაქათალით.¹

ძალუა ბარბარე და ნინუცა სიყვარულით მომიკითხეთ.

17 სექდემ: 1853 წელსა.¹ ზაქათალით²

უმონყალესო დაო ჩემო ეკატერინავ!

ღ~თი,³ ყოვლისა შემძლებელი და მანუგეშებელი, იყოს ნუგეშისმცემელ თქვენდა უბედურებასაშ~ა,⁴ რომელიცა ზე-გარდამო მოგვევლინათ თქვენ და თანაერთობ სამენგრელოსა მიცვალებითა უგანათლებულესის თქვენისა მეუღლისა. – მთავარის დავითისა.⁵ ყ~ღ⁶ სახიერმან მოგცესთ სიმტკიცე სუ-ლისა, მოთმინება მწუხარებისა და განკურნება წყლულისა გულისა! – ვაი ჩემდა, ამის მომწერსა, რომელიცა ვიყავ მარა-დის ჩვეულ თქვენთანა მხოლოდ მხიარულებისა! ვაი ჩემდა, ცრემლის მფრქვეველსა, წარმოვიდგენრა სახესა თქვენსა ასე უდროოდ შეწუხებულსა, თქვენს მხიარულსა,⁷ კეთილსა გულ-სა ასე ადრიან დაჩაგრულს ამა მუხთალის სოფლისა ბრუნვი-თა! – მარამა იყოს ნება დამბადებელისა!⁸ სარწმუნოებითა და სასოებითა მიანდე თავი თქვენი ღ~სა,⁹ და იგი¹⁰ განგარინებს თქვენ სასონარკვეთილებისაგან! გახსოვდესთ, რომ თავი თქვენი, სიცოცხლე თქვენი, არა მარტოდ თქვენ გეკუთვნისთ. თქვენი შვილები! თქვენი შვილები არიან მფლობელნი თქვენი-სა სიცოცხლისა! მათთვის უნდა იცოცხლოთ, მათთვის უნდა მოითმინოთ ყოველი მწუხარება, ყოველი უბედურება და ტან-ჯვა, რომელნიცა აუცილებელარიან ყოვლისა ამა სოფელ-საშ~ა¹¹ მცხოვრებისათვს. ესე არს საღმრთო ვალი თქვენი, რომლისა აღსრულებასა უნდა შეუდგეთ ამავე ჟამით ყოვლი-სა სულის სიმტკიცითა და სასოებითა ღ~თისადმი.¹²

ახ! ნეტავი იცოდეთ, რა სიმწარითა, რა გულისტკივი-ლითა, გწერთ ამასა, საყვარელო დაო! – ნუ დამივიწყებთ, ორის ტრიქონით გამაბედნიერეთ. –

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! გუშინ მივიღე შენი წერილი ლეტუჩით, რომელშიაცა მწერ შენს მალე წასვლასა სამზღვარზედ, სადაცა დანიშნულხარ ნაჩაღნიკად ოტრიაღისა. – სუყველანი იძახით ოტრიადი, ოტრიადი! მაგრამ სადა გყავთ ჯარები თქვე კუტრებო? – ლთ¹მან¹ მოგიმართოს ხელი და ასახელოს ხმალი მყვირალა ზურაბისა.² – ესკი მიკვირს, რას აუტეხიათ ეგ ოსმალები, წერას ხომ არ აუტანია? მეტადრე თუ ანგლია და ჭრანცია ჩამოეცალა, რას მოელის და რისა აქუს იმედი? – მართალია, ხალხს ბევრს გამოიყვანენ და არა ჯარსა განყობილსა, გასწავლულსა, ყოვლისფრით ხელშენყობილსა; ერთი, მხოლოდ ერთხელ კარგად მაგათი ჩამსხვრევა და არზრუმამდის სირბილი ერთად იქნება, და მასუკან მთლად ანატოლია მოიარეთ, ხმას არავინ გაგცემსთ. აბა, რათ წაიხდენს თავსა არზრუმში, ესრეთი მდიდარი, ვაჭარი ქალაქი? – პასკევიჩის დროსაც, მხოლოდ ახალციხე – ძველნი ქართველნი – შემოგვება ძალიან და ერთი კიდეც ისევ ქართველნი აჭარის ხალხი, ბეიბურთთანა. –

შენი პირველი ბატალიონი და მასთანა მაიორი ჩუპიატოვი გამოგიგზავნენ, მაგრამ უნინ შენ არა მომწერერა ჩუპიატოვის გამოგზავნისათვის? –

ძალუას ბარბარეს წერილი მომივიდა, ძალიან ბევრი ვიცინე და დიდადაც გამახარა; მთხოვს რომ დახიეო, და აბა რათ დავხევე? –

ივანე შალიკოვსაც მალე გამოგიგზავნი; მეხვეწება რომ ილიასთან გამგზავნეო. – ძალიან ვაჟკაცია და ძალიანაც გამოგადგება.

ღ³თი³ იყოს მფარველი შენი.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

ძალუა ბარბარე ჩამიკოცნე, თუ ამ წიგნმა მოგისწრო
შინა.⁴

19^ა სექტემ: 1853.

ზაქათალით.⁵

რალა თქმა გინდა რომ მალმალ უნდა შემატყობინო
მანდაური ამბები, ესეიგი ყოველს ფოშტაში უნდა მომდიოდეს
შენი ჟურნალი. –

ძალიან გულით მინდა ტრაპიზონტის ფაშობა. –

სოსიკო მომიკითხე; ნეტავი მანდ მაინც იპოვოს, რამცა
აქ დაჰკარგა.⁵

მიხეილ ვორონცოვისადმი №35 (293)

28 Сентяб: 1853. Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Вашей Светлости имею честь представить два письма на арабском языке, полученные мною от Ажиагабека. Одно из них писано от жены Данийлбека Шаагабике к ея брату, Подпоручику Мехтиаге, живущему в Элисуйском Приставстве. Она просит его исходатайствовать у начальства позволение возвратиться ей на родину к нему, брату своему на жительство, так как Даниилбек дал ей разводную. Она дочь Элисуйскаго бека Ахмед-аги, давно умершаго, была женою Данийлбека около 20 лет и имеет двух дочерей, из коих одна выдана за Абдул Раймом – сын Баширбека Казыкумыкского, другая за сыном Юсуп Аги.

Второе письмо от Юсуп Аги – родственника Султана – к Ажиагабеку, в котором он также просит исходатайствовать возвращение ему на родину. Юсуп Ага бежал вместе с Султаном

и с тех пор оставался в горах. Он характера краткаго, миролюбиваго и нет препятствій к его возвращенію на родину, точно также, как и жене Султана. Впрочем это моё мнение вместе с письмами их имею честь представить на благоусмотреніе Вашей Светлости.

Все эти обстоятельства, равно и тёмные рассказы лазутчиков о положеніи Султана, заставляют меня думать, что Даниилбек не оставил прежняго своего намеренія пробраться в Турцію. Хоть у него остаются ещё сын и дочь, но они от другой жены и некоторым образом уже пристроены, потому что старшая дочь выдана за сына Шамиля. Ажиагабек также убеждён в том, что Султан не останется в горах. Поэтому, на всякій случай, я уже сделал секретное распоряженіе о усиленіи караульных под предлогом спуска Качагов, и являющіеся с горы с нашими билетами должны быть представлены ближайшему Начальству. Было бы весьма полезно, если Начальник Элисаветопольскаго Уезда назначил в Самухе, или в других более необходимых местах людей испытанной верности до наступленія зимы. Быть может Султан и теперь попробует пробраться в Турцію, потому что он потерял всякое уваженіе у Горцев и только живёт по милости Шамиля, который также не имеет прежней к нему доверенности.

В округе глубокое спокойствіе; Темим Ага сильно ранен казачею пикою в бок в деле 25^{го} Августа.

Ея Светлости Княгини Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

28 სექტემბ: 1853. ზაქათალის ციხე:

კ: ვორონცოვსა.

მაქვს პატივი, თქვენს ბრწყინვალეობას წარვუდგინო ორი ნერილი არაბულს ენაზედ, ჩემს მიერ მიღებული ჰაჯიალაბეგისგან. ერთი მათგანი დანერილია დანიილბეგის ცოლის შააგაბიქეს მიერ თავისი ძმის, ელისუს საპრისტავოში მცხოვრებ, პოდპორუჩიკ მეხთიალასადმი. ის სთხოვს მას, იშუამდგომლოს უფროსობასთან მისი სამშობლოში დაბრუნების თაობაზე მასთან, თავის ძმასთან, საცხოვრებლად, რამეთუ დანიილბეგი მას გაეყარა. ისაა ქალიშვილი ელისუს ბეგის ახმედ-ალასი, დიდი ხნის წინ გარდაცვლილისა; დანიილ ბეგთან ცოლად იყო 20 წლამდინ და ჰყავს ორი ქალიშვილი, რომელთაგან ერთი გათხოვილია აბდულ რაიმზედ – ყაზიყუმუხელი ბაშირბეგის ვაჟზედ, მეორე – უსუფ ალას ვაჟზედ.

მეორე წიგნი უსუფ ალასგანაა, სულთნის ნათესავისგან ჰაჯიალაბეგისადმი, რომელშიც ის ასევე თხოულობს შუამდგომლობას მის დაბრუნებაზედ სამშობლოში. უსუფ ალა გაქცეული იყო სულთანთან ერთად და მას აქეთ იყო მთებში. იგი ხასიათით თვინიერია, მშვიდობისმოყვარე და არ არსებობს დაბრკოლება მისი სამშობლოში დასაბრუნებლად, ისევე როგორც სულთნის ცოლისა. თუმცაღა პატივი მაქვს, ჩემი ეს მოსაზრება მათ წერილებთან ერთად წარვუდგინო თქვენს ბრწყინვალეობას განსახილველად.

ყველა ეს გარემოება, ისევე როგორც მსტოვართა ბნელი მონათხრობები სულთნის მდგომარეობის ირგვლივ, მაიძულებს ვიფიქრო, რომ დანიილბეგმა ხელი არ აიღო თავის ზრახვაზე, გააღწიოს ტურციაში. თუმც მას კიდევ რჩება ვაჟი და ქალიშვილი, მაგრამ ისინი სხვა ცოლისგანა ჰყავს და ნაწილობრივ უკვე მონყობილნი არიან, რამეთუ უფროსი ქალიშვილი გათხოვილია შამილის ვაჟზედ. ჰაჯიალაბეგი დარწმუნებულია აგრეთვე იმაში, რომ სულთანი არ დარჩება მთებში, ამიტომ, ყოველი შემთხვევისათვის, მე უკვე გავეცი საიდუმლო განკარგულება ყარაულის გაძლიერებაზედ ყაჩაღების ჩამოსვლის საბაბით, და მთიდან ჩვენი ბილეთებით გამოცხადებულნი წარდგენილ უნდა იქნენ უახლოეს უფროსობასთანა. ფრიად სასარგებლო იქნებოდა, თუკი ელიზავეტოპოლის უეზდის ნაწალნიკი

ერთგულებაში გამოცდილ ადამიანებს ზამთრამდე დანიშნავდა სამუხში, ან სხვა უფრო საჭირო ადგილებზე. შესაძლოა, სულთანი ახლაც შეეცადოს ტურციაში გაღწევას, რადგან მთიელებში დაჰკარგა ყოველგვარი პატივისცემა და სულდგმულობს მხოლოდლა შამილის წყალობითა, რომელსაც ასევე არ გააჩნია კვლავინდებური ნდობა მისდამი.

ოკრულში ღრმა სიმშვიდეა; თემიმ ალა კაზაკის შუბით მძიმედ არის გვერდში დაჭრილი 25^ა აგვისტოს საქმის დროს.

მის ბრწყინვალეობას კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაჩინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ ჰორონცოვისადმი №36 (294)

8^{то} Октяб: 1853 года¹ Кр: Закаталы.

К: Воронцову.

Письмо Вашей Светлости от 30 Сентяб[ря] я имел счастье получить. В настоящее время в Джаробелаканском округе всё спокойно, но с некоторых пор Лазутчики начали приносить известия о значительных сборах, делаемых Шамилем с намерением будто бы ворваться в здешний округ. Я хоть полагаю, что теперь, осенью, Шамиль ничего важного предпринять не может против Лезгинской Линии, но всё я задержал две роты 5^{то} батал[иона] Тиф[лисского] полка на несколько дней, пока разъяснится намерение Шамиля.

О усилении обороны Мисилдигерского укрепления, и вообще о снабжении его всем необходимым, я при этом вхожу с представлением к Вашей Светлости. Теперь же оно обеспечено провiantом до мая месяца, двумя комплектами артиллерийских снарядов и 200 ручных гранат; вырубкою леса по обеим сторонам дороги расширяется просека. В настоящее время ничего более сделать нельзя для этого укрепления; в будущем

же году необходимо: 1) Устроить одну башню для 25^и челов[ек] при одном орудіи на последнем подёме к Миселдегеру. Эта башня, обстреливая все зигзаги крутаго подёма, где Шамилем были устроены громадныя завалы, даёт возможность нашей колонне безпрепятственно поднятiя к самому укреплению; 2) Систерны, если можно, даже теперь; 3) Построить внутрь укрепления на бугре казарму, которая будет служить цитаделью и даст двойную оборону укреплению; и потом, если окажется необходимою, постройте башню на вершине большаго Мисельдегера.

Наконец вывезли из плена Монаха Давид-Гарежелъской пустыни. Родственники Качагов, ограбивших Монастырь Св[ятаго] Давида, выкупили его. Он стар, слаб и очень был изнурен; но благодаря Бога, физическія силы его приметно возставаются и мне кажется, с первою почтою можно будет отправить его в Тифлис.

Если Вашей Светлости благоугодно прислать сюда Халит Эфендія, я с большим удовольствіем прійму его.

Вашей Светлости угодно было знать о двух Катехских Муллах, которые уговаривали Белаканских жителей передат[ь]ся Шамилю. Они оба в настоящее время находятся в бегах и живут в Джурмуте.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

1853 წლის ოქტომბე: 8^{სა}. ზაქათალის ციხე:

კ: ვორონცოვსა.

პატივი მქონდა, მიმელო თქვენის ბრწყინვალეების 30 სექტემბრის] წიგნი. ჭარბელაქნის ოკრულში ამჟამად სიმშვიდეა, მაგრამ ბოლო ჟამს მსტოვრებმა იწყეს ამბების მოტანა მნიშვნელოვანი შეკრებების შესახებ, რომლებსაც შამილი აწყობს ვითომდა ამ ოკრულში შემოჭრის განზრახვითა. თუმცა ვპვონებ, რომ ახლა, შემოდგომაზედ, შამილს არ ძალუძს იღონოს რამე ლეკური ხაზის წინააღმდეგ, მაგრამ თბილისის] პოლკის 5 ბატალიონის] ორი როტა მე მაინც შევაცოვნე რამდენიმე დღითა, სანამ ცხადი გახდებოდეს შამილის ზრახვანი.

მესელდღერის სიმაგრის დაცვის გაძლიერებისა და, საერთოდ, საჭიროებისამებრ მისი მომარაგების თაობაზედ მე თქვენის ბრწყინვალეების წინაშე შემოვდივარ შემოთავაზებითა. ახლა კი იგი მასამდეა უზრუნველყოფილი პროვიანტითა, საარტილერიო სწარადების ორი კომპლექტითა და 200 რუზნოი გრანატითა; გზის ორსაგ მხარეს ტყის მოჭრით ფართოვდება ნაკაფი. ამჟამად ამ გამაგრებისთვის მეტი ვერაფერი გაკეთდება; მომავალ წელს კი აუცილებელია: 1) მესელდღერის ბოლო აღმართზედ მოენყოს ერთი კოშკი 25 კაცისთვის] ერთის ორუდიითა. ეს კოშკი, ციცაბო აღმართის ყველა ზიგზაგის დათოფვისას, სადაც შამილის მიერ მოწყობილი იქნება დიდი ხერგილები, ჩვენს კოლონას საშუალებას აძლევს, შეუფერხებლად ააღწიოს თვით გამაგრებამდინ; 2) ცისტერნები, თუკი შესაძლებელია, ახლავეც; 3) გამაგრების შიგნითა ბორცვზე აშენდეს ყაზარმა, რომელიც გასწევს ციტადელის სამსახურს და ორმაგად დაიცავს გამაგრებასა; და მერე, თუკი აუცილებელი გახდება, დიდი მესელდღერის მწვერვალზედ აიგოს კოშკი.

როგორც იქნა, ტყვეობიდან გამოიყვანეს დავით გარეჯის უდაბნოს ბერი. წმ[იდა] დავითის მონასტრის მძარცველი ყაჩაღების ნათესავებმა გამოისყიდეს იგი. ის მოხუცებულია, დასუსტებული და ძალზედ ღონემიხდილი; მაგრამ, ღ^{თის} ნყალობით, ფიზიკურად აშკარად უმჯობესდება და ვფიქრობ, პირველი ფოშტით შეიძლება მისი გამოგზავნა თბილისში.

თუკი თქვენს ბრწყინვალეობას ჰნებავს ხალხთ ეფენდის აქ გამოგზავნა, მე დიდის სიამოვნებით მივიღებ მას.

თქვენს ბრწყინვალეობას ჰნებავდა შეეცყო ორი კატეხელი მოლას შესახებ, რომელნიც ბელაქნელ მცხოვრებლებს აქეზებდნენ, გადასულიყვნენ შამილისკენ. ამჟამად ისინი გაქცეულები არიან და ცხოვრობენ ჭურმუჭში.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაჭინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ქეთევან ორბელიანისადმი №57 (295)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! დიდი ხანია თქვენი წერილი აღარ მომსვლია; ვიცი დრო არ გექნებათ წერისათვის; ერთის მხრით წელნაზი თამარ, მეორედამ ბაბალე, ახლა ამათთანა კატოცა ახალახლად მოსული; აბა ვისლა ექნება დრო მაგათ ჭორებისაგან და არშიყობისაგან, თუმცა არცა ერთი ამათგანი არ არიან ლამაზნი. – მაგრამ მეკი ძალიან გულით ვსწუხვარ, რომ ბაბალე აქედამ დამშორდა; თუმცა ვერ გავდიოდი ამ ბაიყუმის ადგილისაგამო იმის სანახავად, მაგრამ მაინც ახლოს რომ იყო, ის მიხაროდა. – თამარს უთხარით, რომ ამ ზამთარს ბოლუშევიჩი აქ მეყოლება ხიდის საკეთებლად, და თუ კარგად არ შემეხვეწა, იცოდეს რომ ალაზანში ჩავალძობინებ.

ჩემი ყაფლან, საკუთარი ჩემი ყაფლან, დიდად უნდა მომიკითხოთ. ხომ იცით, ეგ ერთი ყაფლან გვყავს; ამისთვის ყველანი უნდა ჰსცდილობდეთ მაგის სიამოვნებასა და შექცევასა.

სანდრიკოსი აღარა ვიცირა; წიგნს აღარა მწერს, არცა თქვენ იწერებით იმის ამბავსა. – ამასწინად გავუგზავნე ათი თუმანი.

ქეთევანს უთხარით ჩემ მაგიერ, გულტრედსა ქეთევანსა, რომ ახალუხი მომიმზადოს, თორემ მაგის ლანირაკი შვილი დათიკო აქა მყავს; სადმე ხევში ჩავალრძობინებ. –

სხუა რასა ჰშვრებით? არაფერსკი არამწერთდა? ეს ხომ ვიცი, რომ უჭორებოდ თქვენ ვერ გასძლებთ, მაშა მოინერეთ და? ვინ, სადა, საიღამ, როგორ? და სხუანი ამ გვარნი. –

იაკინთე სიყვარულით მომიკითხე; თქუენი პლატონ, დიდი კამისარი პლატონ, უნდა ნახოთ მუნდერ ჩაცმული, ხმალ შემორტყ[მ]ული, დილით მოსული ჩემთან რაპორტითა, მაშინ ნახავთ რაც კაცია და დასდებთ ფასსა.

სხვეებრ მშვიდობით.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

9^ა ოკდომ: 1853.

ზაქათალით.¹

მიხეილ ვორონცოვისადმი №37 (296)

9^ა Октяб: 1853. Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Подполковник К[нязь] Чолокаев, по моему предложению, отправляется в Г[ород] Тифлис, чтоб иметь счастье представиться Вашей Светлости и лично доложить о положении Пирикительскаго общества Горной Тушетии, о несогласиях более и более увеличивающихся между остальными Тушинскими обществами, возникшихся ещё со времён переселения Цовцев с гор на плоскость.

Ваша Светлость, из доклада К[нязя] Челокаева изволите усмотреть, как важно решение этого давно запутанного вопроса, котораго никакія меры, до сих пор принявшія местным начальством, не могли привести к окончанію, не могли соединить интересов этих обществ для защиты и обезпеченія всей Тушетіи. Между тем время уходит, недоверчивость этих обществ друг другу усиливается, более и более, распадается то согласіе, то единство, которым только и могла Тушетія существовать до сих пор за снеговыми хребтами гор, вдали от всякой нашей помощи, окружённая непріязненными, вечными врагами. Было бы весьма важно, если это дело окончилось в продолженіи нынешней же зимы; и для этого меры, предлагаемыя К[нязем] Челокаевым, как местным начальником, мне кажется, заслуживают вниманія.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

მიხეილ შორონცოვისადმი №37 (296)

9 ოქტომბ: 1853. ზაქათალის ციხ:

კ: ვორონცოვსა.

პოდპოლკოვნიკი კ[ნიაზი] ჩოლოყაევი, ჩემი შეთავაზებით, მოემგზავრება ქ[ალაქ] თბილისსა, რათა ჰქონდეს ბედნიერება, წარუდგეს თქუენს ბრწყინვალებას და პირადად მოგახსენოთ მთიანი თუშეთის პირიქითის საზოგადოების მდგომარეობაზედ, უფრო და უფრო მზარდს უთანხმოებაზედ დანარჩენს თუშურ საზოგადოებებს შორის, რომელიც წარმოიშვა ჯერ კიდევ წოვების მთებიდამ ვაკეზედ გადმოსახლების დროიდან.

თქუენო ბრწყინვალეზავ, კ[ნიაზ] ჩოლოყაევის მოხსენებიდამ ინებებთ შეიტყოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია გადაწყვეტა ამ დიდი ხნის ჩახლართული საკითხისა, რომელიც ადგილობრივი მმართვე-

ლობის მიერ აქამომდე მიღებულმა ვერანაირმა ზომებმა ვერ მიიყვანა ბოლომდე, ვერ შესძლო გაერთიანება ამ საზოგადოებათა ინტერესებისა თუშეთის დაცვისა და უზრუნველყოფისათვის, ამასობაში გადის დრო, იზრდება ამ საზოგადოებათა ურთიერთუნდობლობა, უფრო და უფრო ირღვევა ის თანხმობა, ის ერთობა, რომლის წყალობითაც რჩებოდა თუშეთი დღემდე მათათა თოვლიან ქედებს მიღმა, აღრენილი, საუკუნო მტრებით გარშემოზღუდული თუნდაც ჩვენი მცირედი დახმარების გარეშე. ყოვლად მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუკი ეს საქმე დასრულდებოდა ამავე ზამთრის განმავლობაში; და ამისთვის კ[ნიაზ] ჩოლოყაევის, როგორც ადგილობრივი მმართველის, მიერ შემოთავაზებული ზომები, მგონია, იმსახურებს ყურადღებასა.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიენასა და ლრაჭინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №3 (297)

ჩემო გულით საყვარელო კონსტანტინე!

უძლურვარ, ვითარცა კაცი; შენს თხოვნას უარვერა ვჰყოფ: ჰაჯიყაზი, თუმცა დიდი დამნაშავეა, მაგრამ თუ შეგიძლიან აპატიებინე, და მეკი მიპატიებია შესამსუბუქებლად შენთა ცოდვათა; მაგრამ ამ პირობითკი, რომ მაგას აღარ დავაყენებ ბელაქანში და თუ ჰსურს, ნაბძანდეს თავის კარატაში შამილასთან. – ეგ უცხვირპირო, ეგ უმადლო, ყველა აქაურთ მნიგნობრებზედ ეგ უფრო მიყუარდა, სარდალსაც ამ ზაფხულს ერთი ოქროს საათიც ვაჩუქებინე, და პირველადკი ბელაქნიდამ ეგ ნაბძანდა შამილას მისაპატიუებლად. – მახლაზ, რალა გავაგრძელო! გსურს და აპატიე. –

ამ მხარეს, თუმცა არა არისრა, მაგრამ ამბობენ, რომ მითომ შამილა კიდევ აგროვებდეს დიდს ჯარებსა აქეთ წამო-

სასულელად. მე არა მჯერა, მაგრამ სიფრთხილეკი მმართვებს თოვლის მოსვლამდის, და ჩემი ძალი და ღონე ამ ყამად მყავს 3^{1/2} ბატალა:, რომლითაც უნდა დავფარო ბელაქნიდამ ნუხამდის. – ახრ, როდემდის უნდა ასე ვიყვნეთ კუტრადა? –

თითო საყვარელი ეჭენდი თუ არა გყავს, ხომ ვერ მოისვენებ; ვაი შენს სულსკი, რომელიცა არ გებრალეზა მერმისა სოფლისათვის! – შენი ხალათ ეჭენდი, თუ ჰსურს, მობძანდეს; ჩემს ორსავ თვალებს! ნეტავი გაამოკი რითიმე!

აბა ახლა რას მეტყვი ოსმალოსათვს? რას ამბობენ, ანუ რა იმედი აქუსთ, თუ მართლად სხუა სახელმწიფოები ჩამოეცალნენ? და ანუ რა სარგებლობას მოიპოებენ ბრძოლაში გარდა ჯარის განყვეტისა და ფულის ხარჯისა? – რამდენჯერ აგრე ოსმალო მისულა განწირულებამდის ანგლიის და ჭრანციის პოლიტიკითა, და კიდევ დაბრმავებულნი მიჰსდევენ მათ რჩევასა. – მაგრამ მანამ დივიზია მოვა ჩვენს მხარესკი ძალიან საშიშია; ბევრის სოფლების აკლება შეუძლიანთ, რადგანაც დიდი ცხენოსანი ჯარები ეყოლებათ. – ეს ყველა კარგი, მაგრამ მეკი ძალიან მინდა ტრაპიზონდი, და ზაქათალასაც ადვილად გავცვლი იმაზედ. მშვიდობით, ჩემო საყვარელო კონსტანტინე; თუ სარწმუნოება გაქუს, მომწერდე ხშირად და ხშირად. – ხომ ოცი წლის შენი პატივისმცემელი ვარ, ერთგული ჭეშმარიტის სიყვარულით.

შენი გრიგოლ ორბელიანი

12 ოკდომ: 1853

ზაქათალით.¹

12 Октяб: 1853 года, Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Адьютант Вашей Светлости К[нязь] Эрстов прибыв ко мне, передал волю Вашей Светлости, изъяснённую в письме К[нязя] Бяратинскаго, направить отсюда к границе Турциі две роты Мингрельскаго полка и три Тифлисскаго.

Выполняя священную для меня волю Вашей Светлости, я распорядился сегодня же направить к Тифлису две Мингрельскія роты, а о ротях Тифл[исскаго] полка, которыя ещё прежде были отправлены на Царскія Колодцы, отнеся к Генералу барону Врангелю.

Здесь в округе всё спокойно, но тревожные слухи о значительных сборах неприятеля о намереніи Шамиля опять вторгнуться сюда, ещё не совсем прекратились. Хотя я и мало доверяю этим известіям, но для прикрытія Каха от сильных конных партій Горцев, направляю завтра баталіон полка Вашей Светлости, прибывшій сюда 10 числа.

Говорят, Темим Ага умер от раны, нанесённой ему казаком пикою в деле 25 Августа; также и о смерти Бутринскаго Найба от раны же.

Снег, надёжный союзник Лезгинской Линіи, сегодня показался на вершине Диндидаги и мы здесь не мало радуемся его приближенію.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

12^ბ ოქტომბ: 1853 წელსა, ზაქათალის ციხ:

კ: ვორონცოვსა.

ჩემთან გამოცხადებისას თქვენის ბრწყინვალეების ადიუტანტმა კ[ნიაზმა] ერისთოვმან გადმომცა თქვენის ბრწყინვალეების ნება, განმარტებული წერილში კ[ნიაზ] ბარიატინსკისადმი, აქედამ ტურციის საზღვრისკენ გაიგზავნოს მეგრული პოლკის ორი და თბილისის სამი ასეული.

ვასრულებ თქვენის ბრწყინვალეების ჩემთვის წმინდა ნებასა და დღესვე გავეც განკარგულება, თბილისს გაიგზავნოს ორი მეგრული როტა, ხოლო თბილ[ისის] პოლკის ასეულებზედ, რომელნიც ჯერ კიდევ მანამდე იყვნენ გაგზავნილნი ცარსკი კალოდცებზედა, მივმართე ღენერალს, ბარონ ვრანგელსა.

აქ ოლქში ყველაფერი მშვიდადაა, მაგრამ ჯერ სრულად არ დამცხრალა საგანგაშო ხმები მტრის მნიშვნელოვან სბორებზედ, შამილის ზრახვაზედ, კელავ შემოიჭრას აქა. თუმცა მე ნაკლებად მჯერა ამ ამბებისა, მაგრამ კახის დასაცავად მთიელთა ძლიერ ცხენოსან პარტიათაგან ხვალ თქვენს ბრწყინვალეებას ვაახლებ ბატალიონის პოლკსა, რომელიც აქ 10^ბ რიცხვში ჩამოვიდა.

ამბობენ, თემიმ ალა დაიღუპა ჭრილობისაგან, რომელიც მას კაზაკმა ლახვრით მიაყენა 25 აგვისტოს საქმის დროს; აგრეთვე ბუტრის ნაიბის სიკუდილზედ ჭრილობისგანვე.

თოვლი, ლეკური ლინიის საიმედო მოკავშირე, დღეს დინდი-დალის მწვერვალზედ გამოჩნდა და ჩვენ აქ არც თუ ცოტას ვხარობთ მისი მოახლოებითა.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიენასა და ღრაძინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! გულისყური მანდეთკენა მაქუს; გაზეთებიც არ ამბობენ მშვიდობიანობასა, და ველი შიშითა და იმედითა პირველს ზარბაზნების დაქუხებასა არფაჩაის ნაპირზედა. არ ვიცი რაოდენი გყავს ჯარი და მტრისასკი ბევრს ამბობენ; და რადგანაც ცხენოსანი ჯარი ბევრი ეყოლება, მგონია, ძალიან შეანუხოს ეგ მხარე ჩაფაულობითა. – მაგრამ თუკი პატარა კიდევ დაგვიანდა, და დაზამთრდა, მაშინ აღარა გვიჭირსრა; რუსეთიდან ჯარებიც მოვლენ და მაშინ ნახე მაგათი სირბილი. ერთხელკი კარგად შემოგებმიან და მასუკანა მისდევ არზრუმამდის და უფრო იქითაც. – მხოლოდ ამისი მეშინის, რომ ახლავ არ დაინყონ: ოსმალო აზიაში უფრო მომზადებულია ვიდრე ჩვენ ამ დროსა, და მერე აღარა გვიშავსრა. – ტრაპიზონტზედ მინდა გავცვალო ზაქათალა.

ამ მხარეს მშვიდობიანობა არის, მაგრამ კიდევ იყო ამასწინად მთაში ცხენოსნის ყრილობა აქეთ წამოსასვლელად ჩაფაულისათჳს, და თოვლმა დაუშალა. – მართლად კარგი თოვლი მოდის, ასე რომ ზაქათალის ახლოს ჩამოვიდა, და სწორედ გითხრა, მეც ძალიან მიამა. – ამისეშხით ესლავ ამ სალამოზედ უნდა ყრუ იხტილათი გავსწიო, ესე იგი, მოვაყვანინო ვილაცა შირაზელი მეთარეა და მომღერალიცა, და მარტოდ მარტო ყური უგდო. – დიდი ლაზათია, ვეება ოთახში მარტოდ ყოფნა! –

ხვალ ძალუა ბარბარეს, ესეიგი Книжница Илико,¹ ვუგზავნი ნუხურს მსხალსა, ამოდენებსა;¹ არ ვიციკი როგორ მიუვა.

მაგ ვირთავა პისარევსკისთანა კაცი ძნელია სანახავად: სწორედ რომ მოდიოდა აქედამ და ვესალმებოდი ბატალიონსა, მომიტანა რაპორტი, რომ შანცოვის ინსტრუმენტები დამემტვრა მუშაობაზედაო, და ითხოვა მონშობა, აბა რა მექმნა? შანცოვიც თან წამოიღო, კამისიაც ვერ შედგებოდა იმავე მიუტყში და არც იწერება, რამდენი და ანუ სახელდობრივ რა

ნაუხდა? – ნეტავი წაგაკითხა მაგის რელიაცეები! რეები არა არის შიგა ლომები, ледовитое море,“ კლდეები და ამგვარნი ეპიტეტები გრანადერების საქებლად. – არ დაგავინყდეს, რომ ერთი ჯვარი ეკუთვნის არჩილს ანდრონიკოვსა,² ჩემს ბეზსმენის არდინარცსა, და შენი-ჭირიმე ასეც უბძანე პისარევსკისა.

სოსიკო მომიკითხე; აღარ ვუჯავრდები, რადგანაც უფრო დასჯილია იმითი, რას შემთხვევაებსაც მოაკლდა აქა. – ნეტავი მანდ მოიპოვოს მაინც სამაგიერო. – უთხარ, რომ კარგი დანვრილებით წერილი გამომიგზავნოს; ყოვლის ამბით სავსე ოსმალეობისათვის და მანდაურის ჯარისა და ხალხისათვის; გრძელი წიგნი უნდა იყოს.–

შენი სარანდოვი თავის გრანადერებით,³ იმედი მაქუს, მოვიდნენ 15^ბ ნოემბერს თბილისსა, ანუ 20^ა.–

ჩვენი ესტატე მაჩაბელი კიდევ ჩაბძანდა ჩუბიჩინში; ასე შეუყვარდა ჩუბიჩინი, რომ ველარ გაუძლია უიმისოდ. –

მომწერე, ჩემო ილიკო, ყოველს ფოშტაში, რა გენაღვლება სოსიკომ ჰსწეროს, ანუ სხვა ვინმე მაგისთანა უქმმა კაცმა, დაშენკი ხელი აწერო. – ხომ იცი ჩვენი, აქაურის მხრისა, და მთელის დაღისტნისა, გულისყური, თვალები, ცხვირები, სულ მანდეთ არის მაყურებელნი და მობჯენილნი. – აქაურის მეიდნის ტივის ხეები გატენილია ჯამაათითა დილით ადრინავე, და ჭორებით ავსებენ აქაურობასა; მეც ზოგჯერმე ჩავაპარებ სიტყვასა, და გაჩაღდება ხოლმე მეიდანნი; ლაზათია!

ლთ^ი 4 იყოს შენი მფარველი

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

16 ოკდომ: 1853.

ზაქათალით.⁵

ჩემს დიდს ბიძიას ალექსანდრეს სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე დიმიტრის ონიკოსს.

* ილიკოს კნინას.

** ყინულოვანი ზღვა.

ილია ორბელიანისადმი №88 (300)

ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო! გუშინ ფოშტით მოგწერე, და დღეს დილით ადრიან მომივიდა შენი წერილი 8^ლ ამთვისა. – ჰსჩანს, რომ ოსმალთა მოდის, და იქნება მანამ ეს წერილი მოგივიდეს, ომიც გადგებხადოს. – ჯარი ძალიან ცოტა გყავს, თუმცა კარგი ბატალიონები არიან, მაგრამ 3^{1/2} ბატალ: რა უნდა გააწყოს სიმრავლესთან? ცხენოსანიც არა გყავს: სამი და ან ოთხი სოტნა ყაზახი, რა ანგარიშია? – ვერცკი გამოუდგებიან, თუ გინდა დაამარცხო და მირობდეს მტერი. – ამისგამო სიფრთხილე და ვაჟკაცობა გმართებს ერთად შეაერთო, რომ უბრალოდ, მანამ არ მოგივიდეს სეკურსი,¹ არ გაგიტყუოს ცარიელმა ვაჟკაცობამ, თორემ სიმრავლე მტრისა მაინც საშიშია: ოცი მხდალი ერთს ვაჟკაცს მოერევა. რაოდენიც შეგეძლოს, შეკრიბე ერთად; თუ გინდ ოცი კაცი იყოს სადმე ისიც წაიყვანე, გამოგადგება. სხვებზე ღირ² იყოს შენი მფარველი! და მეკი ველი და ველი შენგან ამბავსა მოუსვენებლობითა.

დღეს მომივიდა წერილი კნიაზ ბარიატინსკისა, რომლითაცა მთხოვს ორს ბატალ: შენის ბრიგადისას, შენთან გამოსაგზავნად, და იმავე წერილში თუთ მთავარმართებელიც მთხოვს დიდის ბოდიშით ბატალიონების გამოგზავნასა საჩქაროდ. – მეც, რა ვჰქნა, ვჰგზავნი ხვალვე აქედამ ბუჭყიევსა კარაბინერის ბატალიონით, და კაცი ვაფრინე გუშინვე მელიქოვთან, რომ შენი სარანდოვი მაშინვე გამოისტუმროს. – ეს დიახ კარგია, მაგრამ როდისლა მოგასწრობენ? – ჩემის ანგა-

რიშით, მანამ ესენი მოვლენ, ან ვეღარას მოასწრობენ, ან საჭირონი აღარ იქნებიან გაზაფხულამდის. – ამასწინადაც გამოვგზავნე 3^ა როტა ტიფლის: და 2 როტა მინგრელსკისა; გუშინაც წამოვიდა როტა საპერისა; ორი ბატალიონი ღრაფის პოლკისა მოდის, ჩვიდმეტი დღეა გზაზედა; ერთი პატარა მოიცადე, ან მოაცდევინე მაგ ურჯულოებსა, რომ ბრე გაადინო და? – აი სადაც არის დრაგუნებიც მოგივლენ. –

გუშინაც მოგწერე, რომ მეტად ვირთავა არის ეგ პისარევსკი. – სვიდეტელსტოეები ყველა მივეც და გამოგიგზავნე, მაგრამ დარჩა შანცოვის ინსტრუმენტი, რომლისათვის მაშინ მთხოვა, როცა გამოდიოდა; ნეტავი დაენერა მაინც რაპორტში, სახელდობრივ რა წაუხდა და რაოდენი, რომ უკამისიოდ მომეცა მონშობა? – მასუკან შენც მოგწერე, რომ მაცნობოთ, რამდენი რა წაგისდათ, რომ³ გამომეგზავნა მონშობა⁴; მაგრამა აქამდის არც შენგან მივიღე პასუხი. – ცხენებისაკი ბევრი გამამტყუეს შენმა ბატალიონის კამანდირებმა.

ტომრებისა არ იყოს! პისარევსკის მოუწერია ჩემთვის, რომ 80 ტომარა გავუშვი ყაპისდარაშიაო და მტერმა წაიღო;⁵ მეც რა საკურველია გავანჩხლდი. ბოლოს ეს კი გამოვიდა, რომ არც გაუშვია და არც დაკარგულა: მაღაზიინის სმოტრიტელს მიუღია. – აბა რა უყო? – ის იყო ვაპირებდი შენთან მონერასა, რომ მაგის⁶ ჯამაგირიდამ გამოერიცხათ. –

დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხე სიყვარულით; ეგრეთვე დიმიტრი ონიკოვი. აბა შევიღებო, თქუენ იცით, როგორც დაიფარებთ და არ ააკლებინებთ სომხითსა, ძლივს აშენებულსა ჩემის ხმალით. –

ღთი⁷ იყოს თქუენი მფარველი

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

17^ა ოკდომ: 1853.

ზაქათალით.⁸

მიხეილ შრომცოვისადმი №39 (301)

17 Октября 1853. Кр: Закаталы.

К: Воронцову.¹

Исполняя священную для меня волю Вашей Светлости, об[ъ]явленную мне в письме К[нязя] Барятинскаго, я тотчас сделал распоряженіе о направлениі двух батал[іонов] Гренадёрской Бригады к Тифлису, т[о] е[сть] завтра же Баталіон Карабинер выступит из Закатал; а Баталіон Гренадёр несколькими днями позже, потому что он в настоящее время расположен вблизи Натлисмцемели, и немедленном выступлениі его послано предписаніе с нарочным К[нязю] Меликову. Ещё вчера я отпустил сто человек Сапёр; затем у меня останутся три движущихся Баталіона для защиты праваго фланга линіи, и один для леваго.

С напряжённым вниманіем ждёт здешній народ известій из границы Турецкой. По всему видно, что он искренно не желает этой войны.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

მიხეილ შრომცოვისადმი №39 (301)

17^h ოქტომბერს 1853. ზაქათალის ციხ:

კ: ვორონცოვსა.

აღვასრულებ რა თქუენის ბრწყინვალეების წმინდა ნებას, რომელიც კ[ნიაზ] ბარიატინსკისადმი წერილში იქნა ჩემთვის განცხადებული, იმავე წუთს გავეცი განკარგულება გრენადერთა ბრიგადის ორი ბატალიონის] თბილისისკენ გაგზავნაზედ, ანუ კარაბინერთა

ბატალიონი ზაქათალიდამ გამოვა ხვალვე; ხოლო გრენადერთა ბატალიონი რამდენიმე დღით გვიან, რამეთუ ის ამჟამად დგას ნათლისმცემლის სიახლოვესა და მის დაუყოვნებელს გამოსვლაზედ კ[ნიაზ] მელიქოვს გაეგზავნა მითითება ნაროჩნის ხელითა. ჯერ კიდევ გუშინ გავუშვი ასი საპიორი კაცი; ამის შემდეგ ჩემთან დამრჩება სამი მოძრავი ბატალიონი ხაზის მარჯვენა ფლანგის დასაცავად და ერთი მარცხენისთვისა.

დაძაბულის ყურადღებით ელის აქაური ხალხი ამბებს ტურციის საზღვრიდამა. ყველაფრითა სჩანს, რომ მას მართლაც არ ჰსურს ეს ომი.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ლრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

მიხეილ ვორონცოვისადმი №40 (302)

18 Октяб: 1853. Кр: Закаталы

К: Воронцову.¹

Милостью Вашей Светлости я осчастливлен производством в Генерал-Лейтенанты. Не могу при этом не чувствовать, что столь высокое Монаршее благоволение не по заслугам моим, и что одно толко милостивое внимание Вашей Светлости даёт моей службе и значению, и блеск, и что наконец даже пожертвованіем жизни моей, которая и без того принадлежит службе Великаго Государя, не выкуплю тех милостей, которыми я так щедро осыпан Вашею Светлостью.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уважение.

მიხეილ ჰორონცოვისადმი №40 (302)

18 ოქტომბე: 1853. ზაქათალის ციხე:

კ: ვორონცოვსა.

თქვენის ბრწყინვალეების წყალობით ბედნიერი ვარ ლენერალ-ლეიტენანტის წოდების მიღებითა. ამასთანავე, ვჰგოძნობ, რომ არც დიდად ვიმსახურებ მონარქის ესრეთ დიდს, კეთილ ნებასა და რომ მხოლოდ თქვენის ბრწყინვალეების მოწყალე ყურადღება ანიჭებს ჩემს სამსახურს მნიშვნელობასაც, ბრწყინვასაც; და ბოლოს, ჩემის სიცოცხლის მსხვერპლად დადებითაც კი, რომელიც ისედაც მიეკუთვნება დიდის ხელმწიფისადმი სამსახურსა, ვერ ავანაზღაურებ იმ მოწყალებებს, რომლებიც ესე უხვად მეფრქვევა თქვენის ბრწყინვალეებისაგან.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაჭინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

ილია ორბელიანისადმი №89 (303)

აბა, ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო, მომწერედა? ნულარ აგძელებ, ანგალი არ გახდე ამდროში, როდესაც თვალყური გვიჭირავს შენკენ და ვჰსცდილობთ, რომ აქედამ დავინახოთ შენი ზარბაზნების კომლი და დალიბაშების ქუდები! ახრ, მოგვწერე, თორემ ერთიანად ავიყრებით ავარ-ჭურმუტითა და მოვალთ მანდა; მეტისმეტად მოველით მანდაურს ამბავსა, და მეტადრე მე, რადგანაც ვიცი, რომ ძალიან სუსტად იყავ ჯარებზედ, და ახლა არვიცი რაოდენი მოგემატა, და ანუ ოსმალებმა მოიცადესა იმდენი, რომ ჯარები შეგიგროვდეს? იქნება, მაგისტანა დურაკობაცა ჰქნეს? თუ ბრძოლა უნდათ, რალათ უნდა შეიცადონ, თუ არიან კიდევ მომზადებულნი, და როგორც ისმის ორმოცათასამდის? ხომ გააოხრებენ მანდაუ-

რობას, თუ მოიქცნენ კარგად? – ვნახოთ, ღთ¹ და ბედი, და კიდევ ზურაბ ყაფლანის შვილის ხმალი!

ჩემს დიდს იანარლობას ხომ შეიტყობდი; რა ვიცი, ეს მოვიდაკი, და ღირსი ვარ თუარა, ის სარდალმა იცის. – აქედამ რაცკი შეიძლებოდა გამომაცალეს ხელიდამ ჯარები დიდის თავაზით, დიდის თხოვნით „если нельзя мы спорить неможем“ და ამგვარი ბევრი ჰანგები. – მოდი და ნუ გაუგზავნი, და უარი ჰსთქვი? კარგია კიდევ, რომ ლაზათიანი თოვლი მოვიდა მთაში, თორემ დიდი ცხენოსანი ჯარი ემზადებოდა აქ საჩაფაულოდ. –

შენი სარანდოვი და ბუჭყიევი ჩავლენ ამთვის 25^ლ-თბილისში, და აბა როდის მოგესწრობიან ისინი თავიანთ ბატალიონებითა? – ჩემის ანგარიშით ახლა მანდაც უნდა იყოს კარგი სიცივე, და თოვლიცა! – ხალათეძენდი გამომიგზავნეს აქა; მგონია ამასაც ამდენს ათრევენ აქა იქა, რომ ბოლოს გააქცევენ. – მწერენ, მანდ დიდს სარგებლობას მოგცემსო! აი ვნახოთ, და მეკი არამჯერა ამათი ერთგულება; და ანუ რა უნდა ჰქნას და რა შეუძლიან? –

აქა სრულებით არა არისრა ამბავი; დაზამთრდა, დათოვა და დამშვიდდა; ზოგჯერ ხან პარტიზანებს მოაქვსთ თავი ყაჩაღებისა, ხან² ყაჩაღები იპარავენ საქონელსა. – ეს არის, დაასე იქნება ამ ზამთარს; მაგრამ ზაფხულიკი სხუას იტყვის, მეტადრე ოსმალოების ეშხითა, და თუ კარგად ბლომათ ჯარი არ მომიმატეს, საქმე ძალიან გაძნელდება; და ამაზედ მთავარმართებელსაც დიდი დიდი თაბახები წარუდგინე, და ვნახოთ.

სოსიკო მომიკითხე; რატომ არასა მწერს?

ბიძია ალექსანდრეს დიდად მდაბლად თავს დაუკრამ და ვთხოვ რომ თავისებურად ყოველს ფოშტაში გამომიგზავნოს წერილები.

დიმიტრი ონიკოვი მომიკითხე; შვილი ხომ არ უპოვონია მანდა? –

ღთ³ იყოს შენი მფარველი

21^ბ ოკდომ: 1853.

ზაქათალით⁴

⁴თუ არ ვგებხის, კამათი არ შეგვიძლია.

ქეთევან ორბელიანისადმი №58 (304)

23 ოკდომ: 1853 ზაქათალით¹

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! ეს რომ მე დიდი იარანალობა მომივიდა, რატომ არა მწერთ და არ მილოცავთ არცა თქუენ და არცა ყაფლან? ახრ, ეს ხომ იცით, რომ ჩემი იარანალობა ყაფლანისათუს მინდა, რომ მაგას იამოს ჩემი ბედნიერება, მაგან გაიხაროს, თორემ საკუთრივ ჩემთვის მაგდენი არაფერი: მოვხუცდი, აღარ შემიძლიან; რაც გუშინ მინდოდა, ის დღეს აღარ მიაგება. მხოლოდ ყაფლანისათუსკი მინდა რომ მქონდეს რამე; მაგრამ ეგ ყიზილბაში ერთხელ არ მენვია; კარეტას ვუგზავნიდი არ ინდომა, და არცა რასმეს მწერს. –

სანდრიკოს წერილი მომივიდა; კარგად არის, და იყვედრება რომ არასა ვწერთ და გვიან მისდის ჩვენი ამბავი. – ერთი მანდაური ჭორები მომწერეთდა? ბაბალეც ხომ ჩამოვიდა, წელნაზი თამარ, კატო, სოფიკო, იმათი აშულ-ოლლანები! ახრ ბევრი მოსანერი გაქუსთ, მაგრამ რა გამოვიდა, არას ინერებიოთკიდა? – ახლა ამათგარდა ივანე, ალექსანდრე, მამუკას ცოლი! რამდენი საგანია მოწერისა და ჭორებისათუს. – ნუღარ გააგძელებთდა? –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

ჩემო უსაყვარლესო ძმაო კონსტანტინე

აი ეს შენი ხალათეფენდის თხოვნა აღმისრულებია და ამასთან გიგზავნი მთავარმართებელთან რაპორტს რომლითაც ვსთხოვ ბელაქნელის ყაზიას აქავე დაბრუნებას. ახლა შენ იცი როგორც მიართმევ ამრაპორტს¹ და მალე დააბრუნებინებ იმ კაცს რომელსაც ეს შენი მეგობარი ელის მთის კაცის მოუთმენელობით.

შენ არ გარეუღიყავ ამ საქმეში ეგ ვეღარ ნახავდა აქაურს ჰაერს და მაინც უნდა მოგწერო რომ მე მაგას აქ არ დავაყენებ, თავის ცოლშვილს ჩავაბარებ, და ვეტყვი რომ აიბარგოს, ან ისევ თავის მამაპაპის ადგილს წავიდეს, მთაში, ან სხვა უეზდში სადმე იცხოვროს.

მუხრანბატონს რასაკურ[ვ]ელია ნახავ და აქაურს ამბავს ყველას ამისგან შეიტყოფ.

ილიკო ჯავრისაგან აღარ არის დიდიხანია დედისაგან წიგნი აღარ მიუღია და ისე ფიქრობს რომ ერთი უბედურება რამ შემთხვევითაო თორემ მე ის ამთენს ხანს უწიგნოთ არ დამაგდებდაო თუმცა ბევრს ვეუბენით რომ თუ იმისთანა იყოს რამე ამისთვის რომ დაგემაღლათ ჩვენ მაინც გვაცოდინებდით ვისმე. და ჩვენ არა შეგვიტყვიარა მაგრამ ამის გულმა ვერ მოისვენა. თქვენი ლ¹თის² გულისათვის უცნობელობით ნუ სტანჯავთ ამ ყმანვილს, ლ¹თმა³ კი დაგიფართო ყოვლისა უბედურობისაგან და თუ კი შეგემთხვათ რამე რა გაენწყობა ისევ შეატყობინოთ ის უმჯობესი არის.

სხვა რაღა მოგწერო აქეთ ამბავი არ არის რა ახლა თქვენ მოგივათ ხშირათ ახალ ახალი ამბები სამძღვრებიდან და მანამ აქამდის მოახწევს ხოლმე გული გაგვიწვრილდება.

ხედავ მე ისე დიდი კაცი შევიქენ რომ ჩემის ხელით აღარა ვწერ წიგნს.⁴ – მშვიდობით ჩემო საყვარელო კონსტანტინე.

შენი მარადის ერთგული
გრიგოლ ორბელიანი

შენ ხომ კარისკაცი ხარ; მაშ აბა მოიწერე და? რა ამბავია ოსმალეობისაკენ, ანუ ჩვენს კარზედ?⁵

დიმიტრი ჯორჯაძე მდაბლათ თავს გიკრავთ და გთხოვსთ ილიასთან მალე წიგნის მოწერას მეტათ განუსვენებელს ცხოვრებაშია.⁶

მა[...]ნე ეს წიგნი დაგაჯერებს რომ არ ვარგა მაგდენი ხანი უწიგნობა. – რომ წაიკითხოთ ეს წიგნი ისევ მიბოძეთ აქ კაცი რომ გამოგზავნოთ მისის ხელით. –

[1853 წლის ოქტომბრის II ნახევარი]

ბაბაღე საგინაშვილისადმი №2 (306)

28 ოქდ: 1853¹ ზაქათალით

ჩემო საყვარელო და საკუთარო დაო-ტიტუშკავ ბაბაღე! ჩვენის საუფლოქალაქით კოდიდამ მომივიდა შენი წერილი ჩემის თვალებისა და გულისა განსანათლებლად! არა ჰგეგხარ წელნაზსა თამარსა, რომელიცა ჰსწერს მხოლოდ² თავის აშულ-ოღლანებსა საარშიყო ბარათებსა; იმისთვის ნათესავები, ძმები, სულ უბრალო სიტყვებია. – ახლა კრასავიცა

ბაბალებს ხომ თბილისში იმყოფება და ვინ იცის, რა ქორები გაიმართება თქვენში. –

ამ მინუტში მივდივარ ბაბაში; შენ იქნება გაგიკვირდეს და ჰსთქვას, რომ აბა ზაქათაღის ბაბებისაკი არა ვიცირაო? – უკაცროვად: აბა მობძანდი და ნახე ჩვენი მაღამ გოგინცოვა,

5 ნოემბერს.³

ეს წერილი ასე დარჩა; წავედი ნუხში, მოვედი იქიდან მშვიდობიანად და ესევე აქ დამხვდა დაუბოლოებელი, გამოუგზავნელი. – ნუხში დიდის ყოფით დაგვხდა ნუხის ხანი რამაზ თარხანოვი ზურნანალარით, ზორხანის მოთამაშეებით, მუთრუბებით, ჩანგებით, და სხუადასხუა მრავალფეროვან შესხმებითა; ამასთანა თარი, ჭიანური, ალიშირაზ, ერთის სიტყვით დიდის ლაზათით გაგვატარებინა დრო.

მოვედი აქა და დამხვდა სამხიარულო ამბავი: ილიკოს ორი ვაჟი. – ეს მე არ მიკვირს: მე რომ ცოლი შევიერთო სამს ვაჟს ვაყოლებდი!

ხვალ მივდივარ ყვარლისაკენ და უფრო იქით ლინის სანახავად. – წინანდალში აღარავინ არის, რომ გავსულვიყავ: დაობლდა ის მშვენიერი ადგილი, სადაცა სიყმანვილე ჩემი მიდიოდა უზრუნველად, დაუდევნელობით; სადაცა ერთხელ შენც გიპოვეთ ბუჩქში შვინდით შეღებილი; დაყრუვდა ყოველივე იგი არე სამოთხის მსგავსი; ეჰ, ასეა ამ სოფლის ამბავი.

შენ რასა იქ და ახლა სადახარ ჩემო საყვარელო ბაბალებ? მომწერე ხშირად და ხშირად, და თუ ლთმა⁴ მაღირსა, აბა დაემზადე საშობაოდ ქალაქში ჩამოსვლისათვის, რომ მეც აქედამ მოვდივარ. – ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ.

ჩემი საკუთარი, საყვარელი ძალუა ელისაბედ, ძალუებთაგან უმთავრესი, ზემოუბნელების დამჩაგვრელ-დამბნელებელი, ჩამიკოცნე, ჩამიპროშტე. –

გახსოვს ბაბაღე, თქუენი ქალაქიღამ გასვლა, და იმ დიღდიღით ნივიღკივიღი და ტირიღყვიღრიღი გოგოსათუს? -

შენი ძმა გრიგოღ ორბელიანი

იღია ორბელიანისადმი №90 (307)

ჩემო საყვარეღო ძმაო იღიკო! კიღეღ მივდივარ თემირ-ხანშურას კნიაზ არღუთინსკის მაგიერ, რომელიღა ძალიან თურმე ავათ შექმნიღა, ასე რომ ვეღარცკი ჰსცნობს კაცსა; ვასიღი ნასულა იმის აქ მოსაყვანად. აი ცრრრუ სოფელი! გუღლით ვჰსწუხვარ კნიაზ მოსე ზახარიჩისათუს. - 24^ს ამ თვისას გავემგზავრეღი, აუღი ძალუა ბარბარესაცა და ვნახავ შენს გოღიათს შვიღებსა; მაგრამ რა გამოვიღა კიღეღ უნდა დაგ-შორღეთ! ღ^სო¹ როღემღის? მთავარმართვეღი უკეთ ბძანღება; ანდრონიკოვის გამარჯვებამ გააცოცხღა. - შენი სახღები ძალიან მომენონა, მაგრამა ძალიანკი დაგიჯღებოღა ძვირადა; ჯერ არ გამშრალა: კრასკის სუნით ჰყარს, ასე რომ ვერ დავღეღ და ბინა ვიცვალე ივანესთან, ესე იგი მანანასთან. - ბელიიკღუჩიღამ თუ ჩამოვა ძალუა ამ ზამთარს, ამ სახღებში არ დაეღგომება, და კნეინა კნიაზითურთ ურჩევენ, რომ სხუაგან დასღგეს საღმე დროებით, თორემ თითონაც და შვიღებიც ავათ დახღებიან. - მე ამავე საათში მივდივარ ანღეტასთან, რომ ამ საქმეზედ ვიმასღაათოთ.

მგონია ახღა თქვენკენ კარგი ზამთარი იყოს და ჯარე-ბიც დარიღდნენ სოფღებში, რადგანაც მღერი გაქცეულა ყარსისკენ, და ამა მიზეზისაგამო იქნება შენც მოხვიღე დროებით ამ ზამთარს თბიღისში.

გამოვესაღმე ზაქათაღასა და სწორედ გითხრა ძალიან შევჰსწუხღი; შევეჩვიე აღღიღს, ხაღხსა, შევიტყე იქაურობის ავიცა, კარგიცა; ვიცოღი რა დროს რანამაღი უნღოღა; ხაღხიც მომენღო, შემეჩვია, და ახღა უნდა კიღეღ სხუა უღელი

ახალი დავიდეა კისერზედა, და ამასთანა სიშორე მანუხებს ძალიან; აქკი ზაქათალაში ჩემი თავი შინ მეგონა. – ამისგარდა ესოდენმა აყრადაყრამ გამინყვიტა ილაჯი, გროში არ შემრჩა, მე ხომ ვერ ვეტყვი ფული მომეცით და! –

დივიზია პეხოტისა და დივიზია კავალერიისა მოდის კიდევე; სპარსეთისაკენ გაგზავნილნი არიან ჩვენი სანკოვსკი, ბარტოლომეი, ხანიკოვი, რომ ძალა დაატანონ და შეკრულობის ძალითა ჯარები გამოიყვანონ და შემოუტიონ ოსმალთა.

აქ არავინ დამხვდა, არცა ყაფლან. რომელიცა კიდევე წასულა ბორჩალოს მოურავად, არცა კონსტანტინე, რომელიცა წასულა სოფლებში მილლიონების ასაღებადა, და ვარ თითქმის მარტო.

ზაქათალაში დარჩა ჩემმაგიერ კნიაზ გრიგოლ მუხრანისბატონი.

სხუა არა ვიცირა ამბები; ამბები თქვენკენ არის და თქვენგანუნდა მოგვედიოდეს; დღეის იქით მომწერდე თემირხანშურას.

ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე; ეგრეთვე ვახტანგ, სოსიკო და სხუანი. – ღთ^{ვი} იყოს შენი მფარველი.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

კნიაზს ვასილი ოსებიჩს ჭეშმარიტს პატივისცემას მოვახსენებ.

1853 ნოემბ: 22 დღეს.

თბილისით.³

[ამის შემდეგ გრიგოლ შადინოვის, ალექსანდრე ორბელიანისა და გრიგოლ ერისთავის მინაწერებია და შემდეგ ისევ გრძელდება გრიგოლის წერილი]

ამ მინუტში მოვიდა ჩემთან სლინკო და მომიტანა ეს გამონერილი შენგარდის საქმეზედ, და მთხოვა რომ გაცნობო ადრევე ამ საქმის მდგომარეობა. ამასთანავე შემოგიტვალა ცრემლით, რომ შუშის კამენდანტად დამანიშვინიეო, რომლისა-საც ვაკანცია გახსნილა.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №1 (308)

Его Сіятельству,
Князю Дмитрію Давидовичу,
Джорджадзе.
в Кр: Закатала, 1*

ამ საათში მოიტანეს ალექსანდროპოლის მხრიდან მრავალი ბაირალები; ჩვენებს დაუმარცხებიათ სერასკირი, რომლისათვის წაურთმევიათ ოცდაოთხი ზარბაზანი. და მთლად ოსმალოს ჯარი აუოტებიათ.

შენი გრიგოლ ორბელიანი

[1853 წლის 19-22 ნოემბერი]

*მის ბრწყინვალებას,
თავად დიმიტრი დავიდოვიჩს,
ჯორჯაძეს.
ცხი: ზაქათალას

ჩემო საყვარელო დიმიტრი! ხვალ დილით გავემგზავრები თემირხანშურისაკენ გულით მწუხარე დაშორებისათვის ჩემთა კეთილთა ამხანაგთაგან, რომელნიცა მართლად მიყვარდნენ და რომელთაშორის თავი ჩემი მეგონა შინ.

შენი ჩემთანა გადმოყვანისათვის დღეს ვსთხოვე და აღმითქვაცა შჩერბინინმა და ჩემთანავე უბძანა ჩინოვნიკსა, ვისიც საქმე იყო, რომ გრისენკოს¹ დანიშნვა ახალს თანამდებობაში რასნამს მოვა პეტერბულიდამ, მაშინვე შენ დაგნიშნონ მის მაგიერ;² ამას მე კიდევ ვერ მივვნდობი და დღესვე შჩერბინინს გავუგზავნი памятную записку.*

ანდრონიკოვის გამარჯვებას ხომ შეიტყობდით; გუშინ ელიზბარ ერისთავი მოვიდა დონესენიით, რომ თორმეტის ზარბაზნების გარდა, რომელნიცა წაართვეს ოსმალებსა, კიდევ ორი ზარბაზანი ეპოვნათ გადაგდებულნი ხევში, დიდი მალაზეინი პურისა, ამმუნციისა, огромные запасы пороха и разных разностей,** დარჩათ ჩვენს ჯარსა.

რუსეთიდამ კიდევ მოდის აქ ერთი დივიზია პეხოტისა და ერთი დივიზია კავალერიისა. – ზავადოსკი,³ მომავალი ეკსპედიციიდამ, კარეტაშიკი მოკუდა; კაზლოვსკი⁴ დანიშნეს დროებით მის ადგილსა.

ოსმალოს ჯარი, მდგომარე ალექსანდროპოლის მოპირდაპირედ, აიყარა და გაიპარა ყარსისაკენ, მაგრამ მთავარმართებელსკი ჰსწყინს, რომ კარგად არ დაამარცხა ბებუთოვმა და არ გაფანტა ის ჯარი.

არაქს⁵ გაღმა ყარაბაღის მილიციამ და შამახიისამა ძალიან დაამარცხეს ქურთები; ერთის სიტყვით ძალიან კარგად მოდის ჯერ ჩვენი ოსმალოსთან საქმე.

ასტაფიევი, სვიმონ, ბრუსილოვი, ახვერდოვი დიდის და დიდის სიყვარულით მომიკითხე; და ესეც უთხარით, რომ მე მაგათ согласие^{ლს***} აღარ ვითხოვ, როცა ჩავიგდებ დროსა ჩემ-

თან გადასაყვანად, და მგონია მალეც შემთხვევა მომეცეს ჩემდა სასიხარულოდ. –
ნუ დამივიწყებთ.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

ჭარის ყაზია, ჰაჯიმაჰმუდ, რამაზან, ალიბეგები, მურ-
თუზჰაჯი, ოცოოლლ და ჰაჯი იტინაუ მომიკითხე. –

23^ბ ნოემ: 1853.
თბილისი.⁶

¹სამახსოვრო ბარათს.

²თოფის წამლისა და ათასთა სხვათა უთვალავი მარაგი.

³თანხმობასა.

იოანე სავანელისადმი №1 (310)

მამაო იოანე სავანელო!

უმორჩილესად გთხოვთ უწიროთ თხუთმეტი გარდაცვა-
ლებულსა ჩემს ძმასა ილია ორბელიანსა.

დავშთები თქუენი მორჩილი მოსამსახურე
თ¹ნი¹ გრიგოლ ორბელიანი

24^ბ დეკემ:² 1853 წელსა.

[პირველ გვერდზე მინაწერია:]

სიონის დეკანოზს
იოვანე სავანელს.³

ალექსანდრე ვილგონისადმი №1 (311)

Полковнику Вильбою.¹

Просьбу эту имею честь препроводить на милосерднiе воззрѣнiя, к Вам, Милостивый Государь, Александр Давыдович, с убедительным ходатайством простить искренно раскашающемуся молодому Анучину грехи его юности и кто из людей в дни молодости не спотыкался, не падал! Принятием его вновь на службу Вы спасѣте его от голода и возвратите на путь нравственной жизни. Молодость сама по себе достойна сочувствiя. не зависимо этого, отец бедного молодаго этого человека был моим товарищем по службе.

[1853 წლის ბოლომდე]

ალექსანდრე ვილგონისადმი №1 (311)

პოლკოვნიკ ვილბოის.

პატივი მაქვს, ამ თხოვნას თქუენი მონყალების იმედი დავუერთო, მონყალო ხელმწიფევ, ალექსანდრე დავიდოვიჩ, ბეჯითი შუამდგომლობით აპატიოთ გულწრფელად მომნანიებელ ახალგაზრდა ანუჩინს მისი ახალგაზრდობის ცოდვები; ადამიანთაგან რომელი არ ნაბორძიკებულა, არ დაცემულა ახალგაზრდობის ხანს! მისი კვლავ სამსახურში მიღებით თქუენ მას შიმშილისგან იხსნით და მორალური ცხოვრების გზაზე დააბრუნებთ. ახალგაზრდობა თავისთავად ღირსია თანაგრძნობისა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მამა ამ საბრალო ახალგაზრდა ადამიანისა იყო ჩემი სამსახურებრივი მეგობარი.

[1853 წლის ბოლომდე]

ბაბაღე საგინაშვილისადმი №3 (312)¹

ჩემო საყვარელო დაო ბაბაღე! მე ცოტად ავად გავხდი; ახლა ღთ² უკეთ შევიქენ, ვჰსუამ ქინაქინასა. – შენი ქმარი წასულია აღბულაღსა პოლკის ჩასაბარებლად. – მშვიდობით ჩემო დაო.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

იანვრის 28.
1854 წელს.³

ძალუა ელისაბედს, ჩემს საკუთარს ძალუას, სიყვარულთ მოვიკითხავ. – ძალუა ვარინკა, გადმოვიდა აქა; პატარა შვილიც კარგადა ჰყავს.

შენი ძმა გრიგოლი

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №5 (313)

სულთ, გულთ გმადლობ, ჩემო საყვარელო კონსტანტინე, აგრე კეთილად დასრულებისათუჲს პოლკის ჩაბარებისა; ღთ¹ მან¹ მომცეს შემთხვევა რომ გადვიხადო ნაცვლადი, რომლითაცა აგრე ნათლად გამოაჩინე ჩემის ძმის საქმე; ხომ იცი რა ძნელია პოლკის ჩაბარება შემდგომად პოლკის კამანდირის [სიკ]უდილისა.² – ღთ³ იყოს შენი მფარველი და ნუ დამივიწყებ შენს მარადის ერთგულს და ბედნიერების მოსურნეს

ჭაეტონს დიდის სიხარულით დაგითმობდით, მაგრამ ქა-
ლებმა მოინდომეს და მეცა დავჩუმდი. –

[„18 2/4 54“]

ბაბაღე საბინაშვილისადმი №4 (314)

ჩემო საყვარელო დაო ბარბარე!

ამ ერთს კვირაზედ მომიხდება წასვლა დაღისტნისაკენ
და ვინ იცის, როდისღა მეღირსება ხიღვა შენი. – ვინძლო,
ჩემო ბაბაღე, არ დამივიწყო და ხშირად შენის წერიღლით და
შენის ამბითა გამახარებდე. – აღექსანდრემ ასეთი ვალი დას-
დვა ჩვენს ოჯახზედ, რომ ამის სამაგიეროს ღთ^ი გადუხდის.
– ძალუა ეღისაზედ სიყვარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

9^ა თებერ: 1854. –
თბიღისით.²

ქეთევან ორბელიანისადმი №59 (315)

საყვარელო ძალუავ ქეთევან! ძღივს რისყოფით გუშინ
მოვახნიე თემირხანშურას; დიდი ტაღახი და ვაივაღღახობა
გამოვსნიეთ გზაზედ. – შუაღამე გადასუღია, მთვღემს, ვერა
მომიგონიარა მოსანერად; მოვეღი თქვენგან ყოვეღის დაწვრი-
ღებით შინაურობის ამბავსა. – ძალუა ნინო, თამარ და სოფი-

კო, ძალუა ელისაბედ ელენეთურთ, სოფიკო და ტასიკო, და ჩემი ბაბალე სიყვარულით მომიკითხეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

12 მარტს 1854.

შურით.¹

[მე-4 გვერდზე მისამართი წერია:]

მისს ბრწყინვალეობას
კნენას ქეთევანს ორბელიანისას
თბილისს²

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №3 (316)

18 Марта 1854 года Темир¹ Хан Шура.

К[№] Александру Ивановичу Барятинскому.

Из прежняго донесенія моего, В[аше] С[іятельство], усмотреть изволили о положеніи дел в Дагестане. Оне очень неутешительны для нас: в подвластных нам обществах с успехом проповедуют тайные приверженцы Шамиля о священной войне Султана против Русских; Шамиль готовит громадную кавалерію и с наступленіем весны начнёт свои действия. И по всему видно, что первое вторженіе его будет в Акуше, Кайтаге и Табасарани, жители которых достаточно приготовлены к пріёму его; не ручаюсь также и за Кюринское Ханство, а там и Куба, и Дербенд и далее и далее, все теже Магометане, т[о] е[сть] вечныя враги Христіан. Теперь, чем когда-нибудь, нужно много усилій, много силы, чтоб пламя

возмущенія не разлилось Далее Дагестана. И потому умоляю Вас, Князь, окажите мне помощь несколькими баталіонами. Поверьте мне, что содействіе Ваше нигде за Кавказом так не полезно, как в Дагестане, потому что при малейшем здесь успехе Шамиля силы его возрастают до громадной цифры: Акуша, Кайтаг, Табасарань, Сюрга, Кобечи и пр[очие] дадут ему более 30 ты[сяч].

Если до сих пор в Дагестане не предвиделась такая опасность, то именно потому, что мы действовали в земле непріятельской наступательно и подвластныя нам общества оставались покойными зрителями, признавая могущество нашего оружія при движеніи наших войск вперед. Но с 1850 года, когда мы стали довольствоваться оборонительным положеніем, Шамиль внёс войну в наши пределы: Так в 1851^м взволнован Табасарань; в 1852^м Султан занял Горный Магал, а в прошлом 1853^м Шамиль вторгся в Джаробелаканскій округ. В нынешнем же году будет самое страшное здесь возстаніе, а я могу располагать из 18^н батал[іонов] только пятью действующими. Прошли те счастливыя времена, когда и одним баталіоном можно было прослать Героем! Повторяю, в настоящее время ни левый фланг Линіи, ни Чечня не имеют той важности, как Дагестань. Там самые блестящіе успехи Шамиля доведут его только до р[еки] Терека, за которою начинается Православная Русь, где не распространится Мюридизм; но здесь взгляните на карту: Дагестань соединяется с Борчалинским Участком верою Магометанскою.

Я, быть может, смотрю на положеніе Дагестана слишком в увеличительное стекло, и дай Бог, чтоб я ошибался; но говорю о том, что очень может случиться: Знамя Пророка поднято! Не доверяйте покойной физіономіи Магометан, которыя покоряются только силе без чувства преданности.

Убеждаю Вас, Князь, вышлите мне до 4^х баталіонов откуда заблагоразсудите, и не указывайте мне на содействіе с леваго фланга Линіи, откуда, при всём желаніи Барона Врангеля и Николаи, помощь будет поздня: в быстрем нашествіи непріятелиа день дорог, а от Хасавюрта до Кайтага очень не близко; и потому необходимо иметь мне под рукою сколько можно более баталіонов. Прошлый год был мне хорошим уроком испытанія, ожидая помощи; неужели и теперь предстоит мне роль нищаго: всегда умаливать добраго соседа? Я прошу 4^а баталіона потому, чтоб иметь возможность занять Казыкумское Ханство отдельным отрядом; иначе Шамиль вторгнётся в Кайтаг и Табасарань, и это центральное положеніе даст ему все выгоды действовать на Акушу, Дербендскій уезд, Кюринское Ханство, Кубу, Ахты и Казыкумык. Вот причины моей убедительной просьбы; оне стоят того, чтоб уважили.

Ещё осмеливаюсь просить усилить двумя ротами из Шемахи и Баку Гарнизон города Кубы, где всего две слабыя роты защищают город и даже весь уезд.

По последним известіям из гор Шамиль часто разсылает по деревням своих приближенных, которыя осматривают лошадей, приготовляемых к походу. Десять домов должны выставить одного Коннаго для предстоящей войны с нами.

Генерал Сулов в отчаяніи от Ваших замечаній, убедительно прошу, Ваше С[іятельство], несколькими ласковыми словами ободрить упавшій дух его; тем более, что и действия его не совсем так выставлены пред Вами, как оне действительно совершались.

1854 წლის 18^ბ მარტსა თემირ ხან შურით.

კ^ბ ალექსანდრე ივანოვიჩ ბარიატინსკის.

ჩემი წინა მოხსენებიდამ, თქვენო ბრწყინველებავ, გინებე-
ბიათ, თუალი მიგედევნებინათ საქმეთა ვითარებისათვის დალისტან-
ში. ისინი ძალზედ არასასურველია ჩვენთვის: ჩვენი ძალაუფლების
ქუეშ მყოფ საზოგადოებებში შამილის საიდუმლო მომხრენი წარმა-
ტებით იმოძღვრებიან სულთნის წმინდა ომზედ რუსების წინააღ-
მდეგ; შამილი ამზადებს ვეება კავალერიას და გაზაფხულის დადგო-
მასთან ერთად დაიწყებს მოქმედებასა. ყოველივედან სჩანს, რომ
მისი პირველი შემოჭრა იქნება აპყოშაში, ყაითალსა და ტაბასარან-
ში, რომელთა მცხოვრებნიც საკმაოდ არიან მომზადებულნი მის შე-
სახვედრად; არც ქურის სახანოს ეუდგები თავდებადა, ხოლო იქ ყუ-
ბაცაა და დერბენდიც და იმის იქით ისევე ის მაჰმადიანნი, ა[ნუ] მა-
რადიული მტრები ქრისტიანთა. ან, როგორც არასდროს, საჭიროა
დიდი ძალისხმევა, დიდი ძალღონე, რათა აღშფოთების ალი არ მოე-
დოს დალისტანს იქით. და ამიტომ გვევდრებით თქვენ, კნიაზო,
აღმომიჩინოთ დახმარება რამდენიმე ბატალიონითა. მერწმუნეთ,
რომ თქვენი დახმარება კავკასიის გადმომლა არსადაა ისე სასარ-
გებლო, როგორც დალისტანში, რამეთუ აქ შამილის უმცირესი წარ-
მატების შემთხვევაშიც კი მისი ძალები უსაშველოდ გაიზრდება:
აპყოშა, ყაითალი, ტაბასარანი, სიურგა, ყობეჩი და სხ[ვანი] მისცე-
მენ მას 30 ათ[ასზედ] მეტსა.

თუკი აქამომდის დალისტანში არ შეიმჩნეოდა ამგვარი საშიშ-
როება, სწორედ იმიტომ, რომ მტრის მიწაზე შეტევით მივდიოდით
და ჩვენი ძალაუფლების ქუეშ მყოფი საზოგადოებები რჩებოდნენ
უშფოთველ მაყურებლებად და აღიარებდნენ ჩვენი იარაღის ძლევა-
მოსილებას ჩვენი ჯარების წინსვლისას. მაგრამ 1850 წლიდამ, როცა
ჩვენ თავდაცვითი მდგომარეობით ვინყეთ დაკმაყოფილება, შამილმა
ომი შემოიტანა ჩვენს საზღვრებში: ესრე 1851^ბ შეწუხებულია ტაბა-
სარანი; 1852^ბ სულთანმა დაიკავა გორნის მაჰალი, ხოლო გასულს
1853^ბ შამილი შეიჭრა ქარბელაქნის ოკრულში. წელს კი აქ ყველაზე
საშინელი აჯანყება იქნება, ხოლო 18 ბატალიონიდამ მე ძალმიძს

მხოლოდ ხუთი მოქმედის განკარგვა. ნარილტვა ის ბედნიერი უამი, როცა ერთის ბატალიონითაც შეიძლებოდა გმირის სახელი გაგვარდნოდა! ვიმეორებ, ამჟამად ხაზის არც მარცხენა ფლანგს, არც ჩეჩნეთს არ გააჩნია ის მნიშვნელობა, რაც დალისტანს. იქ ყველაზე ბრწყინვალე წარმატება შამილს მიიყვანს მდ[ინარე] თერგამდინ, რომლის გაღმაც იწყება მართლმორწმუნე რუსეთი, სადაც არ გავრცელდება მიურიდიზმი; მაგრამ აქ, დახედეთ რუკას: დალისტანი უერთდება მაჰმადიანური სჯულის მქონე ბორჩალოს მონაკვეთსა.

მე, შესაძლოა, დალისტნის მდგომარეობას ძალზედ გამადიდებლის შუშით ვუყურებდე და, ღმერთმა ჰქნას, ვცდებოდე; მაგრამ ვლასპარაკობ იმაზედ, რაც მართლაც შეიძლება მოხდეს: წინასწარმეტყველის დროშა აღმართულია! ნუ ენდობით მაჰმადიანთა მშვიდ, დანყნარებულ სახეებს, რომელნიც ერთგულების გრძნობის გარეშე მხოლოდ ძალას ჰმონებენ.

გარწმუნებთ, კნიაზო, გამომიგზავნეთ 4 ბატალიონამდინ, საიდანაც ინებებთ, და ნუ მიმითითებთ მარცხენა ფლანგიდამ დახმარებაზედ, საიდანაც, ბარონ ვრანგელისა და ნიკოლაის სურვილის მიუხედავად, დახმარება იქნება დაგვიანებული: მტრის სწრაფი თავდასხმისას ძვირფასია [ყოველი] დღე, ხოლო ხასავიურთიდამ ყაითალამდინ შორია; და ამიტომ აუცილებელია, რაც შეიძლება, მეტ ბატალიონზედ მიმინვედბოდეს ხელი. გასული წელი ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო გამოსაცდელად, დახმარების მოლოდინში; ნუთუ ახლაც მელის მათხოვრის როლი: მუდმივად ვემუდარო კეთილ მეზობელსა? ვითხოვ 4 ბატალიონს მისთვის, რათა მქონდეს შესაძლებლობა, ყაზიყუმუხის სახანო დაეიკავო ერთი ოტრიადითა; სხვაგვარად შამილი შეიჭრება ყაითალსა და ტაბასარანში და ეს ცენტრალური მდგომარეობა მას მისცემს ყველა უპირატესობას, იმოქმედოს აპყომაზედ, დერბენდის უეზდზედ, ქურის სახანოზედ, ყუბაზედ, ახტაზედ და ყაზიყუმუხზედ. აი, მიზეზები ჩემი ბეჯითის თხოვნისა; ისინი ღირს იმად, რომ პატივი სცეთ.

ვბედავ აგრეთვე ვითხოვო, შემახიისა და ბაქოს ორი როტით გამაგრდეს ქალაქ ყუბის გარნიზონი, სადაც მხოლოდ ორი უღიმღამო ოცეული იცავს მთელს ქალაქსა და მთელს უეზდსაც კი.

ბოლო ცნობებით, შამილი ხშირად აგზავნის მთებიდამ სოფლებში თავის ახლობელთ, რომელნიც სალაშქროდ გამზადებულ

ცხენებს ათვალეიერებენ. ათმა კომლმა თითო ცხენოსანი უნდა გამოჰყოს ჩვენთან სამრად.

ღენერალი სუსლოვი სასონარკვეთილია თქვენი შენიშვნებით, დაბეჯითებით გთხოვთ, თქუენო ბ[რწყინვალეზავ], რამდენიმე სანუგეშო სიტყვით გაამხნევოთ მისი დაცემული სული; მით უფრო, რომ არცა მისი ქმედებანია წარმოჩენილი თქვენს წინაშე იმგვარად, როგორც სინამდვილეში ხორციელდებოდა ისინი.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №4 (317)

24 марта 1854. Т: X: Шура

К: Александру¹ Ивановичу Барятинскому.

С чувством глубочайшей скорби читал я письмо Вашего С^{ва} и предписание, которыми требуете от меня 4^е батал[іона] в помощь действующим войскам противу Турціи по случаю остановленія 14^{ой} дивизіи, следованной на Кавказ.

Святой долг и совесть велят мне доложить Вам, что удаленіе отсюда 4^х батал: повлечёт за собою гибельныя неисчисленныя последствія для нас.

Пред этим я имел честь объяснить В^{мх} С^{вх} о положеніи дел в Дагестане, прося Вас о усиленіи меня именно 4^{мв} баталіонами, чтобы иметь возможность занять Казыкумыкское Ханство отдельным отрядом. Этот год для войны на Кавказе есть год исключительный, не похожий на все предшествовавшіе. Война эта есть священная для каждаго Мусульманина; следовательно и средства мои должны быть усилены. Шамиль делает огромныя приготовленія; покорныя нам общества ждут только малейшаго его успеха, чтоб единодушно возстать противу нас. Как я могу в таком положеніи края решиться удалить отсюда 4^е баталіона? С

чем же я останусь, когда из 18^{ти} бат: могу только располагать 5^ю действующими?

Что касается до оставления некоторых укреплений передовой позиции, чтоб выведенными оттуда Гарнизонами заменить 4^е батал[іона], то это также невозможно. В Грузіи, или вообще в земле Христіанской, оно выполнилось бы легко; но здесь, при клике «Русскіе бегут, бросают укрепления» какой Горец, какой Татарин не подымет голову, не возмётся за оружіе? И каким образом можно выполнить это? Гарнизоны Лучека, Ахты, Курага, Чирага, Казыкумыка сами собою не могут дойти до меня: они будут истреблены; поэтому я должен бросить всё здесь и с отрядом бродить по всем этим ущельям, чтоб собрать разбросанныя Гарнизоны, и на обратном пути пробиваться сквозь целый Дагестанъ, который неминуемо возстанет, и допустим, что наши храбрыя войска, хотя и с великою потерью, но преодолеют все преграды и пробьют себе дорогу сквозь полчищ непріятеля, что тогда? Как защищать Шуру, Петровское, Дербенд, Кубу и Далее? или это всё также бросить и примкнуть к левому флангу Линіи, чтоб выдти потом за реку Терек? Вот, до чего доведёт нас удаление отсюда 4^х баталіонов; Между тем Шамиль, к которому присоединится всё магометанное населеніе, с громадною силою в 100 ты[сяч] явится к Тифлису с огнём опустошенія. А Персія, неужели она останется покойною зрительницею и не воспользуется случаем возвратить свои провинціи? И кто в состояніи исчислить все потери и те бедствія, которым подвергнутся и Грузія и доселе победоносныя наши войска, драгоценною кровью которых куплено всё Закавказье? И из чего? Нужна только одна дивизія, чтоб устранить всю эту беду и выдти из борьбы победоносно, с светлым лицом, со славою, которая не покидала до сих пор знамена Великаго Нашего Императора.

По моему мнению, Франция и Англия не могут оказать Турции более существенной помощи, чем мы, если удалим отсюда батальоны. Напротив, убеждаю, Ваше С[иятельство], усилить меня, как я прежде просил, 4^м батальонами, чтоб действия Шамиля ограничить в его горах. Одною своею силою он не страшен для наших войск; страшен, когда покорные нам общества присоединяются к нему. Вот этого соединения Шамиля с подвластными нам племенами Горцев и вообще мусульман не должны мы допустить.

Князь, спасите обширный этот край; и честь и славу нашего оружия заступничеством Вашим; голос Ваш слышнее у Высочайшаго Престола! или убейте меня прежде, чем я увижу потерю славы наших войск и торжество неприятеля!

აღქსანდრე ბარიატინსკისადმი №4 (317)

24 მარტი 1854. თ: ხ: შურა

კ: აღქსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკის.

ულრმესი მწუხარების გრძნობით ვკითხულობდი თქვენის ბ[რწყინვალეების] წიგნსა და მითითებასა, რომლითაც ჩემგან ითხოვთ 4^ბ ბატალ[იონსა] ტურციის წინააღმდეგ მოქმედი ჯარების დასახმარებლად კავკასიაში მომავალი მე-14 დივიზიის შეფერხების გამო.

წმიდა ვალი და სინდისი მავალდებულებენ მოგახსენოთ, რომ აქედამ 4 ბატალ[იონის] მოშორება გამოიწვევს უთვალავ დამლუპველ შედეგს ჩვენთვის.

უნინარეს ამისა, მქონდა პატივი, თ[ქვენის] ბ[რწყინვალეებისათვის] ამეხსნა საქმეთა ვითარება დალისტანში და გთხოვდით ჩემს გამაგრებას ზუსტად 4 ბატალიონით, რათა მქონოდა საშუალება, ყაზიყუმუხის სახანო დამეკავებინა ერთი ოტრიადითა. ეს წელიწადი განსაკუთრებულია კავკასიაში საომრად, არა ჰგავს არცერთს უწინდელსა. ეს ომი წმიდაა ყველა მუსლიმანისათვის; შესაბამისად, ჩემი

საშუალებებიც უნდა იქნეს გაძლიერებული. შამილი დიდ სამზადის-შია; ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფი საზოგადოებები ელიან მის მცირე ნარმატებას, რათა ერთსულოვნად აღსდგნენ ჩვენს წინააღმდეგ. მხარის ამგვარი მდგომარეობისას როგორ შემოიძლია გადავწყვიტო 4 ბატალიონის მოშორება აქაურობისთვის? რის ამარა დავრჩები მე, როცა 18⁰⁰ მხოლოდ 5 მოქმედი ბატალიონი ხელმეწიფება?

რაც შეეხება წინა პოზიციის ზოგიერთი გამაგრების მიტოვებას, რათა იქიდან გამოყვანილი გარნიზონით ჩანაცვლდეს 4 ბატალიონი, ეს ასევე შეუძლებელია. საქართველოში, ან საერთოდ ქრისტიანულ მინაზედ, ეს იოლად გაკეთდებოდა; მაგრამ აქ ყვილზედ – „რუსები გარბიან, გამაგრებას სტოვებენ“, რომელი მთიელი, რომელი თათარი არ ასწევს თავსა, არ აიღებს იარაღსა? და რანაირად შეიძლება ამის აღსრულება? ლუჩქის, ახტის, ყურახის, ჩირალის, ყაზიყუმუხის გარნიზონებს თავისით არ ძალუძთ ჩემამდე მოღწევა: ისინი განადგურდებიან; ამიტომ აქ ყველაფერი უნდა მივატოვო და ოტრიადით ვიხეტილო ყველა ამ ხეობაში, რათა შევკრიბო გაფანტული გარნიზონები და უკან გზა ბრძოლით გამოვიარო მთელს დაღისტანზედ, რომელიც გარდაუვლად აჯანყდება; დავუშვათ, რომ ჩვენმა მამაცმა ჯარებმა, თუმცა დიდი დანაკარგებით, მაინც გადალახონ ყველა წინააღმდეგობა და გაიკაფონ გზა მტრის ურდოებზე გავლით, მაშინ რა? როგორ დავიცვა შურა, პეტროვსკი, დერბენდი, ყუბა და იმის იქით? თუ ეს ყოველივეც მივატოვო და ლინიის მარცხენა ფლანგს შევუერთდე, რათა შემდეგ გადავიდე თერგის გადაღმა? აი, რასთან მიგვიყვანს ოთხი ბატალიონის მოშორება აქედამ; ამასობაში შამილი, ვისაც მთელი მაჰმადიანური მოსახლეობა შეუერთდება, 100-ათასიანი ვეება ძალით მიაღდება თბილისს გამანადგურებელი ცეცხლითა. ხოლო სპარსეთი, ნუთუ ის დარჩება მშვიდად და არ გამოიყენებს შემთხვევას, დაიბრუნოს თავისი პროვინციები? და ვის ძალუძს აღწეროს ყოველი დანაკარგი და ის უბედურება, რომელთაც იწვნევს საქართველოცა და აქამომდის დაუმარცხებელი ჩვენი ჯარიცა, რომლის ძვირფასი სისხლითაა ნაყიდი მთელი ამიერკავკასია? და რისთვის? საჭიროა მხოლოდ ერთი დივიზია, რათა ავიცილოთ მთელი ეს უბედურება და ბრძოლიდან გამოვიდეთ ღირსეულად, ნათელი სახით, დიდებით, რომელიც აქამომდის არ სცილდებოდა ჩვენი დიდი იმპერატორის დრომებსა.

ჩემი აზრით, ჭრანციასა და ანგლიას არ ძალუძთ, ტურციას აღმოუჩინონ ჩვენზედ უკეთესი დახმარება, თუკი აქედამ ბატალიონებს მოვაშორებთ. პირიქით, გარნმუნებთ, თქუენო ბ[რწყინვალე-ბავ], გამაძლიეროთ, როგორც აქამომდის ვითხოვდი, 4 ბატალიონითა, რათა შამილის ქმედებანი შეიზღუდოს მთებში. მხოლოდ თავისი ძალით ის არაა საშიში ჩვენი ჯარისთვის; საშიშია, როცა ჩვენი ქვე-შევრდომი საზოგადოებები უერთდებიან მას. არ უნდა დავეუშვათ ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ მთიელთა საზოგადოებებისა და, საერთოდ, მუსულმანთა შერწყმა შამილთან.

კნიაზო, თქვენი მხარში დადგომით გადაარჩინეთ ეს ვრცელი მხარე, ღირსებაცა და დიდებაც ჩვენი იარაღისა; თქვენი ხმა უფრო გაისმის უზენაეს ტახტთან! ანდა მომკალით მანამ, ვიდრე ვიხილავდე ჩვენი ჯარების დიდების გაქრობასა და მტრის ზეიმსა!

ქეთევან ორბელიანისადმი №60 (318)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! გუშინ ფოშტით მომივიდა წერილი სანდროსაგან, რომელიცა დიდს იმედებს მაძლევს ბეჯითობისათუხ ჰსწავლაზედ; და ვნახოთ როგორ აასრულებს ამ აღთქმასა.

დეკანოზს არდაზიანსა უთხარით, რომ მალე მოვართმევ ფულსა საფლავის ადგილისათუხ ჩემის ძმისა, ოლონდ უწინდელსავით ნუ იჩივლებს უბრალოდ.

აქ ჯერ ისევ დიდი ზამთარია, და ყოველს დღეს მოდის და მოდის თოვლი.

კოჭლი სოსიკო სიყვარულით მომიკითხე; ბაბაღე წავიდა ანანურსა, თუ დარჩა ქალაქში? წელნაზი თამარ და სოფიკოები ტასიკოთურთ მომიკითხეთ; ეგრეთვე ძალუები ნინო და ელისაბედ. – ყაფლან სად არის და ანუ როგორ? – ბაბაღეს სიყვარულით მოვიკითხავ! –

აბა ახლა მომწერეთ, რა ამბავია თქვენს მხარეს, რა ისმის, ანუ რასა ჰშვრებით? ჯოხაძეს უბძანეთ, რომ ჯოგს

თვალყური უგდოს და კარგად შეინახოს, რომ პირნათლით მეჩვენოს, და მეც სამაგიეროს გადუხდი. ეგრეთვე უბძანეთ გეუასა, რომ რაც შეიძლოს მხნედ მოიქცეს და ბევრით ბევრი გაჰსთიბოს¹ თივა ყველგან.

ნუ დაგავინწყდებათ, ეგებ იაფად როგორმე შეისყიდოთ კალატოზისშვილისაგან მამული, მაგრამ თუ შეიძლოთ, როგორმე გააზომინეთ ჩუმად რომ ადრევე ვიანგარიშოთ რიცხვი საყენებისა, რომ არ მოვსტყუვდეთ. – ჰსჯობს ამ საქმეზედ თუთ ალექსანდრეს დაელაპარაკოთ, რომ გირჩიოსთ, რას იტყვის, და ან რაოდენისა შეიძლება მიცემა?–

ერთის სიტყვით ყოველივე და ყოველივე დანვრილებით მომწერდეთ ხშირად დახშირად. –

ჩემს საყვარელს იაკინთეს სიყვარულით მოვიკითხავ. –

მშვიდობით თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

დეკანოზს ხელს ვეამბორები.

26 მარტს 1854
თემირხანშურით.²

ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე.

ქეთევან ორბელიანისადმი №61 (319)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევანი!

დიდი ხანია აღარ მომსვლია თქვენგან წერილი და არცა რა ვიცირა მანდაური ამბავი.

ამასწინად მომივიდა სანდროს წერილი, რომელშიაც ბევრს აღთქმას მაძლევს ბეჯითად ჰსწავლისათუც და ვნახოთ;

მეც ვაპირებ მომავალს ფოშტაში ფულის გაგზავნასა, და ისევე სანდროს უნდა ჩაუვარდეს ხელში. –

წელნაზი თამარ მომიკითხეთ სიყვარულით თავისის ქმრითა, ეგრეთვე სოფიკო, რომლისაც ქმარი – როგორც მწერენ – გაჰყოლია კნიაზს ვარანცოვსა; მართლა გაჰყოლია?

ტასიკოს ავითმყოფობა შევიტყვე; რა ჰსჭირს და რა დამართვია.

ჩემს საყვარელს სოსიკოს, ორბელიანთ კამენდანტს – სიყვარულით მოვიკითხავ. –

ყაფლან, მართლად გამოსცვალეს? რა მიზეზი იყო, და ან ეხლა სად არის? ვიცი მემდურის ეგეცა და ძალუაცა რატომ პენსია არ მოუტანინე მაშინვე, იმავე საათსა. – ლთ^{ნი},¹ რჯული, ვერ ვიპოვნე, ვერ ჩავიგდე იმისთანა დრო, რომ მეთხოვნა ისე რიგიანად, რომ უარი არ ეთქვათ; უბედურებისაგამო, იმ უკანასკნელს დროებში მეტად დასუსტებული იყო მთავარმართებელი, რომელსაცა მეტად ეჯავრებოდა, ეზიზღებოდა ყოვლისავე საქმის თქმა და ლაპარაკი. – მაინც დღეს არის თუ ხვალე, მე მიკისრია და აღვასრულებცა. –

ბაბალეს სიყვარულით ჩავკოცნი.

მშვიდობით

შენი მორჩილი მოსამსახურე
გრიგოლ ორბელიანი

17^ა აპრ: 1854

თემირხანშურიტ²

[მე-4 გვერდზე მისამართი წერია:]

ძალუას ქეთევანს
მიერთოს.

21 Апр: 1854 года Т: Х: Шура

К: Воронцову.¹

После продолжительной моей поездки по Линии для обозрения укреплений, я только недавно возвратился в Шуру, где имел счастье застать два письма Вашей Светлости, писанные из Тифлиса и Ставрополя. Не знаю, как выразить чувство глубочайшей моей благодарности за постоянно оказываемое Вашею Светлостью мне милосердное внимание.

С от[ъ]ездом Вашей Свет^л Грузія оделась покровом печали, наносимой скорбною мыслию, что быть может, Ваша Светлость не пожелает возвратиться сюда. В теченіи десятилетнаго блистательнаго правленія Вашего народ привык видеть Вас своим благотворным Геніем и в мире и в войне. Он, по слову Вашему, возстал, преобразился нравственно и быстрыми шагами пошёл по пути процветанія в умственном и матеріальном отношеніях, постигнув жизнь облагороженную, изящную. Пусть даже замолкнет исторія, не замолчит народ, который всегда с благословеніем произнесёт Ваше имя, и молитвы котораго последуют всюду за вами.

Турецкая война сильно отозвалась в недрах Кавказских гор; Шамиль готовит громадную кавалерію и подвластные нам общества глухо волнуются, в особенности Кайтаг и Табасарань. Между тем я успел наказать совершенным разореніем Кайтагскую деревню Уркрах, приют всех разбойников, беглых, проповедников Шаріата, откуда распространялся дух мятежа противу нас в Табасарани, Кюринском Ханстве и даже в Кубинском Уезде. Теперь окончилась продолжительная зима; весенное солнце пригрело горы; стаял снег, и вот-вот ждём, где раздадутся первые выстрелы. Настоящее намереніе Шамиля ещё не объяснилось; но я полагаю, что он вторгнётся в наш Дагестань, который представляет ему более выгод, чем где-нибудь. Говорят также, что он намерен пройти в Кабарду для соединенія с Мамед Эмином.

Между тем здесь пока идёт всё своим порядком: Шамхаль живёт по-прежнему, мало обращая вниманія на политику Пальмерстона и вообще на положеніе дел в Европе. Ханьша Мехтулинская храбро живёт в Джунгутае, гордясь прекрасными своими детьми, которыя славно начинают служить и приобретают уваженіе в народе; Джамо бек попивает по старинному; и недавно дочь Шамхала вышла замуж за Ибрайм Хана.

Несколько почт не пришло из Россіи, и совершенно не знаем о ходе военных действий на главном Театре войны; между тем смутно носятя слухи о переходе наших войск за Дунай и о сильном возстаніи Греков.

Господь Бог да Сохранит драгоценную жизнь Вашу для славы Имперіи, для благоденствія стольких народов, ожидающих Вашего возвращенія.

Обожаемой Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель с глубоким уваженіем целую руки.

მიხეილ შორონცოვისადმი №41 (320)

1854 წლის 21 აპრ: თ:ხ: შურა

კ: ვორონცოვსა.

გამაგრებების სანახავად ლინიაზე ჩემი ხანგრძლივი მოგზაურობის მერე, სულ ახლახანს დავბრუნდი შურას, სადაც მქონდა ბედნიერება, დამხვედროდა თბილისიდან და სტავროპოლიდან მოწერილი თქვენი ბრწყინვალეების ორი წიგნი. არ ვიცი, როგორ გამოვხატო უღრმესი მადლიერების გრძნობა თქვენი ბრწყინვალეების მხრიდან მუდმივი ყურადღების გამო.

თქვენი ბრწყინვალეების გამგზავრების შემდგომ საქართველო შეიმოსა [იმ] სევდის ჩადრითა, რომელსაც ჰგვრის მწუხარე აზრი, რომ, შესაძლოა, თქვენმა ბრწყინვალეებამ არ მოისურვოს აქ დაბრუნება. თქვენი ათწლიანი ბრწყინვალე მმართველობის მერე ხალხი მიეჩვია, გთვლიდეთ თავის კეთილისმყოფელ გენიად მშვი-

დობაშიაც და ომშიაც. ის, თქვენს თქმაზედ, აღსდგა, სულიერად გარდაისახა და სწრაფი ნაბიჯებით დაადგა გონებრივი და ქონებრივი აყვავების გზას და ენია კეთილშობილურ, დახვეწილ ცხოვრებასა. დაე, რომც დადუმდეს ისტორია, არ დამუნჯდება ხალხი, რომელიც ყოველთვის ლოცვით წარმოსთქუამს თქვენს სახელს და ეს ლოცვები ყველგან მოგენევათ.

ტურციის ომი ძლიერად აგუგუნდა კავკასიის მთათა ნიაღში; შამილი აგროვებს უზარმაზარ კავალერიას და ჩვენი ქვეშევრდომი საზოგადოებები ყრუდ ჰლელავენ, განსაკუთრებით ყაითალი და ტაბასარანი. ამასობაში მე მოვასწარ, სრულის განადგურებით დამესაჯა ყაითალის სოფელი ურკრახი, თავშესაფარი ყოველთა ყაჩაღთა, გაქცეულთა, შარიათის მქადაგებელთა, საიდამაც ჩვენს წინააღმდეგ აჯანყების სული ვრცელდებოდა ტაბასარანში, ქურის სახანოში და ყუბის უეზდშიც კი. ან დასრულდა ხანგრძლივი ზამთარი; გაზაფხულის მზემ დაათბო მთები; გადნა თოვლი და, აი, უკვე ველით, სად გავარდება პირველი თოფი. შამილის ნამდვილი სურვილი ჯერ არ გაცხადებულა; მაგრამ ვვარაუდობ, რომ ის შემოიჭრება ჩვენს დალისტანში, რომელიც მისთვის უფრო მომგებიანია, ვიდრე რაიმე სხვა. ამბობენ აგრეთვე, რომ მას განზრახული აქვს ყაბარდოში გადასვლა მამედ ემინთან შესაერთებლად.

ამასობაში აქ ჯერჯერობით ყველაფერი თავისი რიგით მიედინება. შამხალი კვლავინდებურად ცხოვრობს და ნაკლებად აქცევს ყურადღებას პალმერსტონის პოლიტიკას და, საერთოდ, საქმეთა ვითარებას ევროპაში. მეხთულის ხანის ცოლი მამაცურად ცხოვრობს ჯუნგუთაიში და ამაცობს თავისი შესანიშნავი შვილებითა, რომელნიც დიდებულად იწყებენ სამსახურს და პატივისცემას იხვეჭენ ხალხში; ჯამობეგი ძველებურად ყლურნავს ხოლმე; და ამასწინათ შამხალის ქალიშვილი იბრაჰიმ ხანს გაჰყვა.

რუსეთიდან ვერ მოვიდა რამდენიმე ფოშტა და სრულიად არაფერი ვიცით საომარი მოქმედებების მსვლელობაზედ ომის მთავარ თეატრში; თუმცა კანტიკუნტად აღწევენ ხმები ჩვენი ჯარების დუნაიზე გადასვლის შესახებ და ბერძენთა დიდ აჯანყებაზედ.

დაე, უფალმა ღმერთმა დაიფაროს თქვენი ძვირფასი სიცოცხლე იმპერიის დიდებისათვის, ამდენი ხალხის კეთილდღეობისათვის, თქვენს დაბრუნებას რომ ელიან.

საღმერთებელს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაძინია შუაზელს დიდის პატივისცემით ვუკოცნი ხელეზსა.

ქათეჰან ორბელიანისადმი №62 (321)

ჩემო საყვარელო ძალუავ

ასე რიგათა ვარ გაბმული საქმეებში და ისე დავიღალე დღეს წერით რომ ველარ შევიძელ თქვენთან წიგნის მონერა ჩემის ხელით და მდივანი მოვიხმარე.

ჩემი ისაი გაახელით, და ეს მოგახსენებთ რომ ყოვლითურთ მშვიდობით ვიმყოფები, ამას დავაბარე ოთხის¹ კვიცის წამოყვანა, რომელიც მანდვე მყვანდა დანიშნულები.

უბძანეთ რომ ის კვიცები გამოიტანონ, თან გამოაყოლეთ ნინიკას ძმა ბაქსა და ანდრია რუსი, ზაქათალამდის ესენი მიიყვანენ, და იქიდან ნინიკას ძმა დაბრუნდება, ანდრია რუსი და ისაია ლევანის კაცებითურთ აქ მომგვრიან.

ჩემის მსახურის ზახარკას დედა მე განვათავისუფლე ხარჯიდამ და იმისი შესახვედრი ფული თითონ მე ჩავაბარე დათია ლუკმიაშვილს, ახლა ამ ბიჭს მოუვიდა თავის დედისაგან ამბავი რომ კიდევ თურმე სთხოვენ რალაც ხარჯს.

უბძანეთ მოურავს რომ ის დედაკაცი განთავისუფლებული ჰყვანდეთ და არა მოსთხოვონ რა წყეულს.

მანდაური ჭორჭურები მომწერეთ.

ჩემი მდივანი მდაბლათ თავს გიკრავთ და დიდის ბოღით გთხოვთ ეს წიგნი თქვენს ძმას მიხეილს უბოძოთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

რიცხვი იყო 24 აპრილი. [1854]

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №5 (322)

27 Апр: 1854. Шура

К: Барятинскому.¹

Письмо Вашего С^{на} от 14 Апр[еля] я имел честь получить вместе с проектом об упразднении Дагестана в случае, если бы при настоящих обстоятельствах последовал разрыв с Персией.

Мнение моё по этому предмету я откровенно выразил в рапорте к Г[лавно]му Командующему Корпусом, и оно в сущности заключается в том, что упразднение Дагестана есть упразднение всего Закавказского Края; потому что доверие подвластных нам мусульманских народов к могуществу нашего оружия исчезнет; огромная часть Дагестана, теперь нам покорная, тогда волею-неволею присоединится к Шамилю, которому таким образом дадим возможность явиться противу нас с громадною силою более 100 ты[сячи]; тогда и линии на Сулаке и Самуре не удержат от всеобщаго возстанія Кумыкской плоскости, Уездов: Кубы, Нухи, Джаробелаканскаго округа и даже всей Шемахинской Губерніи; войска наши найдутся в самом крайнем положеніи: вести войну в одно время и противу громаднѣх сил Шамиля, и противу возставших народов, и наконец, противу Персїян. Неизчислимы те гибельныя для нас послѣдствія, которыя неминуемо произойдут от упраздненія Дагестана! Не Шах Персидскій страшен для нас – противу кого довольно Бехмена Мирзы с бригадою наших войск, но страшен будет Шамиль, если он завладеет всем Дагестаном. Спокойствіе всего Закавказья зависит от Дагестана;

так было всегда. Не будите Дракона, ещё не вполне сознававшего свои силы.

Притом надобно иметь в виду и то, что при ненависти Горцев к правлению Шамиля, Дагестанъ не всегда может оставаться в таком грозном положеніи. Со смертью Шамиля или распадётся на части политическое зданіе, соединённое кровавою его рукою, или же станет более в миролюбивом с нами отношеніи, в чём один только Шамиль препятствует всеобщему желанію народа: быть с нами в мирных, торговых ношеніях.

Князь Александр Иванович! Судьба Имперіи не зависит от уменьшенія Арміи одною Дивизією; для чего же доводить дела до такой крайности, до таких страшных, невозвратных потерь? А слава нашего оружія, добытая пятидесятилетними победами? А политическое вліяніе Россіи на Азію неужели не стоит одной Дивизіи? На Вас, Князь, на Вас лежит святая обязанность спасти и древнюю славу наших войск, и целостъ Закавказскаго Края.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №5 (322)

27 აპრ: 1854. შურა

კ: ბარიატინსკის.

პატივი მქონდა, თქვენი ბ[რწყინვალეების] 14 აპ[რილის] წერილი მიმეღო იმ პროექტთან ერთად, რომელიც დალისტნის გაუქმებას ეხება იმ შემთხვევაში, თუკი ამჟამინდელ ვითარებას მოჰყვება სპარსეთთან ურთიერთობის განწყვეტა.

ჩემი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით ღიად გამოვხატე რა-პორტში კორპუსის მთავარსარდლისადმი და იგი არსებითად მდგომარეობს იმაში, რომ დალისტნის გაუქმება მთელი ამიერკავკასიის მხარის გაუქმებაა იმიტომ, რომ გაჰქრება ჩვენი ხელქვეითი მუსლიმი ხალხების ნდობა ჩვენი იარაღის სიძლიერისადმი; დალისტნის ვებერთელა ნაწილი, ან ჩვენი მორჩილი, ნებსით თუ უნებლიეთ, შეუ-

ერთდება შამილისა, რომსკისაჲც ამით საშუალებას მივცემთ, 100 ათასზე უფრო მეტი ძალით წამოვიდეს ჩვენს წინააღმდეგ; მაშინ სულაკისა და სამკურის ღიბიჭისაჲც ვერ ავარიდებთ საყოველთაო აჯანყებას ყუმიხის ბარძი, უქსიდებში: ყუბაში, ნუხაში, ჭარბელაენის ოკრულში და სრულიად შქვახის გუბერნიაშიც კი; ჩვენი ჯარები ყოვლად უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან: [მოგვიწვეს] ერთბაშად ომის წარმოება შამილის უზარმაზარ ძალებთან და აჯანყებულ ხალხებთან და, ბოლოს, სპარსელთა წინააღმდეგ. აღუნუსხავია ჩვენთვის ის დამლუპველი შედეგები, რომლებიც გარდაუვლად წარმოიშობა დალისტინის გაუქმებით! სპარსეთის შაჰი კი არაა ჩვენთვის საშიში – რომლის წინააღმდეგ საკმარისია ბეხმენა მირზა ჩვენი ჯარის ბრიგადითურთ, არამედ საშიში იქნება შამილი, თუკი ის მთელ დალისტანს დაეპატრონება. სრულიად ამიერკავკასიის სიმშვიდე დამოკიდებულია დალისტანზედ; ესრე იყო მუდამ. ნუ გააღვიძებთ დრაკონსა, რომელმაც ვერ კიდევ ბოლომდის არ უწყის საკუთარი ძალები.

ამასთანავე, საჭიროა, ყურად ვიღოთ ის, რომ შამილის მმართველობისადმი მთიელთა სიძულვილის პირობებში, დალისტანი მუდმივად ვერ იქნება ესრეთ მრისხანე მდგომარეობაში. შამილის სიკვდილთან ერთად ან დაინგრევა პოლიტიკური შენობა, შეკრული მისი სისხლიანი ხელითა, ანდა უფრო მშვიდობიანი გახდება ჩვენთან ურთიერთობაში, რაშიც მხოლოდ შამილილა ელობება ხალხის საერთო ნებას: იყოს ჩვენთან მშვიდობიან, სავაჭრო ურთიერთობებში.

კნიაზო ალექსანდრ ივანოვიჩ! იმპერიის ბედი არ არის დამოკიდებული არმიის ერთი დივიზიით შემცირებაზედ; რატომღა მივიყვანოთ საქმე ესრეთს უკიდურესობამდინ, ესრეთ საშინელ, აუნაზღაურებელ დანაკარგამდინ? და ჩვენი იარაღის დიდება, მოხვეჭილი ორმოცდაათწლიანი გამარჯვებებითა? და რუსეთის პოლიტიკური გავლენა აზიაზედ ნუთუ აღარ ღირს ერთ დივიზიად? თქვენზედ, კნიაზო, თქვენზეა წმიდა ვალი, გადაარჩინოთ ჩვენი ჯარების ძველი დიდებაცა და ამიერკავკასიის უვნებელობაცა.

ჩემო საყვარელო დაო ბაბაღე! უთოოდ ეშმაკისაგან ვიყავ შეკრული, თორემ აქამომდის როგორ არ მოგწერდი შენის წერილის პასუხსა, და მეტადრე აქაურს ამბავსა, რომლისა ცნობა ვიცი, ძალიან გსურს. – კრასნოგლიადოვის ქალი ემილია¹ გათხოვდა, მაიორმა დოლლასაბუროვმა შეირთო და მათი პოსაჟონნი² მამაც მე ვიყავ და სწორედ გითხრა, კარგი ლამაზი ქალი ვიშოვნე მზად გაზდილ-დაქორწილებული. –

შამილა ჰზის ხალვათში და დიდად მარხულობს, რადგანაც თათრების დიდი მარხვა დადგა და ამისგამო ჯარებიც არ გამოდიან. – ხალხსა გამოუცხადა, რომ ხონთქარმა მინყალობაო მთლად კავკაზი და ეგრეთვე თბილისიცა და ერევანიცა. – დიახ კარგი წყალობაა; და ქალებსაკი უფრო უნდა გიხაროდესთ, რადგანაც ამის ბალებისა და ვეჩერებისათჳს დიდი ტუალეტი არ მოგინდებათ; და ახლა შამილას დიდის გულით მოსდომებია ერთი კარგი ლამაზი ქართველი ქალი, რომელმანცა, სხუათა შორის, უნდა ასწავლოს ჩვეულება ქართველებისა; და აბა რომელი ემზადებით, შენ თუ ნელნაზი თამარ? –

შენს ავათმყოფობას იწერები; რა დაგემართა აქამდის, ერთხელ როგორ ვერ მორჩი კარგად, რომ აღარ გახდე ავად დიდხანსა!

ძალუა ელისაბედ, ჩემი საკუთარი ძალუა სიყვარულით მომიკითხე.

ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს ძმურის სიყვარულით მოვიკითხავ; როგორ არის და ან რას აპირებს ამ ზაფხულსა? – ჯოგის³ რიცხვი როგორც მოწერა, მაშინვე გაუგზავნე ყუბაში გრიგოლ ერისთავსა და ვნახოთ ახლა რა გამოვა?

ვარ მარტო, და თუ, ლ^ათმა⁴ უშველოს, დიმიტრი ჯორჯაძე არა მყოლოდა, სრულიად გავგიჟდებოდი დარდითა.

მშვიდობით ჩემო საყვარელო ბაბაღე, ღთმან⁵ მაღირ-
სოს შენი ხილვა მშვიდობიანად; ნუ დამივიწყებ შენს მარადის
ერთგულს ძმას

გრიგოლ ორბელიანი

25^ბ მაისს 1854.

თემირხანშურით.⁶

ქეთევან ორბელიანისადმი №63 (324)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!

დღეს მოვიდა ფოშტა და არავისაგან არ მომივიდა წე-
რილი; ფუჭად ჩაიარა ერთის კვირის მოლოდინებამ. – მე ყვე-
ლასთან ერთს დროს წერილის მონერა არ შემიძლიან, და
თქვენკი ერთს კვირაში ერთხელ რომ მომწეროთ, არა დაგი-
შავდებათრა; მხოლოდ წელნაზის თამარის ჭორებს მოსცდე-
ბით ნახევარ საათსა. –

დღეს ჩემს ნინიკას მოუვიდა დურაკი ისაიასაგან წერი-
ლი – იფიქრეთ ჯერაც არ მოსულა – ინერება, რომ ორი კვი-
ცი და ალემკა მომყავსო; ალემკაცხენი რატომ მანდ არ შეი-
ნახეთ, როგორც გინდოდათ, კარგი საქალაქო ცხენია; აქ აბა
რათ მინდა: ამ დღეებში მივდივარ პახოდში და ვინ იცის რო-
დის დავბრუნდები, და ანუ მაშინ რათ მინდა? –

ჯოგის გაყიდვასა ვჰსწერ ალექსანდრესაცა და სოსიკო-
საცა; რაუყოთ რადგანაც ვერ მოგივლიათ გაყიდეთ, როგორც
ჭკუაში დაგიჯდესთ. –

ძალუა ბარბარე, ბაბაღე, ნინუცა სიყვარულით მომი-
კითხეთ. – ამის წინად მოგწერეთ წიგნები და ახლა შევიტყე,
რომ ფოშტა ნაუხდენიათ.–

ჩემს საყვარელს დას ბაბაღეს სიყვარულით მოვიკითხავ.¹

დეკანოზს მარჯუენეს ვეამბორები; დიდი მადლობის ნე-
რილი მოენერა ჩემთან პლატონის ჯვარისათუს; აბა რა მად-
ლობა უნდა ჩემთან! –

იაკინთე მომიკითხე და სარდიონ სოფიოთურთ; რატომ
არასა მწერენ.

მშვიდობით

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

10^h ივნისს 1854
თემირხანშურით²

ქეთევან ორბელიანისადმი №64 (325)

ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან! ამის წინად გამო-
გიგზავნეთ ათი თუმანი და გთხოვეთ, რომ მისცეთ არდაზი-
ანსა ილიას საფლავისათუს; გუშინწინ მომივიდა პოჩტმეის-
ტრისაგან ქალაღდი, რომ ფოშტა გაუტეხიათ საღლაც
მტკვრისაკენ და ის ფული წაუღიათ. – აგრე იქნება ყო-
ველთუს: „საცა არა არისრა იქ არც დაიკარგება და არცა
გატყდება“¹ ეს ჩვენის აბრამას ჭილოსოჭია იყო! ახლა ძალუ-
ავ გთხოვ, რომ იქ კუთხეში დამარხული ფული რომ გაქუსთ,
იქიღამ მისცეთ არდაზიანსა ათი თუმანი – მგონია საკმაო
იყოს – და ჩემზედ იანგარიშეთ. –

ეს ორი თვე არის მოუნყვეტლივ წვიმა მოღის; აივსო
ქვეყანა მდინარეებითა, წარღენითა; ვიძახით, აღარ გვინდა
ტალახი, ღთ² მოგვეც გორახი; მაგრამ არ შეისმინეს ზე-
ვით.–

ეს ბაირამიც გავიდა – თათრების დიდი მარხვა – და
შამილას ჯარები ისევ ისე შეუძვრელად არის; მაგრამ მალეკი
უნდა მოხდეს რამე, რაცა მოსახღენია. –

ეს ოთხი დღეა, რა მოვიდა ჩვენი ისაია; ძლივს რის ყოფით მოვიდა. აი კურიერობა ასეთი უნდა! – მიკვირს, რათ გამომიგზავნეთ ცხენი ალიოშკა, თუკი თქვენ გინდოდათ? რა არის ერთი ცხენი ვერ შეგინახავთ? –

ორი კვიცი მოიყვანეს რომელთაგან ერთი ის არის, რომელიცა ჰყვანდა ალექსანდრესა; ჯერკი ვერაფერი ბძანდებიან და ვნახოთ ბოლოს რა გამოვა? –

ძალუავ, რატომ არა მწერ ჩვენის მენგრელიის ქვრივების ამბავსა, სად არიან? ხუმრობა არ არის ოსმალების ხელში არ ჩავარდნენ, თორემ სრულებით გაფუჭდებიან!

იაკინთე სიყვარულით მომიკითხე; ბაბალეს ვაკოცებ.

ძალუა ბარბარე წინანდალს წავიდა თუ არა? ძალუას ნინოს თავის წელნაზის თამართა და სოფიოთი გალუულითა სიყუარულით მოვიკითხავ.

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

18 ივნისს 1854.

შურით.³

სვიმონ შალიკაშვილისადმი №15 (326)

19 ივლისსა, 1854

ძმაო სვიმონ. ეს არის ეხლა მივიღე შენი და ლევანის ქალაღდები რომლი[თაც] მაცნობებთ რომ შამილ თავის ჯარებით მთას გადვიდა დიდოში და თქვენს მხარეს მტერი აღარ სად არის. ამ ამბავზედ მე აქ კუმუხში შევც[...] ლენერალ მანუკინის პერედოვოი კალონა გზაზედ შედგება ვგონებ [...] ლის სიახლოვეს იყოს და სადაც ჩემი ბძანება მიასწრობს იქ დ[...] ვიდრე თქვენიდან გადაწყვეტილი ამბავი მომივა დაშალა ჯარე[ბი თუ] არა შამილმა ან საით აპირებს წასვლას?

ახლა ყველა დანვრილებით გეცოდინება კახეთის ამბავი, გთხოვ მაცნობო¹ ან[...] თავადიშვილების სახლობა ვისი შეიქნა მტრის გულისათ, ან რომელს სოფელს რა ზარალი მიეცა.

შენი გრიგოლ ორბელიანი²

სვიმონ პალიკაშვილისადმი №16 (327)

ჩემო სვიმონ! ჯარები კიდევ გადმოვახეთქე საშინელს მალალს ნოსდალის¹ მთასა, სადაცა ჯერ ისევ ადგილ-ადგილ ჰსძევს თოვლი; გზები სრულებით წამხდარია წვიმისაგან, რომელიცა სამოცს დღეზედ მეტია, რა მოუწყვეტლივ მოდის ამ მხარესა; დიდროანი მიწის ზვაები ჰძევს იქა, სადაცა იყო უწინ გზა. – ამისთანა საზარელს დროში ეს მეორედ გადმოვიყვანე ქვეითი ჯარი ნოსდალსა და მეორედ შევაყენე, მომივიდარა დღეს დილით შენი რაპორტი, რომ შამილ თავის ჯარით აღარა ჰსჩანს ბელაქნის მთებისაკენ და დაუნევია უკან ანწუხში. – გეთაყვანე შემატყობინე საჩქაროდ, თუ ანწუხში არის მართლად, რომელს სოფელში არის, რომ ისე ვიანგარიშო ჩემი ან მანდეთ წამოსვლა, ან უკან დაბრუნება, რომ მეშინიან ჩემის პრავის ფლანგისათუს,² რომელიცა დამრჩა მხოლოდ ორის ბატალიონის ანაბარად. – დიდად და დიდად გამადლობ შენის რაპორტებისათუს, რომელიცა მომდის ყოველდღე. – ლენერალ მანუკინი შევაყენე მთას იქით არაჰყულის ხეობაში და მე ცხენოსნითა შევსდევ მთის გადმოსავალთან აქეთ მხრით. –

მაგ მყრალს ხალაჯოვსა და ბელაქნელებსა მგონია ტყუილად მოუხდენიათ ტრევიოგა, განგებ გამოსაცდელად, მიხვალ თუ არა შესანევენელად ჯარითა? – ერთხელ მეც მიყვეს აგრე და მასუკან თუთვე მიაშბეს, რომ რა გვექნა ხალხს არა ჰსჯეროდაო თქვენი მოსვლაო; თორემ როგორ იქნებოდა,

რომ შამილას ჯარი ენახათ გუბახზედა და ერთბაშად დამალულიყო? – ლევან სად არის? – ბრუსილოვი სიყუარულით მომიკითხე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

28^ა ივლისს 1854.

დიმიტრი ჯორჯაქისადმი №3 (328)

30^ა ივლისს 1854. ხოზრეკით¹

ჩემო საყუარელო დიმიტრი! მომირთმევია წერილები, რომელთაშორის არის რაოდენიმე მიწერილი ჩვენთა დატყვევებულთადმი. გთხოვ გახსნა ეს წერილები, წაიკითხო, და თუ დავითს მიეწეროს რამე მწუხარებისაგამო მომატებული სხუადასხუა რაღაებიცა, ნუ გაუგზავნი ანეტას წერილებსა, რადგანაც ვიცი, რომ არცა ერთი ჩუშნგან მიწერილი არ მიუვათ იმ საბრალოთა, ვიდრემდის შამილა არ წაიკითხავს პირველად, და არ შეიტყობს მას, რასაცა ჰსწერენ. –

შენის ძმის გიორგისაგან მოწერილი წავიკითხე, რომლიდამაც ცხადად ჰსჩანს უპატრონობა კახეთისა, უზრუნველობა და დაუდევნელობა იქაურის მმართველობისა და უგუნურად მოქცევა კულმანისა, თუ ყოველივე ესე მართალია; მაგრამ რა გაეწყობა? ღთმან² ჰკითხოვ, ვინც არის დამნაშავე გაოხრებისა ესრეთის მშვენიერისა მხარისა, და ესოდენის ქრისტიანეთა დაღუპვისა! –

ნახვედ აქედამ და მე დავრჩი სრულიად მარტო ჩემის იდუმალის მწუხარებითა. გუშინ წაველ და ვნახე ოტრიადი ღენერალ მანუკინისა, რომელიცა შევაყენე ნოსდალის³ ძირში და მოველი სრულებით დამშვიდების ამბავსა შალიკოვისაგან, რომელმანცა უკანასკნელ მაცნობა, რომ შამილ დაბრუნებუ-

ლა ტლესლერუხისაკენ⁴ სადაცა არის ირიბი⁵ – გაშინჯე კარ-
ტა -, და რადგანაც სამურსკის ოკრულზედ იქნება ახლოს,
ამისგამო ჩემი ჯარიც აქ იდგება, ვიდრემდის არ გამოცხად-
დება განზრახვა შამილისა. –

ჩემმაგიერ დიდი მადლობა უთხარ კაკალასა, რომლის
წერილი მომივიდა საბრალოთ დატუსალებულთათვის.

მომწერე ჩემო დიმიტრი! მეტად შენუხებული ვარ, და
ეს უფრო მტანჯავს, რომ ჩემი მწუხარება უნდა შეძლებისა-
მებრ დაემალო, და არ უჩვენო არცა ჯარსა, და მეტადრე არ-
ცა აქაურთა მცხოვრებთა, რომელნიცა შემომცქერიან, და
უნდა შემატყონ – იქნება თავიანთ სასიხარულოდაც – მწუხა-
რება რადმე, მაგრამ არ გავახარებ არავისა! –

ხომ არ მოგსვლია ამბავი ჩუჭნის ტყვეებისა? – ან რა
ისმის მანდა იმათი?

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

დამავინწყდა: შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა. –

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №4 (329)

ჩემო საყვარელო დიმიტრი! გუშინ მომივიდა ალაღარ-
ბეგიდამ წერილი შამილის დაბრუნებისათვის; ამასავე მწერს
ლევან მელიქოვიცა, რომელიცა ჯარით მოსულა ზაქათალაში;
მაშასადამე ეს ამბავი უნდა იყოს ზედმინეწით მართალი.
ამისგამო ხვალ მეცა ავიყრები აქედამ და გამოვემგზავრები
ყუმუხისაკენ და იქიდამ ანუ მარლის¹ ავალ, და ანუ თურჩი-
დალზედ.

შენი წერილი და მასთანვე ბარონ ნიკოლაისა მივიღე
გუშინ წინ. – მე ვაპირებ ყაზიყუმუხიდამ პირდაპირ მიწერას

შამილთან ჩვენის უბედურთა ტყვეთათჳს; – ვნახოთ ღთ^წი²
რას ინებებს.³

თუ შეგეტყოს რამე იმათ უბედურთათჳს შემატყობინე,
ნურას დამიმაღავ; თუ გინდა იყვნენ დახოცილნი ნუ დამიმა-
ღავ; მე დიდიხანია განმზადებული ვარ ყოვლისა უსაზარელის
შემთხვევისათჳს. აღსრულდეს ნება ღთ^წისა!⁴

შენი გრიგოლ ორბელიანი

1^ა აგვისტო 1854.
ნოსდალის სიახლოეს.⁵

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №5 (330)

ჩემო საყვარელო დიმიტრი! გუშინ მოველ ჯარითა ყა-
ზიყუმუხში, სადაცა დამხვდა შენი წერილი და მასთანა ხასაი-
მუსაისა¹ და ეგრეთვე აბბასყულის ცოლისაგან მოწერილი.

ამავე საათში ვიყრები ჯარითა და ავდივარ ნუარის²
მთაზედ, რომელიცა იქნება აქედამ 16 ვერსტზედ. – მტრისა
ეს ისმის, რომ ყურბანბაირამის შემდეგ შეიყრება კიდევ სა-
დავლოდ წასასვლელად, ამას ლევანიცა მწერს.

ჩვენის საბრალთო ტყვეებისა ვერა შევიტყერა; ხვალ
მომივა ლაზარევის მირზა, რომელმანცა კარგად იცის არაბუ-
ლი; იმას უნდა დავანერინო წერილი და პირდაპირ გავუგზავ-
ნო შამილასა.

რამდენიმე თბილი წინდები გამომიგზავნე, აქ ძალიან
ცივა, სულ ღრუბელია და წვიმა; ასეთი ზაფხული ჯერ არ მი-
ხილავს.

სხვებრ იყავ მშვიდობით.

შენი გრიგოლ ორბელიანი

4^ა აგვისტო 1854.
ყაზიყუმუხით.³

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №6 (331)

ჩემო საყუარელო დიმიტრი! ეს არის ეხლა ამოვედით ჯართა ნუარიდამ¹ თურჩიდალსა;² გზაზედ მოგვიხდა კარგი კინკლაობა მტერთანა, რომელიცა რიცხვით 300^{მლს} აედევნა ჩუშნს არიერლარდსა. კარგი სანახავი იყო: ერთი მოგვიკლეს და ორი დაგვიჭრეს სალდათი. – ამავე მინუტში მოვიდა მაიორი ბაშკატოვი³ და მოიტანა ზაპისკა კნიაზ ვასილჩიკოვისა გუსარკიდამ, რომელშიაც ჰსწერს, რომ ბარონ ვრანგელს დაუმარცხებია საშინლად ოსმალების ჯარი ბაიაზეთთან;⁴ 15 ბაირალი, 3 შაჰკა,⁵ 4⁰ ზარბაზანი, 370 ტყვე, დარჩომია ჩვენს ჯარსა ნიშნად ძლევისა. ჩვენის მხრით ვილაც ერთი აფიცარი არის მკუდარი, სალდათებისასკი არ იწერება. მეორეს დღეს, ესე იგი 24 ივლისს ქალაქს ბაიაზეთსა მოურთმევია გასაღები და ჩვენი ჯარიც დიდის ყოფით შესულა ქალაქში, სადაცა დიდი მალაზეინები პურისა, წამლისა, ამმუნციისა დარჩომიათ ჩვენებსა. მათი სარდალი ყოფილა სელიმ ფაშა.⁵ –

ჩვენის ტყვეებისა ვერა შევიტყერა სწორე; ხვალ წიგნს უგზავნი ლაზარევსა, რომ იმან პირდაპირ გაუგზავნოს ჩემი მინერილი შამილსა.

სხუა რალა მოგწერო ჩემო საყუარელო დიმიტრი. ლთმან⁶ მოგცეს მშვიდობა სულისა.

შენი გრიგოლ ორბელიანი

6^ა აგვისტო 1854.
თურჩიდალით.⁷

⁶ნიშანი.

დიმიტრი ჯორჯაქისაძე №7 (332)

9^ა აგვისტო. 1854 თურჩიდალით.¹

ჩემო საყვარელო დიმიტრი! შენი წერილი 8^ა აგვისტო: დღეს მივიღე და მასთან ძალუა ბარბარეს წერილიცა. – ვჰმადლობ ღმერთსა,² რომ ცოცხალნი მაინც არიან.

რალა გეხვენო, ჩემო დიმიტრი, რომ ტანისამოსი ბლომით გაუგზავნო საბრალოთა, მეტადრე თბილი და თბილი; ბაშმაკები რათ უნდათ, ან რას გამოადგებათ ტალახებში და სიცივეში? გაუგზავნე თბილი ბოტინკები და კალოშები, ყელგძელიანი წინდები, ფლანელი გაუგზავნე, რომ თბილად გაახვევენ ყმანვილებსა და თუთონაც დასთბებათ. – აი სუყველა ამ გვარი გაუგზავნე, სასარგებლო და არა საკოხტაო. – მე გონება წართმეული მაქუს და არა მაგონდებარა, შენ თუთიცი, რაც მოიგონო, გაგზავნე.

პერანგები და კაბები კიდევ გაუგზავნე; ჩაი, შაქარი და სხუანი...

შენი წერილი, რომელშიაც ეწერა ამბავი დარლოდამ, მოტანილი შამხლის კაცისაგან, არ მომსვლია ჯერა.

თბილი წამოსასხმელი რამე შეაკერვინე ბენვეული, ანუ სხვა რამე და გაუგზავნე. – შე დალოცვილო, რათ უნდათ ბაშმაკები და მეტადრე ჩულქები?³ აბა რაში გამოადგებათ, სიცივით იხოცებიან? –

ეს წიგნი შამილასთან არის მიწერილი, საჩქაროდ გაგზავნე, და მასთან ვსწერ ბარბარესაცა.–

მშვიდობით ჩემო დიმიტრი

შენი გრიგოლ ორბელიანი

ერთი წიგნიცა არის ჯამმალედინთან.

საწყალს დავითს მოსვლია პოლკოვნიკობა, კარონა ან-
ნისა და ქლიგელადუტანტობა. – ნუ გამოაშკარავებ, მეშინიან
არ შეიტყოს შამილამ და უფრო არ გააძნელოს დახსნა მათი.

ბარონთან ეხლა ველარ მოვასნარ, რადგანაც თითქმის
შუალამეა; ეს წიგნები გაატანე მაჰმადას, ანუ სხვას ვისმეს,
მაგრამ ჰსჯობია, რომ ერთი იყოს და არა სხუა და სხუა. –
შამილსა ვჰსწერ, რომ კაცი გამომიგზავნოს ანუ მე, და ანუ
ბარონსა სალაპარაკოდ გამოსხსნისათუს საბრალთ ტყვეთა. –
ხვალ ბარონთან წერილს გამოგიგზავნი, მაგრამ ნუ მოუცდი
და ესეები გაუგზავნე, და აცნობე, რომ შამილთან მიმიწერია
და მითხოვნია ან მე დამიწყოს ლაპარაკი და ანუ ბარონსა. –
ძალუას წერილი ჩადე შამილის წერილში და ისე გაუგზავნე.

დიმიტრი ჯორჯაქისადმი №8 (333)

ჩემო საყუარელო დიმიტრი!¹ დღეს დილით ადრიან² გა-
მოგიგზავნე წერილი შამილთან, რომ გაუგზავნო ბარონ ნიკო-
ლაისა, რომელიცა იქიდამ მიაწოდებს ადვილად შამილსა. ახ-
ლა გიგზავნი წერილსა ბარონ ნიკოლაისთანა, რომელიცა წუ-
ხელის ვერ მოვასნარ დასაწერად. – სხუა არაფერი.

ლ³ თმან³ მოგცეს მშვიდობა სულისა.

შენი გრიგოლ ორბელიანი

10 აგვისტო 1854.

თურჩიდალით.⁴

10 Августа 1854.¹ Турчидаго

Флигельадъютанту Барону Николай.²

Письмо Ваше, любезный Барон Леонтій Павлович, я имел истинное счастье получить вместе с письмом несчастной моей сестры К[нягини] Варвары Ильинишны. Бог воздаст Вам за благородіе братское участие, принимаемое Вами в судьбе несчастных пленниц, моих родственниц. Я могу только чувствовать в глубине моей души живейшую благодарность к Вам, не имея силы выразить её словами. Откровенно скажу Вам, что сколько я не стараюсь превозмочь скорбь мою, но малодушіе овладевает мною. Мне казалось до сих пор, что никакое несчастье не поколеблет твёрдость моего духа, но этот удар, нанесённый мне прямо в душу, свыше моих сил, испытание слишком тяжкое. Не постигаю, как эти несчастныя, слабыя женщины, слабыя дети могут ещё существовать до сих пор? Вижу, Господь Бог ещё не совсем лишил меня своей милости.

Я недавно писал к Шамилю об освобождении несчастных пленниц и послал письмо чрез Подполк[овника] Лазарева; Вчера также написал и послал к Вам чрез К[нязя] Джорджадзе, чтоб посредством Вашего Магомета передать Шамилю. В этих письмах я просил его, чтоб он не торговался со мною; ни я, ни он, ни купцы. Все, что я могу дать для их освобождения, дам без торгов. Но если он полагает, что само Правительство вступится в это дело, ошибается и только чрез то понапрасно продлится время, в которое слабыя женщины и дети могут погибнуть, не принеся пользы ему, и только нанесёт мне одному несчастье, и тогда мы оба будем в потере. Описал ему, что я только один самый ближайший родственник несчастных пленниц, который

должен выкупить их, но никто другой, даже сам К[нязь] Давид Чавчав[адзе], потерявший всё своё достояние, разграбленное им же Шамилем, не в состоянии без меня освободить своё семейство выкупом, потому что у него ничего не осталось кроме огромных долгов и деревни, заложенной в казну. Справедливость этих слов он может узнать от пленных Грузин, из которых каждый знает настоящее положение К[нязя] Давида. Наконец просил его прислать доверенное лицо или ко мне, или к Вам в Хасавюрт для скорейшаго окончания этого дела.

Теперь обращаюсь к Вам, любезный Барон, с моею убедительнейшей просьбою: Делайте всё, что можете для освобождения несчастных моих родственников.

Я писал также и к Джамал Эддину и благодарил его за человеколюбивое внимание к несчастным пленницам, и просил его дать мне случай отблагодарить его исполнением его желаний.

Вчера я также писал к К[нязю] Меликову, которого просил воспретить всякую переписку оттуда с пленницами и даже самым Шамилем. К[нязя] Давида третий раз прошу поспешить приездом сюда, чтоб сблизиться с семейством и тем скорее окончить это дело. Он, бедный, произведён в Полков[ники], получил Корону на Анну, и назначен Флигель-адъютантом; но прошу Вас, никому об этом не говорите: боюсь, чтоб Шамиль не узнал об этом и не затруднил окончание переговоров.

Вместе с этим предписано мною Астахову, в случае вторжения Шамиля к Вам на плоскость, поспешить на помощь с 2^{ми} ротами пехоты и от 600 до 800 Казаков с взводом артиллерии.

10 აგვისტო 1854. თურჩიდალი

ჭლიგელადიუტანტს, ბარონ ნიკოლაის.

მქონდა ჭეშმარიტი ბედნიერება, თქვენი წერილი, საყუარელო ბარონო ლეონტი პავლოვიჩ, მიმელო ჩემი უბედური დის კ[ნიაგინია] ვარვარა ილინიშნას წერილთან ერთად. უფალი მოგიზღავთ კეთილშობილებისათვის, ძმური მონანილეობისათვის უბედური ტყვე ქალების, ჩემი ნათესავი მანდილოსნების ბედში. ჩემი გულის სიღრმეში ძალმიძს თქვენდამი ვიგრძნო მხოლოდ ცხოველი მადლიერება, რომლის გადმოსაცემადაც არ შემწევს უნარი. გულწრფელად გეტყვით, რარიგ არ ვცდილობ დაეძლიო მწუხარება ჩემი, მაგრამ სულმოკლეობა მიპყრობს. აქამომდის მეჩვენებოდა, რომ ვერავითარი უბედურება ვერ შეარყევდა სიმტკიცეს ჩემი სულისას, მაგრამ ეს დარტყმა, ჩემთვის შიგ გულში ნაგემი, აღემატება ჩემს ძალებსა, მეტისმეტად მიძიმა განსაცდელი. არ ძალმიძს გავიგო, ამ უბედურ, სუსტ ქალებს, სუსტ ბავშვებს როგორ შეუძლიათ აქამომდის არსებობა? ვჭვრეტ, უფალმა ღთმა ჯერ ბოლომდე არ დამტოვა თავისი მონყალების გარეშე.

მე ამასწინათ ვწერდი შამილის უბედური ტყვე ქალების განთავისუფლების შესახებ და გავგზავნე წერილი პოდპოლკ[ოვნიკ] ლაზარევის მეშვეობით; გუშინაც დავწერე და გამოგიგზავნეთ კ[ნიაზ] ჯორჯაძის ხელით, რათა თქვენი მაჰმადის შემწეობით გადაეცეს შამილსა. ამ წერილებში მე ვთხოვდი მას, რომ არ ევაჭრა ჩემთან; არც მე, არც ის არა ვართ ვაჭრები. ყველაფერს, რაც შემიძლია გავილო მათი განთავისუფლებისათვის, მივცემ ვაჭრობის გარეშე. მაგრამ თუკი ფიქრობს, რომ ამ საქმეში თვით ხელისუფლება ჩაერთვება, ცდება და ამით მხოლოდ ტყუილად დაიკარგება დრო, როცა სუსტი ქალები და ბავშვები შეიძლება დაილუნენ, რაც სარგებელს არ მოუტანს მას და მხოლოდ მე ერთს ჩამაგდებს უბედურებაში და მაშინ ჩვენ ორივე დავზარალდებით. აღწერე მას, რომ უბედური ტყვე ქალების ერთადერთი უახლოესი ნათესავი მე ვარ, ვინც უნდა გამოსიყიდოს ისინი და სხვას არვის, თვით კ[ნიაზ] დავით ჭავჭავაძესაც კი, რომელმაც დაჰპარგა მთელი თავისი ავლა-დიდება შამილის მიერვე გაძარცვით, უჩემოდ არ ძალუძს გამოსყიდვით გაა-

თავისუფლოს მთელი თავისი ოჯახი, რამეთუ მას აღარაფერი დარჩა, გარდა უსაშველო ვალებისა და ხაზინაში ჩადებული სოფლისა. მას შეუძლია, ამ სიტყვების სისწორე შეიტყოს ტყვე ქართველებისგან, რომელთაგანაც თითოეულმა იცის კ[ნიაზ] დავითის მდგომარეობა. ბოლოს ვთხოვე, ჩემთან, ან თქვენთან ხასავიურთში გამოეგზავნა ნდობით აღჭურვილი პირი ამ საქმის უმოკლეს დროში დასასრულებლად.

ან მოგმართავთ თქვენ, ძვირფასო ბარონო, ჩემი უბეჯითესი თხოვნითა: იღონეთ ყველაფერი, რაც შეგიძლიათ, ჩემი უბედური ნათესავების გასანათავისუფლებლად.

მე მივწერე აგრეთვე ჯამალედდინსაც და მადლობა გადავუხადე კაცთმოყვარე ყურადღებისათვის უბედური ტყვე ქალების მიმართ და ვთხოვე, საშუალება მოეცა, მადლიერება გამომეხატა მისი სურვილების შესრულებითა.

გუშინ მივწერე აგრეთვე კ[ნიაზ] მელიქოვსა, რომელსაც ვთხოვდი, შეენყვიტა იქიდამ ყოველგვარი მიმონერა ტყვეებთან და თვით შამილთანაც კი. კ[ნიაზ] დავითს მესამედ ვთხოვ, იჩქაროს აქ ჩამოსვლა, რათა დაუახლოვდეს ოჯახობას და ამით მალევე დაამთავროს ეს საქმე. მას, ბედერულს, მიენიჭა პოლკოვ[ნიკის] წოდება, მიიღო ანნას კარონა და დანიშნულია ძლიველადიუტანტად; მაგრამ გთხოვთ, არავის უთხრათ ამის შესახებ; ვშიშობ, რომ შამილმა არ შეიტყოს ამის შესახებ და არ გააჭიანუროს მოლაპარაკებების დასრულება.

ამასთანავე, მივუთითე ასტახოვს, შამილის შემოჭრის შემთხვევაში, იჩქაროს თქვენთან ბარში 2 ფეხოსან ასეულთან და არტილერიის ოცეულთან ერთად 600-დან 800 კაზაკამდინა.

დიმიტრი ჯორჯაქისადმი №9 (335)

ჩემო საყვარელო დიმიტრი! წუხელის შუალამისას მოვიდა ჩემთან ალექსანდრე მანანასშვილი; ამბავი ქალაქიდამ არა არისრა მისმეტი, რომ მითომ ჩვენს ჯარს დაუმარცხებია ძალიან ოსმალონი დუნაიზედ, და სწორეკი არც ამან იცის.

გთხოვ საბრალთ დატყვევებულთათვის მოამზადებინო დაბამბული თბილი კაბები, ახალუხები და გაუგზავნო; ამის-გარდა ჩექმებიც საჭირო იქნება, წინდებზედ ჩაიცმენ; და თუ თუთონ არ ჩაიცვეს, მოახლეებს მაინც გამოადგებათ. – მშვი-დობით

შენი გრიგოლ ორბელიანი

11 აგვისტო 1854.

თურჩიდალით.¹

თეთრი სუხარიც იამებათ, ჩაიზედ კარგია.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №10 (336)

ჩემო საყვარელო დიმიტრი! მომირთმევია სოფიოს ნი-კოლაისა¹ წერილი, რომელიცა მომივიდა ამ მინუტში და მთხოვს რომ გაუგზავნო სანყალს ანნეტასა. მწერს, რომ და-ვითს ძალიან ასტკივებია თვალები და ამზადებს ფულსა გა-მოხსნისათვის ცოლშვილებისა, და როცა უკეთ შევიქნები, მა-შინვე წამოვალო. –

აქ არაფერი ამბავი არა არისრა, მისმეტი რომ ოთხის თვის წვიმის შემდეგ გამოიდარა, გამოჩნდა მზე და ეს ორი დღეა რა გავთბით. – მშვიდობით ჩემო დიმიტრი

შენი გრიგოლ ორბელიანი

12 აგვისტ. 1854 თურჩიდალით.²

[მარცხენა და ქვედა არშიებზე მინანერია:]

ეს ანნეტასთან მიწერილი მგონია უმჯობესი იქნება რომ მიანოდო ბარონ ნიკოლაის და ის გაუგზავნის დროზე საბრალოსა.³

[გვერდის ზედა არშიაზე უკულმა წერია:]

მაგრამ⁴ ეს წიგნი, გთხოვ, გახსნა და წაიკითხო, რომ უბრალო არა ეწეროსრა.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №11 (337)

ჩემო საყვარელო დიმიტრი! მომირთმევია წერილი შენთან ბრუსილოვისაგან გამოგზავნილი, რომელიცა, ჩემის ცუდის ჩვეულებისაგამო, წავიკითხე. დღეს მელიქოვის წერილიც მომივიდა. –

დიდად და დიდად გმადლობ გულითა ყოვლისათუს, რაღცა ჰქმენ საბრალოთა ჩვენთა ტყვეთათუს; სიაშიაცა მგონია ყოველივე იყო დანწერილი, რაცკი მათთუს საჭიროა მოსახმარებლად. – გუშინწინაც მივსწერე წერილი შამილასაცა და ჯამალედდინსაცა, და მათთანა ერთად ვარინკასა. – ლაზარევმა ეს წიგნები გაუგზავნა; მაგრამ ჯერ აქამომდის უწინდელის წიგნებისა პასუხი არ მომსვლია. – შურის ამბავი მომწერე, რას აკეთებენ და ანუ რა აშენებულა ჯერა. – ვოლკოვი დიდად მომიკითხე. – იყავ მშვიდობით

შენი გრიგოლ ორბელიანი

16 აგვისტო: 1854
თურჩიდალით.¹

ჩემო საყუარელო დიმიტრი! ღთ¹ი მოგაგებს ნაცულად-
სა ყოვლისა მისთვის, რაღცა ჰქმენ სანუგეშოდ საბრალთა
ჩუღნთა ტყვეთა. დღეს, როცა გადმოველ თურჩიდალიდამ გა-
მაშის მთებზედ, მომიტანეს შენი წერილი და მასში მოწერილი
ვარინკასაგან. ღთ²მან² ისე შენ გაგახაროს, როგორც მე მა-
ნუგეშე მით! მაგრამ აქამომდის არ მომივიდა პასუხი შამილი-
საგან, რომელსაცა მივსწერე სამჯერ. – ესრეთი დაგვიანება
მტანჯავს მე სხუა და სხუა ფიქრებითა და არა მაქუს ესოდე-
ნი მოთმინება, რომ მით დავიმშვიდო გული! – ეს წერილი ან-
ნეტას სახელზედ გაუგზავნე [საჩ]ქაროდ;³ დღეს მომივიდა
სოფიოსაგან. –

რაც შეიძლო, ჩემო დიმიტრი, გაუგზავნე⁴ ქალებსა
ქლანელი;⁵ ძალიან გამოსადეგია იმათ მდგომარეობაში და მე-
ტადრე ყმანვილებისათუს დიახ საჭიროა თბილი საცმელი იმ
წყეულს ადგილსა, სადაცა გარეთ არის სიცივე და სახლებში
ნოტიო. –

აბდულას ნიგნში არა ეწერა მის მეტი, რომ დამითხოვე
იასონ ჭავჭავაძესთანაო, და მეც დავითხოვე.

ეს წერილი, როგორღაც უხერხოდ დავიწყე.

ენ: ნიკოლოზ ფალავანდოვი მწერს სხუათა ამბავთა-
შორის, ივანე ზახარჩი⁶ არღუთინსკის სიკუდილსა. – ანგლი-
ელთა და ჭრანცუზთა, ღთ⁷ით,⁷ იმედი [შე]უსუსტდათ⁸ ავ-
სტრიის შეერთებაზედ; გრიგოლ [მუ]ხრანისბატონისათუს⁹ ჩა-
უბარებით გამართვა თბილისის ნაციონალნის ღვარდიისა,
სადაც მრავალნი ჩინოვნიკნი და კეთილშობილნი ურევინან, და
უმეტეს მ/ათასის კაცისა შეუდგენია, გაუნყვია, გაუმართავს,
და აქუს თურმე თითქმის ყოველდღე დიდი სმოტრები. –

თუ პასუხი მომივიდა შამილისაგან, მაშინ ვჰსთხოვ და
გავგზავნი ზახარკასა დარლოში¹⁰ ქალებთან მოსამსახურედ. –

აქ დავჰყოფ ათს დღემდის, თუ ჟამთა ვითარებისაგამო სხუა და სხუა მიზეზები არ ასტყდნენ. – ლ^ათი¹¹ იყოს შენი მფარველი.

შენი გრიგოლ ორბელიანი

25^ა აგვისტო: 1854
გამაშის მითით.¹²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №13 (339)

ჩემო საყუარელო დიმიტრი! დღეს დილით შემომიტანეს შენგან გამოგზავნილი პაკეტი, და მასში მოწერილები დავითისაგან, ვარინკასაგან და შამილისაგან. – სწორედ გითხრა, დიდი ხანია ასეთი მხიარული დილა არ გამთენებია. – ვარინკა ისევ იმასვე იწერება, რაც უნინ, ესე იგი იხვენება, რომ მანამ ჩვენი გამოხსნა გადაწყდება, შვილები გამოიხსენითო, რომელნიცა თურმე ძალიან ავათმყოფობენ. – მეც ამასთანავე ვჰსწერ თუთ შამილსა ყმანვილების გამოხსნისათვის, თუ გაიგებს, მაგრამ იმედიკი არა მაქუს. – ეს წერილები მალე გაუგზავნე ჩემო დიმიტრი ბარონ ნიკოლაისა. – შენგან გაგზავნილი წიგნები მისვლიათ ჩვენს ტყვეებსა და ძალიანაც გაუხარნიათ, რადგანაც დიდს ნაკლულევენებაში იყუნენ.

შამილა მწერს: პირველად სალამსა; მერმე „თქვენი წერილი მომივიდაო, რაც მასში ეწერა, ყველა ვჰსცანო; მასუკან „ლ^ათისაგან¹ გამოგზავნილი ვარო და მისი ყოველი ბრძანება უნდა აღვასრულოო; თქვენც თქვენის ჰელმწიფის ბრძანებისა ხართ აღმასრულებელიო; ინშაჰალა რაც შემიძლიან კარგად შევიწინახამ ტყვეებსაო და პატივისაც ვაძლევო. – ამათ გამოსხნისათვის მოსალაპარაკებლად კაცს გამოგზავნი თქვენთან,

როცა ანუ შურაში მოხვალთ და ანუ ხასავიურთშიო. – აი ამა-
სა მწერს. – ამისაც მადლობელი ვარ. –

ამასწინად დავითს და სოფიოს ორჯელ მივსწერე ქა-
ლაქში და გაუგზავნე ანნეტასი და ვარინკას მონერილები;
მაგრამ ეგენი აქ მოსულან და ველარ მიუსწრობდა ჩემი წერი-
ლები...

ზაქარკაც გაგზავნე დარლოში, რომლისათვის ვჰსწერ და
ვჰსთხოვ შამილსა, თუ ნება მისცა იქ ყოფნისათვის მოსამსა-
ხურედ ქალებისა. – ვნახოთ; რა ვიცი! ღ^{თი}² აგრე როგორ
განგვირისხდება და გაგვწირავს, რომ არ მიიღოს თვისი
ჩუჭნზედ წყალობა ამ უბედურებითს შემთხვევაში.

ღ^{თი}³ იყოს შენი მფარველი

შენი გრიგოლ ორბელიანი

29^ბ აგვისტო: 1854.
ლამაშით.⁴

ივან შამილისადმი №1 (340)

Главе Мусульманских Богомольцев Иمامу
Шамиллю

30 Август: 1854 Лагерь¹ на высотах Гамаши. –

Господь Бог да воздаст Вам по делам и по мышлениям
Ваших! Мы все в руках у Бога и ничто не совершается без воли
Его; и потому человек, истинно поклоняющийся Богу, не
гордится в счастья, не унывает, когда жёлтое лицо несчастья
настигнет его на пути скоропроходимой жизни! В этом
обманчивом мире все проходит, все умирает, остаются только
дела добрыя, с которыми угодник Божий должен наконец

предстать пред судом Всемогущего. И горе тому, кто всё это знал, но не исполнил заповедей Божіих; слава же безсмертія тому, кто твёрдо и неуклонно шёл по пути спасенія.

Теперь обращаюсь к Вам, Главе Мусульманских Богомольцев. Ещё прежде брат мой Илья находился у Вас в плену – он только недавно умер – а жена его с маленьким сыном и племянницей сырою Ниною, также попалась к Вам же в плен вместе с родственницею моею Анною с детьми и прислугами. Здесь ясно видно, что наказаніе это послано мне от Бога, и я без ропота покоряюсь Его Святой воле. Но Вы, по благородству ваших чувств и сердца, оказываете пленным моим родственницам в дни скорби и печали человеколюбивое вниманіе, и Бог наградит вас за это. Поверьте, и я не затерянный в мире человек! Как знать, быть может, будет случай, когда и я могу быть полезным, если не лично Вам, то вашим сыновьям, а Вы хорошо знаете, что благодарность, как и мщеніе, долго живут на свете.

Письмо Ваше я получил с удовольствіем вчера. И прежде, и теперь я прошу Все об одном: об освобожденіи пленных моих родственниц с детьми и прислугами. Не торгуйтесь со мною: Это неприлично ни мне, ни Вам; Мы оба не купцы. Поверте, я не изменю моему слову и дам за их выкуп всё, что я в состояніи. Но если Вы думаете, что наше Правительство примет на себя их выкуп, то верьте, это будет ошибка с Вашей стороны, и этим только замедлится их освобожденіе; а слабыя женщины и дети не вынесут долгое время суровости вашего климата, перемрут, и тем только мне одному причините зло без всякой пользы для Вас.

Если, не зная меня, может быть Вы не совсем доверитесь моим словам, и потому не согласитесь отпустить моих родственниц без торгов и переговоров, то по крайней мере пришлите всех маленьких детей и беременных женщин и мою

племянницу, которая очень больна, и оставьте у себя залогом жену моего брата Варвару и ея сестру Анну до окончанія переговоров. Хотя мы и враги, но Вы, по внушенію благороднаго Вашего сердца и великодушію, должны выполнить по крайней мере эту последнюю мою прозьбу.

Князь Давид Чавчавадзе, муж Анны приехал в Хасавюрт. Это место, очень близкое к Вам, самое лучшее для скорейшаго окончанія этого дела, и потому прошу Вас приказать Вашему доверенному лицу прибыть туда к нему и окончить это дело так, как я Вас прошу: поверьте, вы не останетесь в потере. Я сам не замедлю явиться туда; но во всяком случае Давид ли, или я, всё равно, потому что он мой племянник.

Ещё прошу Вас дозволить моему мальчику Захарке прибыть в Дарго и находит[ь]ся для услуженія при моих родственницах.

В Книге сказано: только добрыми, Богу угодными делами открывается человеку двери спасенія; остальное всё – прах и суета.

იბამ შამილისადმი №1 (340)

მუსლიმ მლოცველთა თავკაცს იბამ
შამილსა

30 აგვ: 1854 ლაგერი გამაშის მალლობებზედ. –

დაე, თქვენი საქმეებისა და აზრების წილ მოგიზლოთ უფალ-
მან ლ^ათმან! ჩვენ ყველანი ლ^ათის ხელთა ვართ და არა რა ხდება
მისი ნების გარეშე; და ამიტომ კაცი, ჭეშმარიტად მორწმუნე ლ^ა-
თისა, არა ჰყოყმობს ბედნიერების ჟამსა, არცა სასონარკვეთას ეძ-
ლევა, ოდეს უბედურება წამოენევა წარმავალი სიცოცხლის გზაზე-
და! ამ ცრუ წუთისოფელში ყოველი წარმავალია, კვდება ყოველი,

რჩება მხოლოდ კეთილი საქმეები, რომლითაც უნდა წარსდგეს ბოლოს ღვთისმოსავი ყოვლისშემძლის სამსჯავროს წინაშე. და ვაი მას, ვინც უწყოდა ეს ყველაფერი, მაგრამ არ აღასრულა მცნებანი უფლისანი; ხოლო უკვდავების დიდება მას, ვინც მყარად და განუხრელად ვიდოდა გადარჩენის გზაზე.

ახლა მოგმართავთ თქვენ, მუსლიმ მლოცველთა თავკაცს. ჯერ კიდევ უნინ თქვენთან ტყვედ იმყოფებოდა ჩემი ძმა ილია – არცთუ დიდი ხანია, დაიღუპა იგი, ხოლო ცოლი მისი პატარა ვაჟით, ობოლ დისშვილთან, ნინოსთან, ჩემს ნათესავ ანასა და მის ბავშვებთან და მოსამსახურებთან ერთად, თქვენთანვე ჩავარდნენ ტყვედ. აქ ცხადად სჩანს, რომ ეს სასჯელი ღმრთისგან გამოიმეგზავნა და მე უდრტივინველად ვმორჩილებ მის ნებას. მაგრამ თქვენ, თქვენი გრძნობებისა და გულის კეთილშობილებით, კაცთმოყვარულის ყურადღებით ეპყრობით ჩემს ნათესავ ტყვე ქალებს გლოვისა და მწუხარების ჟამს და ღმრთი დაგასაჩუქრებთ ამისათვის. მერწმუნეთ, არც მე ვარ ვინმე დაკარგული ამ ქვეყნად! ვინ უწყის, ეგებ დადგეს შემთხვევა, როცა მეც შემეძლება ვიყო საჭირო, თუ პირადად თქვენთვის არა, თქვენი ვაჟებისთვის მაინც, ხოლო თავადვე კარგად უწყით, რომ მადლიერება, ისევე როგორც შურისგება, დიდი ხნით სუფევენ ქვეყანაზე.

სიამოვნებით მივიღე გუშინ თქვენი წიგნი. აქამდისაც და ახლაც ერთ რამესა გთხოვთ: ჩემი ნათესავი ტყვე ქალების განთავისუფლებას ბავშვებთან და მოსამსახურებთან ერთად. ნუ მევაჭრობით: ეს არა გვშვენის არც თქვენ, არც მე; ჩვენ არც ერთი არა ვართ ვაჭარი. მერწმუნეთ, მე არ ვულალატებ ჩემს სიტყვას და მათ გამოსასყიდად მოგცემთ ყველაფერს, რისი საშუალებაც გამაჩნია. მაგრამ თუკი ჰფიქრობთ, რომ ჩვენი ხელისუფლება თავის თავზე აიღებს მათ გამოსყიდვას, მაშინ მერწმუნეთ, ეს შეცდომა იქნება თქვენი მხრიდან და ამით მხოლოდ შეფერხდება მათი განთავისუფლება; ხოლო სუსტი ქალბატონები და ბავშვები დიდხანს ვერ აიტანენ თქვენი ჰავის სისასტიკეს, განყდებიან და ამით მხოლოდ მე ერთს მომაყენებთ ზიანს თქვენთვის ყოველგვარი სარგებლის გარეშე.

თუკი იმის გამო, რომ არ მიცნობთ, თქვენ ბოლომდე არ ირწმუნებთ ჩემს სიტყვებს და ამიტომ არ იქნებით თანახმა, გაათავისუფლოთ ჩემი ნათესავები ვაჭრობისა და მოლაპარაკებების

გარეშე, მაშინ ყველა ბავშვი და ორსული ქალები და ჩემი დისშვილი მაინც გამოგზავნეთ, რომელნიც ძლიერ ავადობენ, და მოლაპარაკებების დასრულებამდის მძევლად დაიტოვეთ ჩემი ძმის ცოლი ბარბარე და მისი და ანა. თუმც მტრები ვართ, მაგრამ თქვენ, თქვენი კეთილშობილი გულის ძახილითა და დიდსულოვნებით, უნდა შეასრულოთ ჩემი ეს ბოლო თხოვნა.

კნიაზი დავით ჭავჭავაძე, ანას მეუღლე, ჩავიდა ხასავიურთში. ეს ალაგი, ძალზედ ახლომდებარე თქვენთან, საუკეთესოა ამ საქმის სწრაფად მოსაგვარებლად და ამიტომ გთხოვთ, უბრძანოთ თქვენს ნდობით აღჭურვილ პირს, ჩავიდეს მასთან და დაასრულოს ეს საქმე ისე, როგორც მე გთხოვთ: დამიჯერეთ, წაგებული არ დარჩებით. მე თავად არ დავაყოვნებ იქ ჩამოსვლას; მაგრამ ყველა შემთხვევაში სულ ერთია, დავითი იქნება თუ მე, რადგან ის ჩემი ბიძაშვილია.

კიდევ გთხოვთ, ჩემს ბიჭს, ზაქარკას, ნება დართოთ, ჩამოვიდეს დარლოში და იქ იყოს ჩემი ნათესავეების მომსახურებისათვის.

ღვთის წერილში ნათქვამია: მხოლოდ კეთილი, ლ^ათის სათნო საქმეებით ეხსნება ადამიანს კარი გადარჩენისა; ყველა დანარჩენი მტკვერია და ამაოება.

ივან შამილისადმი №2 (341)

Главе Мусульманских Богомольцев
Имаму Шамилю.

14 сент: 1854. Темирхан¹ Шура.

Бог да помилует Вас в день Судный! Вчера приехал ко мне из Хасавьюрты К[нязь] Давид Чавчавадзе с письмом Вашим, в котором описиваны были условия для освобождения моих родственниц из плена.

Условія, Вами предложенныя, так велики своею огромностью, так неисполнимы, что нанесли мне неописанное огорченіе.

Сын Ваш, возвращенія котораго Вы требуете, не находится в нашей власти, потому что он не пленник, а Офицер, к которому милости Великаго Государя Императора очень и очень велики. И потому его нельзя выкупить, или выменить на пленнаго. Скорее можно полагать его возвратитъ к Вам и без всякаго выкупа, и без всякаго промена на пленнаго, если Вы сообщите нашему Великому Сардарю Ваше желаніе, а сын Ваш изъявит своё на то согласіе. Мы же в это дело вмешиваться не можем. Поверьте, это так: и Мне нет никакой пользы не желать возвращенія Вашему сыну; но повторяю: Это от меня не зависит.

Возвращеніе же других пленных, как то: Вашего Племянника Гамзада, Харисилау и Шейхуль Ислама, дело возможное; но оно требует слишком много времени: три и четыре года пройдут, пока их отыщут в обширной Россіи, куда они уже более 15^м лет сосланы. Но поверьте моему слову, моему обещанію, если только они живы, я возвращу их к Вам, но только не скоро; потому что много времени нужно, пока посредством переписки отыщу место их пребыванія. Но до того времени не могут оставаться в плену маленькія дети и слабыя женщины, в климате слишком для них суровом и невыносимом. Хотя Вы, по человеколюбивому сердцу Вашему, оказываете им всякую помощь, но все-таки оне – слабыя женщины, и не выдержат долго своего положенія.

Кроме этого Вы требуете Мілліон денег. Это такая огромная сумма, что если бы человек стал считать словами один, два, три и пр[очее]: то пройдёт более месяца, пока сочтеть эту сумму. Где же нам взять такую громаду денег, которыя, если насыпать вместе, составили бы большую гору серебра.

Свет Вашего ума и благородное сердце давно известны всем; поразмыслите хорошенько об этом деле и требуйте от нас то, что в состоянїи мы дать за освобожденіе наших родственниц. У Вас были в плену и сестра Шамхала, и племянники его; дадим мы более их; но невозможнаго не требуйте: Это бесполезно и для Вас, и для нас. Поверьте, только справедливость и добрыя дела открывают человеку путь спасенія.

Посредством переписки чрезвычайно трудно кончить это дело; поэтому не угодно ли будет Вам прислать ко мне одного из доверенных людей Ваших: Ажіева Оротинскаго, или Нянуса Черкеевского, или Раджабил Мамед Черкеев[скаго], или же Тахмас Хан Кадія Черкеев[скаго].

Если угодно Вам, я буду писать к Вам по арабски, потому что я слышал, будто моё письмо не так переведено Вам дурным переводчиком.

იბამ შამილისადმი №2 (341)

მუსლიმ მლოცველთა თავკაცს
იბამ შამილსა.

14 სექტ: 1854. თემირხანშურით.

დაე, გწყალობდეთ ღთი განკითხვის დღესა! გუშინ ხასავი-ურთიიდან ჩემთან ჩამობრძანდა კ[ნიაზი] დავით ჭავჭავაძე თქვენი წერილითა, რომელშიაც აღწერილი იყო ჩემი ნათესავეების ტყვეობი-დამ გამოხსნის პირობები.

პირობები, თქვენს მიერ შემოთვლილი, ესრეთ მძიმეა, ესრეთ აღუსრულებელი, რომ მომგვარეს აღუწერელი წუხილი.

თქვენი ვაჟი, რომლის დაბრუნებასაც მოითხოვთ, არ იმყოფება ჩვენი ძალაუფლების ქვეშ, რამეთუ ის არის არა ტყვე, არამედ ოფიცერი, რომლის მიმართაც ძალზედ, ძალზედ დიდია მონყალეზა დიდი ხელმწიფისა. და ამიტომ შეუძლებელია მისი გამოსყიდვა, ან

გაცვლა ტყვეზე. უფრო დასაშვებია მისი თქვენთან დაბრუნება ყოველგვარი გამოსასყიდის, ყოველგვარი გადაცვლის გარეშე ტყვეზედ, თუკი თქვენ ჩვენს დიდ ხელმწიფეს აცნობებთ თქვენს სურვილს, ხოლო თქვენი ვაჟი გამოსთქუამს თავის თანხმობას მასზედ. ჩვენ კი არ ძალგვიძს ამ საქმეში ჩარევა. მერწმუნეთ, ეს ასეა: და მე არა მაქვს არც არანაირი სარგებელი, რომ არ მსურდეს დაბრუნება თქვენი ძისა; მაგრამ ვიმეორებ: ეს არ არის დამოკიდებული ჩემზედ.

ხოლო დაბრუნება სხვა ტყვეებისა, ანუ: თქვენი დისშვილის ჰამზათისა, ჰარისილაუსი და შეიხულ ისლამისა, შესაძლებელია; მაგრამ ეს ითხოვს ძალზედ დიდ დროსა: სამი, ან ოთხი წელი გაივლის, მანამ მათ მოსძებნიან ვრცელ რუსეთში, სადაც ისინი უკვე 15 წელზე მეტია, გადასახლებულნი არიან. მაგრამ მენდეთ სიტყვაზედ, ჩემს დაპირებაზედ, თუკი ისინი ცოცხლები არიან, მე თქვენ დაგიბრუნებთ მათ, მაგრამ არცთუ მალე; იმიტომ, რომ დიდი დროა საჭირო, ვიდრე მიმონერის გზით მონახავენ მათ ადგილსამყოფელსა. მაგრამ მაგ დრომდინ პანია ბავშვებსა და სუსტ მანდილოსნებს არ ძალუძთ ტყვეობაში დარჩენა, მათთვის ძალზედ მკაცრსა და აუტანელ კლიმატში. თუმცა თქვენი კაცთმოყვარე გულით მათ უწევთ ყოველგვარ დახმარებასა, მაგრამ ისინი მაინც სუსტი ქალები არიან და დიდხანს ვერ გადაიტანენ თავიანთ მდგომარეობასა.

გარდა ამისა, თქვენ ითხოვთ მილიონს ფულადა. ეს დიდი თანხაა იმგვარად, რომ, თუკი კაცი სიტყვებით დაინყებს თვლასა: ერთი, ორი, სამი და სხ[უა]: მაშინ გავა თვეზე მეტი, ვიდრე ამ თანხას დასთვლიდეს. სადღა უნდა მოვიძიოთ ესრეთი დიდი ფული, რომელიც, ერთად რომ დაჰყარო, წარმოქმნის ვერცხლის დიდ მთასა.

შუქი თქვენი გონებისა და კეთილშობილი გული, დიდი ხანია, ცნობილია ყველასთვის; კარგად დაჰფიქრდით ამ საქმეზედ და ჩვენგან მოითხოვეთ ის, რისი მოცემაც ძალგვიძს ჩვენი ნათესავი მანდილოსნების გასათავისუფლებლად. თქვენ ტყვედ გყავდათ შამხალის დაც, მისი ძმისშვილებიც; ჩვენ მათზე მეტს გადაგიხდით; მაგრამ შეუძლებელს ნუ ითხოვთ: ეს უსარგებლოა თქვენთვისაც, ჩვენთვისაც. მერწმუნეთ, მხოლოდ სამართლიანობა და კეთილი საქმენი უხსნიან ადამიანს ხსნის გზას.

უსაშველოდ ძნელია ამ საქმის დასრულება მიმონერითა; იმიტომ, ხომ არ ინებებთ, მათხოვთ ვინმე თქვენი ნდობით აღჭურვილ

კაცთაგან: აჟივე ოროტელი, ან იანუს ჩერქეელი, ან რაჯაბილ მამედ ჩერქეელი, ან კიდევ თაჰმას ხან ყადი ჩერქეელი].

თუკი ინებებთ, არაბულად მოგწეროთ ხოლმე, რადგან გავიგე, თითქოს ჩემი წიგნი სათანადოდ არ გითარგმნათ უვარგისმა თარჯიმანმა.

ქეთევან ორბელიანისადმი №65 (342)

ჩემო უსაყვარლესო ძალუაჲ

ცალკე მოუცლელობამ და ცალკე მწუხარებამ დამაგდო რომ ამთენს ხანში ერთხელ წიგნი ვერ მოგწერე, და ან რაუნდა მომეწერა, კარგათ წარმოიდგენოთ ჩემს მდგმოიარობას ამ საშინელის უბედურებისაგან, რომელიც ჩვენ მოგვევლინა.

აქამომდე კიდევ იმედით ვწუგეშინობდი რომ მოვრიგდებოდით შამილთან და მალე დავისხნიდით საბრალოს ჩვენს ტყვეებს და ახლა ეს იმედი ასე შემიმცირდა რომ არვიცი როდის გვაღირსებს ღმერთი¹ იმათს განთავისუფლებას.

შამილს ერთი მილიონი ფული თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები ეთხოვნა. ფულზედ კიდევ როგორმე შეიძლება მორიგება, უეჭველია რომ დაიკლებს და იქამდის ჩამოვა, რომ შევიძლოთ მიცემა, მაგრამ შვილის მიცემას იყაბულებს თუ არა ჩვენი ხემწიფე არ ვიცი; სხვა ტყვეები რომელსაც ის თხოულობს ჩვიდმეტ თვრამეტის წლის გაგზავნილები არიან აქადან,² და ვინ იცის სად იმყოფებიან. იმათს ძებნაში საქმე გაგძელდება და შესძლებენ თუარა ის საცოდავები იმთენი ხანის ტყვეობას ღმერთმა³ იცის.

სხვა რიგათ მშვიდობით არიან ყველანი და როგორათაც უწინ შამილ დიდის პატივით ექცევა ტყვეებს, სახლებს უმატებს, პოლსა და ფეჩებს თურმე უმზადებინებს, მაგრამ რაკი

იმ საცოდავებს შეუტყვიათ შამილის მოთხოვნილება⁴ ჯავრი-
საგან აღარ არიან.

გთხოვ თქვენი ამბავი მომწეროთ. მშვიდობით⁵

თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

ჩვენინები ერთიანად მომიკითხეთ; ბაბაღეს დავკოცნი.

22 სექტემბერს 1854. წელსა
შურიდამ.

დიმიტრიმ და ალექსანდრემ მდაბლათ თავი დაგიკრეს.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №6 (343)

К^н Александру Ивановичу Барятинскому

22 Сентяб: 1854¹ Т: Х: Шура.

Когда брат мой К: Илья Орбел: находился в плену у Шамиля, окованный в цепях и кандалах, я не беспокоил Правительство просьбою об его освобождении, считая постыдным просить только об нём, когда многие другие Офицеры одинаково с ним несли тяжкую участь пленника в горах. Не просил я долгое время и теперь, когда жена моего брата Ильи, племянница и племянник, и ближайшая моя родственница К[нягиня] Чавчавадзе с детьми по воле Господа Бога томятся в плену, полагая, что требования Шамиля не превзойдут мои средства к освобождению их. Ныне, когда намерения Шамиля положительно объяснились, и когда он первым условием освобождения несчастных моих родственников поставляет возвращение своего сына из России, что я могу

сделать, как не прибегнуть к Вам? Помогите! Из глубины души вопію к Вам, помогите! Да не погибнуть в плену столько жён и детей лучших фамилій Грузіи!

Условія Шамиля состоят в следующем: 1) и самое главное: возвратитъ ему сына; 2) Трёх пленных: племянника Шамиля – Гамзада, сына Алибека Аварскаго – Харсилау, и сына Амир Амзы – Шейхул Ислама; 3) Милліон денег; 4) Остальных пленных променять одного на один.

Не знаю как будет принято Вами первое условіе, и как посмотрят на это в Петербурге; но требованіе Шамиля очень естественно: отец просит о возвращеніи своего сына. И вот здесь то необходимая, Князь, Ваша помощь, Ваше человеколюбивое участіе к судьбе несчастных моих родственниц. А для Государя Великаго и Великодушнаго невозможное не существует. Притом надо вспомнить и то, что сыновя Шамиля мало имеют значенія в горах. Многозначителен только сам Шамиль; и Вашему С[іятельст]ву весьма хорошо известно это. Не зная видов Правительства относительно сына Шамиля, я только изволю себе выразить пред Вашим С[іятельст]вом мненіе моё об этом: возвращеніе его в горы, не принося сам никакой опасности, неминуемо родит раздор между сыновьями Шамиля за право наследства, а это может быть очень полезно для нас.

Что касается до остальных трёх пленных Горцев, мне кажется, в возвращеніи их не может встретиться особенное препятствіе, если только они живы.

Дать милліон денег также невозможно; И Шамиль должен сбавить много и много цифр.

Размен же других пленных легко сделать: собрать всех пленных Горцев в Закаталах, Шуре и Грозной; уведомить Шамиля. Я говорю о тех пленных, которые находятся здесь у нас в руках.

Когда я решительно отвечал Шамилю, что возвращение его сына я на себя принять не могу, потому что он не пленник а Офицер, подобный мне, тогда он прислал мне сказать, дозволено ли будет ему послать одного из своих доверенных лиц к сыну своему, чтоб лично убедиться, желает ли он возвращенія на родину? В случае согласія сына Шамиль обратится с просьбою к Главнокомандующему о возврате его; если же не изъявит желанія, тогда и Шамиль навсегда отречётся от него. Полагаю, что особенныя затрудненія не могут встретиться в дозволеніи Шамилю, отправить к сыну своему доверенное лицо. – Впрочем, ожидаю приказанія Вашего С[іятельст]ва. Но повторяю, возвращеніе сына его для нас будет очень полезно теперь, когда сам Шамиль просит об нём, чем в другое время, когда об нём никто не будет беспокоиться, и следовательно никто и не будет благодарить за его освобожденіе.

Ваше Сіятельст^{во}! Судьба злосчастных моих родственниц и счастье всей моей жизни зависит от того участія, какое Ваше благоугодное сердце пріймет в этом деле. Спасеніе наше в Ваших руках! Делайте, как знаете; а я более говорить не могу.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №6 (343)

კ^ბ ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკის
22 სექტემბ: 1854 თ: ხ: შურა.

ოდეს ჩემი ძმა, კ: ილია ორბელ: შამილთან ტყვედ იმყოფებოდა, შეჯაჭვული და შებორკილი, არ ვანუხებდი ხელისუფლებას თხოვნით მის განთავისუფლებაზედ, რამეთუ სამარცხვინოდ ვრაცხდი, მეთხოვა მხოლოდ მის გამო, მაშინ როცა ბევრი სხვა ოფიცერი მასავით იზიარებდა ტყვის ხვედრს მთებში. ახლაც დიდხანს არ

ვითხოვდი, როცა ჩემი ძმის ილიას მეუღლე, ძმისშვილი და დისშვილი და ჩემი უახლოესი ნათესავი კ[ნენია] ჭავჭავაძე ბავშვებოთურთ ტყვეობაში იტანჯებიან უზენაესი ღმრის ნებით, ვპფიქრობდი რა, რომ შამილის მოთხოვნები არ გასცდებოდა ჩემს შესაძლებლობებს მათ გასანთავისუფლებლად. ან, როცა შამილის ზრახვანი დანამდვილებით გაირკვა, და როცა ის ჩემი უბედური ნათესავების განთავისუფლების მთავარ პირობად აყენებს რუსეთიდან თავისი შვილის დაბრუნებას, რა შემძლია ვიღონო, თუ არა მოგმართოთ თქვენ? მომხედეთ! სულის სიღრმიდამ გიყვივით, მომხედეთ! არ ეგების, ტყვეობაში დაიხოცოს ამდენი მანდილოსანი და ბავშვი საქართველოს საუკეთესო გვარისა!

შამილის პირობები შემდეგია: 1) ყველაზე მთავარი: დაუბრუნდეს შვილი; 2) სამი ტყვე: შამილის დისწული – ჰამზათა, ალიბეგ ავარელის ვაჟი – ჰარსილაუ და ამირ ამზას ვაჟი – შეიხ ულ ისლამი; 3) მილიონი ფულად; 4) დანარჩენი ტყვეები გაიცვალონ ერთი ერთზედა.

არ ვიცი, როგორ მიიღებთ პირველ პირობას და როგორ შეხედავენ ამას პეტერბურღში, მაგრამ შამილის მოთხოვნა ძალზედ ბუნებრივია: მამა ითხოვს საკუთარი ვაჟის დაბრუნებასა. და სწორედ ამაშია, კნიაზო, თქვენი ის აუცილებელი დახმარება, თქვენი კაცთმოყვარე მონაწილეობა ჩემი უბედური ნათესავების ბედში. ხოლო დიდი და დიდსულოვანი ხელმწიფისათვის არა არის რა შეუძლებელი. ამასთან, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ შამილის ვაჟებს მცირე წონა გააჩნიათ მთებში. მხოლოდ შამილია დიდად მნიშვნელოვანი; და თქვენს ბრწყინვალეობას] ძალზედ კარგად მოეხსენება ეს. არ ვიცი მთავრობის შეხედულებები შამილის ვაჟზედ და თქვენის ბრწყინვალეობის წინაშე თავს უფლებას მივცემ, მხოლოდ მოსაზრება გამოვხატო ამაზედ: მთებში მის დაბრუნებას არ ახლავს არანაირი საშიშროება და შამილის ვაჟებს შორის გარდაუვლად შობს განხეთქილებას მემკვიდრეობაზე უფლების გამო, ეს კი შეიძლება ფრიად სასარგებლო იყოს ჩვენთვის.

რაც შეეხება დანარჩენ სამ მთიელ ტყვეს, მეჩვენება, მათ დაბრუნებას არ უნდა შეხვდეს განსაკუთრებული წინააღმდეგობა, თუკი ცოცხლები არიან.

ფულად მილიონის მიცემაც აგრეთვე შეუძლებელია; და შამილმა ბევრი და ბევრი ციფრი უნდა მოაკლოს.

სხვა ტყვეების გაცვლა კი იოლი შესასრულებელია: შეიკრიბოს ყველა მთიელი ტყვე ზაქათალაში, შურასა და ღროზნოში; ეუნყოს შამილს. მე ვლაპარაკობ იმ ტყვეებზედ, რომლებიც ჩვენს ხელთ იმყოფებიან აქა.

ოდეს პირდაპირ ვეუბნებოდი შამილს, რომ არ შემიძლია ჩემს თავზე ავილო მისი შვილის დაბრუნება, რადგან ის არის არა ტყვე, არამედ ოფიცერი, როგორიც მე, მაშინ ის დაინტერესდა, მიეცემა კი მას შვილთან ერთ-ერთი თავისი ნდობით აღჭურვილი პირის გაგზავნის უფლება, რათა პირადად დარწმუნდეს, სურს თუ არა მას სამშობლოში დაბრუნება? შვილის თანხმობის შემთხვევაში, შამილი თხოვნით მიმართავს მთავარსარდალს მისი დაბრუნების შესახებ; ხოლო, თუ სურვილს არ გამოხატავს, მაშინ შამილიც სამუდამოდ იტყვის უარს მასზე. ვვარაუდობ, რომ განსაკუთრებული სიძნელეები არ უნდა შეგვხვდეს შამილისთვის ნებართვის მიცემაში, თავის ვაჟს აახლოს ნდობით აღჭურვილი პირი. თუმცა ველი თქვენი ბრწყინვალეების ბრძანებას. მაგრამ ვიმეორებ, მისი შვილის დაბრუნება ძალზედ სასარგებლო იქნება ჩვენთვის ახლა, როცა თავად შამილი ითხოვს ამას, ვიდრე სხვა დროს, როცა მასზედ არაფერია ინალვლებს და, შესაბამისად, არაფერია იქნება მადლიერი მისი განთავისუფლებით.

თქვენო ბრწყინვალეებავ! ჩემი ბედუკუღმართი ნათესავი ქალბატონების ბედი და მთელი ჩემი ცხოვრების ბედნიერება დამოკიდებულია იმ მონაწილეობაზედ, რომელსაც თქვენი კეთილისმსურველი გული მიიღებს ამ საქმეში. ჩვენი საშველი თქვენს ხელთაა! ჰქმენით, როგორც გენებოთ; ხოლო მე აღარ ძალმიძს მეტი ლაპარაკი.

ქეთევან ორბელიანისადმი №66 (344)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ჩვენის სანყლების ტყვეების საქმე ისევ ისეა და არ ვიცი როდის დაბოლოვდება. შამილა ითხოვს თავის შვილსა, დისწულსა და ორთა სხუათა ტყვეთა, რომელნიცა ეს თხუთ-

მეტი წელიწადია გაგზავნილნი არიან რუსეთში; ამისგარდა ითხოვს ერთს მილლიონს ფულსა, მეტს არ თხოულობს. – აბა მოდი და აასრულე ეს მისი თხოვნა! – კნიაზ ბარიატინსკის მოვსნერე და ვჰსთხოვე შემწეობა, მაგრამ მილლიონებს ვინ და საიდამ უნდა მისცენ? – რა საკურველია, მეც რაცა რიგი იყო და სიმართლე შეუთვალე პასუხი შამილსა, მაგრამ ამ ლაპარაკიდამ ჰსჩანს, რომ ჯერ დიდი ხანი გაჰსწევს, მანამ ჩვენს ტყვეებს გამოვიხსნით, და იმ დრომდის როგორ უნდა შეჰსძლონ სანყლებმა და საცოდავებმა? –

სანდროს ამბავიც აღარა ვიცირა ესოდენი ხანი.

ბიძიას ალექსანდრეს მოვსნერე, რომ ჯოგის ფული საჩქაროდ გამომიგზავნოს, რადგანაც ძალიან ბევრი რაგინდა რაღაებიც უნდებათ საბრალოებსა, და იმათგარდა ბევრი ფეშქაშებიც მოგვინდება იქაურთ პირველთ კაცებთან გასაგზავნად, რომ დამეხმარნენ ლაპარაკში შამილთანა, და ზოგიერთთა კიდევ გაუგზავნე, და ეგრეთვე თუთ შამილას ცოლებსაცა, რომელნიცა დიახ კარგად ექცევიან ჩვენს ქალებსა. – ახლა სხუანიც ბევრნი მთხოვენ საჩუქრებსა და რა ვუყო, უნდა გავუგზავნო. –

ძალიან კარგი იქნება, რომ ახალის მოდის ლეჩაქები რომ მოსულა სხუა და სხუა ფერებისა, იმათგანი ან სამი, ანუ ექუსი გამომიგზავნოთ, და მათში თეთრიც იყოს.¹ –

თამარ, ბაბალე, სოფიოები, ტასიკო სიყუარულით მომიკითხე. –

სად იმყოფება ეხლა ჩემი საყუარელი ძმა ყაფლან? – ასე უთხარ, ამასაც მოვესწარით. – მშვიდობით, იაკინთე მომიკითხეთ.

შენი მორჩილი ძმა გრიგოლ ორბელიანი

1^h ოკდომ: 1854.

შურით.²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №14 (345)

ჩემო დიმიტრი! ერთის მხრით განუხეხს კარპოვიჩი თავის პილულებითა, მეორედამ მე ბარონ ნიკოლაის წერილებითა. – ავადა ვარ, წერა არ შემძლიან; ამისთვის გიგზავნი ამათა, რომ პასუხი შენ დაწერო: დიდი მწუხარება ხასავიურთის გადანვისათვის; აქამდის ვერ უპასუხე, რადგანაც ვიყავ მთებში, მაგრამ იქიდანვე ორი როტა [первыи батал: Дагест:]¹ წამოვიდნენ ხასავიურთისაკენ, და შევაყენე, რადგანაც ბარონს აღარ უნდა ჯარი; თივებისათვის ლოპპეს ვგზავნი ჩირიურთსა, რომ იქვე ადგილობრივ ჰქმნას განკარგულება; ესევე ურმებს მოამზადებს თივების გადასატანათა. – სხუა რაც იყოს შენ დაუმატე მთებისა, ბარისა და პოლიტიკისა. –

შენი გრიგოლი

მოდით ამ საბრალოს ტერტერასათვის ეს სიკეთე ვჰქნათ, რომ ორმოცი თუმანი ტყვეების ფულებიდან დაუმატოთ და გამოვიხსნათ. – ჰა, რას იტყვი? –

[1854 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ]

¹პირველი ბატალ: დაღესტ:

შურა¹

22 ოკტო.

1854 წელი.

ჩემს საყუარელს, საკუთარს დას ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ, და ჩავკოცნი შავგვრემანს შუბლზედ. – ჩვენის დატყვევებულის ქალებისა რა მოგწერო? ისევ ისეა მათი საქმე დახლართული და ვინ იცის როგორ და რით დაბოლოვდება მათი გამოხსნა! შამილა ითხოვს თავის შვილსა და ერთს მილლიონსა! სწორედ ჳელმწიფემ გვინყალობოს იმის შვილი, მაინც მილლიონი სად ვიშოვოთ? – ამ დღეებში გაუუგზავნე ქალებსა ხიზილალა და სათალი, რომელიცა ჩემთვის ეთხოვნა ვარინკასა. – სანყალი ანნეტა და მის ვაჟი ავათმყოფობენ. – ხვალ, ზეგ, მოველი მათგან წერილსა, ვნახოთ, რას შემომითვლის შამილა? – ძალუას, ჩემსსაკუთარს ძალუას ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე ჩემი საყუარელი ძმა შენი ქმარი ალექსანდრე მომიკითხე გულით, სულით.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

თამართან და ბაბალესთან მოკითხვას დაგაბარებდი, მაგრამ ვიცი რომ ერთმანეთთან ვერა ხართ კარგათა, როგორც ტასოს მოწერა ალექსანდრესათვის, და ამისგამო დაეხსენ, ნულარას ეტყვი.

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! მომიტევეთ რომ ხშირად ვერა გწერთ; სწორედ მოგახსენოთ თავი არა მაქუს წერისათუს.

ჩვენის ქალების ამბავი ისევ ის არის: შამილა ისევ იმასვე ითხოვს, თავის შვილსა და მილლიონსა. შვილისთუსკი მითხოვნია კნიაზ ბარიატინსკისათუს, რომ შემწეობა მოგვცენ, და მიუწერიათ კიდეცა მინისტრისათუს, მაგრამ მილლიონი სად ვიშოვნოთ? –

სანდრიკოს ამბავი დიდხანია არ მოგინერიათ ჩემთუს; როგორ ჰსწავლობს და ან გადიყუანეს მეორეს კლასში,¹ თუ ისევ ანბანას ჰსწავლობს? –

ყაფლან ცოლშვილებით მომიკითხეთ სიყუარულით; ეგრეთვე სოსიკო დებით, მამით, დედით ბებიითურთ; და კიდევ ძალუა ნინო თავისის ქალებით. –

იაკინთე სიყუარულით მომიკითხე; ბაბალე ჩამიკოცნეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

ნ^ბ ნომ: 1854.

შურით.²

Шура. 6^{го} Нояб: 1854.¹

К^о Алекс: Иван:² Бярятинскому.

Благородное участие, принимаемое Вашим С[иательст]вом в судьбе несчастных моих родственниц-пленниц, даёт мне смелость обратиться к Вам опять с покорнейшею моею прозьюбою.

После долгих, несносных переговоров с Шамилем об освобождении моих родственниц из плена, наконец он прислал своего доверенного, Буртунайского жителя Гассана, который сообщил мне, что Шамиль, откладывая все другія условия – о коих я писал прежде Вашему С[иательст]ву, которыя, по мнению Шамиля при некоторой уступке с обеих сторон легко привести к соглашению, просит прежде всего о возвращении своего сына из России, без чего невозможно освобождение несчастных пленниц. Но когда я возразил, что, быть может, сын Шамиля, воспитанный с юных лет в Россіи, изменившийся в своих понятиях, привыкший к другому, лучшему образу жизни, сам не захочет возвратиться к своему отцу, что тогда делать? Он отвечал, что Шамиль испытает тогда последнее средство: пошлёт к нему одного из своих доверенных лиц, чтобы совершенно убедиться в том, и тогда сам отречётся от сына.

Из этого видно, что слишком много времени пройдёт, пока всё это совершится. Но злуполучныя пленницы, которыя непрерывно болеют, могут ли иметь достаточно нравственных сил, чтоб вытерпеть столь продолжительное время тяжкую, страдальческую жизнь?

И чтоб сократить эту бесполезную трату времени, которое необходимо для проезда доверенного лица от Шамиля к сыну

его, Ваше С[іятельство], не признаёте ли возможным приблизить самого сына Шамиля к Ставрополю, в случае, если он решительно откажется возвратиться к отцу своему? Близость этого города от Шамиля потребовала бы не много дней на проезд туда довереннаго его лица, и тем скорее бы окончились и тяжкія страданія несчастных пленниц и свыше моих сил моё мучительное ожиданіе.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №7 (348)

შურა. 6 ნოემბ: 1854.

კ^ს ალექს: ივან: ბარიატინსკის

თქვენის ბ[რწყინვალე]ების კეთილშობილური მონაწილეობა ჩემი უბედური ტყვე მანდილოსნების ბედში მგვრის გამბედაობას, კვლავაც მოგმართოთ ჩემი უმორჩილესი თხოვნით.

შამილმა ხანგრძლივი, მძიმე მოლაპარაკებების შემდეგ ჩემი ნათესავების ტყვეობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით, როგორც იქნა, გამოგზავნა თავისი ნდობით აღჭურვილი პირი, ბურთუნაის ბინადარი ჰასანი, რომელმაც შემატყობინა, რომ შამილი ყველა [იმ] სხვა პირობის გვერდზე გადადებით, რომელთა შესახებ მე წინათაც ვწერდი თქვენს ბ[რწყინვალე]ებსა და რომელნიც, მისი აზრით, იოლი მისაყვანია შეთანხმებამდე გარკვეული დათმობებით ორივე მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, ითხოვს თავისი შვილის დაბრუნებას რუსეთიდან, რის გარეშეც შეუძლებელია უბედური ტყვე ქალების დაბრუნება. მაგრამ, როცა მე სიტყვა შეუბრუნე, რომ, შესაძლოა, შამილის ვაჟმან, ყრმობის წლებიდან რუსეთში გაზრდილმა, შეცვლილმა თავის შეხედულებებში, მიჩვეულმა სხვა, ცხოვრების უკეთესს წესსა, თავადვე არ ისურვოს დაბრუნება საკუთარ მამასთან, რა ვქნათ-მეთქი მაშინ? მან მიპასუხა, რომ მაშინ ის გამოსცდის უკანასკნელ საშუალებას: მასთან გაგზავნის ერთ-ერთ თავის ნდობით აღჭურვილ პირს, რათა საბოლოოდ დარწმუნდეს ამაში და მაშინ თავად აიღებს ხელს ძეზე.

აქედამ სჩანს, რომ ერთობ დიდი დრო გავა, ვიდრე ეს ყოველივე მოხდება. მაგრამ ბედშავ ტყვე ქალებს, რომლებიც გამუდმებით ავადმყოფობენ, ძალუძთ კი, იქონიონ საკმარისი სულიერი ძალები, რათა გაუძლონ აგრერიგად გაგრძელებულ მძიმე მტანჯველ სიცოცხლეს?

და რომ შეწყდეს უსარგებლო ფლანგვა დროისა, რომელიც შამილის ნდობით აღჭურვილი პირის ჩასვლას სჭირდება მის შვილთან, თქვენო ბ[რწყინვალე]ავ, ხომ არ სთვლით შესაძლებლად თავად შამილის შვილის მიახლოებას სტავროპოლთან იმ შემთხვევაში, თუკი ის გადაჭრით იტყვის უარს მამამისთან დაბრუნებაზე? შამილთან ამ ქალაქის სიახლოვე არცთუ ბევრ დროს მოითხოვდა მისი ნდობით აღჭურვილი პირის იქ ჩასასვლელად და მით უფრო უმაღლ დასრულდებოდა ტყვე ქალების მძიმე ტანჯვაცა და ტანჯვით აღსავსე მოლოდინიცა, ჩემს ძალებს აღმატებული.

მიხეილ ვორონცოვისადმი №42 (349)

К: Воронцову. Шура.¹ 12 Нояб: 1854.

Простите, Ваша Светлость, что я не совсем выполнил Вашу волю, всегда для меня Священную, докладывать по временам о положеніи дел в Дагестане. Несчастіе, постигшее меня так велико, так неожиданно, что до сих пор не могу привыкнуть к этой невыносимой, мучительной мысли! Вашей Светлости уже известно о печальной судьбе злополучных родственниц, Княгини Варвары и Анны Ильинишной, попавшихся в плен к Шамилю со всеми их детьми и моею племянницею, Княжною Ниною Баратовой. Зная, как Вы любили их, мог ли я быть зловещим вестником скорбных известій? Этот удар судьбы, нанесённый мне прямо в душу, уничтожил во мне последнія нравственныя силы. Чувство, что малодушіе более и более овладевает мною, и вопрос, зачем я живу? чаще и чаще терзает меня безпощадно.

Вот, уже четыре месяца, как она похищена из Цинандал и томится в плену; и не удивительно ли, что она ещё до сих пор

живут? Даже маленькія дети здоровы! Вижу, что Господь Бог ещё не совсем лишил меня своей милости.

Шамиль требует за их освобождение: 1) возвращение своего сына из Россіи, без чего освобождение пленниц невозможно. 2) Возвращение своего племянника, взятаго в Аманаты Генералом Фезе в 1837, и ещё двух пленных Аварцев, сосланных в 1839 году в Россію и 3) Милліон руб. Сереб[ром].

Не знаю, как будет принято в Петербурге первое условіе Шамиля: но оно очень естественно: отец просит о возвращеніи своего сына. Не зная видов Правительства относительно сына Шамиля, я однакож убеждён, что возвращение его не столько нанесёт нам вреда, сколько пользы; потому что неминуемо возникнет между сыновьями Шамиля раздор за право наследства. Притом надо вспомнить и то, что сыновья Шамиля мало имеют значенія в горах; многозначителен только сам Шамиль. Во всяком случае с возвращеніем сына его из Россіи прибавится в горах только один человек, довольно ничтожный своею личностью; а между тем спасутся столько благородных жён и детей лучших фамилій Грузіи. Князь Барятинскій, которому я писал об этом, сообщил мне, что Генерал Реад ходатайствует у Государя Императора о возвращеніи сына Шамиля, не знаю, сбудится ли эта надежда?

Возвращение остальных трёх пленных, мне кажется, не может встретить особьх затрудненій со стороны Правительства.

Чтоже касается до милліона, то я решительно отказал Шамилю в том, объяснив всю градомность требуемой им суммы. Тогда он сказал, что в этом мы легко сойдёмся при некоторой уступке с обеих сторон; но прежде всего пусть возвратят мне сына! Когда же я возразил, что, быть может, сын его, воспитанный с юных лет в Россіи, изменившійся в своих понятіях, привыкшій к другому, лучшему образу жизни, сам не захочет возвратиться, что тогда делать? Он отвечал: «Тогда я испытаю последнее средство: Пошлю к сыну своего довереннаго, чтоб совершенно убедиться в том, и наконец я сам отрекусь от него навсегда».

Пока на этом остановились наши переговоры, ожидая со страхом и надеждою ответа из Петербурга.

Из глубины души взываю к Вашей Светлости о спасении несчастных пленниц — моих родственниц! Помогите Вашим мощным словом у Престола, а для Государя Великаго и Великодушнаго невозможное не существует.

Нельзя не удивлять[ь]ся Шамилю и не благодарить его за то уважение и ласковое внимание, которыя он постоянно оказывает несчастным нашим пленницам. Оне живут все вместе в Дарго и переписываются с нами довольно часто, хотя, конечно, письма прочитываются прежде Шамилем.

Несчастный Князь Давид Чавчавадзе живёт со мною в Шуре, чтоб быть ближе к своему семейству. Кто постигнет его адския мучения, когда в сел[ение] Шилде он, как лев, дрался против громадных скопищ Шамиля, и в тоже время смотрел, как дом его горел в Цинандалах, а Миліціонеры Грузинской Дружины приносили к нему отбитыя у Лезгин некоторыя из вещей, принадлежавших жене его!

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уважение. Когда Господь Бог удостоит нас счастьем встретить Вас на границе Грузіи, благословение которой, где бы Вы ни были, сопровождает Вас всюду.

მიხეილ ვორონცოვისადმი №42 (349)

კ: ვორონცოვს. შურა. 12 ნოემბ: 1854.

მომიტყვეთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, რომ არცთუ სრულად აღვასრულე თქვენი ჩემთვის მუდამ წმიდა ნება, დრო და დრო მომეხსენებინა საქმეთა ვითარების შესახებ დალისტანში. უბედურება, რომელმაც მიწია, ესრეთ დიდია, ესრეთ მოულოდნელი, რომ აქამომდის არ ძალმიძს შევეჩვიო ამ აუტანელ, მტანჯველ აზრსა! თქვენის ბრწყინვალეობისათვის უკვე ცნობილია გაჭირვებული ნათესავი მანდილოსნების განწირული ბედის შესახებ, კნიაგინია ვარვარასი და ანა ილინიშნასი, რომელნიც შამილასთან ტყვედ ჩაცვიფდნენ თავიანთი შვილებითა და ჩემი დისშვილით, კნიაჟნა ნინო ბართოვითა. ვიცი, თუ როგორ გიყვარდათ ისინი და შემეძლო განა,

ვყოფილიყავ ავისმომასწავებელი შიკრიკი მწუხარე ამბებისა? ბედის ამ ლახვარმან, შიგ გულში ნაგემმან, შთანთქა ჩემში უკანასკნელი სულიერი ძალები. უფრო და უფრო ხშირად და დაუნდობლად მტანჯავს ფიქრი, რომ სულ უფრო მეუფლება სულმოკლეობა და კითხვა, რისთვის ვცოცხლობ?

აი, უკვე ოთხი თვეა, რაც ისინი მოტაცებულნი არიან წინანდლიდამ და იტანჯებიან ტყვეობაში; და განა გასაკვირი არ არის, რომ ისინი ჯერ კიდევ ცოცხლობენ? პატარა ბავშვებიც კი ჯანსაღად არიან! ვხედავ, რომ უფალმა ღმერთმა ჯერ მთლად როდი მიმატოვა თავისი მოწყალების გარეშე.

შამილი მათი განთავისუფლებისათვის ითხოვს: 1) თავისი შვილის რუსეთიდან დაბრუნებას, რის გარეშეც შეუძლებელია ტყვე ქალების განთავისუფლება. 2) 1837^ლ ლენერალ ჭეზეს მიერ ამანათში აყვანილი თავისი დისშვილისა და კიდევ 1839 წელს რუსეთში გადასახლებული ორი ავარიელი ტყვის დაბრუნებასა და 3) მილიონს რუბ. ვერცხ[ლითა].

არ ვიცი, როგორ მიიღებენ პეტერბურღში შამილის პირველ პირობას; მაგრამ ის ძალიან ბუნებრივია: მამა ითხოვს თავისი შვილის დაბრუნებასა. არ ვიცი რა მთავრობის აზრი შამილის ვაჟის შესახებ, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ მისი დაბრუნება იმდენს ზიანს არ მოგვაყენებს, რამდენსაც სარგებელს; იმიტომ, რომ შამილის შვილებს შორის გარდაუვლად ატყდება დავა მემკვიდრეობაზედ. ამასთანავე, უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შამილის შვილებს არცთუ დიდი დაფასება აქვთ მთებში; დიდმნიშვნელოვანია მხოლოდ თვით შამილი. ყოველ შემთხვევაში, მისი შვილის რუსეთიდან დაბრუნებით მთებს დაემატება მხოლოდ ერთი კაცი, საკმაოდ უსუსური თავისი მეობითა; ხოლო ამასობაში გადარჩებიან საქართველოს საუკეთესო გვარის კეთილშობილნი დედანი და შვილნი. კნიაზმა ბარიატინსკიმ, რომელსაც ამაზედ ვსწერდი, შემატყობინა, რომ ლენერალი რეადი შუამდგომლობს ხელმწიფე იმპერატორთან შამილის შვილის დაბრუნებაზე, არკი ვიცი, გამართლდება თუ არა ეს იმედი?

დანარჩენი სამი ტყვის დაბრუნებას, მე მგონია, არ უნდა ახლდეს რაიმე სირთულე ხელისუფლების მხრიდან.

რაც შეეხება მილიონს, მე ამაზე შამილს გადაჭრით ვუთხარ უარი და ავუხსენი მის მიერ მოთხოვნილი თანხის უსაშველო ოდენობა. მაშინ მან თქვა, რომ ამაზე იოლად შევთანხმდებით ორივე

მხრიდამ დათმობის შემთხვევაში; მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, დამიბრუნონო ძე! ხოლო, როცა შევეპასუხე, რომ, შესაძლოა, მისმა ვაჟიშვილმა, ყრმობის წლებიდან რუსეთში აღზრდილმა, შეცვლილმა თავის გაგებაში, მიჩვეულმა სხვა, ცხოვრების უკეთეს წესსა, თავადვე არ ისურვოს დაბრუნება, მაშინ რა ვქნათ? მან მიპასუხა: „მაშინ მე გამოვცდი უკანასკნელ საშუალებასა: გავგზავნი ჩემს შვილთან ჩემი ნდობით აღჭურვილ პირსა, რათა საბოლოოდ დაფრწმუნდე ამაში და, ბოლოს, თავად ავიღებ სამუდამოდ მასზედ ხელსა.“

ჯერჯერობით ამაზე შეწყდა ჩვენი მოლაპარაკებები და შიშითა და იმედით ველი პასუხს პეტერბურლიდამ.

გულის სიღრმიდამ ვვედრებ თქვენს ბრწყინვალეებას, გადამირჩინოს უბედური ტყვე ქალები – ჩემი ნათესავები! დამეხმარეთ თქვენი ძლიერი სიტყვით ტახტის წინაშე, ხოლო ხელმწიფისათვის, დიდისა და დიდსულოვანისათვის, არ არსებობს შეუძლებელი.

არ შეიძლება არ გაგიკვირდეს შამილისა და არ იყო მისი მადლიერი იმ პატივისცემისა და აღერსიანი ყურადღებისათვის, რასაც ის ნიადაგ ავლენს ჩვენი უბედური ტყვე ქალების მიმართ. ისინი ყველანი ერთად ცხოვრობენ დარღომი და საკმაოდ ხშირად გვიგზავნიან წერილებს, თუმცა, რა თქმა უნდა, მანამდე შამილი კითხულობს მათ.

უბედური კნიაზი დავით ჭავჭავაძე ჩემთან ცხოვრობს შურაში, რათა უფრო ახლოს იყოს თავის ოჯახობასთან. ვინ ჩასწვდება მის ჯოჯოხეთურ ტანჯვას, როცა იგი, ვითარცა ლომი, იბრძოდა შამილის ვეება ბრბოს წინააღმდეგ სოფ[ელ] შილდაში და იმავდროულად ხედავდა, როგორ იწვოდა მისი სახლი წინანდალში, ხოლო ქართული დრუჟინის მილიციონერებს მასთან მიჰქონდათ ლეკებისთვის წართმეული მისი ცოლის კუთვნილი ზოგიერთი ნივთი!

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და ღრაძინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა. როდის გვარგუნებს უფალი ღ-თი ბედნიერებას, დაგზვდეთ საქართველოს საზღვარზე, რომლის ლოცვაც ყოველგან, სადაც არ უნდა ბრძანდებოდეთ, თან დაგყვებათ.

18 ноября 1854. Князю Барятинскому. Т:Х:Шура.

Принимаю на себя решимость писать к Вашему Сіят^{ву} курьером Кн: Багратіона, чтоб лично поднести Вам эти письма, доложить о положеніи злополучных моих родственниц-пленниц и о новом бедствіи, их угрожающем.

Вчера возвратился из Дарго человек Кн: Давида Чавчавадзе с письмом от Шамиля, в котором он сообщает нам, что прерывает всякія сношенія, относительно освобожденія наших пленниц, по той причине, что, в теченіи трёх месяцев, не получил от нас никакого ответа на предложеніе своё возвратить ему сына, кроме увереній в невозможности этого дела, которым он не верит, и полагает, что еслибы мы только захотели усерднее похлопотать об этом, то просьба наша давно былабы уважена, и сын его, в котором Правительство надобности иметь не может, былбы возвращён ему. С тем вместе он воспретил нашему посланнику говорить с пленницами, которых дозволил показать только издали, и поручил ему словесно передать нам, что если мы не дадим скорого и решительнаго ответа об его сыне, то он раздаст наших пленниц по одиночке своим Найбам в рабство.

Благородному сердцу Вашего Сіятельства понятны мои страданія, мое мучительное положеніе. С отчаяніем в душе взываю к Вам, Благородный Князь Александр Иванович, будьте Геніем-спасителем несчастных моих родственниц; избавте их из тяжкаго, слишком унижительнаго плена.

18 ნოემბერი 1854. კნიაზს ბარიატინსკის. თ: ხ: შურა.

ჩემზე ვიღებ გამბედაობას, მოვწერო თქვენს ბრწყინვალეობას კნ: ბაგრატიონის კურიერის მეშვეობით, რათა პირადად მოგართვან ეს წერილები, მოგახსენონ ჩემი ბედკრული ნათესავი ტყვე ქალების მდგომარეობაზე და ახალ უბედურებაზე, მათ რომ ელით.

გუშინ დარლოდამ მობრუნდა კნ: დავით ჭავჭავაძის კაცი შამილის წერილითა, რომელშიაც გვატყობინებს, რომ სწყვეტს ჩვენი ტყვე ქალების განთავისუფლებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ ურთიერთობას იმ მიზეზით, რომ სამი თვის განმავლობაში ჩვენგან არ მიუღია არავითარი პასუხი მისთვის შვილის დაბრუნების წინადადებაზედ, გარდა მცდელობებისა, დაგვერწმუნებინა ამ საქმის შეუძლებლობაში, რისიც მას არ სჯერა და სთვლის, რომ, თუკი ჩვენ მხოლოდღა ვინებებდით, უფრო გულმოდგინედ გვეზრუნა ამაზე, მაშინ ჩვენი თხოვნა დიდი ხნის აღსრულებული იქნებოდა და ვაჟი მისი, რომლითაც ხელისუფლება დაინტერესებული ვერ იქნება, დაუბრუნდებოდა მას. ამასთან ერთად, მან ჩვენს დესპანს აუკრძალა ლაპარაკი ტყვე ქალებთან, რომელთა დანახვის უფლებაც მხოლოდ შორიდამ დართო და დაავალა სიტყვიერად გადმოეცა ჩვენთვის, რომ, თუ მსწრაფლ და მკაფიოდ არ ვუპასუხებთ მის შვილთან დაკავშირებით, მაშინ ის თავის ნაიბებს სათითაოდ დაურჩებს ჩვენს ტყვე ქალებს მონებადა.

თქვენის ბრწყინვალეობის კეთილშობილი გულისთვის გასაგებია წუხილი ჩემი, ჩემი მტანჯველი მდგომარეობა. სულიერად სასოწარკვეთილი გვეედრებით, კეთილშობილო კნიაზო ალექსანდრ ივანოვიჩ, იყავით მხსნელი გენია ჩემი უბედური ნათესავებისათვის; დაიხსენით ისინი მძიმე, ესოდენ დამამცირებელი ტყვეობიდან.

26 Ноябрь: 1854. К: Воронцову.¹

Темирхан Шура

Участь Грузіи решена: Ваша Светлость не возвращаетесь Вами благодетельствованную в страну, всегда Вас благословляющую, которая так пышно расцвела и начала жить жизнию человеческою только в блистательное, отечески попечительное Ваше правление! Не возвращаетесь, когда в эти смутныя, опасныя времена Геніи Ваш, Ваше великое имя были бы путеводителями к победам и лучшим ручательством за прочное спокойствіе Грузіи, вокруг которой уже два года раздаются громаы кривопрлитной войны, от успеха которой зависит жить или не жить Грузіи. Пройдут годы, многіе в очередь займут Ваше место, но Вас не заменят и долго, долго глаз наш не привыкнет к новым хозяевам Тифлиса. Но Господь Бог услышит наши молитвы: Он сохранит драгоценныя дни Ваши для славы Имперіи, для счастья обожающей Вас Грузіи.

Несчастныя наши пленницы всё ещё находятся в Дарго, претерпевая тяжкія страданія. Письмо к Вашей Светлости от бедной Варвары Ильинишны, недавно мною полученное и которое осмеливаюсь переслать к Вам, ясно покажет бедственное их положеніе.

Государь Император в великодушіи своём из[ъ]явил своё согласіе возвратить сына Шамиля, если он того пожелает, и военный Министр уже послал запросъ к сыну Шамиля, желает ли он возвратиться к своему отцу? Так недавно уведомил меня об этом К[нязь] Бярятинскій; и Теперь всё наше счастье зависит от ответа, который будет дан сыном Шамиля.

В начале весны Дагестан был чрезвычайно взволнован хитро и удачно распущенными Шамилем известіями о победах

Турков над нами, о занятіи Нухи и скором прибытіи Турецкой Арміи в горы для окончательнаго освобожденія Дагестана из рук неверных Русских. Легковеріе народа всему здесь верить и дух мятежа сильнее обнаружился в Акуше, Кайтаге и Табасарани; но с назначеніем Подполк: Лазарева управляющим Акушею, эта страна совершенно успокоилась; выставила 600 чел[овек] Кавалеріи для охраненія своей границы, и начала истреблять хищническія партіи Абраков, которыя до того времени свободно и безнаказанно грабили и возмущали жителей. Когда же в начале весны я направил Генерала Манюкина с отрядом, истребившим до основанія Сел[еніе] Уркрах, главное место пребыванія многих проповедников Мюридизма, то Кайтаг и Табасарань также утихли от непрерывных волненій и тревог. После этого лето и осень прошли покойно, исключая попыток мелких хищнических партій, которыя большею частью были истреблены нашими охотниками, и в особенности самыми Акушинцами которых счастливую для нас перемену я отношу благоразумному управленію ими Подпол[ковника] Лазарева. С 1^{го} декабря откроется зимняя экспедиція в Чечне, и Шамиль готовит огромную кавалерію к будущему лету; между тем и вниманіе, и глаза наши обращены на дела в Крыму.

Принимаю на себя решимость просить Вашу Светлость подарить мне Ваш Портрет и Графини Шуазель; Княгиня же ещё в прошлом году удостоила меня своим портретом.

Не зная о местопребываніи Вашем я по-прежнему пересылал к Вашей Светлости письма чрез Щербинина.

Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель приношу глубочайшее моё уваженіе.

26 ნოემბ: 1854. კ: ვორონცოვსა.

თემირხან შურით

გადანყვეტილია ბედი საქართველოსი: თქვენი ბრწყინვალეობა არ უბრუნდება თქვენს მიერ მადლმოსილს, მუდამ თქვენზედ მლოცველ ქვეყანას, რომელიც ესრე ძალუმად აყვავდა და მხოლოდ თქვენი ბრწყინვალე, მამობრივად მზრუნველი მმართველობისას იწყო ცხოვრება ადამიანური ცხოვრებითა! არ ჰბრუნდებით, როცა ამ შფოთიანს, სახიფათო დროს გენია თქვენი, თქვენი დიდი სახელი მეგზურნი იქნებოდნენ გამარჯვებისა და მყარი სიმშვიდისა საქართველოსი, რომლის ირგვლივ ორი წელია უკვე ისმის გრუხუნი სისხლისმღვრელი ომისა, რომლის წარმატებაზეც არის დამოკიდებული, იარსებებს თუ არა საქართველო. გაივლის წლები, ბევრი დაიკავებს თქვენს ადგილს, მაგრამ თქვენ ვერ შეგცვლიან და დიდხანს, დიდხანს ვერ შეეჩვევა თვალი ჩვენი თბილისის ახალ ხაზეინსა. მაგრამ უფალი ღმერთი შეისმენს ჩვენს ლოცვას: ის დაიფარავს თქვენს ძვირფას სიცოცხლეს იმპერიის დიდებისათვის, თქვენი მალმერთებელი საქართველოს ბედნიერებისათვის.

ჩვენი უბედური ტყვე ქალები ჯერაც დარლოს იმყოფებიან და იტანენ მძიმე ტანჯვასა. საბრალო ვარვარა ილინიშნას წერილი თქვენი ბრწყინვალეობისადმი, რომელიც ამასწინათ მივიღე, და რომელსაც ვბედავ და გიგზავნით, ცხადად დაგანახებთ მათ უბედურ მდგომარეობასა.

ხელმწიფე იმპერატორმან თავისი დიდსულოვნებით თანხმობა განაცხადა შამილის შვილის დაბრუნებაზედ, თუკი ის ამას ისურვებს, და სამხედრო მინისტრმა უკვე გაუგზავნა შეკითხვა შამილის ვაჟსა, ჰსურს კი დაბრუნება თავის მამასთან? ასე მაცნობა ამასწინათ კ[ნიაზმან] ბარიატინსკიმ; და ახლა მთელი ჩვენი ბედნიერება დამოკიდებულია შამილის ვაჟის პასუხზედ.

გაზაფხულის დამდეგს დალისტანი ძალზედ იყო აღელვებული შამილის მიერ ეშმაკურად და მარჯვედ დაყრილი ხმებით თურქების ჩვენზედ გამარჯვების შესახებ, ნუხის აღებისა და თურქული არმიის მთებში მალე შემოსვლის შესახებ დალისტნის საბოლოო განთა-

ვისუფლებიანათვის ურნმუნო რუსთა ბრჭყალებისაგან. ჯანყის სუ-
ლისკვეთება და ხალხის სიმჩატი, ერნმუნა ეს ყოველივე, უფრორე
ძალუმად ვლინდებოდა აპყოშაში, ყაითალსა და ტაბასარანში; მაგ-
რამ აპყოშის მმართველად პოდპოლკ[ოვნიკ] ლაზარევის დანიშენას-
თან ერთად, ეს ქვეყანა სრულად დაოკდა; გამოიყვანა კავალერიის
600 კა[ცი] თავისი საზღვრის დასაცავად და იწყო განადგურება აბ-
რაგთა მტაცებლური პარტიებისა, რომელნიც მანამდინ თავისუფ-
ლად და დაუსჯელად სძარცვავდნენ და ანიოკებდნენ მოსახლეობას.
ხოლო როცა გაზაფხულის დამდეგს მე გავგზავნე ლენერალი მანიუ-
კინი ოტრიადით, რომელმაც ძირფესვიანად გაანადგურა სოფ[ელი]
ურკრახი, მიურიდიზმის ბევრი მქადაგებლის მთავარი ადგილსამყო-
ფელი, მაშინ ყაითალმაც და ტაბასარანმაც დაისვენეს აგრეთვე უნ-
ყვეტი მლელვარებისა და განგაშისაგან. ამის შემდგომად მშვიდად
განვლო ზაფხულმა და შემოდგომამ, გარდა მცირე მტაცებლური
პარტიების მცდელობებისა, რომელნიც უმეტესად განადგურებულ
იქნენ ჩვენი მონადირეების მიერ, და განსაკუთრებით თვით
აპყოშელთა მიერ, რომელთა ჩვენთვის საბედნიერო ფერისცვალება-
საც მე მივაკუთვნებ პოდპოლკ[ოვნიკ] ლაზარევის კეთილგონივრულ
მმართველობასა. 1^ლ დეკემბრიდამ გაიხსნება ზამთრის ექსპედიცია
ჩაჩანში და შამილი ამზადებს ვეება კავალერიას მომდევნო ზაფხუ-
ლისათვის; ამასობაში ჩვენი ყურადღებაც, ჩვენი თუალნიც მიპყრო-
ბილია ყირიმის საქმეებისკენ.

ჩემზე ვილებ გამბედაობას, ვთხოვო თქვენს ბრწყინვალეობას,
მომართვას პორტრეტი თქვენი და ღრაფინია შუაზელისა; ხოლო
კნიაგინიამ ჯერ კიდევ შარშან მყო ღირსად თვისის პორტრეტისა.

თქვენი ადგილსამყოფელის არცოდნის გამო, წერილებს
უნიდებურად შჩერბინინის საშუალებით ვუგზავნიდი თქვენს
ბრწყინვალეობასა.

უბრწყინვალეს კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნასა და
ღრაფინია შუაზელს ვაახლებ ჩემს უღრმეს პატივისცემასა.

Шура. Павлу Михайловичу Щербинину¹

27 Ноя: 1854. –

Принимаю решимость вновь беспокоить Ваше Превосходительство моею убедительною прозью об отправленіи приложеннаго при этом письма к Князю Михайлу Семёновичу. Ваше расположение ко мне успокоивает меня надеждою, что вы не разсердитесь на эту мою прозью.

Участь Грузіи решена: Князь Наместник не возвращается в страну, которая по волшебному слову его возстал из праха, преобразилась нравственно и быстрыми шагами пошла по пути расцветанія в умственном и материальном отношеніях. Пройдут годы и многіе в очередь займут место его, но заменят ли его? Пусть же благословеніе народа, им облагодетельствованнаго, следует всюду за ним.

Несчастныя мои родственницы – пленницы находятся всё ещё в Дарго, в ожиданіи ответа от сына Шамиля, на возвращеніе котораго Государь император в великодушіи своём соизволил из[ъ]явить согласіе, если только он сам добровольно пожелает возвратиться к своему отцу. Военный Министр уже запросил сына Шамиля об этом, но от него ещё нет ответа; а между тем время уходит, злополучныя пленницы непрерывно болеют, в особенности их дети.

В Дагестане нет ничего особенно важнаго; скоро в Чечне начнётся зимняя экспедиція, но всё здесь великое заглушается громами Севастополя, куда теперь обращены и наши глаза, и наше вниманіе, и признаюсь, я собственно более занят делами Крыма, чем Дагестаном.

Могу ли просить сообщить мне какія имеете Вы известія о состояніи здоровья К[нязя] Михайла Семёновича, где он проведёт зиму и куда адресовать на его имя письма.

პავლე შჩერბინინისადმი №1 (352)

შურა. პავლე მიხაილოვიჩ შჩერბინინსა.

27 ნოემ: 1854. –

ვიკრებ გამბედაობას, კვლავ შევანუხო თქვენი აღმატებულე-ბა ჩემი უბეჯითესის თხოვნით თანდართული წერილის გაგზავნა-ზედ კნიაზ მიხეილ სემიონოვიჩთან. თქვენი ჩემდამი დამოკიდებუ-ლება მამშვიდებს იმედით, რომ არ გამინყრებით ამ ჩემს თხოვნა-ზედ.

საქართველოს ბედი გადანყვეტილია: კნიაზი მთავარმართე-ბელი არ პბრუნდება ქვეყანაში, რომელიც მისი ჯადოსნური სიტყ-ყვით აღსდგა ფერფლიდამ, გარდაისახა სულიერად და სწრაფი ნა-ბიჯებით დაადგა გონებრივი თუ მატერიალური აყვავების გზასა. გაივლის წლები და ბევრი დაიკავებს მის ადგილს, მაგრამ შესცვლი-ან კი მას? დაე, ლოცვა ხალხისა, მის მიერ მადლმოსილისა, ყველ-გან თან სდევდეს მას.

ჩემი უბედური ნათესავი მანდილოსნები – ტყვე ქალები ჯერ კიდევ დარლოში იმყოფებიან, პასუხის მომლოდინენი შამილის შვილისაგან, რომლის დაბრუნებაზეც ხელმწიფე იმპერატორმა თა-ვისი დიდსულოვნებით ინება, თანხმობა ეთქვა, ოღონდ თუკი ის თავად ინებებს დაბრუნებას მამასთან. სამხედრო მინისტრმა შამი-ლის შვილს უკვე გაუგზავნა კითხვა ამაზედ, მაგრამ მისგან პასუხი ჯერ არ არის; ამასობაში კი გადის დრო, ბედკრული ტყვე ქალები განუწყვეტლივ ავადობენ, განსაკუთრებით მათი ბავშვები.

დალისტანში არაფერია განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი; ჩაჩანში მალე ზამთრის ექსპედიცია დაიწყება, მაგრამ ყოველივე მნიშვნელოვანი აქ იხშობა სევასტოპოლიდამ მომდინარე გრუხუნით, საითაც მიმართულია ახლა ჩვენი მზერაც, გულისყურიც და გამოვ-

ტყდები, მე ყირიმის საქმეებით უფრო ვარ დაკავებული, ვინემ და-
ლისტნისა.

შემიძლია კი გთხოვოთ, მაცნობოთ, რა ამბები გაგაჩნიათ
კ[ნიაზ] მიხეილ სემიონოვიჩის ჯანმრთელობის შესახებ, სად გაატა-
რებს ზამთარს და სად გავაგზავნო წერილები მის სახელზედ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №9 (353)

Дербенд. 23 Декаб: 1854.

К: Барятинскому.¹

Вы оживили упавший дух мой письмом от 16 Декаб[ря],
которым извещаете меня о изъявлении сыном Шамиля желанія
возвратиться к своему отцу. Что мне сказать Вам, благородный
Князь? Я ничего не скажу; но Бог воздаст Вам за живейшее
участіе, принимаемое Вами в судьбе несчастных родственниц
моих, к которым завтра же отправлю человека с этим радостным
известіем. Но убедительно прошу, Ваше Сіятельство, прислать
сына Шамиля не в Грозную, но ко мне в Шуру, откуда я и Князь
Чавчавадзе ведём переговоры с Шамилем.

Участь Грузіи решена, и Главнокомандующій назначен;
но неужели я не увижу Вас Проконсулом Кавказа, или для этого
непременное условіе 60 лет?

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №9 (353)

დერბენდი. 23 დეკემბ: 1854.

კ: ბარიატინსკის.

თქვენ გამოაცოცხლეთ ჩემი დათრგუნული სული 16 დეკემბ[რის] წერილით, რომლითაც მატყობინებთ შამილის ძის მიერ ნების გამოხატვის შესახებ, დაბრუნდეს თავის მამასთან. რა გითხრათ თქვენ, კეთილშობილო კნიაზო? ვერაფერს გეტყვით; მაგრამ ღთის მოგიზღავთ უცხოველესი მონაწილეობისათვის, რომელსაც თქვენ იღებდით ჩემი უბედური ნათესავი ტყვე ქალების ბედში, რომლებთანაც ხვალვე ვაახლებ კაცს ამ სასიხარულო ცნობითა. მაგრამ დაბეჯითებით გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, შამილის შვილი გამოჰგზავნოთ არა ღროზნოს, არამედ ჩემთან შურასა, საიდანაც მე და კნიაზი ჭავეჭავაძე ვანარმოებთ მოლაპარაკებებს შამილთან.

საქართველოს ბედი გადაწყვეტილია და მთავარსარდალი – დანიშნული; მაგრამ ნუთუ ვერ გიხილავთ კავკასიის პროკონსულად, თუ ამისათვის აუცილებელი პირობაა 60 წელი?

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №10 (354)

Темирхан Шура. 28 Декаб: 1854.

К: Барятинскому¹

В последнем письме моём от 23 Декаб[р]я я имел честь просить Ваше С[иятельство] прислать мне сына Шамиля не в Грозную, но в Шуру ко мне. И если Вы на это согласны, не изволите ли признать возможным, чтобы его из Ставрополя Генерал Козловскій направил прямо в Шуру, если только присутствие сына Шамиля в Тифлисе не необходимо. Я хлопочу

ო თომ, чтобы выиграть время и тем, сколько возможно, сократить страдание несчастных наших пленниц.

Будьте счастливы, Князь, так, как я Вам того желаю; но скоро ли Вам будет 60 лет, если иначе не могут исполниться ожидание обширного этого края?

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №10 (354)

თემირხან შურით. 28 დეკემბ: 1854.

კ: ბარიატინსკის

პატივი მქონდა, 23 დეკემბ[რის] ჩემს ბოლო წერილში მეთხოვა თქვენის ბ[რწყინვალეებისათვის], გამოგეგზავნათ შამილის ვაჟი არა ღროზნოს, არამედ ჩემთან შურაში. და თუკი თქვენ თანახმა ბრძანდებით, ხომ არ მიიჩნევდით შესაძლებლად, რომ ლენერალმა კოზლოვსკიმ სტავროპოლიდამ პირდაპირ შურას გამოგზავნოს იგი, ოღონდაც თუ აუცილებელი არაა შამილის შვილის ყოფნა თბილისში. მე ვზრუნავ იმაზედ, რომ დრო მოვიგო და ამით, რამდენადაც შესაძლებელია, შევამცირო ჩვენი უბედური ტყვე ქალების ტანჯვა.

იყავით ბედნიერი, კნიაზო, ისე, როგორც მე გისურვებთ ამასა; მაგრამ მალე შეგისრულდებათ განა 60 წელი, თუკი სხვაგვარად ვერ აღესრულება მოლოდინი ამ ვრცელი მხარისა?

ალექსანდრე და გაბალე საბინაჰვილეჰისადმი №1 (355)

ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე და ჩემო საკუთარო დაო ბაბალე! – თქუჴნი წერილი დიდი ხანია აღარ მომსვლია და არცა მე მომიწერია თქუჴნდა. ეჴ, ხანდახან ესეც მოხდება. ჩუჴნის ქალების საქმე ღთის¹ მოწყალებით იმედია რომ მალე დაბოლოვდეს კეთილად. – თქუჴნი ხელზე-მკოცნი ისაია გავგზავნე დარლოს შამილასთან, და ახლა დაბრუნდა და მომიტანა ქალების ამბავი და წერილებიცა; სულყველანი მშვიდობით არიან. დავითის შვილსა და პატარას გიორგის ფეხი აუდგამთ და დაცუცუნებენ; დავითის ქალებიც ასე შეეჩვივნენ შამილასა, რომ სულ წვერს უგლეჯენ. – შამილასა ძალიან კარგად და პატივით მიელო ისაია, და ახლა ამის ტრახახობისაგან აღარა ვართ: ჰაი მე ასე უთხარ, ჰაი იმან ეს მითხრა და სხუანი ამგვარნი. – ახლა მოველით მოუთმენელობით შამილას შვილსა, რომ მალე შესრულდეს ეს საუბედურო საქმე.

წავიდა ბაიყუში წელიწადი ჯანაბას; ჰაი წავიდეს და აღარ მოვიდეს წყეული და შეჩვენებული! – ახალი წელიწადი მომილოცავს თქუჴნთუჴს; მივენდნეთ სასოებითა ღმერთსა; ეგებ მოწყალებითა ახლა მაინც მოგვხედოს. – მშვიდობით ჩემო საყვარელნო; ჩემს საკუთარს ძალუას სიყუარულით მოკითხვას მოვახსენებ; ნუ დამივიწყებთ.

თქუჴნი ძმა გრიგოლ ორბელიანი

3^h იანვარს 1855.
თემირხანშურიტ.²

მანამ ეს წერილი მოგივათ, ახალი მთავარმართებელიც მობძანდება; და აბა ახლა შენ იცი ჩემო ბაბაღე, როგორც დაუხვდები გზაზედა, და ან როგორც მომწერ დანწერილებით ახალს კარზედ ახალთა აღმოჩენილთათჳს.–

[32r გვერდის მარცხენა არშიაზე მინაწერია:]

კრასავიცა ბაბაღე, წელ-ნაზი თამარ, ცუგრუმელა კატო, მინაზებული სოფიო მომიკითხე სიყუარულით.

ყაფლან ორბელიანისადმი №2 (356)

ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან! ამ წერილს მოგართმევს ჩემი მირზა ვექილოვი, რომლისა გუარსა და ჩამომავლობასა, რასაკურველია, კარგად იცნობ. –

ჩუშნი დატყვევებულნი ქალები, ღთ^{ის}1 მოწყალებით, კარგად იმყოფებიან თავის შვილებითა; დავითის პატარა ვაჟსა და ჩემს ძმისწულს გიორგის ფეხი აუდგამთ და დაცუცუნებენ. – ახლა მოველით და მოველით შამილის შვილის მოსვლასა, რომ მაშინ დაბოლოვდება გამოხსნა მათი, და არ იქნა, არ მოვიდა ისწყეული. – ჩემი ისაია იყო დარლოში და ძალიან კარგადაც მიელო შამილსა პატივითა.

ახლა, ჩემო ყაფლან, შენ რასა ჰშვრები? კიდევ ზასედატლობაზედ ხელი ვერ აიღე? – გიჟი ნიკო შევიტყე შენთან არის; მაგრამ რატომ არასა მწერთ? –

ძალუა და შენი შვილები სიყუარულით მომიკითხე; როგორა ჰსწავლობს შენი შვილი? თუ მაგის ბედნიერება გინდა თათრული და სპარსული უნდა ასწავლო კარგად ზედმიწევნით, თორემ, მერწმუნე, ანგლიურის ენითა ეგ პურს ვერ იშოვნის. – იმდენი დღეგრძელება შენა გქონდეს, რამდენჯერ ცხვირში ამოიკრან ჩვენმა ყმანვილებმა თათრულის ენის უცოდნობითა! –

მეც ცოტად უქეიფოთა ვარ; ეჰ, ტყუილია სულყოველი-
ფერი: რაც მოსასვლელია უნდა მოვიდეს! მაგრამ როცა უნდა
მოვიდეს და რაცა უნდა მოვიდეს, მე ახლა აღარა გამიკვირ-
დებარა და არაფრისაც შემეშინდება.

ჩემ მაგიერ ბიძიას ალექსანდრეს დიდს და მდაბლად
მოკითხვას მოვახსენებ.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

11 იანვ: 1855.
თემირხანშურით.²

ქეთევან ორბელიანისადმი №68 (357)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

რალა ახალი სხუა წერილი მოგართოთ; მაინც ხომ ერ-
თადა ჰსდგებხართ და ერთად წაიკითხეთ წერილი ესე, და ჩემ-
მაგიერ თქუწნ, უთოოდ თქუწნ უნდა გამოუცხადოთ დიდს
ბიძიას ალექსანდრეს ჩემ მაგიერ დიდი მოკითხვა, და ესეც
უნდა გახსოვდესთ ყველა ძალუებსა, რომ ოჯახის უფროსი ეგ
ბძანდება, და მაშასადამე მოვალენი ხართ მაგის პატივისცე-
მისა, და ამისგარდა უნდა მეცადინეობდეთ კიდევ მაგის სია-
მოვნებასა.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

ამასწინად სანდროს გავუგზავნე თხუტმეტითუმანი.¹ –
იმის² ადრევე ჩემგან გაგზავნილი ათი თუმანი, თურმე ფოშტა
რომ გაეტეხათ, მაშინ დაკარგულიყო, და მხოლოდ ეხლა მაც-
ნობა ფოშტამ. –

[11 იანვ: 1855.
თემირხანშურით.]

ქეთევან ორბელიანისადმი №69 (358)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ჩვენის ქალების ამბავი ისევ ისეა; ველით და ველით ჩა-
ძაღლებულის შამილის შვილსა, და არ იქნა მისი მოსვლა, და
ჩვენც ვართ ასე. –

აქამდის მგონია ლევანიც დაქორწილდებოდა, და ძლივს
ქვეყანა მოისვენებს ქეთევანისაგან. – ჩვენი ივანე რალასა
ჰშვრება, როდის იქნება მაგისი ქორწილი?

მოგვწერეთ დაწვრილებით ყოველივე მანდაური ამბები.
– სად არის ჩემი ძმა ყაფლან? ან როგორ აპირებს დახვედრას
თავის უჩასტკითა ახალს მთავარმართებელთან, რომელიცა
უნდა მალე მობძანდეს? მგონია ბევრი ფაცხაფუცხი ექმნება
გზების გასწორებაში? –

დიდი ბიძია ალექსანდრე თქვენ თუთონ უნდა მომიკით-
ხოთ, რომ მაგით გამოუცხადოთ თქუენი პატივისცემა. – სად
არის, და რას აკეთებს გიჟი ნიკო, რატომ არასა მწერს? –
იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

21 იანვ: 1855,
თემირხანშურით.¹

ალექსანდრე და ბაბალე საგინაშვილებისადმი №2 (359)

ჩემო საყუარელო ძმავ ალექსანდრე და დაო ბაბალე! – ეს სამი დღეა, რა მოველ თბილისს მთავარმართებლის დაბარებითა და ძალიან ვჰსწუხვარ, რომ აქ არ დამხვდით. ვინძლო, ჩემო ალექსანდრე, შენი ბატალიონი და შტაბი უჩვენო მთავარმართებელს ბრწყინვალედ. –

ჩვენის დატყვევებულის ქალების საქმე ისევე ისე გაუშვი და ჩავაბარე დავითს ჭავჭავაძესა. – მოველოდით შამილის შვილის მოსვლასა, მაგრამ წყეული არ მოვიდა, მაგრამ ანგარიშითკი აქამდის უნდა მისულიყო შურაში. – მე დიდის¹ მწუხარებით² გამოვეშურე აქეთკენ, მინდოდა ისინი გამომეხსნა, დამესვენებინა ერთი ორიოდ კვირა შურაში, და შემდეგ მათთან ერთად წამოვსულეყავ; მაგრამ რა გაენყობა სამსახურის მოვალეობასა. – ჩემს საკუთარს ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ. – ჩემი ძმა ყაფლან ჩამიკოცნეთ თავის³ ქულჭათით.⁴

შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

11^h თებერვალს 1855
თბილისი⁵

ბაბალე საგინაშვილებისადმი №7 (360)

ჩემო საყუარელო დაო ბაბალე!

შენი წერილი მივიღე, რომელშიაც მყვედრი, რომ არ შეგატყობინე ჩემი აქ მოსვლა; შენმაგაზდამ მაშინვე მოგწერე ფოშტით და მგონია რომ მოგივიდოდა.

გუშინ მომივიდა ვლადიკავკაზიდან დავითის წერილი, რომელშიაც მაცნობებს, რომ შამილას შვილსა დავითს აბარე-

ბენ ჩვენის ტყვეების გამოსაცვლელად; შამილასაც შეუტყვია შვილის მოსვლა და კაცი გაუგზავნია დავითისათვის, რომ მალე მოვრჩეთ ამ საქმესაო და თურმე დიდის სურვილით მიეღლის თავის შვილსა. –

ალექსანდრეს ჩამიკოცნე; ჩემი საკუთარი ძალუა სიყუარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

17 თებერ: 1855

თბილისი.¹

ყაფლან ორბელიანისადმი №3 (361)

ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!

მოვედი აქ მთავარმართებლის ნებითა და ვარ მარტო შენუხებული შენის აქ არყოფნითა, და იქნება ისეც ნავიდე, რომ ველარ გნახო.

გუშინნინ დავით ჭავჭავაძის წერილი მომივიდა ვლადიკავკაზიდამ; მწერს რომ შამილის შვილი ჩაუბარებიათ იმისთვის გასაცვლელად ჩვენს დატყვეებულს ქალებზედ. ლთმან¹ ინებოს, რომ მალე და მშვიდობიანად დაბოლოვდეს ეს საუბედურო საქმე! – შამილასაც შეუტყვია თავის შვილის მოსვლა, და საჩქაროთ გამოუგზავნია კაცი და წერილი ჩემთან და დავითთან, და იხვეწება, რომ მალე მოვრჩეთო. –

ვინძლო, ჩემო ყაფლან, გზები ხიდები, სტანციები, ხალხი და სხუანი, რაცა კი შეეხება შენს თანამდებობას, – შენს წყეულსა და საგინებელს თანამდებობასა – ყოველივე კარგად მომართო და დაახვედრო ახალს მთავარმართებელსა.

ძალუა და შენი შვილები სიყუარულით მომიკითხე.

ვინძლო, ჩამოხვიდე მასუკან და მნახო.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

18^ს თებერ: 1855

თბილისი.²

ბაბაღე, ალექსანდრე და ძალუა ელისაბედ სიყუარულთ მომიკითხე.

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №6 (362)

ჩემო გულითსაყუარელო კნიაზო კონსტანტინე!

მთავარმართებლის ნებითა გამოვეშურე შურიდამ თბილისს, სადაცა გიახელ 7^ს ამ თვეს, და მას აქეთ გახლავარ აქა მომლოდინე მის მოსვლისა, რომელიცა როგორც დღეს შევიტყე, მოხდება 25, 26 ანუ 27^ს თებერ: – მოდის ქუხილითა და ჭექითა; მაგრამ ყოველივე სიმართლით. –

გუშინ წინ მივიღე დავით ჭავჭავაძის წერილი, რომელშიაც მწერს, რომ შამილას შვილი მთავარმართებელმა უნდა იმას ჩააბაროს გასაცვლელად ჩვენს საბრალთ ქალებზედ. – შამილასაც შეუტყვია თავის შვილის მოსვლა ვლადიკავკაზში და გაუგზავნია მოუთმენელობისაგამო კაცი დავითთან, რომ ჩქარა მოვრჩეთო ამ საქმესა. – ლთ^ნმან¹ ჰქმნას!

ნუდამივიწყებ ჩემო კონსტანტინე; მაცნობე როდის ჩამოხვალ, რომ გნახო.

ლთ^ნ² იყოს შენი მფარველი,

შენი მარადის პატივისმცემელი
და ერთგული გრიგოლ ორბელიანი

20 თებერ: 1855.
თბილისით.³

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №1 (363)

ჩემო საყუარელო ალექსანდრე! ამ კვირას უთოოდ მომიხდება წასვლა თემირხანშურას; სულით, გულით მინდა თქუენი ნახვა. – თუ მმართველობა არ გაგიჯავრდება, ერთს დღეს ჩამოირბინე, გნახო და ისევ გაირბინე. –

ჩემი საყუარელი ბაბაღე ჩამიკოცნე; ჩემი საკუთარი ძალუა სიყუარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

7^ა მარტს¹ 1855
თბილისი.²

ქეთევან ორბელიანისადმი №70 (364)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამ წერილს მოგართმევსთ თქვენი საყუარელი და ბაბაღესი ხელიხელ საგოგმანები, ისაია, რომელიცა მოვალს აქედამ წინამორბედად ამბითა ჩვენის ქალების გამოსვლისათუს შურიდამ; ესე იგი დღეს რომ არის კვირა, სამშაბათს, ღთ^აით,¹ ქალები გამოემგზავრებიან თბილისისკენ და მერვეს დღეს მოვლენ საქრისტიანოს ქალაქში. – ამისთუს გთხოვთ რომ უბრძანოთ: ზევითის სახლების მომზადება, განმენდ-გარეცხა, სითბო-სიგრიღე და სხუანი. –

ბაბალე სიყუარულით მომიკითხე; ეგრეთვე ალექსეი პეტროვიჩი თავის ბაბალეთი, ანდრეი სტეფანიჩი² თავის წელნაზის მეუღლეთა, კნიაზი დიმიტრი თავის სოფიკოთი და მარტომყოფი კატო, ძალუა ნინოთურთ.

სხუა ამჟამად არავიცირა.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

3^ბ აპრილს 1855,
თემირხანშურით.³

ქეთევან ორბელიანისადმი №71 (365)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

თქუენი ამბავი დიდხანია აღარ მომსვლია, არცა ძალუას ვარინკასი, როგორ ჩამოვიდნენ; ან როგორა ჰყავს გიორგი?

სანდროს ამასწინად კიდევ გაუფუზავნე ათი თუმანი, რადგანაც კარგი წიგნი მოენერა ჩემთან; ბევრს იმედებს იწერება, რომ კარგად ვისწავლიო, თავის თავსაც ძალიან აქებს, და ვნახოთ ყოვლისა ამისაგან რა გამოვა? –

სოსიკო კამენდანტისაგან აღარ მომსვლია წიგნი; რად დამიძვირა, რასშია გართული და ან რა საქმე აქუს, რომ წერისათვის ვერ მოუტლია? – წამოსვლის დროს მივეცი ქალაღდი, რომელშიაც ეწერა ქვეშელების გამო შტრაფის საქმე, და ვსთხოვე რომ უჩასტკის ზასედატელს გაუფუზავნე, და ესეცკი ვერ აღასრულა. აბა, რა უბედურებაა? – ახლა კიდევ აქ მომივიდა უჩასტკის ზასედატლის ქალაღდი, რომლითაც მთხოვს პასუხ[ს].¹

ეს რა მიზეზია, რომ რაც უნდა ჰსთხ[ოვო]² ჩემს ბიძაშ-
ვილებსა უბრალო საქმე, არ აასრულებენ? –
ბაბაღე ჩამიკოცნეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

29 აპრილს 1855.

თემირხანშურიით.³

მიხეილ შრონცოვისადმი №44 (366)

1855 Маia 7^ლ Т: Х: Шура.¹

К: Воронцову.²

Милостью Царя Великодушнаго освобождены из тяжкаго плена мои родственницы, которья прожив у меня в Шуре две недели, отправились в Тифлис. Непостижимо, как эти слабыя женщины и грудныя дети могли вынести столько лишений, страданій, столько ужасных испытаній и выдти из гор здоровыми. Ясно, милосердіе Божіе хранил их! И какою жертву могу я принести Богу за сохраненіе их жизни, Царю за отеческое участіе, принятое им в избавленіи их из плена?

В Тифлисе оне проживут до Іюня и потом пойдут в Петербург, чтоб благодарностью пасть к Священным стопам Государя Императора, столь великодушно спасшаго их возвращеніем Шамилю сына его и 40 ты[сяч] руб[лей].

В продолженіи двухнедельнаго пребыванія их здесь дом мой преобразился в рай для меня. С раняго утра дети К[нязя]

Чавчавадзе и мой племянник Георгій, прекрасныя, как купидончики, приходили ко мне; их радостныя крики, беготня, рассказы, доставляли мне истинно душевное наслаждение! Какой прекрасный мальчик мой племянник. Здоровый, толстый и порядочный забіака.

Простите, Ваша Светлость, что я так опоздал ответом на Ваше письмо от 22 Генв[аря]. Частыя поездки по Каспійскому Краю не давали мне до сих пор времени выполнить Священный мой долг, докладывать Вашей Св[етлост]и о положеніи дел в знакомом Вам Дагестане.

В прошлом году, почти в это время, началось возстаніе в Кайтаге; но решительныя меры, принятыя тогда же потушили пожар при самом его начале. Тоже самое произошло теперь и в Вольной Табасарани. Собрав отряд из 5^а батал[іонов] с 6^ю орудіями и придав к ним до 5 ты[сяч] Милиціи Кюринской, Кайтахской и Южной Табасарани, я поручил Генералу Минквицу водворить порядок и спокойствіе в этом крае убежденіями или силою оружія. Быстрое и внезапное появленіе наших войск навело страх на жителей и они со всех деревень начали стекаться с покорностью к Губернатору, выдали Аманатов 10 человек из почётных жителей и двух близких родственников Ших Магда – главнаго проповедника Шаріата. Но к сожаленію сам Ших Магмад скрылся. Знаю, что это их спокойствіе не прочно, но надеюсь, что в теченіи, по крайней мере, этого лета, там ничего не произойдет серьёзнаго, а потом с помощью Божіею, приступлю к выполненію Ваших предначертаній – к проведенію удобных дорог по всем направленіям в Табасарани. Это самое лучшее средство водворить там порядок и тишину.

Несчастный сын Шамиля Джамал Эддин сильно тоскует по Россіи; не может привыкнуть к новому образу дикой, смрадной жизни Горцев; учат его Корану и молитвам и даже

совершили над ним Суннет, от которого он и теперь не совсем оправился. Он решительно отказался от лестных предложений сделаться главою хищнических партій, чтоб воровским образом отбивать у бедных жителей баранов и тем составить себе славу храброго человека. Но Шамиль, видно, очень любит его. Однажды Шамиль спросил его: «от чего он так все печален?» Он отвечал «могу ли быть весёлым, когда мой благодетель Император Николай скончался?» Шамиль задумался и произнёс «да, мы оба должны чтить память Этого Великаго Падишаха: Он возвратил мне сына, а тебя сделал человеком».

Шамиль теперь только понял, что значит могущество необятной Россіи, которая более 2^х лет ведёт войну с первостепенным государствами Европы, тревожно следит за ходом войны и сильно задумывается на счёт будущности Дагестана. Хотя он по-прежнему старается уверить народ в скорой помощи со стороны Турецкаго Султана, но сам уже перестал верить в могущество Турціи.

С чувством глубокаго уваженія целую руки обожаемой Княгини Елисаветы Ксаверіевны, Графине Шуазель приношу истинное моё уваженіе.

მიხეილ ვორონცოვისადმი №44 (366)

1855 მაისის 7^{სა} თ: ხ: შურით

კ: ვორონცოვსა

სულგრძელი მეფის წყალობით, მძიმე ტყვეობისაგან განთავისუფლდნენ ჩემი ნათესავები, რომლებიც შურაში ჩემთან ორი კვირის ცხოვრების შემდგომ თბილისში გაემგზავრნენ. წარმოუდგენელია, როგორ შეეძლოთ ამ სუსტ ქალბატონებსა და ძუძუთა ჩვილებს, გადაეტანათ ამხელა გაჭირვება, ტანჯვა, ამხელა საშინელი

განსაცდელი და მთებიდამ ჯანსაღნი დაბრუნებულიყვნენ. ცხადია, ლ^ათის წყალობა ჰფარავდა მათ! და რა მსხვერპლი შემიძლია შევნირო ლ^ათის მათი სიცოცხლის გადარჩენისათვის, მეფეს – მამობრივი ზრუნვისათვის, რომელიც მან მათი ტყვეობიდან დახსნისათვის გამოიჩინა?

თბილისში ისინი იენისამდის იცხოვრებენ და შემდგომად წარვლენ პეტერბურლსა, რათა მადლიერებით დაემხონ ხელმწიფე იმპერატორის წმიდა ტერფებთან, რომელმაც ესრეთ დიდსულოვნად გადაარჩინა ისინი შამილისთვის მისი ვაჟის დაბრუნებითა და 40 ათ[ასი] რუბ[ლითა].

აქ მათი ორკვირიანი ყოფნის დროს ჩემი სახლი სამოთხედ გარდაიქცა ჩემთვის. კ[ნიაზ] ჭავჭავაძის შვილები და ჩემი ძმისშვილი გიორგი, კუპიდონებით მშვენიერნი, დილაადრიან მოდიოდნენ ჩემთანა; მათი მხიარული ყიჟინა, სირბილი, მონათხრობები მე ნამდვილ სულიერ სიამოვნებას მანიჭებდა! რა მშვენიერი ბიჭუნაა ჩემი ძმისშვილი, ჯანსაღი, მსუქანი და რიგიანი მოჩხუბარი.

მომიტვეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ესრეთ დავაგვიანე პასუხი თქვენს 22 იანვ[რის] წიგნზედა. ხშირი მგზავრობა კასპიისპირა მხარეში აქამომდის არ მიტოვებდა დროს, აღმესრულებინა ჩემი წმიდა ვალი, მომესხენებინა თქვენის ბრწყინვალეებისათვის საქმეთა ვითარების შესახებ თქვენთვის ნაცნობ დალისტანში.

შარშან, თითქმის ამ დროს, ყაითალში აჯანყება დაიწყო; მაგრამ მაშინათვე მიღებულმა გადამჭრელმა ზომებმა ხანძარი დასაწყისშივე ჩააქრო. იგივე მოხდა ახლა თავისუფალ ტაბასარანში. შევკრიბე რა 5-ბატალ[იონიანი] რაზმი 6⁰⁰⁰ ორუდიითა და მივეც რა მათ ქურის, ყაითალისა და სამხრეთ ტაბასარანის 5 ათ[ასამდი]ს მილიცია, მე ლენერალ მინკვიცს დავავალე, წესრიგი და სიმშვიდე დაემკვიდრებინა ამ მხარეში დარწმუნებით, ანდა იარაღის ძალითა. ჩვენი ჯარების უეცარმა გამოჩენამ მოსახლეობას შიშის ზარი დასცა და ყველა სოფლიდამ მორჩილებით იწყეს მათ დენა ლუბერნატორთან, მძევლებად გადმოგვცეს 10 პატივცემული მაცხოვრებელი და შიხ მაჰმადის – შარიათის მთავარი მქადაგებლის – ორი ახლო ნათესავი. მაგრამ, სამწუხაროდ, გადაიმალა თავად შიხ მაჰმადი. ვიცი, რომ მათი ეს სიმშვიდე მყარი არაა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ, ყოველ შემთხვევაში, ამ ზაფხულის განმავლობაში იქ რამე სერიოზული არ მოხდება, ხოლო შემდგომ, ლ^ათის წყალობით, შეუდგები თქვენი მო-

ნახაზის აღსრულებასა – მოსახერხებელი გზების გაყვანას ტაბასა-რანში ყველა მიმართულებით. ეს ყველაზე უკეთესი საშუალებაა წესრიგისა და სიჩუმის დასამკვიდრებლად იქა.

შამილის უბედური ვაჟი ჯამალედდინი ძალზედ ჰნაღვლობს რუსეთზედ; ვერ ეჩვევა ცხოვრების ახალსა წესსა, მთიელთა მყრალს ცხოვრებასა; მას ყურანსა და ლოცვებს ასწავლიან და წინადაცვეთაც კი ჩაუტარეს, რომლისგანაც ჯერაც ვერ მომჯობინებულა. მან გადაჭრით თქვა უარი, გამხდარიყო მტაცებელთა პარტიების მეთაური, რათა ქურდულად ერთმია ცხვარი სანყალი მოსახლეობისათვის და მით მოეპოვებინა გულადი კაცის სახელი. მაგრამ შამილს, როგორცა სჩანს, ძალიან უყვარს იგი. ერთხელ შამილმა ჰკითხა მას, რის გამოა ის სულ მონყენილი. მან უპასუხა: „ძალმძის განა ვიყო მხიარული, ოდეს ჩემი კეთილისმყოფელი იმპერატორი ნიკოლაი გარდაიცვალა?“ შამილი ჩაფიქრდა და უთხრა: „დიახ, ჩვენ ორივემ უნდა ვსცეთ თაყვანი ამ დიდი ფადიშაჰის ხსოვნას: მან მე შვილი დამიბრუნა, შენ კი კაცად გაქცია.“

შამილი ახლალა ჩასწვდა, რას ნიშნავს სიძლიერე უკიდევანო რუსეთისა, რომელიც 2^h წელიწადზედ მეტია, ომობს ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოებთან, დაძაბული აკვირდება ომის მდინარებას და ძალუმად ჰფიქრობს დალისტნის მომავალზედ. თუმცა ის კვლავინდებურად ცდილობს, დაარწმუნოს ხალხი სწრაფ დახმარებაში ტურციის სულთნის მხრიდამ, მაგრამ თავად უკვე აღარა სჯერა ტურციის ძლევამოსილებისა.

სალმერთებელი კნიაგინია ელიზავეტა ქსავერიევნას ხელებს ღრმა პატივისცემის გრძნობით ვეამბორები, ღრაძინია შუაზელს ვახლებ ჩემს ჭეშმარიტ პატივისცემასა.

7^{го} мая 1855 Т: Х: Шура

Михаилу Павловичу¹ Щербинину.

Не зная, как и прежде, каким образом отправлять к Князю Михайлу Семёновичу письма и рассчитывая на Вашу снисходительность, я опять обращаюсь к Вам с убедительнейшею просьбою приказать отправить прилагаемое письмо к Его Светлости; при этом позвольте сказать Вам несколько слов о Дагестане.

Проповедники Шамиля начали распространять своё учение и волновать народ в вольной Табасарани. Лето было близко, а с ним и военныя действия со стороны Шамиля и мне нельзя было теперь же не принять энергических мер для подавления готовившагося возстанія. Составил отряд из 5^а батал. с 6^{го} орудіями и придав к ним до 5/ты. Милиціи Кюринской, Кайтахской, и Южной Табасарани, я поручил Генералу Минквицу водворить порядок в Табасарани силою слова или оружія.

Внезапное появленіе наших войск принудили взволнованных жителей явиться к Губернатору с покорностью и раскаяніем в своём поведеніи. Они приняли присягу на верность, выдали Аманатов из почётных людей и таким образом начинавшееся возстаніе, грозившее охватить всю Табасарань и Кайтаг, было подовлено. Благодаря Бога, без выстрела прежде, нежели Шамиль узнал об этом и мог подать обещанную им сильную помощь. Ежели не навсегда, то по крайней мере, на этот год в Табасарани будет совершенно покойно, а нам пока нужно было только это.

Сын Шамиля Джамал Эддин сильно горюет по России; его учат Курану и молитвам, над ним совершили уже Суннет, от котораго он не может и до сих пор оправиться. Шамиль замечает его тоску и хоть ему это не нравится, но, по всему видно, что он любит его.

Но я не вовремя рассказываю Вам о Дагестане, когда взоры всех нас обращены на Севастополь и Вену.

მიხაილ შერბინინისადმი №2 (367)

7^ა მაისს 1855 თ: ხ: შურა

მიხაილ პავლოვიჩ შერბინინს.

ისევე როგორც აქამომდის, არ უწყოდი, როგორ გამეგზავნა წერილები კნიაზ მიხაილ სემიონოვიჩთან და, თქვენი ლმობიერების იმედად, კვლავ მოგმართავთ უბეჯითესი თხოვნით, უბრძანოთ, თანდართული წერილი გაეგზავნოს მის ბრწყინვალეობას; ამასთან ერთად, ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ რამდენიმე სიტყვა დალისტანზედ.

შამილის მქადაგებლებმა დაიწყეს თავიანთი სწავლების გავრცელება და ხალხის აღელვება თავისუფალ ტაბასარანში. ახლო იყო ზაფხული, ხოლო მასთან ერთად – საომარი მოქმედებები შამილის მხრიდან და არ შემეძლო, მაშინვე არ მიმელო ენერგიული ზომები მომზადებული აჯანყების ჩასახშობად. შევადგინე ოტრიადი 5^ე ბატალ. 6^ე ორუდიითა და დავამატე რა ქურის, ყაითალისა და სამხრეთ ტაბასარანის 5 ათასა^{ზედ} მილიციელი, ლენერალ მინკვიცს დავავალე წესრიგის დამყარება ტაბასარანში სიტყვის, ანდა იარაღის ძალითა.

ჩვენი ჯარების უეცარმა გამოჩენამ აფორიაქებული მცხოვრებლები აიძულა, ლუბერნატორთან გამოცხადებულიყვნენ მორჩილებითა და სინანულით თავიანთი საქციელისა გამო. მათ დადეს

ერთგულების ფიცი, გადმოგვცენ მძევალნი საპატიო კაცთაგან, და ამგუარად წამონყებული აჯანყება, რომელიც იმუქრებოდა, მოსდებოდა მთელ ტაბასარანსა და ყაითალს, ჩახშობილ იქნა, ლ^ათის წყალობით, გასროლის გარეშე მანამ, ვიდრე შამილი შეიტყობდა ამას და შესძლებდა, აღმოეჩინა დაპირებული ძლიერი დახმარება. სამუდამოდ თუ არა, ამ წლის განმავლობაში მაინც სრული სიმშვიდე იქნება ტაბასარანში, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ ეს გვჭირდებოდა.

შამილის ვაჟი ჯამალედდინი ძლიერ ჰნაღვლობს რუსეთზედა; მას ასწავლიან ყურანსა და ლოცვებსა, უკვე ჩაუტარეს წინადაცვეთა, რომლისგანაც ჯერაც ვერ მოსულა გონსა. შამილი სჭერეტს მის ნაღველს და, თუმცა არ მოსწონს ეს ამბავი, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ მას უყვარს იგი.

მაგრამ მე დალისტინის შესახებ გიყვებით უდროო დროს, ოდეს ყველა ჩვენგანის მზერა მიპყრობილია სევასტოპოლისა და ვენისკენ.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №11 (368)

Шура. К: Александру Ивановичу Барятинскому¹

25 мая 1855.

Вы уехали, оставили войска Кавказ[скаго] Корпуса, которыя так любили Вас за доблестныя подвиги, за искренно-солдатски верную службу в лесах Чеченских, в горах Дагестанских, вдали от всех прихотей покойной жизни. Оставили Грузию, которая глубоко Вас уважала за благое родство души Вашей, за возвышенный образ мыслей, и полагала на Вас большія надежды свои! Я не говорю о моей скорьби: зная мою преданность, Вы поймёте всю силу того огорченія, которыми я был поражен при неожиданном известіи о Вашем выезде в Россію! Барон Николай и я хотели встретить Вас в

Петровское, полагая, что пароход Ваш остановиться там хоть на час. Но и это не исполнилось. Пусть же Бог сопутствует Вам на новом, блистательном поприще, открывающемся для Вашей деятельности, для Ваших благородных стремлений, служить мечем и правдою Великому Престолу.

После подавления возстанія, вспыхнувшего в Вольной Табасарани и грозившаго охватить всю Табасарань и Кайтаг, в Дагестане опять воцарилось покойствіе. Пока Шамиль мог узнать о происходившем в Табасарани и подать обещанную помощь, дела там уже были окончены быстрым появленіем Генер[ала] Минквица, направленного мною с 5^м батал[іонами] и 5 ты[сяч] Милиціи, хлынувшей со всех сторон под командою Юсуп бека Кюринскаго.

Проповедники Шаріата разбежались, народ принял присягу на верность, выдал Аманатов и разошелся по домам. Ежели не навсегда, по крайней мере, на этот год, будет покойно в Табасарани, а нам пока нужно было только это.

Шамиль теперь только постиг, как могущь наш Император, который почти три года ведёт войну с первостепенными государствами Европы, тревожно следит за ходом войны и сильно задумывается на счёт будущности Дагестана. Хотя по-прежнему старается уверить народ в скорой помощи со стороны Турецкаго Султана, но сам уже перестал верить в могущество Турціи.

Теперь поститься, молиться, и после окончанія Уразы предпріймет движеніе противу нас; но намеренія свои пока он держит в глубокой тайне.

Бедный сын Шамиля Джамал Эддин сильно тоскует по Россіи, не может привыкнуть к новому образу дней, смрадной жизни Горцев, учат его Корану и даже совершили над ним Суннет, от котораго он и теперь не совсем оправился. Однажды Шамиль спросил его, от чего он так всё печален? Он отвечал

«могу ли быть весёлым, когда мой благодетель Император Николай скончался?» Шамиль задумался и произнёс «да, мы оба должны чтить память этого Великого Падишаха: он возвратил мне сына, а тебя сделал человеком!»

Обращаюсь к Вам с убедительною просьбою от имени всего Каспийскаго Края, похлопотать о представлении за 1853 год, которое не выходит до сих пор. Конечно, громадность занятій по нынешним обстоятельствам останавливает ход дел; но тем не менее эта остановка чрезвычайно затрудняет нас в представлениях к новым наградам истинно достойных офицеров за новыя дела против Горцев. Борьба богатырей Севастополя совершенно затемняет нас, и наши дела едва виднеются на десятом плане.

Будьте счастливы так, как я Вам того желаю.

Если счастливый случай приведёт к Вам моего племянника, Пажу К[нязя] Александра Орбелани, приимите его с ласкою под тенью правой руки Вашей.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №11 (368)

შურა. კ: ალექსანდრ ივანოვიჩ ბარიატინსკის
25 მაისი 1855.

თქვენ გაემგზავრეთ, დასტოვეთ კავკასიის კორპუსის ჯარები, რომლებსაც აგრე უყვარდით მამაცური გმირობებისათვის, გულწრფელი და ჯარისკაცული, ერთგული სამსახურისათვის ჩეჩნეთის ტყეებში, დალისტინის მთებში, შორს მშვიდი ცხოვრების ყოველი წვრილმანისაგან. დასტოვეთ საქართველო, რომელიც დიდ პატივს გცემდათ თქვენი სულიერი სიახლოვისათვის, აზრთა მალაღბატოვნებისათვის და თქვენზედ ამყარებდა თავის დიდ იმედებსა! მე არას ვამბობ საკუთარ მწუხარებაზედ: იცით ჩემი ერთგულება და გაი-

გებთ მთელ სიმძიმეს იმ ჯავრისას, რომლითაც განადგურებული ვიყავ თქვენი რუსეთში გამგზავრების უეცარის ამბითა! ბარონ ნიკოლაის და მე გვსურდა, პეტროვსკოეში დაგხვედროდით, რადგან ვფიქრობდით, რომ თქვენი გემი ერთ საათს მაინც გაჩერდებოდა იქ. მაგრამ არც ეს მოხდა. დაე, ლ^ათი იყოს თქვენი შემწე ბრწყინვალე სარბიელზედ, რომელიც იხსნება თქვენი მოღვაწეობისათვის, თქვენი კეთილშობილური მისწრაფებებისათვის, რათა ხმლითა და სიმართლით ემსახუროთ დიდ ტახტსა.

თავისუფალ ტაბასარანში აფეთქებული აჯანყების ჩახშობის მერე, რომელიც ემუქრებოდა მთელ ტაბასარანსა და ყაითალსა, დალისტანში ისევ სიმშვიდე გამეფდა. სანამ შამილს შეეძლო გაეგო ტაბასარანში მომხდარის შესახებ და აღმოეჩინა დაპირებული დახმარება, იქ საქმე უკვე მოგვარებული იყო ლენერალ მინკვიცის სწრაფი გამოჩენით, ჩემს მიერ გაგზავნილი 5 ბატალიონითა და 5 ათასი მილიციით, ნიაღვრად მოვარდნილით პუსუფბეგ ქურელის მეთაურობითა.

შამილის მქადაგებლნი დაიფანტნენ, ხალხმა ერთგულების ფიცი დადო, გადმოგვცა მძევალნი და შინ დაბრუნდა. სამუდამოდ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ამ წელიწადს სიმშვიდე იქნება ტაბასარანში. ხოლო ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ეს გვინდოდა.

შამილი ახლალა ჩასწვდა, თუ რაოდენ ძლევამოსილია ჩვენი იმპერატორი, რომელიც თითქმის სამი წელია, ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოებს ეომება, განგაშით ადევნებს თვალყურს ომსა და ულევ ფიქრს ეძლევა დალისტინის მომავალზედ. თუმც კვლავინდებურად ცდილობს ხალხის დარწმუნებას ტურციის სულთნის მხრიდამ დახმარების მიღებაში, მაგრამ თავად უკვე აღარა სწამს ტურციის ძლევამოსილებსა.

ამჟამად მარხულობს, ლოცულობს და ურაზის დასრულების მერე ჩვენს წინააღმდეგ წამოვა; მაგრამ თავის ზრახვებს ჯერჯერობით ღრმა საიდუმლოებაში ინახავს.

შამილის საწყალი ვაჟი ჯამალედდინი ძალუმად ჰნაღვლობს რუსეთზედ, ვერ ეგუება ახალ დღის წესრიგსა, მთიელთა მყრალს ცხოვრებასა, ყურანს ასწავლიან და წინადაცვეთაც კი გაუკეთეს, რომლის გამოც ჯერაც ვერ მოსულა გონსა. ერთხელ შამილმა ჰკითხა მას, რატომ ჰნაღვლობს იგი მუდმივად. მან უპასუხა: „ძალმძის განა, ვიყო მხიარული, ოდეს ჩემი კეთილისმყოფელი იმპერა-

ტორი ნიკოლაი გარდაიცვალა?“ შამილი ჩაფიქრდა და უთხრა: „დი-
ახ, ჩვენ ორივემ პატივი უნდა ვსცეთ ამ დიდი ფადიშაჰის ხსოვნას:
მან მე შვილი დამიბრუნა, ხოლო შენ კაცად გაქცია!“

მთელი კასპიისპირა მხარის სახელით, უბეჯითესი თხოვნით
მოგმართავეთ, ილონოთ რამე 1853 წლის წარდგინებაზედ, რომელიც
აქამომდისაც არა სჩანს. რა თქმა უნდა, საქმეთა უსაშველობა აწინ-
დელ ვითარებაში აფერხებს მათ მსვლელობას; მაგრამ, მოუხედავად
ამისა, ეს შეყოვნება უკიდურესად გვიბამს ხელ-ფეხს ჭეშმარიტად
ღირსეული ოფიცრების წარდგენაში ახალი საქმეებისათვის მთიელ-
თა წინააღმდეგ. სევასტოპოლის დევგმირთა ბრძოლა სრულად
გვაქცევს ჩრდილში და საქმენი ჩვენნი ძლივსლა სჩანან მეთაე პლან-
ზედა.

იყავით ბედნიერი იმგვარად, როგორც მე გისურვებთ ამასა.

თუკი ბედნიერი შემთხვევა გაახლებთ ჩემს ძმისშვილს, პაჟს
კ[ნიაზ] ალექსანდრე ორბელიანსა, დაყვავებით მიიღეთ იგი თქვენის
მარჯვენა ხელისა ჩრდილქვეშ.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №17 (369)

ძლივს და ძლივს მომივიდა შენი წერილი, ჩემო საყუა-
რელო სვიმონ, და დიდადაც გამახარა. – ხომ იცი რომ მიყუ-
არხარ; მაშა რაღად მანუხ-მანვალეებ შენის უამბობითა? –

აქაური ამბავი ეს გახლავსთ: შამილა არის მზად – ჯერ
არ გაგვიგონია – და აპირებს ამ დღეებში საითმე წასვლასა
ჯარითა, ესე იგი, ან ვლადიკავკაზისაკენ, ან ჩემკენ, და ანუ
თქვენკენ. ახლა ამას იტყვი „სადაური ამბის შეტყობა“ რა
ვჭქმნა! ასე ამბობენ მოსულნი ყოვლის მხრით ჯავშუმნი, და
როგორც ვჰხედავ, ჩემის ჭკუით, იქნება თუთ შამილამაც არ
იცის თავისი პლანი წლევანდლის ჯარიანობისა. – მაგრამ ან-
გარიშითკი უნ[და წამოვი]დეს ანუ ჩემზედ და ანუ
[თ]უშებზე[ედ]¹ ჰყავს ბევრნი .

·ვერ შეე

ვიცი გაამება, შამხალს ეყოლა ქალი, და ამისგამო და-
ლისტანი აღივსო სიხარულითა. – ჰაჯვი ალაბეგი მომიკითხე
მისის შვილით. ჩვენის ენგილოების – ახალქრისტიანების, ამ-
ბავი მომწერე, ემატებიანა ნათლის-ღებითა? ანუ შიში ხომ
არა რისა აქუსთ? – ეკკლესიები როგორ შესრულდენ, როგორ
შეამკეს ხატებითა; ან წირვა-ლოცუა ხომ არის ყოველთუ[ს?]
მომიკითხე კიდეცა ჩვენი ენგილოები დაუთხა[რ,] რომ ნუ ეში-
ნიანთ, არავის დავაჩავგრინებთ. –

ელისუ კარგად აშენდაა; ან დუქან-ბაზარი ემატება თუ
არა? – ყაჩაღები როგორ არიან ჭარისკე[ნ,] ანუ თვთ ჭარე-
ლები? – მანდკი ის ერთი პარტია ყაჩაღებისა კარგად მიგემ-
სხვრიათ. –

აქ მომიტანეს [ა]მბ[ავი] მითომ ქიზიყელებსა კარგად მი
ძმა მი

მომწერე დანვრილებით, ეს რა .

მოველი და მოველი ყარსის ალებასა, და არიქნა; მეტად
მინდა ყარსის ალება, და აბა ვინძლო ჩემო სვიმონ, ყველაზედ
ადრე შენ მახარო ამ საამო ამბითა. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

შენი მეზობელი კნიაზი რამაზ თარხანოვი სიყუარულით
მომიკითხე.

7^h ივნისს 1855.
შურიით.²

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ჩემის ანგარიშით ახლა ძალუა ვარინკა და დავით თავის ცოლშვილით უნდა იყვნენ წასულნი მოსკოვისაკენ. – გთხოვთ მაცნობოთ, როგორ წავიდნენ და ან ვინ გაჰყვნენ თანა? –

ეჭი თქვე მაცთუნნო-დედაკაცებო! აბა რად დამამდურებინეთ ჩვენი ჯილაყამყამი, ჩვენი თვალის ჩინი, ჩვენი გვირგვინი ყაფლან? – რით ვერ შეიტყეთ, რომ მაგისმეტი არავინ გუყავს? – მაგას უნდა ყველა რძლები და დები თავს ევლებოდეთ ფარვანასავით, და ჰსცდილობდეთ მაგის სიამოვნებასა! – მამულიც, დედულიც, რძლებიცა,¹ ბიძაშვილებიც – მხოლოდ ბიძია ალექსანდრეს გარდა – მაგის ჭირის სანაცვლო უნდა იყოს! – ჩემის ფიქრით ასეა; და თქვენ თქვენი იცით!

სანდროს წერილი მომივიდა 30^ლ მაისიდამ; კარგად უსწავლია წერა და ეტყობა, რომ თანდათან გონებაც ეხსნება. – ხანჯალი, დაბანჩა და ქამარი უთხოვნია, რომელნიცა აჩუქა უსუფბეგმა. ამ ფოშტაში ვერ მოვასწარ და შემდეგი გამოგვიგზავნით. – თქვენ იმიტომ გვიგზავნით, რომ აქედამ პირდაპირ პეტერბურღში არ მიაქუს ფოშტასა პოსილკა.² –

რა ამბავია ძალუავ თქვენკენ, ანუ თქვენს ქუჩაში? მარშალი ალექსანდრე ისევ მანდ არის? – ეს ომიანობაკი გადაწყდა და არ ვიცი საროდით ამზადებს თავისს დრუჟინასა!

იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ.

მართლად ქარვასლის დამწველნი იპოვნეს? –

საკურველია, რომ არასა მწერთ მანდაურს ამბებსა; მხოლოდ მარტო ყაფლანზედ გაქუსთ განგაში მთლად ძალუებსა, და მეტადრე ტასოსა, რომელსაც მოუცდა ოდესსაში ნაბძანება. –

ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

1^ლ ივლისს 1855.

თემირხანშურით.³

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ამ ფოშტით გამოვგზავნე თქვენთან ხანჯალი, დაბანჩა და ქამარი სანდროსათვის. – თქვენთან იმიტომ ვგზავნი, რომ მანდედამ გაუგზავნოთ ფოშტით, რადგანაც აქაურს ფოშტას არ შეუძლიან, რომ ნივთები მიიღოს ნასაღებად რუსეთში.

არვიციკი რად უნდა ესეები სანდროსა, რომ ასე გულიანად ითხოვს? –

ბაბაღე სიყუარულით მომიკითხეთ.

ჩემი თვალის ჩინი ყაფლან, ჩემი საკუთარი ძმა ყაფლან, კარგად გულიანად მომიკითხეთ და პატივიეცით, თორემ მაგ თქვენს ქუჩასა ერთიანად გადავსწავ! მთლად ძალუები უნდა მაგას ფარვანებსავით თავს ევლებოდეთ. –

ჩემი საყუარელი და ბაბაღე ალექსეი პეტროვიჩით, ძალუა ნინოთი, თამართა კატო მის ქმრითა მომიკითხეთ, – კატო ახლა გახარებულ-გაფარფარებული იქნება ქმრის მოსვლითა, და რაცა აქამომდის შექცევაში დაჰკლებია, უეჭველად შეისრულებდა.

მარშალი ალექსანდრე წავიდა თუ ისევ მანდ არის და ჩუეულებრივ ზოზინებს? – სად არის ივანე? ან ძალუა მანანა თავის პატარა ძალუათი სად არიან და როგორ? –

იაკინთე სიყუარულით მომიკითხე, ეგრეთვე სარდიონ სოფიოთი.

·თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

8^h ივლისს 1855.

თემირხანშურით.¹

ყაფლან ორბელიანისადმი №4 (372)

ჩემო თვალისჩინო ყაფლან! თუ ჩემი სიცოცხლე გინდა, დაეხატვინე დაღერროტიჰსა¹ და გამომიგზავნე შენი პორტრეტი. შენ გენაცვალოს ჩემი თავი ამაზედ უარს ნუ მეტყვი. ძალუა და შენი შვილები სიყუარულით მომიკითხე.

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

8^ს ივლისს 1855.
თემირხანშურით.²

[მესამე გვერდზე მისამართი წერია:]

მის ბრწყინულებას,
კნიაზს ყაფლანს ორბელიანს.
თბილისი.³

ქეთევან ორბელიანისადმი №74 (373)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

თემირხანშურის სიცხეებას ველარ გაუძელ და დღესვე ვიბარგები, და მივდივარ მთისაკენ გასაგრილებლად. – ამ ჩვენს მხარეს არაფერი ამბავი არა არისრა ჯერა, და შემდეგ ვინ იცის. – იაკინთე და სარდიონ მომიკითხეთ სიყუარულით.

ჩემს თვალის სინათლეს ყაფლანს შუბლზედ ვაკოცებ. – ეცადენით, რომ არ გააჯავროთ, არ შეაწუხოთ, არ მოაბეზროთ, უბრალოს დედაკაცების ლაპარაკითა, ხომ იცით აზიზად გაზდილია!

ბაბალე, კიდევ ბაბალე და კიდევაც ბაბალე სიყუარულით მომიკითხეთ, ეგრეთვე ნინო, თამარ, და კატო ქმრებითა. –

20 ივლისს 1855.
თემირხანშურით.¹

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №15 (374)

22 ივლისს 1855 ოღლი.¹

ჩემო ბატონო კნიაზო დიმიტრი! თქუენის ლოცუა-კურთხევით გიახელით გუშინ სალამოს სოფელსა, რომელსა ენოდების ოღლად,² და დღეს შეუდგებით ქუთიშისაკენ. მშვენიერთა წყლებმა, წმინდა ჰაერმან, უმტვერ-უკირომ, მინდვრებმა ხავერდ-სიმწუანითა, გადმიყარეს სევდები. – ხუმრობა იქით, და კაცმა ზაფხულში საცხოვრებლად უნდა აღმოირჩიოს მთა! –

მერე: თქუენი წერილი მივიღე, რომელმანცა თქუენის ხილვის მსგავსად მასიამოვნა და რაცა მასში ეწერა, ყოველივე ვჰსცან. ჩაჩნისაკენ მტრის ჯარებისა შეყრა, მგონია ისევე ის იყოს, რაცა მომწერა ბარონ ნიკოლაიმ, და ლაზუტრიკებიკი წასულს გვიახლებენ. – მაინც კიდევ გებექამ³ თვალ-ყური უგდოს მანდეთკენ; მაგრამ ჩაჩანში რა უნდა და ანუ რასა იქს შამილა? – ციხეებს ხომ ვერ აიღებს, და სხუა კი ძვირფას-სანატრ-შესანახი იქ არა გუაქუსრა.

ორიოდ საპახოდო ხელ-ჯაგები წამომიღე; ხომ იცი ქართუელი კაცი ვარ, თავის დროზედ არ მომაგონდა. – ჩემი პატარა კვიცი – драгун – გაუგზავნეთ ისევ საბუროვსა: მანდ უბრალოდ მოუყვანიათ, და ვერცა მოუვლიან. საბუროვი კაცს გამოგიგზავნისთ მაგის წამოსაყუანად. –

სევასტოპოლის ამბავი ხვალ უნდა მოგივიდეს; აბა საჩქაროდ აფრინე ჩვენკენ კაცი სამხიარულოს ამბითა. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

დრაგუნა.

პეტრა ვოლკოვიჩისადმი №1 (375)

24 იულია 1855. Лагерь на Кутишинских горах.

Генер: маіору Петру¹ Аполлоновичу Волкову.

Темир Хань Шуру оставил я не только по тревожным обстоятельствам края, сколько по внутреннему управленію им, искренно сожалея, что, быть может, не вовремя прервал я Ваше купанье в море, столь полезное для возстановленія Ваших физических сил.

Полагая, что Вы уже в Шуре, я обращаюсь к Вам с покорнейшею просьбою обратить особое Ваше вниманіе на следующее:

1) Худомбаш[с]кое укрепленіе, по непрочности построек, есть самый слабый пункт на нашей передовой Линіи. Гарнизон, состоящій из 200 и более человек, я приказал усилить ещё 50^м чел[овеком] из Казіюртовской роты. Исполнено ли это приказаніе, мне ещё не известно. Для поддержанія Худомбаша, в случае покушенія непріятели, предписано Кунцевичу иметь в готовности две роты пехоты, и от 2^х до 3^х сотень Казаков из Чирюрта, где находятся 6 сотень.

2) Весьма было бы полезно, если б Казаки окончили, как можно скорее, сенокосеніе; тем более, это возможно, что из прошлогодняго запаса осталось много сена, о чём можно справиться в Штабе. Эта очень важная поддержка для нашей

плоскости, когда 6^л сотень Казаков всегда готовы будут к выступленію тотчас же после известія о непріятеле. На этот важный предмет обратите строгое Ваше вниманіе.

3) Воронченко из Евгеніев[скаго] укреп[ленія] также должен спешить на помощь Худомбашу, в случае появленія непріятели, и также должен спешить окончаніем сенокосенія. А Черкеевскіе жители должны день и ночь неусыпно наблюдать за Зубутскою Переправою.

4) Заведывающій Штабом в Ишкартах обороняет селен[ія] Каранай, Эрпели и Ишкарты, а своими охотниками тщательно наблюдает за Ахатлинскою Переправою.

5) Весьма желательно, чтоб и в окрестностях Шуры также в скором времени окончилось сенокосеніе, и чтоб не увлекались желаніем иметь несколько сот пудов сена более необходимаго количества. Этим сбережатся и здоровье солдат и будете иметь в готовности все роты под рукою для быстрого движенія к угрожаемому непріателем пункту.

6) Казённых работ в Шуре не много: Исправленіе по Гошпиталю и окончаніе бассейна для водопоя лошадей. На всё это потребуется до 30^л рабочих в день. Но притом необходимо, чтоб устраиваемыя теперь в Гошпитале отхожія места были сделаны непременно так, как указали Доктора Плащевскій и Ивановскій.

7) Для сбереженія драгоценнейшаго здоровья нижних чинов необходимо, чтоб оставшееся число людей в ротах разделено было по крайней мере на три Караула. И для этого какія бы средства не употребили Вы, всё будет благо и справедливо. За тем строжайше воспретить употребленіе нижних чинов на частныя работы, даже с уплатою денег.

8) Войнскій началь[ник] своими средствами мало-помалу укрепит валь вблизи Гошпиталя.

9) Вместе с этим я пишу к Шамхалу о том, чтоб Шамхальцы и Мехтулинцы непременно оказали помощь другу другу при появлении непріятеля, т[о] е[сть] оба Казанища, оба Джунгутай, Доргели, Какашура, Гилли, Парауль, Кастырь, Кумыки и Халимбакауль. Строгим соблюденіем единопдушія и порядка в один час может собраться несколько тысяч вооружённых жителей. Эту полезную мысль внушите и Вы Шамхалу и Ибрайм Хану, чтоб они привели это в исполненіе.

Вот некоторыя мои мысли относительно безопасности края, Вам порученнаго. От Вашего Превосходительства зависит развить её и дополнить всем, что найдёте полезным для этой цели.

Особенных новостей из гор нет, исключая того, что Аварцы и Андійцы пошли с Шамилем на помощь Чеченцам против Вревскаго, который двинулся к Шали для истребленія посевов.

От Вас ожидаем и ещё раз ожидаем более интересных известій из Крыма: скоро ли застрелится Пели[...]?

პეტრე ვოლკოვსისადმი №1 (375)

24 ივლისი 1855. ლაგერი ქუთისის მთებზედ.

ლენერ: მაიორს პეტრე აპოლონოვიჩ ვოლკოვსა.

თემირხანშურა იმდენად მხარის საგანგაშო ვითარებათა გამო არ დამიტოვებია, რამდენადაც მისი შინაგანი მმართველობის მიზეზით, გულწრფელი სინანულით მასზედ, რომ, შესაძლოა, უდროოდ შეეწყვიტე თქვენი ზღვაში ბანაობა, აგრერიგად სასარგებლო თქვენი ფიზიკური ძალების აღსადგენად.

ვფიქრობ, რომ უკვე შურაში ბრძანდებით და უმორჩილესის თხოვნით მოგმართავთ, თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მიაპყროთ შემდეგს:

1) ხუდომბაშის სიმაგრე, არამყარად აშენებული, წარმოადგენს ყველაზე სუსტ პუნქტს ჩვენს წინა ლინიაზედ. მე ვუბრძანე, 200 და მეტი კაცისგან შემდგარი გარნიზონი გაედლიერებინათ კიდევ 50 კაცით ყაზიურთის ასეულიდამ. ჩემთვის ჯერ არაა ცნობილი, აღსრულებულია თუ არა ეს ბრძანება. ხუდომბაშის მხარდასაჭერად, მტრის თავდასხმის შემთხვევაში, კუნცევიჩს მითითებული აქვს, მზადყოფნაში იყოლიოს ფეხოსანთა ორი როტა და 2^ა 3^ა როტა კაზაკებისა ჩირიურთიდამ, სადაც იმყოფება 6 ასეული.

2) ერთობ სასარგებლო იქნებოდა, თუკი კაზაკები, რაც შეიძლება, მალე მორჩებოდნენ ბალახის თიბვასა; მით უმეტეს, შესაძლოა, რომ შარშანდელი მარაგიდამ დარჩენოდათ ბევრი თივა, რის გარკვევაც შეიძლება შტაბში. ეს ძალზედ მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ჩვენი ბარისთვის, როცა 6 ასეული კაზაკი მუდამ მზად იქნება გამოსასვლელად მტრის შესახებ შეტყობინებისთანავე. ამ მნიშვნელოვან საგანს მიაპყარით თქვენი მკაცრი ყურადღება.

3) ვორონჩენკო ევგენიევ[სკის] გამაგრ[ებიდამ] ასევე უნდა ჩქარობდეს ხუდომბაშის დასახმარებლად, მტრის გამოჩენის შემთხვევაში, და აგრეთვე უნდა იჩქაროს თიბვის დასრულება. ხოლო ჩერქეის მოსახლეობას დღე და ღამ უნდა უთვალთვალონ ზუბუტის გადასასვლელზე.

4) იშკარტში შტაბის ხელმძღვანელი იცავს სოფ[ელ] ყარანანის, ერპელსა და იშკარტს, ხოლო თავისი მონადირეებით გულმოდგინედ უთვალთვალებს ახატლის გადასასვლელსა.

5) ერთობ სასურველია, რომ უახლოეს მომავალში დასრულდეს ბალახის თიბვა შურის მისადგომებთანაც და, რომ არ აპყვენ ცდუნებას, იქონიონ საჭიროზე რამდენიმე ასი ფუთით მეტი თივა. ამით შენარჩუნდება სალდათების ჯანიც და ყველა ასეული განკარგულებაში გეყოლებათ სწრაფი გადაადგილებისათვის საგანგაშო პუნქტისკენ, მტრის მხრიდან მუქარის შემთხვევაში.

6) სახაზინო სამუშაოები შურაში არც ისე ბევრია: ჰოსპიტლის შეკეთება და ბასეინის დასრულება ცხენების დასაწყურებლად. ყოველივე ამისთვის საჭირო იქნება 30 სამუშაო დღე. მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია, ჰოსპიტლებში საპირფარეშოები

რომ ეწყობა, ისინი გაკეთდეს სწორედ ისე, როგორც მიუთითეს ექიმებმა პლაშევსკიმ და ივანოვსკიმ.

7) დაბალჩინიანთა უძვირფასესი ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად აუცილებელია, რომ ასეულებში დარჩენილი ხალხის რაოდენობა, სულ მცირე, სამ ყარაულზედ გადანანილდეს და ამისთვის რა საშუალებებსაც არ უნდა მიმართოთ, ყოველი იქნება კეთილი და სამართლიანი. ამის შემდგომ უმკაცრესად აიკრძალოს დაბალჩინიანთა კერძო სამუშაოებზედ გამოყენება, თუნდაც ფულის გადახდით.

8) სამხედრო უფრ[ოსი] საკუთარი საშუალებებით ნელ-ნელა გაამაგრებს მინაყრილს ჰოსპიტლის მახლობლად.

9) ამასთანავე, მე შამხალს ვწერ იმის თაობაზედ, რომ მტრის გამოჩენისას შამხალელები და მეხთულელები უსათუოდ მიეხმარნენ ერთურთსა, ა[ნუ] ორივე ყაზანიშჩე, ორივე ჯუნგუთაი, დორგელი, ყაყაშურა, გილი, პარაული, კასტირი, ყუმბიხი და ხალიმბეკაული. ერთსულოვნებისა და ნესრიგის მკაცრი დაცვით ერთ საათში შეიძლება შეიკრიბოს რამდენიმე ათასი შეიარაღებული მობინადრე. ეს სასარგებლო აზრი თქვენც შთაუნერგეთ შამხალსა და იბრაიმ ხანსა, რათა მათ აღასრულონ იგი.

აი, მხარის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ჩემი აზრი, რომლის გამოხატვაც თქვენგან დამევალა. თქვენს ბრწყინვალეობაზედაა მისი განვითარება და შევსება ყოველივე იმით, რასაც სასარგებლოდ ჰსცნობთ ამ მიზნისათვის.

განსაკუთრებული სიახლეები მთებიდამ არ არის, გარდა იმისა, რომ ავარიელნი და ანდიელნი შამილს გაჰყუნენ ჩეჩნების დასახმარებლად ვრევსკის წინააღმდეგ, რომელიც შალისკენ დაიძრა ნათესების გასანადგურებლად.

თქვენგან ველით და კიდევ ერთხელ ველით უფრო საინტერესო ამბებს ყირიმიდამ: მალე მოიკლავს ნეტავი თავს პელი[...]?

ცივა, დიდად ცივა! ყორღანოვის რაზლოვორიდამ გახლავსთ ესე შემოტანილი აქა, რათა ზედმინევენით მიხუდე რარიგათ ვჰკანკალებთ ქუთიშის მთაზედ მკათათუს 25^h დღესა, როდესაც ტბილისში, შურაში სიცხისაგან არ იცით რომელს ჰაუზში, რომელს ვანნაში განიგრილოთ თავი თქუჴნი. –

ასე, ჩემო დიმიტრი! საბნები, ნაბდები, სხუადასხუა ფერის შინლები თავს მაყრია და კიდევ ვერ გამთბარვარ. –

დღეს შევიტყე, რომ ვრევსკის დაუმარცხებია შამილის ჯარი შალის¹ მინდორზედ,² და ამით დაბოლოვდა ყოველივე ჰაიჰარაი, აქამომდის თქმული.

ანდრონიკოვი მწერს, რომ შამილას ჰყავს 14/ათასი ცხენოსანი, რომელთარიცხვში 8/ათასი სულ შუბიანნი არიანო, და ესენი სულ ქიზიყისათუს მომზადებულანო! –

ამის შუბიანი ჯარი არ შემიტყვია, და ანუ რა არის ეს მომატებული რაღაებიცა? –

აბა დღეს კვირა არის და თითქმის შუადღეცა; გამოგზავნე ეგ ინვალიდებიდა? – და თანაც სხუა და სხუა ჭორები დაუმატი, თორემ მეტად ცივა აქა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

25^h ივლისს 1855.
ქუთიშის მთა.³

ჩემო დიმიტრი! მიკვირს და მიკვირს, და კიდევ ვარ გაცელებული შენს ჩუეულებაზედ, რომ სხვის წერილებსა, მაგრად ვეება ბეჭდებით ზედდასმულს, ჰხსნი, კითხულობ და მერე ისე უგზავნი პატრონსა! მაშა ბეჭდებსა რაფსათუს ასმენ?¹ რაფსათუს ჰსყიდულობენ ლაქასა, ბეჭდებსა? რა გაენყობა ჩუეულებასა, მოუთმენელობასა, სულმოკლეობასა, ჭორების-მოყუარებასა და სხუათა და სხუათა, ესე იგი, სულის ნანყმედასა! –

მერე: ჯერ მცირედი კიდევ მოიცადე შურაში, იქნება მე მალე მოვიდე; მაგრამ ნურავის ეტყვი: დიდი საიდუმლოა, რომელზედაც არის დამოკიდებული აღსრულება ერთის პლანისა, კარგის პლანისა, თუ აღსრულდა. – თუ აღსრულდა; რადგანაც არა ყოველივე პლანი აღსრულდება, რაგინა იყოს კარგად დანყობილი. ამაში ბედიც უნდა!

რალა თქმა გინდა, რომ თუ ორენბურლის ლუბერნატორი მოვიდა შურაში, უნდა მიიღო ისე, როგორც შემეფერება.

ვარინკას წერილი მომივიდა, რომელშიაც უნდა ყოფილიყო სამოცი თუმანი სიქამანათი;² მაგრამ პაკეტი გაჭრილი იყო და მასში ფული არ იდგა. – შენ ხომ არ ამოგიღია? – ვარინკა დიდად მთხოვს, რომ ამ ფულით გამოვიხსნა ნივთები კაკალასაგან ნასყიდნი.

შამილა არის თავის სახლში; ჩაჩანში, ესე იგი შალის მინდორზედ, შამილის ჯარი ანაზდეულად დიდს ნისლში ზედნასწოლოდნენ რუსის ჯარსა, რომელსაცა მოეცა ზარბაზნით კარტიჩი, რამდენიმე ანდიელნი მოეკლათ იქვე, ოცდაექუსი ცხენიც მათთან ერთად დახოცილიყუნენ, და დანარჩენი ჯარი შამილისა გაქცეულიყო. – ვრევსკის გაუფუჭებია ჩაჩნელების პურის მოსავალი, და დაბრუნებულა თავის შტაბში; შამილაც თავის სახლში ამოსულა; მაგრამ ასე ამბობენკი რომ შამილა თუთ არა ყოფილა იქა. ახლა გაუცია ბძანება შამილასა, რომ ყურბან ბაირამის უკან წავა ჯარითა, და იმ დრომდის ცხენე-

ბი უნდა კარგად შეინახონ. – აი ჯარი ასეთი უნდა, რომ უფროსი არ იტანჯებოდეს ფიქრითა თივისა და ქერისათვის, და მათ შესყიდვისათვის ფული არ ეხარჯებოდეს, და ერთის ბძანების მეტი არა უნდოდესრა: „ცხენები კარგად შეინახეთ, კარგად გაასუქეთ“. –

ფერჩატკები მომივიდა, მაგრამ ვერ ჩამივიდა ხელებზედ: რა გენაღვლებოდა ცოტა დიდრონი ყოფილიყო.

ჯამობეგის თანაშემწედ ყოფნა ნუ ჰგონია ლუბერნატორს უბრალო რაჟმედ, ანუ არარაჟმედ. 1) დიდი საქმეა იმ ჩინოვნიკისათვის, ვინცა შეაგონებს ჯამობეგსა მოვალეობასა მისსა; და ამისგარდა 2) შეაყუარებს თავისთავსა ესოდენად, რომ ჯამობეგი მიენდოს მას³ და ხალხი მოავლებინოს. – ეს ორივე იოსიფოვმა თავის ჭკუით და მოხერხებით აღასრულა. ახლა რომ ჰსცვლიან, ვისა ჰნიშუნენ ამის მაგიერ? – გებეჭა ვერა იქს ზასედატლობასა, თუ არ უნდა თავის სამსახური დაჰკარგოს და მეორეს თვეშივე მიეცეს პოდსუდში! – რა საკურველია იოსიფოვისათვის ახალი თანამდებობა კარგია, მაგრამ მანდაც უნდა კარგი ვინმე იშოვნოთ და? – თუ ჯამაგირი მანდ ცოტა ეძლევა, სამსახურისაგამო ბევრს იშოვნის და წინ წავა. – აბა აიღეთ, დაიღეთ, იფიქრეთ და ისე დააბოლოვეთ, რომ ორსავე მხარეს კარგად დასრულდეს. –

სხვეებრ ღთ⁴ იყოს შენი მფარველი

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

27 ივლისს 1855.

ქუთიშის მთა⁵

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №18 (378)¹

მითომ სვიმონის წერილი რომ გავხსნა და წავიკითხო რა ცოდუა არის, და ანუ სადა ჰსწერია ამგვარ შეცოდებისტუს წარწყმედა სულისა.

ნაპოლეონის თავის მოკვეთა საფაროვის მალაზიაში პირველად ითქუა და იქიდან სვიმონს ახარეს.

შენი გრიგოლ ორბელიანი

11 აგვისტოს 1855.
არქაზით.²

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №19 (379)

ჩემო დიმიტრი! დღეს ოპლიდამ¹ მივედივარ აიმაკზედ² ქუთიშასა,³ სადაცა დავჰყოფ ერთს დღესა და გავჰსწევ ყაზი-ყუმუხისაკენ.

წერილებსა მინკვიცთან⁴ და ლამაზოვის მამისადმი⁵ ვჰგზავნი ამასთანავე შენთანა; ხოლო⁶ კოცებუს წერილი არ მომეწონა, რადგანაც არ ეწერა თხოვნა განწესებისათვის ლამაზოვისა იმ პოლკებში რომელნიცა არიან ეხლა სევასტოპოლში.

მთიდან მომივიდა ეს ამბავი: შამილ, დღეს ანუ ხვალ, უნდა მოვიდეს ავარიაში, სადაცა შეიყრებიან ნაიბები დიდის რჩევისათვის, მასლაათ.⁷ – ვნახოთ რას დააწყობენ! –

ორი ბატალიონი არქასზედ⁸ გაუშვი ასევეის ხელქვე, და ერთი ბატალ: გადმოვიყუანე აღქენთის⁹ სიახლოეს.

ამ ყამად ეს მაქუნდა მოსახსენებლად თქუწნდა, ბრწყინულყო კნიაზო!

თქუჴნი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

14 აგვისტოს 1855.
ოჴლით.¹⁰

ბაბალე საგინაჴვილისადმი №8 (380)

აგვისტოს 21^{ს¹} ქუთიშის² მთა 1855.

ჩემო უსაყუარლესო დაო ბაბალე!

შენი წერილი, ყვედრებით სავსე, მომივიდა. ხომ იცი მი-
ყუარხარ გულით, სულით; მაშა რალათ მყვედრი, რომ ხანდა-
ხან ვერა გწერ ისე ხშირად, როგორც მინდა მე, ანუ როგორც
გჴსურს შენ? – შენ გენაცუალნენ ყოველნი ბარბარები, ოთა-
რის ცოლიდამ მოკიდებული ჩვენს წელ-ნაზ თამარამდის; მაგ-
რამ ჩვენი ბაბალე, ვლადიკავკაზის კრასავიცა კი არ უნდა გე-
ნაცუალოს: ეგ სხუა ჯავაირია! – სხუანი კიდევ, სოფიებიცა,³
ტასოებიცა – მაგრამ ერთის გარდა – შენ თავს შემოგველნენ;
შენმა ციებ-ცხელებამ ისინი აცხელ-აკანკალოს! – სხუა რალა
გინდა? –

ვჴსდგევარ მაღალს ქუთიშის მთაზედ, სადაცა ნისლი,
სიცვიე, წვიმა მოუნყვეტელია. ხანდახან მზეც დაგვენახვება,
მხოლოდ იმისთვის, რომ ვიცოდეთ და გუახსოვდეს, რომ სად-
მე ქვეყანაზედ ანათებს მზე.

ვარ ამ წყეულს ადგილს და ვჴყარაულობ შამილის მი-
მოსვლასა. – ამ დღეებში მოვიდა ავარიასი, რომელიცა დიახ
ახლოა ჩემზედ – იქ შეიყარნენ ნაიბები, მნიგნობარნი ყადიები
და სხუანი იმათგანი დარბაისელნი და ჴქონდათ დიდი რჩევა;
გუშინ, თუ გუშინწინ, დაშლილან; ვნახოთ, იმათის რჩევისაგან
რა გამოვა, მაგრამ ჯერკი დიდად საიდუმლოდ ინახავენ, და

რაცკი უნდა შეინახონ, მაინც დღეს, ხვალ შევიტყობ. – ნა-სულს კვირაში ყაზიყუმუხშიაც ვიყავ ჯარებისა და ხალხის გასაშინჯავად. – სწორედ მოგახსენო, ვერაფერი ქვეყანაარის, დაპრანჭული, დაგრეხილი ჩაკვანძილ-ჩაშხამული! –

ამ დღეებში ვაპირებ – თუ სხუა რაიმე მიზეზი არ გამომიჩნდა – შურაში ჩასვლასა; მაგრამ რა გამოვიდა, იქაც არა არისრა გულისგასახარებელი. –

ჩვენები მშვიდობიანად მისულან პეტერბულში. – სწორედ ამ მინუტში მომიტანეს ამბავი, რომ სევასტოპოლის სი-ახლოეს მომხდარა დიახ დიდი ომი, სადაცა სხუათაშორის ძა-ლიან მძიმედ არის დაჭრილი ჩვენი საბრალო კნიაზ დიმიტრი მირსკი. – ლთ~მან⁴ დაიფაროს იმის ცოლშვილი უბედურები-საგან! – ეს რა არის, ჩემო ბაბაღე, რომ ერთმა წელიწადმა აღარ გაიარა მშვიდობიანად ჩვენის ოჯახისათუს! – ახ, რა კარგი ყმანვილი კაცი იყო, და რა ძლიერ მიყუარდა. ეს წერი-ლი მხიარულის გულით დავინყე და ჩამშხამდა. ძალუა, ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ, და ჩემი საყუარელი ალექსან-დრე გულით, სულით მომიკითხე. –

შენი ერთგული ძმა გრიგოლ ორბელიანი

2^h სექტემბერს. შურა.⁵

ეს წერილი აქამდის დარჩა გამოუგზავნელი; მეც საში-ნელმა თოვლმა გამომაქცია ქუთიშის მთიდან და მარბეინა შურამდის, სადაცა მოველ გუშინწინ და ძლივს გავთბი; მაგ-რამკი ჩემი ნინიკა ბიჭი ავათ გამიხდა, ეგრეთვე პეტრეცა.

ზაქარია ჭავჭავაძე მოვიდა აქა, იასონს გამოგზავნა დანარჩენის პოლკის ჩასახარებლად, მორჩა თავის საქმესა და ახლა მოდის თქვენკენ ამ წერილითა. – ნეტავი როდის იქნება გულმოსვენებით ვიყო თქვენთან! –

ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ და ძმა ალექსანდრე სიყუარულით მომიკითხე კიდევ.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №20 (381)

ჩემო საყუარელო დიმიტრი! გუშინ მოველ ქუთიშის ლაგირში, სადაცა დამხვდა შენი წერილი და ერთიჯ კიდევ მომიტანეს ამ¹ მინუტში დამზადებულის პროკლამაციით ტაბასარანელებისათვის; მაგრამ პანჩენკოს მონერილობის ვიპისკა არ მომსვლია, და არცა ვიცი რას იწერება. – აქამდის რაც ამბები მომდის ან ჰუსუფბეგისაგან, ან ლუბერნატორისაგან, ტაბასარანში არა არისრა ჯერ ამჟამად იმისთანა საშიში, რომ საჭირო იყოს რუსის ჯარებისა იქ გაგზავნა; ამისგარდა ათითორმეტნი ტაბასარანელებიც – *извольной*² იყუნენ ჩემთან ათ დღემდის და გავისტუმრე. – ისინიც ამასვე ამბობენ, რომ ტაირჰაჯი და შიხმაჰმადი აქა იქ დადიან, მაგრამ ხალხი ყურს არ უგდებსო; ქურის ერთი სოფლიდამ უნდა საქონელიც მოეპარათ, ანუ მოეტაცნათ, მაგრამ ხალხმა შეუტყო და ისინი გაიქცნენ. გზაზედ შეხვედროდათ ორნი ქურელები, მომავალნი ტაბასარანიდამ და თაირჰაჯის პარტიასა ერთი იმათგანი მოეკლათ და ერთი დაეჭირათ. – ეს მოხდა აქამდის იმ მხარესა. – ჰუსუფბეგი მწერს ამ ამბავსა, და ამასაც მეუბნება, რომ ინშაჰლლა ან თაირჰაჯის პარტიას ამოვჰსწყვეტო და ანუ გავრეკამ ტაბასარანიდამო. – ვნახოთ რა მოხდება მომავალში.

შამილა არის ჯერ ისევ ავარიაში და აქუს დიდი მასლაათი; ამასაცა, ღთ³ით,² შევიტყობთ და ვნახავთ, რა გამოვა იმათის რჩევისაგან. –

წუდახარელებმა იცადეს, იცადეს და როცა მე მიველ იქა, მაშინკი ერთბაშად მიჰსცვიდნენ ციხე-კოშკსა და სრუ-

ლებით ძირიანად დაანგრის. – შეიქმნა ჰაიჰარაი! მოჰსცვინდენ ყაზიყუმუხის სოფლებიდამ ხალხნი, შეიქნა თოფის სროლა; მეც ძლივს რისყოფით, ყაზახების შემწეობით და ვსადნიკებითა ორივე მხარე დავაშორე და გავარეკინე; მაგრამ მაინცკი ერთი მოკუდა ყაზიყუმუხიდამ და ორი დაიჭრა; ეგოდენიც მგონია იყოს წუდახარიდამ.

ყაზიყუმუხში მოვახდინე კარგი საქმე; ალაღარბეგს წიგნი მოვანერინე ლაზარევეთან შერიგებისათვის; ერთი იმისთანაც გაუგზავნა ჰუსუფბეგსა. – ლაზარევემაც, რა საკურველია, კარგი წიგნი მისწერა და მაშასადამე აქეთ მხარეს ჩამოვარდება მშვიდობიანობა და აღარ მოხდება ამგვარი, შენის მიხედვით, *великое уголовное дело!*” – ჰუსუფბეგთან ალაღარის წერილით გავგზავნე გებექა³ და ერთიც ყაზიყუმუხელი ალაღარის ნოქრებთაგანი, და ამათ უნდა მოახდინონ ძმობა, სიყუარული, მეგობრობა, მეზობლობა ორთა ნათესავთაშორის. – სხუა არავიცირა მოსახსენებელი ამხელად. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

22 აგვისტოს 1855
ქუთიშით.⁴

გ.) * თავისუფალიდან (იგულისხმება თავისუფალი ტაბასარანიდან. ქ.

** დიდი სისხლის სამართლის დანაშაული!

ჩემო დიმიტრი! გთხოვ საჩქაროთ დააბოლოო შარიათი წუდახარისა და ყაზიყუმუხის სოფლისა მამულსზედა, სადაცა აღალარმა ააშენებინა ციხე-კოშკი. – განაჩენი ასე შეადგინე:

1) ჯერ, რა საკურველია, ორისავ მხრით შემოიტანე და აღსწერე საბუთები, ესე იგი, მოწმობები, ჰოქმები და სხუანი.

2) ბუდუნებისა და ჰაჯი აბდულლას ჰაზრები, და ეგრეთვე მეორეს მხრით, ჰაზრი აღალარის ყადიასი.

და ბოლოს ჩემი ჰაზრი, რომელზედაც უნდა დაბუძნდეს განაჩენი:

ა) დიდის ხნისთ¹ აქამომდის იმა მამულისა წუდახარელების ხელში ყოფნა.

ბ) ყაზიყუმუხელებმა არცკი იციან, რომელს ხანის დროს იყო ეს მამული იმათ ხელში, და რომელს ხანის დროს წუდახარელთა წაართვეს.

გ) შეუძლებლობა, რომ წუდახარელთ წეერთოსთ ეს მამული, რადგანაც ეს მამული, თუთ უნაყოფო, უვარგო, გამოუყენებელი კაცისათუს, და მაშასადამე უსარგებლო; და რათ წაართმევდნენ წუდახარელნი; თუ გინდ ყოფილიყუნენ ძლიერნიცა ხანებზედა ამისთანა მამულსა, რომელიცა არის თითქმის ცარიელი ქვიშა და ქუა.

ამა მიზეზებისაგამო ის მამული ეკუთვნის წუდახარელთა.

მაგრამ რადგანაც აღალარბეგმა იქ ააშენა ციხე,² არა სანინაალმდეგოდ წუდახარელთა, არამედ გზის შესანახავად და მგზავრთა დასაფარავად მტერთაგან, რომელნიცა სშირად იმ ადგილს ჰხოცდენ და ატყვევებდენ ჩვენს ხალხსა, დაამისგამო იქ ციხე იყო ორისავ მხრისათუს სასარგებლო, ამისთუს იქ ააშენონ თუთ წუდახარელთა ციხე და დააყენონ თავიანთი ყარაულები. და ამით დაბოლოვდეს ეს საქმე. –

ეს არის ჩემი ჰაზრი, რომელიცა შენ უნდა გაალამაზო, გაასპეტაკ-განავრცელო და შეასრულო, ვითარცა კოლოფი³

ოთხისავ მხრით, და მალე გამომიგზავნო, რომ ორივე მხარე მოელის დაბოლოებასა და შენკი ტაბასარანისათვის პლანებს აწყობ; და სევასტოპოლის პლანების განხილვაში ბძანდები. – აი რეადიც მიუწვევიათ და კიდევ სხუანიცა. –

შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი

25 აგვისტოს. 1855

ქუთიშით.⁴

ახლა ნულარ გააგძელებ, როგორც შკოლის საქმესა.

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Его Сиятельству,
Князю Дмитрію Давидовичу
Джорджадзе
В Шуру⁵*

*მის ბრწყინვალეობას,
თავად დიმიტრი დავიდოვიჩი
ჯორჯაძეს
შურას

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №22 (383)

ჩემო დიმიტრი! შენი წერილი 26^ლ აგვისტოსი მომიტანეს დღეს, და მით¹ შენის ხილვის მსგავსად ვისიამოვნე.² მერე:

ოლონდკი შენ დაგპატიუოს ვინმე[მ] სტუმრად, და შენგან უარის თქმა არ იქნება. – დიახ ბატონი ბძანდები. გაჰყევ ვოლკოვსა, მიმოიარე ჩირიურთი, მომიკითხე ზაქარია ჭავჭა-

ვადე, ჰსთხოვე ჩემმაგიერ რომ მნახოს და დაბრუნდი მშვიდობიანად. – ბატონი ბძანდები, ყოველივე ესე ჰქმენ სურვილისამებრ გულისა შენისა, მაგრამკი ვნახავთ, რაცა გერგება.

გუშინ ჩამოველ ქუთიშის სიმაღლით და დავიბანაკე ოღლისა და ქუთიშისშუა, ძირს, ლელეში, სადაცა თბილა.

მორჩა, დაბოლოვდა, დასრულდა შამილას დიდი რჩევა ავარიასი. ზოგნი ამბობენ, რომ შამილამ გამოუცხადა, შარიათის ძალითა, რომ იმამსა³ უნდა ხალხმა მისცეს ხარჯი მამულიდამაცა და საქონლიდამაცა; ზოგნიკი ამბობენ, რომ „არა იყორა იქ მისმეტი, რომ წლეულს ჯარიანობა არსად იქნებაო.“⁴ – მაგრამ პირველს მიზეზს უფრო ამბობენ და ხალხი, რა საკურველია, ბუტბუტებს, ჩუმად ილანძლება, და ვნახოთ რა გამოვა. –

მე კიდევ დავრჩები აქა რაოდენსამე დღესა, ვიდრე კარგად არ გამოცხადდება განზრახვა შამილისა, და თუ არა იქმნა რა საშიში რამე, ჩამოვალ შურაში ნელნელა ჯარების უკან დანევით, ესე იგი: 3^o ბატალ: დარჩება ყაზიყუმუხს, 2^o ქუთიშას, 1^o ოღლსა და აღქენთს⁵ შუა, 1^o ჯანაქაიზედ დრომდის, და დანარჩენი მოვა შურაში რეზერვად; ამისგარდა 2^o ბატალ: სამურის⁶ ოკრულიდამ⁷ ამოვა ნოსდალზედ,⁸ გამოვლის ყაზიყუმუხის სახანოსა, აჰყოშასა და მოვა დიშლაარში მეორე რეზერვად. – ამ ორის ბატალიონის ასე წამოსვლა იმისთვის არის სასარგებლოდ, რომ ვინიცობაა მოხდეს რამე მტრის მხრიდამ, ესენი მალე მიეშველებიან ყაზიყუმუხსაცა, საცა ერთბაშად შეიქმნება 5^o ბატალ:, და აჰყოშასაცა, საცა გახდება 4^o ბატალ: –

ამას იმიტომ გწერ ასე დანვრილებით, რომ ვიცი, მაშინვე მიჰსწვდები კარტასა, დაუწყებ ქზრეკასა, შეხვალ დიდს, ღრმას ფიქრებში, აიღებ-დაიღებ, და ბოლოს ან მოინონებ და ან თავს გაიქნევ ამ პლანზედა. –

კარგია, თუ ამ წერილმა მოგისწრო შურაში, მაგრამ არა მგონია: ასე რიგად ეშურები ჩირიურთში წასვლასა, რომ პაროხოდიც ვერ მოგენევა.

27 აგვისტოს 1855

ლევან მელიქიშვილისადმი №1 (384)

ჩემო საყუარელო ლევან!

დღეს ძლივს მოვახსნიე სოფელს ოდღის.¹ გაციებულ-დათოვლილი, მოკანკალ-მობუზვილი. შენ მანდა გნუავს ზაქათალის მზე, მე აქა სიცივით ვიყინები. მახლავ, აზია! აბა რა დროს თოვლია, 27 აგვისტოსა? –

შენი წერილი 24^შ მომიტანეს აქა დღესა. – შამილას მასლაათი, როგორც გუშინ მოგწერე, დასრულდა ავარიაში, და ნაიბები ყადიებითურთ დაბრუნდნენ თავიანთსა. – ხმა გამოვიდა, რომ მითომ, შარიათის ძალით, ხალხსა ჰსთხოვა ხარჯი, მაგრამ ეს ამბავი, საკურველია, ლაზუტჩიკებსკი არ მოაქუსთ. მაშა, საიღამ გამოტყურა ამისთანა ამბავი და მოეფინა მთლად დაღისტანში? და ანუ რა იყო მიზეზი? – სხუათა განკარგულებათაშორის, რაეცა შეეხებოდა ამათ სარწმუნოებასა, უბძანებია შამილსა, რომ დედაკაცებშიაც უნდა აღმოირჩივნენ ათის თავნი და ასის თავნი – ნაიბებიკი არა – ამათი მოვალეობა ის უნდა იყოს, რომ ზედამხედველობდენ დედაკაცებზედ, რომ, როგორც ბძანებს შარიათი, ისე მოიქცნენ, ესე იგი, ფარდებით პირზე ჩამოფარებულნი დადიოდნენ, კაცებს ერიდებოდნენ, და სხუანი ამგვარნი; კაცებს აღუკრძალა ლოთობა, ჩიბუხის წევა, სიმღერა – ლაილაის გარდა – ოვჩარში² ყოფნა, ჩვენებური სალაყბო – ღამე სოფელში სიარული, პარასკევს ღამეს ძილი, სულ უნდა გათენებამდის იყუნენ ლოცუაში, და ამგვარნი სხუადასხუა ბევრი რალაებიცა. – ასე ამბობენ ჯავშუშნი, მითომ ის იმოდენი კრება მხოლოდ ამისათუჲს ყოფილიყოს, და ესეც ბოლოს გამოუცხადებია, რომ

წლეულს არსად წავალთ საომრად, მაგრამ მზადკი იყავით. – ამით დასრულებულა მასლაათი, შამილა წასულა კარატას და იქიდან დარღოს; – და თანაც წაუღია ზარბაზნები. –

ხვალ, ღთწით,³ ჩავალ შურაში.

ველმწიფისაგან, რომელიცა ღთწიან⁴ ადღეგრძელოს და ძღვევით შეჰმოსოს – ჩვენის ტყვეებისა ისე მოწყალებით მიღება დიდი ბედნიერება არის. – ღთწი⁵ ყოველსავე ვაებას ასე შეჰსცვლის კეთილად; მხოლოდ ეს არის, რომ კაცი თუთ არის უძღური და მოუთმენელი უბედურებაში! –

მგონია, ადრევე მოგწერე, რომ ტაბასარანში თაირჰაჯი,⁶ გაქცეული გუბდენიდან ყადია, შევიდა თორმეტის კაცი-თა, და არ იქნა იქაურს ვერც ბეგებსა და ვერც ხალხსა ვერ გავარეკინე იქიდან. – იქიდან მეძახიან, რუსის ჯარი მოგვაშველე ბევრის თოფხანებითა, თორემ ეს არის აგვიკლესო! – აბა რა უყო ამისთანა ლუბერნიასა, სადაცა ლუბერნატორს არ შეუძლიან თორმეტის კაცის გარეკა, და მე აქედამ უნდა ოტრიადები წავიყვანო და დიდი ექსპედიცია მოვახდინო? – ახ, ლევან! ბევრჯელ მაგონდება გრიგოლ მუხრანბატონის ღრმა ჰაზროვანნი სიტყუები „სხვისაგან ჩა.მულს⁷ მე მანმენდინებენო“. – გეტყვი სწორეს გულის სინრფოებით, რომ აჰყომა იყო ჩვენის ხელიდან წასული და მე დავამშვიდე; ყაითალი აჰსტყდა და მევე დავამშვიდე, და არცარავინკი იცის ეს ამბავი, რადგანაც ხუთასი კაცი არ მოვაკვლევინე მტერსა და დიდროანნი ზარბაზნები არ ვასროლინე. – ახლა ამტეხია ტაბასარანი, ეს მეორედ წლეულსა; და ვნახოთ, ღთწი⁸ როგორ ინებებს. მაგრამ მე ეს მინდა ვჰსთქუა, რად არის მიწვენილი იქამდის ჩვენი საქმე, რომ ჯერაც არ ვიცით რა არის ჩვენი საკუთარი დაღისტანში? – როდემდის უნდა ვიყუნეთ ასე დაბრმავებულნი და ვატყუებდეთ ჩვენს თავსაცა და ურთიერთსაცა? – აქამდის ცარიელი ბრახა ბრუხი ყოფილა დაღისტანში და დიდროანნი ჭრაზები; სხუა არაფერი! ამიტომ ხან ერთი

აგვეშლება, ხან მეორე. – ეჰ, მეც ახლა, ამ შუალამისას, მოვ-
ჰყევ ასეთს რასმესა, რომელსაცა არა აქუს დასასრული. –
შენი და და პატარა ცოლი სიყუარულით მომიკითხე. –

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

მგონია, ალექსანდრე თუმანოვსა ჰსცხუენიან ჩემი.

28^ა აგვისტოს 1855.
ოლლით.⁹

ქეთევან ორბელიანისადმი №75 (385)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! თქვენი წერილი მი-
ვიღე, რომელშიაც ითხოვთ ჩემს თანხმობასა ბაბაღეს გათხო-
ვბისათუს. – მაგ აფიცარსა, რომელიცა თხოულობს, მე კარ-
გად არ ვიცნობ. – ამ საქმეში ბაბაღესა და ალექსეი პეტრო-
ვიჩსა უნდა დაეკითხოთ, და როგორც იმათ არჩიონ, ისე მოხ-
დეს. – მე, ჩემის მხრით, რაც შემიძლიან მივსცემ შემწეობასა;
მაგრამ ამ საქმეში, რომელიცა უფრო ბაბაღეს შეეხება, ვიდ-
რე ჩვენ – უნდა ბაბაღესაცა ჰკითხოთ თავის სურვილი. –

მე არ დაგიმაღავთ ჩემს ჰაზრსა და მოგახსენებთ ცხა-
დად: მე მსურდა, რომ ბაბაღე საქართველოში შეერთო ვისმე
თავადისშვილებთაგანსა, რადგანაც ბაბაღემ არ იცის რუსუ-
ლი, და მაშასადამე, ჩემის ანგარიშით, ვერცა შეითვისებს რუ-
სულს ჩვეულებასა და ცხოვრებასა. – მე იქნება ამაში ვიყო
შემცდარი, მაგრამ ესკი იყო მიზეზი, რომ უფრო მინდოდა შე-
ერთო ქართველსა! – ახლა თქვენ იცით; შეიყარენით თქუენ,
ალექსეი პეტროვიჩი და ჩემი და ბაბაღე; არჩიეთ, აიღეთ-დაი-
ღეთ, და როგორც კეთილად დაინახოთ ისე იქმნას! – სოსიკო
კამენდანტიც თან დაისწარით რჩევაში და შემატყობინეთ! –

ველმნიფე იმპერატორსა და ორთავე იმპერატრიცებსა დიდის მოწყალეობით მიუღიათ ჩვენი ქალები. – ამას მწერენ ვარინკა და ნინუცა, და კიდევ იმასაცა, რომ ოკდომბერში მოვლენ შურაში. ნინუცას ეტყობა ძალიან მოსწონებია პეტერბურლი. იაკინთე და სარდიონ სოფიოთი მომიკითხე სიყუარულით.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

2^ს სექდემ: 1855.
შურით.¹

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №7 (386)

ჩემო გულით საყვარელო ძმაო კონსტანტინე დიდხანია მინდოდა შენთან წიგნის მოწერა, და მადლობის გამოთქმა რომ შენის სასიამოვნო წერილებით მომიგონებ ხოლმე, მაგრამ ჯერ მოუცლელობაში ვიყავ და ახლა ეს ერთი კვირა არის რაც უძღვებათა ვარ, ისე რომ ჩემის ხელით წერა არ შემიძლიან. ცივება დამანყებინა და ჯერ არ ვიცი როდის დავეხნევი; თულა სახსენებელია სადმე ამ დროში ეს ჩვენი დალისტანი, მეტადრე ამ მყუდროთ გატარებულს ზაფხულში, აქაური ამბავი ეს უნდა მოგახსენო: მთელი ზაფხული შამილ ხან ამზადებდა ჯარებს, ხან შლიდა სხვადასხვას ადგილებში, ოცდა შვიდს აგვისტომდის მეც უცადე, ლაგირათ ვიყავ და მაშინკი, რადგანაც მთებზედ თოვლი ჩამოყარა, დავბრუნდი და მოველ ამ გამოყრუებულს შურაში, მას აქეთ აქავარ; განსხვავებული შემთხვევა არა მომხდარარა ჩემს სამძღვარში. მხოლოდ ლევანის მხარეს გაითარეშა შამილის შვილმა, მაგრამ ჩვენი მუხახელები ასე დახვედროდნენ რომ სულ კუდით ქვა ესროლინებინათ და პირშერცხვენილი დაბრუნდა. არვიცი ახ-

ლა რას დაანყოფს შამილ სევასტოპოლის ჩვენგან თავისდანე-
ბების ამბავზედ, იქნება იმას იმ გვართ აცნობონ რომ გაა-
ბედვინონ რამე ჩვენზედ გამოლაშქრება, მაგრამ ამ ზამთრო-
ბით არა მგონია განსხვავებული განიძრახოს რამე, მეტადრე
მით რომ რუსეთიდან მოსული იმის შვილი, რომელიც დიდათ
უყვარს, სწორეთ გაარჩევიებს მართალსა და ტყუილს ამ-
ბავს, როგორც აქამომდე უშვრებოდა.

კარგათ წარმოიდგენ რარიგათ გულის მოსანყევეტი ამ-
ბავი იქნებოდა ჩემთვის¹ სევასტოპოლის თავისდანებება, არა-
ოდეს არ მეგონა, იქამდის მიგვიყვანდა მტერი რომ ჩვენ თი-
თონ დაგვანებ[ებ]ბინებდა თავს იმ ადგილისათვის სადაცა
თითქმის აურაცხველის ჯარების სისხლიდინთქა და მთელი
რუსეთი გამზადებული იყო მსხვერპლათ ოღონდ კი არ შეერ-
ყივათ პატივი ჩვენის საჭურველისა. იქნება კეთილგონიერება
მოითხოვდა იმზომიერებას რომელიცა მიიღო ღორჩაკოვმა,
ამას გამოაჩენს შემდეგი, მაგრამ მიძიმე გასაგონი და შესაჩე-
ვი ამბავი მოგვიხდა.

საბრალო რეადის სიკვდილი დიდათ მეწყინა, აქამომდე
დიმიტრი მირსკისაც ველარა შევიტყურა, იმ უბედურმა თი-
თონვე გამოიგდო ყირიმში წასვლის მიზეზი, და თუ ღ[თ]მა²
არ მიხედა, ხომ საცოდავი ცოლშვილი დარჩება. დიდი დასა-
ნანი იქნება იმისთანა ჩინებულის ყმანვილის კაცის დაკარგვა.

შენი ბედნიერების³ მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი⁴

23 სექტემბერს 1855 წელსა.
თემირხანშურიდამ.

ამ ჟამათ მე ცალკე კანვერტით აა №1307 გიგზავნი
[მ]თავარ[მარ]თებლის პრიკაზებს დიდათ გმადლობ რომ წამა-
კითხე, და გთხოვ არ დამივიწყო და ჩქარა მახარო ყარსის

აღების ამბავი. შენი ძმა იოსებ და ალექსანდრე მარშალი სიყვარულით მომიკითხე.

დimitრი ჯორჯაძე მდაბლათ თავს გიკრავთ. თქვენცა და კნიაზს იოსებ დავითიჩსაც.

მიხეილ შოროტოვისადმი №45 (387)

Т: X: Шура. 10^ლ Окт: 1855.

К: Воронцову.¹

После письма моего к Вашей Светлости от 7 Маія в Дагестане ничего замечательнаго не произошло. Огромные приготовления Шамиля к войне в начале весны заставили и меня употребить в дело все средства, какія мог отыскать у себя под рукою. Освободив Гарнизоны из передовых укреплений и расположив в них только по одной роте, я успел таким образом приобрести лишньх 3^л действующих батал[іона] с 6^л сотнями Кавалеріи под командою Генер[ала] Манюкина около Лучека, как для охранения Самурскаго Округа, так и для прикрытія Нухи, содействуя в тоже время и Лезгинской Линіи, с которою он находится в связи. 3^л батал[іона] с 5^л сотнями Казыкумыкской Конницы под командою Генерала Агалар бека расположены были на Гамашинских высотах; 3^л батал[іона] с 6^л сотнями Акушинской Конницы с Полковником Ракусы на Кутишинских высотах; и наконец 3^л батал[іона] с 10^л сотнями Кавалеріи с Полковн[иком] Астаховым на Аркасе, прикрывая Мехтулинскія деревни и Шамхальство, в тоже время служат резервом передовым отрядам. Шамиль те, котораго всё вниманіе устремлено было на Акушу и Казыкумык, несколько

раз пытался собирать свои скопища, но далее Караты не подвигался. Между тем Генерал Вревскій имел весьма удачное движеніе на Шаликскіе поля, где разбив непріятельскія партіи, истребил огромные их посеы. Чеченцы, доведённые до крайности, стали ещё более выходить к нам и селиться большими деревнями около наших укреплений на правом фланге. Карачаевцы, увлечённые пройсками Мамед Эмина, взволновались, но энергическими действиями Генерала Козловскаго возстановлен там порядок и спокойствіе. Наконец благотворныя, полные человеколюбія слова манифеста протекли и в горы Кавказа и произвели спасительное действие: Несчастные, беглые солдаты с искренным раскаяніем являются теперь к нам во множестве. Так прошло нынешнее лето в Дагестане, где ожидали великих тревог и народных волнений.

Взоры всего Кавказа, как всего света, с удивленіем обращены на страшную борьбу наших богатырей в Крыму; и горцы, знавшія до сих пор только Стамбул, Кизляр и Сибирь, говорят теперь о ингличах, франках и немса. Так и война имеет свою хорошую сторону! Шамиль также жадно следит за ходом нынешней войны, разочарованный в силе Турецкаго Султана, он не без ужаса смотрит на могущество Русскаго Императора.

Сын Шамиля Джамал Эддин женился на дочери Найба Талгика, но не может привыкнуть к дикой жизни Горцев: гордо держит себя пред Туземцами и смело выражает свои мненія пред отцом, который впрочем очень любит и ласкает его.

Шамхал недавно лишился жены, и в отчаяніи едва не застрелился, но спустя пять дней, он вновь женился на дочери Гиллинскаго Бека.

Молодые сыновя Ханши Мехтулинской Ибраим Хан и Решид Хан служат с отличным усердіем.

В Азіатской Турці на поприще военной славы виднеется из первых К[нязь] Дундуков, принявшій уже Драгун[скій] полк от К[нязя] Чавчавадзе, который, к сожаленію, теперь без места.

Плодами великих предначертаній Ваших наслаждается теперь Прикаспійскій Край: Штаб-квартиры окончены и представляют собой вид милинких, маленьких городов, в которых успокоены войска, прежде не имевшія пріюта; в главе их Шура красуется превосходными фонтанами, зданіями, башнями и великолепным Собором, строящимся по плану К[нязя] Гагарина; в Дагестане также выстроена прекрасная церковь, между Шурою и Дербентом стоят в трёх местах очень красивыя станціи: торговля более и более усиливается так, что в прошлом году вывезено в Россію 153 тысячи пудов марены. Но для полного торжества нашего недостаёт того, чтоб Ваша Светлость взглянули на созданный Вами Прикаспійскій Край и насладились душевно осуществленіем тех благотворных идей Ваших, которое теперь приносит народам счастье в существенной пользе, приучая к труду, смягчая дикіе нравы их, связывая с нами их выгодами торговли и чрез то приготавливая их к нравственному преобразованію.

Смею надеяться, что Графиня Шуазель, которой приношу моё глубокое уваженіе, с удовольствіем услышит известіе о возведеніи великолепнаго Православнаго Собора в стране ненавистных Бусурман, и в восторге религиозных чувств вспомнит о украшеніи Шуринскаго Собора некоторым приношеніем, и без сомненія, об участіи в таком благочестивом деле станет она просить и Вашу Светлость и Светлейшую Княгиню, которой целую руки с чувством глубочайшаго уваженія. Но, по моему мненію, было бы прекрасно, если Шуринскій Собор украсился образами Св. Михайла, Елисаветы, Варвары, Семёна и Маріи.

Где теперь Князь Семён Михайлович? Надеюсь, что при его здоровой комплекции, он уже оправился от полученной им раны. Теперь только он и молодец! Князя Воронцовы всегда кровью своею защищали Русь Православную. Господь Бог милостив; Он его Защита!

მიხეილ შორონცოვისადმი №45 (387)

თ: ხ: შურით. 10^ა ოქტ: 1855.

კ: ვორონცოვსა.

თქვენი ბრწყინვალეებისადმი ჩემი 7 მაისის წიგნის მონერის შემდეგ შესამჩნევი არა მომხდარა რა დალისტანში. შამილის დიდმა მზადებამ ომისთვის გაზაფხულის დამდეგს მეც მაიძულა, საქმეში გამომეყენებინა ყველა საშუალება, რომელზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა. გარნიზონების განთავისუფლებით მონინავე გამაგრებუბიდამ და იქ მხოლოდ თითო როტის განთავსებით, მე მოვასწარ, შემექმნა 3 დამატებითი მოქმედი ბატალ[იონი] 6 ასეული კავალერიით ლენერ[ალ] მანიუკინის მეთაურობით ლუჩეჩის მახლობლად, როგორც სამურის ოკრულის, ასევე ნუხის დასაცავად, იმავდროულად დახმარების გასანეგად ლეკური ლინიისათვის, რომელთან კავშირშიც იგი იმყოფება. 3 ბატალ[იონი] ყაზიყუმუხის ცხენოსანთა 5 ასეულით ლენერალ აღალარ ბეგის მეთაურობით განლაგებულ იქნა გამაშის სიმაღლეებზედ; 3 ბატალ[იონი] აპყოშის ცხენოსანთა 6 ასეულით ქუთიშის სიმაღლეებზედ პოლკოვნიკ რაკუსის მეთაურობითა; დაბოლოს, 3 ბატალ[იონი] კავალერიის 10 ასეულით არქასზედ პოლკოვნიკ ასტახოვის მეთაურობით, იცავენ რა მეხთულის სოფლებსა და საშამხლოს, ამავდროულად ასრულებენ სარეზერვო დანიშნულებას მონინავე რაზმებისთვისა. ხოლო შამილი, ვისი მთელი ყურადღებაც მიპყრობილი იყო აპყოშასა და ყაზიყუმუხზედა, რამდენიმეჯერ ეცადა, შეეკრიბა თავისი ბრბონი, მაგრამ კარატს არ გასცდენია. ამასობაში ლენერალ ვრევსკის ჰქონდა ერთობ წარმატებული გასვლა შალის მინდვრებზედ, სადაც მტრის პარტიათა და-

მარცხების შემდგომ გაანადგურა მათი უამრავი ნათესი. უკიდურესობამდე მიყვანილმა ჩეჩნებმა უფრო მეტად იწყეს ჩვენკენ გადმოსვლა და დიდი სოფლებით დასახლება მარჯვენა ფლანგზედ ჩვენი გამაგრებების სიახლოვეს. მამედ ემინის ხრიკებით გართული ყარაჩაელნი აღელდნენ, მაგრამ ლენერალ კოზლოვსკის ენერგიული მოქმედებით იქ აღდგენილია წესრიგი და სიმშვიდე. ბოლოს და ბოლოს, კეთილისმყოფელი, კაცთმოყვარეობით აღსავსე სიტყვები მანიფესტისა გარდიღვარა კავკასიის მთებზედაც და გამოიწვიეს სასიკეთო ქმედება: უბედური, გაქცეული ჯარისკაცები გულწრფელი სინანულით მრავლად გამოცხადდნენ ახლა ჩვენთანა. ესრე ჩაიარა ამ გაზაფხულმა დაღისტანში, სადაც დიდ განგაშსა და სახალხო მღელვარებას ველოდით.

გაოცებული მზერა მთელი კავკასიისა, ისევე როგორც მთელი მსოფლიოსი, მიპყრობილია ჩვენი დევგმირების მძვინვარე ბრძოლაზე ყირიმში; და მთიელნი, აქამდის მხოლოდ სტამბული, ყიზლარი და ციმბირი რომ იცოდნენ, ახლა ანგლიჩანებზე, ჭრანცუზებსა და ნემეცებზედ უბნობენ. ასრე ომსაც გააჩნია თავისი კარგი მხარე! შამილი ასევე ხარბად ადევნებს თვალყურს ამჟამინდელი ომის მიმდინარეობას და, იმედგაცრუებული ტურციის სულთნის სიძლიერეში, ის ძრწოლის გარეშე ვერ უყურებს რუსი იმპერატორის ძლევამოსილებასა.

შამილის შვილი ჯამალედდინი დაქორწინდა ნაიბ ტალგიკის ქალიშვილზე, მაგრამ ვერ ეგუება მთიელთა ველურ ცხოვრებას: ამაყად უჭირავს თავი ადგილობრივებთან და თამამად გამოხატავს თავის აზრებს მამასთან, რომელსაც, სხვათაშორის, ძალზედ უყვარს იგი და უყვავებს.

შამხალმა ამასნინათ დაჰკარგა ცოლი და სასონარკვეთილმან ლამის თავი მოიკლა, მაგრამ ხუთი დღის მერე ის კვლავ დაქორწინდა გილელი ბეგის ასულზედ.

ხანშა მეხთულელის ჭაბუკი შვილები იბრაიმ ხანი და რეშიდ ხანი მსახურობენ შესანიშნავის გულმოდგინებითა.

სამხედრო დიდების სარბიელზედ აზიურ ტურციაში პირველთაგანი მოსჩანს კ[ნიაზი] დუნდუკოვი, რომელმაც უკვე მიიღო დრაგუნთა პოლკი კ[ნიაზ] ჭავჭავაძისაგან, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად უსამსახუროდაა.

კასპიისპირა მხარე ახლა ნებივრობს თქვენი დიადი, წინასწარ ნაფიქრალით მოწეული ნაყოფითა: შტაბ-კვარტირები დასრულებულია და გამოიყურებიან, როგორც საყურელი, პანია ქალაქები, რომლებშიც წყნარად არიან აქამომდის თავშესაფრის არმქონე ჯარები; მათ სათავეში შურა იწონებს თავს შესანიშნავის ტანტანებითა, შენობებითა, კოშკებითა და შესანიშნავი ტაძრითა, რომელიც შენდება კ[ნიაზ] გაგარინის გეგმის მიხედვით; დალისტანში აშენდა აგრეთვე მშვენიერი ეკლესია, შურასა და დერბენდს შორის სამ ადგილას მდებარეობს ძალზედ ლამაზი სადგურები: ვაჭრობა უფრო და უფრო ძლიერდება ისე, რომ გასულ წელიწადს რუსეთში გატანილია 153 ათასი ფუთი ენდრო. მაგრამ ჩვენი ზემის სისრულეს აკლია ის, რომ თქვენმა ბრწყინვალეებამან თვალი შეავლოს თქვენსავე მიერ შექმნილ კასპიისპირა მხარესა და სულიერად დატკბეს თქვენივე იმ კეთილისმყოფელი იდეების განხორციელებითა, რომელთაც მნიშვნელოვანი სარგებლის სახით ბედნიერება მოაქვთ ახლა ხალხისათვის, ასწავლიან რა შრომას, არბილებენ რა მათ ველურს ზნესა, ვაჭრობის სარგებლიანობით ჰკრავენ მათ ჩვენთან და ამით ამზადებენ სულიერი ფერისცვალებისათვის.

ვბედავ იმედი ვიქონიო, რომ ღრაფინია შუაზელი, რომელსაც ვაახლებ ჩემს ღრმა პატივისცემასა, სიამოვნებით შეიტყობს ამბავს შესანიშნავი მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის შესახებ საქულველი მუსულმანების ქვეყანაში და, რელიგიურ გრძნობათა აღტაცებაში მყოფი, არ დაივიწყებს შურის ტაძრის შემკობას კუთვნილი შესანიშნავითა და, უეჭველია, ის ამგვარ ღვთისმოსავ საქმეში მონაწილეობას სთხოვს თქვენს ბრწყინვალეებასაც და უბრწყინვალეს კნიაგინიასაც, რომლის ხელეხსაც ვეამბორები უღრმესის პატივისცემის გრძნობითა. მაგრამ, ჩემი ფიქრით, შესანიშნავი იქნებოდა, თუკი შურის ტაძარი დამშვენდებოდა წმ. მიქაელის, ელიზავეტას, ბარბარეს, სვიმონისა და მარიას ხატებითა.

სადაა ახლა კნიაზი სიმონ მიხაილოვიჩი? ვიმედოვნებ, რომ ჯანსაღი აღნაგობის წყალობით ის უკვე გამოკეთდა მიღებული ჭრილობისაგან. ახლა თუკი ვინმეა ვაჟკაცი, იგია! კნიაზი ვორონცოვები თავიანთი სისხლით მუდამ იცავდნენ მართლმადიდებლურ რუსეთსა. მოწყალეა უფალი ღმერთი; იგია მფარველი მისი!

რად დამივიწყე ასე უწყალოდ, ჩემო ბაბალე, ჩემო საკუთარო დაო? შენ გენაცვალოს ყველა ბაბალები, ერთის გარდა, და ტასოები კიდევ იმ ერთის გარდა! მაგას შენგან არ მოველოდი, რომ ამ ორს თვეში ერთხელ არ გამიკითხავდი წერილითა.

მეც ავათ ვიყავ ზაფრის ცხელებით, ახლა ლთ^{ის}1 მონყალებით კარგადა ვარ, მაგრამ ჯერ შინადამ არ გამიხედნია გარეთ; ერთხელ გავბედე და კიდევ შემაქცია, და ახლა ვერიდეები. მაგრამ აბრამამ დიდი ხანია ჰსთქუა „რაც გასატეხია უნდა გატყდეს.“

გუშინ ვარინკას წერილი მომივიდა; მწერს, რომ 6^ს ოკდომ: მოსკოვიდამ გამოვალთო; მაგრამ სწორედ არ მატყობინებს, შურაში მოვა, როგორც ადრე ჰსურდა, თუ თბილისში?² – აქაურს გზებზედ მომზადება უნდა ცხენებისადა და კანვოისადა; დავით ხომ თავის დღეში არას მოინერება, და არ ვიცი რა ვჰქნა?

ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარზში, და ახლა შენ იფიქრე იმათი შენუხება! ლ^{თო},³ ეს რა უბედურებაა მაგათ თავზედ! ორს წელიწადში სიკუდილი ქმრისა, შვილისა, მამისა, ძმისა და თავის თავის დატყვევება! ეს რაღაც სასჯელია ზეგარდამო მოვლენილი. – ნეტავი ეს ახალი მათი უბედურება მოსკოვში მაინც შეიტყონ. – იქ უფრო ერთმანეთს ნუგეშსა ჰსცემენ.

ჩემს საკუთარ-საყუარელს ძალუას ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ. ალექსანდრეს შუბლში ვაკოცებ; როგორა ხართ, რას ჰჰვრებით, მომწერეთ და? – დიდი, დიდი თაბახები მინდა თქუენგან ყოვლის ამბებით გატენილი.

ძალიან გავიხარე ამბითა, რომ დიმიტრი მირსკი მორჩენილა იმ საშინელის დაჭრილობისაგან.

მშვიდობით ჩემო ბაბალებისთვალთ,

14 ოკდომ: 1855.

შურით.⁴

ქეთევან ორბელიანისადმი №76 (389)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ეს არ ვიცი რა მადანი გიპოვნიათ კოდაზედ, რომ კვირაში ერთხელ უნდა ახვიდეთ? პური არ მოგსვლიათ, ღვინო არ მოგსვლიათ! და თუ გინდ მოგსლოდათ, სამოცს კოდზე ხომ გეუა მეტს არ მოიყვანს, და ესოდენი თქუენი გაჭენ-გამოჭენება პლირს იმად? –

ვარინკას წერილი მომივიდა გუშინ; მწერს რომ 6^ხ ოკდომბ: გამოვალთ მოსკოვიდამაო, მაგრამ იმასკი არ იწერება შურაში მოვა, როგორც ადრე ჰსურდა, თუ თბილისში: აქეთ გზაზედ ცხენებისა და კანვოის დამზადება უნდა, ფოშტები არ არის, და რადგანაც იმის აქ მოსვლა ჯერ ზედმიწევნით არ ვიცი, ამისგამო არ ვიცი რა ვჰქნა.

ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარსში; ახლა ეს უბედურება მოევლინათ; ჭეშმარიტად სწორედ იობის ღალადისია! – ნეტავი მოსკოვში მაინც შეიტყონ ახალი ესე უბედურება მათი, იქ ერთმანეთს უფრო ნუგეშსაჰსცემენ. –

ჩემი ყაფლან სად არის თავის ქულქათით, რატომ არასა მწერთ მისთჳს? ხომ იცით, პირველი სიტყუა ჩემთან წერილებში ყაფლანის ამბავი უნდა მითხრათ.

ძალიან გავიხარე, რომ დიმიტრი მირსკის კარგად ყოფნა შევიტყე; ღმან¹ დაიფაროს ყოვლის უბედურებისაგან!

ძალუა ნინა ქალებ-სიძეებით, შვილ-შვილებით მომიკითხეთ სიყუარულით. – მაგრამ ბაბალესკი ვემდური, რომ ერთხელ არა მომწერარა. – მითომ, როგორ დავიჯერო, რომ ერთი ჭორიც არიცოდეს? – შორს ძებნა რათ უნდა: თამარის

ამბავი მომწეროს და ისიც საკმაო იქნება. მგონია ორს თაბახ-ზედაც ვერ დაეტევა იმის ამბავი. –

ვარინკა ძალიან აქებს სანდროსა, მაგრამ, როგორ ჰსწავლობს, იმასკი არავინ მეუბნება. –

ტასიკოს უთხარით, რომ პორტრეტი გამომიგზავნოს, თორემ საშინელს წერილს მოვსწერ და ძალიანაც ვატირებ. –
ბაბაღე ჩამიკოცნეთ.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

[128v გვერდზე, ზემოთა არშიაზე, უკულმა მინანურია:]

იაკინთეს სიყუარულით მოვიკითხავ, ეგრეთუე სარდიონს სოფიითურთ.

[1855 წლის 14 ოქტომბერი]

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №23 (390)

ჩემო საყუარელო დიმიტრი!

როგორც გუმართებდა მე და ღუბერნატორსა, ისე შეე-ჭხუდით დიდად გაბუტულ-გაბერილნი ერთმანეთსა ფრიადის ცივის თავაზითა, და ლაპარაკი ჩუჭნი იყო მხოლოდ სამსახურისაგამო. სადილობამდის ვიყავით ასე. შემდეგ, როცა მოგუ-შორდნენ მეტნი, და დავრჩით მარტო, მაშინ ქუდიდამ ამოილო არზა თავის თანამდებობისაგან დათხოვნისათუს ცუდის ჰაე-რისაგამო. მეც დიდად ცივად მივიღე და დაუკარით ერთმა-ნეთსა თავი, და განვშორდით. –

სალამოზედ კიდევ მოვიდა ჩემთან ჩაის დროს, ხალვათ;¹ კიდევ სიცივით და ყინვით დაეჭხუდით ერთმანეთსა. – მცი-

რის ხანს შემდეგ შეიქმნა ლაპარაკი: „მე ასე ვარ შეურაცხქმნილი, რომ აქ სამსახური აღარ შემიძლიან, რადგანაც ყოველთა ჩემთა ხელქვეითთა შეუძლიანთ ამას იქით *оскоренъ мяя*“.

რადგანაც თქვენ დაიწყეთ ეგ ლაპარაკი, უკაცროვათ, რომ მე გაგაშვებინებთ ლაპარაკსა, და თუთ დავიწყებ: ესა ვჰსთქვი და მოვჰხსენ გუდა,² და რაც წიგნით მოენერა ყველა დაურღვიე; და უჩვენე, რა უსაფუძვლოდ და უსამართლოდ იყო დანერილი. „სხუათაშორის რომ 1837^ა წლის განმეორებას ყუბაში იწერებით, რატომ ან ადრე, ან ეხლა არ მეუბნებით იმ საშინელთ ბოროტმოქმედებათა, რომელთაცა ჰშვრება ერისთავი? წლეულს სამჯერ გნახეთ და არც ერთხელ არ გამიგონია თქვენგან ურიგობა მისი, ეხლა ერთბაშად რა ჰქმნა ისეთი ბოროტმოქმედება, რომ მთელი ხალხი ირყევა, და მეკი, ვითარცა ნაჩაღნიკმა, არა ვიცირა. – ბოლოს ამასაც გეტყვით, რომ არა თქვენახარ ოსკორბლენი,³ არამედ მე ვარ თქვენგან! – მე მოგწერეთ, რომ კნიაზი ერისთავი, რომელსაცა მთავარმართებელი აძლევდა ყარაბაღსა, ძალად, დიდის თხოვნით, დავანიშვნინე აქა ვ^ა კარგი და სასარგებლო ჩინოვნიკი, და თქვენკი უარსჰყოფთ და პასუხად მწერთ, რაღასაც ჩილავეის სიტყუებსა! – ამაზედ დიდად შეწუხდა და გამომართო ხელი. „კნიაზო, ათი წელინადია ვიცნობთ ერთმანეთსა, და ვიცნობთ ვ^ა პატიოსანთა და გუაქუნდაცა პატივისცემა ურთიერთისა. – აი სადამდის მიახწნია ერისთავის პირისპირ ჩემსა, საკუთრად, მოქმედებათა, რომ თქვენ წინაც ასე დავრჩი, რომ უნდა ბოდში მოვითხოვო და დავიწყება ყოვლისა თქვენგან, რააცა ურიგოდ მომიწერია. – მაგრამ იფიქრეთ – აქ გული აუდუღდა და თითქმის ცრემლები გამოყარა – 1) რას წამს მოვიდა ოთხი თუ ხუთი ჩინოვნიკი გაყარა და მე არა მკითხესრა; 2) მთავარმართებელს პირდაპირ მიართვა აბრაშუმის⁶ სია, და მე, ვ^ა,⁷ დურაკი დავრჩი გარეთ, და დამესხა ლაფი მთელს ლუბერნიაში; 3) მე გთხოვეთ რომ მიგეცათ პოდსუდში, და თქვენ არცკი დატუქსეთ, 4) უჩემოდ

თქუენ მოუტაინეთ პოდპოლკოვნიკობა და მე ლუბერნიაში მასხარად ამიგდეს, 5) ეხლა ამ შემთხვევაშიაც თქუენ მხოლოდ ვიგოვორსა ჰსნერთ, რომელსაცა არავინცკი შეიტყობს, მაშინ როდესაც იმის ზემოსაქმეები სულ ცხადი იყო; და 6) თუ ვარ ლუბერნატორი უეზდნის ნაჩაღნიკებმა არ უნდა მიყონ ეს საქმეები და ჩემი ლუბერნატორობა არ უნდა იყოს შეურაცხობაში; ამისათვის გთხოვთ პოდსუდში მიჰსცეთ ერისთავი, ან ოტრემით“;⁸ მე, რა საკურველია, არც ერთზედ არ ვეთანხმე. ბოლოს რაღა გავაგრძელო, როცა⁹ გნახავ მაშინ გეტყვი ყოველსავე, და ეხლა ამჟამადკი ერისთავი ორის დღით არესტოვალ.¹⁰ –

ამ საათშივე მივდივარ მარაღას;¹¹ სოსიკო მწერს, რომ მთავარმართებელს მოელიან 21^h ოკდომ: თბილისში, მითომ გურიისაკენ ნასასვლელად მაგრამ მგონია აქეთ გამოსწიოს, ან ეხლავ და ან გურიიდან დაბრუნებაზედ. – გთხოვ ვოლკოვს შეატყობინო, რომ ყველა თადარიკი ნახოს.

სხუა,¹² ვეშურები და არა მაგონდებარა.

შენი გრიგოლ ორბელიანი

25 ოკდომ: 1855.

დერბენდით.¹³

შენი წერილი წუხელის მომივიდა.⁹

შეურაცხმყოფენ.

31 ოკდომ: ტაბასარანის სოფელი ხანაგ.¹ 1855.

ჩემო საყუარელო დიმიტრი, ანუ ჩემო ბურიენო!² გუშინ, ამ ნიშნით, რომ იყო კვირაც, მოვედი დიდად განთქმულს სიმაგრითა, მურუდობითა და შარიათის დაბუდებითა, სოფელსა ხანაგს,³ სადაცა მტერმა ვერ გაგვიბედა ომი და შევიდა სოფელს რულუჯში,⁴ – ნახე კარტა – მაგრამ მამაცნი ჩვენნი მილიციონერები, ტაბასარანის ბეგები, რომელთაგან, სწორედა ვჰსთქუა, არა მქონდა ეს იმედი – ვიდრე რუსის ჯარი მიეშველებოდა, ხმალდახმალ შეცვინდნენ სოფელში და გარეკეს მტერი ყიყინითა და გინებითა. აქ ჩვენმა ნინიკამ თავის სტუცერიითა ერთი მოკლა და ერთი დაჰსჭრა; და აბდულხალილამაც დიდი გამოაჩინა ვაჟკაცობა. ჩვენის მხრით დაიჭრა დიახ სუსტად სულთან-ახმედბეგ,⁵ ამაზედ უფრო დიდად დაიჭრა ტაბასარანის ბეგი, ყმანვილი კაცი იბრეიმბეგ ასკარბეგ⁶-ოლი,⁷ მაგრამ არცარა ამას უშავს, და ორი თუ სამი მილიციონერიკი მძიმედ. – ჯერ ამით გათავდა ომი და პირველი გამარჯვება; შემდეგ ვნახოთ, ღთ⁸ როგორ კეთილად დააბოლოებს ამ დაწყებულს საქმესა. –

ტაბასარანელები სრულებით არ მოელოდნენ იმას, რომ მე გავბედავდი აქ მოსვლასა: ნადირშაჰიმ⁹ ყალუხის მთიდან ვერ გაბედა ამ ხეობაში შემოსვლა; მადათოვმაც¹⁰ რუსის ჯარით ვერ მოახნია აქამდის; არლუთინსკიმაც¹¹ სხუა გზაზედ აიარა; წლეულს მინკვიცი ორიოდ დღე იდგა ყალუხზედ და დაბრუნდა იქიდან. – ამა მიზეზთაგამო ახლაც იმასვე იძახდნენ „ბევრჯელ მოსულან და დაბრუნებულან“ და სრულიად გულმოსვენებით ელოდნენ, რომ მეცა შორიდან დაუნყებ ლაპარაკსა, ვიდგები ერთი ორი დღე და წავალ იქა, საიდანაც მოველ. – მაგრამ ძალიან შეჰსცდნენ, და ახლა თავპირში იცემენ, ჰხედვენ რა, თუ როგორ ინგრევიქცევი-ინვის, მართლად მშვენივრად აშენებულნი თლილის ქვით, ჩუქურთმიან-

ნი სახლები. – ამ ორს სოფელში უშვებ მხოლოდ ერთს მე-
ჩითსა და დანარჩენსაკი ვჰსთხრი ძირიანად. –

ამა ორის სოფლის გაობრებამ შეაძრუნა ტაბასარანი
და ყაითალი, და ახლა მოდიან და მოდიან დეპუტატები ერ-
თგულებისა და მორჩილებისა განცხადებისათვის. – მაგრამ რა
გამოვიდა, ხალხსა მოვლა უნდა! –

ხვალე მივჰყოფ ხელსა ტყის გაკაფისა და გზის გაკეთე-
ბისათვის.

ახლა¹² ჩემო დიმიტრი, შენი მხოლოდ ერთი წერილი მი-
ვიღე, ისიც დერბენდშივე, და მის შემდეგ აღარა ვიცირა მან-
დაურობისა. –

ჩვენის ქალების მოსვლისა რა იცი?

ლუბერნატორმა მაშინვე მისცა ადგილი შენს სარქისოვ-
სა, რომელიცა ახლავ გაგზავნე. – ჯერ ისაია მომიკითხე და
მერე ვოლკოვები.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №25 (392)

ოჰ, რა დიდად შემანუხე შენის წერილით, ჩემო დიმიტ-
რი, რომელიცა მივიღე დღეს! არა, რა სამახარობლოს მოე-
ლოდი ჩემგან, რომ აგრე ისარსავით შემომტყოცნე ამბავი მუ-
ხუდდინის სიკუდილისა? – ვაი რა კარგი ყმანვილი კაცი იყო,
ჭკვიანი, ვაჟკაცი და სამსახურისათვის განმზადებული. მარტო
ეგ საბრალო თავის ვაჟკაცობით ინახავდა ერფელისს. – მარ-
თაღს ამბობ: კარგნი უნდა დაიხოცნენ უდროოდ; შამხალიკი
თავის შვილით იცოცხლებს ასს წელიწადს. – მახლაზ, რა გა-
ენწყობა! რამდენჯერ დავტუქსე სანყალი მუხუდდინ, რომე-

ლიც აგრე თავალებით მიაჭენებდა გამოუცდელი ომში; მაგრამ რალა დროსია ეს თქმა!

ტაბასარანელები ნელნელა მოვიდნენ კისერჩამოვარდნილნი, ჰხედვენრა რომ მე აქედამ არა ვპბრუნდები უკან; შინმაჰმადიკი, გაიქცა უნციტალში და როგორც ამბობენ დამალულია შილაგაში¹ ცოლშვილით. – ორს დღეზედ მოვრჩებით ხეობის გაკაფასა ხანაქიდამ² ხუშნიმდის³ – ნახე კარტა – მერე, ლთ⁴ის⁴ შენვევნით, შეუდგებით გაკაფასა ხუშნიკამდის⁵ და იმის იქითაც; და კიდევ მერე დაბრუნებაზედ გავეჰკაფავ ხოშნიდამ⁶ ყალუხის ხეობასა, და არკიტის ხეობასა, და თუ მანამდის დავრჩი ცოცხალი გიახლებით შურაში.

სხუა რალა გითხრა, კაცი რომ გაბაიყუშდება შენ დაგემზგავსება; აბა ვინძლო ერთი კიდევ ამგვარი რამ მოინერო.

ბარონ ნიკოლაი მწერს, რომ ვრევსკის მაგიერ დაუნიშნავთ კნიაზი ბებუთოვი ვარშავიდამ.

ვოლკოვი მომიკითხე;⁷ ისაიას უთხარ რომ ნინა ალექსანდროვნამ მოკითხვა მოსწერა მაგ ქორსა,⁸ ესე იგი ბრმასა. –

ომერფაშა აფხაზეთიდამ წამოსულა 15/ათას კაცით მენგრელიისაკენ; კნიაზი ივანე მუხრანსკი თავის ოტრიადითა უდგას პირდაპირ, და ვნახოთ როგორ დაბოლოვდება იქ საქმე.

მუხუდდინის⁹ ბიძაშვილი მაჰარდამ,¹⁰ რომელიცა ჰმსახურებს ბაგრატიონის პოლკში წავიდეს და მოუაროს ერფელისს, რადგანაც ამათი ბიძა აბდულ რახმანი გროშად არა ღირს, სავსე უგუნურობითა. – ეს ურჩიე ვოლკოვსა და ვნახოთ როგორ გამოდგება.

ჩემი ცხენი როგორ არის; მოურჩაა ფეხი?

შენი კეთილის მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

5^ა ნომბ: 1855

სოფ: ხანაქ. ტაბასარანში¹¹

6^ბ ნომბ:¹ ხანაქით² 1855

დამატება გუშინდელსა წერილსაზედა:³

კნიაზმა გრიგოლ ერისთავმა კიდევ ერთი კარგი საქმე გამოატყვერინა, რათა მისცეს მიზეზი ლუბერნატორსა ჩივილისათვის: რამდენთამე დერბენდელთა არზით იჩივლეს, რომ ყუზბის უეზდის ნაჩალნიკის ბძანებითა პურს ველარ იყიდიან იმ უეზდში ვერცა დერბენდელნი, და ვერცა ბაქო-შამახელნი, და ყოველს გზებზედაც დაუყენებია ყარაულები, რომელნიცა იჭერენ მათ, ვისაც ნასყიდი პური, ან ფქვილი, მოაქუსთ თავიანთთვს. – ეს სადაური ჰსჯულება? – დერბენდში წლელს არიყო მოსავალი პურისა; მაშასადამე გრიგოლ ერისთავის წყალობითა უნდა მთელი ქალაქი ამონყდეს შიმშილითა? უფალნი უეზდის ნაჩალნიკები აი ასე ჰსთარგმნიან – „როცა უნდათ – ბძანებასა, ანუ განკარგულებასა მთავრობისასა.“ – „казенным подрядчикам оказать содействие в закупке хлеба“.

– Эта простая, очень понятная фраза, всякий год помещаемая в предписаниях к Уездным начальникам при закупке хлеба подрядчиками, теперь перетолкована таким образом, что ежелибы житель Дербенда умирал с голоду, он не может купить хлеба в Кубе!!!! თუ გინდ ერთს კიდევ დავსვათ!!! მოდი და ყელში სისხლი ნუ მოგივა!

მეორე უფრო კარგი და დიას საქები ამბავი მოგვივიდა თელავიდან: იქაურნი ორნი ვაჭარნი – გვარები დამავინყდა – მოსულან ყუბაში სავაჭროდ, რაც უნდოდათ უვაჭრიათ, და ბოლოს, წასვლის დროს, პოლიციაში მისულან და უთხოვნიათ, რომ პოდაროყნა, რომლითაც მოსულიყუნენ თელავიდან – დაუმტკიცონ, რადგანაც სმოტრიტელი არ აძლევდა ცხენებსა პოლიციის შეუმონმებლად. პოლიციაში უნახავთ, რომ

პოდაროჟნაზედ ლუბერნატორის ხელი არ აწერია. – ამაზედ დაუჭერიათ და ჩაუსვამთ ტურმაში. – ყუბის ვაჭარნი მისულან ერისთავთან, იქაური მღუდელიც, უთხოვნიათ მათ, რომ ესენი თავდებათ იქმნებიან, ოღონდ ტურმაში ნუ ჩასხამთო. „ერისთავს არ უყაბულნია. – იმ სანყლებსა გაუგზავნიათ ესტაჟეტა თელავში, საიდამაც მოსვლიათ პასუხი, რომ შეცთომით კაზნაჩეისტვოდამ მიუციათ ხელმოუნერალი პოდაროჟნა. – ახლა ამ ვაჭრებისაგან თელავიდან მოუვიდა ლუბერნატორს არზა ლერბოვის ქალაღზედ, რომელშიაც ჰსჩივიან უსამართლოებაზედ, ტურმაში ჩაგდებაზედ, რომლითაცა მიეცათ ზინი თითქმის ასი თუმანი, და ამასაც ჰსწერენ ცხადად, რომ მანამ თორმეტი პოლუიმპერიალი არ მივეცით ერისთავსა ამადაამ კაცის ხელით – კიდევ სახელი დამავინყდა – ერისთავმა თავდებობით არ გამოგვიშვაო! როგორ მოგწონს ეს ამბავი? – რა საკურველია, ეს ჩივილი უნდა იყოს ტყუილი; მაგრამ ჩირქიანი საქმეკია გრიგოლ ერისთავისათჳს, და დიდად გასახარებელი მის მტრებისათჳს, რომელნიცა არიან რიცხვით აქა არაცოტანი.–

გრიგოლი დავიბარე აქა, მოველი ყოველს დღესა, მაგრამ ჯერაც არ მოვიდა, რომ დამენახვებინა შეუძლებლობა ამასიქით ამის აქ სამსახურისა.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

[IV გვერდზე მისამართი წერია:]

Его Сіятельству,
Книзю Дмитрію Давидовичу,
Джорджадзе.
В Шуру.^{4*}

სახაზინო მენარდეებს ხელი შეუწყონ პურის შესყიდვაში". — ეს მარტივი, ფრიად გასაგები ჭრაზა, ყოველ ნელს რომ გვხვდება ხოლმე მაზრის უფროსებისათვის გაგზავნილ მითითებებში მენარდეების მიერ პურის შესყიდვისას, ან გადასხვაფერებულია იმგუარად, რომ შიმშილითაც რომ მოკუდეს დერბენდის ბინადარი, ის ვერ შეძლებს პურის ყიდვას კუბასა!!!

მის ბრწყინვალეობას,

თავად დიმიტრი დავილოვიჩს,

ჯორჯაძეს.

შურას.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №27 (394)

12^ა ნომბ: 1855. ლუჩნიკის სიახლოეს... ნახე კარტა.

ჩემო დიმიტრი! არა, რა სასიამოვნო გგონია, რომ ყოველს ნერილში მიაბობ მუხუდდინის სიკუდილსა და ერფელელების დახოცვასა? შევიტყე დიდი ხანია ეს შესაწუხებელი ამბავი; მაგრამ მაინც კიდევ შენგან ორი დიდი¹ თაბახი მომივიდა გუშინნი[6]² ისევ იმ ამბითა. — ჯერკი ძალიან გამეხარდა, ვნახე რა ვეება ნერილი; ვჰსთქვი, აბა აქ იქნება ქვეყნის ამბავი, და შეეჰსცდი დიდად!

ახლა ჩემო ბატონო, გუშინ ვერ მოგწერე პასუხი, რადგანაც ნაველ სარეკოლნოსციროვკად,³ ორმოცამდის ვერსი მოვიარე და გამოვარჩიე ის გზა გასაკეთებლად, რომელზედაც ჰაჯიმურადმა გაიარა 1851 ნელსა. ეს გზა მიდის სულ ქედზედ და შეერთდება აშტიყუყუმის დიდს მთებსა, და არსად არ არის იმისთანა ადგილი, სადაცა მტერსა შეეძლოს წინადადგომა. — არლუთინსკის გზაზედკი ასეთი ღრმა ხევი ძევს ტყიანი, კლდიანი, და ზედვე სოფელი, რომ თუ აქ მტერი შეხუდა ჩვენს ჯარსა, დიდს ზიანს მისცემს. — გუშინ მაინცკი ამ ხევის გზა გავაკეთებინე სოფლების შესაშინებლად,⁴ და დღეს, ესე იგი, ნახევარს საათს უკან, გადავალ ზევით ქედზედ და ხვალ, ღთის⁵ შეწევით, მივჰყოფ გაკაფასა ტყისასა. — ტაბასარანელებმა რამდენჯერმე შეჰკრიბეს ჯარნი,⁶ რომ ნუ გავაკეთებინებთ გზასაო, თავები დავიხოცოთო, თორემ ბოლოს

ძალად გაგვხდის კნიაზიო; მაგრამ ჩემმა პარტიამ აჯობა და დაიშალნენ.

გრიგოლ⁷ ერისთავი აქ არის; ამბობს, გავალ აღარ დავდგებიო. – ქალაქიდან ამას ჰსწერენ, რომ მითომ ჩილაევის მაგიერ ჰნიშნავდენ ლუბერნატორად შამახიისა კოსტანტინეს თარხანოვს. – სოსიკო კამენდანტი მწერს, რომ ნინა ალექსანდროვნას მოსვლია დავითის წერილი, რომლითაც აცნობებს, რომ ჩვენის ქალებისათვის მოსკოვში გაუმყლავნებიათ ძმის სიკუდილი და ამა მიზეზით კიდევ დარჩებიან რამდენსამე თვესა.

გუშინ ერთი შიხმაჰმადის თანაშემწე მომგვარა ჯამობეგის შვილმა, დიდი თურმე მნიგნობარი, სახელად აბდულყადარი⁸ ყადი,⁹ ჯერ შარიათისთვის ვებაასე, აუხსენ რაჲ არს სწორე შარიათი, და მერე გავმართახე,¹⁰ ასე რომ ჩემს შარიათსა არდაივინყებს, თუ ცოცხალილა დარჩა.

რეზულტატი ტაბასარანის ექსპედიციისა და ორის სოფლის გაოხრებისა ეს გახლავსთ, რომ მთლად ყაითალი დამშვიდდა, და თუთ შილალიცა,¹¹ რომლიდამაც მომივიდა წერილი სულთანახმედის¹² ხელითა. სწორე გითხრა ეს ძალიან მიამა, ვიცირა, რომ შამილას ეს ამბავი ლახვრად ეცემა გულში, მეტადრე სულთანახმედისათვის, რომელიცა იყო მთელის ყაითალის ამშლელი და ამის ძალითა ჰაჯი მაჰმადყადი და შიხმაჰმად ჰქადაგებდენ შარიათსა და აღრევდენ ყაითალ-ტაბასარანსა. – ეს უფროა სასიხარულოდ ჩემდა, რომ ამისთანა საქმე მოხდა თითქმის უსისხლოდ, და ვნახოთ შემდეგ, ლთ¹³ რას ინებებს. –

ლთ¹⁴ იყოს შენი მფარველი; თუ მოდიხარ, მოდი.

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

დიდხანია თქუენი წერილი აღარ მომსვლია და არცა სანდროს ამბავი შემიტყვია; ფულებსაც უგზავნი მაგრამ მაინც არასა მწერს. – მითომ სწავლაში ასე გართულია, რომ დრო აღარა აქუს მოწერისათვის. – ნეტავიკი კარგად ისწავლოს და მე სულ ნუ მომწერს. –

ეს ორი კვირა არის, რა ჯარით შემოველ ტაბასარანში, და ღთწის¹ შეწვევითა კეთილად ჰსრულდება ეს ეკსპედიცია; აქ მექმნება ორის ან სამის დღის საქმე და მერე დავბრუნდები; გზაზედაც დავრჩები სხუა და სხუა საქმეებისაგამო ოთხი დღე, და მასუკან მივალ დერბენდს² და იქიდან გავჰსწევ შურისკენ, ასე რომ, იმედი მაქუს ამთვის გასულს იქ ვიყო. –

იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ; ერთხელ რომ მაგათი წერილი მომივიდეს რა იქნება? –

ამბობენ, ვითომ ძალუა ვარინკა და ჭავჭავაძიანნი დარჩებიან მოსკოვში სამს თვესა, რადგანაც გაუმჟღავნებიათ ძმის სიკუდილი. – ამათი ამბავი სწორედ იობის ღალადისია!

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

15^ა ნოემბ: 1855.

ტაბასარანიდან.³

ყაფლან ორბელიანისადმი №5 (396)

15^h ნომ: 1855¹ ტაბასარანით²

ჩემო თვალის ჩინო ძმაო ყაფლან!

დიდხანია აღარა ყოფილარა ჩემთვის სასიხარულოდ ისე, როგორც შენი წერილი გუშინ. ასე გაშინვე, ერთს ტუსაღს მურახასი³ უყავ, რომელიცა იყო საციმბირო. – მწერ, რომ შენი ავათმყოფობა შევიტყე, იმიტომ მოგწერეო⁴. ოღონდ შენი წერილი, შენი ამბავი, მომდიოდეს ხშირად, და თუ გინდა ეხლავ კიდევ დავჰსწვები ქვეშაგებში კრუსუნითა და ხენეშითა. – ხომ იცი, რომ ზაქარია, ილია და შენ ჩემთვის იყავით ერთი და იგივე, და სამთავე ძმათა არა გვიამებოდარა უშენოდ. – ახლა მარტო შენლა მყევხარ. ნუგეშად, და ზოგჯერ ხუმრობისათვის არუნდა დამემდურო. – სუყველა ძალუები შენ გენაცვალნენ. –

ამ ჟამად გახლავარ ტაბასარანში ჯარითა, სადაცა ორი სოფელი ამოვთხარე ძირიანათ და ახლა ვაკეთებ გზასა ყაზიყუმუხში პირდაპირ დერბენდიდამ გადასასვლელად. – აქაური ხალხი, რომელიცა დიდად მურუდობდა და შიშით დაფანტული იყო მთებში, ტყეებში, ნელნელა გამოვაყვანინე და იქამდის მივიყვანე ჩემის ქადაგებითა, რომ უზდენი ხალხი, თავის დღეში თავისუფალი, უბატონო, უპატრონო, დღეს ხუთასი კაცი ჰკაფამს თავიანთვე ტყესა და მიკეთებს გზასა. – სასაცილო ეს არის, რომ თითონვე ლაპარაკობენ „ეს თავის დღეში არ ყოფილა ათადან ბაბადან, ჩვენ უზდენები ვართ“ ამას ლაპარაკობენ და ჰკაფენკი ტყესა. და როცა სალამსალამოს მივალ იმათთან, ვაქებ იმათ ერთგულობას, და ამასთანავე ვაძლევ ცხვრებსა, მაშინ ყველაფერი ავინყდებათ მწვადების ეშხითა. – აი აქაური ისტორია:

სულადრე იყო ამ მხარესა ნადირშაჰ⁴, მაგრამ ყალუხის⁵ მთილამ⁶ ვერ გაბედა ჩამოსვლა; შემდეგ მოვიდა მადათოვი, მაგრამ ნაპირის სოფელში იყო; მასუკან პანკრატიევი⁷ და მიკლა-

შევსკი⁸ ისევ ყალუხის მთაზე მოვიდნენ და დაბრუნდნენ; დადიანი⁹ ძალიან დაამარცხეს ნაპირის სოფელთანვე ასე რომ თავის პოლკის აბოზი სულ დასწვა; არლუთინსკიმ¹⁰ გაიარა სხუა სოფლებზედ მოშორებით 1851 წელსა და დაჰყო მხოლოდ ერთი ღამე და წავიდა სიჩქარით. – მასაქეთ დაბუდდა მურუდობა და შარიათის ქადაგება; ორიწელიწადი არამეშველარა, ვერა გავანყერა, ვერცა წიგნების მიწერით, ვერცა კაცების გზავნითა; წლეულს გაზაფხულზე მინკვიცი¹¹ გავგზავნე ოთხის ბატალიონით; მაგრამ რადღესაც დაბრუნდა, უფრო აიშალა ხალხი. – ბოლოს რალა გავაგრძელო, მოველ და დავანექ დიდად მძიმედ და ეს თექვსმეტი დღეა აღარ გავდივარ აქედამ. –

დღეს ყაითალიდამ მომიტანეს თავი გაქცეულისა ყაზახის ურიადნიკისა, რომელიცა იყო სამასის კაცის უფროსი აქა, და ნიზამს აწყობდა ჯარებისას; დიდი ყურუმსალი და ჰარამზადა; გათათრდა და სახელად ჰუსეინ დაირქო.

ქალაქიდან გათავდა; ძალუა და შენი შვილები სიყუარულით დამიკოცნე.

შენი გრიგოლ ორბელიანი

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №28 (397)

ჩემო ბატონო დიმიტრი! მერე:

შენეწნითა ღთისათა¹ ჰაჯიმურადის გზა, რომელსაცა ახლა აქაურმა ხალხმა სახელად დაარქუა კნიაზ² იოლ³ – შესრულდა დღეს; ამის გამო ხვალ დავინევ უკან, ესე იგი, დავიბანაკებ ხუშნისთან,⁴ რომლისა სიახლოეს⁵ შეუდგები ყალუხის⁵ გზის გაკეთებასა, და შემდეგ გადვინაცვლებ ფეხსა მარალაში;⁶ ამ გზაზედაც ერთის ან ორის დღის სამუშაო მექმნება, და ამით დაბოლოვდება ჩუწნი ეს ეკსპედიცია, რომლისა დამფასებელი არის მხოლოდ კნიაზ ვარანცოვი; ხუთი წელიწადი ჰსწერდა არლუ-

თინსკისა ამ პლანის აღსრულებასა, და ვერ აღსრულდა აქამომდის.

გაქცეულის ურიადნიკის თავი მომართვეს, და მეცა უწყალობე ოცი თუმანი.

მაგრამ⁷ შიხმაჰმადის ბუდეს არ იქნა ვერ მივაგენ.

იქამდის მივიყუანე საქმე, რომ ტაბასარანელები გამოვიყვანე 500 კაცამდის ცულებითა და ვაკაფინე იმათივე ტყე. მაგრამ სასაცილო ეს იყო, რომ თუთონვე ამბობენ „ჩვენ უზდენები ვართ თავისუფალნი, მუშაობა ჩვენი საქმე არ არის; ეს მამაპაპას არუქნია“ ამას ამბობენ და ჰკაფენკი ტყესა! მეტადრე სალამ სალამოს რომ დავახვედრებდი ცხვრებსა სამწვადედ და ამასთანა კარგს შესხმასაც ვეცყოდი ამათის ერთგულებისათვის, ყოველივე ავინყდებოდათ და იძახდნენ, კნიაზ სალოლსუნ!

ამ მინუტში მოვიდა ფოშტა და მომიტანა შენი ნერილი. – დიდად მიხარიან, რომ ლიდია დანიშნულა და უპოვნია იდეალო,⁸ რომელსაცა ეძებდა აქამომდის. –

რა დაემართა მაგ საწყალს ისაიას, რომ აქამომდის ვერ მორჩა; ძალიან მენუხება მაგის ავათმყოფობა.

გრიგოლ ერისთავი იყო აქა და დავაბრუნე დერბენდში; ლუბერნატორსაც მივსწერე, რომ ვიდრე გათავდეს გამოძიება, დერბენდში იყოს. – გრიგოლიცა არზას მიართმევს ავათმყოფობისაგამო თანამდებობიდან გადადგომისათვის და ამათი საქმეც ამით დაბოლოვდება, და ჩვენცა მოვრჩებით ამდენს⁹ დავიდარაბას,¹⁰ ვითარცა ჰსთქუა მელექსემ.

არვიცი მოგწერეა, რომ მუხრანსკისა, ივანეს, ჰქონია ომი ინლურის მდინარესთან, მითომ ოსმალები მოუკლამს ნ/ათასი; მაგრამ რადგანაც ოთხის ბატალიონის მეტი არა ჰყუანდა, ამისგამო დაუნეგია უკან და სამი ზარბაზანიც დარჩენია, რადგანაც არტილერიის ცხენები დაჰხოცია. ახალი პოზიცია აღურჩევია ცივზე¹¹; და ზუგდიდიკი¹² დაუჭერიათ ოსმალოთა. – ეკატერინა იმყოფება გორდს.¹³ –

შენ ესა ჰსთქვი 16 ბატალიონიდან როგორ ვერ შეჰკრიბა ომის დღესა რვა მაინცა? ახლა ოპოჩინინი გაუგზავნიათ სამის

ბატ: გორიდამაც მიუშველებიათ ერთი ბატარეა და ორი ბატალ:
ახალციხიდან. –

საქმე გაჭირდა იქით მხარესაც.
სხვეებრ მშვიდობით

შენი ბედნიერების მოსურნე
გრიგოლ ორბელიანი

17 ნოემ: 1855

ტაბასარანით. სოფელი ქულუყ.¹⁴

[41v გვერდის ბოლოს, ქვემოთ, მარცხენა კუთხეში, ირიბადაა
მინერილი:]

ჩვენის ქალებისათვის გაუმყლავნებიათ ძმის სიკუდილი და
თურმე დარჩებიან მოსკოვში სამს თვესა. –

* სადაცა დადიანმა, ძალიან საქმე გაჭირებულმან, დაჰსწვა მთლად თა-
ვის პოლკის აბოზი და ძლივს გამოახწია თავი.¹⁵

ბაბაღე საგინაშვილისადმი №10 (398)

ჩემო საკუთარო დაო ბაბაღე! რა დაგემართა, რად დამი-
ვინყე ასე უწყალოდ, რომ ეს რამდენიმე თვეა, შენი წერილი არ
მომსვლია და არცა ალექსანდრესაგან? სადა ხართ? ვისთანა
ხართ? ასე როგორა ხართ გართულნი საქმეში, რომ ერთხელ
ჩემთვის ველარ მოიცალეთ?

მე ამის წინად ძალიან ავათ ვიყავ ზაფრის ცხელებით;
ჯერ არცკი ვიყავ მორჩენილი, რომ მომიხდა პახოდობა. ნაველ
ჯარით ტაბასარანში; გავაოხრე ორი მათი სოფელი; ხალხი დამ-
მორჩილდა, დამშვიდდა; საცა საჭირო იყო, ესე იგი ხუთს ად-
გილს, გავაკეთე გზები ტყეების გაკაფითა თითო მხარეს თოფის

მანძილზედ, და ლ¹ თის¹ შენეენითა მოველ მშვიდობიანად შურა-
ში. –

აქ შევიტყვე, რომ მითომ ოსმალს ჯარი შესულიყოს
ზუგდიდში. – შემატყობინეთ, რა ამბავია იმ მხარესა, და ანუ
რას ჰშვრებიან დადიანები და იქაურნი თავად-აზნაურნი? – რა
საკურველია, იმერეთიც ძალიან შეშინებული იქნება! მაგრამ რა-
სა იქს იქა ოსმალს, თუკი ხალხი გულიანად და მარჯვე-ვაჟკა-
ცობით დაუხვდა? თუ რიგი და წესი იქნება, მარტო იქაური
ხალხი ეყოფა პასუხის გასაცემად ურუსის ჯაროდაც. –

ჩვენი ქალები, რომელთაგან დიდი ხანია აღარ მომსვლია
ამბავი, მგონია ამ ზამთარსა დარჩნენ მოსკოვში.– როგორც
მესმის, საბრალობელის ძმის სიკუდილი გაუმჟღავნებიათ და
ამისგამო დარჩენილან სამს თვესა; მაგრამ როგორღა წამოვლენ
სამს თვეს უკან ზამთარში პატარა ბაჭყალა ყმანვილებითა! –

ამ შემოდგომაზე მქონდა იმედი მთავარმართებლის აქ
მობძანებისათვის გასაჩხრეკად ამა მხარისა, რომ მაშინ დაე-
სთხოვნოდი რამდენისამე დღით ქალაქში ჩამოსვლისათვის, მაგ-
რამ არიქნა: მთავარმართებელი, როგორცა ჰსჩანს, მანამ ყარსს
არ აიღებს, არსად წაბძანდება, და მეცა ვჰრჩები აქამომდის შუ-
რაში თქუენი უხილველი! –

ჩემს საყუარელს, საკუთარს ძალუას სიყუარულით მოვი-
კითხავ; ეგრეთუე ჩემს საყუარელს ალექსანდრეს, რომელსაც,
ვემდურიკი, რომ არასა მწერს. – სხუა რომ ვერა დავაკლორა,
ბრილადნის კამანდირთან უჩივლებ და დავაბეზლებ. –

ლ² თი² იყოს თქუენი მფარველი

შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი

1^h დეკემ: 1855.

თემირხანშურით.³

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! მიკვირს და მიკვირს, რომ ერთხელ თქუენი წერილი, თქუენი ამბავი, აღარ მომივიდა; სადა ხართ და ანუ რასა იქ? იქნება საძაგელის ოსმალებისაგან შეგეშინდათ და ხართ ახლა სადმე კუთხეში მიმალულნი? – საკურველია რომ არცა სანდრო მწერს თავის ამბავსა! გუშინ აბესალომოვი¹ ვნახე პეტერბულიდამ მომავალი, რომელსაცა ენახა სანდროცა და შვილიცა კნიაზის ვასილი ოსებიჩისა; მშვიდობით არიან და ძალიანაც მოსწონებია ორნივე. – ვნახოთ! – ჩვენი ქალებიც უნახავს მოსკოვში და დავითიცა; ამათი რალა ვჰსთქუა: რაც წასულან მხოლოდ ორჯელ მომივიდა წერილი. – მეც ჰალალებდათ ვჰსწერ მოსკოვში და სწორეკი არ ვიცვი, იქვე არიან, თუ წამოვიდნენ? –

შემატყობინეთ, იმერეთისაკენ და მენგრელიისაკენ რა ამბავი იყო, როცა ოსმალო მოახლოვდა იმათ სამზღუარსა? ხომ არ შეშინდნენ? – ანუ ჩვენი ეკატერინა როგორ იყო და სადა? –

იაკინთე და სარდიონ მომიკითხეთ სიყუარულით მათის ცოლშვილებით.

მომწერეთ, დატყვევებულნი ანგლიჩნები იხილეთ თუ არა? – ან მიაყარეთა ქოქოლა?

ჩემი საკუთარი ყაფლან, თქვენი ბატონი და ხელმწიფე, თქუენი ხელიხელთ საგოგმანები, სიყუარულით მომიკითხეთ მისის ქულჭათით. –

ზემოუბნელები როგორ არიან ქეიფზედა? – ერთის სიტყვით, ყოველივე უნდა მომწეროთ დანვრილებით და აუჩქარებლად, რომ არა დაგავინყდესთრა.

ძალუა ნინა თავის შვილის შვილებით მომიკითხეთ დიდად და დიდის გულითადის სიყუარულით. –

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

9^ლ დეკემ: 1855.

თემირხანშური[თ].²

ქეთევან ორბელიანისადმი №79 (400)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

ერთი შემატყობინეთ, სად იმყოფებით და ან რომელს უდაბნოში, რომ აქამომდის ერთხელ აღარ მომიკითხეთ ნერილითა? მიკვირს და მიკვირს, ვეძებ მიზეზსა და ვერა მიპოვიარა ისეთი მძიმე, დიდი, ძალისა და ღონის წამრთმევი საქმე, რომელიცა გაბრკოლებსთ ჩემდა მოწერასა! –

ყაფლანს თავის ქულქათით სიყუარულით მოვიკითხავ, და ბაბაღეს ჩავკოცნი.

თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი

16 დეკემ: 1855:

თემირხანშურით.¹

ქეთევან ორბელიანისადმი №80 (401)

ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!

გუშინ, მხოლოდ გუშინ, შევიტყე ჩემი ახალი უბედურება, ჩემის ოჯახისა დამხოზა ძირიანად, უდროოდ დამინება ჩემის სულიერის შვილისა სანდროსი, რომელიცა მეგულებოდა ჩემის ძმების სამაგიეროდ და ვნუგეშობდი მით მოხუცებლობის ჟამსა!

–

ოჰ ღმერთო, რა საშინლად მძსჯვი ცოდუათა ჩემთათუს! – ახლა რალა უნდა გვექონდეს ჩვენ სასიხარულოდ ამ სოფელში? რალას უნდა მოველოდეთ მომავალში? – დავრჩით ასე უწყალოდ უნუგეშად მეცა და შენცა, ჩემო უბედურო ძალუავ! – რა

ვჰქნა, სად წავიდე, სად დავიკარგო ესოდენის ვაებისაგან? –
ამასაც მოვესწარ! –

პირიმლუთისამ მოგცესთ თქუენ ნუგეში!

თქუენი მორჩილი და უბედური გრიგოლ ორბელიანი

22 დეკემ:

1855.

თემირხანშურით.¹

ბასბოტები, შენიშვნები,
კომენტაჲები

სამეცნიერო აპარატი წამოდგენილია კომენტარებით, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლებითა და ლექსიკონით. რამდენადაც აქ არ არის მოცემული ავტორის ეპისტოლური მემკვიდრეობის ენის საკითხები (ენობრივი მიმოხილვა წამოდგენილი იქნება გრიგოლ ორბელიანის წერილების ბოლო ტომისთვის დართულ სამეცნიერო აპარატში), მოკლედ აღვნიშნავთ, რომ გამოცემაში ბოლომდეა დაცული ავტორისეული ორთოგრაფია, პუნქტუაცია და აბზაცები (გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კალმისმიერი ლაფსუსები დაფიქსირდა). ტექსტებში არსებული ენობრივად გაუმართავი ფრაზები ავტორისეულია და ჩვენ ისინი, რა თქმა უნდა, არ ჩაგვისწორებია. ნათქვამი თანაბრად ეხება როგორც ქართულ, ისე რუსულ წერილებს.

კომენტარებს წინ უძღვის პასპორტები, სადაც მკითხველი მიიღებს სრულ ინფორმაციას წერილის შესახებ. ეს ინფორმაცია განაწილებულია შემდეგ რუბრიკებში:

1. **ავტოგრაფი:** აქ ვიგებთ, სად და რა ნომრით ინახება ხელნაწერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი აღნიშნული გვაქვს C ლიტერით, ცენტრალური არქივი A, ხოლო ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი – Z ლიტერით.

2. **„თარიღი და ადგილი“:** აქ მოცემულია ავტორის მიერ მითითებული თარიღი და წერილის გამოგზავნის ადგილი. ავტორის მიერ წერილის დაუთარიღებლობის შემთხვევაში, სამეცნიერო აპარატს არ ახლავს მოცემული რუბრიკა;

3. **„ხელმოწერა“:** რუბრიკა შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, წერილი ხელმოწერილია თუ არა. თუ წერილი ხელმოუწერელია, რუბრიკა „ხელმოწერა“ პასპორტს არ ერთვის;

4. „ადრესატისადმი მიმართვის ფორმა“: აქ მკითხველი გაეცნობა ავტორის ადრესატისადმი დამოკიდებულებას: როგორ მიმართავს მას, რას უწოდებს და ა. შ.

5. „ავტოგრაფის აღწერილობა“: რუბრიკა გვანვდის ცნობას იმის შესახებ, თუ რა სახის, რა ზომისა და რა ფერის ქალღმერთი ბარათი დაწერილი, დაზიანებულია თუ არა ხელნაწერი, არის თუ არა გადახაზული ადგილები და ა. შ., ანუ, როგორია ტექსტის დღევანდელი მდგომარეობა;

6. „ადრესატის მისამართი“: აქ მოცემულია ადრესატის ადგილსამყოფელი. რუბრიკა წერილის პასპორტში იმ შემთხვევაშია წარმოდგენილი, თუ მისამართი ავტორის მიერაა დასახელებული. აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ორბელიანი იშვიათად აწერს მისამართს წერილზე. იგი, სავარაუდოდ, კონვერტზე იქნებოდა დაფიქსირებული, რაც დღემდე არ შენახულა. იშვიათად ადრესატის ადგილსამყოფელი წერილშია დასახელებული. უმრავლეს შემთხვევაში კი ჩვენ ის წლების მიხედვით ადრესატთა მოღვაწეობის გათვალისწინებით, აგრეთვე საანალიზო თუ სხვა წერილებში დასახელებული ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერებით აღვადგინეთ;

საპასპორტე რუბრიკებს მოსდევს წერილის შესახებ ინფორმაციის შემცველი შემდეგი რუბრიკები:

1. „შენიშვნები“: აქ კალმისმიერი შეცდომები და ტექსტის ენობრივი ლაფსუსებია აღწუსებული. ტექსტში მოცემული ნუმერაცია სწორედ შენიშვნებზე მიგვითითებს;

2. „პირველი პუბლიკაცია“: აქ ვიგებთ, პირველად რომელ გამომცემლობაში და როდის დაიბეჭდა წერილი, გამომცემის რომელ გვერდებზეა იგი განთავსებული და ა. შ.

3. „დათარილება“: რუბრიკაში, ფაქტების ანალიზის საფუძველზე, მოცემულია წერილის დაწერის სავარაუდო თარიღი და დასაბუთებულია მისი საფუძველი.

სამეცნიერო აპარატის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომენტარები, სადაც ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის ასახსნელად ბევრი ახალი მასალაა მოხმობილი.

თითოეული საკომენტარო ფრაზა დამონმებულია გვერდისა და სტრიქონის მითითებით, რომლებიც ერთმანეთისაგან მძიმითაა გამოყოფილი. კომენტარებში სტრიქონების ნომრები მითითებულია წლისა და სათაურის ჩაუთვლელად. შესაბამისად, მკითხველმა მისთვის საჭირო ინფორმაცია ამის გათვალისწინებით უნდა მოძებნოს. მაგ., თუ რომელიმე გვერდი იწყება წლისა და სათაურის აღნიშვნით, ვთქვათ, 1853, ქეთევან ორბელიანისადმი №53 (გვ. 8), პირველი სტრიქონი ამ გვერდზე იქნება „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“ და ა. შ., რომლითაც იწყება უშუალოდ წერილი.

კომენტარების შემდეგ გამოცემას ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებლები, რომლებიც ანბანურ რიგზეა დალაგებული და მკითხველს საშუალებას აძლევს, მისთვის სასურველი პიროვნება თუ გეოგრაფიული სახელი მითითებულ გვერდებზე მოძებნოს. საძიებლებში პირთა სახელები ტექსტური მონაცემითაა წარმოდგენილი, მაგ.: ნინა ალექსანდროვნა, ვარინკა, ბაბალე და სხვ., რომლებსაც ანოტაცია არ ახლავს. ანოტაცია დართული აქვს სახელის სწორ დასახელებას, რომელთანაც, ლექსიკონის პრინციპის გამოყენებით, გაგზავნილია ტექსტური მონაცემი. მაგ.: ნინა ალექსანდროვნა – იხ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო. ამდენად, ანოტირებულია ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო და არა ნინა ალექსანდროვნა. თუ ტექსტურ მონაცემსა და სწორ დასახელებას შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, ასეთ შემთხვევაში ტექსტური მონაცემი აღარ არის გაგზავნილი სწორ დასახელებასთან, ისინი ერთადაა წარმოდგენილი შემდეგი თან-

მიმდევრობით: ტექსტური მონაცემი – სწორი დასახელება – ანოტაცია, მაგ ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი სოლომონ არჩილის ძე (1859-1896) – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი, და ა. შ. თუ ავტორი სახელს რამდენიმე ვარიანტით ხმარობს, ყველა ეს ვარიანტი ასახულია საძიებელში და ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი, მაგ.: დანიილი//დანიილ-ბეკი, ალაღარბეგი//ალაღარი, ზაქარკა//ზახარკა და სხვ.

ქალი პიროვნებები წარმოდგენილი არიან ქალიშვილობის გვართ, რომლის გვერდითაც დეფისის შემდეგ მეუღლის გვარია დაფიქსირებული, მაგ, ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ, ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან და ა. შ. როცა ქალიშვილობის გვარი არ არის ცნობილი, პიროვნება მითითებულია მეუღლის გვართ, მაგ., ლუკმიაშვილისა, პოლორუელსკისა და სხვ.

საძიებლებში პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს გვერდები იმ შემთხვევებშიც აქვს მითითებული, როცა ისინი მხოლოდ იგულისხმება და დასახელებული არ არის, მაგ., თუ ტექსტში წერია „და“, „ძმა“, „სიძე“, „რძალი“, „ქალაქი“ და ა. შ. და ცნობილია, ვისზე, ან რაზეა საუბარი, გვერდები მითითებული აქვს ამ სიტყვების ქვეშ იგულისხმევენ პირთა თუ გეოგრაფიულ სახელებს, მაგ.: „სარდიონ დიდის სიყვარულით მომიკითხე; ეგრეთვე მაგის ცოლი.“ ამ შემთხვევაში საძიებელში გვერდი მითითებული აქვს სარდიონის ცოლსაც; სხვა მაგალითი: „დეკანოზს არდაზიანსა უთხარით, რომ მალე მოვართმევ ფულსა საფლავის ადგილისათვის ჩემის ძმისა“, – რამდენადაც ვიცით, რომ „ჩემი ძმის“ ქვეშ იგულისხმება ილია ორბელიანი, მას გვერდი საძიებელში ამ შემთხვევაშიც ეთითება. გეოგრაფიულ სახელს გვერდები აღენიშნება იმ შემთხვევებშიც, თუ ის წერილის დაწერის ადგილია.

როცა საუბარია ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, მაგრამ ის მოხსენიებულია ნათესავის საშუალებით, გვერდები ეთითება ორივე პიროვნებას, მაგ.: „племяник Кибита Маго-

მზი“ – საძიებელში ამ შემთხვევაში გვერდები მითითებული აქვს როგორც ყიბიტი-მაჰმადს, ისე მის ძმისშვილს.

საძიებელში გვერდები არ გვაქვს დაფიქსირებული იმ შემთხვევებში, როცა პიროვნება საზოგადო სახელით არის მოხსენიებული და ტექსტში ზუსტად არ ჩანს, ვისზეა საუბარი, ან როდესაც მთელი ოჯახია მოხსენიებული.

რაც შეეხებათ ადრესატებს, წერილების გვერდები არ მივუთითეთ მათ, ვის მიმართაც ბარათების უმრავლესობაა დაწერილი, მაგ., ილია ორბელიანს, ქეთევან ორბელიანს, მიხეილ ვორონცოვს, სვიმონ შალიკაშვილს, დიმიტრი ჯორჯაძეს. მათ გვერდები აღენიშნებათ იმ შემთხვევაში, თუ სხვა პირებისადმი გაგზავნილ წერილებში არიან მოხსენიებულნი, ან მათდამი მიმართულ წერილებში მათზე საუბარია, როგორც მესამე პირზე. სხვა ეპისტოლეთა ადრესატებს კი გვერდები აღნიშნული აქვთ.

საძიებელში ანოტაციები არ დავუთითეთ საქართველოს ქალაქებსა და მხარეებს, აგრეთვე კონტინენტებს, ცნობილ ქვეყნებს (მაგ., რუსეთს, თურქეთს). მათ მხოლოდ გვერდები აქვს მითითებული.

გეოგრაფიული სახელებიც ანოტირებულ საძიებელში გატანილია ტექსტური მონაცემით, მის გვერდით კი სწორი ფორმაა ასახული. თუ ავტორი გეოგრაფიულ სახელსაც, პირთა სახელის მსგავსად, ერთზე მეტი ვარიანტით ხმარობს, ყველა ეს ვარიანტი ასახულია საძიებელში და ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი, მაგ., თბილისი//ტიფლისი, კავკასია//კავკაზი და სხვ.

ჟანრის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექსიკონში, გარდა ლიტერატურულისა, სასაუბრო ფორმები, რუსიციზმები და უცხო წარმომავლობის სიტყვებიცაა ახსნილი. სიტყვა, საჭიროების შემთხვევაში, მოცემულია თავისი ვარიანტებით, რომლებიც ერთმანეთისაგან პარალელური ხაზებითაა გამოყოფილი. თითოეული ვარიანტის გვერდები და სტრიქონები ცალ-ცალკეა დამონშებული, რომლებიც ერთმანეთისაგან

ასევე პარალელური ხაზებითაა გამიჯნული. სალექსიკონო მასალა წარმოდგენილია ტექსტური ფორმებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა სალიტერატურო ფორმებს.

თითოეულ საქმიან შენიშვნას სამეცნიერო ჯგუფი დიდი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომი მუშაობისას.

ქეთევან ორბელიანისადმი №53 (269) (გვ. 8-9)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №313, გვ.: 74r-v, 75r.

თარიღი და ადგილი: „2^ს იანვარს 1853 წელი. თემირხან-შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით; სამივე გვერდი ფანქრით არის გადახაზული, გარდა 74v გვერდზე ტექსტის შემდეგი ნაწილისა: „სარდიონს უთხარით... ახლა ეგეც გაჯავრდება“, აგრეთვე თარიღისა და ადგილისა.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია სიღნაღში: „ეხლაც პირდაპირ ვგზავნი ამას სიღნაღში, სადაცა მეგულებით, და არ ვიცი გიპოვნისთ თუ არა ეს წერილი?“

შენიშვნები: 1. სიტყვები – „ცარსკის კალოდცაში“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. სიტყვები – „რამეთუ, უკეთუ, მიერით“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ; ბრჭყალებს ავტორი აღარ ხურავს; 4. ღვთით; 5. ღმერთმან; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 55-56.

წერილის ადრესატია გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასული ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 8,5. „არცა სანდრიკოს ამბავსა მწერო“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟ ალექსანდრეზე. ორბელიანის სხვა წერილების მიხედვით, ალექსანდრე 1852 წლის 15 ივნისს უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში. ძმისწულის მისამართს თავის რძალ ქეთევანს 1852 წლის 13 ოქტომბრის წერილშიც სთხოვს („მომწერეთ იმის ადრესი, მინდა მივსწერო“).

გვ. 8,8. „ველი კნიაზ არლუთინსკის“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე, რომელიც იყო დალესტინისა და კასპიისპირა ჯარების სარდალი და შტაბი ჰქონდა თემირხანშურაში. არლუთინსკის ხშირად უხდებოდა სხვადასხვა რეგიონში ხანგრძლივი გადაადგილება და ასეთ დროს მის მოვალეობას შტაბში გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა.

გვ. 8,9. „რომ წამოვიდე ზაქათალისაკენ“ – იმ დროს გრიგოლ ორბელიანი ჭარ-ბელაქნის ოლქის მმართველი იყო და ზაქათალაში მსახურობდა.

გვ. 8,10. „ჩემი პეტრე გამოვგზავნე“ – როგორც ეკატერინე დადიანისადმი 1856 წლის 28 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს, აქ საუბარი უნდა იყოს გრიგოლთან მომსახურე პეტრე კოპიაშვილზე.

გვ. 8,13-14. „მალმალ ნახავთ ბაბალესა ცარსკის კალოდცაში“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, რომელიც, როგორც ჩანს, იმ დროს ამჟამინდელ დედოფლისწყაროში ყოფილა.

გვ. 8,14-15. „ვლადიკავკაზსავით დაინყებს კელმნიფობასა“ – ორბელიანის სხვა წერილებიდანაც ჩანს, რომ ბარბარე, რომელიც გათხოვილი იყო გენერალ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე, იმ დროს ვლადიკავკაზში ცხოვრობდა.

გვ. 8,16-17. „სარდიონ დიდის სიყვარულით მომიკითხე“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 8,18-19. „მაგისგან დაწერილი ცისკარში“ – საუბარია სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმნილ მოთხრობაზე „ჟოკო“, რომელიც 1852 წლის „ცისკრის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა. სარდიონი პროფესიით ექიმი იყო, მაგრამ ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა და თანამშრომლობდა გაზეთ „კავკაზსა“ და ჟურნალ „ცისკარში“. ქართველი მკითხველისთვის ყველაზე უკეთ ცნობილია ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვის...“ საპასუხოდ დაწერილი მისი პოლემიკური წერილი.

გვ. 8,19-20. „მაიმუნის ხასიათის აღწერაში, რა საჭიროა სახარების სიტყვები“ – სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მიერ თარგმნილ მოთხრობაში „ჟოკო“ გადმოცემული იყო მაიმუნის ისტორია.

გვ. 8,24. „ალექსანდრე, ესე იგი მანანას შვილი“ – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანსა და მის დედაზე – მანანა მირმანოზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 8,25-26. „წავიდა ჩაჩანში კნიაზ ბარიატინსკისთან“ – გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი 1851 წლიდან იყო კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის შტაბის უფროსი, 1853 წლის 6 იანვარს დაინიშნა გენერალ-ადიუტანტად.

გვ. 8,26-27. „სტავროპოლიდამ კატოს წიგნი მომივიდა და იმის ქმრისა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისშვილ ეკატერინე ბარათაშვილსა და მის ქმარ რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №254, გვ.: 96r-v.

თარიღი და ადგილი: „2^ა იანვარს 1853 წელს თემირხან-შურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, დიდი ფორმატის, მოყვითალო ფერის ფურცლები; ზომები: გადაუკეცავისა: 43,3X26,7 სმ; გადაკეცილისა: 26,7X21,6 სმ; შესრულებულია შავი მელნით; 96v გვერდი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: წერილი 2 იანვარს არის დაწერილი და მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი თბილისში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, გრიგოლსაც ჰქონია ახალი წლისთვის სახლში წასვლის სურვილი, მაგრამ ვერ მოუხერხებია: „იმედი მქონდა საახალწლოდ მანდ მოსვლა, მაგრამ ახლა, მგონია, ძლივ სადღმარხოდ ჩამოვიდე.“ ამასთან, გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ თავის ახლობლებს: „ძალუა ბარბარე დიდის სიყვარულით მომიკითხე და მიულოცე ახალი წელიწადი ჩემმაგიერ, ეგრეთვე ნინუცი ჩამიოცნე.“

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. სიტყვები – „მადამ პალარუელსკაია“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ;

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 56-57.

წერილის ადრესატია გრიგოლის ძმა ილია დიმიტრის ძე ორბელიანი.

გვ. 9,6. „შენის ცოლით და შთამომავლობით“ – გრიგოლის ძმას იმ დროს ახალშერთული ჰყავდა ცოლი – ბარბარე

ილიას ასული ბაგრატიონი. შვილები ჯერ არ ჰყავდათ და მომავალი შთამომავლობა იგულისხმება.

გვ. 9,8-9. „კნიაზ არლუთინსკისა ჯერაც არა ისმისრა“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე, რომლის მოვალეობასაც ასრულებდა გრიგოლი თემირხანშურაში.

გვ. 9,14. „პეტრეს ხელთმძღვანელობასქვეშე“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლთან სამსახურში მყოფ პეტრე კოპი-აშვილზე.

გვ. 9,16-17. „მითომ ერთი ცოლთაგანი შამილას გაუშვია, უწინდელი გიმრელი“ – შამილის ერთი გიმრელი ცოლი – ჯავგარათი 1839 წელს დაიღუპა ახულგოს შტურმისას, მეორე – ფატიმატი – 1845 წელს. აქ მისი მეშვიდე ცოლი – მეორე ფატიმატი შეიძლება იგულისხმებოდეს, რომელიც მას მართლაც გაუშვია.

გვ. 9,17-18. „გამოუსტუმრებია აშილთასა“ – საუბარია დალესტნის სოფელზე.

გვ. 9,20. „იმის მამას აქუს ცხონება, კურთხეულს დინგაუს“ – საუბარია შამილის მამაზე – დენგავ (დონოგო) მუჰამედზე.

გვ. 9,20-21. „ნადირშაიმაც ეგოდენი წარმოგ ზაენა ხაზინა ინდოეთიდამ“ – საუბარია ირანის შაჰზე, რომელიც 1741-1742 წლებში ცდილობდა დალესტნის დაპყრობას.

გვ. 9,25-26. „მეტადრე მადამ პალარჟელსკაია“ – სავარაუდოდ, საუბარია სამხედრო პირის მეუღლეზე. გვარი Погоржельский პოლონურია და რუსეთში ხშირი არ იყო. ამიტომ, შესაძლოა, აქ საუბარი იყოს 1851 წელს წმინდა გიორგის ორდენით დაჯილდოებული მაიორის – ვასილ სტიფანეს ძე პოლორჟელსკის – მეუღლეზე.

გვ. 9,26-27. „კნიაზ ბაგრატიონი და სემენოვი საუცხოვოდ ჰსთამაშობენ“ – საუბარია 1825 წელს დაბადებულ ივანე რომანის ძე ბაგრატიონზე, რომელიც იმ დროს აფშერონის პოლკში კაპიტნად მსახურობდა. არსებობს თანამედროვეთა

მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ ხელმძღვანელობდა იგი თემირხანშურის მოყვარულთა თეატრს. იმის დამადასტურებელ ინფორმაციას, იგულისხმება თუ არა აქ ტრიფონ სემიონოვი, როგორც ეს გრიგოლ ორბელიანის წერილების 1937 წლის გამოცემაშია აღნიშნული, ვერ მივაკვლიეთ.

გვ. 10,4. „სანდროს ამბავი არა ვიცირა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, ვაჟ ალექსანდრეზე, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა.

გვ. 10,5-6. „ძალუა ქეთევანის წერილი არ მომსვლია“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარიას, მეუღლე ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 10,7. „ძალუა ბარბარე დიდის სიყვარულით მომიკითხე“ – საუბარია ილიას მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 10,8-9. „ნინუცი ჩამიკოცნე“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანისადმი №1 (271) (გვ. 10-11)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^ა (ძველი №175), გვ.: 13რ.

თარიღი და ადგილი: „Закаты“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Любезный мой Сандро!“

ავტოგრაფის აღწერილობა: თხელი, მოყვითალო ფერის ქალღიმი; ზომა: 34,5X24,5 სმ; შესრულებულია ბაცი შავი ფანქრით; სათაური ნასწორებია; არშიები რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა პეტერბურგში: „Радуюсь душевно, что Петербургский климат не вредит тебе.“

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: 1853 წლის 2 იანვარს თავისი რძლის – ქეთევანისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ გრიგოლ ორბელიანმა იმ დროს თავისი ძმისწულის, სანდროს, პეტერბურგის მისამართი არ იცოდა („ადრესი მაინც გამომიგზავნეთ, რომ მე პირდაპირ იმას დაუწყო მიწერა“) და არლუთინსკიც არ იყო დაბრუნებული თემირხანშურაში („დიდი ხანია ველი კნიაზ არლუთინსკის მოსვლასა შურაში“), წინამდებარე უთარილო წერილის მიხედვით კი ვიგებთ, რომ არლუთინსკი დაბრუნდა და სანდროს წერილი ჩამოუტანა „Аргутинскій привез мне твоё письмо“ და გრიგოლმა თავის ძმისწულს ფული გაუგზავნა („Ты просил у маменьки 100 руб. я их тебе посылаю“). შესაბამისად, ბარათი 1853 წლის 2 იანვრამდე ვერ იქნება გაგზავნილი. მეორე მხრივ, იგი აშკარად 10 აპრილს ქეთევანისადმი მიწერილ ბარათზე ადრეა დაწერილი, რადგან წინამდებარე წერილში გრიგოლი სანდროს ფულის გაგზავნას ჰპირდება, 10 აპრილის წერილში კი დედამისს სწერს, რომ სანდრომ მისი გაგზავნილი ფული უკვე მიიღო („აი მომირთმევია სანდრიკოს წერილი, რომელიცა მომივიდა ამისწინად. – ღთით კარგად არის და ფულიც მიუღია“). შესაბამისად, ამ წერილის გაგზავნის შემდეგ, 10 აპრილამდე, სანდროს უნდა მოესწრო ფულის მიღება და გრიგოლს უკვე უნდა ჰქონოდა მისული პასუხი, სადაც ძმისწული ფულის მიღებას ატყობინებდა. წერილის კიდევ ერთი ფრაზა – „Через несколько дней поеду в Тифлис“ – საშუალებას გვაძლევს, რომ თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ: ელისაბედ ორბელიანისადმი 1853 წლის 5 მარტს გაგზავნილი წერილი თბილისშია დაწერილი. რამდენადაც მარტის დასაწყისში გრიგოლი უკვე თბილისში ყოფილა, უთარილო წერილი, სადაც ნათქვამია, რომ რამდენიმე დღეში თბილისს გაემგზავრებოდა, სავარაუდოდ, 1853 წლის თებერვლის II ნახევარში უნდა იყოს დაწერილი.

წერილის ადრესატია გრიგოლის ძმისწული ალექსანდრე (სანდრო) ზაქარიას ძე ორბელიანი.

გვ. 10,14. „Князь Аргутинский привез“ – საუბაროდ, საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 10,16. „Петербургский климат не вредит тебе“ – ნერილის ადრესატი იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა.

გვ. 10,19. „отправлен в Пажский корпус“ – პაჟთა კორპუსი რუსეთის იმპერიაში ყველაზე ელიტარული სამხედრო სასწავლებელი იყო.

გვ. 10,21. „службою Великому Государю“ – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I.

გვ. 11,4. „Ты просил у маменьки“ – საუბარია ქეთევან დიმიტრის ასულ ალექსი-მესხიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 11,10. „Александр, сын Мананы“ – საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანსა და მის დედაზე – მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 11,11-12. „отправил его к Князю Бярятинскому“ – გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი იმ დროს კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი იყო.

ელისაბედ ორბელიანისადმი №1 (272) (გვ. 12-13)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №173, გვ.: 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „მარტის 5^ს 1853 წელი თბილისი“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუჲა ელისაბედ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; აქვს შავი დამლა.

ადრესატის მისამართი: „ეს წიგნი ღთვით მიერთოს კნი-
ნას ელისაბედს ორბელიანისას ანანური.“

შენიშვნები: 1. ღმერთსა; 2. ღმერთმან; 3. სიტყვა ხაზ-
გასმულია ავტორის მიერ; 4. ღვთით; 5. სიტყვა ხაზგასმულია
ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები,
ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და
შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 57.

წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორ-
ბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვი-
ლი-ორბელიანისა.

გვ. 12,21-22. „ბაბალესი და ალექსანდრეს ხილვა მაინც
მელირსა“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბე-
ლიანის, ქალიშვილი ბაბალე და სიძე ალექსანდრე საგინაშვი-
ლი.

გვ. 12,24. „ვნახავ დაბერებულს ნინოსა“ – შესაძლოა,
იგულისხმებოდეს გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მე-
უღლე – 1801 წელს დაბადებული ნინო ალექსანდრეს ასული
მაყაშვილი, მაგრამ, რადგან წინანდალია ნახსენები, ვერც იმას
გამოვრიცხავთ, რომ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა იგულის-
ხმებოდეს და მის დაბერებაზე ხუმრობით იყოს ნათქვამი.

სვიმონ შალიკაშვილისადმი № 14 (273) (გვ. 13)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365,
გვ.: 27v.

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორ-
ბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემს საყვარელს
სვიმონს სიყუარულით მოვიკითხავ“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული
ქაღალდი; ზომა: 20,7X13 სმ; შესრულებულია ლურჯი ტუშით,

რომელიც გაჟღენთილია ფურცელში. წერილი რესტავრაციის შედეგად სქელ ქალღმრთელს დაკრული.

ეს არის მინაწერი დიმიტრი ჯორჯაძის სვიმონ შალიკაშვილისადმი მიწერილ წერილზე. დიმიტრი ჯორჯაძის წერილი განთავსებულია 26r-v და 27r გვერდებზე, მინაწერი გრიგოლს გაუკეთებია ბოლო გვერდზე, რომელიც №365 საქმეში შეადგენს 27v გვერდს. თარიღი დიმიტრის უწერია თავის წერილზე: „3 აპრილს 1853 წელსა შურიდან.“

დიმიტრი ჯორჯაძის წერილი დანერილია შავი მელნით (სტილი დაცულია):

ჩემო უძვირფასესო სვიმონ შენმა მონაწერმა სულ განმიქარვა ის გულნაკლულობა რომელიც მქონდა შენს ამდენიხნის ხმის გაუცემლობაზედ. რამდენიმე დღის წინათ სამდურავიც მოგწერე ესტატეს წიგნზედ, და ახლა კი ჩემს თავს ვემდური სულმოკლეობაზედ.

ჯერ კარგად არ შევჩვევივარ აქაურს სხვა და სხვა სახელებს, მეტათ ვრცელი-მრავალგვაროვანი ქვეყანა ყოფილა, ამის ღეოლორაფიას დაბეჭდილში ვერ წაიკითხავ, ხელ ნაწერიც არსად არის და უნდა გამოკითხვით გაიცნას კაცმა აქაურობა. თითქმის ოცი წელიწადი არის გვიჭირავს ეს ადგილები და აქამომდე არავის არ შეუდგენია აღწერა ამ მხარისა, რომლიდანაც ჩემისთანა უცხო კაცს შესძლებოდა შეტყობა სად რა არის, ჩვენს პატარა ოკრულში ერთი მუჭა ხალხი იყო და ადვილათ შეიტყობოდა ყველა და აქ კი კაცი დაიკარგება ღერმანიქაზედ უმცირესი და უმრავლესი სამთავროები ყოფილა, სულ სხვა და სხვა თემისა; მე შეუდეგ ეხლა სისტემატიკურს აღწერას აქაურობისას და თუ რიგზედ დავაბოლოვე ჩვენობას მომცემენ в Кавказском отделе Географич. общества, ამის ტიტულია მაკლია სელსკის хозяйство-ს დიპლომი რომ მებოდა ხომ გინახავს იმის დიპლომიც თუ მივიღე საოჯახო ქალღმრთელში დარჩება და ჩემს შთამამლობას (ещё лучше сказано потомство брата) ეგონება რომ ძალიან კაცი ყოფილა იმ დრო-

შიაო. მხოლოდ ეს მაღონებს რომ ვაი თუ იმ ლეოლრაფიაში ნლევეანდელმა წელიწადმა დიდი ცვლილებაები გამოუჩინოს. ხედავ რასახით გაგვკლიტეს ფრანცუზებმა და ანგლიჩანებმა, შუაკაცობიდან ისინი შეგვექნენ მეჩხუბრათ. და იმდროსაც მოგვასწრეს რომ პეტერბურლის ლუბერნია გაგვასდევინეს На положеніи Джаро Бел. Воен. Округа. დუნია ჩარხი ფალანგ დურ იტყოდა ხოლმე ჩვენი კამენდანტ ალა და მართალიც არის. ერთი დრო ყოფილა რომ ოსმალნი ძალღათ არაგდებდენ ანგლიჩანებს (смотри в инвалиде №47 письмо велик. Вазира Тур. К Англ. Посл. Писанное в 1791 году) და ესლა როგორც უნდათ ისე ათამაშებენ. აფსუს ბუ დოვრანი იტყვიან თათრები. შენ ახლა ძალიან გაივარჯიშებდი თათრულს, ამდენი ხანი გებარა უფლება მაგ ქვეყნისა და მოგაბეზრებდენ ჯიყჯიყით.

შურის ამბავს მკითხავ. Я ещё нахожусь под сильным влияніем привычки к другому месту и к другим людям, которых по чувствам души и сердца, мне трудно заменить здесь новыми знакомыми, не найду я здесь ни Семена ни других дорогих мне людей, и как туго привыкаю я к новому обществу. Одно и большое для меня утешеніе, что живу с князем в одном доме и постоянно делю с ним свободное время, говорю с ним часто о нашем житье бытѣ в Закаталах и этим развлекаю себя. Настоящее бурное время, газеты и толки что ждет из всех громодных событій готовящихся разразиться на весь мир, также не мало занимают мои мысли и уменьшают скорбь о разлуке с Вами. Постоянная непогода холод и снег надоел нам до нельзя несмотря нато, что уже Апрель, морозы и снег не отстают от Шуры. У вас верно уже тепло, а мы не можем согреться.

მომილოცავს ივანეს და კიკოს გიორგევსკის კავალერობა, ღმა უმაღლესი წარმატება მაჩვენოს იმათიც და შენიც ჩემო ყდ ღირსო სვიმონ, მეც კი უნდა ხმალი მოვიქნო და თეთრი ჯვარიც მივაკრა ამ ჩემს მედალიებს.

ალექსანდრე თუმანოვი დამიკოცნე მაგასთან ველარ მოვასწარ წიგნის მონერა. როგორ გაენყო ზაქათალას ან Как идёт его котёл, შენ მართლათ რომ უნდა თავი ანებო თამაშობას თორემ ძალა დაგადგება ვერ აუხვალ რემიზებს და ერთხელ ისე ჩავარდები ღრმათ კატიოლში რომ ველარ ამოხვიდე.

კნიაზი აქ სულ ართამაშობს და მეც არსად გავბმულვარ პოლკაში. ესტატე სიყვარულით მომიკითხე აგრეთვე ალექსანდრ სტეფანიჩი და სოფიო რისტვის წასულა ალექსანდრე ქალაქში ხომ არა ურიგდება?

Поцелуй от меня Николая Александровича, я опять говорил Князю об его переводе, и он решительно ответил мне, чтоб я известил его, что наверное может рассчитывать на свой перевод, пускай готовится ехать сюда, может быть пока ему выдан чин, дело его уже будет готово, а если придётся ему ждать, так недолго, это время он может быть здесь в своём Абшеронском полку. Для Гоппе Князь хочет выхлопотать другое место, и очень скоро надеется пристроить его.

დობტური მომიკითხე, ჯერაც არ განვთავისუფლებულვარ სასიამოვნოს სენიდან რალაცა გამკრავს ხოლმე და მეყურს არ უგდებ. შენი დიმიტრი

3 აპრილს 1853 წელსა

შურიდან.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძის წერილის (რომელზეც შესრულებულია გრიგოლ ორბელიანის მინაწერი) შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი ზაქათალასთან ახლოს

იმყოფებოდა: „ალექსანდრე თუმანოვი დამიკოცნე მაგასთან ველარ მოვასნარ წიგნის მონერა. როგორ გაეწყო ზაქათალას.“ ცნობილია, რომ სვიმონ შალიკაშვილი 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, ზაქათალაში უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია გრენადერთა პოლკის ხაზინადარი სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილი, რომელიც 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში.

გვ. 13,13-15. „ასტაფიევს, ბრუსილოვს, ახვერდოვს, ილიას და ესტატეს, და ლიპიანს, ცხვირმოგლეჯილს ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ელიზავეტოპოლის (ამჟამად ქ. განჯა) სამხედრო რწმუნებულზე, მაიორ ალექსეი ანდრიას ძე ასტაფიევზე, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვზე, იური თევდორეს ძე ახვერდოვზე, ილია და ესტატე თარხნიშვილებსა და ალექსანდრე თეიმურაზის ძე აბხაზოვზე, რომლებიც იმ დროს ქარ-ბელაქნის ოლქში მსახურობდნენ და გრიგოლ ორბელიანის სხვადასხვა წერილში ერთმანეთის გვერდით არიან ნახსენები.

მიხეილ ვორონცოვისადმი №25 (274) (გვ. 14-15)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 43v, 44r-v.

თარიღი და ადგილი: „4 Апре: 1853. Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову“ / „...получить с нарочным письмо Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21 სმ; შესრულებულია მუქი

ყავისფერი მეღვინით; რესტავრირებულია 44r-v-ს შიდა არშია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. ნერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

ნერილის ადრესატია 1845-1854 წლებში კავკასიის მეფისნაცვალის მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი.

გვ. 14,3. „**получить с нарочным**“ – საუბარია საგანგებოდ კურიერის მიერ მიტანილ ნერილზე.

გვ. 14,5-6. „**портрета обожаемой княжны**“ – საუბარია ადრესატის მეუღლის, ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისას, პორტრეტზე.

გვ. 14,6-7. „**через Князя Меликова**“ – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც 1850 წლიდან იყო ლეკეთის სასაზღვრო ხაზის მარცხენა ფლანგის მეთაური.

გვ. 14,12-13. „**Князем Нико Эрстовым и Ясоном Чавчавадзе о намерении Шамиля**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება მიხეილ ვორონცოვის ფლიგელადიუტანტი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ერისთავი (1823-1856) და გენერალ-მაიორი იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძე, რომელიც 1852 წელს ლეკების წინააღმდეგ ჩატარებულ ექსპედიციაში კავალერიას ხელმძღვანელობდა.

გვ. 14,15-16. „**Шамиль ясно видит**“ – საუბარია ჩენეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 14,19. „**своего богатства в Карату**“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 14,25-26. „Данійл Султан может выполнить это“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანილ ბეგზე და თურქეთში მისი გაქცევის შესაძლებლობაზე.

გვ. 15,1. „В записке Полицмейстера“ – გვარი უცნობია.

გვ. 15,2-3. „Корнетах Дарвиш Ажи и Тавадь-Оглы, как о недоброжелательных“ – საუბარია ბელაქნის მკვიდრ ჰაჯი დარვიშსა და თავად-ოღლიზე, რომლებიც რუსეთის სამსახურში იყვნენ.

გვ. 15,7-8. „Барон Врангель водворил его на прежнее жительство“ – სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს ჭარ-ბელაქნის ოლქის ლეკეთის ხაზის უფროსი – გენერალი ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელი.

გვ. 15,11. „со времён К[нязя] Цицианова“ – იგულისხმება რუსეთის არმიის მთავარსარდალი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი (1754-1806), რომელიც მონაწილეობდა იმპერიის მიერ კავკასიის ტერიტორიების დაპყრობაში.

გვ. 15,14-15. „устраиваемые по плану в Таначах“ – 1830 წელს, როდესაც რუსეთის იმპერიამ ჭარი, ზაქათალა და კაპისდარა გაანადგურა, მოსახლეობის დიდი ნაწილი გადავიდა პატარა დასახლებებში, რომლებსაც „ტანაჩებს“ უწოდებდნენ.

გვ. 15,17-18. „назначен над всеми Таначинскими деревнями Пристав“ – პრისტავის გვარი უცნობია.

გვ. 15,23-24. „Ея Светлости... Графине Шуазель“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და სენატორ გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინის ქალიშვილზე – ბარბარე გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლეზე, რომელიც ამავე დროს ვორონცოვის მეუღლის ნათესავი იყო.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №314, გვ.: 76r-v.

თარიღი და ადგილი: „10^h აპრილს 1853 წელი. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21 სმ; გადაკეცილისა: 21X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 57-58.

გვ. 17,24-25. „თამარ იწერება“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასული თამარი.

გვ. 18,1. „მომირთმევია სანდრიკოს წერილი“ – საუბარია გრიგოლის ძმისა და წერილის ადრესატის ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 18,10. „გიჟი ნიკო იყო ჩემთანა“ – ამ „ეპითეტს“ გრიგოლი მაღალტემპერამენტიანი, მოუსვენარი ადამიანების დასახასიათებლად იყენებს. მის წერილებში იგი გვხვდება მანანა ორბელიანისა და ესტატე მაჩაბლის სახელებთან. რაც შეეხება „გიჟ ნიკოს“, სალათავიიდან 1857 წლის 27 აგვისტო

- 10 სექტემბრის ინტერვალში გამოგზავნილ წერილებში გრიგოლ ორბელიანი ჯერ ახსენებს ნიკო ჭავჭავაძის მასთან ყოფნას (წერილი თავისი რძლის - ქეთევანისადმი), შემდეგ ნიკოს მასთან ყოფნას (დიმიტრი ჯორჯაძისადმი) და ბოლოს გიჟი ნიკოს მასთან ყოფნას - ყაფლან ორბელიანისადმი მიწერილში („გიჟი ნიკო აქ არის ჩემთან და ეს მადლებინებს ესოდენს მარტოობასა და შრომასა“). ამ დროს რამდენიმე ნიკო ჭავჭავაძე იყო, მაგრამ 1859 წლის 16 მაისს დიმიტრი ჯორჯაძისადმი მიწერილი ბარათიდან ვიგებთ, რომ „ახლა ახალ-ახლად დაინიშნა სუდია ბუჟიიჩი ჭავჭავაძე ნიკო ესტატეს ერისთავის ქალზედ“. ხუმრობა მიგვანიშნებს, რომ აქაც გრიგოლისა და დიმიტრისთვის ახლობელ იმავე ნიკოზე უნდა იყოს საუბარი და ეს უნდა იყოს მოსამართლე, 1852 წლიდან თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძე (1830-1903), რომელმაც სწორედ 1859 წელს შეირთო ქეთევან ესტატეს ასული ერისთავი.

გვ. 18,11. „დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხეთ“ - სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 18,12. „ეგრეთვე პატარა ალექსანდრე ჩაჩანი“ - სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, რომელიც ცოტა ხნით ადრე ჩეჩნეთში იბრძოდა.

გვ. 18,13. „თამარ ჩამიკოცნე, ეგრეთვე სოფიკო“ - იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასულები - თამარ ორბელიანი-სანკოვსკისა და სოფიო ორბელიანი სვიატოპოლკ-მირსკისა.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 45r-v.

თარიღი და ადგილი: „11^{го} Апрель: 1853 года“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „Вашей Свет^и“ имею честь доложить ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; შიდა არშიები რესტავრირებულია; გადაშლილია ერთი სიტყვა; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 18,19-20. „один из Почётных жителей Джурмутскаго общества“ – ამ პირის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია არ ჩანს.

გვ. 18,25. „сообщил мне о Султане“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დანიილ სულთანი. გრიგოლ ორბელიანის 1851 წლის წერილებშიც არის საუბარი იმის შესახებ, რომ დანიილ სულთანს რუსეთის მხარეს გადასვლის სურვილი ჰქონდა და თურქეთში ეძებდა შუამდგომლებს რუსეთის ხელმწიფესთან.

გვ. 19,2-3. „в немилости у Шамиля“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე, რომელსაც არ სჯეროდა სულთნის ერთგულების.

გვ. 19,3-4. „вызвал его в Чеченскую экспедицию“ – სავარაუდოდ, საუბარია 1852 წელს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე წარმოებულ ბრძოლებზე.

გვ. 19,6-7. „**семейство его из Ириба**“ – დანიილი იყო ავარიის სოფელ ირიბის ნაიბი. დანიილ სულთნის ქალიშვილი ქარიმათი ცოლად ჰყავდა შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედს.

გვ. 19,8. „**племянник Кибита Магомы**“ – საუბარია ტელეტლოს ნაიბ ყიბიტ მაჰმადზე.

გვ. 19,9-10. „**по имени, если не ошибаюсь, Кизимагома**“ – იგულისხმება ყაზი მუჰამედი, რომელიც ირიბის ნაიბად დაინიშნა, მაგრამ ის ყიბიტ მაჰმადის ძმისწული კი არა, შამილის ვაჟი იყო.

გვ. 19,11. „**один из убійц Князя Эростова**“ – საუბარია ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავის მკვლელზე.

გვ. 19,12. „**Джарской беглец Симанау**“ – ჭარელი სიმანაუს სახელი ილია ორბელიანისთვის 1853 წლის 13 აპრილს გაგზავნილ წერილშიაც გვხვდება, მაგრამ დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ არ მოიპოვება.

გვ. 19,11-12. „**Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 19,20-21. „**Графине Шуазель приношу моё глубочайшее уваженіе**“ – საუბარია მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლეზე, რომელიც ამავე დროს ვორონცოვის მეუღლის, ელისაბედ ქსავერის ასულის, ნათესავი იყო.

ილია ორბელიანისადმი №83 (277) (გვ. 20-21)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №255, გვ.: 97r-v.

თარიღი და ადგილი: „13^ა აპრილი 1853 ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, დიდი ფორმატის, მოყვითალო ფერის ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 43X26,4 სმ; გადაკეცილისა: 26,4X21,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; წერილი ორ გვერდზეა განთავსებული; 97v გვერდი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობლებს, რაც მიგვანიშნებს, რომ ადრესატი იქ იმყოფებოდა: „ძალუა ბარბარე ჩამიკოცნე; ეგრეთვე ნინუცა. ჩემს საყვარელს ყაფლანს, ჩინებულს ყაფლანს მიულოცე მშვიდობით მოსვლა თავის სამშობლოს ოჯახში.“

შენიშვნები: 1. ავტოგრაფში წერია „ზაქათალიაშაცა“; 2-3-4. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 58-61. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ.: 62-63).

გვ. 20,22. „შენი ფილიმონა მომივიდა“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ილია ორბელიანის მზარეულზე.

გვ. 20,25. „მთავარმართებელს მოველი კნეინითურთ“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვსა და მის მეუღლე ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 21,11-12. „რომელიცა ერია ერისთვისშვილის მკვლევლებში, სიმანაუ“ – საუბარია ზაქარია გიორგის ძე ქსნის ერისთავის მკვლელზე.

გვ. 21,16-17. „ბარონ ვრანგელი მისდევს ბარიატინსკისა“ – საუბარია გენერლებზე – ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელსა და ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ იმ დროს მიმდინარე სამხედრო კამპანიებში.

გვ. 21,17-18. „ბებუთოვი თურმე შეუყენებიათ პეტერბურღში“ – საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე.

გვ. 21,19-20. „ძალუა ბარბარე ჩამიკოცნე; ეგრეთვე ნინუცა“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 21,21. „ჩემს საყვარელს ყაფლანს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ილია ორბელიანისადმი №84 (278) (გვ. 22-23)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №256, გვ.: 98r-v, 99r.

თარიღი და ადგილი: „9^ა მაისს 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, პატარა ფორმატის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია ყავისფერი ტუშით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში; წერილი სამ გვერდზეა განთავსებული; 98v გვერდის აბზაციდან – „ერასტი სტეფანიჩმა“ – 99r გვერდის სიტყვებამდე – „ნინუცას ვაკოცებ“ – გადახაზულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი მოიკითხავს ილიას მეუღლეს და დისშვილს, რაც ადასტურებს, რომ ნერილი თბილისშია გაგზავნილი: „ძალუა ჩამიპროშტე... როგორ დაგხვდა და ან ახლა როგორ არის... ნინუცას ვაკოცებ.“

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. აქ ჯერ დაუნერია „კნინას“, შემდეგ „ეინას“ გადაუხაზავს, „კნ“ დაუტოვებია და ზემოდან მიუწერია „იაზსა“; 3. „სხუა“ და „არის“ სიტყვებს შორის ერთი „ა“ ზედმეტად წერია; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 61-62. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევებში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 63).

გვ. 22,2. „დავატარე მთავარმართველი კნინითურთ“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვსა და მის მეუღლე ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 22,3. „ელისუმდის და იქიდამ მულალნომდის“ – საუბარია ზაქათალის რაიონის სოფლებზე.

გვ. 22,16. „პატარა მალხაზიჩი წარუდგინე“ – ლოგიკურია, რომ საუბარი იყოს მალხაზ ანდრონიკაშვილის ვაჟზე, მაგრამ, რამდენადაც ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილს ძმა არ ჰყავდა (ახალგაზრდა გარდაიცვალა), საუბარი უნდა იყოს მის ვაჟ არჩილზე, რომელიც გრიგოლთან მსახურობდა. შესაძლოა, „პატარა მალხაზიჩს“ იმიტომ ეძახდნენ, რომ მამას ჰგავდა.

გვ. 22,17. „ეს ახარე ივანესა, ვიცი იამება“ – საუბარია გრიგოლის ნათესავზე – ცნობილ გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილზე. მისი დედა – მაია იყო გრიგოლ ორბელიანის ბებიის, ელენეს, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან.

გვ. 22,18. „თავს მადგას გრიგოლ მუხრანსკი“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 22,19. „ახვერდოვი, ბრუსილოვი ერთის საპალნე ნიგნებიოთა“ – სავარაუდოდ, საუბარია იური თევდორეს ძე ახვერდოვსა და ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვზე, რომლებიც იმ დროს ჭარ-ბელაქანში მსახურობდნენ.

გვ. 22,20. „ერასტ სტეფანიჩმა მიიყვანა“ – საუბარია მიხეილ ვორონცოვის პირად ექიმზე – ერასტი სტეფანეს ძე ანდრეევსკიზე.

გვ. 22,20. „ჩემი არენდის საქმე“ – XIX საუკუნიდან რუსეთის ოფიცრებს წასახალისებლად ექვსნლიანი იჯარით აღლევდნენ მიწებს.

გვ. 22,26-29. „ძალუა ჩამიპროშტე... ნინუცას ვაკოცებ“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №55 (279) (გვ. 23-24)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №315, გვ.: 77r-v.

თარიღი და ადგილი: „29^ს მაისს 1853 ზაქათალით“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა:

26,4X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი ზოგან გაჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 62-63.

გვ. 23,6-7. „იაკინთუს ჩემმაგიერ უთხარით“ – იგულისხმება ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ. 23,10-11. „ძალუა ნინო, თამარ ნელნაზი, სოფიკო, მოსულან დედოფლისწყაროზედ ბაბალესთან, და ელიან მის ძეობასა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლეზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 23,14. „ჩვენი ივანე და ალექსანდრე“ – საუბარია ალექსანდრე და ივანე დავითის ძე ორბელიანებზე – მანანას ვაჟებზე.

გვ. 23,15. „თუ დედასავით სხუაგან ჰსცხოვრებენ“ – მანანა ორბელიანს თავისი სახლი დათმობილი ჰქონდა ამიერკავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოსთვის და თავად სხვაგან ცხოვრობდა.

გვ. 23,16. „ქეთევან გულ-ტრედი“ – როგორც ჩანს, გულ-ტრედ ქეთევანს გრიგოლი უწოდებს მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ცოლს – ქეთევან გიორგის ასულ ერისთავს, რადგან 1853 წლის 9 ოქტომბრის წერილში ახსენებს მის ვაჟ დათიკოს (დავით მამუკას ძე ორბელიანს), რომელიც იმ დროს გრიგოლთან მსახურობდა შტაბის როტმისტრად.

გვ. 23,18. „სანდრიკოსი დიდხანია წერილი აღარ მომ-
სვლია“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, ვაჟ
ალექსანდრეზე.

გვ. 23,19. „თქვენი ძმა პლატონ“ – საუბარია პლატონ
დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე, რომელიც მესხიშვილების
გენეალოგიურ ნუსხაში შეტანილი არ არის, მაგრამ 1856
წლის კავკასიის კალენდარში (გვ. 622) მოხსენიებულია, რო-
გორც ზაქათალის პოლიციის კომისარი.

გვ. 23,22. „ჩემს საყვარელს სარდიონს თავის მეუღლით“
– საუბარია ქეთევანის ძმაზე – სარდიონ დიმიტრის ძე ალექ-
სი-მესხიშვილსა და მის მეუღლეზე.

გვ. 23,23-24. „მამათქვენს მარჯუენეს ვეამბორები“ –
საუბარია ქეთევანის მამაზე – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი
ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 23,24. „ქაჩალი მაჩაბელი უფრო გაქაჩლდა“ – საუბა-
რია შტაბსკაპიტან ესტატე მიხეილის ძე მაჩაბელზე.

ილია ორბელიანისადმი №85 (280) (გვ. 24-26)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №257,
გვ.: 100r-v, 101r.

თარიღი და ადგილი: „12^ლ ივნისს 1853 ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო
ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო
ფერის ქალღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,3 სმ; გა-
დაკეცილისა: 21,3X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი მოიკითხავს
ილიას ცოლ-შვილს და სხვა ახლობლებს, რომლებიც თბილის-
ში ცხოვრობდნენ; ამასთან, ერთ ფრაზაში გამოყენებული

ზმნის ფორმაც ადასტურებს, რომ ადრესატი იმყოფებოდა თბილისში: „აქ ამბობენ, მითომ ვინცავე ჩვენნი კონსულთაგანნი ყოფილან აზიის ტურციაში, სულ თბილისში მოსულან.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ჩამატებულია; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. „ჩემი ოთახები“ ჩამატებულია; 4-5-6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. „წინუცა ჩამიკოცნე“ ფანქრითაა გადახაზული ავტორის მიერ; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 63-64.

გვ. 24,4-5. „ალიოსმალო ხმალსა ჰლესავს ჩვენთჳსა“ – საუბარია რუსეთსა და თურქეთს შორის ომის დაწყების საშიშროებაზე.

გვ. 24,6-7. „სეკრეტარი ხომ მანდა გყავს, სახელად ბარბარე“ – საუბარია ილიას მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 24,7-9. „ვინცავე ჩვენნი კონსულთაგანნი ყოფილან აზიის ტურციაში, სულ თბილისში მოსულან“ – იგულისხმება დიპლომატიური კორპუსის გამონწევა, რაც ომის წინ ხდება ხოლმე.

გვ. 24,17. „აქა მყავს დემანტოვიჩი“ – სავარაუდოდ, საუბარია უკრაინული წარმოშობის რუს გენერალზე – მიხეილ ალექსის ძე დომონტოვიჩზე (1830-1902), რომელიც მოგვიანებით სპარსეთში მსახურობდა და, სავარაუდოდ, კარგად უნდა სცოდნოდა სპარსული.

გვ. 24,18. „მგონია საადი ჰსწერს“ – საუბარია მე-13 საუკუნის სპარსელ პოეტსა და მოაზროვნეზე.

გვ. 25,13-14. „წინუცა ჩამიკოცნე“ – საუბარია გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №316, გვ.: 78r-v, 79r.

თარიღი და ადგილი: „18^ა ივნისს 1853 ზაქათალით“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთო; 2. ეს სიტყვა ჩამატებულია ზემოდან; 3. ციფრი „8“ ნასწორებია ავტორის მიერვე, სავარაუდოდ, თავდაპირველად ერთიანი უნდა დაენერა; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 64-65.

გვ. 26,8-9. „არცა ილიასაგან მომსვლია ამბავი“ – საუბარია გრიგოლის ძმა ილია ორბელიანზე.

გვ. 26,11. „ჩვენი ივანე და ალექსანდრე მოსულან“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავით ორბელიანის, ვაჟებზე.

გვ. 26,14-15. „იაკინთესათუხს გეკითხათ“ – იგულისხმება ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი.

გვ. 26,15. „ის იმერელი აზნაურშიელი“ – ამ პიროვნების სახელი არსად არ იხსენიება.

გვ. 26,18. „ყაფლანის ამბავსაც არასა მწერთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 26,20. „სოლომონ ონიკოვისაგან“ – საუბარია სოლომონ ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე, რომელიც ამ დროს იყო ნორ-ბაიაზეთის (დღევანდელი ქალაქი გავარი სომხეთში) მახრის უფროსი.

გვ. 26,22. „სანდრიკოსი რა იცით“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 26,23-25. „მინდოდა დედოფლისწყაროზედ გასვლა ბაბალესთან, თამარის და ნინოს სანახავად“ – საუბარია იაკობ ორბელიანის ქალიშვილებზე – ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე და მათ დედაზე – ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №27 (282) (გვ. 27-28)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 46r-v.

თარიღი და ადგილი: „K: Воронцову 8^{го} июля 1853. Закаты.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K[нязю] Воронцову“ / „Вашей Светлости имею честь представить план ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; შიდა არშიები რესტავრირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 27,7-8. „**Древней Церкви Гаварскаго поселения**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება სომხეთში, დღევანდელი ქალაქ გავარის (იმჟამად დასახლება იყო) ტერიტორიაზე მდებარე წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია (IX საუკუნე).

გვ. 27,15. „**на сел: Сапунги**“ – შესაძლოა, საუბარია სოფელ სუვაგილზე, რადგან სოფელი საპუნგი ჭარ-ბელაქნის ოლქში არ არსებობს.

გვ. 27,21. „**От селенія Катех до вершны Месельдегера**“ – საუბარია დაღესტნის სოფელსა და ზაქათალის მახლობლად მდებარე მთაზე.

გვ. 27,23-24. „**Церкви в Кахе и Кохогане**“ – საუბარია საინგილოს სოფლებზე – კახზე და, სავარაუდოდ, კახ-ინგილოზე, ან გორაგან-კახზე.

გვ. 28,7-8. „**Князь Шаховскій взял с собою**“ – საუბარია უნდა იყოს გენერალ ალექსეი ივანეს ძე შახოვსკიზე (1821-1900), რომელმაც თავი გამოიჩინა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

გვ. 28,15. „**убит Маіор Дубровни**“ – მესელდეღერის დაცვის ერთ-ერთი მონაწილე – ვ. ს. ძეროჟინსკი დაწვრილებით აღწერს შამილის თხუთმეტათასიან არმიასთან შეტაკებისა და თხუთმეტდღიანი ალყის დეტალებს. იგი არაერთგზის მოიხსენიებს მაიორ დუბროვინს, მაგრამ მისი სახელი, ან ინიციალები არსად არა აქვს ნახსენები.

გვ. 28,16-17. „**Сегодня ожидаю подробное донесеніе об этом деле**“ – ამ შეტაკების დროს დაღუპულა კიდევ 13 რუსი ჯარისკაცი, 7 მძიმედ დაჭრილა და 7 დაკარგულა.

გვ. 28,18-19. „**Светлейшей Княгини Елисавете Ксаверіевне и Графини Шуазель**“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №28 (283) (გვ. 30)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 47r.

თარიღი და ადგილი: „23 июля 1853...Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...К[нязю] Воронцову...“ / „...Воля Вашей Светлости...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 30,4-5. „распоряженіем полков[ника] К[нязя] Меликова“ – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც იმ დროს ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი იყო.

გვ. 30,5-6. „содействіем К[нязя] Чолокаева со стороны Тушетіи“ – საუბარია თუმ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის მმართველ, პოლკოვნიკ მიხეილ ივანეს ძე ჩოლოყაშვილზე (დაბად. 1802 წელს).

მიხეილ ვორონცოვისადმი №29 (284) (გვ. 31-33)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 47v, 48r-v, 49r.

თარიღი და ადგილი: „8 Августа 1853 Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 31,22-23. „Храбрые Мингрельцы... за смерть своего Маіора Дубровина“ – იგულისხმება არა მეგრელები, არამედ სამეგრელოს ეგერთა პოლკის მეომრები, სადაც იბრძოდა დუბროვინი.

გვ. 31,23-24. „Джурмутскій Найб Бакрак Али“ – საუბარია ზემო დაღესტნის ერთ-ერთი თემის ნაიბზე.

გვ. 32,2-3. „Поручик Барбашев с необыкновенным мужеством“ – ოფიცრის სახელი უცნობია.

გვ. 32,6. „в веденіи Поручика Ищенко“ – ოფიცრის სახელი უცნობია.

გვ. 32,9. „прибежал в Маіор Вичей“ – ოფიცრის სახელი უცნობია.

გვ. 32,12. „Подполк[овник] Критцкій спустил две“ – საუბარია მესელდეღერის დაცვის უფროს ვასილი ვასილის ძე კრიტსკიზე.

გვ. 32,21. „Магаррам, беглец из сел[ения] Сарляр“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ყირიმის მთიან სოფელ სარილარზე (ამჟამად ბელობროდსკოე), რომელიც XIX ს-ის II ნახევრის ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება თათრულ სოფლად.

გვ. 32,22-23. „Князь Мухранскій деятельно занимается“ – საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის თანაშემწე გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 32,32. „В Танацах никого не нашли“ – იგულისხმება პატარა დასახლებები – ტანაჩები, სადაც 1830 წელს რუსეთის თავდასხმის შემდეგ გადასახლდა დალესტნის მოსახლეობა.

გვ. 33,3. „вблизи Алмало“ – საუბარია დალესტნის სოფელზე.

გვ. 33,12. „чрез гору Кумбаш“ – ეს მთა მდებარეობს ამჟამინდელი სტავროპოლის მხარეში.

გვ. 33,19-20. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №30 (285) (გვ. 35-37)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 49v, 50r-v.

თარიღი და ადგილი: „22 Августа 1853 Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 35,16. „Намерение Шамиля вторгнуться“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამზე.

გვ. 35,18. „от Князя Аргутинскаго и Агалар бека“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ მოსე ზაქარიას ძე არ-

ლუთინსკი-დოლოგორუკოსა და ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 35,26-27. „под командою Полков[ника], К[нязя] Андроникова“ – იმ დროს პოლკოვნიკის წოდებით დაღესტანში იბრძოდა რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი, რომელიც 1849 წელს დანიშნეს თბილისის გრენადერთა პოლკის მეთაურად.

გვ. 36,19. „К[нязь] Тарханов с весьма значительною Миллицією“ – სავარაუდოდ, საუბარია ნუხის მაზრის მმართველ რამაზ დიმიტრის ძე თარხნიშვილზე.

გვ. 36,21. „позицію вблизи Лучека“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ლუჩეკზე.

გვ. 36,22. „к сел[енію] Шину“ – საუბარია აზერბაიჯანის შაქის რაიონის სოფელზე.

გვ. 37,1. „и горы Похалистави“ – ეს მთა მდებარეობს ამჟამინდელ ყვარლის მუნიციპალიტეტში.

გვ. 37,10. „до Курбан байрама“ – ნახსენებია ისლამური დღესასწაული, რომელიც აღინიშნება იბრაჰიმ წინასწარმეტყველის მსხვერპლშენიერვის მოსაგონებლად.

გვ. 37,10-11. „Данійль беку четыре Наибства“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №31 (286) (გვ. 39-40)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 50v, 51r-v.

თარიღი და ადგილი: „28 Августа 1853 Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „...Из последняго донесенія моего от 25^{го} числа, Ваша Светлость...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 63).

გვ. 39,18-19. „**появленіем Шамиля с огромным скопищем**“ – ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამი 15-ათასიანი ჯარით შეიჭრა ჭარ-ბელაქნის ოლქში.

გვ. 39,19-20. „**Горы Гонзогор и Дивди**“ – საუბარია დაღესტნის მთებზე – გონზოსა (გონზოგორსა) და დინდიდალზე.

გვ. 40,11. „**Полковник Мищенко с 2^м батал[іонами]**“ – სავარაუდოდ, საუბარია ივანე კუზმას ძე მიშჩენკოზე, რომელიც მოიხსენიება კავკასიის ბრძოლების გმირად და რომლის ვაჟიც – პავლე ივანეს ძე მიშჩენკო – 1853 წელს დაიბადა თემირხანშურაში (შესაბამისად, იქ ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად).

გვ. 40,14. „**К[нязь] Аргутинскіи перейдѣт**“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 40,19-20. „под командою Подпол[ковника] Крытскаго“ – სავარაუდოდ, საუბარია მესელდეღერის დაცვის უფროს ვასილი ვასილის ძე კრიტსკიზე.

გვ. 40,23. „исключая Муганлинской станиці“ – საუბარია აღმოსავლეთ საქართველოში, ამჟამინდელ გარდაბნის მუნიციპალიტეტში, მდებარე საფოსტო სადგურზე.

გვ. 40,26. „Тифлис[скаго] воен[наго] Губернатора“ – 1849-1855 წლებში თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი.

გვ. 40,26-27. „Грузинская Милиція под командою К[нязя] Соломона Андроникова“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს სოლომონ არჩილის ძე ანდრონიკაშვილზე, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი იყო და 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომშიც მონაწილეობდა.

გვ. 40,29. „Светлейшей Княгине и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №32 (287) (გვ. 42-43)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 51v, 52r.

თარიღი და ადგილი: „6^ლ Сент: 1853 Лагерь у Миселдигера.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову“ / „... Ваша Светлость ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავ-
კასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვ-
რობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა
იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 42,20. „**после разбитія Давійлбека**“ – საუბარია
ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 42,20-21. „**взгнанія Казымагомы, Ирьбскаго
Найба**“ – საუბარია შამილის ვაჟზე, ირიბის ნაიბ ყაზი მუჰა-
მედზე.

გვ. 42,22-23. „**и спустился в Капидирское ущелье**“ –
საუბარია გონზოგორის მთასთან მდებარე ყაპისდარის ხეობა-
ზე.

გვ. 43,1-2. „**заяв гору Джоржебал**“ – საუბარია დაღეს-
ტნის მთა ჯორჯობალზე.

გვ. 43,2-3. „**соединенія с Кн[язем] Аргутинским**“ – სა-
უბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგოგორუ-
კოვზე.

გვ. 43,20. „**К[нязь] Мамука с 200 конными Татарами**“ –
რამდენადაც თავადი მამუკას გვარი ნახსენები არ არის, ვფიქ-
რობთ, რომ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლის ნათესავი –
პოლკოვნიკი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანი, რომელიც
იმ დროს იყო ელიზავეტოპოლის მაზრის უფროსი.

გვ. 43,20-21. „**К[нязь] Кобулов 150 Грузинами**“ – სავა-
რაუდოდ, საუბარია თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამ-
ძღოლ მიხეილ ქობულაშვილზე, რომელიც 1854 წელს სათავე-
ში ჩაუდგა ქართულ რაზმებს შამილის ჯარის კახეთზე თავ-
დასხმის მოსაგერიებლად.

გვ. 43,27. „**Светлейшей Княгине и Графине Шуазель**“
– საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცო-

ვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №33 (288) (გვ. 45)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 52v.

თარიღი და ადგილი: „7^ლ Сентяб: 1853. К: Закаты“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ /
„...Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 45,15. „Шамиль бежал“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის მარცხზე მესელდეღერის სიმაგრესთან.

გვ. 45,18. „Генерал-Адъютант К[нязь] Аргут[инский]“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე.

გვ. 45,25-26. „Светлейшей Княгине Елисавете Ксавериевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერიის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 53გ.

თარიღი და ადგილი: „12 Сентя: 1853 Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „Письмо Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 46,18. „Адъютанта Вашего, К[нязя] Голицина“ – საუბარია ცნობილი რუსი გენერლისა და დიპლომატის, ვლადიმერ სერგეის ძე გოლიცინის, ვაჟ ალექსანდრეზე, რომელიც ამ დროს მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი იყო და მომდევნო 1854 წელს შამილის ტყვე ქალების განთავისუფლებაშიც მონაწილეობდა.

გვ. 47,4. „постройкою Кодорской башни“ – საუბარია ყვარლისა და დაღესტნის დამაკავშირებელ ყადორის უღელტეხილზე (რუსულ წყაროებში იხსენიება, როგორც „Кодор“) მშენებარე სათვალთვალ კოშკზე, რომლიდანაც შეიძლებოდა ტერიტორიის კონტროლირება 30 კილომეტრის რადიუსში.

გვ. 47,6. „Шамиль чрез Джурмут направился к Ирибу и далее“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე.

გვ. 47,17-18. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверьевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის

ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №56 (290) (გვ. 48-49)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №317, გვ.: 80r-v, 81r.

თარიღი და ადგილი: „13^ს სექტემ: 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 65.

გვ. 48,29; 49,1. „ლონენა ალექსანდრეც მობძანდება“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე, რომელიც შედარებულია თავის ნათესავ ლონენა რევაზის ძე ორბელიანთან.

გვ. 49,1-2. „მითომ დედის გასახარებლად“ – საუბარია ალექსანდრეს დედაზე – მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 49,7. „სანდრიკოსი აღარა ვიცირა“ – საუბარია გრიგოლის ძმისშვილ ალექსანდრე ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 49,12. „იაკინთე და სარდიონ სიყვარულით მომიკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის რძლის, ქეთევანის, ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 49,13. „პლატონ ახლა ზაქათალის მოურავი ბძანდება“ – საუბარია მათ კიდევ ერთ ძმაზე – პლატონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე, რომელიც იმ დროს ზაქათალის პოლიციის კომისარი იყო.

გვ. 49,15-16. „თამარს წელნაზსა სიყვარულით მოვიკითხავ, ეგრეთვე სოფიკოსა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვესკისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ. 49,16-17. „ბიძია ალექსანდრე პატივისცემით და სიყვარულით მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 49,19. „ჩემი თვალის ჩინი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 49,23. „ძალუა ბარბარე და ნინუცა სიყვარულით მომიკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ეკატერინე ჭავჭავაძისადმი №2 (291) (გვ. 50)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 546 (ასეა დანომრილი. წერილი განთავსებულია v გვერდზე).

თარიღი და ადგილი: „17 სექტემ: 1853 წელსა. ზაქათალით“

აღრესატისადმი მიმართვის ფორმა: „უმონყალესო დაო ჩემო ეკატერინავ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: დიდი ფორმატის, სქელი, გაყვითლებული ქალაღლი; ზომა: 21,2X34,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით; წინა გვერდზე მთავრდება ეორონცოვი-სადმი მინერილი წერილი, რაც ნიშნავს, რომ ავტორს არც ერთი ადრესატისათვის არ გაუგზავნია ბარათი.

ადრესატის მისამართი: წერილში ავტორი ადრესატს სამძიმარს უცხადებს მეუღლის, დავით დადიანის, გარდაცვალების გამო, რაც ადასტურებს, რომ ეკატერინე იმყოფებოდა სამეგრელოში.

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღმერთი; „ღ“ ასომთავრულით წერია; 4. უბედურებასაშინა; 5. „მთავარის დავითისა“ ჩამატებულია ზემოდან და ჩამატების ნიშანიც გაკეთებულია; 6. ყოვლად; 7. სიტყვა ჩამატებულია; 8. პირველი ასო ასომთავრულია; 9. ღმერთსა; „ღ“ ასომთავრულით წერია; 10. პირველი ასო ასომთავრულია; 11. სოფელსაშინა; 12. ღვთისადმი;

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწრელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 66.

წერილის ადრესატია გრიგოლის ნათესავი ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე-დადიანისა. ეკატერინეს დედის – სალომე იოანეს ასულ ორბელიანისა – და გრიგოლ ორბელიანის პაპები – დავითი და ნიკოლოზი – ძმები იყვნენ

გვ. 50,6. „უგანათლებულესის თქვენისა მეუღლისა“ – საუბარია სამეგრელოს მთავარზე, გენერალ-მაიორ დავით ლევანის ძე დადიანზე.

გვ. 50,18-19. „თქვენი შვილები არიან მფლობელნი თქვენისა სიცოცხლისა“ – 1853 წელს ეკატერინეს ჰყავდა ოთხი შვილი: ნიკოლოზი (დაბადებული 1847 წელს), სალომე (დაბადებული 1848 წელს), ანდრია (დაბადებული 1850 წელს) და თამარი (დაბადებული 1853 წელს).

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №258, გვ.: 102r-v, 103r.

თარიღი და ადგილი: „19^ა სექტემ: 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, თხელი, გადაკეცილი, დაჭმუჭნილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში. 102v გვერდის აბზაციდან – „ძალუას ბარბარეს“ – ამავე გვერდის ბოლომდე ტექსტი შავი ფანქრით არის გადახაზული.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ავტორი წერილს თბილისში აგზავნის: „ძალუა ბარბარე ჩამიკოცნე, თუ ამ წიგნმა მოგისწრო შინა.“

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. „მყვირალა ზურაბისა“ წითელი ფანქრითაა ხაზგასმული ავტორის მიერ; 3. ღმერთი; 4. ავტოგრაფში ამ ადგილას წერტილი არ წერია; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ეს ბოლო პატარა აბზაცი გადახაზულია შავი ფანქრით.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 66-69. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევებში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო,

სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 64).

გვ. 51,6. „ხმალი მყვირალა ზურაბისა“ – გრიგოლის მამას ერქვა ზურაბი (დიმიტრი) და, სავარაუდოდ, გრიგოლი მას გულისხმობს.

გვ. 51,7. „რას აუტეხიათ ეგ ოსმალები... მეტადრე თუ ანგლია და ჭრანცია ჩამოეცალა“ – ამ დროს გრიგოლმა არ იცოდა, რომ საფრანგეთი და ინგლისი ოსმალებს მიემხრობოდნენ.

გვ. 51,15-17. „პასკევიჩის დროსაც, მხოლოდ... აჭარის ხალხი, ბეიბურთთან“ – საუბარია 1829 წელს გენერალ-ფელდმარშალ ივანე თეოდორეს ძე პასკევიჩის წარმატებებზე თურქეთის ქალაქ ბეიბურთთან. აჭარლები იმ დროს თურქეთის მხარეს იბრძოდნენ.

გვ. 51,18-19. „მაიორი ჩუპიატოვი გამოგიგზავნე“ – საუბარია გრენადერთა პოლკის მაიორზე, რომელიც ბაშკადიკლარის ბრძოლის შესახებ არსებულ წყაროებშიც სახელის გარეშე იხსენიება.

გვ. 51,21. „ძალუას ბარბარეს წერილი მომივიდა“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 51,24. „ივანე შალიკოვსაც მალე გამოგიგზავნი“ – საუბარია გრენადერთა პოლკის ხაზინადარ სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილის ძმაზე – ივანეზე.

გვ. 52,9. „სოსიკო მომიკითხე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 53v, 54r.

თარიღი და ადგილი: „28 Сентяб: 1853. Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 52,14. „полученные мною от Ажвагабека“ – საუბარია სომხური წარმომავლობის ყარაბაღელ ჰაჯი ალა-ბეგ ლი-ალაბეკოვზე, რომელიც ელისუს პრისტავი იყო ქარ-ბელაქნის ოლქში და 1853 წლის დოკუმენტებში მაიორად მოიხსენიება.

გვ. 52,15-16. „от жены Данилбека Шаагабике к ея брату, Подпоручику Мехтаге“ – ისტორიული წყაროების მიხედვით, დანიილ სულთნის ცოლს, რომელიც ახმედხანის ქალიშვილი იყო, ერქვა ბაბა-ბიქე. მას სამი ძმა ჰყავდა: ჰასანი, იბრაიმი და რეშიდი. მეხთიალას სახელს ისტორიულ წყაროებში ვერ მივაგენით.

გვ. 52,19-20. „Она дочь Элисуйскаго бека Ахмед-аги“ – ისტორიული წყაროების მიხედვით, დანიილ სულთნის ცოლი იყო მეხთულელი ახმედხანის ქალიშვილი, ელისუელი ახმედხანის შვილი თავად დანიილ-ბეგი იყო.

გვ. 52,21-22. „одна выдана за Абдул Раймом – сын Баширбека Казыкумыксаго“ – საუბარია დანიილ სულთნის

ქალიშვილ ნენე-ხანუმზე, ყაზიყუმუხის ნაიბ ბაშირ-ბეკსა და მის ვაჟ აბდულრახიმზე, რომელიც ტელეტლოს ნაიბი იყო.

გვ. 52,22. „**другая за сыном Юсуп Аги**“ – დანიილ სულთანს, ნენებიქესა და ქარიმათის გარდა, კიდევ ორი ქალიშვილი ჰყავდა: ბეგუმ-ბიქე და იმიბიქე, იუსუფ-ხან ქურელს კი რამდენიმე ვაჟი ჰყავდა: ჰაჯი მუჰამედ-ბეკი, ჰაჯი სადიკ-ბეკი, ხალიდ-ბეკი, შახმარდან-ბეკი, ტაჰირ-ბეკი და მუჰამედ ნუცალ-ბეკი. კონკრეტულად რომელი მათგანი დანიილ სულთნის რომელი ქალიშვილის მეუღლე იყო, უცნობია.

გვ. 53,11. „**старшая дочь выдана за сына Шамиля**“ – საუბარია შამილის ვაჟ ყაზი მუჰამედსა და დანიილ სულთნის ქალიშვილ ქარიმათზე.

გვ. 53,16-17. „**Начальник Элисаветопольскаго Уезда**“ – ელიზავეტოპოლის მაზრის უფროსი იმ დროს იყო მამუკა (მაკარ) თომას ძე ორბელიანი.

გვ. 53,17. „**назначил в Самухе**“ – საუბარია ამჟამინდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე მაზრაზე, რომელიც ესაზღვრებოდა საქართველოს.

გვ. 53,23. „**Темим Ага свильно ранен**“ – სავარაუდოდ, საუბარია სულთან დანიილ-ბეგის ძმისწულზე, რომელიც მისი ერთ-ერთი ნაიბი იყო.

გვ. 53,25-26. „**Ея Светлости Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель**“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 55r-v.

თარიღი და ადგილი: „8^{го} Октяб: 1853 года Кр: Закаталы.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ /
„Письмо Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; 55-ე ფურცლის შიდა არშია რესტავრირებულია; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 55,16. „сборах, делаемых Шамилем“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 56,6. „Систерны, если можно, даже теперь“ – საუბარია ცისტერნებზე, რეზერვუარზე.

გვ. 56,11-12. „вывезли из плена Монаха Давид-Гарельской пустыни“ – საუბარია გარეჯის მონასტრიდან გატაცებულ ერთ-ერთ ბერმონაზონზე – ისაკზე, რომელიც 1853 წელს გამოისყიდეს შამილის ტყვეობიდან და რომელმაც შემდგომში აღწერა დავით გარეჯის მონასტერზე თავდასხმის ამბავი.

გვ. 56,12-13. „ограбивших Монастырь Св[ятого] Давида“ – თავდასხმა დავით გარეჯის მონასტერზე მოხდა 1851 წლის 19 ივლისს.

გვ. 56,17-18. „прислать сюда Халит Эфендия“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ ცნობილ სასულიერო პირზე –

ეფენდი ხალიდზე, რომელიც ფიქრობდა, რომ შამილს წინააღმდეგობის განევა უნდა შეეწყვიტა.

გვ. 56,19-20. „о двух Катехских Муллах“ – ამ სასულიერო პირთა სახელები უცნობია.

გვ. 56,23-24. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისასზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №57 (295) (გვ. 58-59)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №318, გვ.: 82r-v.

თარიღი და ადგილი: „9^ს ოკდომ: 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დაჭმუჭნილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელმოწერის ადგილას მელანია დაღვრილი.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 69-70.

გვ. 58,11-12. „წელნაზი თამარ, მეორედამ ბაბაღე, ახლა ამათთანა კატოცა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბაბაღე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 58,18. „ბოლუშევიჩი აქ მეყოლება“ – სავარაუდოდ, საუბარია ინჟინერ-კაპიტან ადამ ფრანცის ძე ბოლუშევიჩზე.

გვ. 58,21. „ჩემი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 58,25. „სანდრიკოსი აღარა ვიცირა“ – საუბარია გრიგოლის ძმისშვილ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 59,1-3. „გულტრედსა ქეთევანსა... მაგის ლანირაკი შვილი დათიკო აქა მყავს“ – საუბარია მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ცოლზე – ქეთევან გიორგის ასულ ერისთავზე, რომლის ვაჟი დათიკოც იმ დროს გრიგოლთან მსახურობდა.

გვ. 59,7. „იაკინთე სიყვარულით მომიკითხე“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 59,7-8. „დიდი კამისარი პლატონ“ – ქეთევანის ძმა პლატონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილი იმ დროს იყო ზაქათალის პოლიციის კომისარი.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 56გ.

თარიღი და ადგილი: „9^ლ Октяб: 1853. Кр: Закаталы.“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ /
„ ... чтоб иметь счастье представиться Вашей Светлости

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; შიდა არშია რესტავრირებულია; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ირკვევა, რომ ადრესატი იმყოფებოდა თბილისში: „Полковник К[нязь] Челокаев, по моему предложению, отправляется в Г[ород] Тифлис, чтоб иметь счастье представиться Вашей Светлости...“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 59,17. „Подполковник К[нязь] Чолокаев“ – საუბარია თუმ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის მმართველ მიხეილ ივანეს ძე ჩოლოყაშვილზე.

გვ. 60,15-16. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №91^ა/Hd – 6685, გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „12 ოკდომ: 1853 წელს. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყვარელო კონსტანტინე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 26,7X21,5 სმ; შესრულებულია მოშავო მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 70-71.

წერილის ადრესატია გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე დავითის ძე თარხნიშვილი (თარხან-მოურავი), იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებელი.

გვ. 61,17. „ჰაჯიყაზი, თუმცა დიდი დამნაშავეა“ – სავარაუდოდ, საუბარია იმ ჰაჯი ყაზიზე, რომელიც რუსეთის მხარეს იყო და შემდეგ შამილისკენ მოინდომა გადასვლა.

გვ. 61,20-21. „ნაბძანდეს თავის კარატაში შამილასთან“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამ შამილზე და დაღესტნის სოფელზე.

გვ. 62,7. „შენი ხალათ ეჭენდი“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ ცნობილ სასულიერო პირზე – ეფენდი ხალიდზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 56v.

თარიღი და ადგილი: „12 Октяб: 1853 года, Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ К: Воронцову.“ / „Адьютант Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღნით; რესტავირებულია შიდა არშია; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: იმავე ადრესატისადმი 9 ოქტომბერს მიწერილი ბარათიდან ირკვევა, რომ იგი იმყოფებოდა თბილისში: „Полковник К[нязь] Чолокаев, по моему предложению, отправляется в Г[ород] Тифлис, чтоб иметь счастье представиться Вашей Светлости...“ წინამდებარე წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 63,3. „Адьютант Вашей Светлости К[нязь] Эристов“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ დიმიტრის ძე ერისთავზე, რომელიც 1849 წლიდან იყო მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი.

გვ. 63,4-5. „в письме К[нязя] Бяратинскаго“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 63,10. „отправлены на Царскія Колодцы“ – საუბარია ამჟამინდელ დედოფლისწყაროზე.

გვ. 63,10-11. „отнеся к Генералу барону Врангелю“ – საუბარია რუს მხედართმთავარ ბარონ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელზე.

გვ. 63,18. „Темим Ага умер от раны“ – სავარაუდოდ, საუბარია სულთან დანიილ ბეგის ძმისწულზე, რომელიც მისი ერთ-ერთი ნაიბი იყო.

გვ. 63,19-20. „о смерти Бутринского Найба“ – 1853 წლის შემოდგომაზე ზაქათალაზე თავდასხმის დროს გარდაიცვალა ჩებერლოს ნაიბი ახბულატი. ინფორმაციას აპყოშის სოფელ ბუტრის მკვიდრ ნაიბზე ისტორიულ წყაროებში ვერ მივაგენით.

გვ. 63,22. „на вершине Диндидаги“ – კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალი დაღესტნისა და აზერბაიჯანის საზღვარზე.

გვ. 63,24-25. „Светлейшей Княгине Елисавете Ксавериевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ილია ორბელიანისადმი №87 (299) (გვ. 65-67)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №259, გვ.: 104r-v, 105r.

თარიღი და ადგილი: „16 ოქდომ: 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: დიდი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 43X26,6 სმ; გადაკეცილისა: 26,6X21,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: მართალია, საანალიზო წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ ილია ორბელიანისადმი მიწერილ მომდევნო, №88, წერილში, რომელიც

ერთი დღის შემდეგ, 17 ოქტომბერს, არის დაწერილი, გრიგოლი ძმას ეუბნება: „აბა შვილებო, თქვენ იცით, როგორც დაიფარებთ და არ ააკლებინებთ სომხითსა, ძლივს აშენებულსა ჩემის ხმალით.“ ამასთან, ცნობილია, რომ ილია ორბელიანი იბრძოდა ამიერკავკასიის ფრონტზე ყირიმის ომში და იმყოფებოდა ალექსანდროპოლში (ახლანდელი გიუმრი). აღნიშნულიდან გამომდინარე, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ალექსანდროპოლში.

შენიშვნები: 1. დიდი ასოებით წერია; 2. პიროვნების სახელი და გვარი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ავტოგრაფში „გარნადერებით“ წერია; 4. ღმერთი; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 71-75.

გვ. 65,23-24. „ძალუა ბარბარეს... ვუგზავნი“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 65,26. „ვირთავა პისარევსკისთანა კაცი“ – უნდა იგულისხმებოდეს ქართველ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი თეოდორე გერასიმეს ძე პისარევსკი.

გვ. 65,28-29. „შანცოვის ინსტრუმენტები დამემტვრა“ – შანცოვის ინსტრუმენტს უწოდებდნენ დასაშლელ ბარს, რომელსაც მეომრები იყენებდნენ სანგრების სათხრელად.

გვ. 66,4. „ჯვარი ეკუთვნის არჩილს ანდრონიკოვსა“ – საუბარი უნდა იყოს ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ვაჟ არჩილზე.

გვ. 66,7. „სოსიკო მომიკითხე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 66,13. „სარანდოვი თავის გრანადერებით“ – საუბარია ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერ ივანე პავლეს ძე სარანდოვზე.

გვ. 66,15. „ესტატე მარაბელი კიდევ ჩაბძანდა ჩუბჩინში“ – საუბარია შტაბსკაპიტან ესტატე მიხეილის ძე მარაბელზე.

გვ. 67,1. „ჩემს დიდს ბიძიას ალექსანდრეს“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 67,2. „ეგრეთვე დიმიტრის ონიკოვს“ – საუბარია პოდპორუჩიკ დიმიტრი ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე, ვისაც უძღვნა გრიგოლმა თავისი ლექსი „დიმიტრი ონიკაშვილის დარღები“.

ილია ორბელიანისადმი №88 (300) (გვ. 67-68)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №260, გვ.: 106r-v, 107r-v.

თარიღი და ადგილი: „17^ბ ოქტომ: 1853. ზაქათალით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,9 სმ; გადაკეცვილისა: 20,9X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: წინამდებარე წერილში გრიგოლი ძმას ეუბნება: „აბა შვილებო, თქუენ იცით, როგორც დაიფარებთ და არ ააკლებინებთ სომხითსა, ძლივს აშენებულსა ჩემის ხმალით.“ ამასთან, ცნობილია, რომ ილია ორბელიანი იბრძოდა ამიერკავკასიის ფრონტზე ყირიმის ომში და იმყოფებოდა ალექსანდროპოლში (ახლანდელი გიუმრი). აღნიშნულიდან გამომდინარე, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ალექსანდროპოლში.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. ამ ადგილას ჯერ სხვა სიტყვა დაუწერია ავტორს

(სავარაუდოდ, „რა“ – პირველი „რ“ ასო კარგად იკითხება), მერე გადაუხაზავს (აქ მელანიცაა დაღვენთილი) და შემდეგ ზემოთ ჩაუმატებია „რომ“; 4. აქ ჯერ დაუწერია „გამოვგზავნი მონმობასა“ და შემდეგ გადაუკეთებია ასე: „გამომეგზავნა მონმობა“; 5. „და მტერმა ნაილოო“ ჩამატებულია ავტორის მიერ; 6. ეს სიტყვა ჩამატებულია; 7. ღმერთი; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 75-76.

გვ. 67,14. „მანამ არ მოგივიდეს სეკურსი“ – საუბარია სამხედრო დახმარებაზე.

გვ. 67,21. „წერილი კნიაზ ბარიატინსკისა“ – გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი იმ დროს კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი იყო.

გვ. 67,23-24. „მთავარმართებელიც მთხოვს“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 67,25. „ვგზავნი ხვალვე აქედამ ბუჭყიევსა“ – სავარაუდოდ, საუბარია ერევნის კარაბინერთა პოლკის პოლკოვნიკ ივანე ბორისის ძე ბუჭყიაშვილზე.

გვ. 67,26-27. „კაცი ვაფრინე გუშინვე მელიქოვთან“ – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე, რომელიც იმ დროს ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსი იყო.

გვ. 67,27. „შენი სარანდოვი მაშინვე გამოისტუმროს“ – საუბარია ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერ ივანე პავლეს ძე სარანდოვზე.

გვ. 68,8-9. „ვირთავა არის ეგ პისარევსკი“ – უნდა იგულისხმებოდეს ქართველ გრენადერთა პოლკის პოლკოვნიკი თეოდორე გერასიმეს ძე პისარევსკი.

გვ. 68,18. „გავუშვი ყაპისდარაშიაო“ – საუბარია ქარ-ბელაქნის სოფელზე.

გვ. 68,23. „დიდი ბიძია ალექსანდრე მომიკითხე სიყვარულით“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 68,23-24. „ეგრეთვე დიმიტრი ონიკოვი“ – საუბარია პოდპორუჩიკ დიმიტრი ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №39 (301) (გვ. 69)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 57r.

თარიღი და ადგილი: „17 Октября 1853. Кр: Закаталы.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ /

„...волю Вашей Светлости ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალღიმი; ზომა: 33,7X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; შიდა არშია რესტავრირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 69,4. „в письме К[внязя] Бярятинскаго“ – საუბარია კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროს, გენერალ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 69,9. „вблизи Натлисцемели“ – სავარაუდოდ, საუბარია გარეჯის მონასტრის ერთ-ერთ ეკლესიაზე, რომელიც აზერბაიჯანის საზღვართან მდებარეობს.

გვ. 69,10. „предписание с нарочным К[внязю] Меликову“ – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელი-

ქიშვილზე, რომელიც იმ დროს ქარ-ბელაქნის ოლქის უფროსი იყო.

გვ. 69,17-18. „Светлейшей Княгине Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

მიხეილ ვორონცოვისადმი №40 (302) (გვ. 70)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 57v.

თარიღი და ადგილი: „18 Октяб: 1853. Кр: Закаталы“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ /
„Милостью Вашей Светлости...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; შიდა არშია რესტავრირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ამ დროისთვის ვორონცოვი კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მუშაობდა და ცხოვრობდა თბილისში. წერილიც, სავარუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 70,15-16. „производством в Генерал-Лейтенанты“ – გენერალ-ლეიტენანტის წოდება გრიგოლ ორბელიანმა მიიღო 1853 წლის 3 ოქტომბერს.

გვ. 70,21. „службе Великаго Государя“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 70,23-24. „Княгиня Елисавете Ксаверіевне и Графиня Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ილია ორბელიანისადმი №89 (303) (გვ. 71-73)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №261, გვ.: 108r-v, 109r.

თარიღი და ადგილი: „21^ბ ოქტომ: 1853. ზაქათალით“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით. ტექსტი „შენი სარანდოვი... და ან რა შეუძლიან?“ ასევე ტექსტი სიტყვებიდან – „სოსიკო მომიკითხე...“ – გვერდის ბოლომდე გადახაზულია შავი ფანქრით.

ადრესატის მისამართი: ილია ორბელიანისადმი №88 წერილში გრიგოლი ძმას ეუბნება: „აბა შვილებო, თქვენ იცით, როგორც დაიფარებთ და არ ააკლებინებთ სომხითსა, ძლივს აშენებულსა ჩემის ხმალით.“ წინამდებარე წერილი 4 დღის შემდეგაა დაწერილი და მასში არაფერია ნათქვამი ილიას შესაძლო გადაადგილების შესახებ. ამასთან, ცნობილია, რომ ილია ორბელიანი იბრძოდა ამიერკავკასიის ფრონტზე, ყირიმის ომში, და იმყოფებოდა ალექსანდროპოლში (ახლანდელი გიუმრი). აღნიშნულიდან გამომდინარე, წერილი გაგზავნილი უნდა იყოს ალექსანდროპოლში.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ამ ადგილას გადახაზულია სიტყვა და გადაკეთებულია სიტყვად „ხან“; 3. ღმერთი; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 76-77.

გვ. 71,17. „დალიბაშების ქუდები“ – დელიბაშს უწოდებდნენ თურქები მამაც მეომრებს, ძირითადად, ცხენოსნებს.

გვ. 71,21-22. „ოსმალებმა მოიცადესა იმდენი, რომ ჯარები შეგიგროვდეს?“ – ილია ორბელიანს თურქების პირველი შეტევის მოგერიება თავისი ძალებით მოუხდა სომხეთის დასახლებულ პუნქტ ბაიანდურთან 1853 წლის 2 ნოემბერს და დამარცხდა, მაგრამ დროულად მიუსწრეს ბებუთაშვილის სამხედრო დანაყოფებმა, რომელთან შეტაკებასაც თურქები მოერიდნენ და გაიქცნენ ბაიანდურიდან.

გვ. 72,2. „ზურაბ ყაფლანის შვილის ხმალი“ – ზურაბი გრიგოლისა და ილიას მამას ერქვა, ყაფლანიშვილებს კი მათ საგვარეულოს უწოდებდნენ.

გვ. 72,3. „ჩემს დიდს იანარლობას ხომ შეიტყობდი“ – 1853 წლის აგვისტო-სექტემბერში გრიგოლ ორბელიანმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ქარ-ბელაქნის ოლქში შემოჭრილი მთიელების წინააღმდეგ ბრძოლებში, რისთვისაც 3 ოქტომბერს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

გვ. 72,11. „სარანდოვი და ბუჭყიევი“ – საუბარია ერევნის კარაბინერთა პოლკის პოლკოვნიკ ივანე ბორისის ძე ბუჭყიაშვილზე და ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერ ივანე პავლეს ძე სარანდოვზე.

გვ. 72,14. „ხალათეჭენდი გამომიგზავნეს“ – საუბარია დალესტნის ერთ-ერთ ცნობილ სასულიერო პირზე – ეფენდი ხალიდზე.

გვ. 72,27. „სოსიკო მომიკითხე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 72,28. „ბიძია ალექსანდრეს დიდად მდაბლად თავს დაუკრამ“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 72,31. „დიმიტრი ონიკოვი მომიკითხე“ – საუბარია პოდპორუჩიკ დიმიტრი ნიკოლოზის ძე ონიკაშვილზე.

გვ. 72,31-32. „შვილი ხომ არ უპოვნია მანდა“ – გრიგოლი თავის წერილებში დიმიტრი ონიკაშვილის შვილად ხუმრობით მოიხსენიებს ხოლმე გრიგოლ შადინოვს.

ქეთევან ორბელიანისადმი №58 (304) (გვ. 73)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №319, გვ.: 83r.

თარიღი და ადგილი: „23 ოქდომ: 1853 ზაქათალით“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,6X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6 X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 78.

გვ. 73,6-7. „დიდი იარანალობა მომივიდა“ – გრიგოლ ორბელიანმა 3 ოქტომბერს მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება.

გვ. 73,8. „არცა თქუენ და არცა ყაფლან?“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი.

გვ. 73,16. „სანდრიკოს წერილი მომივიდა“ – იგულისხმება გრიგოლის ძმისშვილი ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანი, რომელიც იმ დროს პეტერბურგში სწავლობდა.

გვ. 73,18-19. „ბაბაღეც ხომ ჩამოვიდა, წელნაზი თამარ, კატო, სოფიკო“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ქალიშვილებზე.

გვ. 73,21-22. „ივანე, ალექსანდრე, მამუკას ცოლი“ – საუბარია გრიგოლის ნათესაებზე – ალექსანდრე და ივანე დავითის ძე ორბელიანებზე და მამუკა თამაზის ძე ორბელიანის მეუღლეზე – ქეთევან გიორგის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №4 (305) (გვ. 74-75)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, N96/HD – 4528 (ავტორიზებული).

ხელმოწერა: „შენი მარადის ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო უსაყვარლესო ძმაო კონსტანტინე“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, ოვალურკუთხეებიანი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, თეთრი ფერის ქაღალდი, ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X20,7 სმ; გადაკეცილისა: 20,7X13,4 სმ; შესრულებულია მოყავისფრო მელნით; ხელნაწერი დალაქავებულია; წერილი დაწერილია დიმიტრი ჯორჯაძის ხელით, ხელმოწერა და რამდენიმე ფრაზა გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის; სასვენი ნიშნები წერილში იშვიათია.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ეს ორი სიტყვა ჩამატებულია ზემოდან და ერთად წერია; 2. ღეთის; 3. ღმერთმა; 4. ამის შემდეგ წერილი გრიგოლის ხელით გრძელდება იმავე სტრიქონიდან შავი მელნით; 5. ამის შემდეგ ისევ დიმიტრი ჯორჯაძე აგრძელებს შავი მელნითვე; 6. ბოლო ფრაზები ლურჯი მელნით არის მიწერილი უცნობი ხელით.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილზე არ არის მითითებული დაწერის არც თარიღი და არც ადგილი, მაგრამ იმავე მოვლენებზეა საუბარი, რაზეც იმავე ადრესატისადმი 1853 წლის 12 ოქტომბერს მიწერილში (შდრ. „მე მაგას აქ არ დავაყენებ, თავის ცოლშვილს ჩავაბარებ, და ვეტყვი რომ აიბარგოს...“ / „მაგას აღარ დავაყენებ ბელაქანში და თუ ჰსურს, ნაბძანდეს თავის კარატაში შამილასთან“; „აბა ახლა რას მეტყვი ოსმალოსათვის? რას ამბობენ, ანუ რა იმედი აქუსთ“ / „შენხომ კარისკაცი ხარ; მაშ აბა მოიწერე და? რა ამბავია ოსმალოებისაკენ“; „შენი ხალათ ეჭენდი, თუ ჰსურს, მობძანდეს“ / „ეს შენი ხალათეფენდის თხოვნა აღმისრულებია.“ მოვლენათა განვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, წინამდებარე უთარილო წერილი ცოტათი უფრო გვიანდელი უნდა იყოს. 12 ოქტომბრის წერილში გრიგოლ ორბელიანს ახალი შეტყობილი აქვს, რომ კონსტანტინე მისგან რუსეთის მოღალატე ყადის განთავისუფლებას ითხოვს: „უძღურვარ, ვითარცა კაცი; შენს თხოვნას უარვერა ვჰყოფ: ჰაჯიყაზი, თუმცა დიდი დამნაშავეა, მაგრამ თუ შეგიძლიან აპატიებინე... გსურს და აპატიე.“ უთარილო წერილიდან კი ჩანს, რომ ამ ყადის შესაწყნარებლად გრიგოლს უკვე დაუნერია მთავარმართებელთან შუამდგომლობა: „შენი ხალათეფენდის თხოვნა აღმისრულებია და ამასთან გიგზავნი მთავარმართებელთან რაპორტს რომლითაც ესთხოვ ბელაქნელის ყაზიას აქავე დაბრუნებას. ახლა შენ იცი როგორც მთავრთმევე ამრაპორტს და მალე დააბრუნებინებ.“ შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1853 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში.

გვ. 74,2. „ხალათეფენდის თხოვნა აღმისრულება“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ ცნობილ სასულიერო პირზე – ეფენდი ხალიდზე.

გვ. 74,3. „გიგზავნი მთავარმართებელთან რაპორტს“ – იგულისხმება კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვი.

გვ. 74,4. „ბელაქნელის ყაზიას აქავე დაბრუნებას“ – საუბარია ბელაქნელ მუსლიმან სახალხო მსაჯულზე.

გვ. 74,13. „მუხრანბატონს რასაკვრ[ე]ვლია ნახავ“ – სავარაუდოდ, საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 74,15. „ილიკო ჯავრისაგან აღარ არის“ – სავარაუდოდ, საუბარია კონსტანტინეს ნათესავზე, შესაძლოა, ძმაზე, რომელიც გრიგოლთან მსახურობდა.

გვ. 74,15-16. „დედისაგან წიგნი აღარ მიუღია“ – საუბარია ილიას დედაზე.

გვ. 74,26. „ახალ ახალი ამბები სამძღვრებიდან“ – იგულისხმება რუსეთ-თურქეთის საზღვრები.

გვ. 75,8. „დიმიტრი ჯორჯაძე მდაბლათ თავს გიკრავთ“ – საუბარია დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №2 (306) (გვ. 75-77)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №433, გვ.: 23r-v, 24r.

თარიღი და ადგილი: „28 ოქდ: 1853 ზაქათალით“ / „5 ნოემბერს.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო და საკუთარო დაო-ტეტუშკავ ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა:

26,6X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაუღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ირკვევა, რომ გრიგოლს ბაბალეს წერილი მიუღია კოდიდან: „ჩვენის საუფლო ქალაქით კოდიდამ მომივიდა შენი წერილი ჩემის თვალებისა და გულისა განსანათლებლად!“ აქვე ჩანს, რომ გრიგოლმა ზუსტად არ იცის, სად იმყოფება ბაბალე: „შენ რასა იქ და ახლა სადახარ ჩემო საყვარელო ბაბალე? მომწერე ხშირად და ხშირად.“ მაგრამ სთხოვს საშობაოდ ქალაქში ჩასვლას, რაც მიუთითებს, რომ გრიგოლი წერილს კოდაში აგზავნის: „და თუ ღთმა მალირსა, აბა დაემზადე საშობაოდ ქალაქში ჩამოსვლისათვის, რომ მეც აქედამ მოვდივარ.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ამის შემდეგ კიდევ ერთი „მხოლოდ“ დაუწერია და მერე გადაუხაზავს; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ღმერთმა.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 78-79. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 125).

წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, ქალიშვილი ბაბალე ორბელიანი-საგინაშვილისა, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე.

გვ. 75,17. „ჩვენის საუფლოქალაქით კოდიდამ“ – კოდა ორბელიანებს ეკუთვნოდა.

გვ. 75,19. „ჭვეხარ წელნაზსა თამარსა“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ასული თამარი, ანდრია სანკოვსკის მეუღლე.

გვ. 75,21. „კრასავიცა ბაბალებ ზომ თბილისში იმყოფება“ – საუბარია იაკობ ორბელიანის მეორე ქალიშვილ ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 76,5. „ჩვენი მადამ გოგინცოვა“ – სავარაუდოდ, საუბარია ზაქათალაში მომსახურე ოფიცრის მეუღლეზე.

გვ. 76,9-10. „ნუხის ხანი რამაზ თარხანოვი“ – საუბარია ნუხის მაზრის უფროს რამაზ დიმიტრის ძე თარხნიშვილზე.

გვ. 76,14-15. „ილიკოს ორი ვაჟი“ – როგორც ირკვევა, 1853 წლის 26 ოქტომბერს ილია ორბელიანის ცოლ ბარბარეს ტყუპები შეეძინა, მაგრამ მათგან ერთი მალევე დაიღუპა და დარჩა მხოლოდ გიორგი.

გვ. 76,27. „ალექსანდრეს სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ბარბარეს მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 76,29. „საყვარელი ძალუა ელისაბედ“ – საუბარია ბარბარეს დედაზე – გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, ქვრივ ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

ილია ორბელიანისადმი №90 (307) (გვ. 77-78)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №262, გვ.: 110r-v, 111r.

თარიღი და ადგილი: „1853 ნოემბ: 22 დღეს. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“ (ეს ხელ-რთვა ორჯერ არის, სხვადასხვა ადგილას)

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძმაო ილიკო“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, მოცისფრო ქალაღი; ზომები: გადაუკეცა-

ვისა: 42,2X26,9 სმ; გადაკეცილისა: 26,9X21,1 სმ; 110r ფურცლის თავზე ფანქრით აწერია: 1853.

ადრესატის მისამართი: ილიასადმი მიძღვნილი წინა წერილები, სავარაუდოდ, **ალექსანდროპოლშია** გაგზავნილი. ცნობილია, რომ ილია ორბელიანი 19 ნოემბერს ბაშკადიკლარის ბრძოლის დროს მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა 8 დეკემბერს. წინამდებარე წერილის წერის დროს ადრესატი უკვე მძიმედ იყო დაჭრილი, რის შესახებაც გრიგოლმა არ იცოდა.

შენიშვნები: 1. ღმერთო; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ამის შემდეგ სხვათა მინაწერებია:

გრიგოლ შადინოვის მინაწერი (სტილი ყველგან დაცულია): „ილია ჯან! სახლები სულ მზათ გახლავსთ, ქეთევან გადმოვიდა, მაგრამ ზევით დგომა ჯერ არ შეიძლება, სუნთქვას პოლებისა, ზაჰლა წაიღეს მალიარებმა ძლივს გავათავებინე – ვათობინებ მუდამ ოთახებსა და კნეინასაც მივწერე, რომ ათიოთ დღე კიდევ მოითმინოს და მაშინ წამოძანდეს; უსტა აბდულლასაგან ილაჯი აღარა მაქვს, ოთახის თხუთმეტი თუმანსა მთხოვს, მივცე თუ არა მამწერე. თქუენი გრიგოლ შადინოვი.“

ამ აბზაცის გვერდით, 111r გვერდის ზემოთ, მარცხენა არშიაზე, იმავე პირის მინაწერია: „მომილოცავს ვისოჩინის ობერ პროვიანტმეისტრობა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროსთ.“

ალექსანდრე ორბელიანის მინაწერი: „ძმავო ილიავ! ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ ეხლა რილასთვის წამოვიდე გაზაფხულამდის. რა მოგწერო ახალი, ამბავი არა არი. ბებერს ბიძიას მდაბლად თავს დაუკრამ ეგრეთვე ყველას ვინცკი ქართველი არის მანდ. შენი ალექსანდრე“

გრიგოლ ერისთავის მინაწერი: „და აღსრულდესცა სიტყვა ილია წინასწარმეტყველისა რომელმანცა სთქუა: ნადი ყუბას და შეიქმნებაცა უფალი შენი ძმა ჩემი გრიგოლი, აფერუმ შორს დამნახავი კაცი ხარ; ნეტავი ვიცოდე ყარს ჰხედამ მაგ

ლაგირიდანა თუარა, სხუ[ა] რამოგნერო ღმა აჩვენოს ჩემს თვალებს შენი ღენერალ ადუტანტობა.

შენი მონა და მოსამსახურე გრიგოლ ერისთავი ხანი ყუბისა“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 79-83. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 64).

გვ. 77,5. „**კნიაზ არლუთინსკის მაგიერ**“ – როდესაც მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი საომრად მიდიოდა, თემირხანშურის მმართველობას გრიგოლ ორბელიანი იბარებდა ხოლმე.

გვ. 77,7. „**ვასილი ნასულა იმის აქ მოსაყვანად**“ – გაურკვეველია, რომელ ვასილს გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილს ცოლად ჰყავდა მარიამ სოლომონის ასული არლუთინსკი-დოლგორუკოვი და, შესაძლოა, ისინი ნათესავები იყვნენ, მაგრამ ბებუთაშვილს ორბელიანი სხვაგან მამის სახელით იხსენიებს.

გვ. 77,9-10. „**აუვლი ძალუა ბარბარესაცა და ვნახავ შენს გოლიათს შვილებსა**“ – საუბარია ილიას მეუღლეზე – ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და ახალშობილ ტყუპებზე, რომელთაგან ერთი მალევე მოუკვდა.

გვ. 77,11-12. „**მთავარმართველი უკეთ ბძანდება**“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 77,12. „**ანდრონიკოვის გამარჯვებამ გააცოცხლა**“ – საუბარია ანდრონიკაშვილის გამარჯვებაზე 1853 წლის 14 ნოემბერს, რომელიც მან მოიპოვა ახალციხეში გამაგრებული,

რაოდენობით ორნახევარჯერ აღმატებული თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გვ. 77,15-16. „ივანესთან, ესე იგი მანანასთან“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, დავით ორბელიანის, ვაჟსა და მის დედაზე – მანანა მირმანიზის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე.

გვ. 77,17. „კნინა კნიაზითურთ ურჩევნ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძლის, ბარბარეს, მშობლებზე – ილია გიორგი XII-ის ძე ბაგრატიონსა და ანასტასია გრიგოლის ასულ ობოლენსკაია-ბაგრატიონისაზე (1805-1885).

გვ. 77,19-20. „მივდივარ ანნეტასთან“ – საუბარია გრიგოლის რძლის, ბარბარეს, უფროს დაზე – დავით ჭავჭავაძის მეუღლე ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 78,6-7. „გაგ ზავნილნი არიან ჩვენი სანკოვსკი, ბარტოლომეი, ხანიკოვი“ – სანკოვსკიზე „ჩვენს“ იმიტომ ამბობს, რომ ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკი იყო გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასული ორბელიანის მეუღლე. ეგერთა პოლკის ოფიცერი ივანე ალექსის ძე ბართოლომეი 1850-1853 წლებში კავკასიის მთიანეთში იბრძოდა. ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ხანიკოვი (Ханыков 1822-1878) 1853 წელს დაინიშნა გენერალური საკონსულოს მმართველად თავრიზში.

გვ. 78,9. „არავინ დამხვდა, არცა ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 78,10. „არცა კონსტანტინე“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანზე.

გვ. 78,13-14. „ჩემმაგიერ კნიაზ გრიგოლ მუხრანისბატონი“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 78,18. „ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 78,18-19. „ეგრეთვე ვახტანგ, სოსიკო და სხუანი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე და, სავარაუდოდ, ვახტანგ ვახტანგის ძე

ორბელიანზე, რომელიც იმ დროს იოსებთან ერთად მსახურობდა დიდი თავადის – კონსტანტინე ნიკოლოზის ძის – გრენადერთა პოლკში.

გვ. 78,20-21. „კნიაზს ვასილი ოსებიჩს ჭეშმარიტს პატივისცემას მოვახსენებ“ – საუბარია გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილზე.

გვ. 79,1. „მოვიდა ჩემთან სლინკო“ – სავარაუდოდ, საუბარია ლავრენტი აკიმის ძე სლინკოზე, რომელიც გრიგოლ ორბელიანის სამხედრო კარიერის დასაწყისში მასთან ერთად მსახურობდა გრენადერთა ქართულ პოლკში.

გვ. 79,2. „გამონერილი შენგარდის საქმეზედ“ – გაურკვეველია, რა საქმეზე არის საუბარი. შენგარდები, როგორც ჩანს, თბილისშიც მოღვაწეობდნენ. მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში აფთიაქიც კი ჰქონდა გახსნილი ენგელბრეჰტ შენგარდს, მაგრამ წერილში მოხსენიებული პირის სახელი უცნობია და არ ჩანს, რა საქმეზეა საუბარი.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №1 (308) (გვ. 79)

ავტოგრაფი: A: ფონდი №5, აღწერა №1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 125.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ავტოგრაფის აღწერილობა: ეს არის კონვერტი, რომლის I გვერდზე რუსული წარწერაა (მისამართი), ხოლო კონვერტის ბოლო გვერდზე მინაწერია; ზომა: 13,3X11,1 სმ. კონვერტი გახუნებულია, დასდევს ლურჯი მელნის ლაქები, მასზე დიდი წითელი დამლის კვალია; წარწერა შესრულებულია შავი მელნით; რომელი წერილი იდო ამ კონვერტში, ძნელი სათქმელია. ის საქმეში დევს 125-ე გვერდზე. 123-124-ე გვერდებზე არის წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი, მაგრამ ავტორი გრიგოლი არ არის.

ადრესატის მისამართი: „Его Сіятельству, Князю Дмитрію Давидовичу, Джорджадзе. в Кр: Закатала“

შენიშვნები: 1. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: შეტაკება, რომელიც, წერილის მიხედვით, ახალმომხდარია („ამ საათში მოიტანეს“), წარიმართა 1853 წლის 19 ნოემბერს. რუსეთის ჯარებმა ყარსიდან 35 კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ბაშკადიკლართან დაამარცხეს მთავარსარდალ სერასკირ აბდი ფაშას ჯარები, წართვეს 24 ზარბაზანი და განდევნეს ყარსისკენ. 23 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანი დიმიტრი ჯორჯაძეს სწერდა: „ოსმალის ჯარი, მდგომარე ალექსანდროპოლის მოპირდაპირედ, აიყარა და გაიპარა ყარსისაკენ, მაგრამ მთავარმართებელსკი ჰსწყინს, რომ კარგად არ დაამარცხა ბებუთოვმა და არ გაფანტა ის ჯარი.“ როგორც ვხედავთ, ამ წერილის მიხედვითაც, ბაშკადიკლარის შეტაკება მომხდარია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ ფაქტიდან ცოტა მეტი დროა გასული და მისი შედეგებიც უფრო დინჯად და ნაკლებ ემოციურად არის გაანალიზებული. შესაბამისად, წინამდებარე უთარილო ბარათი დაწერილი უნდა იყოს ამ შეტაკების თარიღსა და დიმიტრი ჯორჯაძისადმი გაგზავნილი მომდევნო წერილის თარიღს შორის – 1853 წლის 19-22 ნოემბერს.

გვ. 79,12. „ჩვენებს დაუმარცხებიათ სერასკირი“ – იგულისხმება ბაშკადიკლარის ბრძოლა და მთავარსარდალი აბდიფაშა.

გვ. 79,14. „ოსმალის ჯარი აუოტებიათ“ – ოსმალებმა დაიხიეს ყარსისკენ.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №529, გვ.: 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „23^ს ნოემ: 1853. თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოცისფრო ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,9X20,7 სმ; გადაკეცილისა: 20,7X13,5 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ამავე ადრესატისადმი გაგზავნილი წინა წერილი (№1), რომელიც დანერილი უნდა იყოს 19-22 ნოემბერს, გაგზავნილია ზაქათალაში. წინამდებარე წერილიც, რომელიც დანერილია 23 ნოემბერს, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „მის მაგიერ“ ჩამატებულია; 3-4-5-6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ;

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 83-84.

გვ. 80,5-6. „აღმითქვაცა შჩერბინინმა“ – საუბარი უნდა იყოს მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინზე (1807-1881), რომელიც მუშაობდა ვორონცოვის პირად მდივნად.

გვ. 80,7-8. „გრისენკოს დანიშნვა ახალს თანამდებობაში“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ადრიან ვასილის ძე გრისენკოზე, რომელიც დიმიტრი ჯორჯაძის მოადგილედ მსახურობდა კასპიისპირა მხარის სამოქალაქო სამმართველოს საქმეთა მწარმოებლად მისი გადმოყვანის შემდეგ.

გვ. 80,11. „ანდრონიკოვის გამარჯვებას ხომ შეიტყობდით“ – საუბარია ანდრონიკაშვილის გამარჯვებაზე 1853

წლის 14 ნოემბერს, რომელიც მან მოიპოვა ახალციხეში გამაგრებული თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

გვ. 80,11-12. „გუშინ ელიზბარ ერისთავი მოვიდა“ – საუბარია გენერალ-მაიორ ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 80,18-19. „ზავადოვსკი... კარეტაშიკი მოკუდა“ – საუბარია შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურზე – ნიკოლოზ სტეფანეს ძე ზავადოვსკიზე, რომელიც შემდეგ ალექსანდრე ქრისტიანეს ძე კაპლერმა შეცვალა.

გვ. 80,19-20. „კაზლოვსკი დანიშნეს დროებით“ – საუბარია ბიკენტი მიხეილის ძე კოზლოვსკიზე, რომელიც ზავადოვსკის შემდეგ დაინიშნა შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაურად.

გვ. 80,22-23. „მთავარმართებელსკი ჰსწყინს“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე.

გვ. 80,23. „კარგად არ დაამარცხა ბებუთოვმა“ – საუბარია ვასილ იოსების ძე ბებუთოვზე, რომელმაც 19 ნოემბერს დაამარცხა თურქეთის ჯარი ბაშკადიკლართან, მაგრამ, როგორც ჩანს, მთავარმართებელი უკმაყოფილო იყო, რომ თურქების დიდ ნაწილს ყარსისკენ უკანდახევის შესაძლებლობა მიეცა და სრულად არ იქნა განადგურებული.

გვ. 80,28. „ასტაფიევი, სვიმონ, ბრუსილოვი, ახვერდოვი“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს დალესტანში მომსახურე ოფიცრებზე: ალექსეი ანდრიას ძე ასტაფიევი, სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილზე, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვსა და იური თევდორეს ძე ახვერდოვზე.

გვ. 81,6. „ჭარის ყაზია“ – საუბარია დალესტნელ ყადზე – მუსლიმან სახალხო მსაჯულზე.

გვ. 81,6-7. „ჰაჯიმაჰმუდ, რამაზან, ალიბეგები, მურთუზჰაჯი, ოცოოლლ და ჰაჯი იტინაუ მომიკითხე“ – საუბარია ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომლებიც იმ დროს რუსეთის მხარეს იყვნენ.

იოანე სავანელისადმი №1 (310) (გვ. 81)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7515^ა (ძველი №175); დავთარი შეიცავს 135 ფურცელს, განსახილველი წერილი მესამეა.

თარიღი და ადგილი: „24^ბ დეკემ: 1853 წელსა.“

ხელმოწერა: „დავშთები თქვენი მორჩილი მოსამსახურე თ^ი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „მამაო იოანე სავანელო!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი ქალაღი; ზომა: 21,1X13 სმ; პირველი გვერდის ზემოთა მარჯვენა მხარე მოხეულია და რესტავრირებული; შესრულებულია შავი ტუშით.

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია თბილისში. პირველ გვერდზე მინაწერია: „სიონის დეკანოზს იოანე სავანელს.“

შენიშვნები: 1. თავადი; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. პირველ გვერდზე, თარიღის ქვემოთ, მინაწერია:

„16 იანვარს თხუთმეტი წირვა აღვასრულე

მლუდელი იოანე სავანელი“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 85.

წერილის ადრესატია თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი იოანე სავანელი.

გვ. 81,14-15. „გარდაცვალებულსა ჩემს ძმასა ილია ორბელიანსა“ – ილია ორბელიანი გარდაიცვალა 1853 წლის 8 დეკემბერს.

ალექსანდრე ვილბოისადმი №1 (311) (გვ. 82)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 202r.

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Полковнику Вильбою.“ / „...Милостивый Государь, Александр Давыдович ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 29X21,5 სმ; ნაწერია შავი ფანქრით (შავი ნუსხა); ტექსტი ნასწორებია; არშიები უხეშადაა რესტავრირებული.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილის ადრესატი უნდა იყოს ალექსანდრე დანიელის (დავითის) ძე ვილბოი, რომელიც მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან ნევის საზღვაო პოლკში. რამდენადაც ვილბოი 1853 წელს გარდაიცვალა, ბარათი 1853 წლის ბოლომდე უნდა იყოს დაწერილი.

გვ. 82,5. „раскающемуся молодому Анучину“ – ანუჩინისა და მამამისის სახელები უცნობია.

ბაბალე საგინაშვილისადმი №3 (312) (გვ. 83)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №434, გვ.: 25r-v, 26r.

თარიღი და ადგილი: „იანერის 28. 1854 წელს.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“ / „შენი ძმა გრიგოლი“ (ხელრთვა ორჯერ არის, სხვადასხვა ადგილას)

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დაო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში. 26r გვერდის ბოლოს ფანქრით უცნობი მინაწერია გვერდულად: „ზაქარია და ილია ორბელიანის წიგნები.“ გრიგოლ ორბელიანის წერილი განთავსებულია 25r-სა და 26r გვერდებზე.

ადრესატის მისამართი: წერილში ალექსანდრე ორბელიანის მინაწერია ბაბალესადმი, სადაც ჩანს, რომ ადრესატი თბილისში არ იმყოფებოდა: „ტასოს და ივანეს მოველით ქალაქს რაღა ეხლა წახველ? რა არის რომ ჩამოიბენ და აირბენ.“ რამდენადაც ბაბალესადმი გაგზავნილი წინა (№2) წერილიდან ვიცით, რომ იგი კოდაშიც ხშირად იმყოფებოდა, სავარაუდოდ, ეს ბარათიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. წერილი ალექსანდრე ორბელიანის მინაწერით იწყება: „უსაყვარლესო დაო ბაბალე!“

შენი წიგნი ტასოსთან, რომელიც მოგეწერა შენს წასვლის წინად, გაუგზავნე. ტასოს და ივანეს მოველით ქალაქს რაღა ეხლა წახველ? რა არის რომ ჩამოიბენ და აირბენ. რა მოგახსენო ახალი ამბავი არა არისრა ჩვენი გრიგოლ მალე მიდის. კარგი გეყოფა რაღა მოგწერო! ძალუა მომიკითხე. –

შენი ალექსანდრე ორბელიანი“

2. ღვთით; 3. ამის შემდეგ ისევ ალექსანდრე ორბელიანის მინაწერია: „ბაბაღე დედაშენი მომიკითხე და ასეთი საქმე უყო მანანამა და იძია შური წა[ა]რთო ლუარსაბ ერისთავი რომელიც განუშორებლათ არიან ერთათ, ალექსანდრე ჯერეთ არის აღბულაღს და მგონია ვილაც უშოვნია ისე დროს გასატარებლათ სინამ განახამდეს.

შენი ალექსანდრე ორბელიანი“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 86.

წერილის ადრესატია გრიგოლის ბიძაშვილი ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ. 83,2-3. „შენი ქმარი წასულია აღბულაღსა პოლკის ჩასაბარებლად“ – აღბულაღი ქალაქ თეთრიწყაროს ერქვა 1940 წლამდე. პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილი კავკასიის ჯარების მხედართმთავრის თანაშემწე იყო და, როგორც ჩანს, ევალებოდა პოლკების შემონახვა.

გვ. 83,8. „ძალუა ელისაბედს, ჩემს საკუთარს ძალუას“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 83,9. „ძალუა ვარინკა, გადმოვიდა აქა“ – საუბარია ილია ორბელიანის მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 83,9-10. „პატარა შვილიც კარგადა ჰყავს“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, ვაჟ გიორგიზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №91^ა/Hd
– 7698, გვ.: 2v.

ხელმოწერა: „გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო კონსტანტინე“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, მოცისფრო ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 43X26 სმ; გადაკეცილისა: 26X21,5 სმ; ხელნაწერი საკმაოდ დაზიანებულია; გვერდები დამწვარია მელნით; რესტავირებულია; შესრულებულია მუქი ყავისფერი ტუშით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში და ამის გამო წერილი საკმაოდ დასვრილია.

პირველ სამ (1v-r, 2r) გვერდზე განთავსებულია ალექსანდრე საგინაშვილის წერილი კონსტანტინე თარხნიშვილისადმი, მეოთხე (2v) გვერდზე გრიგოლის წერილია. მას თარიღი არ აწერია, მაგრამ ალექსანდრე საგინაშვილის წერილია დათარიღებული ავტორის მიერ: 1854 გათიშულად უწერია: 18 ცალკე და 54 ცალკე, მათ შორის წერია თვე და რიცხვი წილადის სახით: ზემოთ 2, ქვემოთ – 4. ეს, სავარაუდოდ, უნდა იყოს 4 თებერვალი, ან 2 აპრილი. ქვემოთ მოცემულ რუბრიკაში („დათარიღება“) გარკვეულია, რომ წერილი დაწერილია თებერვალში.

გრიგოლისა და ალექსანდრეს წერილები ერთი და იმავე ტუშით არის დაწერილი; ხელნაწერი რესტავირებულია.

ალექსანდრე საგინაშვილის წერილი (სტილი დაცულია):

ჩემო საყვარელო და უძვირფასესო კონსტანტინე! –

აი აქაური ამბავი რა არის! – მეორე დღეს, ჩუჭნის ქალაქში შემობრძანებისა, ვიყავი ნაჩალნიკის შტაბთან, დიდი

მადლობა. – „вамь мой отвѣтъ, скорейшей удачи, обяванъ этому благородному пріемщику, который наполнил благородными чувствами; – и не желаль, воспользоваться никакой излишностью. – как это часто бывает с умными, вовремя пріема. – и онъ довольствовался тем, чтобы улучшить передачными средствами иметь такавъ наилучшем виде. – აქ სულ გათოვდა. მართლა ძალიან ბევრი პოლკები ყოფილა, მაგრამ სულ გაფასდნენ. – მთავარმართველთანაც ვიყავი. – იმანაც დიდი მადლობა. – იმ დღესვე ჩამობძანდა გრიგოლთან იქაც მადლობა; და გრიგოლმაც დიდი მადლობა მოახსენა. – одним словом, вступленіе твое, на новое место ознаменовали съчастіемъ и благодѣствомъ. – აი ქიში! – როცა გაგიჭირდეს, храбрые товарищи. – შენ წიგნზე გრიგოლმა იხარხარა რა უნდა მოგწერო, это будет смешнымъ все уже хохотали на этом. იმედი მაქვს, როგორათა ვნახე. ისე იქნები. – и тогда будет все хорошо. – რუკები და მონუმობა პალატკებითა გამოგიგზავნე. – пополучении коихъ прошу приказать исполнить рапортъ мой поданный вамъ на этомъ предметъ. – ანდრეევსკისთანაც ვიყავ. – მინდოდა იმისათვისაც მიამბნა მაგრამ შეუძლოთ არის, და ვერა ვნახე. – მთელი დღე მარკით დავდიო (ასეა ხელნაწერში. ქ.გ.): однимъ словомъ одинъ и тотъ же былъ разговоръ. – ნამეტნავმა შიშმანკი. – და ბებუთოვმა, კოსტანტინე როდის წავაო. – ამათ მოვახსენე. Черезъ два дня. – აი ჩემო საყვარელო და სასურველო კონსტანტინეჯან. – Желая отъ Души, наилучшого, и непритворно[го] всемъ счастья и благополучія – ამას ვფიქრობ როცა მობძანდა ის გახდა ჩვენ უბანში რომ რეპუტაცია გაიკეთე. ესეც გეყოფა. – ეხლა-სოლრ-ხოეთъ храбрые товарищи. Благодаря бога. – все будетъ хорошо. – რომ შენც კარგათ იცი. –

შენი ერთგულამარა
ალექსანდრე საგინაშვილი

ადრესატის მისამართი: რამდენადაც წერილში საუბარია კონსტანტინე თარხნიშვილის მიერ ილია ორბელიანის პოლკის გადაბარებაზე, ილია კი ბოლო ჟამს ალექსანდროპოლში მსახურობდა, სავარაუდოდ, წერილი ალექსანდროპოლში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. ამ ადგილას ფურცელი გახეულია; 3. ღმერთი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარილება: წერილში საუბარია გრიგოლის ძმის გარდაცვალების შემდეგ მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველ გრენადერთა პოლკის გადაბარებაზე. ამ პოლკის მეთაურთა შორის ოფიციალურ ნუსხებში კონსტანტინე თარხნიშვილი ნახსენები არ არის, მაგრამ სხვადასხვა დოკუმენტით ცნობილია, რომ მან ეს პოლკი 1855 წლის დასაწყისში გადააბარა თავის ძმას – იოსებ დავითის ძე თარხნიშვილს, გრიგოლის ნათესავის, ბარბარე მამუკას ასული ორბელიანის, ქმარს, ანუ, ილია ორბელიანის შემდეგ პოლკი პირველად კონსტანტინეს ჩაუბარებია. ილია ორბელიანი გარდაიცვალა 1853 წლის 8 დეკემბერს. შესაბამისად, პოლკის გადაბარება 1853 წლის ბოლოს, ან 1854 წლის დასაწყისში უნდა მომხდარიყო. წერილიდან ჩანს, რომ მისი წერისას გრიგოლი ჯერ კიდევ თბილისშია, 1854 წლის 12 მარტამდე დაწერილი სხვა წერილებიც თბილისიდან არის გაგზავნილები, 12 მარტისა კი – უკვე თემირხანშურიდან. როგორც ჩანს, ის სწორედ ძმის პოლკის გადასაბარებლად დარჩა თბილისში ამდენ ხანს. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ წერილი თებერვალში უნდა იყოს დაწერილი.

გვ. 84,2. „**ქაეტონს დიდის სიხარულით დაგიტომობდით**“ – სავარაუდოდ, საუბარია იმ ფაეტონზე, რომელიც გრიგოლმა თავისი ძმის – ილიასათვის შეიძინა (იხ. 1851 წლის 8 ნოემბრის წერილი ილიასადმი).

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №435,
გვ.: 27r.

თარიღი და ადგილი: „9^ს თებერ: 1854. – თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო
დაო ბარბარე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, საშუალო სის-
ქის, დალაქავებული, მოყვითალო ფერის ქალღედი; ზომები:
გადაუკეცავისა: 26,5X21,4 სმ; გადაკეცილისა: 21,4X13,2 სმ;
შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერ-
დებში.

ადრესატის მისამართი: იმავე ადრესატისადმი გაგზავ-
ნილი წინა წერილი (№3) 28 იანვარს არის დაწერილი და, სა-
ვარაუდოდ, კოდაშია გაგზავნილი. წინამდებარე წერილიც, სა-
ვარაუდოდ, იქ უნდა იყოს გაგზავნილი

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტო-
რის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები,
ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და
შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 86-87.

გვ. 84,9-10. „აღუქსანდრემ ასეთი ვალი დასდვა ჩვენს
ოჯახზედ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას,
პოლკის გადაბარებაზე. აღუქსანდრე იმ დროს კავკასიის ჯა-
რების მხედართმთავრის თანაშემწე იყო და, როგორც სხვა
წერილებიდანაც ჩანს, ევალეზოდა პოლკების შემონმება.

გვ. 84,11. „ძალუა ელისაბედ სიყვარულით მომიკითხე“ –
იგულისხმება ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი-ორ-
ბელიანისა.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №320, გვ.: 84რ.

თარიღი და ადგილი: „12 მარტს 1854. შურიტ.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, ბოლოებმოცვეთილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; მოხეული გვერდისა: 15,4X 13,2X11,1 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით; II ნაკეცი ფურცელი შუაზეა გახეული, IV გვერდზე მისამართია და მინანერები შავი მელნით, რომელიც გადახაზულია: „ვადა!“, „კენინას ქეთევანს“ „რვეულ“, „...“, „ვის მის ბრწყი...“, „მისამართი“, „რომელიც“; არის გაურკვეველი სიტყვებიც. აქვეა შავი ლუქის ნარჩენი.

ადრესატის მისამართი: „მისს ბრწყინვალეებას კენინას ქეთევანს ორბელიანისას თბილისს“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 87.

გვ. 84,19; 85,1. „ძალუა ნინო, თამარ და სოფიკო“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლე ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და მის ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

გვ. 85,1. „ძალუა ელისაბედ ელენეთურთ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა და ქალიშვილი ელენე.

გვ. 85,1. „სოფიკო და ტასიკო“ – სავარაუდოდ, იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის – კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის – ქალიშვილები: სოფიო ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა და ანასტასია ორბელიანი-ოკლობჯიოსი.

გვ. 85,2. „ჩემი ბაბაღე სიყვარულით მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ, აქ იგულისხმება ბაბაღე (ბარბარე) სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა, რადგან თავის რძალს, ილია ორბელიანის მეუღლეს, ორბელიანი ყველგან „ბარბარედ“, ან „ვარინკად“ მოიხსენიებს.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №3 (316) (გვ. 85-87)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 58r-v, 59r-v.

თარიღი და ადგილი: „18 Марта 1854 года Темир Хан Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K^л Александру Ивановичу Барятинскому.“ / „В[аше] С[и]тельство“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღნით; ტექსტი ნასწორებია, რესტავრირებულია 58-ე ფურცლის შიდა არშია, აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია კავკასიის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკი.

გვ. 85,20. „тайные приверженцы Шамиля“ – იგულისხმება ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ფარული მომხრეები.

გვ. 85,20-21. „о священной войне Султана“ – საუბარია ოსმალეთის სულთან აბდულ-მეჯიდ I-ზე, რომელიც ქვეყნის სათავეში იყო 1839-1861 წლებში.

გვ. 86,6. „Сюрга, Кобечи“ – საუბარია დარღოელებით დასახლებულ რეგიონზე ცენტრალურ დაღესტანში.

გვ. 86,15. „в 1852^м Султан занял Горный Магал“ – საუბარია ელისუს ყოფილ სულთან დანიილ ბეგზე.

გვ. 86,29. „Знамя Пророка поднято“ – იგულისხმება წინასწარმეტყველ მუჰამედის სწავლება წმინდა ომში მუსლიმანთა გაერთიანების შესახებ.

გვ. 87,3. „желаниі Барона Врангеля и Николаи“ – საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის ლეკეთის ხაზის უფროსზე, გენერალ ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელსა და ყაბარდოს პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურზე, ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 87,5-6. „от Хасавюрта до Кайтага очень не близко“ – ბარონი ვრანგელი და ბარონი ნიკოლაი ხასავიურთში იმყოფებოდნენ და გრიგოლი მიანიშნებს ბარიატინსკის, რომ უცებ ვერ მიეშველებოდნენ.

გვ. 87,23. „Генерал Суслов в отчаяниі“ – საუბარია გენერალ ალექსანდრე ალექსის ძე სუსლოვზე, რომელიც 1852 წლიდან სათავეში ედგა ერევნის ბატალიონს და იბრძოდა კავკასიაში მთიელთა წინააღმდეგ.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 60r-v, 61r.

თარიღი და ადგილი: „24 марта 1854. Т: X: Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Александру Ивановичу Барятинскому.“ / „... письмо Вашего С^{ма}“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (მისი ქართული შინაარსი, ხოლო ოთხი სტრიქონი ორიგინალურ ენაზე) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 65).

გვ. 90,12. „действующим войскам противу Турциѣ“ – ამ დროს რუსეთსა და თურქეთს შორის ომი მიმდინარეობდა (ყირიმის ომი).

გვ. 90,23-24. „Шамиль делает огромныя приготовления“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 91,31. „**знамена Великаго Нашего Императора**“ – ამ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

ქეთევან ორბელიანისადმი №60 (318) (გვ. 94-95)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №321, გვ.: 85r-v, 86r.

თარიღი და ადგილი: „26 მარტს 1854 თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; 2r გვერდზე მელანი შეცვლილია, შედარებით ბაცია; ამავე გვერდს ამჩნევია შავი ლუქის ნარჩენი.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში წერია „გაჰსთბისოს“; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 87-88.

გვ. 94,14. „**მომივიდა წერილი სანდროსაგან**“ – საუბარია გრიგოლის ძმისშვილ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 94,18. „**დეკანოზს არდაზიანსა უთხარით**“ – შესაძლოა, საუბარი იყოს ლავრენტი არდაზიანის მამაზე – პეტრე არდაზიანზე, რომელიც დეკანოზი იყო.

გვ. 94,23. „**კოჭლი სოსიკო სიყვარულით მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორ-

ბელიანის ვაჟ იოსებზე. 1853 წლის 19 ნოემბერს ბაშკადიკ-ლართან თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში მან მუხლს ქვე-მით დაკარგა მარცხენა ფეხი.

გვ. 94,23-24. „ბაბაღე ნავიდა ანანურსა, თუ დარჩა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორ-ბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 94,24-25. „ნელნაზი თამარ და სოფიკოები ტასიკო-თურთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ქა-ლიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე, ასევე გრიგოლის ბიძაშ-ვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ქალიშვილებზე – სოფიო ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე და ანასტასია ორბელი-ან-ოკლობჟიოზე.

გვ. 94,25-26. „ძაღუები წინო და ელისაბედ“ – იგულის-ხმება გრიგოლის ბიძების, იაკობისა და სამარაგდონის, ქვრი-ვები – წინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი-ორბელიანისა და ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 94,26. „ყაფლან სად არის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 94,26-27. „ბაბაღეს სიყვარულით მოვიკითხავ“ – სა-უბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 94,29. „ჯოხაძეს უბძანეთ“ – საუბარია გრიგოლის ნაყმევზე.

გვ. 95,2-3. „უბძანეთ გეუასა“ – საუბარია გრიგოლის მოურავ გეუა ოჰანაშვილზე.

გვ. 95,5-6. „შეისყიდოთ კალატოზისშვილისაგან მამუ-ლი“ – ამ პიროვნების სახელი უცნობია.

გვ. 95,9. „თუთ ალექსანდრეს დაელაპარაკოთ“ – სავარა-უდოდ, საუბარია ალექსანდრე საგინაშვილზე, რომელიც ად-რე ტოპოგრაფიული როტის მეთაური იყო და მინის აზომვებ-ში კარგად ერკვეოდა.

გვ. 95,13. „იაკინთეს სიყვარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ქეთევან ორბელიანის ძმაზე – იაკინთე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 95,15. „დეკანოზს ხელს ვეამბორები“ – საუბარია ქეთევანის მამაზე, დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 95,18. „ბიძია ალექსანდრე სიყვარულით მომიკითხე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №61 (319) (გვ. 95-96)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №322, გვ.: 87r-v, 88r-v.

თარიღი და ადგილი: „17^ა აპრ: 1854 თემირხანშურით“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი მოსამსახურე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; 2v გვერდზე ირიბად, ლურჯი მელნით წერია (გრიგოლის ხელით): „ძალუას ქეთევანს მიერთოს.“ ამავე გვერდს ამჩნევია შავი ლუქის ნარჩენი. მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: 88v გვერდზე წერია: „ძალუას ქეთევანს მიერთოს.“ მართალია, არ კონკრეტდება ადრესატის მისამართი, მაგრამ ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში და ბართიცი, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, ნერილეზი, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 88-89.

გვ. 95,22. „მომივიდა სანდროს წერილი“ – საუბარია გრიგოლის ძმისშვილ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 96,3-4. „წელნაზი თამარ მომიკითხეთ სიყვარულით თავისის ქმრითა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე – ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკიზე.

გვ. 96,4-5. „სოფიკო, რომლისაც ქმარი – როგორც მწერენ – გაჰყოლია კნიაზს ვარანცოვსა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულ ორბელიანსა და მის ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი იყო.

გვ. 96,6. „ტასიკოს ავათმყოფობა შევიტყე... ჩემს საყვარელს სოსიკოს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, კონსტანტინე ორბელიანის, შვილებზე – იოსებსა და ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ. 96,10. „ყაფლან, მართლად გამოსცვალებს?“ – საუბარია დუშეთის მოურავობიდან ყაფლანის გადაყენებაზე.

გვ. 96,11. „მემდურის ეგეცა და ძალუაცა“ – საუბარია ყაფლანსა და მის ცოლზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 96,15-16. „დასუსტებული იყო მთავარმართველი“ – საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვზე, რომელიც იმ დროს ავადმყოფობდა.

გვ. 96,19. „ბაბალეს სიყვარულით ჩავკოცნი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძვე-
ლი №174), გვ.: 61v, 62r-v.

თარიღი და ადგილი: „21 Апр: 1854 года Т: X: Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „...
С отъездом Вашей Светл“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითა-
ლო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია
მუქი ყავისფერი მეღვინით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ გრიგოლს
თემირხანშურაში მიუღია მიხეილ ვორონცოვის 2 წერილი,
რომელთაგან ერთი ავტორს გამოუგზავნია თბილისიდან, ხო-
ლო მეორე – სტავროპოლიდან. „возвратился в Шуру, где имел
счастіе застать два письма Вашей Светлости, писанные из
Тифлиса и Ставрополя.“ აქვე ვიგებთ, რომ წინამდებარე წერი-
ლის დაწერის დროს ვორონცოვი საქართველოში აღარ იმყო-
ფებოდა: „С отъездом Вашей Свет[лости] Грузія оделась
покрывом печали.“ როგორც ჩანს, მას გრიგოლისთვის პირვე-
ლი წერილი საქართველოში ყოფნის ბოლო პერიოდში გამო-
უგზავნია, ხოლო სტავროპოლიდან – უკვე იქ ჩასვლის მერე.
სავარაუდოდ, საანალიზო წერილი სტავროპოლში უნდა იყოს
მინერლი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერი-
ლის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუ-
ნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი
გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხო-
ლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რე-
დაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუ-
ნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათ-

ლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 66).

გვ. 97,11. „С отъездом Вашей Свет^а“ – მიხეილ ვორონცოვი ამ დროს ავადმყოფობდა და, სავარაუდოდ, უკვე ფიქრობდა სამსახურისთვის თავის დანებებას. ის საზღვარგარეთ გაემგზავრა სამკურნალოდ და ოქტომბრის თვეში დატოვა კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობა.

გვ. 97,21. „Шамиль готовит громадную кавалерию“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 97,25. „деревню Уркрах“ – საუბარია ყაითალის სოფელ ურკრახზე (ურკარახზე).

გვ. 97,26. „проповедников Шариата“ – საუბარია მუსლიმანთა რჯულის კანონის მქადაგებლებზე.

გვ. 97,34. „для соединенія с Мамед Эмином“ – უნდა იგულისხმებოდეს ოსმალეთის საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მეხმედ ემინ ფუად ფაშა, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც იმ დროს სამსახურიდან იყო გადამდგარი, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ იყო განწყობილი და, როგორც ჩანს, მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთ კავკასიის ჯარების მობილიზებაში.

გვ. 98,1-2. „Шамхаль живёт по-прежнему“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 98,2-3. „на политику Пальмерстона“ – ჰენრი ჯონ პალმერსტონი იყო ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ყირიმის ომის დაწყებაში.

გვ. 98,3-4. „Ханьша Мехтулиянская“ – საუბარია მეხთულის ყოფილი მმართველის, ახმედხანის (1820-1843), ცოლ ნობ-ბიქეზე, რომელიც 1843-1855 წლებში მართავდა მეხთულის სახანოს.

გვ. 98,6-7. „Джамо бек пошывает по старинному“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველ ჯამოვ-ბეგზე, რომელიც ლოთი იყო.

გვ. 98,7-8. „**дочь Шамхала вышла замуж за Ибраим Хана**“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის ქალიშვილ რაიგანატ ბიქეზე და მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტ, პოლკოვნიკ იბრაჰიმ ხანზე.

გვ. 98,11-12. „**о сильном возстаніи Греков**“ – საბერძენეთი ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ოფიციალურად არ ჩაბმულა, მაგრამ ბერძენთა დანაყოფები, რომლებიც თითქოსდა არ ემორჩილებოდნენ რეგულარულ ჯარებს, შედიოდნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე და აწყობდნენ შეტაკებებს.

გვ. 98,16-17. „**Обожаемой Княгине Елисавете Ксаверіевне и Графинне Шуазель**“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №62 (321) (გვ. 100-101)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 153r-v (ავტორიზებული).

თარიღი და ადგილი: „რიცხვი იყო 24 აპრილი.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 195X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; აქვს დამლა; წერილი დაწერილია დიმიტრი ჯორჯაძის ხელით, მაგრამ ხელმოწერა გრიგოლ ორბელიანს ეკუთვნის.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ად-

რესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში წერია „ოთხის“.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წერილის მიხედვით, რომელსაც აწერია გაგზავნის თვე და რიცხვი (24 აპრილი), მაგრამ არ აწერია წელი და ადგილი, ჩანს, რომ გრიგოლი ზაქათალის იქით არის და თავის რძალს, ქეთევანს, სთხოვს, რომ მის მიერ არჩეული კვიცები გაუგზავნოს („ზაქათალამდის ესენი მიიყვანენ (კვიცებს), და იქიდან... აქ მომგვრიან“). ცხენების ჩასაყვანად მას საქართველოში საგანგებოდ გაუგზავნია თავისი თარჯიმანი ისაია. სწორედ ამ ფაქტს ეხმიანება 1854 წლის 10 ივნისს თემირხანშურიდან გაგზავნილი წერილიც, რომლის მიხედვითაც, გრიგოლისთვის ის კვიცები არ გაუგზავნიათ, რომელსაც ითხოვდა („დღეს ჩემს ნინიკას მოუვიდა ღურაკი ისაიასაგან წერილი... იწერება, რომ ორი კვიცი და ალექსეა მომყავსო“). იქვე ჩანს გრიგოლის უკმაყოფილება ცხენების დაგვიანების გამო („ამ დღეებში მივიღივარ პახოდში და ვინ იცის როდის დაგბრუნდები, და ანუ მაშინ რათ მინდა?“). 18 ივნისს ასევე ქეთევანისათვის გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ისაიამ კვიცები უკვე ჩაუყვანა, მაგრამ არ მოეწონა („ჯერკი ვერაფერი ბძანდებიან და ვნახოთ ბოლოს რა გამოვა?“). ამავე წერილიდან ჩანს ისიც, რომ ისაია საგანგებოდ ამ საქმისთვის ჰყავდა გაგზავნილი („ეს ოთხი დღეა, რა მოვიდა ჩვენი ისაია; ძლივს რის ყოფით მოვიდა. აი კურიერობა ასეთი უნდა“). ისაიას თემირხანშურიდან თბილისში ჩასვლისთვის და ცხენების ჩამოყვანისთვის თვენახევარზე მეტი დასჭირვებია (24 აპრილიდან 14 ივნისამდე) და თან ოთხი კვიცის ნაცვლად ორი კვიცი და ერთი ცხენი ჩაუყვანია. შესაბამისად, ბუნებრივია გრიგოლის უკმაყოფილება. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ წინამდებარე წერილი 1854 წლის 24 აპრილს უნდა იყოს დაწერილი.

გვ. 100,7. „ჩემი ისაი გაახელით“ – საუბარია ისაი (ისა-აკ) ივანეს ძე გრამოვზე (ზოგიერთ წყაროში წერია გრომოვი), რომელიც დაიბადა ყარაბაღის ქალაქ შუშაში (1821-1886), იცოდა აზერბაიჯანული, ყუმიხური და ავარიული ენები და 1845 წლიდან თარჯიმნად მუშაობდა გრიგოლ ორბელიანთან.

გვ. 100,11. „ნინიკას ძმა ბაქსა და ანდრია რუსი“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ნაყმევსა და მსახურებზე.

გვ. 100,13. „ლევანის კაცებითურთ აქ მომგვრიან“ – სავარაუდოდ, საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 100,14. „ჩემის მსახურის ზახარკას დედა“ – დედის სახელი უცნობია.

გვ. 100,15-16. „ჩავაბარე დათია ლუკმიაშვილს“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნაყმევზე.

გვ. 100,18. „უბძანეთ მოურავს“ – სავარაუდოდ, საუბარია გეუა ოპანაშვილზე.

გვ. 100, 21. „ჩემი მღივანი მდაბლათ თავს გიკრავთ“ – სავარაუდოდ, იგულისხმება დიმიტრი ჯორჯაძე.

გვ. 100,22. „თქვენს ძმას მიხეილს უბოძოთ“ – სავარაუდოდ, საუბარია მიხეილ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე, მაგრამ მისი სახელი ალექსი-მესხიშვილების საგვარეულო წესსაში ვერ ვიპოვეთ.

გვ. 101,1. „ბაბალე მომიკითხეთ და წელნაზი თამარ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორბელიანის, ქალიშვილებზე – ბაბალე ორბელიან-ოპოჩინინისაზე და თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 62v, 63r-v.

თარიღი და ადგილი: „27 Апр: 1854. Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому.“ / „Письмо Вашего С^{ма}...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (მისი ქართული თარგმანი, ხოლო ორი სტრიქონი ორიგინალურ ენაზე) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 65).

გვ. 101,8. „Г[лавно]му Командующему Корпусом“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ანდრიას ძე რეაძზე (1793-1855), რომელიც 1854 წლის 2 მარტიდან ხელმძღვანელობდა კავკასიის კორპუსს.

გვ. 101,13. „присоединится к Шамилю“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 101,23. „**He Шах Персидский**“ – საუბარია სპარსეთის შაჰ ნასერ ედინ შაჰ ყაჯარზე, რომელიც სპარსეთს მართავდა 1848 წლიდან გარდაცვალებამდე.

გვ. 101,24. „**Бехмена Мирзы с бригадою**“ – სავარაუდოდ, საუბარია ბეხმენ-მირზა ყაჯარზე სპარსეთის ყოფილი შაჰის (1834-1848) – მოჰამადის – უმცროს ძმაზე, რომელიც სამხრეთ აზერბაიჯანის გუბერნატორი იყო, მაგრამ ლაღატში იქნა ეჭვმიტანილი და რუსეთში გაიქცა. რუსეთის იმპერატორმა იგი ღირსეულად მიიღო და, როგორც ჩანს, ფიქრობდნენ მის გამოყენებაზე ყირიმის ომში.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №5 (323) (გვ. 104-105)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №436, გვ.: 28r-v, 29r.

თარიღი და ადგილი: „25^ს მაისს 1854. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, დალაქავებული, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუქეცავისა: 26,7X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით, რომელიც გაჟღენთილია ფურცლებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს, წერილი თბილისშია გაგზავნილი, თუ კოდაში.

შენიშვნები: 1-2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ამის შემდეგ სიტყვაა გადახაზული, რომლის ორთოგრაფიაც პოეტს, სავარაუდოდ, შეეშალა; 4. ღმერთმა; 5. ღმერთმან; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 89-90.

გვ. 104,4. „კრასნოგლიადოვის ქალი ემილია გათხოვდა“ – საუბარია თემირხანშურელ ექიმ ვეგენი ივანეს ძე კრასნოგლიადოვზე.

გვ. 104,5. „მაიორმა დოლლასაბუროვმა შეირთო“ – საუბარია აფშერონის პოლკის მაიორ მიხეილ იაკობის ძე დოლგოვოსაბუროვზე.

გვ. 104,8. „შამილა ჰზის“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 104,17. „შენ თუ წელნაზი თამარ?“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი თამარ იაკობის ასული ორბელიანი-სანკოვსკისა.

გვ. 104,21. „ძალუა ელისაბედ, ჩემი საკუთარი ძალუა“ – საუბარია ბაბალეს დედაზე – სამარაგდონ ორბელიანის მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილზე.

გვ. 104,23. „ჩემს საყვარელს ძმას ალექსანდრეს“ – საუბარია ბაბალეს მეუღლე ალექსანდრე საგინაშვილზე.

გვ. 104,25-26. „გაუგზავნე ყუბაში გრიგოლ ერისთავსა“ – საუბარია ყუბის მაზრის უფროს გრიგოლ რომანის ძე ერისთავზე.

გვ. 104,28-29. „დიმიტრი ჯორჯაძე არა მყოლოდა“ – დიმიტრი ჯორჯაძე იმ დროს მსახურობდა დაღესტნის ოლქის მმართველის კანცელარიის უფროსად.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №323, გვ.: 89r-v, 90r.

თარიღი და ადგილი: „10^ა ივნისს 1854 თემირხანშურით“
ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; მელანი გაუღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ჯერ დაუნერია „მომიკითხ“, შემდეგ „მ“ „ვ“-დ გადაუსწორებია; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 90-91.

გვ. 105,12. „წელნაზის თამარის ქორებს“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილი თამარ იაკობის ასული ორბელიანი-სანკოვსკისა.

გვ. 105,14-15. „წინიკას მოუვიდა დურაკი ისაიასაგან წერილი“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ბიჭსა და ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 105,20-21. „ვჰსწერ ალექსანდრესაცა და სოსიკოსაცა“ – საუბარია გრიგოლის ნათესავეებზე – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანსა და კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 105,23-24. „ძალუა ბარბარე, ბაბაღე, ნინუცა სიყვარულით მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბაბაღე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე და გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 105,26. „ჩემს საყვარელს დას ბაბაღეს“ – იგულისხმება ბაბაღე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა.

გვ. 106,1. „დეკანოზს მარჯუენეს ვეამბორები“ – საუბარია ქეთევანის მამაზე – დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 106,2. „პლატონის ჯვარისათეს“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – პლატონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილსა და მის ჯილდოზე.

გვ. 106,4. „იაკინთე მომიკითხე და სარდიონ სოფიოთურთ“ – სავარაუდოდ, საუბარია ქეთევანის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ ალექსი-მესხიშვილებსა და რძალ სოფიოზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №64 (325) (გვ. 106-107)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №324, გვ.: 91r, 92v, 93r.

თარიღი და ადგილი: „18 ივნისს 1854. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: პირველი ფურცლისა: გადაუკეცავისა: 26,6X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X19,3 სმ; მოხეული ნაწილისა: 19,3X13,3 სმ; მეორე ფურცლისა: გადაუკეცავისა: 26,7X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,3 სმ; შესრულებულია

მუქი შავი მელნით; წერილი დაწერილია | ფურცლის | გვერ-
დსა და || ფურცლის შიდა გვერდებზე.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილის-
ში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში
მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ად-
რესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავ-
ნილი.

შენიშვნები: 1. ბრჭყალები გახსნილი არა აქვს ავტორს,
მხოლოდ დახურული აქვს; 2. ღმერთო; 3. სიტყვა ხაზგასმუ-
ლია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები,
ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და
შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 91-92.

გვ. 106,11-12. „მისცეთ არდაზიანსა ილიას საფლავისათჳს“
– სავარაუდოდ, საუბარია დეკანოზ პეტრე არდაზიანზე.

გვ. 106,16. „ჩვენის აბრამას ფილოსოფია“ – საუბარია
გრიგოლის ყმაზე.

გვ. 107,1. „მოვიდა ჩვენი ისაია“ – საუბარია გრიგოლის
თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 107,5-6. „რომელიცა ჰყვანდა ალექსანდრესა“ – სა-
ვარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავ ალექსანდრე დავი-
თის ძე ორბელიანზე.

გვ. 107,8-9. „მენგრელიის ქვრივების ამბავსა“ – სავარა-
უდოდ, საუბარია ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეებზე, რომლე-
ბიც ქვრივები იყვნენ და იმ დროს სამეგრელოში ერთად იმ-
ყოფებოდნენ.

გვ. 107,11. „იაკინთე სიყვარულით მომიკითხე“ – საუბა-
რია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშ-
ვილზე.

გვ. 107,11. „ბაბალეს ვაკოცებ“ – სავარაუდოდ, საუბა-
რია ბაბალე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 107,12. „ძალუა ბარბარე წინანდალს წავიდა თუ არა?“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 107,12-13. „ძალუას წინოს თავის წელნაზის თამარი-თა და სოფიოთი გალეულითა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, ცოლ წინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და მის ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №15 (326) (გვ. 107-108)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 28r (ავტორიზებული).

თარიღი და ადგილი: „19 ივლისსა, 1854“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ძმაო სვიმონ.“

ავტოგრაფის აღწერილობა: დიდი ფორმატის, გახუნებუ-ლი, დაზიანებული ქაღალდი; ზომა: 29,6X20,1 სმ; შესრულე-ბულია შავი მელნით, ლამაზი კალიგრაფიით; წერილი რეს-ტავრაციის შედეგად სქელ ქაღალდზეა დაკრული; ფურცელი ყველა მხრიდან მოხეულია; ტექსტში მოხეული ადგილები კვადრატულ ფრჩხილებშია მოთავსებული. წერილი დიმიტრი ჯორჯაძის ხელითაა დაწერილი, ხელმოწერა კი გრიგოლ ორ-ბელიანს ეკუთვნის.

ადრესატის მისამართი: 28 ივლისის წერილში გრიგოლი სვიმონს ეუბნება: „მომივიდარა დღეს დილით შენი რაპორტი, რომ შამილ თავის ჯარით აღარა ჰსჩანს ბელაქნის მთებისა-კენ.“ წინამდებარე წერილის შინაარსიდან კი ირკვევა, რომ ადრესატი კახეთის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილი-ყო: „ახლა ყველა დაწვრილებით გეცოდინება კახეთის ამბავი, გთხოვ მაცნობო ან[...] თავადიშვილების სახლობა ვისი შეიქნა მტრის გულისათ, ან რომელს სოფელს რა ზარალი მიეცა.“

ამასთან, ცნობილია, რომ სვიმონ შალიკაშვილი 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში, ამიტომ წერილი, სავარაუდოდ, ბელაქანში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ტექსტში „მაცნობა“ წერია; 2. ხელმოწერის შემდეგ დიმიტრის მინაწერია: „აქამდის რამდენიმე ჩემი ნიგნი მოგივიდოდა, რომლითაც შემოგეხვეწე მანდა[უ]რს ამბავს და კიდევ გთხოვ მალე მოიწერო ყველა. ნურას დაგვიმაღავ გეთა[ყვა]ნე. შენი დიმიტრი 17 ივლისს კუმუხიდამ.“

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 92.

გვ. 107,19-20. „ლევანის ქაღალდები“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 107,22-23. „ღენერალ მანუკინის პერედოვოი კალონა“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინ-ნეუსტრუევიზე, რომელიც ჯერ 21-ე დივიზიის მე-2 ბრიგადას, შემდეგ კი მე-8 დივიზიას ხელმძღვანელობდა.

გვ. 108,2-3. „გთხოვ მაცნობო ან[...] თავადიშვილების სახლობა ვისი შეიქნა მტრის გულისათ“ – ამ შეკითხვიდან ჩანს, რომ იმ დროს გრიგოლმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ყველაზე დიდი უბედურება თავისი ნათესავის – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის – ოჯახს დაატყდა თავს და რომ შამილის მიერ გატაცებულთა შორის იყვნენ გრიგოლის ახალგაზრდაცვლილი ძმის, ილიას, ცოლ-შვილი და დისწული ნინო.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №497,
გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „28^ბ ივლისს 1854.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო სვიმონ!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, სქელი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 36,4X22 სმ; გადაკეცილისა: 22X17,5 სმ (I ფურცელი); 22X17,8 სმ (II ფურცელი); შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომლითაც საკმაოდაა დასვრილი ფურცლები.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი სვიმონს ეუბნება: „მომივიდარა დღეს დილით შენი რაპორტი, რომ შამილ თავის ჯარით აღარა ჰსჩანს ბელაქნის მთებისაკენ“. ამასთან, ცნობილია, რომ სვიმონ შალიკაშვილი 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში. შესაბამისად, წინამდებარე წერილი ბელაქანში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. „თჳს“ ჩამატებულია ზემოდან.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 93.

გვ. 108,7. „მალალს ნოსდაღის მთასა“ – საუბარია დაღესტნის მთაზე.

გვ. 108,21. „ღენერალ მანუკინი“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინ-ნეუსტრუევეზე.

გვ. 108,21-22. „არაჰყულის ხეობაში“ – საუბარია სამუხრის ოლქზე.

გვ. 108,24. „მაგ მყრალს ხალაჯოვსა“ – საუბარია ბელაქნის მმართველ მურთაზალიზე, რომლის წინაპარსაც ხალაჯა ერქვა.

გვ. 109,2. „ლევან სად არის?“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 109,2-3. „ბრუსილოვი სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვზე, რომელიც იმ დროს დალესტანში მსახურობდა.

დმიტრი ჯორჯაძისადმი №3 (328) (გვ. 109-110)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №530, გვ.: 3r-v, 4r.

თარიღი და ადგილი: „30^ა ივლისს 1854. ხოზრეკით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, სამუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში ჩანს, რომ გრიგოლს დმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. სავარაუდოდ, პასუხსაც ქუთიშაში გააგზავნიდა ავტორი.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთმან; 3-4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 93-94. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“.

ნისა", რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 67).

გვ. 109,8-9. „ჩვენთა დატყვევებულთადმი“ – საუბარია ქართველ თავადთა ოჯახებზე, რომლებიც შამილის მეომრებს ჰყავდათ გატაცებული.

გვ. 109,9-10. „დავითს მიეწეროს რამე“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, რომლის ცოლ-შვილიც იყო ტყვეობაში.

გვ. 109,11. „ნუ გაუგზავნი ანეტას წერილებსა“ – საუბარია დავით ჭავჭავაძის მეუღლეზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 109,13. „ვიდრემდის შამილა არ წაიკითხავს“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 109,15. „შენის ძმის გიორგისაგან მონერილი“ – საუბარია დიმიტრის ძმაზე – გიორგი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ. 109,17-18. „უგუნურად მოქცევა კულმანისა“ – საუბარია ეგერთა პოლკის ოფიცერზე, ბატალიონის უფროს მიხეილ სიმონის ძე კულმანზე.

გვ. 109,23-24. „ოტრიადი ღენერალ მანუკინისა“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინ-ნეუსტრუევზე.

გვ. 109,25. „დამშვიდების ამბავსა შალიკოვისაგან“ – საუბარია სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილზე.

გვ. 110,5. „მადლობა უთხარ კაკალასა“ – საუბარია გრიგოლის ნაყმევზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №531, გვ.: 5r-v.

თარიღი და ადგილი: „1^ა აგვისტო 1854. ნოსდალის სიახლოეს.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავი-სა: 26,7X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისის მინერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიში-დამ მომივიდა“. საანალიზო წერილი ორი დღის შემდეგ, 1 აგვისტოს, არის დანერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთი; 3. აქ ფურცელი ჩამოხეულია და იკითხება მხოლოდ „ინებებ“; 4. ღვთისა; 5. „ნოსდალის სიახლოეს“ ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელისა რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 94-97. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, სა-

ქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ.: 67-68).

გვ. 110,18-19. „გუშინ მომივიდა ალაღარბეგიდამ“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 110,19. „წერილი შამილის დაბრუნებისათვის“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 110,19-20. „მწერს ლევან მელიქოვიცა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 110,23. „იქიდამ ანუ მარლის ავალ“ – საუბარია დაღესტნის ლაკეთის მხარის სოფელზე.

გვ. 110,25. „მასთანვე ბარონ ნიკოლაისა“ – საუბარია ბარონ ლეონტი ჰავლეს ძე ნიკოლაიზე. ამ პერიოდში გრიგოლ ორბელიანსა და მას ხშირი მიმონერა ჰქონდათ, რადგან ბარონ ნიკოლაის ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი სოფიო, რომლის რძალიც – ანა ილიას ასული ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა – გრიგოლის რძალთან – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანთან – ერთად შამილის ტყვეობაში იმყოფებოდა.

გვ. 111,1. „ჩვენის უბედურთა ტყვეთათვის“ – საუბარია ქართველ თავადთა ოჯახებზე, მათ შორის, გრიგოლის რძალზე, ძმისწულსა და დისწულზე, რომლებიც შამილს ჰყავდა დატყვევებული.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №532/№26, გვ.: 1r.

თარიღი და ადგილი: „4^ა აგვისტო 1854. ყაზიყუმუხით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 39,6X31,6 სმ; გადაკეცილისა: 31,6X19,7 სმ; შესრულებულია შავი ტუშით, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისს მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდან მომივიდა“. საანალიზო წერილი ხუთი დღის შემდეგ, 4 აგვისტოს, არის დაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 97.

გვ. 111,11-12. „ხასაიმუსაისა და ეგრეთვე აბბასყულის ცოლისაგან“ – სავარაუდოდ, საუბარია ყარაბაღის სახანოს მმართველზე, რუსეთის გენერალ-მაიორ ხასაი ხან მუსა ოღლი უცმიევზე და აზერბაიჯანელი მწერლის აბასყული ალა ბაკიხანოვის ცოლ საკინა ხანუმზე, რომელმაც სწორედ 1854 წელს აზერბაიჯანის ქალაქ ყუბაში თავისი გარდაცვლილი ქმრის სახელზე მეჩეთი ააგო.

გვ. 111,15. „ყურბანბაირამის შემდეგ“ – საუბარია მუსლიმანთა რელიგიურ დღესასწაულზე, რომელიც მათი მთავრის კალენდრის მე-12 თვის 10 რიცხვში ტარდება ხოლმე.

გვ. 111,16. „ამას ლევანცა მწერს“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 111,17. „ჩვენის საბრალოთ ტყვეებისა“ – იგულისხმება შამილის მიერ დატყვევებული ქართველი თავადაზნაურების ოჯახები, რომელთა შორისაც იყვნენ გრიგოლის რძალი, ძმისწული და დისწული.

გვ. 111,18. „მომივა ლაზარევის მირზა“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევსა და მის თარჯიმან მირზა ვექილოვზე.

გვ. 111,19-20. „გავუგზავნო შამილასა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №6 (331) (გვ. 112)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №533/№26, გვ.: 7r-v.

თარიღი და ადგილი: „ნ⁶ აგვისტო 1854. თურჩიდალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,3 სმ; გადაკეცილისა: 20,3X13,1 სმ. (I ფურცელი); 20,3X13,6 სმ. (II ფურცელი); შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისს მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. საანალიზო წერილი მალევე, 6 აგვისტოს,

არის დანერვილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3-4-5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. ღმერთმან; 7. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 98.

გვ. 112,3-4. „ამოვედით ჯარითა წუარიდამ“ – საუბარია დალესტნის ერთ-ერთ მაღლობზე.

გვ. 112,7-8. „მოვიდა შაიორი ბაშკატოვი“ – ოფიცრის სახელი უცნობია.

გვ. 112,8. „ზაპისკა კნიაზ ვასილჩიკოვისა“ – სავარაუდოდ, საუბარია ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორ, ცხენოსანთა პოლკის მეთაურ, პოლკოვნიკ სერგეი ილარიონის ძე ვასილჩიკოვზე.

გვ. 112,9-10. „ბარონ ვრანგელს დაუმარცხებია საშინლად ოსმალების ჯარი ბაიაზეთთან“ – ბარონმა ალექსანდრე ესტატეს ძე ვრანგელმა თურქეთის სიმაგრე ბაიაზეთი აიღო 1854 წლის 31 ივლისს.

გვ. 112,17. „მათი სარდალი ყოფილა სელიმ ფაშა“ – სელიმ-ფაშა იყო ბათუმის სამხედრო კორპუსის სარდალი.

გვ. 112,18. „ჩვენის ტყვეებისა ვერა შევიტყერა“ – საუბარია კახეთიდან გატაცებულ თავადიშვილთა ოჯახებზე.

გვ. 112,18-19. „წიგნს უგზავნი ლაზარევსა“ – საუბარია დარლოს ოლქის მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 112,19-20. „გაუგზავნოს ჩემი მიწერილი შამილსა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №534/№26, გვ.: 8r-v, 9r-v.

თარიღი და ადგილი: „9^ს აგვისტ. 1854 თურჩიდალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X12,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღერებულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისს მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. საანალიზო წერილი მალევე, 9 აგვისტოს, არის დანერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღმერთსა; 3. ხელნაწერში წერია „ჩლუქები“.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განურელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 98-101. წერილის ნაწყვეტი (შინაარსის სახით) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 67).

გვ. 113,3. „ძალუა ბარბარეს წერილიცა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, ცოლ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 113,17. „მოტანილი შამხლის კაცისაგან“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 113,22. „ეს წიგნი შამილასთან არის მიწერილი“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 113,26. „ერთი წიგნიცა არის ჯამშალედინთან“ – ჯემალ-ედ-დინი შამილის უფროსი ვაჟი იყო, დაბადებული 1831 წელს, რომელიც ახულგოს ალყის დროს მძევლად მოითხოვა შამილისგან გენერალმა გრაბემ.

გვ. 114,1. „საწყალს დავითს მოსვლია პოლკოვნიკობა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 114,4. „ბარონთან ეხლა ველარ მოვასწარ“ – საუბარია ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე. ამ პერიოდში გრიგოლ ორბელიანსა და მას ხშირი მიმონერა ჰქონდათ, რადგან ბარონ ნიკოლაის ცოლად ჰყავდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილი სოფიო, რომლის რძალიც – ანა ილიას ასული ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა, იყო დატყვევებული.

გვ. 114,5. „წიგნები გაატანე მაჰმადას“ – როგორც გრიგოლ ორბელიანის წერილებიდან ჩანს, ეს მაჰმადა ადგილობრივი მკვიდრია, რომელიც დიდხანს იყო რუსეთის სამსახურში.

გვ. 114,12. „ძალუას წერილი ჩადე“ – საუბარია გრიგოლის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №535/№26, გვ.: 10r.

თარიღი და ადგილი: „10 აგვისტო 1854. თურჩიდალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,7X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X12,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით ფურცლის I გვერდზე.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისს მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. საანალიზო წერილი მალევე, 10 აგვისტოს, არის დაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ამის შემდეგ გადახაზულია სიტყვა „გუშინ“; 2. ეს ერთი სიტყვა ლურჯი მელნით წერია; 3. ღმერთმან; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 101-102.

გვ. 114,13-14. „გამოგიგზავნე წერილი შამილთან“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 114,14-15. „გაუგზავნო ბარონ ნიკოლაისა“ – საუბარია დატყვევებული ანა ბაგრატიონის მულის ქმარზე – ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 64r-v, 65r.

თარიღი და ადგილი: „10 Августа 1854. Турчидаго“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Флигельадъютанту Барону Николай.“ / „Письмо Ваше, любезный Барон Леонтий Павлович...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,4 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ წერილი გაგზავნილია ხასავიურთში: „Наконец просил его прислать доверенное лицо или ко мне, или к Вам в Хасавьурт для скорейшаго окончанія этого дела.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 68).

წერილის ადრესატია ყაზარდოს პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაური, ფლიგელადიუტანტი, ბარონი ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაი.

გვ. 115,4-5. „несчастной моей сестры К[нягини] Варвары Ильинишны“ – გრიგოლი დად მოიხსენიებს თავის რძალს – ტყვეობაში მყოფ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისას.

გვ. 115,14-15. „**эти несчастные, слабые женщины, слабые дети**“ – ტყვეობაში იყვნენ დავით ჭავჭავაძისა და გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, არა მხოლოდ მეუღლეები, არამედ მცირეწლოვანი შვილებიც.

გვ. 115,18. „**Я недавно писал к Шамилю**“ – საუბარია ჩერნეთ-დალესტნის იმამზე.

გვ. 115,19. „**через Подполк[овника] Лазарева**“ – საუბარია მეხთულის სახანოს მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 115,20. „**послал к Вам через К[нязя] Джорджадзе**“ – საუბარია დალესტნის ოლქის მმართველის კანცელარიის უფროს დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

გვ. 115,21. „**посредством Вашего Магомета**“ – საუბარია უნდა იყოს ბარონ ნიკოლაისტან დაახლოებულ პირზე, რომლის ხელითაც ის გრიგოლ ორბელიანის ბარათებს უგზავნიდა შამილსა და მის ქართველ ტყვეებს

გვ. 116,1-2. „**сам К[нязь] Давид Чавчав[адзе]**“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 116,13. „**Я писал также и к Джамал Эддину**“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე, რომელიც ახულგოს ალყის დროს მძევლად აიყვანეს რუსებმა, საუკეთესო სასწავლებლებში მიაღებინეს განათლება და რუსეთისადმი კეთილგანწყობილად აღზარდეს. შამილი სწორედ მის დაბრუნებას მოითხოვდა ქართველი მძევლების სანაცვლოდ.

გვ. 116,25. „**предписано мною Астахову**“ – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის ბრიგადის ვლადიკავკაზის პოლკის პირველი ასეულის მეთაურ ტიმოფეი ვარლამის ძე ასტახოვზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №536/№26, გვ.: 11r.

თარიღი და ადგილი: „11 აგვისტო 1854. თურჩიდალით.“
ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დღიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,6X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X12,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დღიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისის მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დღიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. საანალიზო წერილი მალევე, 11 აგვისტოს, არის დაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 102. წერილის მინაწერი – „თეთრი სუხარიც იამებათ, ჩაიზედ კარგია.“ – დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 67).

გვ. 118,27-28. „მოვიდა ჩემთან ალექსანდრე მანანასპილი“ – იგულისხმება მანანა მირმანოვის ასული ერისთავი-

ორბელიანისა და მისი ვაჟი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი.

გვ. 118,29-30. „ჩვენს ჯარს დაუმარცხებია ძალიან ოსმალონი დუნაიზედ“ – 1854 წლის ივნისში დუნაიზე რუსეთის არმიამ ალყა შემოარტყა ციხესიმაგრე სილისტრიას, მაგრამ იმის გამო, რომ მათ ზურგში თავმოყრილი იყო ავსტრიის ჯარები, გენერალი პასკევიჩი იძულებული გახდა, ალყა მოეხსნა.

გვ. 119,1. „საბრალოთ დატყვევებულთათვის მოამზადებინო“ – იგულისხმება შამილის მიერ დატყვევებული ქართველ თავადიშვილთა ოჯახები და მათი მსახურები.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №10 (336) (გვ. 119-120)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №537/№26, გვ.: 12r.

თარიღი და ადგილი: „12 აგვისტ. 1854 თურჩიდალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 29,6X19,3 სმ; გადაკეცილისა: 19,3X14,8 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცელში; წერილი მხოლოდ | გვერდზეა განთავსებული.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ დიმიტრი ჯორჯაძისადმი 30 ივლისს მიწერილი წერილიდან (№3) ვიგებთ, რომ გრიგოლს დიმიტრის წერილი ქუთიშიდან მისვლია: „შენი წერილი ქუთიშიდამ მომივიდა“. საანალიზო წერილი მალევე, 12 აგვისტოს, არის დაწერილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ისიც, სავარაუდოდ, ქუთიშაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ეს სიტყვა ჩამატებულია; 2. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3-4. რომაული ციფრი ავტორს ფრჩხილებში აქვს ჩასმული, გაუგებარია, რას უნდა ნიშნავდეს ის ამ კონტექსტში.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერულიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 102-103.

გვ. 119,10-11. „მომირთმევია სოფიოს ნიკოლაისა წერილი“ – საუბარია სოფიო ალექსანდრეს ასულ ქავჭავაძე-ნიკოლაისაზე.

გვ. 119,12. „გაუგზავნო სანყალს ანნეტასა“ – საუბარია სოფიო ქავჭავაძის რძალზე – ანა ბაგრატიონ-ქავჭავაძისაზე.

გვ. 119,12-13. „დავითს ძალიან ასტკივებია თვალები“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ქავჭავაძეზე.

გვ. 119,13-14. „ფულსა გამოხსნისათვის ცოლშვილებისა“ – საუბარია დავით ქავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ძმის, ილიას, მეუღლეებზე – ანა და ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონებზე და მათ შვილებზე: ბარბარეს ვაჟ გიორგიზე, ანას სამ ქალიშვილსა და ვაჟზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №11 (337) (გვ. 120)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №538/№26, გვ.: 13r.

თარიღი და ადგილი: „16 აგვისტო: 1854 თურჩიდალით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მწვანე ფერის ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,7X20,2 სმ; გადაკეცი-

ლისა: 20,2X12,8 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ფურცლის შიდა და უკანა მხარეს რიცხვებია გამოსახული.

ადრესატის მისამართი: წერილში ჩანს, რომ ადრესატი თემირხანშურაში იმყოფებოდა: „შურის ამბავი მომწერე, რას აკეთებენ და ანუ რა აშენებულა ჯერა.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 103.

გვ. 120,7-8. „წერილი შენთან ბრუსილოვისაგან“ – საუბარია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბრუსილოვზე, რომელიც იმ დროს დალესტანში მსახურობდა.

გვ. 120,9-10. „დღეს მელიქოვის წერილიც მომივიდა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 120,12. „საბრალოთა ჩვენთა ტყვეთათვის“ – საუბარია კახეთიდან გატაცებულ თავადიშვილთა ოჯახებზე.

გვ. 120,14-15. „მივსწერე წერილი შამილასაცა და ჯამალედდინსაცა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტინის იმამ შამილსა და მის შვილზე. ჯემალ-ედ-დინი ახულგოს ალყის დროს მძევლად აიყვანეს რუსებმა. ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, შამილის ვაჟი საუკეთესო სამხედრო სასწავლებლებში იზრდებოდა და რუსეთის წარჩინებულ წრეებშიც იყო მიღებული, მაგრამ რუსი დიპლომატები ფიქრობდნენ, რომ მისი უკან დაბრუნებაც შეუძლებოდა გამოეყენებინათ, რადგან ამას შეუძლებოდა მოჰყოლოდა შამილის სიკვდილის შემდეგ მის შვილებს შორის დაპირისპირება.

გვ. 120,15. „მათანა ერთად ვარინკასა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, ცოლ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 120,15-16. „ლაზარევმა ეს წიგნები გაუგზავნა“ – საუბარია დარლოს ოლქის მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევზე.

გვ. 120,18-19. „ვოლკოვი დიდად მომიკითხე“ – საუბარია დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №12 (338) (გვ. 121-122)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №539/№26, გვ.: 14v, 15r-v.

თარიღი და ადგილი: „25^ა აგვისტო: 1854 გამაშის მთით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,4X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,6 სმ; შესრულებულია შავი მელნით II-IV გვერდებზე; I გვერდი თავისუფალია.

ადრესატის მისამართი: იმავე ადრესატისადმი 16 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან (№11) ჩანს, რომ იგი თემირხან-შურაში იმყოფებოდა: „შურის ამბავი მომწერე, რას აკეთებენ და ანუ რა აშენებულა ჯერა.“ საანალიზო წერილში არაფერია ნათქვამი ადრესატის შესაძლო გადაადგილების შესახებ, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს ბარათიც თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ღმერთმან; 3-4. ეს ადგილი, ფურცლის შიდა კუთხის ბოლო, დასველებულა და მელანი ნაშლილა; 5. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 6. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ; 7. ღვთით; 8-9. კვადრატულ ფრჩხილებში აღდგენილი ასოები ფურცლის დაზიანების გამო აღარ იკითხება; 10. აქ ეწერა „შამილის.“, რაც გადახაზულია; 11. ღმერთი; 12. წერილის გაგზავნის ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გან ერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 103-104.

გვ. 121,2-3. „საბრალოთა ჩუჭნთა ტყვეთა“ – საუბარია კახეთიდან გატაცებულ თავადიშვილთა ოჯახებზე.

გვ. 121,4-5. „მონერილი ვარინკასაგან“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძალზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 121,9-10. „ეს წერილი ანნეტას სახელზედ“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის რძლის, ბარბარეს, დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე.

გვ. 121,10-11. „დღეს მომივიდა სოფიოსაგან“ – საუბარია ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროს ქალიშვილზე, ბარონ ნიკოლაის მეუღლეზე.

გვ. 121,17. „აბდულას ნიგნში არა ეწერა“ – აბდულას ვინაობა გაურკვეველია.

გვ. 121,17-18. „დამითხოვე იასონ ჭავჭავაძესთანაო“ – საუბარია რუსეთის არმიის გენერალ-მაიორ იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 121,20. „ნიკოლოზ ფალავანდოვი მწერს“ – საუბარია თბილისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორ ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილზე, რომელსაც ცოლად ჰყავდა გრიგოლის ნათესავი მარიამ ლუარსაბის (იოველის) ასული ორბელიანი.

გვ. 121,21. „ივანე ზახარიჩ არლუთინსკის“ – საუბარია მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკის ძმაზე – კაპიტან ივანე არლუთინსკიზე.

გვ. 121,23-24. „გრიგოლ [მუ]ხრანისბატონისათჳს ჩაუბარებიათ“ – საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის თანაშემწეზე – გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 121,29. „გავგზავნი ზახარკასა დარლოში“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის მსახურზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №540/№26, გვ.: 16r-v, 17r.

თარიღი და ადგილი: „29^ა აგვისტო: 1854. ღამაში.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დღიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,3X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,5 სმ. (I ფურცელი); 21,2X13,8 სმ. (II ფურცელი); შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: იმავე ადრესატისადმი 16 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან (№11) ჩანს, რომ იგი თემირხან-შურაში იმყოფებოდა: „შურის ამბავი მომწერე, რას აკეთებენ და ანუ რა აშენებულა ჯერა.“ საანალიზო წერილში არაფერია ნათქვამი ადრესატის შესაძლო გადაადგილების შესახებ, ამიტომ, სავარაუდოდ, ეს ბარათიც თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთისაგან; 2-3. ღმერთი; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერულიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 104-105. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 68).

გვ. 122,8-9. „მონერილები დავითისაგან, ვარინკასაგან და შამილისაგან“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძისა.

ვაძეზე, ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 122,12. „შვილები გამოიხსენით“ – საუბარია ანა (ანეტა) ბაგრატიონ-ჭავჭავაძის შვილებზე: 6 წლის სალომეზე, 5 წლის მარიაზე, 3 წლის თამარსა და წლინახევრის ალექსანდრეზე (მისი ერთ-ერთი ქალიშვილი, 4 წლის ელენე, თავდასხმის დროს სტუმრად იყო წაყვანილი მამიდასთან – ეკატერინე ჭავჭავაძესთან, 4 თვის ლიდია კი, რომელიც სხვებთან ერთად წაიყვანეს ტყვედ, გზაში დაიღუპა) და ბარბარეს ვაჟზე – 1 წლის გიორგიზე.

გვ. 122,15-16. „გაუგზავნე ჩემო დიმიტრი ბარონ ნიკოლაისა“ – საუბარია ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე – დავით ჭავჭავაძის სიძეზე.

გვ. 123,3-4. „სოფიოს ორჯულ მივსწერე“ – საუბარია სოფიო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძეზე.

გვ. 123,7. „ზაქარეაც გაგზავნე დარლოში“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ბიჭზე.

იმამ შამილისადმი №1 (340) (გვ. 123-125)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 65v, 66r-v.

თარიღი და ადგილი: „30 Август: 1854 Лагерь на высотах Гамаши.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Главе Мусульманских Богомольцев Иمامу Шамилю“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; ტექსტი ნასწორებია; ხელნაწერი ალაგ-ალაგ მეღვინითაა დალაქავებული; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა დარლოში: „Ещё прошу Вас дозволить моему мальчику Захарке прибыть в Дарго и находиться для услужения при моих родственниках.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ქართული თარგმანი სრულად დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ.: 68-69).

გვ. 124,5-6. „брат мой Илья находился у Вас в плену“ – ილია ორბელიანი 1842 წლის 20 მარტს ყაზიყუმუხში დაატყვევეს შამილის მეომრებმა და იმავე წლის 22 ნოემბრამდე ჰყავდათ, ვიდრე არ გადაცვალეს ნაიბ შაჰმანდარ-ჰაჯზე და სხვა მთიელ ტყვეებზე.

გვ. 124,6. „он только недавно умер“ – გრიგოლის ძმა ილია დაიღუპა 1853 წლის 8 დეკემბერს.

გვ. 124,6-7. „жена его с маленьким сыном и племянницей сиротою Ипною“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მის ვაჟ გიორგისა და გრიგოლის დისწულ წინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 124,8. „с родственницею моею Анною с детьми“ – ანა ილიას ასული ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ორმხრივ ენათესავებოდა გრიგოლ ორბელიანს: მისი მეუღლის, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის, დედის – სალომე იოანეს ასულ ორბელიანისა – და გრიგოლ ორბელიანის პაპები – დავითი და ნიკოლოზი – ძმები იყვნენ. მეორე მხრივ, ანას და – ბარბარე ილიას

ასული ბაგრატიონი – იყო გრიგოლის რძალი, მისი გარდაცვლილი ძმის, ილიას, მეუღლე. ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძესთან ერთად შამილის ტყვეობაში იყვნენ მისი შვილები: სალომე (დაბად. 1848 წელს), მარიამი (იგივე კაკო, დაბად. 1849 წელს), თამარი (დაბად. 1852 წელს) და ალექსანდრე (დაბად. 1853 წელს). 1850 წელს დაბადებული ელენე თავდასხმის დროს სახლში არ იმყოფებოდა, 4 თვის ლიდია კი გზაში დაიღუპა.

გვ. 124,15. „**ТО ВАШИМ СЫНОВЬЯМ**“ – იმ დროისათვის შამილს სამი ვაჟი ჰყავდა: ჯემალ-ედ-დინი (1829-1858), ყაზი მუჰამედი (1833-1902) და მუჰამად შეფი (1840-1906). ერთი ვაჟი მცირეწლოვან ასაკში ჰყავდა გარდაცვლილი, ერთი კი მოგვიანებით შეეძინა.

გვ. 125,6. „**Князь Давид Чавчавадзе, муж Анны, приехал в Хасавюрт**“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე. იგი ხასავიურთში ჩავიდა, რომ დატყვევებულებთან ახლოს ყოფილიყო და მოლაპარაკება ეწარმოებინა.

გვ. 125,13-14. „**моему мальчику Захарке пребыть в Дарго**“ – საუბარია გრიგოლის მსახურ ბიჭზე. ქართველი ტყვეები შამილს დაღესტნის სოფელ დარღოში ჰყავდა.

იმამ შამილისადმი №2 (341) (გვ. 127-129)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 67r-v, 68r.

თარიღი და ადგილი: „14 сент: 1854. Темирхан Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Главе Мусульманских Богомольцев Иمامу Шамилю“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; ტექსტი ნასწორებია; შიდა არშიები

რესტავრირებულია; აქვს დამლა. წერილის ასლი ინახება ზუგ-დიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში (ზსიემ 24455/ლიტ. არქ. 1055; დაწერილია შავი ტუშით 2 გვერდზე; ბოლონაკლულია; ქალაქის ზომა: 24X19 სმ.).

ადრესატის მისამართი: შამილისადმი მიწერილი წინა (30 აგვისტოს) წერილის ტექსტიდან ირკვევა, რომ ადრესატი იყოფებოდა დარლოში: „Ещё прошу Вас дозволить моему мальчику Захарке прибыть в Дарго и находиться для услужения при моих родственниках.“ წინამდებარე წერილიც, რომელიც 2 კვირის შემდეგაა დაწერილი, სავარაუდოდ, დარლოში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 69).

გვ. 127,24. „К[нязь] Давид Чавчавадзе с письмом“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 127,25-26. „освобождения моих родственников“ – საუბარია ბარბარე და ანა ილიას ასულ ბაგრატიონებზე და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 128,4. „Сын Ваш, возвращения которого Вы требуете“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე, რომელიც ახულგოს ალყის დროს მძევლად აიყვანეს რუსებმა.

გვ. 128,5. „не пленник, а Офицер“ – იმპერატორის ბრძანებით, შამილის ვაჟს დაამთავრებინეს პეტერბურგის ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო სასწავლებელი – ალექსან-

დრეს სახელობის კადეტთა კორპუსი, რომლის დამთავრების შემდეგაც მიენიჭა პორუჩიკის წოდება.

გვ. 128,6. „**милости Великаго Государя Императора**“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 128,10. „**нашему Великому Сардарю**“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადი, რომელიც 1851 წლიდან მსახურობდა კავკასიის მეფისნაცვალსა და მთავარსარდალთან ადგილობრივი ჯარების ინსპექტორად, 1854 წლის 2 მარტიდან კი, მიხეილ ვორონცოვის ავადმყოფობის გამო, ასრულებდა კავკასიის კორპუსის სარდლის მოვალეობას.

გვ. 128,15-16. „**Вашего Племянника Гамзада, Харисилау и Шейхуль Ислама**“ – შამილის დისწული ჰამზათ-ბეკი რუსებმა მძევლად აიყვანეს 1837 წელს. ჰარისილაუ (თუ ჰარსილაუ, როგორც ალექსანდრე ბარიატინსკისათვის ამავე წლის 22 სექტემბერს გაგზავნილი წერილიდან ჩანს) იყო შამილის ერთგული თანამებრძოლის, ალიბეკ ავარსკის, ვაჟი, შეიხ-ულ-ისლამი კი – ამირ ჰამზას ვაჟი. ეს ორი პიროვნება, როგორც 1854 წლის 12 ნოემბერს მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, 1839 წელს გაუსახლებიათ რუსეთში.

გვ. 129,4. „**были в плену и сестра Шамхала, и племянники его**“ – სავარაუდოდ, საუბარია 1846-1847 წლების მოვლენებზე, როდესაც ჰაჯი მურატმა გაიტაცა რუსეთის მხარდამჭერი გენერლის, ახმედ-ხანის, ქვრივი ნოხ-ბიქე (ამავე დროს ის იყო მეხთი შამხლის ქალიშვილი და შამხალ აბუმუსლიმ-ხანის და) შვილებთან (წყაროების მიხედვით, მას სამი შვილი ჰყავდა, ერთი ვერსიით, სულ ვაჟები: ახმედ-ხანი, იბრაჰიმ-ხანი და რაშიდ-ხანი და, მეორე ვერსიით – ორი ვაჟი და ერთი ქალი) და მთელ სახლობასთან ერთად. ავარიელები ნოხ-ბიქეს განთავისუფლებაში დიდ თანხას ითხოვდნენ და მოლაპარაკებაში გრიგოლ ორბელიანიც მონაწილეობდა. 1847

ნლის 13 იანვრის წერილში ილია ორბელიანისადმი გრიგოლი საუბრობს ტყვეობაში ნობ-ბიქესთან ერთად მყოფ მხოლოდ ორ ყმანვილზე.

გვ. 129,10-12. „**доверенных людей Ваших: Ажіева Оротвискаго, или Нянуса Черкеевскаго, или Раджибил Мамед Черкеев[скаго], или же Тахмас Хан Кадія Черкеев[скаго]**“ – საუბარია შამილის ხაზინადარზე, 1852 წლიდან ანდის ნაიბ ხაჯიევ ოროტელზე, შამილის უახლოეს თანამებრძოლ იუნუს ჩირქეელზე, დივანხანის უფროს რაჯიბილ მუჰამადსა (1805-1859) და ჩირქეის ყად თაჰმაზ-ხანზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №65 (342) (გვ. 131-132)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №325/№20, გვ.: 94r-v, 95r (ავტორიზებული).

თარიღი და ადგილი: „22 სექტემბერს 1854. წელსა შუ-რიდამ.“

ხელმოწერა: „თქვენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო უსაყვარლესო ძალუაჲ“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელ-ნით დიმიტრი ჯორჯაძის ხელით. ხელმოწერა და რამდენიმე სტრიქონი ავტორს ეკუთვნის.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილის-ში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ად-რესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავ-ნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთი; 2. ასეა ხელნაწერში; 3. ღმერთმა; 4. ხელნაწერში წერია „მოთხოვილება“; 5. ამ სიტყვიდან „შური-დამ“ სიტყვის ჩათვლით გრიგოლ ორბელიანის ხელწერაა.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განუერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 105-106.

გვ. 131,9-10. „ამ საშინელის უბედურებისაგან“ – საუბარია კახეთიდან ქალებისა და ბავშვების გატაცებაზე.

გვ. 131,11-12. „მოვრიგდებოდი შამილთან“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 131,15-16. „თავისი შვილი და რამდენიმე სხვა ტყვეები“ – საუბარია შამილის ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე. მის გარდა, ქართველებმა და მთიელებმა 16-16 ტყვე გაცვალეს.

გვ. 131,18-19. „იყაბულებს თუ არა ჩვენი ხემწიფე“ – 1854 წელს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 132,5. „ბაბალეს დავკოცნი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 132,8. „დიმიტრიმ და ალექსანდრემ“ – საუბარია დიმიტრი ჯორჯაძეზე და, სავარაუდოდ, გრიგოლის ნათესავ ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №6 (343) (გვ. 132-134)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 68v, 69r-v, 70r.

თარიღი და ადგილი: „22 Сентяб: 1854 Т: X: Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K^ლ Александру Ивановичу Барятинскому“

ავტოგრაფის აღწერილობა: სამუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 68-ე ფ: 34,5X21,5 სმ; 69-ე ფ:

34X21,3 სმ; 70-ე ფ: 33X21 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; შიდა არშიები რესტავრირებულია; აქვს დამლა; 68-ე ფურცელი ერთ ადგილასაა გახვრეტილი, 69-ე ფურცელი – 2 ადგილას.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. ამასთან, ქეთევან ორბელიანისადმი პირველ ოქტომბერს გაგზავნილ წერილში საუბარია წინამდებარე წერილზე: „კნიაზ ბარიატინსკის მოვსწერე და ვჰსთხოვე შემწეობა.“ ფორმა „მოვსწერე“ მიგვანიშნებს, რომ ბარიატინსკიც იქ (თბილისში) იმყოფებოდა, სადაც ქეთევანი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 132,11. **„Илья Орбел: находился в плену у Шамиля“** – გრიგოლის ძმა შამილის ტყვეობაში იყო 1842 წლის 20 მარტიდან იმავე წლის 22 ნოემბრამდე.

გვ. 132,16-17. **„жена моего брата Ильи, племянница и племянник“** – საუბარია ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, მის ვაჟ გიორგისა და გრიგოლის დის, ეფემიას, ქალიშვილ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 132,17-18. **„ближайшая моя родственница К[нягиня] Чавчавадзе с детьми“** – საუბარია გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, ცოლისდაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე და მის ოთხ მცირეწლოვან შვილზე.

გვ. 132,23. **„возвращение своего сына“** – საუბარია შამილის ვაჟ ჯამალ-ე-დინზე, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად.

გვ. 133,5-6. **„племянника Шамиля – Гамзада“** – შამილის დისწული ჰამზათ-ბეკი რუსებმა მძევლად აიყვანეს 1837 წელს.

გვ. 133,6. „сына Алибека Аварскаго – Харсилау“ – შამილისადმი ამავე წლის 14 სექტემბრის წერილში იგი მოხსენიებულია, როგორც ჰარისილაუ (Харисилау). ეს პიროვნება, როგორც 1854 წლის 12 ნოემბერს მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, 1839 წელს გაუსახლებიათ რუსეთში.

გვ. 133,6-7. „сына Амир Амзы – Шейхул Ислама“ – შეიხ-ულ-ისლამი (1854 წლის 12 ნოემბერს მიხეილ ვორონცოვისადმი მიწერილი ბარათის მიხედვით) 1839 წელს გაუსახლებიათ რუსეთში.

გვ. 133,14. „Государя Великаго и Великодушнаго“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 133,16. „сыновя Шамиля мало имеют значения в горах“ – იმ დროისათვის შამილს სამი ვაჟი ჰყავდა: ჯემალედ-დინი (1829-1858), ყაზი მუჰამედი (1833-1902) და მუჰამად შეფი (1840-1906).

გვ. 134,7. „с просьбою к Главнокомандующему“ – სავარაუდოდ, იგულისხმება ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადი, რომელიც 1854 წლის 2 მარტიდან ასრულებდა კავკასიის კორპუსის სარდლის მოვალეობას.

ქეთევან ორბელიანისადმი №66 (344) (გვ. 136-137)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №326/№20, გვ.: 96r-v, 97r.

თარიღი და ადგილი: „1^ბ ოკდომ: 1854. შურით.“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,3

სმ; გადაკეცილისა: 21,3X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელ-
ნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. აქედან ხელმოწერის ჩათვლით ტექსტი ფანქრითაა გადახაზული; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 106-107.

გვ. 136,28. „ჩვენის საწყლების ტყვეების საქმე“ – საუბარია კახეთიდან გატაცებულ თავადიშვილთა ოჯახებზე.

გვ. 136,29-30. „შამილა ითხოვს თავის შვილსა, დისწულსა და ორთა სხუათა ტყვეთა“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე, მის დისწულ ჰამზათზე, შამილის ერთგული თანამებრძოლის, ალიბეკ ავარსკის, ვაჟ ჰარისილაუსა და ამირ ჰამზას ვაჟ შეიხ-ულ-ისლამზე.

გვ. 137,3-4. „კნიაზ ბარიატინსკის მოვსწერე“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 137,10. „სანდროს ამბავიც აღარა ვიცირა“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე, რომელიც პეტერბურგში სწავლობდა.

გვ. 137,11. „ბიძიას ალექსანდრეს მოვსწერე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 137,16-17. „თუთ შამილას ცოლებსაცა“ – საუბარია შამილის სამ ცოლზე, რომლებიც იმ დროს ჰყავდა: ზაიდათი, შუანათი და ამინათი.

გვ. 137,23-24. „თამარ, ბაბაღე, სოფიოები, ტასიკო სიყუარულით მომიკითხე“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობ ორ-

ბელიანის, ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბაბაღე ორბელიან-ოპოჩინინისა და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და ასევე გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ქალიშვილებზე – სოფიო ორბელიან-ჩოლოყაშვილისაზე და ანასტასია ორბელიან-ოკლობჟიოზე.

გვ. 137,25. „ჩემი საყუარელი ძმა ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 137,26-27. „იაკინთე მომიკითხეთ“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №14 (345) (გვ. 138)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 171v-რ.

ხელმოწერა: „შენი გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, სქელი, გაყვითლებული ქალაღდი; ზომა: 18,8X12,5 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი; ქალაღდი საარქივო მასალაში უკუღმაა ჩაკერებული: წერილი იწყება 171v გვერდზე და მთავრდება 171r გვერდზე (როცა პირიქით უნდა იყოს).

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა ხასავიურთში: „ორი როტა... ნამოვიდნენ ხასავიურთისაკენ.“

შენიშვნები: 1. ეს სამი რუსული სიტყვა ჩამატებულია ზემოდან.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: ბარონ ნიკოლაისთან წერილების ხშირ-ხშირად გაგზავნას გრიგოლი დიმიტრი ჯორჯაძეს სთხოვდა მაშინ, როდესაც მისი ნათესავი ქალები შამილს ჰყავდა ტყვედ

- ეს იყო 1854 წლის 4 ივლისიდან 1855 წლის 10 მარტამდე (იხ. 1854 წლის 10 აგვისტოს წერილი: „დღეს დილით ადრიან გამოგიგზავნე წერილი შამილთან, რომ გაუგზავნო ბარონ ნიკოლაისა, რომელიცა იქიდან მიაწოდებს ადვილად შამილსა“, 1854 წლის 12 აგვისტოს წერილი: „ეს აწნეუასთან მიწერილი მგონია უმჯობესი იქნება რომ მიაწოდო ბარონ ნიკოლაის და ის გაუგზავნის დროზე...“, 1854 წლის 29 აგვისტოს წერილი: „ეს წერილები მალე გაუგზავნე ჩემო დიმიტრი ბარონ ნიკოლაისა“ და სხვ.) ბარონი ნიკოლაი იმ დროს იყო ყუმბიტა დაბლობის მმართველი და მისი შტაბი მდებარეობდა ხასავეურთში. წერილში მოხსენიებული მეორე ფაქტი - შამილის თავდასხმა ხასავეურთზე და ბარონ ნიკოლაის დასახმარებლად ორბელიანის მიერ დამხმარე ძალის გაგზავნა - საშუალებას გვაძლევს, თარიღი უფრო დავაზუსტოთ. წერილში საუბარი უნდა იყოს 1854 წლის 3 ოქტომბერს შამილის შემოჭრაზე ამ რეგიონში და სოფელ ისტისზე (ამჟამად ქალაქი მელჩხი, ხასავეურთიდან 37 კილომეტრში) თავდასხმაზე. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 1854 წლის 3 ოქტომბრის შემდეგ, სავარაუდოდ იმავე თვეში. ლოგიკურიც არის, რომ თივა შემოდგომაზე გამოეტანათ.

გვ. 138,1-2. „კარპოვიჩი თავის პილულებითა“ - სავარაუდოდ, იგულისხმება თემირხანშურის ჰოსპიტლის ექიმი ფრანც გერმანის ძე კარპოვიჩი, რომელიც, როგორც ჩანს, იმ დროს მკურნალობდა დიმიტრი ჯორჯაძეს.

გვ. 138,2-3. „ბარონ ნიკოლაის წერილებითა“ - საუბარია ყაბარდოს პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურზე, ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 138,4-5. „დიდი მწუხარება ხასავეურთის გადანვისათჳს“ - ციხესიმაგრე ხასავეურთის გადანვის შესახებ იმდროინდელ დოკუმენტურ წყაროებში არაფერია ნათქვამი. ამიტომ ვფიქრობთ, რომ სიტყვა „ხასავეურთში“ გრიგოლი არა კონკრეტულად ამ დასახლებას, არამედ მიმდებარე სოფლებს გულისხმობს.

გვ. 138,7-8. „ბარონს აღარ უნდა ჯარი“ – როგორც ნერილიდანაც ჩანს, ეს თავდასხმა იყო მოულოდნელი. ბარონ ნიკოლაის განკარგულებაში იყო მხოლოდ 6 როტა და 600-მდე კაზაკი, მთიელთა ჯარი კი 15 ათას მეომარს ითვლიდა. შესაბამისად, ბარონი ნიკოლაის მისაშველებლად ორბელიანს სასწრაფოდ გაუგზავნია ორი როტა, მაგრამ ბარონი ნიკოლაის რაზმმა სწრაფი წარმატება მოიპოვა. მთიელები არ ელოდნენ ასეთ წინააღმდეგობას, თან ტყიანი ადგილების გამო ვერ მიხვდნენ, რომ მოწინააღმდეგე მცირერიცხოვანი იყო და სწრაფად უკუიქცნენ. ამიტომაც აღარ დასჭირდა ბარონ ნიკოლაის ორბელიანის სამხედრო დახმარება.

გვ. 138,8. „ლოპპეს ვგზავნი ჩირიურთსა“ – საუბარი უნდა იყოს მთავარსარდლის შტაბის მაიორ თეოდორ ივანეს ძე ლოპპეზე.

გვ. 138,13. „საბრალოს ტერტიერასათუხ ეს სიკეთე ვჰქნათ“ – ამ გრიგორიანელი მღვდლის შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №6 (346) (გვ. 139)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №437/№24, გვ.: 30v, 31r.

თარიღი და ადგილი: „შურა 22 ოკტო. 1854 წელი.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემს საყუარელს, საკუთარს დას ბაბაღეს სიყუარულით მოვიკითხავ, და ჩავკოცნი შავგვრემანს შუბლზედ.“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,8X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X13,3 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით; ამ გადაკეცილი ფურცლის 30r-v გვერდებზე იმავე ადრესატისადმი მიწერილი ალექსანდრე ორბელიანის

წერილია განთავსებული. ამ ტექსტში 30v გვერდის სიტყვებიდან – „ქართული არშიყობა“ – სიტყვებამდე – „სიყვარულით მომიკითხე“ – ფანქრით არის შემოხაზული. გრიგოლ ორბელიანის წერილი იწყება 30v გვერდზე და მთავრდება 31r გვერდზე. 31v გვერდზე ფანქრით სხვისი ხელით მიწერილია: „ბარონესას წიგნები“.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. გრიგოლ ორბელიანის წერილამდე ალექსანდრე ორბელიანის წერილია განთავსებული:

„უსაყვარელესო დაო ბაბალე!

შენი წიგნი მომივიდა დიდი და ვრცელი რომლისათვის დიდს მადლობას მოგახსენებ. ისევ შენ გაგონდები სხვა არავისა! ვისაც მე არ მოვგაგონდები მე სრულებით არ მახსოვს ეს სიტყვა ვისაც უნდა იმან მიიღოს თავის თავზედ. შენი წიგნი თავიდან ბოლომდის სულ კუჭის ამბავი იყო! არ ვიცი რათ მიწა ვინ სადა ჭამა სადილი, რა ახალი ამბავი სადილის ჭამა!!!! შენი და დედი ჩემის გამორიცხვა არც ეგ არის ახალი ამბავი ერთის სიტყვით ახალი არა იყორა, თუ შეიძლებოდეს ერთი წიგნი კიდევ მომწერე ჭორებით სავსე; ინტერესნი ჭორებით. ბაბალეს აპაჩინინისას უთხარ უჩემოთაც კარგათ შეექცევიტქო. – გალიცინი ცოლი კიდევ მომიკითხე იქნება სანამ მოვალ შევაჩვივოთ. ქართული არშიყობა ეს არის რვაას ვერსტზედამ. – სხვა რალა გითხრა აქაური ამბავი შენთვის რა საჭირო არის? ერთი ქალი არის დიახ ლამაზი შევცქნავით ყველანი იმას და ვნახოთ რა გამოვა.

სოსიკო მომიკითხე ძალუები სულერთიანათ სოფიო და ტასო. დედაშენს ხელს ვაკოცებ.

დავშთები შენი პატივის მცემელი ძმა

ალექსანდრე ორბელიანი. შენი ქმარი სიყვარულით მომიკითხე.

შურა

22 ოკტ.

1854 წელი.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 107-108.

გვ. 139,6. „დატყვევებულის ქალებისა“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ 139,8. „შამილა ითხოვს თავის შვილსა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და მის შვილ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 139,9. „ჭელმწიფემ გვინყალობოს იმის შვილი“ – საუბარია რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე.

გვ. 139,11-12. „ჩემთვის ეთხოვნა ვარინკასა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, ცოლ ბარბარეზე.

გვ. 139,12. „ანნეტა და მის ვაჟი ავათმყოფობენ“ – საუბარია დავით ჭავჭავაძის ცოლზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონსა და მათ ვაჟ ალექსანდრეზე.

გვ. 139,14-15. „ძალუას ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ადრესატის დედაზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 139,15-16. „შენი ქმარი ალექსანდრე“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 139,18. „თამართან და ბაბალესთან მოკითხვას“ – საუბარია იაკობ ორბელიანის ქალიშვილებზე – თამარ ორბელიან-სანკოვსკისა და ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე.

გვ. 139,20. „ტასოს მოენერა ალექსანდრესათვის“ – სავარაუდოდ, საუბარია მანანა ორბელიანის შვილებზე – ანასტასია დავითის ასულ ორბელიან-გაგარინისაზე და მის ძმაზე – ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №327/№20, გვ.: 98რ.

თარიღი და ადგილი: „ნ“ ნოემ: 1854. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, ოვალურკუთხეებიანი, თეთრი ფერის ქაღალდი; ზომა: 20,7X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომლითაც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცელი.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში ორი „ს“ წერია; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 108.

გვ. 140,4. „ჩვენის ქალების ამბავი“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 140,4-5. „შამილა ისევ იმასვე ითხოვს“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 140,5. „თავის შვილსა და მილლიონსა“ – საუბარია შამილის ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე. ამ მოთხოვნასთან დაკავშირე-

ბით შამილი აცხადებდა: შვილი მამას, ფული კი დაზარალე-ბულ ხალხსო.

გვ. 140,5-6. „შვილისთესკი მითხოვნია კნიაზ ბარიატინ-სკისათვს“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე და იგულისხმება ის, რომ რუსეთის მთავრობას გამოეგზავნა შამილის შვილი გადასაცვლელად.

გვ. 140,9. „სანდრიკოს ამბავი დიდხანია არ მოგინერი-ათ“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 140,12. „ყაფლან ცოლშვილებით მომიკითხეთ“ – სა-უბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიან-ზე.

გვ. 140,13. „სოსიკო დებით, მამით, დედით ბებითურთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანსა და მის ვაჟ იოსებზე, იოსების დებზე – სოფიოსა და ანასტასიაზე, დედაზე – ხორეშან ვასილის ასულ ვაჩნაძე-ორბელიანისაზე და ბებიაზე – თინათინ იოსების ასულ თუმან-ნიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 140,14. „ძალუა ნინო თავისის ქალებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაყაშვილ-ორბე-ლიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკი-საზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, ეკატერინე ორბე-ლიან-ივანოვისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირ-სკისაზე.

გვ. 140,15. „იაკინთე სიყუარულით მომიკითხე“ – იგუ-ლისხმება ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მეს-ხიშვილი.

გვ. 140,15. „ბაბაღე ჩამიკოცნეთ“ – სავარაუდოდ, იგუ-ლისხმება გრიგოლის დისწული ბარბარე მელიტონის ასული ბარათაშვილი.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 70v, 71r.

თარიღი და ადგილი: „Шура. 6^м Нояб: 1854.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К^м Алекс: Иван: Барятинскому.“ / „Благородное участие, принимаемое Вашим С[иятельством]...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 70-ე ფ: 33X21 სმ; 71-ე ფ: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; 70-ე ფურცელი ერთ ადგილასაა გახვრეტილი, 71-ე ფურცელი – 2 ადგილას; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 141,7. „переговоров с Шамилем“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 141,9. „Буртунайского жителя Гассана“ – საუბარია შამილის ერთ-ერთ საუკეთესო დიპლომატსა და ხუთასეულის მეთაურ ჰასან ბურთუნაელზე, რომელიც 1857 წელს გარდაიცვალა.

გვ. 141,13. „возвращеніи своего сына“ – საუბარია შამილის ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 141,23. „злаполучныя пленницы“ – ტყვეობაში იყვნენ დავით ჭავჭავაძისა და გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლეები, გრიგოლის დისწული ნინო

მელიტონის ასული ბარათაშვილი, ჭავჭავაძეების ფრანგი გუ-
ვერნანტი ქალი ანა დრანსე და მსახურები.

მიხეილ ვორონცოვისადმი №42 (349) (გვ. 143-145)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძვე-
ლი №174), გვ.: 71v, 72r-v.

თარიღი და ადგილი: „Шура. 12 Ноябрь: 1854.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K: Воронцову.“ /
„Простите, Ваша Светлость ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითა-
ლო ფერის ქალღიმი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია
მუქი ყავისფერი მელნით; შიდა არშიები რესტავირებულია;
ორივე ფურცელზე ორ-ორი ნახვრეტი; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ ვორონცოვისადმი მიწე-
რილი მომდევნო წერილიდან (№43), რომელიც 26 ნოემბერს
არის დაწერილი, ჩანს, რომ თავად ავტორმაც არ იცის ადრე-
სატის ადგილსამყოფელი და მას წერილებს პავლე შჩერბინი-
ნის ხელით უგზავნის: „Не зная о местопребывании Вашем я по-
прежнему пересылал к Вашей Светлости письма чрез
Щербинина.“ პავლე შჩერბინინი 1845-1856 წლებში კავკასიის
მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსის თანამდებობა-
ზე მსახურობდა, რომელიც თბილისში მდებარეობდა. შესაბა-
მისად, მიხეილ ვორონცოვთან მიწერილ წერილებს ავტორი
შჩერბინინს, სავარაუდოდ, თბილისში უგზავნიდა.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 143,22. „Княгини Варвары в Анны Ильинишной“
– საუბარია ბარბარე და ანა ილიას ასულ ბაგრატიონებზე.

გვ. 143,23. „в плен к Шамплю со всеми их детьми“ – შამილის მეომრებმა ჭავჭავაძეების სახლზე თავდასხმა განახორციელეს 1854 წლის 4 ივლისს და ქალებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანის 1 წლის ვაჟი და ანა ბაგრატიონ-ჭავჭავაძის ოთხი მცირეწლოვანი შვილი.

გვ. 143,24. „моею племянницею, Княжною Нпною Баратовой“ – საუბარია ნიკოლოზ ბარათაშვილის დაზე – ნინოზე.

გვ. 144,3-4. „возвращение своего сына“ – საუბარია რუსების მიერ მძევლად აყვანილ და რუსეთში გაზრდილ უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 144,5-6. „своего племянника, взятого в Аманаты Генералом Фезе в 1837“ – ისტორიული წყაროების მიხედვით, შამილის დისწული ჰამზათ-ბეკი რუსებმა მძევლად აიყვანეს 1837 წელს.

გვ. 144,6-7. „пленных Аварцев, сосланных в 1839 году в Россию“ – საუბარია შამილის ერთგული თანამებრძოლის, ალიბეკ ავარსკის, ვაჟ ჰარისილაუსა და ამირ ჰამზას ვაჟ შეიხ-ულ-ისლამზე.

გვ. 144,19-20. „Князь Барятинский, которому я писал“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 144,20-21. „Генерал Реад ходатайствует у Государя Императора“ – საუბარია იმ დროს მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელზე, გენერალ ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადასა და იმპერატორ ნიკოლოზ I-ზე.

გვ. 145,10. „Несчастный Князь Давид Чавчавадзе“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 145,12. „в сел[ение] Шилде он, как лев, дрался“ – როდესაც 1854 წლის ივლისის დასაწყისში შამილის უზარმაზარი რაზმი კახეთში ფოხალისთავამდე მივიდა და ყაზი მუჰა-

მედი და დანიილბეგი წინანდლისკენ დაიძრნენ, გზად ბრძოლა მოუხდათ სოფელ შილდასთან.

გვ. 145,17-18. „Княгиня Елисавете Ксаверіевне и Графине Шуазель“ – საუბარია ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე და მის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №8 (350) (გვ. 148)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 73r-v.

თარიღი და ადგილი: „18 ноября 1854... Т:Х:Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Князю Барятинскому“ / „...к Вашему Сіят^л...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 148,3. „куррьером Кв: Багратиона“ – სავარაუდოდ, საუბარია ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის თანაშემწე გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე. კურიერის სახელი უცნობია.

გვ. 148,4. „о положеніи злополучных моих родственниц-пленниц“ – ტყვეობაში იყვნენ დავით ჭავჭავაძისა და გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, მეუღლეები მცირე-

ლოვან შვილებთან ერთად და გრიგოლის დისწული ნინო მე-ლიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 148,6-7. „человек Кн: Давида Чавчавадзе с письмом от Шамиля“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძესა და ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე. ის, თუ ვინ ჰყავდა დავითს გაგზავნილი შამილთან, არ ჩანს.

გვ. 148,10-11. „возвратить ему сына“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად.

მიხეილ ვორონცოვისადმი №43 (351) (გვ. 150-151)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 82რ-v, 83რ.

თარიღი და ადგილი: „26 Ноябрь: 1854. Темирхан Шура“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „...Ваша Светлость не возвращается...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 33,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; რესტავრირებულია 82v-ს შიდა არშია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ თავად ავტორმაც არ იცის ადრესატის ადგილსამყოფელი და მას წერილებს პავლე შჩერბინინის ხელით უგზავნის: „Не зная о местопребывании Вашем я по-прежнему пересылал к Вашей Светлости письма через Щербинина.“ პავლე შჩერბინინი 1845-1856 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, რომელიც თბილისში მდებარეობდა. შესაბამისად, მიხეილ ვორონცოვთან მიწერილ წერილებს ავტორი შჩერბინინს, სავარაუდოდ, თბილისში უგზავნიდა.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოცემა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 66).

გვ. 150,3. „Ваша Светлость не возвращается“ – ავადმყოფობის გამო კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვი საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

გვ. 150,17. „Несчастные наши пленницы“ – ტყვეობაში იყვნენ დავით ჭავჭავაძისა და გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, მეუღლეები, გრიგოლის დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი, ჭავჭავაძეების ფრანგი გუვერნანტი ქალი ანა დრანსე და მსახურები.

გვ. 150,18-19. „от бедной Варвары Ильинишны“ – საუბარია გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 150,22. „Государь Император в великодушiiи своём“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 150,23. „возвратить сына Шамиля“ – საუბარია რუსების მიერ მძევლად აყვანილ და რუსეთში გაზრდილ უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 150,24. „военный Министр уже послал“ – საუბარია იმ დროს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ თავად ვასილი ანდრიას ძე დოლგორუკოვზე.

გვ. 150,25-26. „уведомил меня об этом К[нязь] Бярянскiй“ – საუბარია გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკიზე.

გვ. 151,5-6. „с назначеніем Подполк: Лазарева управляющим Акушею“ – საუბარია 1854 წლიდან დარლოს ოლქის მმართველ ივანე დავითის ძე ლაზარევიზე.

გვ. 151,10-11. „направил Генерала Маниюкина“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინ-ნეუსტრუევიზე.

გვ. 151,11-12. „нстребившим до основанія Сел[еніе] Уркрах“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ურკრახზე (ურკარახზე) და 1854 წლის მარტის მინურულის მოვლენებზე.

გვ. 151,24. „Графиня Шуазель; Княгиня же“ – საუბარია ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიესა და მის ნათესავ ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 151,27. „пересылал к Вашей Светлости письма чрез Щербинина“ – საუბარია მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინზე, რომელიც ჯერ კიდევ 1827-1845 წლებში მუშაობდა მიხეილ ვორონცოვთან ოდესაში, 1845-1854 წლებში კი იყო კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი.

პაეღე შჩერბინინისადმი №1 (352) (გვ. 154-155)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 83v, 84r.

თარიღი და ადგილი: „Шура... 27 Ноя: 1854. –“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Павлу Михайловичу Щербинину.“ / „Принимаю решимость вновь беспокоить Ваше Превосходительство ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 83-ე ფ.: 33,5X21,5 სმ; 84-ე ფ.: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღნიით; ტექ-

სტი ნასწორებია; რესტავრირებულია 83v-ს შიდა არშია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: პავლე შჩერბინინი 1845-1856 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსის თანამდებობაზე მსახურობდა, რომელიც თბილისში მდებარეობდა. შესაბამისად, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია მწერალი მიხეილ პავლეს ძე შჩერბინინი, რომელიც 1845-1856 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი.

გვ. 154,5-6. „**Князю Михайлу Семёновичу**“ – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ. 154,15. „**Несчастные мои родственницы**“ – ტყვეობაში იყვნენ გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, და მათი ნათესავის, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის, მეუღლეები და დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 154,16. „**ответа от сына Шамиля**“ – საუბარია რუსების მიერ მძევლად აყვანილ და რუსეთში გაზრდილ უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 154,17. „**Государь император в великодушн своём**“ – იმ დროს რუსეთის იმპერატორი იყო ნიკოლოზ I.

გვ. 154,19. „**Военный Министр уже запросил**“ – საუბარია იმ დროს რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრ თავად ვასილი ანდრიას ძე დოლგორუკოვზე.

გვ. 154,22. „**в особенности их дети**“ – საუბარია დავით ჭავჭავაძის ოთხ მცირეწლოვან შვილსა და გრიგოლის ერთი წლის ძმისწულ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 154,24-25. „заглушается громами Севастополя“ – 1854 წლის 5 (17) ოქტომბერს დაიწყო სევასტოპოლის ალყა და პირველად დაიბომბა ქალაქი.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №9 (353) (გვ. 156)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 84v.

თარიღი და ადგილი: „Дербенд. 23 Декаб: 1854.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Баяртинскому.“ / „Что мне сказать Вам, благородный Князь?“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 156,9-10. „сыном Шамиля желанія возвратиться“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 156,12-13. „несчастных родственников моих“ – ტყვეობაში იყვნენ გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, და მათი ნათესავის, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის, მეუღლეები და დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

გვ. 156,15-16. „я я Князь Чавчавадзе ведём переговоры с Шамилем“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 156,17. „Главкомандующий назначен“ – 1854 წლის 30 სექტემბერს ყირიმის სახმელეთო და საზღვაო ძალების მთავარსარდლად დაინიშნა ალექსანდრე სერგეის ძე მენ-შიკოვი.

გვ. 156,18. „увиджу Вас Проконсулом Кавказа“ – ასე მოიხსენიებდნენ ალექსეი პეტრეს ძე ერმოლოვს.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №10 (354) (გვ. 157-158)

ავტოგრაფი: А: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 85გ.

თარიღი და ადგილი: „Темирхан Шура. 28 Декаб: 1854.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Барятинскому“ / „...просить Ваше С[и]тельство)...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ალექსანდრე ბარიატინსკი 1853-1854 წლებში მსახურობდა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსად, რომელიც თბილისში იყო განთავსებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 157,20. „прислать мне сына Шамиля“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 157,22-23. „из Ставрополя Генерал Козловский направил“ – საუბარია გენერალ ბიკენტი მიხეილის ძე კოზლოვსკიზე, რომელიც 1853 წლიდან იყო კავკასიის შავიზღვისპირა ხაზის ჯარების სარდალი.

გვ. 158,2. „страдание несчастных наших пленниц“ – ტყვეობაში იყვნენ გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, და მათი ნათესავის, დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის, მეუღლეები და დისწული ნინო მელიტონის ასული ბარათაშვილი.

1855

ალექსანდრე და ბაბალე საგინაშვილებისადმი №1 (355)
(გვ. 159-160)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №438/№24, გვ.: 32r-v.

თარიღი და ადგილი: „3^ს იანვარს 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუჴნი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმამო ალექსანდრე და ჩემო საკუთარო დაო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოთეთრო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 32,2X27,4 სმ; გადაკეცილისა: 27,4X21,1 სმ; დაუნომრავი გადაკეცილი გვერდისა: 32,2X11,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით; რესტავრირებულია.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს და ადრესატებს ახალი მთავარმართებლის მოსვლის შესახებ ატყობინებს, ბაბალეს კი ირონიით მისთვის გზაზე დახვედრას ავალებს, რაც გვაეარაუდებინებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 109-110.

წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – «ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა», რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ.: 69-70).

გვ. 159,4. „ჩუჭნის ქალების საქმე“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 159,6. „ისაია გავგზავნე დარლოს შამილასთან“ – საუბარია გრიგოლის თარჯიმან ისაი გრამოვსა და ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 159,8-9. „დავითის შვილსა და პატარას გიორგის ფეხი აუდგამთ“ – საუბარია მცირეწლოვან ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძესა და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 159,13-14. „მოველით მოუთმენელობით შამილას შვილსა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის შვილ ჯამალედ-დინზე.

გვ. 159,20. „ჩემს საკუთარს ძალუას“ – იგულისხმება ბარბარეს დედა ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი-ორბელიანისა.

გვ. 160,1-2. „ახალი მთავარმართველიც მობძანდება“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 160,6-7. „კრასავიცა ბაბაღე, წელ-ნაზი თამარ, ცუგ-რუმელა კატო, მინაზებული სოფიო მომიკითხე სიყუარულით“ – საუბარია გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, ქალიშვილებზე: ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, თამარ ორბელი-

ან-სანკოვსკისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე და სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №2 (356) (გვ. 160-161)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №387/№27, გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „11 იანვ: 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით. წერილი მოთავსებულია ამ გადაკეცილი ფურცლის 1r-v გვერდებზე, ხოლო 2r გვერდზე განთავსებულია ქეთევან ორბელიანისადმი მიწერილი წერილი.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს ყაფლანის ცოლ-შვილსა და ბიძია ალექსანდრეს, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ, ამასთან, ტექსტს მოსდევს ქეთევანისადმი მიწერილი წერილიც, რომელიც თბილისშია გაგზავნილი. ნათქვამის გათვალისწინებით, ადრესატი იმყოფებოდა თბილისში.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 110.

გვ. 160,8-9. „მოგართმევს ჩემი მირზა ვექილოვი“ – საუბარია მეხთულის სახანოს თარჯიმანზე.

გვ. 160,11. „ჩუწნი დატყვეებულნი ქალები“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატი-

ონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგ-რატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 160,12-13. „დავითის პატარა ვაჟსა და ჩემს ძმისწულს გიორგის“ – საუბარია მცირეწლოვან ალექსანდრე დავითის ძე ჭავჭავაძესა და გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 160,14-15. „მოველით შამილის შვილის მოსვლასა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და მის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 160,16. „ისაია იყო დარლოში“ – საუბარია გრიგოლის თარჯიმან ისაი გრამოვზე.

გვ. 160,18-19. „კიდევ ზასედატლობაზედ ხელი ვერ აიღე?“ – იგულისხმება ბორჩალოს მოურავობა.

გვ. 160,19-20. „გიჟი ნიკო შვეიტყე შენთან არის“ – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 160,21. „ძალუა და შენი შვილები“ – საუბარია ყაფლანის მეუღლე ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე – ელენესა და ნინოზე.

გვ. 160,21-22. „როგორა ჰსწავლობს შენი შვილი“ – სავარაუდოდ, საუბარია უფროს ქალიშვილ ელენეზე.

გვ. 161,5-6. „ბიძიას ალექსანდრეს დიდს და მდაბლად მოკითხვას მოვახსენებ“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №68 (357) (გვ. 161-162)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №387/№27, გვ.: 2რ.

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყვარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, გაყვითლებული ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,5X20,5 სმ; გადაკეცილისა: 20,5X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით. წერილი განთავსებულია 2r გვერდზე, ხოლო ამავე ფურცლის 1r-v გვერდებზე მოთავსებულია ყაფლან ორბელიანისადმი 11 იანვარს თემირხანშურიდან მიწერილი წერილი [„11 იანვ: 1855. თემირხანშურით“]. წინამდებარე ბარათს თარიღი და ადგილი აღარ უწერია, მაგრამ, ცხადია, რომ ისიც 11 იანვარს არის დაწერილი.

ადრესატის მისამართი: წერილი გაგზავნილია თბილისში. **შენიშვნები:** 1. ასეა ხელნაწერში; 2. სიტყვა ჩამატებულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 113.

გვ. 161,13-14. „გამოუცხადოთ დიდს ბიძიას ალექსანდრეს“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 161,20. „ამასწინად სანდროს გავუგზავნე“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №69 (358) (გვ. 162)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №328/№20, გვ.: 99r-v.

თარიღი და ადგილი: „21 იანვ: 1855, თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, გაყვითლებული ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა:

26,7X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4 X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გან ერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 113.

გვ. 162,4. „ჩვენის ქალების ამბავი“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 162,4-5. „ჩაძაღლებულის შამილის შვილსა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამსა და მის უფროს ვაჟ ჯამალ-ედდინზე.

გვ. 162,7. „მგონია ლევანიც დაქორწილდებოდა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე.

გვ. 162,8. „ქვეყანა მოისვენებს ქეთევანისაგან“ – სავარაუდოდ, საუბარია ქეთევან გიორგის ასულ ერისთავზე, რომლის ქალიშვილიც იყო დანიშნული ლევან მელიქიშვილზე.

გვ. 162,8-9. „ჩვენი ივანე რაღასა ჰშვრება“ – საუბარია გრიგოლის ნათესავ ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 162,11. „სად არის ჩემი ძმა ყაფლან?“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 162,11-12. „დახვედრას თავის უჩასტკითა ახალს მთავარმართებელთან“ – უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. რამდენადაც გრიგოლი ახსენებს

ყაფლანის „უჩასტკას“, ჩანს, რომ იგი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო გადაყენებული დუშეთის მოურავობიდან. 1855 წელს ეს თანამდებობა უკვე ეკავა ლუარსაბ პავლეს ძე არღუთინსკის.

გვ. 162,15. „დიდი ბიძია ალექსანდრე“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 162,17. „რას აკეთებს გიჟი ნიკო“ – სავარაუდოდ, საუბარია ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 162,18. „იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ქეთევანის ძმაზე – იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

ალექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებისადმი №2 (359) (გვ. 163)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №413/№29, გვ.: 1r-v.

თარიღი და ადგილი: „11^ს თებერვალს 1855 თბილისი“

ხელმოწერა: „შენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ალექსანდრე და დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, გაყვითლებული ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,3X26,2 სმ; გადაკეცილისა: 26,2X21 სმ; შესრულებულია შავი მელნით, მსხვილი ასოებით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ გრიგოლი თბილისშია და ადრესატები ქალაქში არ არიან: „ეს სამი დღეა, რა მოველ თბილისს მთავარმართებლის დაბარებითა და ძალიან ვჰსწუხვარ, რომ აქ არ დამხვდით.“ სავარაუდოდ, ისინი კოდაში (სადაც ადრესატები ხშირად იმყოფებოდნენ) უნდა ყოფილიყვნენ და წერილიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3-4. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ წითელი ფანქრით; 5. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 114.

გვ. 163,2-3. „მთავარმართებლის დაბარებითა“ – უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 163,6. „ჩვენის დატყვევების ქალების“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 163,7. „ჩავაბარე დავითს ჭავჭავაძესა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 163,7-8. „მოველოდით შამილის შვილის მოსვლასა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის შვილ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 163,13. „ჩემს საკუთარს ძალუას“ – იგულისხმება სამარაგდონ ორბელიანის ცოლი ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი.

გვ. 163,14. „ჩემი ძმა ყაფლან ჩამიკოცნეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

ბაბალე საგინაშვილისადმი №7 (360) (გვ. 163-164)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №439/№24, გვ.: 33r-v.

თარიღი და ადგილი: „17 თებერ: 1855 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დაო ბაბალე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით, რომელიც გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ბაბაღე თბილისში არ არის: „შენი წერილი მივიღე, რომელშიაც მყვედრი, რომ არ შეგატყობინე ჩემი აქ მოსვლა“ (იგულისხმება ავტორის თბილისში მისვლა). წერილი, სავარაუდოდ, კოდაში (სადაც ადრესატი ხშირად იმყოფებოდა) უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 114.

გვ. 163,22. „მომივიდა ვლადიკავკაზიდამ დავითის წერილი“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 163,23. „შამილას შვილსა“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის შვილ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 164,1. „ჩვენის ტყვეების გამოსაცვლელად“ – საუბარია კახეთიდან გატაცებულ ქალებსა და ბავშვებზე.

გვ. 164,5. „ალექსანდრე ჩამიკოცნე“ – საუბარია ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 164,5. „ჩემი საკუთარი ძალუა“ – იგულისხმება სამარაგდონ ორბელიანის ცოლი ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №388/№27, გვ.: 3r-v, 4r.

თარიღი და ადგილი: „18^ა თებერ: 1855 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,9X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ავტოგრაფი აღდგენილია და ხელნაწერის 3r და 4v გვერდები მათზე გადაკრული სარესტავრაციო ფენის გამო მოყავისფრო ჩანს.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ ყაფლანი თბილისში არ არის: „მოვედი აქ მთავარმართებლის ნებითა და ვარ მარტო შენუხებული შენის აქ არყოფნითა, და იქნება ისეც წავიდე, რომ ველარ გნახო.“ ალექსანდრე და ბაბალე საგინაშვილებისადმი მიწერილ წერილში (№2), რომელიც 11 თებერვალსაა დაწერილი, გრიგოლი მოიკითხავს ყაფლანს თავისი ცოლ-შვილით, რაც ადასტურებს, რომ ისინი ალექსანდრე და ბაბალე საგინაშვილებთან ახლოს იმყოფებოდნენ: „ჩემი ძმა ყაფლან ჩამიკოცნეთ თავის ქულქათით.“ წინამდებარე წერილში კი გრიგოლი მოიკითხავს ალექსანდრეს და ბაბალეს: „ბაბალე, ალექსანდრე და ძალუა ელისაბედ სიყუარულით მომიკითხე.“

აღნიშნულის გათავლისწინებით, წერილი კოდაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღმერთმან; 2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი გაწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 117.

გვ. 164,11. „მოვედი აქ მთავარმართებლის ნებითა“ – უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 164,14. „დავით ჭავჭავაძის წერილი მომივიდა“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 164,15. „შამილის შვილი ჩაუბარებიათ“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 164,16. „ჩვენს დატყვევებულს ქალებზედ“ – საუბარი ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 164,24. „დაახვედრო ახალს მთავარმართებელსა“ – საუბარია ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვზე.

გვ. 164,25. „ძალუა და შენი შვილები“ – იგულისხმება გრიგოლის ბიძაშვილის, ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის, მეორე ცოლი – ელისაბედ ივანეს ასული ბარათაშვილი-ორბელიანისა და ქალიშვილები – ელენე და ნინო.

გვ. 165,4. „ბაბაღე, ალექსანდრე და ძალუა ელისაბედ“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, ქალიშვილ ბარბარეზე, მის სიძე ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილსა და მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №92/Hd – 6680.

თარიღი და ადგილი: „20 თებერ: 1855. თბილისით.“

ხელმოწერა: „შენი მარადის პატივისმცემელი და ერთგული გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულითსაყუარელო კნიაზო კონსტანტინე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 21,6X13სმ; წერილი დაწერილია I-II გვერდებზე, III-IV გვერდები თავისუფალია; შესრულებულია შავი ტუშით, რომელიც ალაგ-ალაგ გაყლენთილია ფურცლებში; ხელნაწერი დასვრილია.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ლმერთმან; 2. ლმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 117-118.

გვ. 165,7. „მთავარმართებლის ნებითა გამოვეშურე შურიდამ“ – უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 165,12. „მივიღე დავით ჭავჭავაძის წერილი“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 165,13-14. „შამილას შვილი მთავარმართებელმა უნდა იმას ჩააბაროს“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის შვილ ჯამალ-ედ-დინზე.

გვ. 165,14. „გასაცვლელად ჩვენს საბრალოთ ქალებზედ“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისნულ ნინო მელიტონის ასულ ბრათაშვილზე, გუგერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

ალექსანდრე საგინაშვილისადმი №1 (363) (გვ. 166)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №414/№29, გვ.: 6r.

თარიღი და ადგილი: „7^ა მარტს¹ 1855 თბილისი.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ალექსანდრე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, თხელი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,6X20,4 სმ; გადაკეცილისა: 20,4X13,3 სმ; შესრულებულია შავი ტუშით, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: წერილი თბილისიდან არის გაგზავნილი, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი კვლავ არ იმყოფებოდა ქალაქში. იგი, სავარაუდოდ, კოდაში (სადაც ადრესატი ხშირად იმყოფებოდა) უნდა ყოფილიყო და წერილიც იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 118.

გვ. 166,7. „ჩემი საყუარელი ბაბაღე ჩამიკოცნე“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, ქალიშვილ ბარბარე ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 166,7-8. „ჩემი საკუთარი ძალუა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, სამარაგდონის, ცოლ ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №70 (364) (გვ. 166-167)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №329/№20, გვ.: 100r-v.

თარიღი და ადგილი: „3^ა აპრილს 1855, თემირხანშუ-რიო.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 25,9X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X12,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღნიო, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი თბილისში ცხოვრობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ არის გაგზავნილი. ეს ტექსტიდანაც ჩანს: „სამშაბათს, ღთ^{ით}, ქაღები გამოემგზავრებიან თბილისისკენ და მერვეს დღეს მოვლენ საქრისტიანოს ქაღაქში.“

შენიშვნები: 1. ღვთით; 2. ხელნაწერში ამ პიროვნების სახელი და გვარი ერთად წერია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 118-119.

გვ. 166,13-14. „ბაბაღესი ხელიხელ საგოგმანები, ისაია“ – საუბარია თარჯიმან ისაი ივანეს ძე გრამოვზე, რომელიც გრიგოლმა გაგზავნა შამილთან ტყვეების განთავისუფლებას-

თან დაკავშირებით მოლაპარაკების სანარმოებლად. შვილის დაბრუნებით გახარებული შამილი ისაის დახმარებით ისეთი კმაყოფილი დარჩა, რომ ოქროს საათი აჩუქა და მოგვიანებით კალუგაშიც წაიყვანა თავისთან თარჯიმნად.

გვ. 166,15. „ამბითა ჩვენის ქალების გამოსვლისათჳს“ – საუბარია ილია ორბელიანის ცოლზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე, ბარბარეს დაზე – ანა ილიას ასულ ბაგრატიონ-ჭავჭავაძისაზე, გრიგოლის დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, გუვერნანტ ქალ ანა დრანსესა და მსახურებზე.

გვ. 167,1. „ბაბაღე სიყუარულით მომიკითხე“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე.

გვ. 167,1-2. „აღექსეი პეტროვიჩი თავის ბაბაღეთი“ – საუბარია აღექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინსა და მის ცოლზე – გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულზე.

გვ. 167,2-3. „ანდრეი სტეფანიჩი თავის წელნაზის მეუღლითა“ – საუბარია ანდრია სტეფანეს ძე სანკოვსკისა და მის ცოლზე – გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულზე.

გვ. 167,3. „კნიაზი დიმიტრი თავის სოფიკოთი“ – საუბარია დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკისა და მის ცოლზე – გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასულზე.

გვ. 167,3-4. „მარტომყოფი კატო, ძალუა ნინოთურთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე და მის დედაზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე. ეკატერინეს ქმარი ნიკოლოზ ალაპოს ძე ივანოვი, როგორც ჩანს, იმ დროს იქ არ იმყოფებოდა.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №330/№20, გვ.: 101r-v.

თარიღი და ადგილი: „29 აპრილს 1855. თემირხანშუ-რით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გაყვითლებული ქალაღდის ნაგლეჯი; ზომა: 21,5X12,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. ფურცლის ეს ადგილები მოხეულია; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 119.

გვ. 167,10-11. „არცა ძალუას ვარინკასი“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, ცოლ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 167,11-12. „როგორა ჰყავს გიორგი?“ – საუბარია გრიგოლის ძმისშვილ გიორგი ილიას ძე ორბელიანზე.

გვ. 167,13. „სანდროს ამასწინად კიდევ გაუუგზავნე“ – საუბარია ქეთევანის ვაჟ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 167,17. „სოსიკო კამენდანტისაგან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 168,3. „ბაბაღლე ჩამიკოცნეთ“ – საუბარი უნდა იყოს გრიგოლის დის, ეფემიას, ქალიშვილ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე, რომელიც იმ დროს ჯერ გათხოვილი არ იყო.

მიხეილ ვორონცოვისადმი №44 (366) (გვ. 168-170)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 88r-v, 89r-v.

თარიღი და ადგილი: „1855 Маia 7^м Т: X: Шура.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „K: Воронцову.“ / „... Простите, Ваша Светлость ...“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: 88-ე ფ.: 33,5X21,2 სმ; 89-ე ფ.: 34,5X21,2 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ტექსტი ნასწორებია; შიდა არშიები რესტავირებულია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: მიხეილ შჩერბინინისადმი მიწერილი წერილიდან, რომელიც ამავე დღეს არის დაწერილი, ჩანს, რომ გრიგოლმა კვლავ არ იცის ვორონცოვის ადგილსამყოფელი და მას ბარათებს შჩერბინინის ხელით უგზავნის: „Не зная, как и прежде, каким образом отправлять к Князю Михайлу Семёновичу письма и рассчитывая на Вашу снисходительность, я опять обращаюсь к Вам с убедительнейшею просьбою приказать отправить прилагаемое письмо к Его Светлости.“ მიხეილ შჩერბინინი იყო მამა პავლე შჩერბინინისა, რომლის დახმარებითაც გრიგოლი ვორონცოვს ბარათებს აწვდიდა. მიხეილ შჩერბინინისადმი მიწერილ წერილში ჩანს, რომ გრიგოლი მასაც მიმართავდა ამ საქმეში დახმარებისთვის. მიხეილ შჩერბინინი იყო სახელმწიფო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი. კანცელარია განთავსებული იყო თბილისში. აღნიშნულის

გათვალისწინებით, ვორონცოვისთვის გადასაცემ წერილებს გრიგოლ ორბელიანი შჩერბინინს, სავარაუდოდ, თბილისში უგზავნიდა.

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა. წერილის ნაწყვეტი (ქართული თარგმანი) დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 70).

გვ. 168,9. „Милостью Царя Великодушнаго“ – კახეთიდან გატაცებული ტყვეების განთავისუფლების საქმე იმპერატორ ნიკოლოზ I-ის დროს დაიწყო, მაგრამ ალექსანდრე II-ის დროს დასრულდა და, სავარაუდოდ, აქ ის უნდა იგულისხმებოდეს.

გვ. 168,9-10. „освобождены из тяжкаго плена мои родственницы“ – საუბარია ბარბარე და ანა ილიას ასულ ბაგრატიონებსა და ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 168,20. „возвращеніем Шамилю сына его в 40 ты[сяч] руб[лей]“ – საუბარია შამილის ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე. რაც შეეხება თანხას, შამილი 1 მილიონს ითხოვდა ვერცხლის მონეტებით, მაგრამ ბოლოს 40 ათასზე შეთანხმდნენ.

გვ. 168,22; 169,1. „дети К[нязя] Чавчавадзе и мой племянник Георгій“ – საუბარია დავით ჭვჭავაძის ოთხ მცირეწლოვან შვილსა და ილია ორბელიანის ვაჟზე.

გვ. 169,7-8. „поездки по Каспійскому Краю“ – ორბელიანი იმ დროს იყო კასპიისპირა მხარის უფროსი.

გვ. 169,11-12. „**началось возстаніе в Кайтаге**“ – ყაითა-ლის მღელვარება უცებ ჩაახშეს ისე, რომ იმ ეტაპზე აჯანყებაში არ გადაზრდილა.

გვ. 169,16-17. „**я поручил Генералу Мпнквицу**“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 169,22. „**родственников Ших Магмада – главного проповедника Шаріата**“ – საუბარია შიხმაჰმადზე, მუსლიმან ღვთისმსახურზე სოფელ ხანაგიდან. მან დაამყარა შარიათის კანონები და შექმნა მუდმივმოქმედი ჯარი.

გვ. 170,1. „**совершили над ним Суннет**“ – საუბარია წინადაცვეთის მუსლიმანურ რიტუალზე.

გვ. 170,8. „**Император Николай скончался?**“ – რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I გარდაიცვალა 1855 წლის 18 თებერვალს.

გვ. 170,16. „**со стороны Турецкаго Султана**“ – სავარაუდოდ, საუბარია ოსმალეთის სულთან აბდულ-მეჯიდ I-ზე, რომელიც ქვეყნის სათავეში იდგა 1839-1861 წლებში.

გვ. 170,19. „**Княгиня Елисаветы Ксаверіевны**“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 170,19-20. „**Графине Шуазель приношу истинное моё уваженіе**“ – საუბარია ადრესატის მეუღლის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 89v, 90r.

თარიღი და ადგილი: „7^ლ мая 1855 Т: Х: Шура“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Михаилу Павловичу Щербинину.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ, ცნობილია, რომ მიხეილ შჩერბინინი იყო სახელმწიფო მრჩეველი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორი. კანცელარია განთავსებული იყო თბილისში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 173,3-4. „отправлять к Князю Михайлу Семёновичу“ – საუბარია კავკასიის ყოფილ მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ. 173,15-16. „поручил Генералу Минквицу“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 174,1. „Сын Шамяля Джамал Эдди“ – საუბარია შამილის ვაჟზე, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად და ქართველ ტყვეებში გაუცვალეს შამილს.

გვ. 174,2. „совершили уже Суннет“ – საუბარია წინადაცვეთის მუსლიმანურ რიტუალზე.

გვ. 174,6-7. „взоры всех нас обращены на Севастополь и Вену“ – სევასტოპოლი იყო ყირიმის ომის ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილი, ვენაში კი 1854 წლის ბოლოდან 1855

წლის აპრილამდე მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტაზე.

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №11 (368) (გვ. 175-177)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 90v, 91r-v.

თარიღი და ადგილი: „Шура...25 мая 1855“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К[нязю] Александру Ивановичу Барятинскому“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,5 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მეღვინით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ბარიატინსკიმ დატოვა საქართველო და გაემგზავრა რუსეთში: „я был поражён при неожиданном известии о Вашем выезде в Россию!“ წერილის ბოლოს გრიგოლი ადრესატს სთხოვს თავისი ძმისშვილის, ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანის, მფარველობას, თუკი ისინი ბედნიერი შემთხვევის წყალობით ერთმანეთს შეხვდებიან: „Если счастливый случай приведёт к Вам моего племянника, Пажа К[нязя] Александра Орбелiani, приёмите его с ласкою под тенью правой руки Вашей.“ სანდრო ორბელიანი ამ დროისათვის პეტერბურგში სწავლობდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, პეტერბურგში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 175,19. „оставили войска Кавказ[скаго] Корпуса“

– მიხეილ ვორონცოვი იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი.

გვ. 175,28. „Барон Николай и я хотели“ – საუბარია ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 176,6-7. „вспыхувшего в Вольной Табасарани“ – ტაბასარანის მღელვარება იმ ეტაპზე აჯანყებაში არ გადაზრდილა.

გვ. 176,8-9. „Пока Шамяль мог узнать“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 176,10-11. „появлением Генер[ала] Минквица“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 176,12-13. „под командою Юсуп бека Кюриянского“ – საუბარია იუსუფ-ხან ქურელზე.

გვ. 176,18-19. „могущь наш Император“ – 1855 წლის 18 თებერვლიდან რუსეთის იმპერატორი უკვე იყო ალექსანდრე II.

გვ. 176,19-20. „ведёт войну с первостепенными государствами Европы“ – რუსების წინააღმდეგ ოსმალეთის მხარეს იბრძოდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სარდინია.

გვ. 176,25. „после окончания Уразы“ – საუბარია ურაზა ბაირამზე – მუსლიმანთა დღესასწაულზე, რომლითაც მთავრდება მარხვა.

გვ. 176,28. „Бедный сын Шамяля Джамал Эддин“ – საუბარია შამილის ვაჟზე.

გვ. 176,30-31. „совершили над ним Суннет“ – საუბარია წინადაცვეთის მუსლიმანურ რიტუალზე.

გვ. 177,1-2. „Император Николай скончался?“ – იმპერატორი ნიკოლოზ I გარდაიცვალა 1855 წლის 18 თებერვალს.

გვ. 177,6-7. „похлопотать о представлении за 1853 год“ – საუბარია ჯილდოზე იმ მეომრების წარდგენის შესახებ, რომლებმაც 1853 წელს გამოიჩინეს თავი.

გვ. 177,15-16. „**პრиведёт к Вам моего племянника, Пажа К[нязя] Александра Орбелиани**“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

სვიმონ შალიკაშვილისადმი №17 (369) (გვ. 179-180)

ავტოგრაფი: A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ.: 31r-v, 32r.

თარიღი და ადგილი: „7^ს ივნისს 1855. შურით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო სვიმონ“

ავტოგრაფის აღწერილობა: თხელი, გაყვითლებული, დაზიანებული ქაღალდი; რესტავრაციის შედეგად სქელ ქაღალდზეა დაკრული, წერილს ბოლოები მოხეული აქვს, რის გამოც ტექსტი არ იკითხება. ზომა: 20,8X13,1 სმ; შესრულებულია ლურჯი ტუშით.

ადრესატის მისამართი: ეროვნულ არქივში დაცულია დიმიტრი ჯორჯაძის წერილი სვიმონ შალიკაშვილისადმი (A: ფონდი 481, აღწერა 2, საქმე №365, გვ. 33r-v), დათარიღებული 1855 წლის 6 ივლისით (თუმცა ავტორს ჯერ 28 ივნისი დაუწერია, შემდეგ გადაუშლია და ახალი თარიღი ზემოდან მიუწერია), სადაც ავტორი ადრესატს ზაქათალის შესახებ ინფორმაციას სთხოვს: „ზაქათალის ამბავი მოიწერე“ (33v). სვიმონ შალიკაშვილი 1850-1854 წლებში მსახურობდა ბელაქანსა და ზაქათალაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე წერილი, სავარაუდოდ, ზაქათალაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. წერილის მოხეულ ადგილებს წერტილებით აღვნიშნავთ; 2. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 120.

გვ. 179,20. „შამილა არის მზად“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 180,1. „შამხალს ეყოლა ქალი“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 180,2-3. „ჰაჯი ალაბეგი მომიკითხე მისის შვილით“ – საუბარია ელისუს პრისტავზე, პორუჩიკ ჰაჯი ალა-ბეგსა და მის ვაჟზე – ყაითალის მმართველზე, გვარდიის შტაბის როტ-მისტრ ახმედ-ხანზე, რომლებიც რუსეთის ერთგულები იყვნენ.

გვ. 180,3-4. „ენგილოების – ახალქრისტიანების, ამბავი“ – სვიმონი იყო ზაქათალის ოლქის მმართველი, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობდა ინგილოების გაქრისტიანება. მიხეილ ვორონცოვის მიერ იმპერატორისათვის წარდგენილ ერთ-ერთ ანგარიშში ნათქვამია, რომ 1851 წელს ჭარ-ბელაქანში მცხოვრებმა 1200-მა ინგილომ ნებაყოფლობით მიიღო ქრისტიანობა, რადგან საუკუნეც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ისინი ძალით გაამუსლიმანეს. მათთვის ეკლესიების მშენებლობის, ქართულისა და თათრულის მცოდნე მღვდლების განწესებისა და სხვა პრობლემური საკითხების კარგად მოგვარებისათვის ვორონცოვი თავის წერილში მადლიერებით მოიხსენიებს ჭარ-ბელაქნის იმდროინდელ მმართველს – გრიგოლ ორბელიანს. მოგვიანებით, 1863 წელს, მუსლიმანებმა, ჰაჯი მურთუზის მეთაურობით, შეძლეს გაქრისტიანებული ინგილოების ისევ გადაბირება და აჯანყების მოწყობა, რომლის დროსაც მოკლეს სვიმონ შალიკაშვილი.

გვ. 180,16. „მოველი ყარსის აღებასა“ – წერილის წერის დროს, 1855 წლის 7 ივნისს, ყარსის სიმაგრე რუსებს ჯერ აღებული არ ჰქონდათ, მაგრამ თურქეთის არმია იქ იყო გამაგრებული და 1-ლ აგვისტოს ნიკოლოზ მურავიოვის 40-ათასიანმა რუსულმა არმიამ უკვე ალყა შემოარტყა 33-ათასიან თურქულ გარნიზონს.

გვ. 180,21. „შენი მეზობელი კნიაზი რამაზ თარხანოვი“ – საუბარია ნუხის მაზრის მმართველ რამაზ დიმიტრის ძე თარხანიშვილზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №72 (370) (გვ. 181)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №331/№20, გვ.: 102რ-v, 103რ.

თარიღი და ადგილი: „1^ა ივლისს 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,3 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ჩამატებულია ავტორის მიერ; 2-3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 121.

გვ. 181,2-3. „ძალუა ვარინკა და დავით თავის ცოლშვილით“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, ცოლ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და მისი სიძის – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის – ოჯახზე.

გვ. 181,6-7. „ჩვენი გვირგვინი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 181,10-11. „მხოლოდ ბიძია ალექსანდრეს გარდა“ – სავარაუდოდ, საუბარია ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე.

გვ. 181,13. „სანდროს წერილი მომივიდა“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 181,15-16. „რომელნიცა აჩუქა უსუფუბეგმა“ – საუბარია ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგზე.

გვ. 181,19-20. „მარშალი ალექსანდრე ისევ მანდ არის?“ – სავარაუდოდ, საუბარია გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლ ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავზე, რომლის დედაც იყო გრიგოლის ნათესავი – ელენე იოანეს ასული ორბელიანი (1785-1817).

გვ. 181,22. „იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

გვ. 181,23. „მართლად ქარვასლის დამწველნი იპოვნეს?“ – აქ საუბარია არა თამამშევის ქარვასლაზე, რომელიც ასევე დაიწვა, მაგრამ უფრო გვიან, 1874 წელს, არამედ არწრუნის ქარვასლაზე, რომელსაც ცეცხლი 1855 წელს გაუჩნდა, მაგრამ მთლიანად არ დამწვარა და განახლება მოხერხდა.

გვ. 181,26. „მეტადრე ტასოსა, რომელსაც მოუცდა ოდესსაში წაბძანება“ – შეიძლება იგულისხმებოდეს ან ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი, ან ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა.

გვ. 181,27. „ბაბალეს სიყუარულით მოვიკითხავ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №332/№20, გვ.: 104r-v.

თარიღი და ადგილი: „8^ს ივლისს 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,4 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღნიით, რომელიც ალაგ-ალაგ გაუღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 121-122.

გვ. 182,3. „ქამარი სანდროსათუს“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 182,8. „ბაბალე სიყუარულით მომიკითხეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 182,9. „ჩემი თვალის ჩინი ყაფლან“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 182,13. „ჩემი საყუარელი და ბაბალე ალექსეი პეტროვიჩით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის

ასულ ორბელიანსა და მის ქმარ ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გვ. 182,13-14. „ძალუა ნინოთი, თამართა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

გვ. 182,14. „კატო მის ქმრითა მომიკითხეთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

გვ. 182,18. „მარშალი ალექსანდრე ნავიდა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ნათესავზე – გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლ ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავზე.

გვ. 182,19. „სად არის ივანე?“ – სავარაუდოდ, საუბარია ივანე დავითის ძე ორბელიანზე.

გვ. 182,19-20. „ძალუა მანანა თავის პატარა ძალუათი“ – საუბარია მანანა მირმანოვის ასულ ერისთავ-ორბელიანისაზე და მისი ვაჟის, ივანეს, ახალმოყვანილ ცოლზე – სოფიო შალვას ასულ ერისთავზე (ჯვარი დაინერეს 1855 წლის 24 აპრილს).

გვ. 182,21. „იაკინთე სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ქეთევანის ძმა იაკინთე დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილზე.

ყაფლან ორბელიანისადმი №4 (372) (გვ. 183)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №389/№27, გვ.: 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „8^მ ივლისს 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო თვალისჩინო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქა-

ლალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,1X14 სმ; გადაკეცილისა: 14X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით 1r გვერდზე, 2r გვერდზე მისამართი წერია; ხელნაწერი დალაქავებულია; 1v და 2r-v გვერდებზე შავი ლუქის ნარჩენია.

ადრესატის მისამართი: „მის ბრწყინუალებას, კნიაზს ყაფლანს ორბელიანს. თბილისი.“

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 122.

გვ. 183,4. „**ძალუა და შენი შვილები სიყუარულით მომიკითხე**“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანის მეუღლეზე – ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე – ელენესა და ნინოზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №74 (373) (გვ. 183-184)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №333/№20, გვ.: 105r.

თარიღი და ადგილი: „20 ივლისს 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,6 სმ; გადაკეცილისა: 21,6X13,4 სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში

მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, ნერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.123.

გვ. 183,16. „იაკინთე და სარდიონ მომიკითხეთ სიყუარულით“ – საუბარია ქეთევანის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 183,17. „ყაფლანს შუბლზედ ვაკოცებ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 183,21-22. „ბაბაღე, კიდევ ბაბაღე და კიდევაც ბაბაღე სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, ასევე გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე სამარაგდონის ასულ ორბელიან-საგინაშვილისაზე და დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 183,22. „ნინო, თამარ, და კატო ქმრებითა“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მყააშვილ-ორბელიანისაზე და ბიძაშვილებზე – თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე და ეკატერინე იაკობის ასულ ორბელიან-ივანოვისაზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №15 (374) (გვ. 184-185)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №541/№26, გვ.: 18r.

თარიღი და ადგილი: „22 ივლისს 1855 ოლლი.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო კნიაზო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, ბოლოებმოცვეთილი, დიდი ფორმატის, სქელი, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 40,4X30,9 სმ; გადაკეცილისა: 30,9X20,2 სმ; წერილი მხოლოდ | გვერდზე წერია; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი ალაგ-ალაგ დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძისადმი სამი დღის შემდეგ, 25 ივლისს, გაგზავნილ წერილში გრიგოლი ადრესატის ადგილსამყოფლად ახსენებს თბილისსა და შურას: „რათა ზედმინევენით მიხუდე რარიგათ ვჰკანკალებთ ქუთიშის მთაზედ მკათათვის 25^ს დღესა, როდესაც ტბილისში, შურაში სიცხისაგან არ იცით რომელს ჰაუზში, რომელს ვანნაში განიგრილოთ თავი თქუწნი.“ 27 ივლისით დათარიღებული წერილიდან კი ჩანს, რომ იმ პერიოდში ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში: „ჯერ მცირედი კიდევ მოიცადე შურაში, იქნება მე მალე მოვიდე.“

შენიშვნები: 1. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2-3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 123-124.

გვ. 184,6-7. „რომელსა ეწოდების ოლლად“ – საუბარია დალესტნის სოფელზე.

გვ. 184,7. „შეუდგებით ქუთიშისაკენ“ – საუბარია დალესტნის სოფელზე, ან იქვე მდებარე მთაზე.

გვ. 184,15. „მომწერა ბარონ ნიკოლაიმ“ – საუბარია ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 184,16-17. „გებექამ თვალ-ყური უგდოს“ – დამატებითი ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ არ მოგვეპოვება.

გვ. 184,17-18. „რასა იქს შამილა?“ – საუბარია ჩეჩნეთ-დალესტნის იმამზე.

გვ. 184,22. „გაუგზავნეთ ისევ საბუროვსა“ – სავარაუდოდ, იგულისხმება აფშერონის პოლკის მაიორი მიხეილ ია-

კობის ძე დოღგოვოსაბუროვი (Долгово-Сабуров), რომლის გვარი საბუროვადაც იწერებოდა.

გვ. 184,25. „სევასტოპოლის ამბავი“ – წერილის წერის დროს, 1855 წლის ივლისის ბოლოს, მოკავშირეთა ჯარები უტევდა სევასტოპოლში გამაგრებულ რუსულ ქვედანაყოფებს. მდგომარეობა სახარბიელო არ იყო. 30 აგვისტოს არტილერიის ცეცხლით გადამწვარ სევასტოპოლში კოალიციის ჯარები შევიდა.

პეტრე ვოლკოვისადმი №1 (375) (გვ. 185-187)

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 92r-v, 93r.

თარიღი და ადგილი: „24 июля 1855. Лагерь на Кутишинских горах.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „Генер: майору Петру Аполлоновичу Волкову.“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ გრიგოლი წერილს თემირხანშურაში აგზავნის: „Полагая, что Вы уже в Шуре.“

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

წერილის ადრესატია დალესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაური პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი.

გვ. 185,6. „Темир Хань Шуру оставил“ – 1855 წლის 4 აპრილს გრიგოლ ორბელიანი დაინიშნა კასპისპირა მხარის ჯარების უფროსად.

გვ. 185,11. „Полагая, что Вы уже в Шуре“ – გრიგოლის თანამდებობაზე დაინიშნა პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვი.

გვ. 185,17. „из Казіюртовской роты“ – საუბარია სოფელ ყაზიიურთის სამხედრო დანაყოფზე.

გვ. 185,19. „предписано Кунцевичу“ – საუბარია მე-3 ბრიგადის მე-15 ქართული ბატალიონის მეთაურზე, პოდპოლკოვნიკ პეტრე ივანეს ძე კუნცევიჩზე.

გვ. 186,4. „Воронченко из Евгениев[скаго] укреп[ле-
нія]“ – მიხეილ ვორონცოვისადმი გაგზავნილ 1852 წლის 28 ოქტომბრის წერილში ნახსენებია პოდპოლკოვნიკი ვორონჩენკო და აქაც ის უნდა იგულისხმებოდეს: თბილისის ეგერთა პოლკის ოფიცერი რაფიელ მათეს ძე ვორონჩენკო.

გვ. 186,7-8. „за Зубутскою Переправою“ – საუბარია დაღესტნის ერთ-ერთ უძველეს სოფელ ზუბუტზე (ამჟამად ზუბუტლი) და მდინარე სულაკის გადასასვლელზე.

გვ. 186,9. „Заведывающій Штабом в Ишкартахе“ – სავარაუდოდ, საუბარია დაღესტნის 82-ე ქვეითი პოლკის შტაბბინაზე, რომელიც აშენდა თემირხანშურიდან 15 კილომეტრში, დანგრეული სოფელ იშკარტის ადგილას, და იქ მდებარეობდა 1847 წლიდან. 1855 წელს პოლკის მეთაური იყო პოლკოვნიკი ანდრია ანდრიას ძე შოსტაკი.

გვ. 186,9-10. „обороняет селен[ія] Каранай“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 186,11. „за Ахатлинскою Переправою“ – საუბარია დაღესტნის სოფელ ახატლში მდებარე მდინარე სულაკის გადასასვლელზე.

გვ. 186,22-23. „указали Доктора Плащевскій в Ивановскій“ – საუბარია მთავარსარდლის სამმართველოს მთავარ ექიმ აბრაამ ალექსის ძე პლაშჩევსკიზე. ექიმ ივანოვსკის სახელი და თანამდებობა უცნობია.

გვ. 186,30. „Войнскій началь[ник] своими средствами“ – სავარაუდოდ, საუბარია კავკასიის მეფისნაცვალ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვზე.

გვ. 187,1. „пишу к Шамхалу“ – სავარაუდოდ, საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანზე.

გვ. 187,4-5. „Кастырь, Кумыки и Халимбекауль“ – სავარაუდოდ, საუბარია სოფლებზე – კაფირზე (ამჟამად კაფირ-ყუმუხი), ყუმუხსა და ხალიმბეკ-აულზე.

გვ. 187,8. „Шамхалу и Ибраим Хану“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და მის სიძეზე (ქალიშვილის ქმარზე) – მეხთულელ ფლიგელ-ადიუტანტ, პოლკოვნიკ იბრაჰიმ ხანზე.

გვ. 187,15. „против Вревскаго, который двинулся к Шали“ – საუბარია გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე. 1855 წელს იგი დაინიშნა მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურად და კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად. შალი ჩეჩნური სოფელი იყო, ამჟამად ქალაქია.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №16 (376) (გვ. 190)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №542/26, გვ.: 19r-v.

თარიღი და ადგილი: „25^ა ივლისს 1855. ქუთიშის მთა.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „...ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,3X20,9 სმ; გადაკეცილისა: 20,9X13,1 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია გვერდებში; 19r გვერდის თავში ფანქრით არის მინერილი: „თ.

ჯორჯაძეს, დ-ს“ (მინანერი ხაზგასმულია ავტორის მიერ); მე-ოთხე (20v) გვერდზე ფანქრით ციფრებია მიწერილი.

ადრესატის მისამართი: ტექსტში გრიგოლი ადრესატის ადგილსამყოფლად ახსენებს თბილისსა და შურას: „რათა ზედმინევენით მიხუდე რარიგათ ვჰკანკალებთ ქუთიშის მთაზედ მკათათვის 25^ს დღესა, როდესაც ტბილისში, შურაში სიცხისაგან არ იცით რომელს ჰაუზში, რომელს ვანნაში განიგრილოთ თავი თქუჴნი.“ 27 ივლისით დათარიღებული წერილიდან კი ჩანს, რომ იმ პერიოდში ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში: „ვერ მცირედი კიდევ მოიცადე შურაში, იქნება მე მალე მოვიდე.“

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 124.

გვ. 190,1. „ყორღანოვის რაზლოვორიდამ“ – სავარაუდოდ, საუბარია ნუხის მაზრის უფროს იოსებ ივანეს ძე ყორღანაშვილზე.

გვ. 190,8-9. „ვრევსკის დაუმარცხებია შამილის ჯარი შალის მინდორზედ“ – საუბარია იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე. 1855 წლის მაისსა და ივნისში ვრევსკიმ რამდენიმე წარმატებული თავდასხმა განახორციელა შამილის რაზმებზე მდინარე სუნჟის მარჯვენა შენაკადის, ჯალკის (Джалка), ნაპირებზე. ჩიჩნური სოფელი შალი სწორედ ამ მდინარის ველზე მდებარეობდა.

გვ. 190,11. „ანდრონიკოვი მწერს“ – სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ვაჟ არჩილზე.

გვ. 190,16-17. „გამოგზავნე ეგ ინვალიდებიდა“ – იგულისხმება გაზეთი „Русский инвалид“, რომელშიც მიმდინარე საომარი მოქმედებები იყო ხოლმე აღწერილი.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №543/№26, გვ.: 20r-v, 21r-v.

თარიღი და ადგილი: „27 ივლისს 1855. ქუთიშის მთა.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,3X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაყლენთილია გვერდებში; წერილი დაწერილია ოთხივე გვერდზე.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში: „ჯერ მცირედი კიდეც მოიცადე შურაში, იქნება მე მალე მოვიდე.“

შენიშვნები: 1. ჯერ დაუნერია „ჰასმენ“, შემდეგ „ჰ“ გადაუხაზავს; 2. „სიქა მანათი“ ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ჩამატებულია ავტორის მიერ; 4. ღმერთი; 5. გამოგზავნის ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 125-126.

გვ. 191,15-16. „თუ ორენბურღის ლუბერნატორი მოვიდა“ – 1855 წელს ორენბურღის სამხედრო გუბერნატორი იყო გენერალი ვასილი ალექსეის ძე პეროვსკი (1795-1857), მაგრამ, სავარაუდოდ, ორბელიანი მას მაგალითისთვის ასახელებს.

გვ. 191,17. „ვარინკას წერილი მომივიდა“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 191,21. „კაკალასაგან ნასყიდნი“ – საუბარია ორბელიანების ნაყმევზე.

გვ. 191,22. „შამილა არის თავის სახლში“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 191,22-23. „შალის მინდორზედ“ – 1855 წლის მაისსა და ივნისში რუსეთისა და მთიელების სამხედრო დანაყოფებს შეტაკებები ჰქონდათ სუნჯის მარჯვენა შენაკადის, ჯალკის (Джалка), ნაპირებზე, სადაც მდებარეობდა ჩეჩნური სოფელი შალი.

გვ. 191,27. „ვრევსკის გაუფუჭებია“ – საუბარია იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 191,31. „ყურბან ბაირამის უკან“ – საუბარია მუსლიმანთა რელიგიურ დღესასწაულზე, რომელიც მათი მთავარის კალენდრის მე-12 თვის 10 რიცხვში აღინიშნება ხოლმე.

გვ. 192,8. „ჯამოზეგის თანაშემწედ ყოფნა“ – საუბარია დაღესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველ ჯამოვ-ბეგზე.

გვ. 192,8-9. „ნუ ჰგონია ლუბერნატორს“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 192,13. „იოსიფოვმა თავის ქკუით“ – საუბარია ყარაყაითალის მმართველის ყოფილ თანაშემწე ისაკ გაბრიელის ძე იოსიფოვზე.

გვ. 192,14-15. „გებეჟა ვერა იქს ზასედატლობასა“ – დამატებითი ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ არ მოგვეპოვება.

დომიტრი ჯორჯაძისადმი №18 (378) (გვ. 193)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №717/№110, გვ.: 2რ.

თარიღი და ადგილი: „11 აგვისტოს 1855. არქაზით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, დიდი ფორმატის, თხელი, ცისფერი ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა:

42,2X26,4 სმ; გადაკეცილისა: 26,4X21,1 სმ; ხელნაწერის 1r-v გვერდებზე განთავსებულია სვიმონ შალიკაშვილის წერილი დიმიტრი ჯორჯაძისადმი, რომელიც მუქი შავი კალმით არის დანერილი, 2r გვერდზე კი გრიგოლ ორბელიანის მინაწერია ლურჯი მელნით, რომელიც გაყენებულია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძისადმი მინე-რილი წინა (№17) წერილიდან, რომელიც 2 კვირით ადრეა და-ნერილი, ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში: „ჯერ მცირედი კიდეე მოიცადე შურაში, იქნება მე მალე მო-ვიდე.“ წინამდებარე ბარათში არაფერია ნათქვამი მისი შესაძ-ლო გადაადგილების შესახებ, ამიტომ, სავარაუდოდ, ისიც თე-მირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. გრიგოლ ორბელიანის მინაწერს წინ უძ-ღვის სვიმონ შალიკაშვილის წერილი დიმიტრი ჯორჯაძისად-მი, რომელსაც სრულად წარმოვადგენთ (სტილი დაცულია):

3 აგვისტოსა 1855. კახით.

მრავლათ ჩაგკოცნი ჩემო უუსაყვარელესო დიმიტრი, ალახ იყოს შენი მფარველი, რა გითხრა, ამ ურჯულო ქვეყა-ნაში რა არის, რომ შეიძლებოდეს მონერა, შენუ მომიკვდები ეს მაბრკოლებს და ვრჩები შენებურ. – ნაპალეონის უთაოთ ყოფას, სცნობ კნიაზის წერილით, ეჭვი არა გქონდეს უნდა იყოს სიმართლით, ერთი ესა პრაპორშიკმა მითხრა, ორმოცის წლის არტელლერისტმა, გვარი ბურბონით, როგორათაც ჭიზიონომია აცხადებს. –

სევასტოპოლისა ის ისმის, რაც გაზეთებშია, გეცოდინე-ბა ნახიმოვის სიკვდილი, მართლათ ღირსეული კაცი დაეკარ-გეთ უმეტესათ ამ დროში. – ანგლიის კარალევას მიელიან პა-რიჟში, თულა ნაპალეონს თავილა აბადია, ძალიან დაგიდევენ თუ სევასტოპოლი ჟლეტს ანგლო-ქრანცუსთა მეპატრონენი სიამოვნებით ატარებენ დროსა. –

ჩვენი სარდალიც ხომ იცი სადაც არის, ჩვენი ვაშკაცნი ქართველნიც ხომ იქ არიან ჩვეულებისაებრ მამაცურ.

შენი მცნობნი ქრისტიანენნი სიამოვნით გიგონებენ, მოდიან ჩემთან მეუბნებიან გვივეზირეო და მეც ვვეზირობ. –

რვა სული ინგილო თავიანთის ცოლშვილით განვსპეტაკნე წმინდის ემბაზით, აი ჩემო საყვარელო დიმიტრი აქაური ამბავი. – შამილა ძალიან მაგვიანებს ამ კახში, მანამ არ მივამსხვრევ აქ უნდა განვმგებლობდე, შუქურალა ძალიან მზათ ვარ იმამ-შამილას მიმტვრევისათვის, მე ასე ვფიქრობ და სხვა ღმრთის ჳელათ არის, როგორათაც მახმადიანთ ყორანი უცხადებსთ.

სხვა არა არისრა უძვირფასესო დიმიტრი.

შენი სვიმონ

ასეთი გზა გაგიჩარხე სარუბაშიდგან ყურდულამდის, რომ ვენის კარეკით წამსვლელი შეიძლებს გორვით თქვენამდის მოსვლას. –

2. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 126-127.

გვ. 193,1. „სვიმონის წერილი რომ გავხსნა“ – სავარაუდოდ, საუბარია სვიმონ იოსების ძე შალიკაშვილზე.

გვ. 193,4. „ნაპოლეონის თავის მოკვეთა“ – სავარაუდოდ, საუბარია საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ზე. 1855 წელს მასზე ორჯერ მოხდა თავდასხმა. ერთ-ერთი ამ წერილის დაწერამდე – 28 აპრილს და, შესაბამისად, ის უნდა გამხდარიყო გავრცელებული ჟორების საბაბი. თავდასხმა მოხდა, მაგრამ მისთვის თავი არ მოუჭრიათ. რამდენადაც ნაპოლეონის არმია ყირიმის ომში რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდა, როგორც ჩანს, ასეთ ხმებს სიხარულით ავრცელებდნენ.

გვ. 193,4-5. „საფაროვის მალაზიაში პირველად ითქვა“ – ვინ არის ეს საფაროვი და სად იყო მისი მალაზია, უცნობია.

გვ. 193,8. „არქაზით“ – სავარაუდოდ, საუბარია დალესტინის სოფელ არქასზე (Архас).

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №19 (379) (გვ. 193-194)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №544/№26, გვ.: 22r.

თარიღი და ადგილი: „14 აგვისტოს 1855. ოპლით.“

ხელმოწერა: „თქუჴნი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,5X26,8 სმ; გადაკეცილისა: 26,8X21,2 სმ; შესრულებულია შავი მეღნით; წერილი დაწერილია მხოლოდ | გვერდზე.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძისადმი გაგზავნილი წინა წერილებიდან და აგრეთვე 25 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან ვიცით, რომ ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში. წინამდებარე ბარათიც, სავარაუდოდ, თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2-3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4-5. სიტყვებში – „მინკვიცთან“ და „მამისადმი“ – ხაზგასმულია მხოლოდ თანდებულები; 6-7-8-9. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერილიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 127-128.

გვ. 193,9-10. „ოჰლიდამ მივედივარ აიმაკზედ ქუთიშასა“
– საუბარია დალესტნის სოფლებზე.

გვ. 193,12. „წერილებსა მინკვიცთან და ლამაზოვის მამი-
სადმი“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ
იული თეოდორეს ძე მინკვიცზე, მათე აბელის ძე და აბელ
არაქელის ძე გამაზოვებზე. მათე გამაზოვი 1831 წლიდან არ-
ტილერიის ოფიცრად მსახურობდა თბილისსა და ზაქათალა-
ში, შემდეგ კი შეისწავლა აღმოსავლური ენები, მსახურობდა
საელჩოებში და მონაწილეობდა თურქეთსა და ირანთან რუ-
სეთის სასაზღვრო რუკის შედგენაში.

გვ. 193,13-14. „კოცებუს წერილი არ მომეწონა“ – საუ-
ბარია კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს პავლე ევსტათის
ძე კოცებუზე.

გვ. 193,20. „არქასზედ გაუშვი ასევეის ხელქვე“ – სავა-
რაუდოდ, საუბარია დალესტნის სოფელ არქასზე (Архас) და
დომიტრი კუზმას ძე ასევეზე.

გვ. 193,21. „აღქენტის სიახლოეს“ – სავარაუდოდ, საუ-
ბარია დალესტნის სოფელ აღქენტზე.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №8 (380) (გვ. 194-196)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№440/24, გვ.: 34r-v, 35r-v.

თარიღი და ადგილი: „აგვისტოს 21^ა ქუთიშის მთა 1855.“
/ „2^ა სექტემბერს. შურა.“

ხელმოწერა: „შენი ერთგული ძმა გრიგოლ ორბელიანი“
/ „შენი ძმა გრიგოლი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო უსაყუარლესო
დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, გაცვეთილი,
საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუ-
კეცავისა: 26,8X20,8 სმ; გადაკეცილისა: 20,8X13,2 სმ; (I ფურ-

(კლისა), 20,8X13,5 სმ; (II ფურცლისა); შესრულებულია ლურჯი მელნით; 34r გვერდის თავში თარიღი და ადგილი ბაცი შავი მელნითაა მიწერილი; ავტორს 21 აგვისტოს დაწერილი წერილი არ გაუგზავნია და 2 სექტემბერს მუქი შავი მელნით გაუგრძელება წერა 35v გვერდზე.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი, მაგრამ წინა წერილებიდან ვიცით, რომ ბაბალე ხან თბილისში იყო, ხანაც – კოდაში. წინამდებარე წერილს გრიგოლი ზაქარია ჭავჭავაძეს ატანს, რომელიც, სავარაუდოდ, თბილისში მიემგზავრებოდა, თვითონ ავტორიც მათთან ერთად ყოფნას ნატრობს: „ზაქარია ჭავჭავაძე მოვიდა აქა, იასონს გამოეგზავნა დანარჩენის პოლკის ჩასაბარებლად, მორჩა თავის საქმესა და ახლა მოდის თქვენკენ ამ წერილითა. – ნეტავი როდის იქნება გულმოსვენებით ვიყო თქვენთან!“ აღნიშნულის გათვალისწინებით, ბარათი, სავარაუდოდ, თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1-2. თარიღი და ადგილი ბაცი შავი მელნით წერია და ჩვენ მიერ დანომრილი სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ასეა ხელნაწერში; 4. ღმერთმან; 5. თარიღი და ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 128-129. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 135).

გვ. 194,10. „შენ გენაცუალნენ ყოველნი ბარბარები“ – გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში, ბარბარე სამარაგდო-

ნის ასული ორბელიანი-საგინაშვილისა და ბარბარე იაკობის ასული ორბელიანი-ოპოჩინინის გარდა, თავისი სანათესაო წრიდან ახსენებს ხოლმე რამდენიმე ბარბარეს: თავისი ძმის, ილიას, მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისას, თავის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილსა და თავისი ბიძაშვილის, მაია (მარიამ) თამაზის ასული ორბელიანის, ქალიშვილ ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილ-ანდრეევსკისას.

გვ. 194,10-11. „ოთარის ცოლიდამ მოკიდებული“ – ოთარ ქობულაშვილი და მისი ცოლი ბარბარე გრიგოლის ახლობლები არ ყოფილან, მაგრამ მის წერილებში ხშირად არიან ნახსენები, რადგან წლების განმავლობაში ჰქონდა მათი ვალი და ნელ-ნელა ისტუმრებდა.

გვ. 194,11. „ჩვენს ნელ-ნაზ თამარამდის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ თამარ იაკობის ასულ ორბელიან-სანკოვსკისაზე.

გვ. 194,12. „ჩვენი ბაბაღე, ვლადიკავკაზის კრასავიცა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისაზე, რომელიც გათხოვების შემდეგ ცხოვრობდა ვლადიკავკაზში.

გვ. 194,13-14. „სოფიებიცა, ტასოებიცა“ – გრიგოლის ახლობელთა წრეში რამდენიმე სოფიო იყო: გრიგოლის ბიძაშვილი სოფიო იაკობის ასული ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა, ბიძაშვილიშვილი სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა, გრიგოლის ყოფილი დანიშნული სოფიო ყაფლანის (ივანეს) ასული ორბელიანი-ბეზაკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი სოფიო ჭავჭავაძე-ნიკოლაისა და გრიგოლის ბიძაშვილის, ეკატერინე ასლანის ასული ორბელიანის, ქალიშვილი სოფიო, რომელიც სწორედ 1855 წელს გაჰყვა ცოლად გრიგოლის ნათესავს – ივანე დავითის ძე ორბელიანს. ანასტასია/ტასიკო ორბელიანის ახლობლობაში ორი იყო: ბიძაშვილიშვილი ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობჟიოსი და მანანა ერისთავი-

ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა.

გვ. 194,14. „მაგრამ ერთის გარდა“ – ამ ერთში ვის გულისხმობს, ძნელი სათქმელია.

გვ. 195,8. „მშვიდობიანად მისულან პეტერბურღში“ – შამილის მეომართა მიერ წინანდლიდან ტყვედ აყვანილი ქალბატონები და ბავშვები მათი განთავისუფლების შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრე II-მ პეტერბურღში მიიწვია.

გვ. 195,9-10. „სევასტოპოლის სიახლოეს მომხდარა დიახ დიდი ომი“ – სავარაუდოდ, გრიგოლი გულისხმობს 1855 წლის 4 აგვისტოს ბრძოლას, რომლის შედეგადაც რუსებმა დიდი დანაკარგი განიცადეს და უკან დაიხიეს.

გვ. 195,11-12. „კნიაზ დიმიტრი მირსკი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც ამ დროს ყირიმში იბრძოდა და დაიჭრა, მაგრამ გადარჩა და ბრძოლას აგრძელებდა.

გვ. 195,16-17. „ჩემი საკუთარი ძალუა ელისაბედ“ – იგულისხმება ადრესატის დედა, გრიგოლის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასული ავალიშვილი.

გვ. 195,17-18. „ჩემი საყუარელი ალექსანდრე“ – საუბარია ადრესატის ქმარზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 195,24. „ნინიკა ბიჭი ავათ გამიხდა“ – საუბარია გრიგოლის მსახურზე – ნინიკა ბაქრაძეზე.

გვ. 195,24. „ეგრეთვე პეტრეცა“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლთან მომსახურე პეტრე კოპიაშვილზე.

გვ. 195,25. „ზაქარია ჭავჭავაძე მოვიდა“ – საუბარია ზაქარია გულბაათის (პანტელეიმონის) ძე ჭავჭავაძეზე, რომელიც ყირიმის ომში მონაწილეობდა და 1855 წელს მიანიჭეს პოდპოლკოვნიკის წოდება.

გვ. 195,25. „იასონს გამოეგზავნა“ – საუბარია ზაქარიას ბიძაზე – რუსეთის არმიის გენერალ-მაიორ იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძეზე, რომელიც 1854 წლის 24 ივლისს ქურუქ-დარის ბრძოლაში, ზარიფ-მუსტაფა-ფაშას ჯარებთან შეტაკებისას დაიჭრა და, როგორც ჩანს, თავისი ძმისწული ზაქარია გაგზავნა თავისი პოლკის გადასაბარებლად.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №20 (381) (გვ. 196-197)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №545/№26, გვ.: 29r-v.

თარიღი და ადგილი: „22 აგვისტოს 1855 ქუთაისით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გვერდებმოცვეთილი, დიდი ფაქტურის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,4X26,7 სმ; გადაკეცილისა: 26,7X21,2 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაუღენთილია ფურცელში.

ადრესატის მისამართი: დიმიტრი ჯორჯაძისადმი გაგზავნილი წინა წერილებიდან და აგრეთვე 25 აგვისტოს გაგზავნილი წერილიდან ვიცით, რომ ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში. წინამდებარე ბარათიც, სავარაუდოდ, თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. ღვთით; 3-4. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 129-130.

გვ. 196,7. „პანჩენკოს მონერილობის ვიპისკა“ – საუბარია ტაბასარანის მაზრის უფროს კირილე პანფილის ძე პანჩენკოზე, მაგრამ რა მონერილობის ამონაწერი იგულისხმება, უცნობია.

გვ. 196,9. „ან ჰუსუფბეგისაგან, ან ლუბერნატორისაგან“ – საუბარია ქურის სახანოს მმართველ იუსუფ-ბეგზე და დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 196,13-14. „ტაირჰაჯი და შიხმაჰმადი“ – ტაჰირ-ჰაჯი (Тагир-хаджи) იყო ჯამალუდინ ყაზიყუმუხელის მონაფე, შამილის თანამებრძოლი მუსლიმანი ღვთისმეტყველი, შიხმაჰმადი კი – ასევე მუსლიმანი ღვთისმსახური ნახჭევანის რაიონის სოფელ ხანაგიდან, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა.

გვ. 196,24. „შამილა არის ჯერ ისევ ავარიში“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 197,7-8. „ალალარბეგს ნიგნი მოვანერინე ლაზარევთან შერიგებისათვის“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალალარ ბეგსა და ივანე დავითის ძე ლაზარევზე, რომელიც 1854-1859 წლებში იყო მეხთულის სახანოს მმართველი.

გვ. 197,13. „გავგზავნე გებექა“ – დამატებითი ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ არ მოგვეპოვება.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №21 (382) (გვ. 198-199)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №546/№26, გვ.: 24r-v, 25r-v.

თარიღი და ადგილი: „25 აგვისტოს. 1855 ქუთიშით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, სქელი ფაქტურის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა:

39,6X31,2 სმ; გადაკეცილისა: 31,2X20X19,7 სმ; შესრულებულია შავი მელნით; IV გვერდზე მისამართი წერია; აქვე არის დიდი, წითელი ფერის ლუქის ნარჩენი.

ადრესატის მისამართი: „Его Сиятельству, Князю Дмитрию Давидовичу Джорджадзе В Шуру“

შენიშვნები: 1. ასეა ხელნაწერში; 2. სიტყვა „ციხესთან“ ავტორს ფრჩხილებში პატარა ერთიანი აქვს ჩასმული და ქვემოთ, სქოლიოში, შენიშვნის სახით მიწერილი აქვს: „რომელიც შემდეგ ძალადობით დააქციეს ნუდახარელთა“; 3. „კოლოფი ოთხისავე მხრით“ სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ, „კოლოფთან“ შენიშვნის ნიშანია გაკეთებული და სქოლიოში განმარტებაა: „კიკო დეკანოზის ლოლიკა“; 4-5. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 133-134.

გვ. 198,1-2. „შარიათი ნუდახარისა და ყაზიყუმუხის სოფლისა“ – იგულისხმება ნუდახარსა და ყაზიყუმუხს შორის არსებული დავის მუსლიმანთა რელიგიური კოდექსის საფუძველზე გარიგება.

გვ. 198,3. ალაღარმა ააშენებინა“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 198,6. „ბუდუნებისა და ჰაჯი აბდულლას ჰაზრები“ – ბუდუნებს უწოდებენ მეჩეთის მსახურებს, რომლებიც სალოცავად მოუწოდებენ მუსლიმანებს, ქურის ოლქის სოფელ ალკადარის მკვიდრი ჰაჯი აბდულა ეფენდი კი იყო მუსლიმანი სწავლული.

გვ. 198,7. „ჰაზრი ალაღარის ყადიასი“ – იგულისხმება ალაღარბეგის სამფლობელოს, ყაზიყუმუხის, ყადი – რელიგიური მსაჯული.

გვ. 199,4. „რეადიც მიუნვენიათ“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ანდრიას ძე რეადზე, რომელიც სევასტოპოლის მი-

სადგომებთან დაიღუპა 1855 წლის 4 აგვისტოს ბრძოლის დროს (საარტილერიო ცეცხლმა თავი მოსწყვიტა).

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №22 (383) (გვ. 199-201)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №547/№26, გვ.: 26r-v, 27r-v.

თარიღი და ადგილი: „27 აგვისტოს 1855“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,7X21,2 სმ; გადაკეცილისა: 21,2X13,3 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაუღენთილია გვერდებში; ფურცელს აქვს სისველის ლაქები.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა თემირხანშურაში: „თუ არა იქმნა რა საშიში რამე, ჩამოვალ შურაში ნელნელა ჯარების უკან დანევით.“

შენიშვნები: 1. ამ სიტყვის შემდეგ, ცოტა ზემოთ, ავტორს ფრჩხილებში პატარა ერთიანი აქვს ჩასმული და ქვემოთ, სქოლიოში, შენიშვნის სახით მინერილი აქვს: „ძველებურის წერილებიდან“; 2. სიტყვები: „შენის ხილვის მსგავსად ვისიამოვნე“ – ხაზგასმულია ავტორის მიერ და 1r გვერდის ბოლოს ავტორისავე ხელით შენიშვნა აქვს მინერილი: „ძველებურის წერილებიდან“; 3. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ავტორს ბრჭყალები აღარა აქვს დახურული; 5. ხელნაწერში „აღქეთნს“ წერია; 6-7. სიტყვები ჩამატებულია ავტორის მიერ; 8. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და

შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 134-135.

გვ. 199,21-22. „გაჰყევ ვოლკოვსა“ – საუბარია დალესტნის საბრძოლო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 199,22. „მიმოიარე ჩირიურთი“ – საუბარია ჩეჩნეთის სოფელზე.

გვ. 199,22; 200,1. „მომიკითხე ზაქარია ჭავჭავაძე“ – საუბარია ზაქარია გულბაათის (პანტელეიმონის) ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 200,17. „ოლლსა და აღქენტს შუა“ – საუბარია დალესტნის სოფლებზე.

გვ. 200,17-18. „ჯანაქაიზედ დრომდის“ – ჯანაკაი იყო ნოღაელებით დასახლებული სოფელი დალესტანში.

გვ. 200,19. „ამოვა ნოსდაღზედ“ – საუბარია დალესტნის მთაზე.

გვ. 200,20. „მოვა დიშლარში“ – საუბარია დიშლაჰარის (Дишлагар) ბუნებრივ საზღვარზე.

ლევან მელიქიშვილისადმი №1 (384) (გვ. 201-203)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №113/№28, გვ.: 1r-v, 2r-v.

თარიღი და ადგილი: „28^ს აგვისტოს 1855. ოღლით.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ლევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღლი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,6X27 სმ; გადაკეცილისა: 21,3X27

სმ; შესრულებულია შავი მელნით; ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტიდან ჩანს, რომ ადრესატი იმყოფებოდა ზაქათალაში: „შენ მანდა გწუავს ზაქათალის მზე, მე აქა სიცივით ვიყინები.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. ღვთით; 4. ღმერთმან; 5. ღმერთი; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ამ ადგილას გრიგოლს უცენზურო სიტყვა უნერია, რომელიც გადახაზულია და ზემოდან სხვისი ხელით ფანქრით აქვს მიწერილი „ჩა...მულს“; 8. ღმერთი; 9. ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 135-136.

წერილის ადრესატია გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანის, ყოფილი საქმრო და გრიგოლის დისწულის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ახლო მეგობარი – რუსეთის იმპერიის არმიის გენერალი ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი.

გვ. 201,9-10. „შამილას მასლაათი“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამზე.

გვ. 201,23-24. „ოჯარში ყოფნა“ – იგულისხმება ცხვრის მწყემსვა.

გვ. 202,2-3. „ნასულა კარატას“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 202,5. **ველმწიფისაგან, რომელიცა ღმერთმან ადღევრძელოს** – საუბარია რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე.

გვ. 202,6-7. **„ჩვენის ტყვეებისა ისე მოწყალებით მიღება“** – შამილის მეომართა მიერ წინანდლიდან ტყვედ აყვანილი ქალბატონები და ბავშვები მათი განთავისუფლების შემდეგ

იმპერატორმა ალექსანდრე II-მ პეტერბურგში მიიწვია და პატივით მიიღო.

გვ. 202,10-11. „ტაბასარანში თაირჰაჯი, გაქცეული გუბდენილამ ყადია“ – ტაჰირ-ჰაჯი (Тагир-хаджи) იყო ჯამალუდინ ყაზიყუმუხელის მოწაფე, შამილის თანამებრძოლი მუსლიმანი ღვთისმეტყველი.

გვ. 202,15-16. „ღუბერნატორს არ შეუძლიან თორმეტის კაცის გარეკა“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე, რომლის გამგებლობაშიც დერბენდთან ახლოს მდებარე სოფელი ტაბასარანიც შედიოდა.

გვ. 202,18. „გრიგოლ მუხრანბატონის“ – საუბარია გენერალ-მაიორ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე.

გვ. 202,24-25. „ამტეხია ტაბასარანი, ეს მეორედ წლეულსა“ – 1855 წლის პირველი აჯანყება ტაბასარანში მაისში დაიწყო, რომლის ჩაქრობაც გრიგოლის მიერ გაგზავნილმა რაზმმა მინკვიცის მეთაურობით, მოლაპარაკების გზით შეძლო.

გვ. 203,3. „შენი და და პატარა ცოლი“ – ლევან ივანეს ძე მელიქიშვილის საგვარეულო ნუსხაში მისი და არ წერია, მაგრამ, შესაძლოა, მისი და იყო ანა (ნინო) ივანეს ასული მელიქიშვილი, რომელიც 1836 წელს ცოლად გაჰყვა იასე შანშეს ძე ერისთავს. ლევანის მეუღლე იყო ალექსანდრა ორბელიანი.

გვ. 203,6. „ალექსანდრე თუმანოვსა ჰსცხუნეიან“ – სავარაუდოდ, საუბარია თბილისის ეგერთა პოლკის მეთაურ ალექსანდრე გიორგის ძე თუმანიშვილზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №334/№20, გვ.: 106r-v.

თარიღი და ადგილი: „2^ს სექტემ: 1855. შურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, საშუალო სისქის, მოცისფრო ქალაღი; ზომა: 20,7X14 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.139.

გვ. 203,10-11. „ბაბაღეს გათხოებისათჳს“ – საუბარია გრიგოლის დის, ეფემიას, ქალიშვილ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 203,11. „აფიცარსა, რომელიცა თხოულობს“ – ოფიცრის გვარი უცნობია.

გვ. 203,12-13. „ბაბაღესა და ალექსეი პეტროვიჩსა უნდა დაეკითხოთ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიანსა და მის მეუღლეზე – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გვ. 203,25-26. „სოსიკო კამენდანტიც თან დაისწარი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 204,1. „გელმნიფე იმპერატორსა და ორთავე იმპერატორიცებსა“ – საუბარია იმპერატორ ალექსანდრე II-ზე, მის დედაზე – იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ქვრივ ალექსანდრა თეოდორეს ასულსა და მეუღლეზე – მარია ალექსანდრეს ასულზე.

გვ. 204,2. „მონყალებით მიუღიათ ჩვენი ქალები“ – საუბარია შამილის მეომრების მიერ წინანდლიდან ტყვედ წაყვანილ ქალებზე.

გვ. 204,3. ვარინკა და ნინუცა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და დისწულ ნინო მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 204,5. „იაკინთე და სარდიონ სოფიოთი მომიკითხე“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ ალექსიმესხიშვილებსა და, სავარაუდოდ, სარდიონის მეუღლეზე.

კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №7 (386) (გვ. 204-206)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №93/Hd – 6992, გვ.: 1r-v (ავტორიზებული).

თარიღი და ადგილი: „23 სექტემბერს 1855 წელსა. თემირხანშურიდამ.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო გულით საყვარელო ძმაო კონსტანტინე“

ავტოგრაფის აღწერილობა: წერილი დიმიტრი ჯორჯაძის ხელითაა ნაწერი, ხელმოწერა კი ეკუთვნის გრიგოლ ორბელიანს; გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 42,3X26,5 სმ; გადაკეცილისა: 21,4X26,5 სმ; ხელნაწერი ორი ფურცლისგან შედგება, მაგრამ წერილი მხოლოდ ერთ ფურცელზეა განთავსებული; შესრულებულია ბაცი შავი მელნით;

ხელნაწერი დალაქავებულია; ბოლოში ორივე ფურცელი შუა ადგილას მაკრატლითაა შემოჭრილი.

ადრესატის მისამართი: წერილის ადრესატი კონსტანტინე თარხნიშვილი იმ დროისათვის ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლის თანამდებობაზე მუშაობდა და ბარათიც, შესაბამისად, იქ უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ხელნაწერში „ჩემითვის“ წერია; 2. ღმერთმა; 3. ხელნაწერში „შენი ბედნიერების“ ერთად წერია; 4. ხელმონერა გრიგოლს ეკუთვნის.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 139-141.

გვ. 204,24. „ლევანის მხარეს გაითარეშა“ – საუბარია ლევან ივანეს ძე მელიქიშვილზე და კასპიისპირა მხარეზე.

გვ. 204,24. „შამილის შვილმა“ – საეარაუდოდ, საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის ვაჟზე – ყაზი მუჰამედზე.

გვ. 204,25. „მუხახელები ასე დახვედროდნენ“ – საუბარია ზაქათალის რაიონის სოფელზე.

გვ. 205,1-2. „სევასტოპოლის ჩვენგან თავისდანებების ამბავზედ“ – იგულისხმება ის, რომ სევასტოპოლთან რუსეთის მარცხის გამო შამილს შეიძლებოდა საბრძოლო გეგმები შეეცვალა.

გვ. 205,5. „რუსეთიდან მოსული იმის შვილი“ – საუბარია ჯამალ-ედ-დინზე, რომელიც შამილმა ქართველ ტყვეებში გაუცვალა რუსეთის იმპერატორს. როგორც ჩანს, რუსი პოლიტიკოსები საფუძვლიანად მუშაობდნენ, რომ იგი თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

გვ. 205,15. „იმზომიერებას რომელიცა მიიღო ღორჩაკოვმა“ – საუბარია გენერალ მიხეილ დიმიტრის ძე გორჩაკოვზე, რომელიც სარდლობდა რუსეთის არმიას სევასტოპოლის დაცვის დროს.

გვ. 205,18. „რეადის სიკვდილი დიდათ მენყინა“ – საუბარია გენერალ ნიკოლოზ ანდრიას ძე რეაღზე.

გვ. 205,19. „დიმიტრი მირსკისაც ველარა შევიტყერა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც ამ დროს ყირიმში იბრძოდა და დაიჭრა. გრიგოლმა არ იცოდა, რომ ის გადარჩა და ბრძოლას აგრძელებდა.

გვ. 205,21. „საცოდავი ცოლშვილი დარჩება“ – დიმიტრი მირსკისა და მის ცოლს ორი, ან სამი შვილი ჰყავდათ: 1852 წელს დაბადებული ნინო, 1853 წელს დაბადებული მარიამი და, სავარაუდოდ, 1855 წელს დაბადებული ოლღა.

გვ. 205,28. „გიგზავნი [მ]თავარ[მარ]თებლის პრიკაზებს“ – უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 205,29; 206,1. „ყარსის ალების ამბავი“ – ყარსის ბლოკადა რუსეთს უკვე 1855 წლის პირველ აგვისტოს ჰქონდა დაწყებული, მაგრამ მისი ალება მოხერხდა 16 ნოემბერს.

გვ. 206,1. „შენი ძმა იოსებ და ალექსანდრე მარშალი“ – საუბარია გრიგოლის ნათესავის, ბარბარე მამუკას ასული ორბელიანის, ქმარზე – იოსებ დავითის ძე თარხნიშვილსა და გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლ ალექსანდრე შანშეს ძე ერისთავზე.

გვ. 206,3. „დიმიტრი ჯორჯაძე მდაბლათ თავს გიკრავთ“ – საუბარია გრიგოლისადმი დაქვემდებარებული დაღესტნის ოლქის კანცელარიის უფროს დიმიტრი დავითის ძე ჯორჯაძეზე.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7502 (ძველი №174), გვ.: 93v, 94r-v, 95r.

თარიღი და ადგილი: „Т: X: Шура. 10^м Окт. 1855.“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „К: Воронцову.“ / „После письма моего к Вашей Светлости“

ავტოგრაფის აღწერილობა: საშუალო სისქის, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 34,5X21,3 სმ; შესრულებულია მუქი ყავისფერი მელნით; ტექსტი ნასწორებია; აქვს დამლა.

ადრესატის მისამართი: წერილში არ ჩანს ადრესატის ადგილსამყოფელი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

გვ. 206,8-9. „Огромные приготовления Шампиля“ – საუბარია ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის საომარ სამზადისზე.

გვ. 206,14. „под командою Генер[ала] Манюкина“ – საუბარია დერბენდის სამხედრო გუბერნატორ ზაქარია სტეფანეს ძე მანიუკინ-ნეუსტრუევზე.

გვ. 206,18. „под командою Генерала Агалар бека“ – საუბარია ყაზიყუმუხის უკანასკნელ ხან ალაღარ ბეგზე.

გვ. 206,20-21. „с Полковником Ракусы на Кутишинских высотах“ – საუბარია პოლკოვნიკ ნიკოლოზ ბიკენტის ძე რაკუსაზე (იგივე რაკუზა. იხ წიგნში «История 83-го пехотного Самурского... полка», Петровск, 1892).

გვ. 206,22. „с Полковн[иком] Астаховым на Аркасе“ – სავარაუდოდ, საუბარია ყიზლარის ცხენოსანთა პოლკის ასეულის მეთაურ გაბრიელ ალექსეის ძე ასტახოვზე და თემირხანშურის სოფელ არკასზე.

გვ. 207,2. „Генерал Вревский имел“ – საუბარია იმ დროს კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსზე, გენერალ იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრევსკიზე.

გვ. 207,3. „на Шаликские поля“ – შალი იყო ჩეჩნური სოფლის და მისი მიმდებარე რეგიონის საერთო სახელი.

გვ. 207,7. „пройсками Мамед Эмнина“ – სავარაუდოდ, საუბარია ოსმალეთის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწე მესხმედ ემინ ფუად ფაშაზე.

გვ. 207,8-9. „действиями Генерала Козловскаго“ – საუბარია კავკასიის შავიზღვისპირა ხაზის ჯარების სარდალზე, გენერალ ბიკენტი მიხეილის ძე კოზლოვსკიზე.

გვ. 207,18. „говорят теперь о пнглисах, франках и немса“ – ინგლისი და საფრანგეთი რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ ყირიმის ომში და იყო საშიშროება მათთან ავსტრიისა და პრუსიის შეერთებისა (გერმანულენოვანი ქვეყნები იყო).

გვ. 207,20-21. „в силе Турецкаго Султана“ – სავარაუდოდ, საუბარია ოსმალეთის სულთან აბდულ-მეჯიდ I-ზე.

გვ. 207,21-22. „могущество Русскаго Императора“ – 1855 წლის 18 თებერვლიდან რუსეთის იმპერატორი უკვე იყო ალექსანდრე II.

გვ. 207,23-24. „Сын Шамиля Джамал Эддин женился на дочери Найба Талгика“ – საუბარია შამილის უფროს ვაჟ ჯამალ-ედ-დინზე, რომელიც რუსებს ჰყავდათ მძევლად და 1854 წლის ბოლოს დაუბრუნეს. ისტორიულ წყაროებში მისი ცოლის სახელს ვერ მივაგენით, მხატვრულ ლიტერატურაში კი იგი მოიხსენიება ზიულმად. ამ ქალის მამა – ტალგიკი – იყო ჩეჩნეთის, შალის ოლქის, ნაიბი. 1859 წელს, როდესაც მისი სიძე უკვე გარდაცვლილი იყო, რუსების მხარეს გადავიდა.

გვ. 207,27. „Шамхал недавно лишился жены“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის ცოლ სულთანათ-ბიქეზე.

გვ. 207,28-29. „**вновь женился на дочери Гиллинскаго Бека**“ – საუბარია ყუმბიური სოფლის, გილის, წარჩინებული პირის ქალიშვილზე, რომლის სახელიც უცნობია.

გვ. 207,30-31. „**Молодые сыновья Ханши Мехтулинской Ибраим Хан и Решид Хан**“ – საუბარია მეხ-თულის მმართველ ნუხბიქეზე (მართავდა 1843-1855 წლებში) და მის ვაჟებზე. იბრაიმხანი სახანოს სათავეში ედგა 1855-1859 წლებში, რაშიდ-ხანი კი – 1859-1867 წლებში.

გვ. 208,2-3. „**К[визязь] Дундуков, принявший уже Драгун[ский] полк от К[визязь] Чавчавадзе**“ – საუბარია მე-17 დრაგუნთა პოლკზე, მის მეთაურზე 1855-1858 წლებში ალექსანდრე მიხეილის ძე დონდუკოვ-კორსაკოვზე და ამავე პოლკის ადრინდელ მეთაურზე (1849-1855) – იასონ იოანეს ძე ჭავჭავაძეზე.

გვ. 208,3. „**который, к сожалению, теперь без места**“ – 1855 წლის ივნისში იასონ ჭავჭავაძე დაიჭრა და ირიცხებოდა კავალერიის სათადარიგო რაზმში, 1856 წლის 6 მაისს კი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან.

გვ. 208,9-10. „**по плаву К[визязь] Гагарина**“ – საუბარია გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინზე. მისი არქიტექტურული ნაბაზის მიხედვით, იმ დროს შენდებოდა თემირხანშურის წმინდა ანდრიას სახელობის სამხედრო ტაძარი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1853 წელს.

გვ. 208,13. **153 тысячи пудов марены**“ – საუბარია მცენარე ენდროზე, რომელსაც საღებავად იყენებდნენ.

გვ. 208,21-22. „**Графиня Шуазель, которой приношу моё глубокое уважение**“ – საუბარია ადრესატის ნათესავ ბარბარე გრიგოლის ასულ გოლიცინ-შუაზელ-გოფიეზე.

გვ. 208,24. „**ненавистных Бусурман**“ – ბუსურმანებს უწოდებდნენ არამართლმადიდებლებს. სავარაუდოდ, სიტყვა მუსლიმანის ტრანსფორმირებული ფორმაა.

გვ. 208,28. „Светлейшую Княгиню“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ელისაბედ ქსავერის ასულ ბრანიცკაია-ვორონცოვისაზე.

გვ. 208,30-31. „образами Св. Михайла, Елисаветы, Варвары, Семёна и Маріи“ – ამ წმინდანებზე გრიგოლი ყურადღებას ამახვილებს, როგორც მიხეილ ვორონცოვის ოჯახის წევრების მფარველებზე. მიხეილი თავად გრაფის სახელი იყო, მეუღლეს ელისაბედი ერქვა, ბარბარე – მის ნათესავ გრაფინია შუაზელს, სიმონი – ვაჟს, მარია კი – მის მეუღლეს (მარიამ ვასილის ასულ ტრუბეცკოისთან ის დაქორწინდა 1851 წელს).

გვ. 209,1. „Где теперь Князь Семён Михайлович?“ – ადრესატის ვაჟი სიმონ მიხეილის ძე ვორონცოვი იმ დროს ყირიმის ომში მონაწილეობდა და სევასტოპოლთან იბრძოდა.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №9 (388) (გვ. 212-213)

ავტოგრაფი: С: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №441/№24, გვ.: 36r-v, 37r.

თარიღი და ადგილი: „14 ოქტომ: 1855. შურიტ.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „რად დამივიწყე ასე უწყალოდ, ჩემო ბაბაღე, ჩემო საკუთარო დაო?“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, მოყვითალო ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 24,2X18,5 სმ; გადაკეცილისა: 18,5X12,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; ხელნაწერი გადაკეცვის ადგილას ქვემოდან შუამდე გახეულია.

ადრესატის მისამართი: ტექსტში არ ჩანს, წერილი თბილისშია გაგზავნილი, თუ კოდაში, მაგრამ ქეთევან ორბელიანისადმი გაგზავნილ №76-ე უთარილო წერილში, რომელიც იმავე დღესვე (14 ოქტომბერს) უნდა იყოს დანერილი, ვკითხულობთ: „ეს არ ვიცი რა მადანი გიპოვნიათ კოდაზედ, რომ

კვირაში ერთხელ უნდა ახვიდეთ? პური არ მოგსვლიათ, ღვინო არ მოგსვლიათ! და თუ გინდ მოგსლოდათ, სამოცს კოდზე ხომ გეუა მეტს არ მოიყვანს, და ესოდენი თქუენი გაჭენ-გამოჭენება ჰლირს იმად?" რამდენადაც გრიგოლის წერილებიდან ვიცით, რომ ბაბალებს ხშირად იმყოფებოდა კოდაში, საფიქრებელია, რომ ზმნა „გაჭენ-გამოჭენება“ ქეთევანთან ერთად ბაბალებსაც მიემართებოდა და ამ პერიოდში კოდაში ბაბალებს ყოფილიყო. ნათქვამის გათვალისწინებით, წერილი, სავარაუდოდ, კოდაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ხელნაწერში ორი „ს“ წერია; 3. ღმერთო; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 141.

გვ. 212,2. „გენაცვალოს ყველა ბაბალები“ – გრიგოლ ორბელიანი თავის წერილებში, ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანი-საგინაშვილის გარდა, თავისი სანათესაო წრიდან ახსენებს ხოლმე რამდენიმე ბარბარეს: თავისი ძმის, ილიას, მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისას, თავის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილს, თავისი ბიძაშვილის, მათა (მარია) თამაზის ასული ორბელიანის, ქალიშვილ ბარბარე გიორგის ასულ თუმანიშვილ-ანდრეევსკისას და თავის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასულ ორბელიან-ოპოჩინინისას.

გვ. 212,3. „ტასოები კიდევ იმ ერთის გარდა“ – ახლობლობაში ორი ანასტასია იყო: ბიძაშვილიშვილი ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი და მანანა ერისთავი-ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა.

გვ. 212,9. „აბრამამ დიდი ხანია ჰსთქუა“ – საუბარია გრიგოლის ყმაზე.

გვ. 212,11. „გუშინ ვარინკას წერილი მომივიდა“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, მეუღლეზე – ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 212,15. „დავით ხომ თავის დღეში არას მოიწერება“ – საუბარია დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძეზე, რომლის მეუღლე ანაც იყო გრიგოლის რძლის, ბარბარეს, და.

გვ. 212,17. „ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარზში“ – საუბარია პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, შვილიშვილზე, რომელიც 17 სექტემბერს ყარსის იერიშის დროს 19 წლის ასაკში დაიღუპა.

გვ. 212,19-20. „სიკუდილი ქმრისა, შვილისა, მამისა, ძმისა და თავის თავის დატყვევება“ – ბარბარეს ქმარი – ილია ორბელიანი – დაეღუპა 1853 წლის 8 დეკემბერს. იმავე წელს დაეღუპა ახალშეძენილი ტყუპი ვაჟიდან ერთ-ერთი, 1854 წლის 18 ივლისს – მამა ილია გიორგის ძე ბაგრატიონი, თავად კი 1854 წლის 4 ივლისიდან 1855 წლის 10 მარტამდე შამილის ტყვეობაში იყო თავის ახლობლებთან ერთად.

გვ. 212,24-25. „ძალუას ელისაბედს სიყუარულით მოვიკითხავ“ – საუბარია ადრესატის დედაზე – ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბელიანისაზე.

გვ. 212,25. „ალექსანდრეს შუბლში ვაკოცებ“ – საუბარია ადრესატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 212,28-29. „დიმიტრი მირსკი მორჩენილა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილის, სოფიო იაკობის ასული ორბელიანის, ქმარზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც ყირიმის ომში დაიჭრა.

ავტოგრაფი: A: ფონდი 5, აღწერა 1, საქმე №7516 (ძველი №173), გვ.: 128r-v, 129r.

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“
ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 18,6X11,8 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტის შინაარსიდან ირკვევა, რომ წერილი გაგზავნილია კოდაში: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან! ეს არ ვიცი რა მადანი გიპოვნიათ კოდაზედ, რომ კვირაში ერთხელ უნდა ახვიდეთ?“

შენიშვნები: 1. ღმერთმან.

პირველი პუბლიკაცია: წინამდებარე გამოცემა.

დათარიღება: წინამდებარე წერილში და 1855 წლის 14 ოქტომბერს ბაბაღე საგინაშვილისადმი მიწერილ ბარათში ნახსენებია გრიგოლის რძლის, ვარინკას, წერილი და ნათქვამია, რომ ის წინა დღეს მიიღო. შდრ. „გუშინ ვარინკას წერილი მომივიდა; მწერს, რომ ნ^ა ოკდომ: მოსკოვიდამ გამოვალთო... ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარზში...“ / „ვარინკას წერილი მომივიდა გუშინ; მწერს რომ ნ^ა ოკდომბ: გამოვალთ მოსკოვიდამაო... ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარსში.“ შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ქეთევანისადმი მიწერილი ეს ბარათიც 1855 წლის 14 ოქტომბერს არის დაწერილი.

გვ. 213,7-8. „გეუა მეტს არ მოიყვანს“ – საუბარია გრიგოლის მოურავ გეუა ოჰანაშვილზე და მინიშნებულია ან გეუას სიზარმაცეზე, ან მოსავლის რეალური რაოდენობის დამალვაზე.

გვ. 213,9. „ვარინკას წერილი მომივიდა გუშინ“ – საუბარია გრიგოლის რძალ ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე.

გვ. 213,15. „ვარინკას ძმა მოუკლამთ ყარსში“ – საუბარია პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის, შვილიშვილზე, რომელიც 17 სექტემბერს ყარსის იერიშის დროს 19 წლის ასაკში დაიღუპა.

გვ. 213,16. „იობის ღალადისია“ – ახალგაზრდა ყმანვილის გლოვას ორბელიანი ადარებს ბიბლიური იობის ტრაგედიასა და გოდებას.

გვ. 213,17. „მოსკოვში მაინც შეიტყონ“ – იმ დროს შამილის ტყვეობიდან განთავისუფლებული ბარბარე და მისი და მოსკოვში იმყოფებოდნენ

გვ. 213,19. „ჩემი ყაფლან სად არის“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 213,22-23. „დიმიტრი მირსკის კარგად ყოფნა“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ სოფიო იაკობის ასული ორბელიანის მეუღლეზე – დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკიზე, რომელიც იმ წელს ოდესის ეგერთა პოლკის ბატალიონის მეთაურად დანიშნეს.

გვ. 213,24. „ძალუა ნინა ქალებ-სიძეებით, შვილ-შვილებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, ცოლზე – ნინო მაცაშვილ-ორბელიანისაზე და ქალიშვილებზე: თამარ ორბელიან-სანკოვსკისაზე, ბარბარე ორბელიან-ოპოჩინინისაზე, ეკატერინე ორბელიან-ივანოვისაზე, სოფიო ორბელიან-სვიატოპოლკ-მირსკისაზე და მათ ოჯახებზე.

გვ. 214,3. „ძალიან აქებს სანდროსა“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე, რომელიც პეტერბურგში სწავლობდა.

გვ. 214,5. „ტასიკოს უთხარით, რომ პორტრეტი გამომიგზავნოს“ – ანასტასია/ტასიკო ორბელიანის ახლობლობაში ორი იყო: ბიძაშვილიშვილი ანასტასია კონსტანტინეს ასული ორბელიანი-ოკლობუიოსი და მანანა ერისთავი-ორბელიანის ქალიშვილი ანასტასია დავითის ასული ორბელიანი-გაგარინისა. ძნელი სათქმელია, აქ რომელი იგულისხმება.

გვ. 214,7. „ბაბალე ჩამიკოცნეთ“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

გვ. 214,10-11. „იაკინთეს სიყუარულით მოვიკითხავ, ეგრეთუე სარდიონს სოფითურთ“ – საუბარია გრიგოლის რძლის, ქეთევანის, ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებსა და სარდიონის მეუღლე სოფიოზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №23 (390) (გვ. 214-216)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №548/№26, გვ.: 28r-v, 29r-v, 30r-v, 31r.

თარიღი და ადგილი: „25 ოქდომ: 1855. დერბენდით.“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 24X18,5 სმ; გადაკეცილისა: 18,5X12 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ საკმოდ მუქია; ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიწერილი წერილებიდან ვიცით, რომ იგი მსახურობდა თემირხანშურაში. მართალია, წინამდებარე ბარათში მისამართი არ არის გამოკვეთილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ისიც თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. აქ „გ“ კარგად არ ჩანდა და შავი მელნით არის გამოკვეთილი; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4-5. ვითარცა; 6. ასეა ხელნაწერში; 7. ვითარცა; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; ბრჭყალები ხელნაწერში დახურული არ არის; 9. ამ ადგილას ჯერ სხვა სიტყვა დაუნერია და შემდეგ გადაუკეთებია;

10-11. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 12. სტრიქონები: „სხუა, ვეშურები... დერბენდით“ (რომლებიც 30v გვერდზე წერია) ფანქრით არის გადახაზული; 13. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 14. 31r გვერდზე ავტორს შავი მელნით მიუწერია ეს სიტყვები და შემდეგ ფანქრით გადაუხაზავს.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერულიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 142-143.

გვ. 214,14. „გუმართებდა მე და ლუბერნატორსა“ – საუბარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 215,9-10. „1837^ლ წლის განმეორებას ყუბაში“ – საუბარია 1837 წლის ყუბის აჯანყებაზე.

გვ. 215,11-12. „რომელთაცა ჰშვრება ერისთავი“ – საუბარია ყუბის მაზრის უფროს გრიგოლ რომანის ძე ერისთავზე.

გვ. 215,18. „მთავარმართებელი აძლევდა ყარაბაღსა“ – რამდენადაც გრიგოლ ერისთავს ყუბის ხანად გრიგოლი ჯერ კიდევ 1853 წლიდან ახსენებს, სავარაუდოდ, აქ მეფისნაცვალის მიხეილ ვორონცოვი იგულისხმება.

გვ. 215,20-21. „რალასაც ჩილაევის სიტყუებსა“ – საუბარი უნდა იყოს 1850-1857 წლებში შემახიის სამხედრო გუბერნატორ სერგი გაბრიელის ძე ქილაშვილზე.

გვ. 215,30-31. „მთავარმართებელს პირდაპირ მიართვა“ – უნდა იგულისხმებოდეს კავკასიის მეფისნაცვლად 1854 წლის 9 ნოემბერს დანიშნული ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 216,12. „მივდივარ მარალას“ – საუბარია ყარაბაღის სოფელზე.

გვ. 216,12. „სოსიკო მწერს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 216,15-16. „გთხოვ ვოლკოვს შეატყობინო“ – საუბარია დალესტინის საბრძოლო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №24 (391) (გვ. 217-218)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №549/№26, გვ.: 32r-v, 33r-v.

თარიღი და ადგილი: „31 ოკდომ: ტაბასარანის სოფელი ხანაგ. 1855.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო დიმიტრი“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 24,2X18,6 სმ; გადაკეცილისა: 18,6X12,1 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიწერილი წერილებიდან ვიცით, რომ იგი მსახურობდა თემირხანშურაში. მართალია, წინამდებარე ბარათში მისამართი არ არის გამოკვეთილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ისიც თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. წერილის გაგზავნის ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2-3-4-5-6-7. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 8. ღმერთი; 9-10. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11. „მა“ ჩამატებულია; 12. ამ სიტყვიდან ტექსტი ბოლომდე ფანქრით არის გადახაზული.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 143-144. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფი-

ულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანი-სა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 71).

გვ. 217,1. „სოფელი ხანაგ“ – საუბარია ნახჭევანის რაიონის სოფელზე, საიდანაც იყო წარმოშობით 1855 წლის აჯანყების წამომწყები ტაჰირ-ჰაჯი.

გვ. 217,2. „ჩემო ბურიენო“ – საუბარია ნაპოლეონ ბონაპარტის მდივანზე, ფრანგ პოლიტიკურ მოღვაწე ლუი ანტუან ფოველე დე ბურიენზე. ორბელიანი ხუმრობით თავის თავს ნაპოლეონს ადარებს, დიმიტრი ჯორჯაძეს კი, რომელიც მისი კანცელარიის მდივანი იყო – ბურიენს.

გვ. 217,10-11. „ნინიკამ თავის სტუცერიითა ერთი მოკლა“ – საუბარია გრიგოლის მსახურზე – ნინიკა ბაქრაძეზე და მის გრძელლულიან ძველებურ თოფზე.

გვ. 217,11-12. „აბდულხალილამაც დიდი გამოაჩინა ვაჟ-კაცობა“ – საუბარია დაღესტნის ცხენოსანთა არარეგულარული პოლკის პორუჩიკზე, რომელიც 1859 წელს გარდაიცვალა შამილის მეომრებთან შეტაკების დროს.

გვ. 217,13. „სუსტად სულთან-ახმედბეგ“ – საუბარია სამხრეთ ტაბასარანის მმართველზე – მილიციის მაიორ სულთან-ახმედ-ბეგ ყარახან ბეკ ოღლიზე.

გვ. 217,14-15. „ტაბასარანის ბეგი... იბრეიმბეგ ასკარბეგ-ოღლი“ – სავარაუდოდ, საუბარია იბრაჰიმ-ბეგ ასლანბეგოვზე, მომავალში ვიცე ადმირალზე. მართალია, იგი ყირიმის ომის დროს ფლოტში მსახურობდა, მაგრამ 1855 წელს თავისი ფრეგატის – „იალბუზის“ – ჩაძირვის შემდეგ სევასტოპოლის ყურეში მეთაურობდა სახმელეთო დაცვას. იგი ამ დროს მართლაც ახალგაზრდა, 33 წლის ლეიტენანტი იყო.

გვ. 217,20-21. „ნადირშაჰიმ ყალუხის მთიდან ვერ გაბედა“ – საუბარია ირანის შაჰზე, რომელიც 1741-1742 წლებში

ცდილობდა დაღესტნის დაპყრობას. ყალუხის მთა მდებარეობს დაღესტანში, იმდროინდელ ქურის სახანოში.

გვ. 217,21-22. „მადათოვმაც რუსის ჯარით ვერ მოახწია“ – საუბარია წარმოშობით ყარაბაღელ გენერალ ვალერიან გრიგოლის ძე მადათოვზე, რომელმაც 1819 წელს დაიპყრო ტაბასარანი. მადათოვის მარშრუტი ასეთი იყო: მარალიდან გადავიდა მდინარე სამურზე, გაიარა ქურის სახანო, აიღო მარატა და გამაგრებული სოფელი ხოშნი, შემდეგ კი ისევ მარალაში დაბრუნდა.

გვ. 217,22-23. „არლუთინსკიმაც სხუა გზაზედ აიარა“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე. როდესაც 1851 წლის ზაფხულში მან შეიტყო, რომ ჰაჯიმურადი მიემართებოდა ტაბასარანის ასაჯანყებლად, ჩავიდა ჩირალში, ჯარი შეკრიბა და ბურშალის გზით გაემართა ყაითალისაკენ, ბაკიხანოვს კი დაავალა, რომ ავარიიდან ჩირალთან მისასვლელი გზა გადაეკეტა, მაგრამ ჰაჯიმურადი ზემო ტაბასარანისა და ბურშალის გზით წავიდა და შეტაკებაც ბურშალთან მოხდა.

გვ. 217,23. „მინკვიცი ორიოდ დღე იდგა ყალუხზედ“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 218,12. „ჩვენის ქალების მოსვლისა“ – საუბარია წინანდლიდან ტყვედ აყვანილი ქართველი ქალების განთავისუფლებაზე.

გვ. 218,13-14. „ლუბერნატორმა მამინვე მისცა ადგილი შენს სარქისოვსა“ – ამ პიროვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია ვერ მოვიძიეთ.

გვ. 218,14-15. „ისაია მომიკითხე და მერე ვოლკოვები“ – საუბარია ისაი ივანეს ძე გრამოვზე, დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვსა და მის ოჯახზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №550/№26, გვ.: 34r-v, 35r-v.

თარიღი და ადგილი: „5^ა ნოემბ: 1855 სოფ: ხანაქ. ტაბა-სარანში“

ხელმოწერა: „შენი კეთილის მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 24,1X18,5 სმ; გადაკეცილისა: 18,5X12,1 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ტექსტში ჩანს, რომ წერილი გაგზავნილია თემირხანშურაში: „და თუ მანამდის დავრჩი ცოცხალი ვიახლებით შურაში.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 3. სიტყვა ხაზგასმულია. ავტორს ჯერ დაუწერია „ხუჟნიმდის“ და შემდეგ „უ“ ჩაუსწორებია; 4. ღვთის; 5-6. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ეს პატარა აბზაცი ფანქრით არის გადახაზული; 8. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9. აქედან ტექსტი, გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერის ჩათვლით, ფანქრით არის გადახაზული; „მუხუდდინის“ ფორმაში „ხუ“ ზემოდანაა ჩამატებული; 10. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 11. გაგზავნის ადგილი ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 145.

გვ. 218,20-21. „ამბავი მუხუდდინის სიკუდილისა“ – საუბარია რუსების მიერ დანიშნულ ყუმბისთა სოფელ ერპელის მმართველზე.

გვ. 218,23. „ინახავდა ერფელისს“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე (იგივე ერპელი).

გვ. 218,24-25. „შამხალკი თავის შვილით“ – საუბარია თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანსა და მის ვაჟ შამსუდინ-ხანზე (დაბად. 1818), რომელიც ასევე რუსეთის სამსახურში იყო.

გვ. 219,5. „შიხმაჰმადიკი, გაიქცა უნცითაღში“ – საუბარია მუსლიმან ღვთისმსახურზე, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა.

გვ. 219,5-6. „დამალულია შილაგაში ცოლშვილით“ – საუბარია დაღესტნის სოფელ შილიაგიზე.

გვ. 219,7. „ხანაქი დამ ხუშნიმდის“ – საუბარია დაღესტნის სოფლებზე – ხანაგსა და ხოშნიზე.

გვ. 219,8-9. „ხუჟნიკამდის და იმის იქითაც“ – საუბარია დაღესტნის სოფელზე.

გვ. 219,10. „ყალუხის ხეობასა, და არკიტის ხეობასა“ – საუბარია დაღესტნის ტერიტორიაზე მდებარე ხეობებზე.

გვ. 219,14. „ბარონ ნიკოლაი მწერს“ – საუბარია ბარონ ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაიზე.

გვ. 219,14-15. ვრეესკის მაგიერ დაუნიშნავთ კნიაზი ბებუთოვი ვარშავიდან“ – იპოლიტ ალექსანდრეს ძე ვრეესკი 1855 წელს იყო მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური და კავკასიის ბრძოლის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი. დავით იოსების ძე ბებუთაშვილი კი, რომელიც 1834 წლამდე ზაქათალაში მსახურობდა, დაინიშნა მუსლიმანთა ცხენოსანი რაზმის უფროსად და გაიგზავნა ვარშავაში. 1854 წელს, ყირიმის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ბებუთოვი ვარშავიდან გამოიწვიეს და ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი დაენიშნოთ ან მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურად, ან კავკასიის ბრძოლის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად, ვერსად მოვიძიეთ. ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი მალევე დაბრუნდა ვარშავაში.

გვ. 219,16. „ვოლკოვი მოშკითხე“ – საუბარია დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვზე.

გვ. 219,16-17. „ისაიას უთხარ რომ ნინა ალექსანდროვ-
ნამ მოკითხვა მოსწერა“ – საუბარია ისაი ივანეს ძე გრამოვზე
და, სავარაუდოდ, ნინო ალექსანდრეს ასულ ქავჭავაძე-გრი-
ბოდოვისაზე.

გვ. 219,18. „ომერფაშა აფხაზეთიდამ წამოსულა“ – საუ-
ბარია თურქთა სარდალზე, რომელიც ყირიმის ომის დროს
სათავეში ედგა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ არმიას დუნა-
იზე. 1855 წლის 21 სექტემბერს ომერ-ფაშას სამხედრო ნაწი-
ლები გადმოსხდნენ სოხუმში, საიდანაც შეიჭრნენ სამეგრე-
ლოში, დაიკავეს დადიანების სასახლე და მდინარე ენგურზე
გადასასვლელი სტრატეგიული ტერიტორიები.

გვ. 219,19. „კნაზი ივანე მუხრანსკი თავის ოტრიადითა“ –
საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე,
რომელიც სარდლობდა რუსეთის ჯარებს საქართველოს ტერი-
ტორიაზე შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ. მათ შეძლეს
მტრის შემოტევის მოგერიება და უკან დაახვეინეს ომერ ფაშას.

გვ. 219,20. „ვნახოთ როგორ დაბოლოვდება იქ საქმე“ –
სამეგრელოს ტერიტორიაზე თურქებმა დიდხანს ვერ დაყვეს.
მათი ჯარების მიერ ნოემბერში ყარსთან განცდილი წარუმა-
ტებლობის შემდეგ ომერ ფაშა ისევ სოხუმისკენ გაემართა და
იქიდან გადავიდა თურქეთში.

გვ. 219,21. „მუხუდინის ბიძაშვილი მაჰარდამ“ – სავა-
რაუდოდ, საუბარია ერპელის ყოფილ მმართველ მუხუდინსა
და მის ბიძაშვილზე.

გვ. 219,21-22. „ჰმსახურებს ბაგრატიონის პოლკში“ –
სავარაუდოდ, საუბარია ივანე რომანის ძე ბაგრატიონსა და
დალესტინის არარეგულარულ პოლკზე, სადაც მსახურობდა
სიმამაცით გამორჩეული ბევრი მთიელი.

გვ. 219,22-23. „წავიდეს და მოუაროს ერფელისს“ – მუ-
ხუდინის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც, გრიგოლის
თქმით, არეგულირებდა სიტუაციას ერფელისში (იგივე ერპე-
ლი), გრიგოლს გადაუწყვეტია, რომ მის ადგილას მისივე ნა-

თესავი დაენიშნა, მაგრამ, განხორციელდა თუ არა მისი ეს ჩანაფიქრი, უცნობია.

გვ. 219,23-24. „ბიძა აბდულ რახმანი გროშად არა ღირს“ – აქ უნდა იგულისხმებოდეს არა შამილის ნაიბი აბდურახმან დებირი, არამედ ერპელელი აბდულა-ბეკ-აბდურახმან-ბეკ-ოლლი, რომელიც რუსეთის სამსახურში იყო და, როგორც ჩანს, მუხუდინსა და მაჰარდას ბიძად ეკუთვნოდა.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №26 (393) (გვ. 220-222)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №551/№26, გვ.: 36r-v, 37r-v.

თარიღი და ადგილი: „ნ⁶ ნომბ: ხანაქით 1855“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 40X31,1 სმ; გადაკეცილისა: 31,1X20 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით; 37v გვერდზე მისამართი წერია; აქვეა წითელი ლუქის ნარჩენი; ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: „Его Сіятельству, Книзю Дмитрію Давидовичу, Джорджадзе. В Шуру.“

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ. 3. ეს სამი სიტყვა შავი ფანქრითაა გადახაზული; 4. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 146-147.

გვ. 220,3. „კნიაზმა გრიგოლ ერისთავმა“ – საუბარია ყუბის მაზრის უფროს გრიგოლ რომანის ძე ერისთავზე.

გვ. 220,4-5. „მიზეზი ლუბერნატორსა ჩივილისათვის“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 220,5-6. „ყუბის უეზდის ნაჩალნიკის ბძანებითა“ – იგულისხმება გრიგოლ რომანის ძე ერისთავი.

გვ. 221,7. მიუციათ ხელმოუნერალი პოდაროჟნა“ – საუბარია ოფიციალურ საბუთზე, რომელიც მგზავრობის მსურველს ეძლეოდა გარკვეული რაოდენობის საფოსტო ცხენების მომსახურების მისაღებად.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №27 (394) (გვ. 222-223)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №552, გვ.: 38r-v, 39r.

თარიღი და ადგილი: „12^ს ნოემბ: 1855. ლუჟნიკის სიახლოეს“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო დიმიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, დიდი ფორმატის, სქელი, დაზიანებული, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 44,1X35,4 სმ; გადაკეცილისა: 35,4X22 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაუღენთილია გვერდებში; 1v გვერდის პირველი აბზაცი გადაშლილია ფანქრით და გვერდის ზედა არშიაზე მიწანწერია ფანქრითვე: „ამას ნაშლა არ უნდა.“ ხელნაწერი დალაქავებულია.

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიწერილი წერილებიდან ვიცით, რომ იგი მსახურობდა თემირხანშურაში. მართალია, წინამდებარე ბარათში მისამართი არ არის გამოკვეთილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ისიც თემირხანშურაში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ეს სიტყვა დიდი ასოებით წერია; 2. ფურცლის დაზიანების გამო „ნ“ არ იკითხება; 3. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 4. ხელნაწერში წერია „შესაშინელებლად“; 5. ღვთის; 6. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 7. ეს აბზაცი ჯერ ფანქრით გადაუხაზავს ავტორს, შემდეგ გადახაზული თვითონვე მოუშლია და ზემოთ ფანქრით მიუწერია: „ამას ნაშლა არ უნდა“; 8-9. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 10. ასეა ხელნაწერში; 11-12. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 13-14. ლმერთი.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 147-148. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანი-სა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ.: 71-72).

გვ. 222,10. „ლუჟნიკის სიახლოეს“ – დაღესტნის ამ სოფელს ორბელიანი ზოგან ხუჟნიკადაც მოიხსენიებს. სოფელი ხუჟნიკი დღესაც არის დაღესტნის ტაბასარანის რაიონში.

გვ. 222,12. მიაბზობ მუხუდდინის სიკუდილსა“ – საუბარია ყუმბითა სოფელ ერპელის მმართველზე.

გვ. 222,20-21. რომელ ზედაც ჰაჯიმურადმა გაიარა 1851 წელსა“ – საუბარია შამილის ცნობილ ნაიბზე, რომელმაც 1851 წლის ზაფხულში ილაშქრა ტაბასარანზე. მაშინ გენერალმა არლუთინსკიმ მას ტაბასარანისკენ მისასვლელი გზა მოუჭრა, ის კი ზემო ტაბასარანის გზით წავიდა. ჰაჯიმურადის ეს ლაშქრობა მაინც წარუმატებლად დამთავრდა, რადგან ჩირალის კომენდანტმა შეძლო ძალების მობილიზება და შამილის ნაიბის იერიშის მოგერიება.

გვ. 222,22. „შეერთდება აშტიყუყუმის დიდს მთებსა“ – სავარაუდოდ, საუბარია ტაბასარანის ერთ-ერთ მთაზე, მაგრამ მთის სახელი არასწორად წერია. შესაძლოა, საუბარი იყოს კარკულის მთაზე.

გვ. 222,24. „არლუთინსკის გზაზედკი“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე და, სავარაუდოდ, იმ გზაზე, რომელიც მან დაიკავა იმისათვის, რომ ჰაჯიმურადი არ მიეშვა ტაბასარანში.

გვ. 223,4-6. „ჩილაევის მაგიერ ჰინაშნავდენ ლუბერნატორად შამახიისა კოსტანტინეს თარხანოვს“ – საუბარია სერგი გაბრიელის ძე ჭილაშვილსა და კონსტანტინე დავითის ძე თარხან-მოურავზე, მაგრამ ეს თანამდებობრივი ცვლილება ცოტა მოგვიანებით, 1856 წელს, მოხდა.

გვ. 223,6. „სოსიკო კამენდანტი მწერს“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის ვაჟ იოსებზე.

გვ. 223,6-7. „ნინა ალექსანდროვნას მოსვლია დავითის წერილი“ – საუბარია ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილებზე – ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისაზე და დავით ჭავჭავაძეზე, რომელიც იმ დროს პეტერბურგში ახლდა შამილის ტყვეობიდან განთავისუფლებულ ქალბატონებს.

გვ. 223,8-9. „ჩვენის ქალებისათვის მოსკოვში გაუმჟღავნებიათ ძმის სიკუდილი“ – საუბარია ანა და ბარბარე ბაგრატიონებსა და მათ ძმაზე – პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, რომელიც 17 სექტემბერს ყარსის იერიშის დროს დაიღუპა.

გვ. 223,11-12. „შინმაჰმადის თანაშემწე მომგვარა ჯამოზეგის შვილმა“ – საუბარია მუსლიმან ღვთისმსახურზე, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა, და ყარაყაითალის მმართველის, ჯამოვ-ბეგის, ვაჟზე.

გვ. 223,12-13. „სახელად აბდულყადარი“ – საუბარია შინმაჰმადის თანაშემწეზე.

გვ. 223,16-17. „ორის სოფლის გაოხრებისა“ – იგულისხმება ტაბასარანის ექსპედიციის დროს განადგურებული სოფლები – ხანაქი და რულუჯა.

გვ. 223,18-19. „მომივიდა წერილი სულთანახმედის ხელითა“ – საუბარია სულაღელ რელიგიურ წინამძღოლ ახმედხანზე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ტაბასარანელებზე.

გვ. 223,22. „ამის ძალითა ჰაჯი მაჰმადყადი“ – საუბარია ტაჰირ-ჰაჯიზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №77 (395) (გვ. 224)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №335/№20, გვ.: 107r-v, 108r.

თარიღი და ადგილი: „15^ს ნოემბ: 1855. ტაბასარანიდამ.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 23,9X18,1 სმ; გადაკეცილი-სა: 18,1X11,9 სმ; შესრულებულია მუქი შავი მეღნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 149.

გვ. 224,2-3. „არცა სანდროს ამბავი შემიტყვია“ – საუბარია ორბელიანის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 224,7. „ჯართ შემოველ ტაბასარანში“ – საუბარია გრიგოლის ექსპედიციაზე, რომლის მიზანი იყო აჯანყებული ტაბასარანის დამორჩილება.

გვ. 224,13. „იაკინთე და სარდიონ სიყუარულით მომიკითხეთ“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ დიმიტრის ძე ალექსი-მესხიშვილებზე.

გვ. 224,15-16. „ძალუა ვარინკა და ჭავჭავაძიანნი დარჩებან მოსკოვში“ – საუბარია გრიგოლის ძმის, ილიას, მეუღლე ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონ-ორბელიანისაზე და მისი დის, ანა ილიას ასული ბაგრატიონ-ჭავჭავაძისას, ოჯახზე.

გვ. 224,16-17. „გაუმჟღავნებიათ ძმის სიკუდილი“ – საუბარია პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, რომელიც 17 სექტემბერს ყარსის იერიშის დროს დაიღუპა.

გვ. 224,17. „სნორედ იობის ლაღადისია“ – იგულისხმება დიდი უბედურებები, რაც თავს დაატყდა ბიბლიურ იობს.

ყაფლან ორბელიანისადმი №5 (396) (გვ. 225-226)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №390/№27, გვ.: 7r-v, 8r-v.

თარიღი და ადგილი: „15^ს ნოემ: 1855 ტაბასარანით“

ხელმოწერა: „შენი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო თვალის ჩინო ძმაო ყაფლან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, ნაკეცებში გახეული, მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 23,9X18,5 სმ; გადაკეცილისა: 18,5X12 სმ; შესრულებულია მუქი შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ყაფლან ორბელიანი თბილისში ცხოვრობდა. მართალია, წერილში მისამართი არ არის მითითებული, მაგრამ არც ადრესატის სხვაგან ყოფნა იკვეთება, ამიტომ, სავარაუდოდ, ბარათი თბილისში უნდა იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ; 2. თარიღი და ადგილი ლურჯი მელნით არის ნაწერი; 3-4-5-6-7-8-9-10-11. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 149-150. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანი-სა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 140).

გვ. 225,9. „ზაქარია, ილია და შენ ჩემთვის იყავით ერთი და იგივე“ – საუბარია გრიგოლის ძმებზე – ზაქარია და ილია ორბელიანებზე.

გვ. 225,27. „სულადრე იყო ამ მხარესა ნადირშაჰ“ – საუბარია ირანის შაჰზე, რომელიც 1741-1742 წლებში ცდილობდა დაღესტნის დაპყრობას.

გვ. 225,28. „მოვიდა მადათოვი“ – საუბარია წარმოშობით ყარაბაღელ გენერალ ვალერიან გრიგოლის ძე მადათოვზე, რომელმაც 1819 წელს დაიპყრო ტაბასარანი. მადათოვის მარშრუტი ასეთი იყო: მარალიდან გადავიდა მდინარე სამურზე, გაიარა ქურის სახანო, აიღო მარატა და გამაგრებული სოფელი ხოშნი, შემდეგ კი ისევ მარალაში დაბრუნდა.

გვ. 225,29; 226,1. „პანკრატიევი და მიკლაშევსკი“ – საუბარია ნიკიტა პეტრეს ძე პანკრატიევიზე, რომელიც 1831 წელს სარდლობდა ამიერკავკასიის სამხედრო დანაყოფებს და

ჩაახშო დაღესტნის აჯანყება ყაზი-მულას მეთაურობით. ამავე სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობდა ეგერთა პოლკის მეთაური, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე მიხეილის ძე მიკლაშევსკი. მისი რაზმი დერბენდიდან ჩრდილოეთ ტაბასარანის სოფელ დიუვეკისკენ გაემართა. მათ გაიარეს ხან-მამედ-ყალა, ველიკენტი, გიაურ-ტაპუ, კაზიბეკ-კერპი, ალმალი-ულამი, დაიკავეს და გადაწვეს დიუვეკი და დაბრუნდნენ უკან.

გვ. 226,1-2. „დადიანი ძალიან დაამარცხეს“ – სავარაუდოდ, საუბარია ერევნის კარაბინერთა პოლკის მეთაურ ალექსანდრე ლევანის ძე დადიანზე. 1831 წელს გენერალ პანკრატიევის ბრძანებით, პოლკოვნიკ დადიანის რაზმი დერბენდიდან ჩრდილოეთ ტაბასარანის სოფელ ხოშნისკენ გაემართა. გზად გადაწვეს მთიელთა მეთაურის, აბდურაზაკ-ბეკის, სოფელი იმეიდე და დაბრუნდნენ ხან-მამედ-ყალაში. ორბელიანის მიერ ნახსენებ წარუმატებელ შეტაკებაზე ოფიციალურ დოკუმენტებში არაფერია ნათქვამი.

გვ. 226,3-4. „არლუთინსკიმ გაიარა სხუა სოფლებზედ“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვზე. როდესაც 1851 წლის ზაფხულში მან შეიტყო, რომ ჰაჯიმურადი მიემართებოდა ტაბასარანის ასაჯანყებლად, ჩავიდა ჩირალში, ჯარი შეკრიბა და ბურშალის გზით გაემართა ყაითალისაკენ, ბაკიხანოვს კი დაავალა, რომ ავარიიდან ჩირალთან მისასვლელი გზა გადაეკეტა, მაგრამ ჰაჯიმურადი ზემო ტაბასარანისა და ბურშალის გზით წავიდა და შეტაკებაც ბურშალთან მოხდა.

გვ. 226,8. „მინკვიცი გავგზავნე ოთხის ბატალიონით“ – საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 226,12-13. „თავი გაქცეულისა ყაზახის ურიადნიკისა“ – ამ კაცის გვარი უცნობია, სახელად კი, როგორც ტექსტიდან ჩანს, ჰუსეინი რქმევია.

გვ. 226,16. „ძალუა და შენი შვილები“ – საუბარია ყაფ-
ლანის მეუღლე ელისაბედ ივანეს ასულ ბარათაშვილ-ორბე-
ლიანისაზე და ქალიშვილებზე – ელენესა და ნინოზე.

დიმიტრი ჯორჯაძისადმი №28 (397) (გვ. 226-228)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი,
№553/№26, გვ.: 40r-v, 41r-v.

თარიღი და ადგილი: „17 ნოემ: 1855 ტაბასარანით. სო-
ფელი ქულუყ.“

ხელმოწერა: „შენი ბედნიერების მოსურნე გრიგოლ ორ-
ბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო ბატონო დი-
მიტრი!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი,
პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქა-
ლალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 24X18,5 სმ; გადაკეცილისა:
18,5X12 სმ; შესრულებულია ლურჯი მელნით, რომლითაც
ალაგ-ალაგ დასვრილია ხელნაწერი.

ადრესატის მისამართი: ადრესატისადმი მიწერილი წერი-
ლებიდან ვიცით, რომ იგი მსახურობდა თემირხანშურაში.
მართალია, წინამდებარე ბარათში მისამართი არ არის გამოკ-
ვეთილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ისიც თემირხანშურაში უნდა
იყოს გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. ღვთისათა; 2-3-4-5-6. სიტყვები ხაზგას-
მულია ავტორის მიერ; 7. ეს სიტყვა შავი მელნით წერია; 8.
ასეა ხელნაწერში. ხაზგასმულია ავტორის მიერ; 9-10-11-12-
13. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ; 14. გაგზავნის ად-
გილი ხაზგასმულია ავტორის მიერ; 15. ეს შენიშვნა გრიგოლ
ორბელიანს 40r გვერდის ბოლოში მიუწერია.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები,
ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განწერელის რედაქციით და შე-

ნიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 151-152. წერილის ნაწყვეტი დაბეჭდილია იონა მეუნარგიას ბიოგრაფიულ ნარკვევში – „ცხოვრება და ღვანლი გრიგოლ ორბელიანი-სა“, რომელიც გამოიცა 1883 წელს, ხოლო 1954 წელს კვლავ დაიბეჭდა სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (იხ. იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., გვ. 72).

გვ. 226,27. „მხოლოდ კნიაზ ვარანცოვი“ – საუბარია მეფისნაცვალ მიხეილ სიმონის ძე ვორონცოვზე.

გვ. 226,27; 227,1. „ჰსწერდა არლუთინსკისა“ – საუბარია გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგოროუკოვზე.

გვ. 227,3. გაქცეულის ურიადნიკის თავი“ – როგორც ყაფლან ორბელიანისათვის მინერილი წერილიდან ჩანს, საუბარია ვინმე ჰუსეინზე.

გვ. 227,5. „შისმაჰმადის ბუდეს არ იქნა ვერ მივაგენ“ – საუბარია მუსლიმან ღვთისმსახურზე, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა.

გვ. 227,15. „ლიდია დანიშნულა“ – საუბარია ლიდია ალექსანდრეს ასულ ვოლკოვზე – გენერალ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვის ძმისწულზე. იგი ცოლად გაჰყვა თეოდორე ნიკოლოზის ძე ვერიოვიკინს.

გვ. 227,17. „მაგ საწყალს ისაიას“ – საუბარია ისაი ივანეს ძე გრამოვზე.

გვ. 227,19. „გრიგოლ ერისთავი იყო აქა“ – საუბარია ყუბის მაზრის უფროს გრიგოლ რომანის ძე ერისთავზე.

გვ. 227,20. „ლუბერნატორსაც მივსწერე“ – სავარაუდოდ, საუბარია დერბენდის გუბერნატორ იული თეოდორეს ძე მინკვიცზე.

გვ. 227,25-26. „მუხრანსკისა, ივანეს, ჰქონია ომი ინღურის მდინარესთან“ – საუბარია ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელზე, რომელიც სარდლობდა რუსეთის ჯა-

რებს საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი თურქების წინააღმდეგ და იბრძოდა მდინარე ენგურის სანაპიროზე.

გვ. 227,30-31. „ეკატერინა იმყოფება გორდს“ – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე, რომლის სასახლეც ამ დროს თურქებს ჰქონდათ დაკავებული. როგორც ჩანს, იგი გახიზნული იყო ხონის რაიონის სოფელ გორდში, რომელიც იმერეთისა და სამეგრელოს საზღვარზე მდებარეობს.

გვ. 227,33. „ოპოჩინინი გაუგზავნიათ“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ბარბარე იაკობის ასული ორბელიანის მეუღლეზე – ალექსეი პეტრეს ძე ოპოჩინინზე.

გვ. 228,11. „ჩვენის ქალებისათვის გაუმჟღავნებიათ ძმის სიკუდილი“ – საუბარია ანა და ბარბარე ილიას ასულ ბაგრატიონებსა და მათ ძმაზე – პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, რომელიც 17 სექტემბერს ყარსის იერიშის დროს დაიღუპა.

ბაბაღე საგინაშვილისადმი №10 (398) (გვ. 228-229)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №442/№24, გვ.: 1r-v, 2r.

თარიღი და ადგილი: „1^ს დეკემ: 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „შენი ძმა გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საკუთარო დაო ბაბაღე!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, გაყვითლებული ქაღალდი; ზომები: გადაუკეცავისა: 26,4X21,5 სმ; გადაკეცილისა: 21,5X13,2 სმ; შესრულებულია შავი მელნით; მელანი გაჟღენთილია გვერდებში.

ადრესატის მისამართი: ტექსტში ავტორი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობლებს, ამასთან, ადრესატს სწერს: „ამ შემოდგომაზე მქონდა იმედი მთავარმართებლის აქ მობ-

ძანებისათვის გასაჩხრეკად ამა მხარისა, რომ მაშინ დავსთხოვ-
ნოდი რამდენისამე დღით ქალაქში ჩამოსვლისათვის, მაგრამ
არიქნა: მთავარმართებელი, როგორცა ჰსჩანს, მანამ ყარსს
არ აიღებს, არსად წაბძანდება, და მეცა ვპრჩები აქამომდის
შურაში თქუენი უხილველი!" – რაც გვაფიქრებინებს, რომ წე-
რილი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1. ღვთის; 2. ღმერთი; 3. სიტყვა ხაზგასმუ-
ლია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები,
ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შე-
ნიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 152-153.

გვ. 228,17. „არცა ალექსანდრესაგან“ – საუბარია ადრე-
სატის მეუღლეზე – ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილზე.

გვ. 229,5. „რას შშერებიან დადიანები“ – საუბარია სა-
მეგრელოს მთავრებზე და, კერძოდ, ეკატერინე ალექსანდრეს
ასული ჭავჭავაძე-დადიანისას, ოჯახზე.

გვ. 229,10. „ჩვენი ქალები“ – იგულისხმება ანა და ბარ-
ბარე ილიას ასული ბაგრატიონები.

გვ. 229,12. „ძმის სიკუდილი გაუმჟღავნებიათ“ – საუბა-
რია პეტრე ილიას ძე ბაგრატიონზე, რომელიც 17 სექტემბერს
ყარსის იერიშის დროს დაიღუპა.

გვ. 229,14. „პატარა ბაჭყალა ყმანვილებითა“ – ანა და
ბარბარე ბაგრატიონებს ექვსი მცირეწლოვანი შვილი ჰყავ-
დათ.

გვ. 229,15-16. „მთავარმართებლის აქ მობძანებისათვის“ –
უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი.

გვ. 229,21-22. „ძალუას სიყუარულით მოვიკითხავ“ –
საუბარია ადრესატის დედაზე, გრიგოლის ბიძის, სამარაგდო-
ნის, მეუღლე ელისაბედ სოლომონის ასულ ავალიშვილ-ორბე-
ლიანისაზე.

გვ. 229,24. „ბრილადნის კამანდიროთან უჩივლებ“ – ვი-
ზიარებთ გრიგოლ ორბელიანის წერილების 1937 წლის გამო-
ცემის მომზადებლის, აკაკი განერელიას, აზრს, რომ აქ ივა-

ნე სოლომონის ძე ავალიშვილი უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა I ბრიგადას (რომლის მე-7 ბატალიონის უფროსიც იყო ალექსანდრე საგინაშვილი).

ქეთევან ორბელიანისადმი №78 (399) (გვ. 230-231)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №336/№20, გვ.: 109r-v.

თარიღი და ადგილი: „9^ს დეკემ: 1855. თემირხანშური[თ].“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოცისფრო ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,9X21,3 სმ; გადაკეცვისა: 21,3X14 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: წერილში გრიგოლი მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ბარათი გაგზავნილია თბილისში.

შენიშვნები: 1-2. სიტყვები ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ.: 153-154.

გვ. 230,3-4. „იქნება საძაგელის ოსმალებისაგან შეგეშინდათ“ – იგულისხმება თურქების შემოჭრა სამეგრელოში 1855 წელს.

გვ. 230,5. „არცა სანდრო მწერს“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 230,6. „აბესალომოვი ვნახე პეტერბულიდამ მომავალი“ – სავარაუდოდ, საუბარია სოლომონ აბესალომოვზე, რომელიც 1855 წელს იყო მრჩეველად კომერციის საკითხებში

თბილისის საქალაქო ლაშქარში, ათიოდე წლის შემდეგ კი – 1860-1861 და 1865-1866 წლებში – არჩეულ იქნა ქალაქის თავად.

გვ. 230,7. „შვილიცა კნიაზის ვასილი ოსებიჩისა“ – საუბარია ვასილ იოსების ძე ბებუთაშვილის ვაჟზე – ნიკოლოზ ვასილის ძეზე.

გვ. 230,9. „ჩვენი ქალებიც... და დავითიცა“ – იგულისხმება შამილის ტყვეობაში ნამყოფი ქალები და დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძე.

გვ. 230,15. „ჩვენი ეკატერინა როგორ იყო“ – საუბარია ეკატერინე ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძე-დადიანისაზე, რომლის სასახლეც დაიკავეს თურქებმა.

გვ. 230,16. „იაკინთე და სარდიონ მომიკითხეთ სიყუარულით მათის ცოლშვილებით“ – საუბარია ადრესატის ძმებზე – იაკინთე და სარდიონ ალექსი-მესხიშვილებზე და მათ ცოლშვილზე.

გვ. 230,20. „ყაფლან, თქვენი ბატონი“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 230,23. „ზემოუბნელები როგორ არიან“ – რამდენადაც გრიგოლი ცხოვრობდა იქ, სადაც ამჟამად მისი სახელობის მოედანია, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლობა – სოლოლაკში და მანანა ორბელიანისა – გოლოვინის (ახლანდელი რუსთაველის) გამზირზე, გრიგოლი მათ ზემოუბნელებს ეძახდა.

გვ. 230,26. „ძალუა ნინა თავის შვილის შვილებით“ – საუბარია გრიგოლის ბიძის, იაკობის, მეუღლე ნინო მაყაშვილ-ორბელიანისაზე და მის შვილიშვილებზე.

ქეთევან ორბელიანისადმი №79 (400) (გვ. 231)

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №337/№20, გვ.: 110r.

თარიღი და ადგილი: „16 დეკემ: 1855: თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გადაკეცილი, მოყვითალო ფერის ქალაღი; ზომები: გადაუკეცავისა: 23,9X18,6 სმ; გადაკეცილისა: 18,6X11,9 სმ; შესრულებულია შავი მელნით.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში, ამასთან, გრიგოლი წერილში მოიკითხავს თბილისში მცხოვრებ ახლობელ ადამიანებს, რაც ადასტურებს, რომ ადრესატი ქალაქში იმყოფებოდა და ბარათიც იქ არის გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 154.

გვ. 231,7. „ყაფლანს თავის ქულქათით“ – საუბარია გრიგოლის ბიძაშვილ ყაფლან ასლანის ძე ორბელიანზე.

გვ. 231,8. „ბაბაღეს ჩავკოცნი“ – სავარაუდოდ, საუბარია გრიგოლის დისწულ ბარბარე მელიტონის ასულ ბარათაშვილზე.

ავტოგრაფი: C: გრიგოლ ორბელიანის არქივი, №338/№20, გვ.: 111რ.

თარიღი და ადგილი: „22 დეკემ: 1855. თემირხანშურით.“

ხელმოწერა: „თქუენი მორჩილი და უბედური გრიგოლ ორბელიანი“

ადრესატისადმი მიმართვის ფორმა: „ჩემო საყუარელო ძალუავ ქეთევან!“

ავტოგრაფის აღწერილობა: გაცრეცილი, გადაკეცილი, პატარა ფორმატის, საშუალო სისქის, მოცისფრო ქალაღდი; ზომები: გადაუკეცავისა: 27,8X21,1 სმ; გადაკეცილისა: 21,1X14 სმ; შესრულებულია შავი მელნით, რომელიც ალაგ-ალაგ გაჟღენთილია ფურცელში; ხელნაწერი სხვა ლაქებითაცაა დასვრილი.

ადრესატის მისამართი: ქეთევანი ცხოვრობდა თბილისში და, შესაბამისად, წერილი თბილისშია გაგზავნილი.

შენიშვნები: 1. სიტყვა ხაზგასმულია ავტორის მიერ.

პირველი პუბლიკაცია: გრიგოლ ორბელიანი, წერილები, ტომი მეორე, 1851-1859, აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით, სახელმწიფო გამომცემლობა, 1937, გვ. 155.

გვ. 231,13. „ჩემი ახალი უბედურება“ – საუბარია ადრესატის ვაჟის – გრიგოლის ძმისწულის – გარდაცვალებაზე.

გვ. 231,14-15. „ჩემის სულიერის შვილისა სანდროსი“ – საუბარია გრიგოლის ძმისწულ ალექსანდრე ზაქარიას ძე ორბელიანზე.

გვ. 231,15-16. „ჩემის ძმების სამაგიეროდ“ – იგულისხმება ზაქარია და ილია ორბელიანები, რომლებიც ამ დროს ცოცხლები აღარ იყვნენ.

სადიებლები

აბბასყული – იხ. ბაკიხანოვი აბასყული აღა.

აბდი-ფაშა – ოსმალთა ჯარების მთავარსარდალი. 79.

აბდულა – ვინაობა დაუდგენელია. 121

აბდულ-მეჯიდ I (1823-1861) – ოსმალეთის 31-ე სულთან-
ნი (1839-1861). ტახტზე ავიდა 16 წლის ასაკში. 85, 170, 176,
207.

აბდულ რაიმი – აბდულრახიმი – ტელეტლოს ნაიბი, ყა-
ზიყუმუხის ნაიბ ბაშირბეკის ვაჟი. 52.

აბდულ რახმანი – აბდულა-ბეკ-აბდურახმან-ბეკ-ოღლი
– რუსული ორიენტაციის ერპელელი პირი. 219.

აბდულყადარი – აბდულ ყადარი – მიურიდიზმის მიმდე-
ვარი ტაბასარანელი მებრძოლი, შიხმაჰმადის თანაშემწე. 223.

აბდულხალილა – აბდულ ხალილა – რუსული ორიენტა-
ციის მქონე პორუჩიკი დაღესტნის ცხენოსანთა არარეგულა-
რულ პოლკში. გარდაიცვალა 1859 წელს შამილის მეომრებ-
თან შეტაკების დროს. 217.

აბესალომოვი სოლომონ – მრჩეველი კომერციულ სა-
კითხებში თბილისის საქალაქო ლაშქარში, მოგვიანებით – ქა-
ლაქის თავი (1860-1861, 1865-1866). 230.

აბრამა – გრიგოლ ორბელიანის ყმა. 106, 212.

აბუ-მუსლიმ-ხანი (ტექსტებში მოხსენიებულია, რო-
გორც შამხალი) – მაჰდი შამხლის შვილი, სულეიმან შამხლისა
და შაჰვალის ძმა. თარკოს სახანოს მმართველი, რუსული
ორიენტაციის გენერალი. 98, 113, 129, 180, 187, 207, 218.

აბხაზოვი ალექსანდრე თეიმურაზის ძე – სამხედრო მო-
სამსახურე ყოფილ ჭარ-ბელაქნის ოლქში. 13.

ავალიშვილი ივანე სოლომონის ძე – გენერალ-მაიორი,
ალექსანდრე საგინაშვილის ბატალიონის I ბრიგადის უფროსი.
229.

ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ სოლომონის ასული (1798-1856) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, სამარაგდონ ორბელიანის, მეუღლე. 12, 13, 76, 83, 84, 85, 94, 104, 139, 159, 163, 164, 165, 166, 195, 196, 212, 229.

ალექსანდრე – იხ. აბხაზოვი ალექსანდრე თეიმურაზის ძე.
ალექსანდრე – იხ. ერისთავი ალექსანდრე (თორნიკე)

იესეს ძე.

ალექსანდრე – იხ. ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე.

ალექსანდრე – იხ. ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე.

ალექსანდრე – იხ. საგინაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე.

ალექსანდრე II (1818-1881)) – რუსეთის იმპერატორი (1855-1881), იმპერატორ ნიკოლოზ I-ის უფროსი ვაჟი. 176, 204, 207.

ალექსეი პეტროვიჩი – იხ. ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე.

ალექსი-მესხიშვილი დიმიტრი სოლომონის ძე (1779-1862) – დეკანოზი, მნიგნობარი. განათლება მიიღო ანჩისხატის სკოლაში თავისი განსწავლული მამის – დეკანოზ სოლომონის – ხელმძღვანელობით. 1793 წელს აკურთხეს იპოდიაკვნად. 1796 წელს დაინიშნა კათოლიკოსის მწერალთუხუცესად. 1803 წელს ხელდასხმულ იქნა ანჩისხატის მეორე მღვდლად, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ დაინიშნა იმავე ტაძრის დეკანოზად. ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორის დაარსების შემდეგ დიდხანს იყო მისი წევრი. 95, 106.

ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე (1805-1878) – პედაგოგი. ასწავლიდა თბილისის სემინარიაში. მუშაობდა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში მთარგმნელად, ასევე მსახურობდა თბილისის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში. სხვადასხვა დროს იყო ახალციხის, ქუთაისისა და თელავის მაზრის უფროსი, თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი. დაკრძალულია სამთავისის

ტაძარში. 23, 26, 49, 59, 95, 106, 107, 137, 140, 162, 181, 182, 183, 204, 214, 224, 230.

ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული (1812-1895) – ანჩისხატის დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ქალიშვილი, გრიგოლის ძმის, ზაქარია ორბელიანის, მეუღლე.

წერილების ადრესატი. იხ. აგრეთვე გვ.: 10, 11, 85, 96.

ალექსი-მესხიშვილი პლატონ დიმიტრის ძე – ზაქათალის პოლიციის კომისარი, ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის, ვაჟი. 23, 49, 59, 106.

ალექსი-მესხიშვილისა სოფიო – დეკანოზ ალექსი-მესხიშვილის რძალი, მისი ვაჟიშვილის, სარდიონის, მეუღლე. 23, 106, 182, 204, 214.

ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე – ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ანჩისხატის დეკანოზის, დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის, ვაჟი. 8, 23, 49, 106, 182, 183, 204, 214, 224, 230.

ალიბეკ ავარსკი – 1839 წელს რუსეთში გასახლებული ჰარისილაუს (რომელსაც შამილი სხვა მძევლებთან ერთად ქართველი ტყვეების სანაცვლოდ ითხოვდა) მამა. 133.

ალიბეგები – რუსეთის მხარეს მებრძოლი პირები ბელაქნიდან. 81.

ამირ ჰამზა – შამილის მიერ დატყვევებული მთიელის, შეიხ-ულ-ისლამის, მამა. 133.

ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე (1809-1872) – კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის, პირადი ექიმი. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, დოქტორის ხარისხი დაიცვა ხარკოვის უნივერსიტეტში, ექიმად იმსახურა ოდესაში, სადაც გაეცნო მიხეილ ვორონცოვს. კავკასიაში ვორონცოვმა ის სამედიცინო ნაწილის დროებით მმართველად დანიშნა. მეფისნაცვალთან ახლო ურთიერთობის გზით ანდრეევსკიმ დიდძალი მამულები შეიძინა საქართველოში. ცოლად შეირთო მარიამ თამაზის ასულ ორბელიანისა

და გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის ასული ბარბარე (რომელიც გარდაიცვალა 1893 წელს. დაკრძალულია მთანმინდაზე, მამადავითის ეკლესიაში). პეტერბურგში გადაყვანილ ვორონცოვს ანდრეევსკიც თან გაჰყვა. მოგვიანებით უცხოვრია ოდესაში, სადაც გარდაცვლილა. ჰყავდა ორი ქალიშვილი – ნინო და ელენე. 22.

ანდრეი სტეფანიჩი – იხ. სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე.

ანდრია რუსი – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 100.

ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი არჩილ ივანეს ძე (1834-1864) – გვარდიის შტაბ-როტმისტრი, გრიგოლ ორბელიანის შიკრიკი, მისი ნათესავის – გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის – ვაჟი, „პატარა მალხაზიჩად“ ნოდებული. მსახურობდა დაღესტანში. 22, 66, 190.

ანდრონიკოვი – ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793-1868) – რუსეთის არმიის გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი 1849-1855 წლებში, სამოქალაქო ნაწილის მმართველი. მისი დედა იყო მათა, გრიგოლ ორბელიანის ბებინის – ელენეს – ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. ივანე ანდრონიკაშვილმა სამხედრო სამსახური დაიწყო 1817 წელს სანკტ-პეტერბურგის ლეიბგვარდიის ცხენოსან ლეგიონში, სადაც დაწინაურდა შტაბსროტმისტრამდე და საიდანაც, მისი თხოვნისამებრ, 1824 წელს მაიორად გადაიყვანეს საქართველოში, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში. იგი იხსენიება 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო საქმეებში. ივანე ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის 1826-1828 და რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომებში. მან თავი ისახელა ელიზაბეტოპოლის, ჯევეან-ბულახის, სარდარ-აბადის, ერევნის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841 წელს გენერალ-მაიორია, 1849 წელს – თბილისის სამხედრო გუბერნატორი. მისი მეუღლე იყო დავით ბატონიშვილის შვილიშვილი ნინო. გარდაიცვალა თავის საგვარეულო მამულში, ყოფილი სიღნაღის მაზრის სოფელ ქოდალოში. 22, 40, 77, 80.

ანდრონიკოვი - ანდრონიკაშვილი რევაზ ივანეს ძე - პოლკოვნიკი. 1849 წელს დაინიშნა თბილისის გრენადერთა პოლკის მეთაურად. 35.

ანდრონიკოვი - ანდრონიკაშვილი სოლომონ არჩილის ძე (1859-1896) - ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცერი, რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878) მონაწილე. 40.

ანნეტა//ანეტა - იხ. ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა (ანნეტა) ილიას ასული.

ანუჩინი - ვინაობა დაუზუსტებელია. სავარაუდოდ, რუსული არმიის მეომარი. 82.

არდაზიანი პეტრე (1781-1868) - მღვდელმონაზონი, ლავრენტი არდაზიანის მამა. მსახურობდა ჯერ ანჩისხატის, ხოლო შემდეგ ქაშუეთის ტაძარში. სამოცი წლის მანძილზე ეწეოდა მღვდელმსახურებას. 94, 106.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი ვასილ ანდრიას ძე (1803-1863) - კავალერიის გენერალი, სამხედრო მინისტრი 1852-1856 წლებში. 150, 154.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი ვასილ რომანის ძე - ნუხის მაზრის სამმართველოს მოსამსახურე, მოსე არლუთინსკის ახლო ნათესავი.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი ივანე ზაქარიას ძე - კაპიტანი, გენერალ მოსე ზაქარიას ძე არლუთინსკი-დოლგორუკოვის ძმა. 121.

არლუთინსკი-დოლგორუკოვი მოსე ზაქარიას ძე (1797-1855) - იგივე არლუთაშვილი-მხარგრძელი, გენერალი, დალესტნის ომების მონაწილე. მეფის რუსეთის ერთგულების დასამტკიცებლად აქტიურად იყო ჩართული გურიის აჯანყების ჩახშობაში. 1827 წლიდან მოღვაწეობდა გრენადერთა ქართულ პოლკში მაიორის ჩინით. 1847 წლიდან დაინიშნა დარუბანდის სამხედრო გუბერნატორად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად. ამავე დროს იყო სამხრეთ დალესტნის ჯარის სარდალი. მთელი სისასტიკით უსწორდებოდა მთიელებს.

1877 წელს მეფის მთავრობამ ძეგლი დაუდგა დალესტანში. 8, 9, 10, 11, 35, 36, 40, 43, 45, 76, 77, 217, 222, 226, 227.

ასევე დიმიტრი კუზმას ძე – 1842-1843 წლებში მსახურობდა სამურის რაზმში მოსე არლუთინსკისთან, 1857 წლიდან კი სალათავეიაში გადავიდა გრიგოლ ორბელიანთან. 193.

ასლანბეკოვი იბრაჰიმ-ბეგი (1822-1900) – ვიცე ადმირალი. ყირიმის ომის დროს ფლოტში მსახურობდა. 1855 წელს თავისი ფრეგატის – „იალბუზის“ – ჩადირვის შემდეგ სევასტოპოლის ყურეში მეთაურობდა სახმელეთო დაცვას. 217.

ასტაჭიევი – ასტაფიევი ალექსეი ანდრიას ძე – მაიორი, ელიზავეტოპოლის (ახლანდელი განჯის) სამხედრო რწმუნებული. 13, 80.

ასტახოვი გაბრიელ ალექსეის ძე (1837-1893) – პოლკოვნიკი, ყიზლარის ცხენოსანთა პოლკის ასეულის მეთაური. 206.

ასტახოვი ტიმოფეი ვარლამის ძე – ვლადიკავკაზის პოლკის პირველი ასეულის მეთაური კავკასიის ბრიგადაში. 118.

ალალარბეგი//ალალარი – ალალარ ბეგი – გენერალ-მაიორი, რუსული ორიენტაციის მთიელი, ყაზიყუმუხის უკანასკნელი ხანი. 35, 36, 110, 197, 198, 206.

ახვერდოვი იური თევდორეს ძე – გენერალ-მაიორ თევდორე ახვერდოვის ვაჟი. მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან დალესტანში. 13, 22, 80.

ახმედ-ალა – ახმედხანი – აბუ ნუნცალხანის ვაჟი, ავარიის მმართველი 1840-1842 წლებში, ჰაჯი-მურატთან დაპირისპირებული მთიელი. მან ცნო რუსების მმართველობა და მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. ცოლად ჰყავდა ნოხ-ბიქე, რომელთანაც შეეძინა ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. 52.

ახმედ-ხანი – ყაითალის მმართველი, გვარდიის შტაბის როტმისტრი, ელისუს პრისტავის, პორუჩიკ ჰაჯი-ალა-ბეგის, ვაჟი, რუსეთის სამსახურში მყოფი. 180.

ახმედ-ხანი – სულაღელი რელიგიური წინამძღოლი. 223.

აჯიევ ოროტელი – იხ. ხაჯიევ ოროტელი.

ბაბა-ბიქე – მეხთულელი ახმედხანის ქალიშვილი, ელისუს ყოფილი სულთნის, დანიილის, ცოლი. 52, 53.

ბაბაღე – იხ. ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბარბარე მელიტონის ასული.

ბაბაღე – იხ. ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული.

ბაბაღე – იხ. ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბაღე.

ბაგრატიონი ივანე რომანის ძე (1825-1860) – აფშერონის პოლკის კაპიტანი, გენერალ რევაზ (რომან) ივანეს ძე ბაგრატიონის ვაჟი, მუხრანბატონთა შთამომავალი. მსახურობდა დაღესტანში, 9, 219.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ილია (1790-1854) – გიორგი XII-ის შვილი. დედასთან ერთად გადაასახლეს რუსეთში. ცხოვრობდა მოსკოვში. დაქორწინდა სამოქალაქო მრჩეველის, ობოლენსკის, ქალიშვილ ანასტასიაზე. მსახურობდა იზმაილოვის პოლკში პოლკოვნიკის თანამდებობაზე. ენეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. 1844 წელს ფრანგულიდან უთარგმნია ფილოსოფოს კლარკის მიმოწერა გერმანელ ფილოსოფოს ლაიბნიცთან. ჰყავდა ცამეტი შვილი. 77, 212.

ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე (ვარინკა) ილიას ასული – გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის, ქალიშვილი, ილია ორბელიანის მეუღლე. 9, 10, 21, 22, 24, 25, 49, 51, 52, 65, 77, 83, 105, 107, 113, 114, 115, 120, 121, 122, 123, 124, 125, 132, 139, 143, 150, 167, 181, 191, 204, 212, 214, 224.

ბაგრატიონი (ბატონიშვილი) პეტრე ილიას ძე (1836-1855) – გიორგი XII-ის შვილიშვილი, ილია ბატონიშვილის ვაჟი, ილია ორბელიანის მეუღლის, ბარბარეს, ძმა. 212, 213, 223, 224, 228, 229.

ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა ანა ილიას ასული – გიორგი XII-ის შვილიშვილი, სასახლის ფრეილინა, 1852 წელს ცოლად გაჰყვა დავით ჭავჭავაძეს. ანა ბაგრატიონს დიდი დამსახურება მიუძღვის თელავში ქალთა განათლების კერების დაარსე-

ბის საქმეში. 77, 109, 119, 120, 121, 123, 124, 125, 132, 139, 143, 145, 224, 228, 229, 230.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) გრიგოლ იოანეს ძე (1797-1861) – იოანე მუხრან-ბატონისა და ქეთევან ერეკლე II-ის ასულის მესამე ვაჟი, გენერალ-მაიორი. განათლება მიიღო პაჟთა კორპუსში. მონაწილეობდა კავკასიის მთიელებთან ბრძოლაში. მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსის თანამდებობაზე. ასევე მეთაურობდა დაღესტნის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგს. 22, 32, 33, 74, 78, 121, 148, 202.

ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე (1812-1895) – მეფე ერეკლეს შვილთაშვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის, სიძე. პაჟთა კორპუსის დასრულების შემდეგ დაიწყო მისი სამხედრო კარიერა. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში. ყირიმის ომის დროს სარდლობდა რუსეთის ჯარებს სამეგრელოს ტერიტორიაზე შემოჭრილი ომარ-ფაშას ჯარის წინააღმდეგ. ფლობდა უამრავ ჯილდოს. თადარიგში გასვლის შემდეგ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის საგვარეულო საძვალეში. 219, 227.

ბაკიხანოვი აბასყული ალა (1794-1847) – აზერბაიჯანელი მწერალი, ბაქოს უკანასკნელი ხანის – ჰუსეინ ყულიხანის – ვაჟი. მიღებული ჰქონდა რელიგიური განათლება. 1819 წლიდან ერმოლოვმა მოიწვია თბილისში და მის შტაბში მთარგმნელად მსახურობდა. 1835 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგა და სამწერლობო მოღვაწეობას დაუთმო მთელი თავისი დრო. 1846 წელს მექაში გაემგზავრა და გზაში ქოლერით გარდაიცვალა. 111.

ბაკრაკ-ალი – ბაკრაკი, ბაკრაკა – შამილის ნაიბი ჯურმუთიდან. 31, 32.

ბარათაშვილი-ერისთავისა ეკატერინე მელიტონის ასული (1821-1853) – ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და. 1844

წელს ცოლად გაჰყვა გორელ თავადს, სამხედრო პირს – რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავს. 8.

ბარათაშვილი-ვეზირიშვილისა ბარბარე მელიტონის ასული (1826-1919) – ნიკოლოზ ბარათაშვილის უმცროსი და. 1852 წელს ცოლად გაჰყვა პოლკოვნიკ დიმიტრი ვეზირიშვილს. შეეძინა ოთხი შვილი. დაკრძალულია ვერის იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის ეზოში. 96, 132, 168, 181, 182, 183, 203, 214, 231.

ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული (1829-1906) – ნიკოლოზ ბარათაშვილის და, „ცისკრის“ თანამშრომლის, ლიტერატორ ლეონიდ ბარათაშვილის, მეუღლე. გარკვეული დროის განმავლობაში იმყოფებოდა შამილის ტყვეობაში. 10, 21, 22, 25, 49, 105, 124, 132, 143, 204.

ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული (1824-1892) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ყაფლან (იოანე) ასლანის ძე ორბელიანის – მეორე ცოლი. 85, 96, 160, 164, 183, 226.

ბარბარე – იხ. ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ილიას ასული.

ბარბაშევი – პორუჩიკი. სახელი უცნობია. 32.

ბარიატინსკი ალექსანდრე ივანეს ძე (1815-1875) – გენერალ-ფელდმარშალი, 1835 წლიდან კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი, კავკასიის მეფისნაცვალი 1856-1863 წლებში. ცოლად ჰყავდა ელისაბედ დიმიტრის ასული ორბელიანი. 8, 11, 21, 63, 67, 69, 85, 90, 101, 132, 137, 140, 141, 144, 148, 150, 156, 157, 175.

ბარტოლომეი – ბართოლომეი ივანე ალექსის ძე – ცნობილი ნუმისმატი და სამხედრო პირი. 1850-1853 წლებში მსახურობდა კავკასიის ჯარების შტაბში. ამავე დროს, იყო რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. გარდაიცვალა თბილისში, 1870 წელს. 78.

ბაქრაძე ბაქსა – გრიგოლ ორბელიანის მსახური, ნინიკას ძმა. 100.

ბაქრაძე ნინია - გრიგოლ ორბელიანის მოსამსახურე. პოეტს ერთგულად ემსახურებოდა 40 წლის განმავლობაში. 100, 105, 195, 217.

ბაქსა - იხ. ბაქრაძე ბაქსა.

ბაშირბეკი - ბაშირ-ბეკი - ყაზიყუმუხის ნაიბი. 52.

ბაშკატოვი - პოლკის მაიორი დალესტანში. სახელი უცნობია. 112.

ბებუთაშვილი ნიკოლოზ ვასილის ძე (1839-1904) - გენერალ ვასილ იოსების ძე ბებუთოვის ვაჟი. 230.

ბებუთოვი - ბებუთაშვილი დავით იოსების ძე - სამხედრო მოსამსახურე. 1834 წლამდე ზაქათალაში მსახურობდა, შემდგომში დაინიშნა მუსლიმანთა ცხენოსანი რაზმის უფროსად და გაიგზავნა ვარშავაში. 1854 წელს, ყირიმის ომის დაწყებასთან დაკავშირებით, იგი ვარშავიდან გამოიწვიეს და ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. 219.

ბებუთოვი - ბებუთაშვილი ვასილ იოსების ძე - ინფანტერიის გენერალი. 1809 წლიდან სამხედრო სამსახურში შევიდა. მისი სამხედრო ბიოგრაფიიდან აღსანიშნავია გურიის 1841 წლის აჯანყების ჩახშობა. ასევე ბაშკადიკლარისა და კიურაკ-დარის ბრძოლები, რისთვისაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინით ანდრია პირველწოდებულის ორდენი დაიმსახურა. პეტრე დიდის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იყო. 1846 წელს ქუთაისის ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა შამილი. 1855 წლიდან იყო სამხრეთ კავკასიის სამოქალაქო სამმართველოს უფროსი. გარდაიცვალა 1858 წელს. 21, 78, 80, 230.

ბეხმენ-მირზა ყაჯარი (1811-1884) - სამხრეთ აზერბაიჯანის გუბერნატორი, სპარსეთის ყოფილი შაჰის (1834-1848) - მოჰამადის - უმცროსი ძმა. 101.

ბოლუშევიჩი ადამ ფრანცის ძე - შტაბსკაპიტანი, სავარაუდოდ, გზებისა და ხიდების მშენებელი ინჟინერი. 58.

ბრანიცკაია-ვორონცოვისა ელისაბედ ქსავერის ასული - მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მეუღლე, რუსული არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, აღ. პუშკინის პოეტური

მუზა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას. მისი თაოსნობით 1846 წელს თბილისში დაარსდა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოება, რომლის მესვეურობით თბილისში, ქუთაისსა და თელავში გაიხსნა წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლები. ელისაბედი ხელმძღვანელობდა ლიტერატურულ სალონს თბილისში. 14, 15, 19, 20, 22, 28, 33, 40, 43, 45, 47, 53, 56, 60, 63, 69, 70, 98, 145, 151, 170, 208.

ბრუსილოვი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1821-1880) – რუსი სამხედრო მოღვაწე, გენერალ-მაიორი, მსახურობდა გრიგოლ ორბელიანის პოლკში, იმჟამინდელ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუჩინაქსკი). 13, 22, 80, 109, 120.

ბურიენი ლუი ანტუან ფოველე – საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტის პირადი მდივანი. 17.

ბუჭყიევი – ბუჭყიაშვილი ივანე ბორისის ძე – პოდპოლკოვნიკი, კავკასიის ომის მონაწილე, ახტაში გამაგრებული სამხედრო ნაწილის მეთაური, ყოფილი ნუხის პრისტავი. 67, 72.

გაგარინი გრიგოლ გრიგოლის ძე (1810-1893) – ცნობილი მხატვარი-აკვარელისტი. რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა თბილისში. შეისწავლა კავკასიის ხალხთა ხელოვნება და შეადგინა ალბომები: „კავკასიური კოსტუმები“ და „მხატვრული კავკასია“, რომელთაც დიდი მხატვრული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვთ. მოხატა თბილისის სიონის ტაძრის შიდა კედლები. 208.

გამაზოვი აბელ არაქელის ძე – არტილერიის ოფიცერ მათე გამაზოვის მამა. 193.

გამაზოვი მათე აბელის ძე (1811-1893) – არტილერიის ოფიცერი. მსახურობდა თბილისსა და ზაქათალაში. იცოდა აღმოსავლური ენები, მსახურობდა საელჩოებში და მონაწილეობდა თურქეთსა და ირანთან რუსეთის სასაზღვრო რუკის შედგენაში. 193.

გებუქა – მთიელი მებრძოლი, გრიგოლ ორბელიანის ნდობით აღჭურვილი პირი. 184, 192, 197.

გეუა – იხ. ოპანაშვილი გეუა.

გიორგი – იხ. ორბელიანი გიორგი ილიას ძე.

გიორგი – იხ. ჯორჯაძე გიორგი დავითის ძე.

გოგინცოვა – ზაქათალაში მომსახურე ოფიცრის მეუღლე. 76.

გოლიცინი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1826-1864) – სენატორი, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი, ცნობილი რუსი გენერლისა და დიპლომატის, ვლადიმერ სერგეის ძე გოლიცინის, ვაჟი. წვლილი მიუძღვის შამილის ტყვე ქალების განთავისუფლების საქმეში. 46.

გოლიცინ-შუაზელ-გოფიესი ბარბარე გრიგოლის ასული – სენატორ გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინის ქალიშვილი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტის, პოლკოვნიკ ედუარდ ოქტავის ძე შუაზელ-გოფიეს, მეუღლე. 15, 19, 28, 33, 40, 43, 45, 47, 53, 56, 60, 63, 69, 70, 98, 145, 151, 170, 208.

გორჩაკოვი მიხეილ დიმიტრის ძე (1793-1861) – გენერალ-ადიუტანტი, ყირიმის ომის მონაწილე. 205.

გრამოვი (გრომოვი) ისაი (ისააკ) ივანეს ძე (1821-1886) – მაიორი. დაიბადა ყარაბაღის ქალაქ შუშაში, იცოდა აზერბაიჯანული, ყუმიხური და ავარიული ენები და 1845 წლიდან თარჯიმნად მუშაობდა გრიგოლ ორბელიანთან. აქტიური მონაწილეობა მიიღო შამილთან მოლაპარაკებაში ტყვეთა გაცვლის თაობაზე 1854 წელს. 100, 105, 107, 159, 160, 166, 218, 219, 227.

გრიგოლ მუხრანბატონი – იხ. ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) გრიგოლ იოანეს ძე.

გრისენკო ადრიან ვასილის ძე – შემახიის გუბერნატორის თანაშემწე. 80.

დადიანი ალექსანდრე ლევანის ძე (1800-1865) – პოლკოვნიკი, ერევნის კარაბინერთა პოლკის მეთაური. 226.

დადიანი ანდრია დავითის ძე (1850-1910) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. მე-19 საუკუნის 60-

იანი წლების ბოლოდან დედასთან და და-ძმასთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. დაამთავრა ჰაიდელბურგის უნივერსიტეტი. იყო ცნობილი მოჭადრაკე. 50.

დადიანი დავით ლევანის ძე (1812-1853) – სამეგრელოს მთავარი, გენერალ-მაიორი, მნივნობარი, მთარგმნელი, რედაქტორი, მოყვარული არქეოლოგი, მდიდარი ბიბლიოთეკისა და ლიტერატურული სალონის პატრონი, ცნობილი ქართველი პოეტის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, სიძე. 1846 წელს მიიღო მთავრის ტიტული; მის განათლებასა და აღზრდაზე პეტერბურგში იზრუნა ბარონ როზენმა. ითვლებოდა კარგ მეურნედ. განისვენებს მარტვილის მონასტერში. 50.

დადიანი თამარ დავითის ასული – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. 50.

დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ დავითის ძე (1847-1903) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში. გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. თავისი ბიბლიოთეკა უსასყიდლოდ გადასცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. 50.

დადიანი სალომე დავითის ასული (1848-1913) – სამეგრელოს მთავარ დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოდან დედასთან და ძმებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად. 1868 წელს იგი ცოლად გაჰყვა შარლ ლუი ნაპოლეონ აშოლ მიურატს (1847-1895), ნაპოლეონის ძმისშვილს. მათი ქორწინება პარიზში წლის მოვლენად აღიარეს. 1873 წელს წყვილი სამეგრელოში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1913 წელს დაქვრივებული სალომე საფრანგეთში გაემგზავრა სამკურნალოდ, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე. 50.

დავითი – იხ. ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე.

დათიკო – იხ. ორბელიანი დავით მამუკას (მაკარის) ძე.

დანიილი//დანიილ-ბეკი - დანიელ (დანიილ) სულთან
(დანიელ-ბეგი) - რუსული ორიენტაციის გენერალი, ელისუს მმართველი 1844 წლამდე. გენერალ შვარცთან უკმაყოფილების გამო შამილს მიემხრო. მისი ასული ცოლად ჰყავდა შამილის ვაჟს ყაზი მუჰამედს. 1859 წელს დანიილმა უღალატა განწირულ იმამს და ბარიატინსკის ეახლა. 1869 წელს ოსმალეთში წავიდა, სადაც მალე გარდაიცვალა. 14, 18, 37, 42, 52, 53, 86.

დემანტოვიჩი - დომონტოვიჩი მიხეილ ალექსის ძე (1830-1902) - რუსი გენერალი. გარკვეული დროის განმავლობაში მსახურობდა სპარსეთში. 24.

დენგავ (დონოგო) მუჰამედი - დინგაუ - დენგავ (დონოგო) მუჰამედი - შამილის მამა. 9.

დიმიტრი - იხ. სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე.

დოლღასაბუროვი - დოღოვოსაბუროვი (საბუროვი) მიხეილ იაკობის ძე - მაიორი. მსახურობდა თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). 104, 184.

დუბროვინი - ეგერთა პოლკის მაიორი. სახელი უცნობია. 28, 31.

დუნდუკოვი - დონდუკოვ-კორსაკოვი ალექსი მიხეილის ძე (1820-1893) - გენერალ-ადიუტანტი, კავკასიის მთავარმართებელი (1882-1890), ნიჟნი-ნოვგოროდის პოლკის უფროსი 1858 წლამდე, 1882 წლიდან 1890 წლამდე - კავკასიის ჯარების სარდალი. 208.

ეკატერინა - იხ. ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე.

ელენე - იხ. ორბელიანი ელენე ყაფლანის ასული.

ელისაბედი - იხ. ავალიშვილი-ორბელიანისა ელისაბედ სოლომონის ასული.

ელისაბედი - იხ. ბარათაშვილი-ორბელიანისა ელისაბედ ივანეს ასული.

ელისავეტა ქსავერიევნა - იხ. ბრანიცკაია-ვორონცოვისა ელისაბედ ქსავერის ასული.

ერასტ სტეფანიჩი – იხ. ანდრეევსკი ერასტი სტეფანეს ძე.
ერისთავი ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე (1779-1860) – იოანე მუხრან-ბატონისა და ერეკლე II-ის ასულ ქეთევან ბატონიშვილის ქალიშვილის, ბარბარეს, მეუღლე. ალექსანდრე ერისთავის ქალიშვილი ნინო ცოლად ჰყავდა ივანე თამაზის ძე ორბელიანს. 18, 49, 66, 68, 72, 78, 95, 137, 161, 162, 181.

ერისთავი ალექსანდრე შანშეს ძე (1812-1883) – ყოფილი გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 181, 182, 206.

ერისთავი გრიგოლ რომანის ძე – ყუბის მაზრის უფროსი. 104, 215, 216, 220, 221, 223, 227.

ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808-1871) – გენერალ-მაიორი. გაიზარდა პეტერბურგში. თბილისში ჩამოვიდა 1830 წელს. იყო 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი ალექსანდრე ორბელიანთან და სოლომონ დოდაშვილთან ერთად. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა აჯანყების გეგმა („პირველი ღამის განკარგულება“). შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც შემდეგ ჰელსინკფორსში (ფინეთი) გადასახლებით შეუცვალეს. 80.

ერისთავი ზაქარია გიორგის ძე – სენატორ გიორგი იასეს ძე ერისთავის ვაჟი, პოლკოვნიკი, დალესტნის ომების მონაწილე, ჭარ-ბელაქნის ოლქის უფროსი. 1850 წელს აკუნეს სადგურ მულანლოსთან. ცოლად ჰყავდა ლუარსაბ ორბელიანის ასული ელენე. შვილი არ შესძენიათ. 19, 21.

ერისთავი ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1823-1856) – პოლკოვნიკი, მიხეილ ვორონცოვის ფლიგელადიუტანტი, ქსნის ერისთავთა შთამომავალი. მონაწილეობდა გურიის (კერძოდ, ნიგოთის) ბრძოლაში. დაკრძალულია სევასტოპოლში. 14, 63.

ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოვის ასული (1808-1870) – ქსნის ხეობის თავადის, მირმანოზ დავითის ძე ერისთავის, ასული, საელჩოს მრჩეველის, დავით ორბელიანის, მეუღლე, XIX საუკუნის საქართველოში კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი წარმმართველი. დაქვრივდა 22 წლის ასაკში. დარჩა სამი შვილი. მის ლიტერატურულ სალონში გადან-

ყდა ქართული თეატრის აღდგენისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების რეალური საკითხები. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. შეთქმულების გამჟღავნების შემდეგ დამნაშავეთა მე-4 კატეგორიაში შეიყვანეს სალომე ბატონიშვილის გვერდით. მის სახლში იგეგმებოდა შეთქმულების დეტალები. 8, 11, 23, 49, 77, 118, 182.

ერისთავი-ორბელიანისა სოფიო შალვას ასული – მანანა ერისთავის რძალი, ივანე ორბელიანის მეუღლე. 182.

ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული – გენერალ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. 23, 59, 73, 162.

ვარინკა – იხ. ბაგრატიონი-ორბელიანისა ბარბარე ილიას ასული.

ვასილი – ვინაობა დაუდგენელია. 77.

ვასილი ოსებიჩი – იხ. ბებუთაშვილი ვასილ იოსების ძე.

ვასილჩიკოვი სურგვი ილარიონის ძე – პოლკოვნიკი, ცხენოსანთა პოლკის მეთაური, ნოვოროსიისკისა და ბესარაბიის გენერალ-გუბერნატორი. 112.

ვანაძე-ორბელიანისა ხორეშან ვასილის ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იოსებ ორბელიანის, მეუღლე. 140.

ვახტანგი – იხ. ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე.

ვექილოვი მირზა (იგივე მირზა უსუფა ხუდად ვექილოვი) – მეხთულის სახანოს თარჯიმანი, გრიგოლ ორბელიანის მდივანი და ნდობით აღჭურვილი პირი ზაქათალაში. 111, 160.

ვილბოი ალექსანდრე დანიელის (დავითის) ძე (1770-1853) – პოლკოვნიკი, მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან ნევის საზღვაო პოლკში. 1837 წელს გადავიდა ესტონეთის ქალაქ დერპტში (ამჟამინდელი ტარტუ) პოლიციის უფროსად. 82.

ვიჩეი – მაიორი. სახელი უცნობია. 32.

ვოლკოვი-ვერიოვკინისა ლიდია ალექსანდრეს ასული – გენერალ პეტრე აპოლონის ძე ვოლკოვის ძმისწული, თეოდორე ნიკოლოზის ძე ვერიოვკინის მეუღლე. 227.

ვოლკოვი პეტრე აპოლონის ძე (1807-1889) – გენერალ-მაიორი. მუშაობდა დალესტინის სასაზღვრო ხაზის მარჯვენა ფლანგის მეთაურის თანამდებობაზე. 120, 185, 199, 216, 218, 219.

ვორონჩენკო რაფიელ მათეს ძე – პოდპოლკოვნიკი, თბილისის ეგერთა პოლკის ოფიცერი. 186.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (წერილებში მოხსენიებულია, როგორც მთავარმართებელი) (1782-1856) – რუსი თავადი, გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის მეფისნაცვალის 1845-1854 წლებში. მანამდე იყო ნოვოროსიისკის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფისნაცვალის 3 წლიდან 19 წლამდე ლონდონში იზრდებოდა, სადაც მამამისი რუსეთის იმპერიის ელჩად მუშაობდა. უდიდესი წვლილი შეიტანა ოდესის განვითარებაში. შამილის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჩეჩნეთში გამოჩენილი თავგანწირვისათვის პრინციის წოდება მიანიჭეს. 1848 წლისთვის დალესტინის უდიდესი ნაწილი უკვე დაპყრობილი ჰქონდა. სარდლობდა დარღოს ოპერაციას, რომელიც რუსეთის მხედრობისთვის სამარცხვინო კრახით დასრულდა. თბილისში მის დროს დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, ბოტანიკური ბაღი, ქართული ყურნალი, ოპერა, ქართული და რუსული თეატრი და სხვ.

წერილების ადრესატი. იხ. აგრეთვე გვ.: 20, 21, 22, 67, 72, 74, 77, 80, 96, 154, 155, 173, 215, 226,

ვორონცოვი სიმონ მიხეილის ძე – გენერალ-მაიორი, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის ვაჟი. მონაწილეობდა ყირიმის ომში. 209.

ვრანგელი ალექსანდრე ვესტათის ძე (1804-1880) – გენერალ-ლეიტენანტი, მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქის ლეკეთის ხაზის უფროსის თანამდებობაზე. 15, 21, 63, 87, 112.

ვრევსკი იპოლიტ ალექსანდრეს ძე (1814-1858) – გენერალ-ლეიტენანტი, ქვეითი დივიზიის მეთაური, კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი. დაიღუპა მთიელებთან ბრძოლაში. 187, 190, 191, 207, 219.

ზავადოვსკი ნიკოლოზ სტეფანეს ძე – გენერალ-ადიუტანტი, შავიზღვისპირეთისა და კავკასიის ხაზის მეთაური. ტრაგიკულად დაიღუპა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. 80.

ზაქარია – იხ. ორბელიანი ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე.

ზაქარკა//ზახარკა – გრიგოლ ორბელიანის მსახური. 100, 121, 123, 125.

ზურაბი – იხ. ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) ნიკოლოზის ძე.

თავად-ოლლი – ბელაქნის მკვიდრი, რუსულ მმართველობასთან დაპირისპირებული პიროვნება. 15.

თამარი – იხ. ორბელიანი-სანკოვსკისა თამარ იაკობის ასული.

თარხანოვი – თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) კონსტანტინე დავითის ძე – პოლკოვნიკი, იბრძოდა კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ. 1839 წელს დაინიშნა ნუხის (ამჟამინდელი შაქი) გამგებლად, 1857 წელს კი – შემახიის რაიონის გუბერნატორად. 61, 74, 83, 165, 204, 223.

თარხანოვი – თარხნიშვილი (თარხან-მოურავი) რამაზ დიმიტრის ძე – ნუხის მაზრის მმართველი 1850-იან წლებში. 36, 76, 180.

თარხნიშვილი ესტატე – მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქში გრიგოლ ორბელიანთან. 13.

თარხნიშვილი ილია – სავარაუდოდ, კონსტანტინე თარხნიშვილის ძმა, მსახურობდა ჭარ-ბელაქნის ოლქში გრიგოლ ორბელიანთან. 13, 74, 75.

თარხნიშვილი იოსებ დავითის ძე – პოლკოვნიკი, კონსტანტინე თარხნიშვილის ძმა, გრიგოლის ნათესავის, ბარბარე მამუკას ასული ორბელიანის, ქმარი. 206.

თაჰმაზ-ხანი – ჩირქეის ყადი. 129.

თემიმ ალა – სულთან დანიილ-ბეგის ძმისწული და მისი ერთ-ერთი ნაიბი. გარდაიცვალა 1853 წელს ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად. 53, 63.

თუმანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე – სამხედრო პირი. გრიგოლ ორბელიანის შემდეგ ჩაიბარა გრენადერთა პოლკი. 203.

თუმანიშვილი-ორბელიანისა თინათინ იოსების ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იოსებ ორბელიანის, დედა. 140.

თუმანოვი – იხ. თუმანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე.

იაკინთე – იხ. ალექსი-მესხიშვილი იაკინთე დიმიტრის ძე.

იბრაჰიმ ხანი – იბრაჰიმ ბეგ ყარჩაგელი – ფლიგელ-ადიუტანტი, პოლკოვნიკი, ყოფილი მეხთულის სახანოს გამგებლის – ახმედხანისა – და ნოხ-ბიქეს ვაჟი. 1856-1859 წლებში მართავდა სახანოს, გარდაიცვალა 1868 წელს. 98, 187, 207.

იბრეიმბეგ ასკარბეგ-ოღლი – იხ. ასლანბეგოვი იბრაჰიმბეგი.

ივანე – იხ. ორბელიანი ივანე დავითის ძე.

ივანე მუხრანსკი – იხ. ბაგრატიონ-მუხრანელი (მუხრანსკი) ივანე კონსტანტინეს ძე.

ივანოვი ნიკოლოზ ალაპოს ძე (1810-1873) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ეკატერინე იაკობის ასული ორბელიანის, მეუღლე. 182.

ივანოვსკი – ექიმი დაღესტანში, ქუთიშის სამხედრო ბანაკში, სახელი უცნობია. 186.

ილია//ილიკო – იხ. ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე.

იოსიფოვი ისააკ გაბრიელის ძე – დაღესტნის ერთ-ერთი მხარის, ყაითალის, მმართველის თანაშემწე. 192.

ისაი//ისაია – იხ. გრამოვი (გრომოვი) ისაი (ისააკ) ივანეს ძე.

იუსუფ ბეგი – იუსუფ-ხან ქურელი – ოფიცერი, იბრძოდა დაღესტანში, 1859 წელს მართავდა ქურის სახანოს. ამ თანამდებობაზე დანიშნეს რუსებმა მისი ძმის, ჰარუნ ბეგის,

ნაცვლად. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, 1878 წელს. 52, 53, 176, 181, 196, 197.

ოშიენკო – ოფიცერი. სახელი უცნობია. 32.

კაკალა – ორბელიანების ნაყმევი. 110, 191.

კალატოზისშვილი – კალატოზიშვილი – სავარაუდოდ, თბილისელი მემამულე. სახელი უცნობია. 95.

კარპოვიჩი ფრანც გერმანის ძე – მკურნალი ექიმი თემირხანშურის ჰოსპიტალში. 138.

კატო – იხ. ბარათაშვილი-ერისთავისა ეკატერინე მელიტონის ასული.

კატო – იხ. ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე.

კოზლოვსკი ბიკენტი მიხეილის ძე (1797-1873) – გენერალ-ლეიტენანტი. 1853 წელს დაინიშნა კავკასიის შავიზღვისპირა ხაზის ჯარების სარდლად. 80, 157, 207.

კონსტანტინე – იხ. ორბელიანი კონსტანტინე იოსების ძე.

კოპიაშვილი პეტრე – გრიგოლ ორბელიანის მოსამსახურე. 8, 9, 195.

კოცებუ პავლე ვესტათის ძე – გრაფი, ინფანტერიის გენერალი, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი, XIX ს-ის 60-იან წლებში ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსი, 70-იანი წლებიდან სახელმწიფო საბჭოს წევრი, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და ქალაქის ოლქის ჯარების სარდალი. მონაწილეობდა მთიულეებთან ბრძოლებში. გარდაიცვალა 1884 წელს. 193.

კრასნოგლიადოვა-დოლგოვოსაბუროვისა ემილია ევგენის ასული – თემირხანშურელი ექიმის, ევგენი კრასნოგლიადოვის, ქალიშვილი, აფშერონის პოლკის მაიორ მიხეილ იაკობის ძე დოლგოვოსაბუროვის (საბუროვის) მეუღლე. 104.

კრასნოგლიადოვი ევგენი ივანეს ძე – მთავარი ექიმი თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). 104.

კრიტსკი ვასილი ვასილის ძე – პოდპოლკოვნიკი, მესელ-დელერის დაცვის უფროსი. 1853 წელს დაჯილდოვდა წმინდა გიორგის ორდენით. 32, 40.

კულმანი მიხეილ სიმონის ძე – ეგერთა პოლკის ოფიცერი, ბატალიონის უფროსი. 109.

კუნცევიჩი პეტრე ივანეს ძე – პოდპოლკოვნიკი, ქართული ბატალიონის მეთაური. 185.

ლაზარევი ივანე დავითის ძე (1820-1879) – სამურის რაზმის ოფიცერი. მონაწილეობდა დაღესტანში გამართულ ბრძოლებში. 1854-1859 წლებში იყო მეხთულის სახანოს მმართველი. 1859 წელს ლუნიბში შამილთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. 1860-1867 წლებში ეკავა საპასუხისმგებლო პოსტები, როგორც გენერალ-მაიორს. 111, 112, 115, 120, 151, 197.

ლიალაბეკოვი ჰაჯი ალა-ბეგი – რუსული ორიენტაციის მქონე მთიელი მებრძოლი, მაიორი, ელისუს პრისტავი. 52, 53, 180.

ლიდია – იხ. ვოლკოვი-ვერიოვკინისა ლიდია ალექსანდრეს ასული.

ლუკმიაშვილი დათია – ორბელიანების ნაყმევი. 100.

ლუკმიაშვილისა – ორბელიანების ნაყმევის, დათია ლუკმიაშვილის, დედა. 100.

მადათოვი ვალერიან გრიგოლის ძე (1782-1829) – გენერალ-ლეიტენანტი, წარმოშობით ყარაბაღელი. 1819 წელს დაიპყრო ტაბასარანი. 217, 225.

მამედ ემინი – მეხმედ ემინ ფუად ფაშა (1814-1869) – ოსმალეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, ერთხანს საგარეო საქმეთა მინისტრი. 97, 207.

მამუკა – იხ. ორბელიანი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე.

მანანა – იხ. ერისთავი-ორბელიანისა მანანა მირმანოვის ასული.

მანუკინი – მანიუკინი-ნეუსტრუევი ზაქარია სტეფანეს ძე (1799-1882) – გენერალ-მაიორი, კასპიის ჯარების სარდლის, ვრანგელის, თანაშემწე, დერბენდის სამხედრო გუბერნატორი. მონაწილეობდა ლუნიბის ბრძოლაში, რომლის დროსაც დატყვევებულ იქნა შამილი. 107, 108, 109, 151, 206.

მაყაშვილი-ორბელიანისა ნინო – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობ ორბელიანის, მეუღლე. 23, 26, 84, 94, 107, 140, 167, 182, 183, 213, 230.

მაჩაბელი ესტატე მიხეილის ძე – შტაბსკაპიტანი, გრიგოლ ორბელიანის დივიზიაში ესკადრონის მეთაური. 23, 66.

მაჰარდამი – ერპელის მმართველ მუხუდინის ბიძაშვილი. 219.

მაჰმადა – ბარონ ნიკოლაისთან დაახლოებული პირი. ბარონი მისი ხელით უგზავნიდა გრიგოლ ორბელიანის ბარათებს შამილსა და მის ქართველ ტყვეებს. 114, 115.

მელიქიშვილი-ერისთავისა ანა (ნინო) ივანეს ასული – ლევან მელიქიშვილის და, იასე შანშეს ძე ერისთავის მეუღლე. 203.

მელიქიშვილი ლევან ივანეს ძე (1817-1892) – თბილისელი, ხელმოკლე თავადი, რომელიც შემდგომში საკმაოდ დანიანურდა სამხედრო სამსახურში: მთიელებთან ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისათვის აყვანილ იქნა ჯერ შტაბსკაპიტანის, შემდეგ კი კაპიტანის ხარისხში. ბოლოს კავალერიის გენერლის ხარისხიც მიენიჭა. იყო მთავარმართველის მოადგილე და სახელმწიფო საბჭოს წევრი. 4 თვის განმავლობაში ნიკოლოზ ბარათაშვილთან ერთად მსახურობდა ქალაქ ნახჭევანში: ასრულებდა მაზრის უფროსის მოვალეობას. 14, 30, 36, 67, 69, 100, 107, 109, 110, 111, 116, 120, 162, 201, 204.

მენშიკოვი ალექსანდრე სერგეის ძე (1787-1869) – რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, ყირიმის ომის სანყის ეტაპზე იყო ყირიმის სახმელეთო და საზღვაო ძალების მთავარსარდალი, 1855-1856 წლებში – კრონშტადტის გენერალ-გუბერნატორი. 156.

მესთიალა – პოდპორუჩიკი. სახელი უცნობია. 52.

მიკლაშევსკი ალექსანდრე მიხეილის ძე (1798/9-1831) – პოდპოლკოვნიკი, ეგერთა პოლკის მეთაური. 225-226.

მინკვიცი იული თეოდორეს ძე – გენერალ-ლეიტენანტი, პოლკოვნიკი. 1851 წელს გახდა დერბენდის სამხედრო გუბერ-

ნატორი. 169, 173, 176, 192, 193, 196, 202, 214, 217, 220, 221, 226, 227.

მიშჩენკო ივანე კუზმას ძე – პოლკოვნიკი, კავკასიის ბრძოლების მემომარი. 40.

მიხეილი (ალექსი-მესხიშვილი მიხეილ) – დეკანოზ დიმიტრი ალექსი-მესხიშვილის ვაჟი. 100.

მურავიოვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1794-1866) – გენერალ-ადიუტანტი, 1854-1856 წლებში – კავკასიის მეფის-ნაცვალი, მოგვიანებით – სახელმწიფო საბჭოს წევრი. 160, 162, 163, 164, 165, 186, 205, 215, 216, 229.

მურთაზალი – იხ. ხალაჯოვი მურთაზალ.

მურთუზჰაჯი – მურთუზ-ჰაჯი – ბელაქნელი ლეკი, კაპიტანი, „მონადირეთა რაზმის“ ერთ-ერთი მეთაური. 1862 წლამდე რუსეთის მხარეს იბრძოდა. 81.

მუხუდდინი – მუხუდინი – ყუმისთა სოფელ ერპელის მმართველი. 218, 219, 222.

ნადირშაჰი – ნადირ-შაჰი, იგივე თამაზ I ყული-ხანი (1688-1747) – სპარსეთის შაჰი 1736-1747 წლებში, ყიზილბაშური აფშართა ტომის წარმომადგენელი. საფუძველი ჩაუყარა აფშართა დინასტიას. ცოლად ჰყავდა თავად გივი ამილახვრის ქალიშვილი. 217, 225.

ნაპოლეონ III (შარლ ლუი ბონაპარტი) (1808-1873) – საფრანგეთის პირველი პრეზიდენტი (1848-1852), საფრანგეთის იმპერატორი (1852-1870), ნაპოლეონ I-ის ძმის, ლუი ბონაპარტის, ვაჟი. 193.

ნასერ ედინ შაჰ ყაჯარი (1831-1896) – სპარსეთის შაჰი. ქვეყანას მართავდა 1848 წლიდან გარდაცვალებამდე. 101.

ნენე-ხანუმი – დანიილ სულთნის ქალიშვილი. 52.

ნიკო – იხ. ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე.

ნიკოლაი ლეონტი პავლეს ძე (1820-1891) – ბარონი, ფლიგელ-ადიუტანტი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილის, სოფიოს, მეუღლე. აქტიურ დახმარებას უწევდა გრიგოლ ორბელიანს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახიდან გატაცებული

ქართველი ტყვეებისა და ფრანგი ქალის დახსნის საქმეში. 87, 110, 114, 115, 120, 122, 138, 175, 184, 219.

ნიკოლოზ I (რომანოვი) (1796-1855) – რუსეთის იმპერატორი 1825-1855 წლებში. პავლე I-ის მესამე ვაჟი. ტახტზე ასვლა აღნიშნა დეკაბრისტების აჯანყების განადგურებით და მათი ხელმძღვანელების სიკვდილით დასჯით. ნიკოლოზ I-ის მეფობა აღინიშნა აბსოლუტური მონარქიის აყვავებითა და ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერებით, ყველგან ყაზარმული რეჟიმის დამყარებით. იგი სასტიკად ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, აძლიერებდა რუსიფიკატორულ პოლიტიკას. 10, 70, 91, 128, 131, 133, 139, 144, 145, 150, 154, 168, 170, 177.

ნინა ალექსანდროვნა – იხ. ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო.

ნინია – იხ. ბაქრაძე ნინია.

ნინო – იხ. მაყაშვილი-ორბელიანისა ნინო.

ნინო – იხ. ორბელიანი ნინო ყაფლანის ასული.

ნინუცა//ნინუცი – იხ. ბარათაშვილი ნინო მელიტონის ასული.

ნოხ-ბიქე – ყოფილი მეხთულის სახანოს გამგებლის, ახმედ-ხანის, ქვრივი. სარგებლობდა გრიგოლ ორბელიანის ყურადღებით. 98, 129, 207.

ობოლენსკაია-ბაგრატიონისა ანასტასია გრიგოლის ასული (1805-1885) – გიორგი XII-ის შვილის, ილია ბატონიშვილის, მეუღლე, ილია ორბელიანის სიდედრი. 77.

ომერფაშა – **ომერ-ფაშა (1806-1871)** – თურქთა ჯარების სარდალი ყირიმის ომში. 1855 წელს თავს დაესხა სამეგრელოს. 219.

ონიკოვი – **ონიკაშვილი დიმიტრი ნიკოლოზის ძე** – ოფიცერი, გრიგოლ ორბელიანის ახლო მეგობარი, ცნობილი მოქეიფე 50-იანი წლების თბილისში. გრიგოლ ორბელიანმა მას მიუძღვნა ლექსი „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“. 67, 68, 72.

ონიკოვი – ონიკაშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე – ნორბაიაზეთის (დღევანდელი ქალაქი გავარი სომხეთში) მაზრის უფროსი. 26.

ოპოჩინინი ალექსეი პეტრეს ძე (1807-1885) – გენერალი, გრიგოლის ბიძაშვილის, ბარბარე ორბელიანის მეუღლე. 167, 182, 203, 213, 227.

ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე (1829-1869) – გრიგოლის ნათესავი, მანანა ერისთავ-ორბელიანის ვაჟი, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალი. 8, 11, 18, 23, 26, 48, 73, 105, 107, 118, 132, 139.

ორბელიანი ალექსანდრე ზაქარიას ძე (1839-1855) – გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილი. 8, 9, 10, 18, 23, 26, 49, 58, 73, 94, 95, 96, 137, 140, 161, 167, 177, 181, 182, 214, 224, 230, 231.

ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია დავითის ასული (1826-1901) – მანანა ორბელიანის ქალიშვილი, ფრეილინა, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე გაგარინის, მეუღლე. მისი ქმარი 1857 წელს მოკლა სვანეთის უკანასკნელმა მთავარმა კონსტანტინე დადუშქელიანმა მეფის რუსეთის მიერ სვანეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის საქართველოდან გასახლების განზრახვის გამო. შვილი არ ჰყავდა. გაზარდა ელენე იაკობის ასული ერისთავი. დაკრძალულია ყირიმში, გაგარინის მამულში. შვილობილმა ანასტასიას საფლავზე პატარა ეკლესია ააგო. 139.

ორბელიანი გიორგი ილიას ძე (დაბადებული 1853 წელს) – ილია ორბელიანის ვაჟი (ტყუპისცალი). 76, 77, 83, 124, 132, 139, 159, 160, 167, 169.

ორბელიანი დავით მამუკას (მაკარის) ძე (1838-1875) – გენერალ მამუკა (მაკარ) თამაზის ძე ორბელიანის ვაჟი. მსახურობდა გრიგოლ ორბელიანთან. 59.

ორბელიანი დიმიტრი (ზურაბ) ნიკოლოზის ძე (1766-1827) – გრიგოლ ორბელიანის მამა, კოლეგიის მრჩეველი, თბილისის საბაჟოს ზედამხედველი. 51, 72.

ორბელიანი ელენე ყაფლანის ასული (დაბად. 1833 წელს) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან. 85, 160, 164, 183, 226.

ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე – სამხედრო მოსამსახურე ქართველ გრენადერთა პოლკში. 78.

ორბელიანი ზაქარია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1806-1847) – გრიგოლ ორბელიანის ძმა. სამხედრო პირი, დალესტინის ომების მონაწილე. 1844 წელს პოლკოვნიკობა მიიღო, 3 წლის შემდეგ კი ქოლერით გარდაიცვალა დალესტანში. 225, 231.

ორბელიანი ივანე დავითის ძე (1825-1893) – გენერალ-მაიორი, მანანა ორბელიანის ვაჟი. ცოლად ჰყავდა სოფიო შალვას ასული ერისთავი. 23, 73, 77, 162, 182.

ორბელიანი-ივანოვისა ეკატერინე – ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავი, იაკობ ორბელიანის ასული, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ალაპის ძე ივანოვის მეუღლე. 58, 73, 140, 160, 167, 182, 183, 213.

ორბელიანი ილია დიმიტრის (ზურაბის) ძე (1815-1853) – გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა, გენერალ-მაიორი. მონაწილეობდა დალესტინის ბრძოლებში, რის შედეგადაც ტყვედ ჩაუვარდათ მთიელებს (1842). სხვა ტყვეებთან ერთად იგი შამილს მიჰგვარეს დარლოში (შამილის ყოფილი რეზიდენცია 1840-1845 წლებში). რამდენიმე თვის შემდეგ ილიას გაქცევა უცდია, მაგრამ გზაზე, სოფელ მეხელტას ახლოს, დაუჭვრიათ და უკანვე მიუგვრიათ იმამისთვის. განთავისუფლების შემდეგ, 1846 წელს, დანიშნეს მაზრის უფროსის თანამდებობაზე განჯაში, სადაც საშუალება მიეცა, მიეხედა თავისი დისშვილის – ნიკოლოზ ბარათაშვილის – საფლავისთვის. გარდაიცვალა ყირიმის ომში მიღებული ჭრილობის შედეგად. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში.

წერილების ადრესატი. იხ. აგრეთვე გვ.: 26, 51, 76, 81, 83, 94, 124, 125, 212, 225, 231.

ორბელიანი იოსებ კონსტანტინეს ძე (დაბად. 1824) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, კონსტანტინე იოსების ძე

ორბელიანის, ვაჟი. 52, 66, 72, 78, 94, 96, 105, 140, 167, 203, 216, 223.

ორბელიანი კონსტანტინე იოსების ძე (1798-1861) – სამხედრო პირი, გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 78, 140.

ორბელიანი მამუკა (მაკარ) თამაზის ძე (1800-1871) – რუსეთის გენერალ-მაიორი, კავკასიის, რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე, გენერალ-მაიორ თამაზ მამუკას ძე ორბელიანისა და ქეთევან დავითის ასულ ქობულაშვილის ვაჟი. მისი წინაპარი თამაზ ორბელიანი და გრიგოლის წინაპარი ასლან ორბელიანი იყვნენ ძმები – ყაფლან ორბელის ძენი. ცოლად ჰყავდა ქეთევან გიორგის ასული ერისთავი. ეყოლათ 15 შვილი. დაკრძალულია თბილისში, სიონის ტაძარში. 43, 73.

ორბელიანი-მელიქიშვილისა ალექსანდრა – ლევან მელიქიშვილის მეუღლე. მან იშვილა მაიკო ორბელიანისა და ლევან მელიქიშვილის დაობლებული შვილი. თვითონ სამი ვაჟი შეეძინა ლევანთან. 203.

ორბელიანი ნინო ყაფლანის ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის, ყაფლან ორბელიანის, ქალიშვილი. 160, 164, 183, 226.

ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია კონსტანტინეს ასული (1831-1884) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. 85, 94, 96, 137, 140.

ორბელიანი-ოპოჩინინისა ბარბარე იაკობის ასული (დაბად. 1820) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, გენერალ ოპოჩინინის მეუღლე. 8, 23, 26, 58, 73, 76, 94, 101, 105, 137, 139, 140, 160, 167, 182, 183, 194, 203, 213.

ორბელიანი-საგინაშვილისა ბაბალე – სამარაგდონ ორბელიანის ასული, გრიგოლის ბიძაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მამიდაშვილის, ალექსანდრე საგინაშვილის, მეუღლე, განათლებული ქალბატონი. პოეტის გარდაცვალების შემდეგ მასთან ინახებოდა მისი სურათი, ლექსები და ლეიზევიცის ტრაგედიის – „იულიუს ტარენტელი“ – თარგმანი. 75, 83, 84,

85, 94, 104, 105, 139, 159, 163, 165, 166, 167, 183, 194, 212, 228.

ორბელიანი-სანკოვსკისა თამარ იაკობის ასული (1816-1861) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, იაკობ ორბელიანის ასული, ანდრია სენკოვსკის მეუღლე. 17, 18, 23, 26, 49, 58, 73, 75, 84, 94, 96, 101, 104, 105, 107, 137, 139, 140, 160, 167, 182, 183, 194, 213.

ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული (1829-1879) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი, დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკის მეუღლე. 23, 49, 73, 84-85, 94, 96, 107, 137, 140, 160, 167, 195, 213.

ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე (1813-1878) – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილი. გადმოცემით, კარგი მომღერალი და მშვენიერი გარეგნობის მამაკაცი. მღეროდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებზე „მე შენ არ გეტყვი“, „თავსა უფლად“, აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე. 21, 26, 49, 58, 73, 78, 94, 96, 137, 140, 160, 162, 163, 164, 181, 182, 183, 213, 225, 230, 231.

ორბელიანი-ჩოლოყაშვილისა სოფიო (ხორეშან) კონსტანტინეს ასული – გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – კონსტანტინე იოსების ძე ორბელიანის – ქალიშვილი. გათხოვილი იყო ზურაბ (ზაქარია) დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილზე, 1851 წელს დაქვრივდა. 85, 94, 140.

ოცოოლი – გრიგოლ ორბელიანთან დაახლოებული პირი ზაქათალიდან. 81.

ოჰანაშვილი გეუა – გრიგოლ ორბელიანის მოურავი. 95, 100, 213.

პალმერსტონი ჰენრი ჯონ ტემპლ (1784-1865) – ვიკონტი (ევოპული არისტოკრატიული ტიტული), ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, პრემიერ-მინისტრი 1855-1858 წლებში და 1859 წლიდან გარდაცვალებამდე. 98.

პანკრატიევი ნიკიტა პეტრეს ძე (1788-1836) – გენერალი, ამიერკავკასიის სამხედრო დანაყოფების სარდალი დალესტნის საბრძოლო ოპერაციებში. 225.

პანჩენკო კირილე პანფილის ძე – ტაბასარანის მაზრის უფროსი. 196.

პასკევიჩი ივანე თეოდორეს ძე (1782-1856) – რუსეთის იმპერიის სამხედრო მოღვაწე, გენერალ-ფელდმარშალი (1829), გენერალ-ადიუტანტი (1825). ერევნის გრაფის ნოდება მიენიჭა 1828 წელს და ვარშავის პრინცის – 1831 წელს. 1826 წელს სამხრეთ კავკასიის ჯარების სარდალი გახდა, ხოლო 1827 წელს – კავკასიის მთავარმართებელი. ერევნის ციხის აღების შემდეგ „ერევანსკის“ სახელით მოიხსენიებდნენ. პოლონეთის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ კი „ვარშავსკი“ უწოდეს. ახლანდელი თავისუფლების მოედანს თბილისში პასკევიჩის პატივსაცემად „ერევანსკის მოედანი“ ერქვა. 51.

პალარუელსკაია – იხ. პოლორუელსკისა.

პეროვსკი ვასილი ალექსეის ძე (1795-1857) – გენერალი, ორენბურგის სამხედრო გუბერნატორი მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. 191.

პისარევსკი თეოდორე გერასიმეს ძე – პოლკოვნიკი ქართველ გრენადერთა პოლკში. 65, 66, 68.

პლატონი – იხ. ალექსი-მესხიშვილი პლატონ დიმიტრის ძე.

პლაშევსკი – ექიმი დალესტანში, ქუთიშის სამხედრო ბანაკში. 186.

პოლორუელსკისა – სავარაუდოდ, მაიორ ვასილ სტეფანეს ძე პოლორუელსკის მეუღლე. სახელი უცნობია. 9.

რაიგანატ ბიქე – თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის ქალიშვილი. 98.

რაკუსა (რაკუზა) ნიკოლოზ ბიკენტის ძე – პოლკოვნიკი, ცხენოსანთა ასეულის მეთაური დალესტანში. 206.

რამაზან ალა არგულა ოღლი – ბელაქნის მოურავი. 81.

რაშიდ-ხანი – მეხთულის გამგებელ ახმედ ხანისა და ნოხ-ბიქეს ვაჟი, მეხთულის სახანოს მმართველი 1859-1867 წლებში. 207.

რაჯიბილ მამედ ჩერქეელი – რაჯიბილ მუჰამადი (1805-1859) – შამილის ნდობით აღჭურვილი პირი, დივანხანის უფროსი. 129.

რეადი ნიკოლოზ ანდრიას ძე (1793-1855) – გენერალი, კავკასიის სამხედრო და სამოქალაქო სამმართველოს ინსპექტორი, მოგვიანებით – კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი. 101, 134, 144, 199, 205.

საადი (1203(?) - 1292) – მე-13 საუკუნის სპარსელი პოეტი და მოაზროვნე. 24.

საგინაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808-1887) – რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. განათლება მიიღო თბილისის თავადაზნაურთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1826 წელს. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთის (1826-1828), რუსეთ-თურქეთისა (1828-1829; 1877-1878) და კავკასიის ომებში. 1869 წელს მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი. იყო მელიტონ ბარათაშვილის დის, მარიამ (მაია) ნიკოლოზის ასული ბარათაშვილის, შვილი და გრიგოლ ორბელიანის ბიძაშვილის – ბარბარე სამარაგდონის ასული ორბელიანის – მეუღლე. ბარბარეს გარდაცვალების შემდეგ დაქორწინდა ასაკით ბევრად უმცროს ელისაბედ გრიგოლის ასულ ჭავჭავაძეზე (ილიას დაზე). ალექსანდრეს არც ერთი ქორწინებიდან შვილი არ ჰყოლია. 76, 83, 84, 95, 104, 139, 159, 163, 164, 165, 166, 195, 196, 212, 228, 229.

სავანელი იოანე – თბილისის სიონის ტაძრის დეკანოზი. 81.

საკინა ხანუმი – აზერბაიჯანელი მწერლის, აბასყული აღა ბაკიხანოვის, მეუღლე. 111.

სანდრიკო – იხ. ორბელიანი ალექსანდრე ზაქარიას ძე.

სანკოვსკი ანდრია სტეფანეს ძე (1799-1859) – გრიგოლ ორბელიანის ბიძის, იაკობის, სიძე, კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. 96, 167, 213.

საპერი – სამხედრო პირი, ასეულის მეთაური ზაქათალაში. 68.

სარანდოვი ივანე პავლეს ძე – ქართველ გრენადერთა პოლკის ოფიცერი. 66, 67, 72.

სარდიონი – იხ. ალექსი-მესხიშვილი სარდიონ დიმიტრის ძე.

სარქისოვი სტეფანე სერგის ძე – სავარაუდოდ, კანცელარიის მოხელე თბილისში. 218.

საფაროვი – ვინაობა დაუზუსტებელია. 193.

სელიმ ფაშა – სელიმ-ფაშა – ბათუმის სამხედრო კორპუსის სარდალი. 112.

სემენოვი – სემიონოვი (სავარაუდოდ, ტრიფონ, გრიგოლ ორბელიანის წერილების 1937 წლის გამოცემის მიხედვით) – სამხედრო პირი, მსახურობდა დაღესტანში. 9.

სერასკირი – იხ. აბდი-ფაშა.

სვიატოპოლკ-მირსკი დიმიტრი ივანეს ძე – პოდპოლკოვნიკი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი, ყაბარდოს პოლკის უფროსი 1857-1859 წლებში. 96, 167, 195, 205, 212, 213.

სიმანაუ – ქარელი მეომარი. ზაქარია ერისთავის მკვლელთა ჯგუფის წევრი. 19, 21.

სიმონ მიხაილოვიჩი – იხ. ვორონცოვი სიმონ მიხეილის ძე.

სლინკო ლავრენტი აკიმის ძე – სამხედრო პირი. მსახურობდა ქართველ გრენადერთა პოლკში. 79.

სოსიკო – იხ. ორბელიანი იოსებ კონსტანტინეს ძე.

სოფიკო – იხ. ორბელიანი-სვიატოპოლკ-მირსკისა სოფიო იაკობის ასული.

სოფიო – სარდიონ ალექსი-მესხიშვილის მეუღლე. 8, 23, 106, 137, 182, 204, 214, 230.

სოფიო//სოფიო ნიკოლაისა - იხ. ჭაჭავაძე-ნიკოლაისა
სოფიო ალექსანდრეს ასული.

სულთანათ-ბიქე - თარკოს შამხალ აბუ-მუსლიმ-ხანის
ცოლი. 207.

სულთან-ახმედბეგი - სულთან-ახმედ-ბეკ ყარახან ბეკ
ოღლი - მილიციის მაიორი, სამხრეთ ტაბასარანის მმართვე-
ლი. 217.

სუსლოვი ალექსანდრე ალექსის ძე (1807-1877) - რუსი
გენერალ-მაიორი, კავკასიის ომის მონაწილე, ერევნის ბატა-
ლიონის მეთაური. 87.

ტაირჰაჯი//თაირჰაჯი - ტაჰირ-ჰაჯი - ჯამალუდინ ყა-
ზიყუმუხელის მონაფე, შამილის თანამებრძოლი მუსლიმანი
ღვთისმეტყველი. 196, 202, 223.

ტალგვიკი - შამილის ნაიბი. მისი ქალიშვილი შერთეს
ცოლად შამილის ვაჟ ჯემალ-ედ-დინს. 207.

ტასიკო - იხ. ორბელიანი-ოკლობუიოსი ანასტასია კონ-
სტანტინეს ასული.

ტასო - იხ. ორბელიანი-გაგარინისა ანასტასია დავითის
ასული.

უცმივეი ხასაი ხან მუსა ოღლი (1808-1867) - გენერალ-
მაიორი, ყარაბაღის სახანოს მმართველი. 111.

ფალავანდოვი - ფალავანდიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე
(„მიქაიჩი“) - რუსულ მმართველობასთან დაახლოებული სა-
მოქალაქო გუბერნატორი, მთავარმართველის საბჭოს წევრი.
ცოლად ჰყავდა ლუარსაბ ორბელიანის ასული მაიკო (მარი-
მი). მათი ქალიშვილი ელისაბედი გათხოვდა კონსტანტინე
ივანეს ძე მუხრან-ბატონზე. 121.

ფატიმატი - შამილის მეშვიდე ცოლი. 9.

ფეზე კარპე კარპეს ძე (1797-1848) - რუსი გენერალი,
იმპერატორ ალექსანდრე I-ის წარმომადგენელი, უმაღლესი
სასამართლოს მდივნისა და სამხატვრო სკოლის პროფესორის
ვაჟი. დაიბადა ბერნში. მსახურობდა შვეიცარიის ჯარში. ნა-
პოლეონის წინააღმდეგ განხორციელებული კოალიციური

ომის დროს მას უკვე მაიორის ჩინი ჰქონდა. იყო შტაბს-კაპიტანი ფინლანდიის პოლკის ლეიბ-გვარდიაში. მონაწილეობდა პოლონეთისა და დაღესტნის ომებში (1836–1844). დაჯილდოებული იყო სხვადასხვა სამხედრო ორდენით. 144.

ფილიმონა – ფილიმონა – ილია ორბელიანის პირადი მსახური. 20, 21.

ქარიმათი – დანიელ (დანიილ) სულთნის ქალიშვილი, რომელიც ცოლად გაჰყვა შამილის ვაჟს, ყაზი მუჰამედს. 53.

ქეთევანი – იხ. ალექსი-მესხიშვილი-ორბელიანისა ქეთევან დიმიტრის ასული.

ქეთევანი – იხ. ერისთავი-ორბელიანისა ქეთევან გიორგის ასული.

ქობულაშვილი ოთარ დავითის ძე – სამეფო კარზე დანიშნაურებული პირის, დავით ქობულაშვილის, ვაჟი. მათ ნაბოძები ჰქონიათ კახეთის მდივნობა. ამ თანამდებობაზე მამის შემდეგ ოთარიც უკურთხებიან. 194.

ქობულაშვილისა ბარბარე – ოთარ ქობულაშვილის ქვრივი. 194.

ქობულაშვილი მიხეილ – ყოფილი თელავის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი. 43.

ლამაზოვი – იხ. გამაზოვი აბელ არაქელის ძე.

ლამაზოვი – იხ. გამაზოვი მათე აბელის ძე.

ლოპზე თეოდორ ივანეს ძე – მთავარსარდლის შტაბის მაიორი. 138.

ყაზი მუჰამედი (1833-1903) – კარატის ნაიბი, შამილის ვაჟიშვილი. ცოლად ჰყავდა დანიილ სულთნის ქალიშვილი ქარიმათი. 19, 42, 53.

ყაფლანი – იხ. ორბელიანი ყაფლან ასლანის ძე.

ყიზიჩ მაჰმადი – შამილის ნაიბი სოფელ ტელეტლოდან. არაბულ ენაზე განსწავლული, იმამის პოსტის პრეტენდენტი. 1863 წლიდან ოსმალეთში წავიდა. 19.

ყორღანოვი – ყორღანაშვილი იოსებ ივანეს ძე – ნუხის მაზრის უფროსი. 190.

შაგა ბიქე - ელისუს მმართველის, დანილ ბეგის, მე-
ულლე, ელისუს ძველი მმართველის, ახმედ ალას, ქალიშვილი.
52.

შადინოვი გრიგოლ - სავარაუდოდ, თბილისელი ვაჭარი.
72.

შალიკოვი - შალიკაშვილი ივანე იოსების ძე (1813-1866)
- კაპიტანი ქართველ გრენადერთა პოლკში, პოლკის ხაზინა-
დარ სვიმონ შალიკაშვილის ძმა. 51.

შალიკოვი - შალიკაშვილი სვიმონ იოსების ძე - ოფიცე-
რი ქართველ გრენადერთა პოლკში 1830-1850 წლებში. 1850-
1854 წლებში მსახურობდა ზაქათალის ოლქში (ამჟამად შედის
აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში) ქართველ
გრენადერთა პოლკის ხაზინადრად.

წერილების ადრესატი. იხ. აგრეთვე გვ.: 80, 109, 193.

შამილი (1798-1871) - კავკასიელი მუსულმანების პო-
ლიტიკური, სამხედრო და რელიგიური ლიდერი (1834-1859).
განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა დაღესტნელ
და ჩეჩენ ხალხებს შორის. 1859 წლის 28 აგვისტოს დაატყვე-
ვეს და ოჯახით კალუგაში გადაასახლეს. გარდაიცვალა ქ. მე-
დინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი), სადაც მოსალოცად
იყო წასული. 9, 14, 19, 35, 36, 37, 39, 40, 42, 43, 45, 47, 53,
55, 56, 61, 63, 85, 86, 87, 90, 91, 92, 97, 101, 102, 104, 106,
107, 108, 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 120, 121,
122, 123, 127, 131, 132, 133, 134, 136, 137, 139, 140, 141,
142, 143, 144, 145, 148, 150, 151, 154, 156, 157, 159, 160,
162, 163, 164, 165, 168, 169, 170, 173, 174, 176, 177, 179,
184, 187, 190, 191, 193, 194, 196, 200, 201, 202, 204, 205,
206, 207, 223.

შამსუდინ-ხანი (დაბად. 1818 წელს) - შამხალ აბუ-მუს-
ლიმ-ხანის ვაჟი. იბრძოდა რუსეთის მხარეს. 218.

შახოვსკი ალექსეი ივანეს ძე (1821-1900) - რუსეთის არ-
მიის გენერალი. მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებში მთი-
ელთა წინააღმდეგ. 28.

შეიხულ ისლამი – შეიხ-ულ-ისლამი – ამირ ჰამზას ვაჟი. მრავალი წლის განმავლობაში ტყვედ იმყოფებოდა რუსეთში. 128, 133, 136, 144.

შენგარდი – ვინაობა დაუდგენელია. 79.

შიხმაჰმადი – მუსლიმანი ღვთისმსახური ნახჭევანის რაიონის სოფელ ხანაგიდან, რომელიც 1855 წელს ტაბასარანის აჯანყებას ამზადებდა. 169, 196, 219, 223, 227.

შოსტაკი ანდრია ანდრიას ძე (1816-1876) – პოლკოვნიკი, დალესტნის 82-ე ქვეითი პოლკის მეთაური. 186.

შუაზელი – იხ. გოლიცინ-შუაზელ-გოფიესი ბარბარე გრიგოლის ასული.

შჩერბინინი მიხეილ პავლეს ძე (1807-1881) – რუსი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. 1851 წლიდან მეფისნაცვლის საიდუმლო კანცელარიის მმართველი. 1852 წელს დაევალა „კავკასიის კალენდრის“ გამოცემაზე ზედამხედველობა. 1858 წელს გამოსცა ვორონცოვის ბიოგრაფია. 80, 151, 173.

შჩერბინინი პავლე მიხეილის ძე – კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი 1845-1856 წლებში. 154.

ჩერქეელი იანუს (იუნუს) (1810-1872) – შამილის ნდობით აღჭურვილი პირი და მისი უახლოესი თანამებრძოლი. 129.

ჩილაევი – იხ. ქილაშვილი სერგი (შიოში) გაბრიელის (გლახას) ძე.

ჩოლოყაევი – ჩოლოყაშვილი მიხეილ ივანეს ძე – მაიორი, თუშ-ფშავ-ხევსურთა ოლქის უფროსი მე-19 ს-ის 40-იან წლებში. 30, 59, 60.

ჩუპიატოვი – მაიორი ქართველ გრენადერთა პოლკში. სახელი უცნობია. 51.

ციციანოვი – ციციშვილი პავლე დიმიტრის ძე (1754-1806) – გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე. დაიბადა და სამხედრო განათლება მიიღო მოსკოვში. გამოირჩეოდა რუსეთის იმპერიის ერთგულებით. 1802-1806 წლებში იყო კავკასიის მთავარმართველი.

მისი ძალისხმევით იმერეთის სამეფო შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. იყო რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში. 1806 წელს ბაქოში მოკლეს სპარსელებმა. დაკრძალულია სიონის ტაძარში. 15.

ჭავჭავაძე ალექსანდრე დავითის ძე – დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ვაჟიშვილი. 159, 160.

ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა ნინო ალექსანდრეს ასული (1812-1857) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, მუსიკოსი, მომღერალი, მოცეკვავე. წინანდალსა და თბილისში აწყობდა ოჯახურ სპექტაკლებს, სადაც თავადაც მონაწილეობდა. აღიზარდა პრასკოვია არსენიევა-ახვერდოვას პანსიონში, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ალექსანდრე გრიბოედოვი. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ აღარ გათხოვილა. ჩართული იყო სახელმწიფო საქმეებში. გარდაიცვალა მალარიით. ანდერძის თანახმად, დაიკრძალა მთანმინდაზე, მეუღლის გვერდით. 107, 219, 223.

ჭავჭავაძე-დადიანისა ეკატერინე ალექსანდრეს ასული (1816-1882) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანის მეუღლე. იყო სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი. მემკვიდრის სრულწლოვანებამდე, მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, 1853 წელს, რუსეთის იმპერატორმა რეგენტად დაამტკიცა. ყირიმის ომის დროს ეკატერინე პირადად მონაწილეობდა ოსმალთა სარდალ ომარ ფაშას წინააღმდეგ კამპანიაში. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ იგი დასახლდა ჯერ სანკ-პეტერბურგში (სადაც „სტატს დამის“ ნოდება მიანიჭეს და წმინდა გიორგის მედლით დააჯილდოვეს), შემდეგ კი გერმანიაში გაემგზავრა. 60-იანი წლების ბოლოს, საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ III-ის ოჯახის მიწვევით, შვილებთან ერთად საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. გარდაიცვალა გულის ავადმყოფობით. დაკრძალულია მარტვილის მონასტერში, მეუღლის გვერდით. 50, 107, 227, 230.

ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1818-1884) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, შტაბსკაპიტანი, მიხეილ ვორონცოვის ადიუტანტი. მსახურობდა ლეიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის დროს (1853-1856) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფის ფლიგელ-ადიუტანტი გახდა. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალ-მაიორის ჩინი მიენიჭა და მეფის ამაღლაში ჩაირიცხა. ამავდროულად კავკასიის არმიაშიც მსახურობდა. ცოლად ჰყავდა ილია ბატონიშვილის ასული ანა. 109, 114, 116, 119, 122, 123, 125, 127, 145, 148, 156, 159, 160, 163, 164, 165, 169, 181, 208, 212, 223, 224, 230.

ჭავჭავაძე ზაქარია გულბათის ძე (1824-1905) – გამოჩენილი მხედართმთავარი. 17 წლის ასაკში ნიჟეგოროდის ლეგიონში ჩაირიცხა მოხალისედ. 1885-1893 წლებში კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობდა. ოფიცრობის 50 წლისთავთან დაკავშირებით „ბრილიანტის ნიშანი“ და ალექსანდრე ნეველის I კლასის ორდენი გადაეცა. დაკრძალულია შუამთაში, საგვარეულო სასაფლაოზე. 195, 199-200.

ჭავჭავაძე იასონ იოანეს ძე (1804-1857) – გენერალ-მაიორი, ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის მეთაური. გარდაიცვალა მშობლიურ სოფელ წინანდალში. დაკრძალულია თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში. 14, 121, 195, 208.

ჭავჭავაძე-ნიკოლაისა სოფიო ალექსანდრეს ასული (1833-1862) – პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, ბარონ ნიკოლაის მეუღლე. დაკრძალულია ქ. ვიბორგში მეუღლის გვერდით. 119, 121, 123.

ჭავჭავაძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1830-1903) – მოსამართლე, თბილისის სასამართლო პალატის დეპარტამენტის უფროსი. ცოლად ჰყავდა ესტატიე ერისთავის ასული ქეთევანი. 18, 160, 162.

ჭილაშვილი სერგი (შიოში) გაბრიელის (გლახას) ძე (1803-1864) – გენერალ-მაიორი, შემახიის სამხედრო გუბერნატორი და სამოქალაქო ნაწილის მმართველი. მონაწილეობდა რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. ყარსის აღებისას მიიღო შტაბსკაპიტნობა. 1834-1835 წლებში ნოვოალექსანდროვკის ციხის უფროსად მსახურობდა ორენბურგის მხარეში. 1839 წელს მონაწილეობდა ხივის ექსპედიციაში. 1842 წელს მიიღო როტმისტრის წოდება. მონაწილეობდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. სამხედრო გუბერნატორად იმსახურა 7 წელიწადი. დაკრძალულია დუშეთში. 215, 218, 223.

ხალაჯოვი მურთაზალ – ბელაქნის მმართველი. ხალაჯა მის წინაპარს ერქვა. 108.

ხალით ეფენდი//ხალათ ეფენდი//ხალათეფენდი//ხალათეფენდი – ხალიდ ეფენდი – დაღესტნის ცნობილი სასულიერო პირი, ნაიბ ხალვაჯ დიბირის ძმა. 56, 62, 72, 74.

ხანიკოვი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე (1822-1878) – რუსი დიპლომატი, კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელე, 1853 წელს დაინიშნა გენერალური საკონსულოს მმართველად თავრიზში. 78.

ხასაიმუსაი – იხ. უცმიევი ხასაი ხან მუსა ოღლი.

ხაჯიევი ოროტელი – ანდის ნაიბი, შამილის ხაზინადარი. 129.

ჯამშალედინი//ჯამალედინი – ჯემალ-ედ-დინი – შამილის შვილი. 1839 წელს, როდესაც იგი 6 წლის იყო, მამამისმა რუს გენერალს, ალექსანდრე გრაბეს, მძევლად გადასცა ოჯახის სხვა წევრებისა და მებრძოლების გადარჩენის მიზნით. 1855 წელს შამილმა იგი ჭავჭავაძეების ოჯახის წევრებზე გადაცვლის შედეგად დაიბრუნა. ჯემალ-ედ-დინი აღიზარდა რუსეთში ქართველი არისტოკრატის მიერ. მიიღო კარგი განათლება და ტრიალებდა რუსეთის მაღალ საზოგადოებაში. შემდგომში ქრისტიანად მოინათლა და ვარშავაში დაბანაკებული რუსის ჯარის ოფიცერი გახდა. 113, 116, 120, 128, 131, 133, 134, 136, 139, 140, 141, 142, 144, 148, 150, 154, 156,

157, 159, 160, 162, 163, 164, 165, 168, 169, 170, 174, 176, 204, 207.

ჯამო ბეკი//ჯამობეგი – ჯამოვ-ბეგი – პოლკოვნიკი, დალესტნის მხარის, ყარაყაითალის, მმართველი 1847-1857 წლებში. 98, 192, 223.

ჯორჯაძე გიორგი დავითის ძე (1819-1886) – პორუჩიკი, დალესტნის ბრძოლების მონაწილე, დიმიტრი ჯორჯაძის ძმა. 109.

ჯორჯაძე დიმიტრი დავითის ძე (1822-1883) – საოლქო კანცელარიის გამგე დალესტანში, ქალაქ თემირხანშურაში (დღევანდელი ბუინაქსკი). 75, 100, 104, 115, 132, 205.

ჯოხაძე – გრიგოლ ორბელიანის ნაყმევი. 95.

ჰამზათი – პორუჩიკი, შამილის დისწული, იმყოფებოდა რუსეთის ტყვეობაში. გარდაიცვალა პეტროვსკში 1858 წელს. 128, 133, 144.

ჰარისილაუ – ალიბეკ ავარსკის ვაჟი. 1839 წლიდან ტყვედ იმყოფებოდა რუსეთში. შამილს სურდა, ჰარისილაუსთან ერთად, კიდევ ორი ავარელი ტყვე (ჰამზათი და შეიხულ ისლამი) გამოეხსნა რუსეთის ხელისუფლებისაგან და გაეცვალა ჭაჭავაძის მამულიდან გატაცებულ ქალებსა და ბავშვებში. 128, 133, 134, 144.

ჰასანი – დიპლომატი, შამილის ნდობით აღჭურვილი პირი ბურთუნაიდან. გარდაიცვალა 1857 წელს. 141.

ჰაჯი აბდულლა – ჰაჯი აბდულა ეფენდი – მუსლიმანი სწავლული ქურის სახანოდან. 198.

ჰაჯი ალა-ბეგი – იხ. ლიალაბეკოვი ჰაჯი ალა-ბეგი.

ჰაჯი დარვიში – კატეხის მმართველი, ბელაქნის მკვიდრი, რუსეთის მხარდამჭერი. 15.

ჰაჯი იტიჩაუ – რუსული ორიენტაციის დალესტნელი პირი. 81.

ჰაჯი მაჰმადყადი – იხ. ტაირჰაჯი. 223.

ჰაჯიმაჰმუდი – გრიგოლ ორბელიანთან დაახლოებული პირი ბელაქნიდან, რუსეთის მხარეს მებრძოლი. 81.

ჰაჯიმურადი – ჰაჯი მურატი (მურადი) (1814-1852) – შამილის უმამაცესი ნაიბი, დაღესტნის თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი. დაიბადა და აღიზარდა დაღესტანში, ხანების სასახლეში. თავისი გავლენით თითქმის შამილის მეტოქეც გახდა. შამილთან დაპირისპირების გამო რუსულ მმართველობას ეახლა. მოკლეს გაქცევის მცდელობისას ნუხის (ამჟამინდელი შაქის) მაზრაში. 222, 226.

ჰაჯიყაზი – ჰაჯი ყაზი – რუსეთის მხარეს მებრძოლი მთიელი. მოგვიანებით შამილის მხარეს მოისურვა გადასვლა. 61.

ჰუსეინი (ყაზახი ურიადნიკი) – რუსების წინააღმდეგ მებრძოლი მთიელი, რომელსაც თავი მოჰკვეთეს. 226, 227.

გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი

ავარია – იგივე ლუნძეთი, ხუნძახი. ფეოდალური სამფლობელო დაღესტანში. ავარიის სახანომ თავის ძლიერებას მიაღწია XVIII ს-ში და მოიცვა დაღესტნის ჩრდილო და დასავლეთი რაიონები. მისი გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი ჭარ-ბელაქანი. 1843 წელს ავარიის სახანო გააუქმა რუსეთმა და შექმნა გამგეობა, რომლის ზედამხედველობა დაეკისრა გრიგოლ ორბელიანს. 22, 71, 187, 193, 194, 196, 200, 201.

ავსტრია – სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. დედაქალაქი – ვენა, სახელმწიფო ენა – გერმანული. 121.

აზია 24, 65, 102, 201.

აიმაკი – სოფელი დაღესტანში. მდებარეობს გიმრის მთაგრეხილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე, ზუბერხის მთის ძირში. 193.

ალაზანი – მდინარე აღმოსავლეთ საქართველოსა და აზერბაიჯანში. 21, 30, 32, 33, 40, 58.

ალექსანდროპოლი – დღევანდელი ქალაქი გიუმრი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 79, 80.

ალმალო – სოფელი დაღესტანში, მაჰაჩყალიდან 26 კილომეტრში. 33.

ამიერკავკასია 91, 101, 102.

ანანური – სოფელი მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, საქართველოს ყოფილ სამხედრო გზაზე, 1803-1821 წლებში იყო ყოფილი ანანურის მაზრის ცენტრი. ამჟამად შედის დუშეთის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. 94.

ანატოლია – კავკასიასთან ერთად წარმოადგენს ევროპისა და აზიის შემაერთებელ ხიდს. 51.

ანგლია – ინგლისი 51, 62, 92.

ანდი – დაღესტნის ძლიერი ტომის სამოსახლო მდინარე ანდიის ყოისუს მარცხენა სანაპიროზე. 187, 191.

ანწუხი - სოფელი დაღესტანში, კავკასიონის ქედის მახლობლად, ყოფილი ჭარ-ბელაქნის ოლქის ჩრდილოეთით. 108.

არაქსი (ძვ. ქართ. რახსი, არეზი) - მდინარე ამიერკავკასიაში, მტკვრის უდიდესი შენაკადი. მიედინება თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სიგრძე 1072 კმ. 80.

არაჰყულის ხეობა - მდებარეობს ნოსდალის მახლობლად, სამურის ოლქში. 108.

არზრუმი - **ერზურუმი** - ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ერზურუმის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მაღალ ფერდობზე. მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ქურთები შეადგენენ. 51, 65.

არკიტის ხეობა - მდებარეობს ტაბასარანში (დაღესტანი). 219.

არფაჩი - მდინარე არაქსის მარცხენა შენაკადი, ითვლებოდა კავკასიისა და თურქეთის საზღვრად. 65.

არქაზი/არქასი - სოფელი დაღესტანში, ამჟამინდელ ბუინაქსკის რაიონში. 193, 206.

აფხაზეთი 219.

ალბულალი - ქალაქ თეთრინყაროს სახელწოდება XX საუკუნის შუა წლებამდე. მდებარეობს გომერის ქედზე ზღვის დონიდან 1180 მეტრის სიმაღლეზე. 83.

ალქენთი - **ალკენთი** - სოფელი მეხთულაში (დაღესტანი). 193, 200.

აშილთა - სოფელი დაღესტანში. 9.

აშტიყუყუმის მთები - ტაბასარანის ერთ-ერთი მთა, მაგრამ მთის სახელი ავტორს არასწორად აქვს მოცემული. შესაძლოა, საუბარი იყოს კარკულის მთაზე. 222.

ახალციხე 51, 228.

ახატლი - სოფელი დაღესტანში. 186.

ახტა - სოფელი დაღესტანის სამხრეთ ნაწილში, ყოფილი სამურის ოლქში, ახტისა და სამურის მდინარეების შენაკადთან. სოფელი ადრე კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში

შედიოდა ტლურის სახელწოდებით, შემდეგ – ლაკის ადრე-ფეოდალურ სახელმწიფოში, უფრო მოგვიანებით კი – რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 87, 91.

აჰყომა – სოფელი დალესტანში, რაიონული ცენტრი. ძირითადად, დარღოელებითაა დასახლებული. 85, 86, 87, 151, 200, 202, 206.

ბაიაზეთი (თურქ: დოღუბაიაზით (1934 წლამდე: ბაიაზით). ქურთულად: ბაზიდ სომხურად: არშაკავან) – მდებარეობს ძველი სომხული ქალაქის – არშაკავანის – ადგილზე. 112.

ბაქო – აზერბაიჯანის დედაქალაქი. „ბაქო“ აზერბაიჯანულად ნიშნავს ქარიან ადგილს. მდებარეობს კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, აფშერონის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. 87, 220.

ბეიბურთი – ციხე-სიმაგრე ლაზისტანის ზღვაზე. 51.

ბელაქანი – ქალაქი აზერბაიჯანში, ბელაქნის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი, შაქი-ზაქათალის ეკონომიკური ზონის ნაწილი. მოსახლეობის უმეტესობას აზერბაიჯანელები შეადგენენ, დაახლოებით მეხუთედი ხუნძები არიან, ცხოვრობენ ასევე ქართველები (ინგილოები). 15, 19, 21, 24, 33, 35, 37, 40, 42, 56, 61, 62, 74, 108.

ბელიკლუჩი – იხ. აღბულაღი. 77.

ბორჩალო – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. სახელწოდება მოდის შაჰ-აბასის მიერ XVII საუკუნეში ჩამოსახლებული ბორჩალუს ტომის თურქმანებისაგან. რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად, 1880 წელს შეიქმნა ბორჩალოს მაზრა (ცენტრი – დიდი შულავერი). მოიცავდა ახლანდელი წალკის, მანგლისის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოლნისის, მარნეულის და სხვ. ტერიტორიას. გაუქმდა 1929 წელს. 1947 წელს ეწოდა მარნეული. 78, 86.

ბურთუნაი – ადგილობრივთა გამოთქმით, „ბურტინა“. შამილის გამაგრებული სოფელი დალესტანში, სალათავიის მხარეში. მთიელების ძლიერი სტრატეგიული პუნქტი, რომე-

ლიც აიღო გრიგოლ ორბელიანმა 1857 წელს. სოფლის ნანგრევების ახლოს აგებულ იქნა ციხე-სიმაგრე ჭარელეებისათვის – ახალი ბურთუნაი. 141.

ბუტრი – აჰყომის სოფელი (დალესტანი). 63.

გავარი – ქალაქი სომხეთში. 27.

გამაშის//ლამაშის მთები – მთები ყოფილ ყაზიყუმუხის სახანოში (გამაში ლეკების სოფელია). 121, 122, 123, 206.

გილლი – გილი – ერთ-ერთი უძველესი სოფელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 187, 207.

გიმრი – დიდი სოფელი დალესტანში, მდ. ხუნძეთის ყოისუს მარჯვენა სანაპიროზე, ღრმა ხეობაში; შამილის სამშობლო. 9.

გოდორდალი – იგივე კოროდახი, მაღალმთიანი სოფელი დალესტანში, ლუნიზის რაიონში, ჭარ-ბელაქნის ოლქის მოსაზღვრე აღმოსავლეთით. 32.

გონზოგორი – იგივე გონზო, მთა ზაქათალის ხეობაში (დალესტანი). 39, 40, 42, 43.

გორდი – სოფელი ხონის რაიონში, დადიანების ყოფილი საზაფხულო რეზიდენცია. მდებარეობს სამი მხარის – იმერეთის, სამეგრელოსა და ლეჩხუმის – საზღვარზე, კოლხეთის ჩრდილოეთ მთისწინეთში. 227.

გორი 228.

გროზნო – ჩეჩნეთის დედაქალაქი, მდებარეობს მდინარე სუნჯაზე. დაარსდა 1818 წელს. თავდაპირველად ციხესიმაგრე „გროზნია“ აგებულ იქნა გენერალ ერმოლოვის მიერ, შემდგომში გახდა ოლქის ქალაქი. 1869 წელს ეწოდა გროზნო. 133, 156, 157.

გუბახი – მთა ბელაქნის რაიონში. 109.

გუბდენი – თარკოს ყოფილი საშამხლოს ნანილი, სოფელი ყარაბუდახკენტის რაიონში. მაჰაჩყალიდან 62 კილომეტრში. 202.

გურია 216.

გუსარკა – გუსარი – სოფელი აზერბაიჯანში, ყოფილ ყუბის მაზრაში. 112.

დარლო – დიდი სოფელი დაღესტანში, შამილის ყოფილი რეზიდენცია. 1845 წლის მაის-ივლისში ვორონცოვის სარდლობით მოეწყო ექსპედიცია დარლოს ასაღებად. 14, 19, 37, 113, 121, 123, 125, 145, 148, 150, 154, 159, 160, 202.

დაღესტანი – დაღესტანი (სიტყვა თურქულია, „დაგ“ მთებს ნიშნავს, „სტანი“ – მიწას) – დაღესტნის რესპუბლიკა შედის რუსეთის სამხრეთ ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქი – მაჰაჩყალა. ტერიტორია დასახლებული ყოფილა პალეოლითის ეპოქიდან. 1813 წელს, რუსეთ-სპარსეთის გიულისტანის ხელშეკრულების საფუძველზე, დაღესტანი რუსეთის იმპერიას მიუერთეს. 1860 წელს კი დაარსდა რუსეთის იმპერიის დაღესტნის ოლქი. 1920 წელს გამოცხადდა დაღესტნის ავტონომია, 1921 წელს შეიქმნა დაღესტნის ასსრ. 1991 წელს დადგინდა მისი სტატუსი: დაღესტნის რესპუბლიკა – რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. აქ ცხოვრობენ: ავარელები, ლეკები, დარღელები, ყუმუხები, ლაკები, ჩეჩნები და სხვ. 14, 66, 84, 85, 86, 90, 91, 97, 101, 102, 143, 150, 151, 154, 169, 173, 174, 175, 176, 180, 201, 202, 204, 206, 207, 208.

დედოფლისწყარო – დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი, ყოფილი წითელწყარო (საბჭოთა ხელისუფლების დროს). 23, 26, 40, 49, 63.

დერზენდი – ამჟამად დარუბანდი, მნიშვნელობით მეორე ქალაქი დაღესტანში, კასპიის ზღვის ნაპირზე (მაცხოვრებლები: აზერბაიჯანელები, ლეკები და სხვ.). 85, 91, 156, 208, 216, 218, 220, 224, 225, 227.

დიდო – დაღესტნელ მთიელთა ტომი. ცხოვრობენ ყოფილი ჭარ-ბელაქნის ოლქის ჩრდილოეთით, კავკასიის ქედის გადაღმა. 107.

დინდიდალი – კავკასიონის მთავარი ქედის მწვერვალი დაღესტნისა და აზერბაიჯანის საზღვარზე. 39, 63.

დიშლარი - დიშლაჭარი - ამჟამინდელი სერგოკალა, დაბა სამურის ოლქში (სამურის პოლკის შტაბს აქ ჰქონდა ბინა). 200.

დორღელი - სოფელი დაღესტანში. 187.

დუნაი - მდინარე ევროპაში, ერთვის შავ ზღვას. 98, 118.

ევროპა 22, 98, 170, 176.

ელიზავეტოპოლი (ელიზავეტპოლი) - ისტორიულად ირანის (სპარსეთის) მნიშვნელოვანი ქალაქი, ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქი. რუსეთის იმპერიის პერიოდში ელიზავეტოპოლი ერქვა. 1920-1935 წლებში ეწოდებოდა განჯა. მისი სახელი კიდევ შეიცვალა და დაერქვა კიროვაბადი (1935-1991 წლები). საბოლოოდ მისი სახელი საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისას შეიცვალა და 1991 წლიდან დღემდე განჯა ჰქვია. 53.

ელისუ - კახეთის ისტორიული ნაწილი, სტრატეგიული პუნქტი, ელისუს სახანოს მმართველების ყოფილი რეზიდენცია, შედიოდა ყოფილ ზაქათალის ოლქში. ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. 22, 35, 36, 52, 180.

ენგური - მდინარე დასავლეთ საქართველოში, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთასა და კოლხეთის ბარში. 207.

ენისელი - ყოფილი სასულთნო კახეთის ისტორიულ ნაწილში (საინგილო). ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზეა. 32.

ერევანი - 26, 104.

ერფელისი - ერპელი - ყუმბიხების დიდი სოფელი. 186, 218, 219, 222.

ვარშავა - პოლონეთის დედაქალაქი. მდებარეობს მაზოვიეცის დაბლობზე, მდინარე ვისლის ორივე ნაპირას. 1596 წლიდან პოლონეთის დედაქალაქია. 219.

ვენა - ავსტრიის დედაქალაქი. მდებარეობს მდინარე დუნაის ორივე სანაპიროზე, ცენტრალური ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. 174.

ვლადიკავკაზი - ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, მდებარეობს რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით (გარკვეულ პერიოდებში ეწოდებოდა ძაუჯიყაუ და ორჯონიკიძე). 8, 163, 164, 165, 179, 194.

ზაქათალა - ზაქათალის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთში. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემავალი ზაქათალის ავტონომიური ოლქის ცენტრი იყო. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მითითებით, კავკასიელმა კომუნისტებმა ქალაქი ზაქათალა, თავის ოლქთან ერთად, საქართველოს უკანონოდ ჩამოაჭრეს და აზერბაიჯანს გადასცეს. 8, 9, 10, 11, 14, 15, 18, 20, 21, 23, 24, 25, 27, 28, 30, 31, 35, 39, 40, 45, 46, 47, 49, 50, 52, 55, 59, 62, 63, 65, 66, 68, 69, 70, 73, 75, 76, 77, 78, 79, 100, 110, 133, 201.

ზუბუტი - **ზუბუტლი** - დაღესტნის ერთ-ერთი უძველესი სოფელი. 186.

ზუგდიდი 227, 229.

თალა - სოფელი საინგილოში. 36.

თბილისი//ტიფლისი 11, 24, 35, 36, 40, 47, 55, 56, 59, 63, 66, 68, 69, 72, 76, 77, 78, 81, 84, 85, 91, 94, 97, 104, 118, 121, 123, 150, 157, 163, 165, 166, 168, 183, 190, 212, 213, 216, 229.

თელავი 220, 221.

თემირხანშურა//შურა - 1922 წლამდე ციხესიმაგრე დაღესტანში, კავკასიონის მთისწინეთში, მდ. შურა ოზენის ნაპირზე. ამჟამად ქალაქი ბუინაქსკი. 8, 9, 10, 11, 13, 77, 78, 80, 84, 85, 90, 91, 95, 96, 97, 101, 105, 106, 107, 120, 123, 127, 132, 133, 137, 139, 140, 141, 143, 145, 148, 150, 154, 156, 157, 159, 161, 162, 163, 165, 166, 167, 168, 173, 175, 180, 181, 182, 183, 184, 185, 186, 190, 191, 195, 199, 200,

202, 204, 205, 206, 208, 212, 213, 219, 221, 224, 229, 230, 231, 232.

თერგი – მდინარე. მოიცავს საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებს. სათავეს იღებს კავკასიონის ზიღვახოხის მყინვარიდან. 86, 91.

თურჩიდალი – მთა ანდალალში (დაღესტანი). 110, 112, 113, 114, 115, 119, 120, 121.

თუშეთი 30, 59, 60.

იმერეთი 229, 230.

ინდოეთი – ქვეყანა სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. მოსაზღვრე ქვეყნებია: პაკისტანი, ავღანეთი, ჩინეთი, ნეპალი, ბუმტანგი, მიანმა, ბანგლადეში. 9, 18.

ირანი – სახელმწიფო აზიის სამხრეთ-დასავლეთით, დედაქალაქი – თეირანი; ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო მსოფლიოში, ზოროასტრიზმის (მაზდეანობის) შექმნის ადგილი. 22.

ირიბი – იგივე ირიხი, მთავარი სოფელი ტლესერუხში, გამაგრებული სტრატეგიული პუნქტი შამილის დროს, ნაიბ დანიილ ბეგის რეზიდენცია 1844-1859 წლებში. 19, 42, 47, 110.

იშკარტი – ყუმბხელთა სოფელი თემირხანშურასთან ახლოს, დაღესტნის ქვეითი პოლკის შტაბბინა. 186.

კავკასია//კავკაზი 14, 22, 86, 90, 91, 97, 104, 175, 207.

კავკასიონი 27, 30.

კარატა – მთავარი სოფელი ამავე სახელწოდების თემისა დაღესტანში, შამილის ვაჟის, ყაზი მუჰამედის, ყოფილი რეზიდენცია. 14, 37, 61, 202, 207.

კასპიისპირა მხარე 169, 177, 208.

კატეხი – ერთ-ერთი მთავარი სოფელი ყოფილ ჭარ-ბელაქნის ოლქში. 15, 27, 31, 36, 42, 47, 56.

კაფირი – ამჟამად სოფელი კაფირ-ყუმუხი, შედის ბუინაქსკის რაიონში (დაღესტანი). 187.

კახეთი 108, 109.

კახი – სოფელი ყოფილ ქარ-ბელაქნის ოლქში, ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე. დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. 27, 35, 36, 40, 63.

კახოგანი – სავარაუდოდ, კახ-ინგილო, ან გორაგან-კახი, კახთან ახლომდებარე სოფელი. 27.

კობეჩი – დარღოელებით დასახლებული რეგიონი ცენტრალურ დაღესტანში. 86.

კოდა – ორბელიანთა საგვარეულო მამული ქვემო ქართლში. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, ახლანდელი თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორია. 213.

ლუჩეჯი – სოფელი დაღესტანში, ამჟამინდელ რუთულის რაიონში. მდებარეობს მდინარე სამურისა და ყარა-სამურის შესართავთან. ადრე ეწოდებოდა უხტუხჩაი. 36, 91, 206.

მარალა – სოფელი ყარაბაღში. 216, 226.

მარლი – დაღესტნის ლაკეთის მხარის სოფელი. 110.

მაცხიხი – სოფელი ყოფილ ზაქათალის ოლქში. 36, 42.

მენგრელია//სამენგრელო – სამეგრელო 50, 219, 230.

მესელდეღერი//მესელდეგერი – მთა კავკასიონის ქედზე (ზაქათალის მახლობლად), რომელზეც აგებული იყო ციხე. 27, 28, 31, 32, 36, 40, 42, 45, 46, 47, 55, 56.

მეხთულის სახანო – იგივე სამეხთულო, ყუმისხური და ავარიული სოფლების გაერთიანება, რომელიც XIX საუკუნეში შედიოდა თემირხანშურის (ამჟამად ბუინაქსკი) ოლქში. ხანის რეზიდენცია იყო ჯუნგუთაიში. 187, 206.

მთიანი მაჰალი – შედიოდა ყოფილ ქარ-ბელაქნის ოლქში. 86.

მოსკოვი – რუსეთის ფედერაციის დედაქალაქი. სხვადასხვა დროს იყო მოსკოვის დიდი სამთავროს, რუსეთის სამეფოს, რუსეთის იმპერიის, საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა კავშირის დედაქალაქი. მდებარეობს რუსეთის ევროპული ნაწილის ცენტრში, ოკისა და ვოლგის შუამდინარეთში, მდინარე მოსკოვის ორივე ნაპირზე. წყაროებში პირველად 1147 წლი-

დან მოიხსენიება. XIII ს-ის დასაწყისში იგი სამთავროს ცენტრი იყო. 181, 212, 213, 223, 224, 228, 229, 230.

მტკვარი – სამხრეთ კავკასიის უდიდესი მდინარე. სათავეს თურქეთში, ყიზილ-გიადუკის მთის კალთაზე, იღებს. ჩაედინება კასპიის ზღვაში, აზერბაიჯანში. მისი აუზი მოიცავს სომხეთის მთელ ტერიტორიას, აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიების დიდ ნაწილს, თურქეთისა და ირანის ტერიტორიების ნაწილს. საქართველოში ვარძიის მახლობლად შემოდის. 106.

მულანო – მულანო – სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, ქვემო ქართლის მხარის გარდაბნის მუნიციპალიტეტში. 22, 40.

მუხახი – სოფელი დაღესტანში. 35, 42, 204.

ნაფარეული – სოფელი თელავის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდინარე ლოპოტის (ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარცხენა ნაპირას. 35, 42, 204.

ნოსდაღი – მთა დაღესტანში. 108, 109, 111, 200.

ნუხა – ყოფილი სამაზრო ქალაქი აზერბაიჯანში, ამჟამად შაქი. 32, 36, 40, 62, 76, 101, 151, 206.

ოდესა – ქალაქი უკრაინაში, შავი ზღვის სანაპიროზე. 181.

ორენბურღი – ქალაქი რუსეთის ფედერაციაში, ორენბურგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. დაარსებულია 1734 წელს. 191.

ოსმალო//ალიოსმალო – იგივე ოსმალეთის იმპერია. არსებობდა 1299-1923 წლებში. ხშირად მოიხსენიებოდა აგრეთვე, როგორც „თურქეთის იმპერია“. მისი ძლევამოსილების პერიოდში, XVI-XVII საუკუნეებში, იმპერიის ტერიტორია მოიცავდა ანატოლიას, ახლო აღმოსავლეთს, ჩრდ. აფრიკის ნაწილს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს. 24, 62, 65, 66, 67, 79, 80, 229, 230.

ოღლი – სოფელი დაღესტანში. 193, 194, 200, 201, 203.

პეტერბურლი/პეტერბული – სანკტ-პეტერბურგი, ქალაქი ჩრდილოეთ ევროპაში, რუსეთის ფედერაციის ჩრდილო-დასავლეთით, ტურიზმის მნიშვნელოვანი ცენტრი. 1712-1728 და 1732-1918 წლებში რუსეთის დედაქალაქი იყო. პეტერბურგთანაა დაკავშირებული ქართული კულტურის განვითარების გარკვეული პერიოდი. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აქ დაიწყო ქართველთა ინტენსიური კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობა. XIX საუკუნის შუა წლებში კი პეტერბურგის უნივერსიტეტი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საგანმანათლებლო კერას წარმოადგენდა ქართველთათვის. 10, 21, 80, 133, 144, 168, 181, 195, 204, 230.

პეტროვსკი – დაღესტნის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი XIX ს-ში, დღევანდელი მაჰაჩყალა – დაღესტნის დედაქალაქი. მდებარეობს კასპიის ზღვის პირას. ქალაქის ადგილას დასახლება გაჩნდა 1844 წელს, როგორც რუსული სამხედრო სიმაგრე „პეტროვსკოე“. ადგილობრივები ამ ადგილს ყუმბიხურ ენაზე უწოდებდნენ ანჯი-ყალას (Анжи-Кала, ფქვილის-ციხე). 1857 დასახლებამ მიიღო ქალაქის სტატუსი და საპორტო ქალაქ „პეტროვსკ-პორტი“ (Петровск) სახელწოდება. 91, 176.

რუსეთი 65, 80, 86, 98, 102, 128, 132, 137, 141, 144, 169, 170, 174, 175, 176, 182, 205, 208.

რულუჯი – რულოჯაბი, **რულუჯა** – სოფელი ცენტრალურ დაღესტანში, ლუნიბის რაიონში. 217, 223.

სამური – მთა დაღესტანში. 101.

სამურის ოლქი – უკავია დაღესტნის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, ცენტრი – სოფელი ახტა. მდებარეობს კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილო ფერდობის გასწვრივ. მოიცავს მდინარე სამურის სათავეებს. შეიქმნა 1839 წელს. 1840 წლიდან შედიოდა კასპიის ოლქის, 1846 წლიდან – დერბენდის გუბერნიის, 1860 წლიდან დაღესტნის ოლქის, ხოლო 1921 წლიდან დაღესტნის რესპუბლიკის შემადგენლობაში. გაუქმდა 1928 წელს. 200, 206.

სამუხი - სოფელი აზერბაიჯანში, ზაქათალის ოლქში. 53.
საპუნგი (სავარაუდოდ, სუვაგილი) - სოფელი ჭარ-ბე-
ლაქნის ოლქში. 27.

სარლიარი - სარილარი - ყირიმის მთიანი სოფელი (ამ-
ჟამად ბელობროდსკოე). XIX ს-ის II ნახევრის ისტორიულ
წყაროებში მოიხსენიება თათრულ სოფლად. 32.

საქართველო - 91, 97, 144, 145, 150, 154, 156, 175,
203.

საშამხლო - ფეოდალური გაერთიანება ჩრდილოეთ კავ-
კასიაში XII საუკუნიდან 1867 წლამდე. 206.

სევესტოპოლი - ქალაქი უკრაინაში, შავი ზღვის სანა-
პიროზე, ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ-დასავლეთ ნა-
წილში. 154, 174, 177, 184, 193, 195, 199, 205.

სიურგა (იგივე სიურგი, სიურგუ, სირხა) - ცენტრალური
დაღესტნის ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქი. 86.

სილნალი 8.

სომხითი - სომხეთი 68.

სპარსეთი - იგივე ირანი. დედაქალაქი - თეირანი. სა-
ხელწოდება „ირანი“ იხმარებოდა სასანიანთა სახელმწიფოს
ძირითადი ნაწილის აღსანიშნავად. ირანელები თავიანთ ქვეყა-
ნას ამ სახელით მოიხსენიებდნენ, ევროპელებმა კი სპარსეთი
შეარქვეს ცენტრალური ოლქის ფარსის, ანუ პარსის, სახელის
მიხედვით. 1935 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ მსოფლიოს სა-
ხელმწიფოებს მიმართა, რათა იგი მოეხსენიებინათ, როგორც
ირანი. 78, 91, 101.

სტავროპოლი - აქ: ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიაში,
სტავროპოლის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. დაარსდა
1777 წელს, როგორც ციხესიმაგრე. 8, 97, 142, 157.

სტამბული - საუკუნეების განმავლობაში ერქვა კონ-
სტანტინოპოლი, როცა ის ბიზანტიის იმპერიის დედაქალაქი
იყო (ქალაქის ძველი ბერძნული სახელი იყო ბიზანტიუმი).
მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში უდიდესი და უმდიდ-

რესი ქალაქი იყო ევროპაში, რის გამოც „ქალაქთა დედოფალი“ შეარქვეს. 207.

სულაკი - მდინარე დაღესტანში, ჩაედინება კასპიის ზღვაში. 101.

ტაბასარანი - პროვინცია დაღესტნის სამხრეთ ნაწილში. მისი ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა: ჩრდილოეთის (მდ. რუბასის ზემო წელი) და სამხრეთის (მდ. ჩირაგჩაის შუადინების მარცხენა მხარე და მდ. ყარჩაგსუს ზემო წელი). ძირითადად, მთისწინეთია, რომელიც ნაწილობრივ მთასაც მოიცავს და ბარსაც. 85, 86, 87, 97, 151, 169, 173, 176, 196, 199, 202, 217, 218, 219, 222, 223, 224, 225, 227, 228.

ტანაჩი - ყოფილი დასახლება ზაქათალის მხარეში. 15, 32.

ტლესლერუხი - ტლესერუხი - ლეკების დასახლება დაღესტანში, მდინარე ყარა-ყოისუს სათავეში. 110.

ტრაპიზონდი//ტრაპიზონტი - ტრაპიზონი - ქალაქი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე, ისტორიული ტრაპიზონის იმპერიის დედაქალაქი. სამხრეთით ქალაქს აკრავს პონტოს მთები. 52, 62

ტურცია - თურქეთი 14, 24, 53, 63, 69, 90, 92, 97, 170, 176, 207, 208.

უნცითალი - სოფელი დაღესტანში. 219.

ურკრახი - სოფელი დაღესტანში, მდებარეობს აჰყოშისა და ყაითალის საზღვარზე. 97, 151.

ფოხალისთავი - მთა კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, ფოხალის ქედზე. 37.

ფრანცია - საფრანგეთი 51, 62, 92.

ქვეში - აქ: სოფელი ქვემო ქართლში, ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდინარე მაშავერის მარცხენა ნაპირზე. 167.

ქიზიყი 21, 180, 190.

ქუთიშა - სოფელი ყოფილ აჰყოშაში. 110, 184, 193, 197, 199.

ქუთიშის მალღობები - შედის ლევაშინსკის რაიონში (დალესტნის მუნიციპალიტეტი). 185, 190, 192, 194, 195, 196, 200, 206.

ქულუყი - სოფელი დალესტანში. 228.

ქურის სახანო - ლეკთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი სამხრეთ დალესტანში. არსებობდა 1812-1864 წლებში. 1846 წელს შევიდა დერბენდის გუბერნიის შემადგენლობაში. 1848 წლიდან სახანოს არსებობის ბოლომდე მას მართავდა იუსუფ ბეგი. 1864 წელს ქურის სახანოს ნაცვლად შეიქმნა ქურის ოლქი. 85, 87, 97, 169, 173, 196.

ღამაში - იხ. გამაშის მთები.

ღუჟნიკი - იხ. ხუჟნიკი.

ყაბარდო - რუსეთის ფედერაციის სუბიექტი ბალყარეთთან ერთად, შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. 97.

ყადორის უღელტეხილი - ერთმანეთთან აკავშირებს ყვარელსა და დალესტანს. 47.

ყაზანიშჩე - სოფელი დალესტანში, დღევანდელი ბუინაქსკის რაიონში. 187.

ყაზიურთი - სოფელი და ციხესიმაგრე ინგუშეთში. 185.

ყაზიყუმუხი - მთავარი სოფელი ყოფილ ყაზიყუმუხის სახანოში, დალესტნის აღმოსავლეთი მხარე, კასპიის ზღვის სიახლოვეს. 87, 90, 110, 111, 112, 193, 195, 197, 198, 200, 206, 225.

ყათალი - სოფელი დალესტანში. მდებარეობს აპყომის, ყაზიყუმუხისა და ქურის სახანოებს შორის. 85, 86, 87, 97, 151, 169, 173, 176, 202, 218, 223, 226.

ყალუხის მთა - მდებარეობს დალესტანში, იმდროინდელ ქურის სახანოში. 217, 219, 225, 226.

ყაპისდარა - სოფელი ჭარ-ბელაქნის ოლქში. 68.

ყაპისდარის ხეობა - მდებარეობს გონზოგორის მთასთან დალესტანში. 42.

ყარაბალი – მხარე სამხრეთ კავკასიაში, მცირე კავკასიონსა და მიმდებარე დაბლობზე. 80, 215.

ყარანაი – სოფელი დაღესტანში. არსებობს ამავე სახელწოდების ტბა, მოქცეული მთებს შორის. 186.

ყარაჩაი – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში, დედაქალაქი – ჩერკესკი. 207.

ყარსი – ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში, ყარსის პროვინციის დედაქალაქი, ყოფილი სანჯაყის ცენტრი თურქულ ვილაიეთ ერზრუმში. ქალაქ ყარსის ძველი ქართული სახელწოდებაა კარი. 77, 80, 180, 205, 212, 213, 229.

ყაყაშურა – ყუმუხთა სოფელი ლევაშის რაიონში, ყოფილ მეხთულის სახანოში (დაღესტანი). 187.

ყვარელი 37, 76.

ყიზლარი – ქალაქი დაღესტანში, მდინარე ძველი თერგის ნაპირას. პირველად იხსენიება 1609 წელს. 1785 წლიდან თერგის ოლქის სამაზრო ქალაქია. 9, 207.

ყირიმი – ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ყირიმის ნახევარკუნძულზე შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში. 151, 154, 187, 205, 207.

ყუბა – ქალაქი აზერბაიჯანში, მდინარე კუდილის მარჯვენა ნაპირზე. 85, 87, 91, 97, 101, 215, 220, 221.

ყუმბაშის მთა – მდებარეობს ამჟამინდელი სტავროპოლის მხარეში. 33.

ყუმუხი//ყუმიხი – სოფელი დაღესტანში, მდებარეობს მდინარე ყარაყოისუს მარჯვენა შენაკადზე. 101, 107, 110, 187.

ყურახი – ყარახი – სოფელი დაღესტანში. 91.

შალი – ადრე ჩეჩნური სოფელი იყო, ამჟამად ქალაქია. 187, 190, 191, 207.

შამქორი – მდებარეობს საქართველოს საზღვართან, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. 32.

შემახა/შამახია – შემახა, შამახა – აზერბაიჯანის დედაქალაქი 1858 წლამდე. თურქმანჩაის ხელშეკრულების შემდეგ დადგინდა ამჟამინდელი საზღვარი აზერბაიჯანსა და ირანს შორის, რითაც ბოლო მოეღო სახანოების მმართველობას. რუსეთის კონტროლირებად ტერიტორიაზე ორი პროვინცია დაარსდა, რომელმაც შეადგინა თანამედროვე რესპუბლიკა: ელიზავეტოპოლი (განჯა) – დასავლეთით და შამახა – აღმოსავლეთით. 1858 წლის მიწისძვრის შედეგად დედაქალაქი შამახადან ბაქოში გადაიტანეს. ამ მოვლენამ შემდგომში დიდი მნიშვნელობა შეიძინა. 80, 87, 101, 220, 223.

შილაგა/შილალი – შილაგი – სოფელი დალესტანში, ტაბასარანში. 219, 223.

შილდა – სოფელი კახეთში, შედის ყვარლის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში. 145.

შინი – დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე მაღალმთიანი სოფელი. 36.

შინის ხეობა – მდებარეობს სალათავიის მთასთან. აქ გადიოდა ახტის სამხედრო გზა. 36, 40.

შირაზი – ქალაქი ირანში, მდებარეობს მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. 65.

ჩაჩანი – ჩეჩნეთი – რუსეთის ფედერაციის სუბიექტი, შედის ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალური ოლქის შემადგენლობაში. დედაქალაქი – გროზნო. ესაზღვრება ინგუშეთი, ოსეთი, სტავროპოლის მხარე, დალესტანი და საქართველო. 8, 11, 14, 19, 23, 26, 86, 151, 154, 175, 184, 191.

ჩირალი – ყოფილი გამაგრებული პუნქტი ყაზიყუმუხსა და ქურას შორის. 91.

ჩირიურთი – სოფელი ჩეჩნეთში, მდინარე სულაკის ნაპირას. 138, 185, 199, 200.

ჩირქეი – სოფელი დალესტანში, ბუინაქსკის რაიონში. 186.

ცარსკის კოლოდცა – იხ. დედოფლისწყარო.

ციმბირი – რუსეთის იმპერიის, ამჟამად კი რუსეთის ფედერაციის აზიური ნაწილი. 207.

წინანდალი – სოფელი გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის ძირას, ამჟამად ეკუთვნის თელავის მუნიციპალიტეტს. ისტორიულ წყაროებში პირველად XV საუკუნიდან დასტურდება. ამ დრომდე იგი სახარისის სახელითაა ცნობილი. წინანდლის დასახლება მეფე ვახტანგ VI-ის ვაჟის, ვახუშტი ბაგრატიონის, „საქართველოს გეოგრაფიაში“ ნახსენები. ჭავჭავაძეების ოჯახის ისტორია აქ XVII ს-იდან იწყება. 76, 107, 143, 145.

წუარა – მთა ყოფილ ყაზიყუმუხის სახანოში (დაღესტანი). 111, 112.

წუდახარი – სოფელი დაღესტანში, ბუინაქსკის რაიონში. 196, 197, 198.

ჭარ-ბელაქანი – იგივე საინგილო. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი. 1813 წელს, გიულისტანის ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, მაგრამ მაშინ რუსეთს არ შეეძლო თავისი მმართველობის დამყარება. 1826-1828 წლის რუსეთ-სპარსეთის ომის შემდეგ, 1830 წელს, რუსეთის ჯარმა დაიპყრო ჭარ-ბელაქანი და სწრაფად დაამყარა რუსული მმართველობა. ამავე წელს აქ რუსების წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა, რომელიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. ჭარ-ბელაქნის ტერიტორია ცალკე მხარედ გამოყვეს, მოგვიანებით ზაქათალის ოლქს შეუერთეს და თბილისის გუბერნიას დაუქვემდებარეს. 1921 წელს აზერბაიჯანს გადაეცა. 27, 35, 55, 86, 101.

ჭარი – სოფელი ყოფილ ზაქათალის ოლქში. 15, 21, 32, 36, 81, 180.

ჭურმუტი – იგივე ჯურმუთი, ლეკთა დასახლება ზემო დაღესტანში, მდინარე ავარიის ყოისუს ზემო წელში. 18, 31, 32, 47, 56, 71.

ხალიმბეკაული - ხალიმბეკ-აული - სოფელი დაღეს-
ტანში, ბუინაქსკის რაიონში. 187.

ხანაგი// ხანაქი - სოფელი ტაბასარანში. 217, 219, 220,
223.

ხასავიურთი - ყოფილი ციხე-სიმაგრე მდინარე იარიაკ-
სუს მარჯვენა ნაპირზე, აგებულ იქნა 1816 წელს. 87, 118,
123, 125, 127, 138.

ხოზრეკი - ლაკების სოფელი დაღესტანში. 109.

ხუდუმბაში - მთა სალათავიაში (დაღესტანი). 185, 186.

ხუყნიკი - სოფელი ტაბასარანში (დაღესტანი). 219,
222.

ხუშნი//ხოშნი// - სოფელი ტაბასარანში (დაღესტანი).
219, 226.

ჯანაქაი - ჯანაკაი - ნოღაელებით დასახლებული სო-
ფელი დაღესტანში. 200.

ჯორჯოობალი - მთა დაღესტანში. 43.

ჯუნგუთაი - ყოფილი სახანო სოფელი დაღესტანში, ამ-
ჟამინდელ ბუინაქსკის რაიონში. დაღესტანში ამ სახელწოდე-
ბის ორი სოფელი იყო - ზემო და ქვემო ჯუნგუთაი. 98, 187.

ლექსიკონი

აბოზი [რუს. абыз აბალი] – ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანებისა თუ სხვა სახის ტრანსპორტის ქარავანი 226,3; 228,14.

ადრესი [ფრ. adresse] – მისამართი 8,5; 10,4.

ადრიან – ადრე 21,3; 50,13; 66,22-23; 67,6; 114,13.

ალიშირაზი – აღმოსავლური მუსიკალური ინსტრუმენტი 76,12.

ამთენი – ამდენი 74,17; 131,8.

ამუნიციია (ამუნიცია) [პოლონ. Amunicja < ფრ. amunitionnement საბრძოლო იარაღით უზრუნველყოფა < ლათ. munitio სიმაგრე, აღჭურვილობა] – აქ: საბრძოლო აღჭურვილობა 80,15; 112,16.

ამხელად – ამჯერად 197,16.

ანგალი [სპარს. انگال (angal)] (საუბ.) – აქ: მცონარა, დავარდნილი, ზანტი 71,15.

ანგლია [რუს. Англия] – ინგლისი 51,8; 62,13.

ანგლიელი – ინგლისელი 121,21-22.

ანგლიური [რუს. английский] – ინგლისური 160,24;

ანგლიჩანი [რუს. Англичанин] – ინგლისელი 230,18.

არარაფე – არაფერი 192,9.

არდინარცი [რუს. ординарец] – სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ინიშნებოდა არმიის შტაბში უფროსის დავალებების შესასრულებლად, ძირითადად, ბრძანებების გადასაცემად. 66,5.

არენდა – 1. იჯარა, უძრავი ქონების (შენობის, მიწის...) დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; 2. გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით 22,20; 22,23.

არესტოვალ [რუს. арестовал] – დააპატიმრა 216,11.

არზა - ნერილობითი თხოვნა 214,19; 220,5; 221,9; 227,21.

არიერლარდი (არიერგარდი) [ფრ.] - ჯარის ნაწილი, რომელიც უკან დახვევისას მთავარ ძალებს ბოლოში მიჰყვება და იცავს მათ მტრის თავდასხმისაგან. 112,6.

ალთქმა - დაპირება 94,17; 95,23.

ალსრულება - შესრულება 50,23; 111,6; 191,11; 191,12; 191,13; 227,1.

აყრა - 1. წასვლა სადმე 12,23; 71,18; 110,22; 2. გადაადგილება, ადგილიდან დაძვრა 80,22.

აყრადაყრა - ხშირი გადაადგილება 78,3.

აშულ-ოლლანები - [აშულ: არაბ.-სპარს. ašuy] შეყვარებულნი, მიჯნური) მგოსანი (უპირატესად - მუსულმანურ ქვეყნებში), რომელიც საკრავზე ამღერებს საკუთარ ლექსებს. აქ: არშიყი ბიჭები 73,19; 75,20.

ახლახლად - ახლად 58,12.

ახრ - ახ 24,10; 62,4; 71,17; 73,8; 73,19.

ახრში - სავარაუდოდ, უნდა იყოს „იახშის“ ბაღალი 21,1.

ბაირამი [არაბ.] - მაჰმადიანთა დღესასწაული 106,24; 191,31.

ბაშმაკი [მონღ., რუს. ენის მეშვე. башмак] - ფეხსაცმელი 113,7; 113,20.

ბაჭყალა - ბავშვი 229,14.

ბეგი [თურქ. beġ „ბა ტონი“] ძვ. ფეოდალი, ბატონი, მემამულე (თურქებში, აზერბაიჯანელებში). 217,7; 217,14; 202,12.

ბეზსმენნი [რუს. без смены] - ცვლის გარეშე მომუშავე 66,4-5.

ბელიი კლუჩი [რუს. белый ключ] - თეთრინყარო 77,16.

ბლომათ - მრავლად, უხვად 72,23; 113,5-6.

ბოტინკები [რუს. Ботинки (მრ.)] - ყელიანი ფეხსაცმელი 113,8.

ბრეს გადენა – განადგურება, გაცამტვერება, გაჟღეცა
68,6.

ბრილადნის [რუს. бригадный] – ბრიგადის 229,24.

ბუდუნი – მუსლიმანური სასულიერო წოდება 198,6.

ბლუჯეულად – უხვად 18,7.

ბლუჯეულობა – სიუხვე 22,25.

გადმოსავალი – გადმოსასვლელი 108,22-23.

გალეული – გამხდარი 107,13.

გამოტყუება – აქ: გამოძალვა 68,16.

გამოტყურომა//გამოტყვერენა – მოულოდნელად ცუდი
საქმის გამოჩენა 201,14//220,4.

გამოჩენით თამაში – კარგად, გამორჩეულად თამაში
(როლის შესრულება) 9,26.

გამოხწევა – თავის დაძვრენა, განთავისუფლება 228,14.

განუსვენებელი – აქ: მოუსვენარი 75,9-10.

განწესება – აქ: საქმეზე დაყენება 23,9; 193,14.

განწავლული – განსწავლული 51,10.

გაფარფარებული – აქ: გალაღებული 182,15.

გორახი – კოშტებად გამხმარი, გამაგრებული მინა,
ბელტი 106,22.

გრანადერი (გრენადერი) [ფრანგ. გრენად – ხელყუმბარა]
XVII საუკუნიდან ქვეითი ჯარის სახეობა ევროპის არმიებში,
რომელიც შედგებოდა ხელყუმბარის მტყორცნელთაგან. XVIII
საუკუნიდან აღარ განსხვავდება დანარჩენი ქვეითი ჯარისგან.
22,14; 66,3; 66,13.

დაბანჩა – დამბაჩა 181,15; 182,2.

დალიბაში [თურქ. „დალი“ – გიჟი, „ბაში“ – თავი] – აქ:
მამაცი მეომარი 71,17.

დანარჩომი – დანარჩენი 22,13.

დარჩომა – დარჩენა 112,11; 112,16.

დაუდევენლობით – დაუდევრად 76,20; 109,17.

დაღალულობა – დაღლილობა 20,24.

დაყუდება – აქ: დაწყნარება 48,28.

დაშთომა – დარჩენა 81,16.

დახწვევა – 1. გამონთავისუფლება, წამოსვლა (დავეხნიე) 8,10; 2. გამოჯანმრთელება 204,15-16.

დიდროანი//დიდრონი – ძალიან დიდი 108,10; 202,23-24; 202,31//192,7.

დონესენიე [რუს. донесение] – პატაკი, მოხსენება 80,12.

დრაგუნი – ცხენოსანთა და ქვეითთა მწყობრში მოქმედებისათვის განკუთვნილი კავალერია 68,8.

დრუჟინა – [რუს. дружина] ძვ. მოლაშქრეთა რაზმი (ზოგჯერ მოხალისეთაგან შემდგარი) 181,21.

დურაკი [რუს. дурак] – სულელი 105,14; 215,31.

დურაკობა [რუს. дурак სულელი] – სისულელე 71,23.

ენგილო – ინგილო 180,3; 180,7.

ეპოლეტი [ფრ. epaulette] – ოფიცრის, გენერლის საპარადო სამხრეები, ბოლოებში მომრგვალებული, ფორებიან-ბუზმენტისანი (მეფის რუსეთისა და ზოგი უცხო ქვეყნის არმიებში) 18,5.

ესეები – ესენი 114,10; 182,6.

ესოდენად – ამდენად 192,11;

ესოდენი – ამდენი 78,3; 109,20; 121,8-9; 137,10; 213,8; 232,1.

ეჰი – აქ: აღტაცების შორისდებული 181,5.

ვათურინჯი – [თურინჯი: სპარს. تورانج toranġ] – ციტრუსოვანი მცენარე ერთგვარი; ისხამს მომწვანო ნაყოფს (უცხოური სინონ. გრეიპფურტი); ამ ხის ნაყოფი 22,12.

ვაკანცია – ვაკანსია 79,5.

ვერსტი [რუს. верста] – სიგრძის საზომი ერთეული, ოდნავ მეტია კილომეტრზე (უდრის 1,0668 კილომეტრს). 26,29; 111,14.

ვეჩერი [რუს. вечер] – საღამო 104,13.

ვიგოვორი [რუს. выговор] – აქ: საყვედური, სამდურავი 216,3.

ვიპისკა [რუს. выписка] – აქ: ამონაწერი 196,7.
ვკუსი [რუს. вкус] – გემოვნება 24,13.
ვსადნიკი [რუს. всадник] – ცხენოსანი, მხედარი 197,3-4.
ზაკუსკა [რუს. закуска] – საუზმე 22,8.
ზაპისკა [რუს. записка] – ჩანაწერი 23,4; 112,8.
ზასედატელი [რუს. заседатель] – აქ: მოურავი 167,21;
167,23.

ზასედატლობა [რუს. заседание] – აქ: მოურავობა
160,18-19; 192,15.

ზეგარდამო – ზეციდან 50,4-5; 212,20-21.

ზორხანა (ზურხანე, ზურხანა) [სპარს. زورخانه „ზორ“ – ძა-
ლა, „ხანა“ – სახლი: „ძალის სახლი“] – ქალაქური ტრადიციუ-
ლი სპორტული თამაშის სახეობა, გავრცელებული ირანსა და
აზერბაიჯანში. XX ს-ის შუა წლებამდე ზორხანა, ძირითადად,
დაკავშირებული იყო ბრძოლასთან. 76,10.

თადარიკი – თადარიგი 216,16.

თავის ნახდენა – თავის შერცხვენა 51,14.

თანაერთობ – აქ: თქვენთან ერთად 50,5.

თარი [სპარს.] – აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, რო-
მელსაც მიზრაფით (თხელი, პატარა ფირფიტა) უკრავენ.
76,12.

თოფხანა [თურქ.-სპარს. توپخانه] – არტილერია,
სხვადასხვა კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის სახლი; ძვ.
იგივეა, რაც არსენალი. 202,14.

თუმანი [სპარს.] – ათი მანეთი 58,27; 106,11; 106,18;
138,14; 161,20; 161,21; 167,13; 191,18; 221,11; 227,4.

იანარლობა – გენერლობა 72,3.

ილაჯი – ღონე, ძალა 78,3.

იმთენი – იმდენი 131,22-23.

იმპერატრიცა [რუს. императрица] – იმპერატორის მე-
უღლე 204,1.

ინსტრუმენტი [რუს. инструмент] – აქ: იარაღი ხელით სამუშაოსათვის, ხელსაწყო 65,28; 68,10.

ინმაჰლლა [არაბ.] – დიდება ალაჰს 122,23; 196,21.

კავკაზი [რუს. Кавказ] – კავკასია 104,11.

კაზნაჩეისტვო [რუს. казначейство] – ხაზინა 221,7.

კალონა [რუს. колонна] – კოლონა 107,23.

კალოში [ფრანგ. galoché რუს. ენის მეშვ.] – პირფართო დაბალი ფეხსაცმელი რეზინისა, რომელსაც იცვამენ ჩვეულებრივ ფეხსაცმელზე (ტალახისა და სიცივისაგან დასაცავად). 113,8.

კამანდირი [რუს. командир] – უფროსი, მეთაური 68,16; 83,16; 229,24.

კამენდანტი [ფრანგ. comediante რუს. ენის მეშვ.] – კომენდანტი 79,4; 96,8; 167,17; 203,26; 223,6.

კამისარი [რუს. комиссар] – კომისარი, რწმუნებული 59,8.

კამისია [რუს. комиссия] – კომისია 65,30; 68,12.

კანვოი [რუს. конвой] – მცველი, ბადრაგი 212,14-15; 213,12.

კარაბინერი [ფრანგ. karabiner (კარაბინიდან)] – კარაბინით (მოკლელულიანი შაშხანა) შეიარაღებული ქვეითი, ან კავალერიისტი 67,26.

კარეტა – [იტალ. caretta რუს. ენის მეშვ.] – დახურული, ფანჯრებიანი ოთხთვალა ეტლი 73,14; 80,19.

კარონა [რუს. корона] – გვირგვინი 114,1.

კარტა [რუს. карта] – რუკა 110,1-2; 200,27; 217,6; 219,7; 222,10.

კარტიჩი [იტალ. cartoccio-დან – შეხვეული რამ, ფუთა. რუს. ენის მეშვ.] – 1. ახლო მანძილზე სასროლი ჭურვი, რომელიც დატენილია ტყვიებით; 2. ტყვია; 3. მსხვილი საფანტი (სანადირო თოფისა) 191,25.

კენინა [რუს. княгиня] – თავადის მეუღლე 13,9; 20,25; 20,29; 22,2; 22,16-17; 77,17; 85,8.

კნიაზი [რუს. князь] – თავადი 8,8; 8,12; 8,25; 9,8; 9,26; 21,4; 22,16; 22,21; 67,21; 77,5; 77,8; 77,17; 78,13; 78,21; 96,5; 112,8; 137,3; 140,6; 165,6; 167,3; 180,21; 183,10; 184,5; 193,23; 195,11; 206,4; 215,17; 215,22; 219,15; 219,19; 220,3; 223,1; 226,21; 226,27; 227,13; 230,7.

კომლი – აქ: კვამლი 71,17.

კრასავიცა [რუს. красавица] – ლამაზმანი 8,15-16; 75,21; 160,6; 194,12.

კრასკა [რუს. краска] – საღებავი 77,14.

კუტარი – ღარიბი 51,5; 62,4.

კუტრად – ღარიბულად 62,4.

ლაგირი [რუს. лагерь] – ბანაკი 196,4-5; 204,20.

ლაზათიანი – მშვენიერი, კარგი 24,13; 72,8.

ლაზუთჩიკი [რუს. лазутчик] – მზვერავი, მსტოვარი 184,15; 201,13.

ლაპარაკის გაშვებინება – ლაპარაკის შეწყვეტინება 215,6.

ლეტუჩი [რუს. летучий муринავი] – აქ: შიკრიკი 51,2.

ლინია [რუს. линия] – ხაზი 76,17.

მაგოდენი – მაგდენი 22,26.

მანათი [სპარს.] – 100 კაპიკი 18,7; 191,18.

მანდეთ – მაგეთ 66,21; 108,17.

მანდეთკენ – მაგეთკენ 65,1; 184,17.

მარამა – მაგრამ 50,14.

მასლაათი – საუბარი 21,3; 193,19; 196,24-25; 201,10; 202,2.

მასუკან – მას შემდეგ 51,12; 68,13; 108,27; 122,20; 164,26; 224,11; 225,29.

მალაზიანი – მალაზია 68,20; 80,14-15; 112,16.

მაშა – მაშ 8,13; 59,5; 179,19; 191,4; 194,8; 201,14.

მახლაზ (მახლას) – შორისდებული, კონტექსტის მიხედვით გამოხატავს დანანებას, ან აღტაცება-აღფრთოვანებას. 61,24; 201,7; 218,25.

მდგმოიარობა – აქ: მდგომარეობა 131,9.

მეიდანნი – მოედანი 66,22; 66,24.

მენგრელია [რუს. Менгрелия] – სამეგრელო 107,8; 219,18-19; 230,13.

მეცადინეობა – მცდელობა 161,17.

მითომ – ვითომ 9,16; 9,19; 21,16; 24,7; 49,1; 61,27; 118,29; 180,13; 193,1; 201,12; 201,27; 213,26; 216,13; 223,4; 224,4; 227,26; 229,3.

მინგრელსკი [რუს. Менгрельский] – მეგრელი 68,3.

მინუტი [რუს. минута] – წუთი 65,30-31; 76,3; 79,1; 112,7; 119,11; 195,9; 196,6; 227,14.

მიხწევა – მიახლოება 215,24.

მოიმედე – დაიმედებული 12,19.

მოკანკალ-მოზუზვილი – აკანკალებულ-მოზუზული 201,6.

მოლოდინება – მოლოდინი 105,9.

მომართვა – აქ: მონესრიგება (ყოველივე კარგად მომართო) 164,24.

მოსარკე-ბროლიანება – სარკესავით გაკრიალება 24,14.

მოცდენა – აქ: იმედის გაცრუება (მოუცდება) 8,15.

მოხავერდ-მუთაქ-ბალიშიანობა – აქ: ოთახის მორთვა-მოკაზმვა ხავერდის მუთაქ-ბალიშებით 24,15.

მოხწევა – მოახლოება 74,27; 84,16; 201,5; 217,22.

მუთრუბი (მუტრიბი) – ძვ. „ქალი მეჩანგე“ (საბა). // დამკვრელი, მომღერალი, მოცეკვავე 76,11.

მუნდერი – სამოქალაქო, ან სამხედრო საპარადო ტანსაცმელი 59,8.

მურახასი [არაბ.-სპარს. مخرم მურახხაჲ // მორახხას] – თავისუფალი, გაშვებული (მურახასი უყავ – გავანთავისუფლე) 225,4-5.

მფრინველი – ფრინველი 22,9.

ნაკლულევანება – აქ: სიმცირე 122,18.

ნარინჯი [citrus aurantium] – ციტრუსოვანი მცენარე; აქვს სურნელოვანი თეთრი ყვავილი და მანდარინის ოდენა მომწარო-მჟავე ნაყოფი; იყენებენ (ციტრუსოვანთა) საძირედ; ამ ხის ნაყოფი 22,12.

ნაჩალნიკი [რუს. начальник] – უფროსი 51,3; 215,15; 216,5; 220,6; 220,13.

ნაცვლადი//ნაცულადი – სამაგიერო 83,14//121,1-2.

ნაციონალნი [ლათ. patio (ნაცია) რუს. ენის მეშვ.] – ეროვნული, ნაციონალური 121,24.

ნუგბარი [სპარ. ნოუბარ] – ძვ. ახალი და სანუკეარი ხილი 20,29.

ნუგეშანობა – დანუგეშება, დაიმედება 131,11.

ოვჩარი [რუს. овчар] – მეცხვარე 201,23.

ოკრული [რუს. округ] – ოლქი 110,2; 200,19.

ოსკორბლენი [რუს. оскорбленный] – შეურაცხყოფილი, დამცირებული 215,16.

ოტრეში [რუს. отрешение] – თანამდებობიდან გადაყენება, განთავისუფლება 216,8.

ოტრიადი [რუს. отряд] – რაზმი, პოლკი 51,3-4; 51,4; 109,23; 202,16-17; 219,19.

პაროხოდი [რუს. пароход] – გემი 200,31-32.

პახოდი [რუს. поход] – ლაშქრობა, ომი 105,18.

პახოდობა – ლაშქრობა 228,21.

პერედოვოი [რუს. передовой] – მოწინავე, წინა 107,23.

პეხოტა [რუს. пехота] – ქვეითი ჯარი 78,5; 80,17.

პლანი [რუს. план] – გეგმა 20,27; 179,26; 191,11-12; 191,12; 191,13; 199,2; 199,3; 200,29; 227,1.

პოდაროჟნა [რუს. подорожная] – სამგზავრო მონძობა 220,26; 221,1; 221,7.

პოდსუდი [რუს. под суд] – სამართალი 192,16; 215,33; 216,7.

პოდსუდობა [რუს. под суд (სამართალი)] – სამართალში მიცემა 21,24.

პოლი [რუს. поли] – იატაკი 131,26.

პოლუიმპერიალი – რუსული ოქროს მონეტა, 5-6 რუბლის ღირებულების 221,12.

პოსაჟონნი [посажённый] – ჯვრისწერის მამობილი 104,6.

პოსილკა [посылка] – ამანათი 181,18.

პოჩტმეისტერი [почтмейстер] – ფოსტის უფროსი 106,12-13.

პრავი [რუს. правый] – მარჯვენა 108,18.

ჟამი – დრო 50,23; 122,1; 231,16.

რაზღოვორი [რუს. разговор] – საუბარი 190,1.

რაოდენი – რამდენი 65,4; 67,16-17; 68,12; 71,21; 95,10; 109,8.

რაოდენსამე – რამდენიმე 200,13.

რაპორტი [ფრ. rapport] – ზეპირი მოხსენება, ან წერილობითი შეტყობინება უფროსის, ან უმაღლესი ინსტანციის სახელზე; ანგარიში შესრულებული სამუშაოს შესახებ 59,9; 65,28; 68,11-12; 74,3; 74,5; 108,13; 108,20.

რალაები – რალაცები 109,11; 137,13; 190,15; 201,26.

რეზულტატი [ლათ. resultatus-იდან ასახული, არეკლილი] რაიმე მოქმედების, საქმიანობის, მოვლენის შედეგი 223,16.

რელიაცია (რელაცია) [ლათ. relatio-დან მოხსენება, ცნობა რუს. ენის მეშვ.] ძვ. სამხ. 1. მეთაურის წერილობითი ცნობა სარდლობის მიმართ საომარი მოქმედების მსვლელობის შესახებ; 2. ცალკეულ მებრძოლ ნაწილთა, ან მეთაურთა საბრძოლო გმირობის წერილობითი დახასიათება ჯილდოზე წარსადგენად. 66,1.

რისყოფით – გაჭირვებით 84,15; 197,3.

როტა – ბატალიონის ქვედანაყოფი, რომელიც, თავის მხრივ, რაზმებისაგან შედგება. 68,3; 68,4; 138,6.

სადიდმარხოდ – დიდმარხვისთვის 9,8.

საითმე – სადმე 179,21.

საკურველი – საკვირველი 9,21-22; 24,19; 68,19; 137,5; 160,10; 181,24; 192,16-17; 197,9; 198,4; 200,11; 201,13; 216,8; 221,15; 229,6; 230,5.

სალდათი [რუს. солдат] – ჯარისკაცი 112,7; 112,13.

სამენგრელო – სამეგრელო 50,5.

სამზღვარი//სამძღვარი – საზღვარი 51,3//74,26; 204,23.

საპალნე – ცხენის, სახედრის და მისთ. ასაკიდი ტვირთი 9,19; 22,19.

საპახოდო [რუს. поход ლაშქრობა, ომი] – სალაშქრო, საომარი 184,20.

საყენი [რუს. сажень] – რუსული ზომის ერთეული; უდრის სამ არშინს, 2,134 მეტრს; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე. 95,8.

სარეკონოსციროვკად [რუს. рекогносцировка დაზვერვა] – დასაზვერად 222,19.

საროდით – როდისთვის 181,21.

საუბედურო – სამწუხარო (საუბედურო საქმე) 159,14-15.

სალოლსუნ [აზერბ.] – გაგიმარჯოს, იცოცხლე 227,13.

საჩაფაულოდ – საქურდავად 72,10.

სახელდობრივ – სახელდობრ 65,31; 68,12.

სეკრეტარი [რუს. секретарь] – მდივანი 24,6.

სეკურსი [ლათ. securus-დან უსაფრთხო, სანდო, საიმედო) – დახმარება, შემწეობა 67,14.

სვიდეტელსტვო [რუს. свидетельство] – მოწმობა 68,9.

სიქა [არაბ. სიქქა] – თეგი, ბეჭედი, შტამპი ოქროს, ვერცხლის, ან სხვა რაიმე ლითონის ნივთზე, ან ფულზე 191,18.

სმოტრი [რუს. смотр] – დათვალიერება 121,27.

სმოტრიტელი [რუს. смотритель] – ზედამხედველი 68,21; 220,27.

სომხითი – სომხეთი 68,25.

სოცნა [რუს. сотня] – ასი, ასეული 67,11.

სტანცია [რუს. станция] – სადგური 164,21.

სტუცერი [რუს. ступер] – გრძელლულიანი ძველებური თოფი 217,11.

სუმმა [რუს. сумма] – თანხა 22,21.

სუხარი [რუს. сухарь] – გამომშრალი პური 119,9.

სჩი [რუს. щи] – ნვნიანი 22,11.

ტრევოგა [რუს. тревога] – განგაში, საბრძოლო მზადყოფნა 108,25.

ტრიქონი – სტრიქონი 50,27.

ტურმა [რუს. тюрьма] – საპყრობილე, ციხე 221,2; 221,4; 221,10.

ტურცია [რუს. Турция] – თურქეთი 24,8.

უამბობა – ამბის შეუტყობლობა 179,19.

უეზდი [რუს. уезд] – მაზრა 74,12; 220,6; 220,7; 220,13.

უეზდნი [რუს. уездный] – სამაზრო, მაზრის 216,5;

უზდენი – დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი, ვინმეს ქვეშევრდომობაში მყოფი, ან თავისუფლად მცხოვრები სასოფლო თემის წევრი დალესტანში 225,18; 225,22; 227,8.

უთოოდ – უთუოდ 104,1; 161,13; 166,3.

უკაცროვათ – უკაცრავად 76,5; 215,5.

უკრავ-უგინებლად – უპრობლემოდ, წყნარად, მშვიდად 20,22-23.

უმადლო – უმაღური 61,21.

ურიადნიკი [რუს. урядник] – რუსეთის მეფის არმიის კაზაკთა ჯარის უნტერ-ოფიცერი (რეკოლუტციამდ.) 226,13; 227,3.

უსაზარელი – ძალიან საშიში, საზარელი 111,5.

უქეიფოთ – უხასიათოდ 161,1.

უქმი – აქ: უსაქმური 66,18.

უჩასტკა [რუს. часток] – უბანი 162,12; 167,21; 167,23.

უცნობელობა – აქ: ამბის შეუტყობინებლობა 74,21.

უცოდნობა – უცოდინრობა 160,27.

უნინ – ადრე 51,19; 108,11; 122,11; 131,25.

უჭორებოდ – ჭორების გარეშე 59,5.

უხერხოდ – მოუხერხებლად 121,19.

ფაცხაფუცხი – ფაცაფუცი 162,13.

ფერჩატკები [რუს. перчатки (მრ.)] – ხელთათმანები 192,6.

ფეშქაში [სპ.] (საუბ.) – საჩუქარი, ძღვენი 137,14.

ფეჩი [რუს. печь] – ღუმელი 131,26.

ფოშტა [რუს. пошта] – ფოსტა 18,4; 24,3; 49,3-4; 49,4; 49,6; 49,8; 52,6; 66,17; 67,5; 72,29; 94,14; 96,1; 105,8; 105,25; 106,13; 161,21; 161,23; 163,21; 181,16; 181,18; 182,2; 182,4; 213,12; 227,14.

ფლანელი – ტილოს მსგავსად ნაქსოვი შალის, ან ბამბის თბილი ქსოვილი, რომელსაც აქვს წმინდა ბუსუსები ორივე, ან ცალ მხარეს. 113,9; 121,13.

ფრაკი [ფრ. frac] – გულამოჭრილი სერთუკი, რომელსაც უკან გრძელი და ვიწრო კალთები აქვს. განკუთვნილია დღესასწაულებზე ჩასაცმელად. 23,20.

ფრანტობა [ფრანტი: პოლ. frant, გერმ. Freund-იდან მეგობარი – ჩაცმა-დახურვას გადაყოლილი კაცი, მოდის მიმდევარი] – მოდის აყოლა 49,14.

ფრანცია [რუს. Франция] – საფრანგეთი 51,8; 62,13-14.

ფრანცუზი [რუს. Француз] – ფრანგი 121,22.

ფრანცუზობა [რუს. Француз фрანგი] – ფრანგობა 23,19.

ქინაქინა - [პერუს ინდიელთა ენიდან: ქინა „ქერქი“] ფარმაკ. თეთრი ფხვნილი მწარე გემოსი; იხმარება მალარიის (ციებ-ცხელების) წამლად. 83,2.

ქულქათი - ქულბაქი [სპარს.]. აქ: ოჯახი, სახლ-კარი 163,14; 213,19; 230,22; 231,7.

ღენერალი - გენერალი 107,22; 108,21; 109,24.

ყაბული - დათანხმება 131,18-19; 221,5.

ყაბულის ქონა - თანხმობა (ყაბული მაქუს - თანახმა ვარ) 24,15-16.

ყადი - შარიათის აღმასრულებელი მსაჯული 194,23; 198,7; 201,11; 202,11.

ყვედრება - აქ: 1.საყვედურის თქმა 73,16-17; 163,19; 194,8;

2. საყვედური 194,7.

ყიზილბაში - აქ: ხუმრობით ახლობლის ეპითეტი, გამოთქმული უარყოფით კონტექსტში 73,13.

ყოველიფერი - ყველაფერი 161,1-2.

ყოვლისფრით - ყოველმხრივ, ყველანაირად 51,10.

ყურბანზაირამი - მუსლიმანთა რელიგიური დღესასწაული 111,15.

შარიათი [არაბ.] - იურიდიული და რელიგიური ნორმების ერთობლიობა, დაფუძნებული ყურანზე; მუსულმანური სამართალი 198,1; 200,7; 201,12; 217,4; 223,13; 223,14; 223,23; 226,5-6.

შედგომა - აქ: 1. დანყება 50,23; 219,8; 226,23; 2. გამგზავრება 184,7.

შემთხვევაები - შემთხვევები 66,8.

შესაწევნელად - დასახმარებლად 108,26.

შეურაცხქმნილი - შეურაცხყოფილი 215,1-2.

შექცევა - გართობა 58,23-24; 182,16.

შეცდა - მოცდა (შეიცადონ) 71,24.

შინელი [რუს. шинель] - მაზარა, სამხედრო ფორმის პალტო 190,7.

შკოლა [რუს. школа] – სკოლა 199,8.

შტრაფი [რუს. штраф] – ჯარიმა 167,20.

შურება – აჩქარება (ეშურები) 200, 31; 216,17.

ჩაპროშტვა – ჩაკოცნა 22,26; 76,31.

ჩაფაული – ქურდობა 65,16.

ჩაფაულობა – ქურდობა 65,6.

ჩაღრძობა – დახრჩობა 58,20; 59,3.

ჩაჩანი – 1. ჩეჩნეთი 8,25; 23,14; 26,11-12; 184,14; 184,17; 191,22. 2. ჩეჩენი 18,12;

ჩახჩახი – აქ: ხარხარი 23,13.

ჩქარება – აჩქარება (ვეჩქარები ნერასა – ვჩქარობ ნერას) 22,18.

ძალუა – 1. რძალი 73,6; 77,9; 83,9; 84,15; 94,14; 95,19; 96,26; 100,3; 105,7; 105,23; 106,10, და ა. შ. 2. ბიცოლა 76,29; 77,16; 83,8; 84,11; 84,19; 85,1; 94,25; 96,11; 104,21, და ა. შ.

ნამხდარი – გაფუჭებული 108,8.

ნახდენა – გზიდან აცდენა 49,10; 66,1; 68,12; 68,14.

ჭიანური – ერთგვარი ხემიანი საკრავი 76,12.

ჭორჭურები – ჭორები 100,20.

ხალვათ – მარტო 214,22.

ხალვათი – აქ: განმარტოებული, გაცალკეეებული ადგილი 104,8.

ხელ-ჯაგი (ხელჯაგი) – ხელთათმანი (უპირატესად უთითებო); ძვ. ჯაჭვის თათმანი, მეომრის აღჭურვილობის ნაწილი 184,20.

ხვითქი – წურწურით მომდინარე ოფლი 20,26.

ჯავაირი [არაბ. ჯავარი (ძვ.)] – პატიოსანი ქვა, ძვირფასი თვალი 194,13.

ჯავშუში – ჯაშუში 179,24; 201,27.

ჯამათი [არაბ. ჯამაა – საზოგადოება, თემი, კრება] – სასოფლო თემი, სოფლის საზოგადოება 66,22.

ჯილაყამყამი – [ჯილა – არაბ. თავსამკაული, თვალ-მარგალიტით შემკული, თმაში გასაბნევი ფრთა, ან გვირგვინის

შვერილები; ყამყამი – ავარ. ხანჯლის ნაირსახეობა] – აქ: ხუმ-
რობით: გამოჩენილი მეომარი 181,6.

ჰაიჰარაი – აქ: ამბავი 190,10; 197,1.

ჰანგები – აქ: სიტყვები 72,7.

ჰოქმი – ოქმი 198,5.

შესავალი3

1853

ქეთევან ორბელიანისადმი №53 (269).....8
 ილია ორბელიანისადმი №82 (270)9
 ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანისადმი №1 (271) (რუსული ტექსტი) 10
 ალექსანდრე (სანდრო) ორბელიანისადმი №1 (271) (ქართული ტექსტი) 11
 ელისაბედ ორბელიანისადმი №1 (272)..... 12
 სვიმონ შალიკაშვილისადმი №14 (273)..... 13
 მიხეილ ვორონცოვისადმი №25 (274) (რუსული ტექსტი) 14
 მიხეილ ვორონცოვისადმი №25 (274) (ქართული ტექსტი) 16
 ქეთევან ორბელიანისადმი №54 (275)..... 17
 მიხეილ ვორონცოვისადმი №26 (276) (რუსული ტექსტი) 18
 მიხეილ ვორონცოვისადმი №26 (276) (ქართული ტექსტი) 19
 ილია ორბელიანისადმი №83 (277) 20
 ილია ორბელიანისადმი №84 (278) 22
 ქეთევან ორბელიანისადმი №55 (279)..... 23
 ილია ორბელიანისადმი №85 (280) 24
 ქეთევან ორბელიანისადმი №56 (281)..... 26
 მიხეილ ვორონცოვისადმი №27 (282) (რუსული ტექსტი) 27
 მიხეილ ვორონცოვისადმი №27 (282) (ქართული ტექსტი) 28
 მიხეილ ვორონცოვისადმი №28 (283) (რუსული ტექსტი) 30
 მიხეილ ვორონცოვისადმი №28 (283) (ქართული ტექსტი) 31
 მიხეილ ვორონცოვისადმი №29 (284) (რუსული ტექსტი) 31
 მიხეილ ვორონცოვისადმი №29 (284) (ქართული ტექსტი) 33
 მიხეილ ვორონცოვისადმი №30 (285) (რუსული ტექსტი) 35
 მიხეილ ვორონცოვისადმი №30(285) (ქართული ტექსტი) 37
 მიხეილ ვორონცოვისადმი №31(286) (რუსული ტექსტი) 39
 მიხეილ ვორონცოვისადმი №31 (286) (ქართული ტექსტი) 41
 მიხეილ ვორონცოვისადმი №32 (287) (რუსული ტექსტი) 42
 მიხეილ ვორონცოვისადმი №32 (287) (ქართული ტექსტი) 44
 მიხეილ ვორონცოვისადმი №33 (288) (რუსული ტექსტი) 45
 მიხეილ ვორონცოვისადმი №33 (288) (ქართული ტექსტი) 46

მიხეილ ვორონცოვისადმი №34 (289) (რუსული ტექსტი)	46
მიხეილ ვორონცოვისადმი №34 (289) (ქართული ტექსტი)	47
ქეთევან ორბელიანისადმი №56 (290).....	48
ეკატერინე ჭავჭავაძისადმი №2 (291).....	50
ილია ორბელიანისადმი №86 (292)	51
მიხეილ ვორონცოვისადმი №35 (293) (რუსული ტექსტი)	52
მიხეილ ვორონცოვისადმი №35 (293) (ქართული ტექსტი)	54
მიხეილ ვორონცოვისადმი №36 (294) (რუსული ტექსტი)	55
მიხეილ ვორონცოვისადმი №36 (294) (ქართული ტექსტი)	57
ქეთევან ორბელიანისადმი №57 (295).....	58
მიხეილ ვორონცოვისადმი №37 (296) (რუსული ტექსტი)	59
მიხეილ ვორონცოვისადმი №37 (296) (ქართული ტექსტი)	60
კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №3 (297).....	61
მიხეილ ვორონცოვისადმი №38 (298) (რუსული ტექსტი)	63
მიხეილ ვორონცოვისადმი №38 (298) (ქართული ტექსტი)	64
ილია ორბელიანისადმი №87 (299)	65
ილია ორბელიანისადმი №88 (300)	67
მიხეილ ვორონცოვისადმი №39 (301) (რუსული ტექსტი)	69
მიხეილ ვორონცოვისადმი №39 (301) (ქართული ტექსტი)	69
მიხეილ ვორონცოვისადმი №40 (302) (რუსული ტექსტი)	70
მიხეილ ვორონცოვისადმი №40 (302) (ქართული ტექსტი)	71
ილია ორბელიანისადმი №89 (303)	71
ქეთევან ორბელიანისადმი №58 (304).....	73
კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №4 (305).....	74
ბაბალე საგინაშვილისადმი №2 (306).....	75
ილია ორბელიანისადმი №90 (307)	77
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №1 (308).....	79
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №2 (309).....	80
იოანე სავანელისადმი №1 (310)	81
ალექსანდრე ვილბოისადმი №1 (311) (რუსული ტექსტი).....	82
ალექსანდრე ვილბოისადმი №1 (311) (ქართული ტექსტი)	82

1854

ბაბალე საგინაშვილისადმი №3 (312).....	83
კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №5 (313).....	83
ბაბალე საგინაშვილისადმი №4 (314).....	84

ქეთევან ორბელიანისადმი №59 (315).....	84
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №3 (316) (რუსული ტექსტი)	85
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №3 (316) (ქართული ტექსტი) ..	88
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №4 (317) (რუსული ტექსტი)	90
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №4 (317) (ქართული ტექსტი) ..	92
ქეთევან ორბელიანისადმი №60 (318).....	94
ქეთევან ორბელიანისადმი №61 (319).....	95
მიხეილ ვორონცოვისადმი №41 (320) (რუსული ტექსტი)	97
მიხეილ ვორონცოვისადმი №41 (320) (ქართული ტექსტი)	98
ქეთევან ორბელიანისადმი №62 (321).....	100
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №5 (322) (რუსული ტექსტი)	101
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №5 (322) (ქართული ტექსტი) ..	102
ბაბალე საგინაშვილისადმი №5 (323).....	104
ქეთევან ორბელიანისადმი №63 (324).....	105
ქეთევან ორბელიანისადმი №64 (325).....	106
სვიმონ შალიკაშვილისადმი №15 (326).....	107
სვიმონ შალიკაშვილისადმი №16 (327).....	108
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №3 (328).....	109
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №4 (329).....	110
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №5 (330).....	111
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №6 (331).....	112
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №7 (332).....	113
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №8 (333).....	114
ლეონტი ნიკოლაისადმი №1 (334) (რუსული ტექსტი).....	115
ლეონტი ნიკოლაისადმი №1 (334) (ქართული ტექსტი).....	117
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №9 (335).....	118
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №10 (336).....	119
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №11 (337).....	120
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №12 (338).....	121
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №13 (339).....	122
იმამ შამილისადმი №1 (340) (რუსული ტექსტი).....	123
იმამ შამილისადმი №1 (340) (ქართული ტექსტი).....	125
იმამ შამილისადმი №2 (341) (რუსული ტექსტი).....	127
იმამ შამილისადმი №2 (341) (ქართული ტექსტი).....	129
ქეთევან ორბელიანისადმი №65 (342).....	131
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №6 (343) (რუსული ტექსტი)	132

აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №6 (343) (ქართული ტექსტი) ..134	
ქეთევან ორბელიანისადმი №66 (344).....	136
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №14 (345)	138
ბაბაღე საგინაშვილისადმი №6 (346).....	139
ქეთევან ორბელიანისადმი №67 (347).....	140
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №7 (348) (რუსული ტექსტი)	141
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №7 (348) (ქართული ტექსტი) ..	142
მიხეილ ვორონცოვისადმი №42 (349) (რუსული ტექსტი)	143
მიხეილ ვორონცოვისადმი №42 (349) (ქართული ტექსტი)	145
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №8 (350) (რუსული ტექსტი)	148
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №8 (350) (ქართული ტექსტი) ..	149
მიხეილ ვორონცოვისადმი №43 (351) (რუსული ტექსტი)	150
მიხეილ ვორონცოვისადმი №43 (351) (ქართული ტექსტი)	152
პავლე შჩერბინინისადმი №1 (352) (რუსული ტექსტი)	154
პავლე შჩერბინინისადმი №1 (352) (ქართული ტექსტი)	155
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №9 (353) (რუსული ტექსტი)	156
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №9 (353) (ქართული ტექსტი) ..	157
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №10 (354) (რუსული ტექსტი) ..	157
აღექსანდრე ბარიატინსკისადმი №10 (354) (ქართული ტექსტი) ..	158

1855

აღექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებისადმი №1 (355)	159
ყაფლან ორბელიანისადმი №2 (356).....	160
ქეთევან ორბელიანისადმი №68 (357).....	161
ქეთევან ორბელიანისადმი №69 (358).....	162
აღექსანდრე და ბაბაღე საგინაშვილებისადმი №2 (359)	163
ბაბაღე საგინაშვილისადმი №7 (360).....	163
ყაფლან ორბელიანისადმი №3 (361).....	164
კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №6 (362).....	165
აღექსანდრე საგინაშვილისადმი №1 (363).....	166
ქეთევან ორბელიანისადმი №70 (364).....	166
ქეთევან ორბელიანისადმი №71 (365).....	167
მიხეილ ვორონცოვისადმი №44 (366) (რუსული ტექსტი)	168
მიხეილ ვორონცოვისადმი №44 (366) (ქართული ტექსტი)	170
მიხეილ შჩერბინინისადმი №2 (367) (რუსული ტექსტი)	173
მიხეილ შჩერბინინისადმი №2 (367) (ქართული ტექსტი)	174

ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №11 (368) (რუსული ტექსტი) ..	175
ალექსანდრე ბარიატინსკისადმი №11 (368) (ქართული ტექსტი).	177
სვიმონ შალიკაშვილისადმი №17 (369).....	179
ქეთევან ორბელიანისადმი №72 (370).....	181
ქეთევან ორბელიანისადმი №73 (371).....	182
ყაფლან ორბელიანისადმი №4 (372).....	183
ქეთევან ორბელიანისადმი №74 (373).....	183
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №15 (374).....	184
პეტრე ვოლკოვისადმი №1 (375) (რუსული ტექსტი).....	185
პეტრე ვოლკოვისადმი №1 (375) (ქართული ტექსტი).....	187
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №16 (376).....	190
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №17 (377).....	191
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №18 (378).....	193
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №19 (379).....	193
ბაბალე საგინაშვილისადმი №8 (380).....	194
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №20 (381).....	196
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №21 (382).....	198
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №22 (383).....	199
ლევან მელიქიშვილისადმი №1 (384).....	201
ქეთევან ორბელიანისადმი №75 (385).....	203
კონსტანტინე თარხნიშვილისადმი №7 (386).....	204
მიხეილ ვორონცოვისადმი №45 (387) (რუსული ტექსტი)	206
მიხეილ ვორონცოვისადმი №45 (387) (ქართული ტექსტი)	209
ბაბალე საგინაშვილისადმი №9 (388).....	212
ქეთევან ორბელიანისადმი №76 (389).....	213
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №23 (390).....	214
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №24 (391).....	217
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №25 (392).....	218
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №26 (393).....	220
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №27 (394).....	222
ქეთევან ორბელიანისადმი №77 (395).....	224
ყაფლან ორბელიანისადმი №5 (396).....	225
დიმიტრი ჯორჯაძისადმი №28 (397).....	226
ბაბალე საგინაშვილისადმი №10 (398).....	228
ქეთევან ორბელიანისადმი №78 (399).....	230
ქეთევან ორბელიანისადმი №79 (400).....	231

ქეთევან ორბელიანისადმი №80 (401).....	231
პასპორტები, შენიშვნები, კომენტარები.....	233
ტექსტისათვის	234
საძიებლები.....	475
პირთა ანოტირებული საძიებელი.....	476
გეოგრაფიულ სახელთა ანოტირებული საძიებელი.....	516
ლექსიკონი.....	534
სარჩევი.....	550